ი. სტალინი

თხზულებანი

9

იბეჭდება
საკავშირო
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

И. В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва 1948

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი · 1949

ი. ბ. სტალინი

ტომი
9

დეკემბერი 1926 – ივლისი 1927

წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცხრე ტომი შეიცავს 1926 წლის დეკემბრიდან 1927 წლის ივლისამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

ამ პერიოდში სსრ კავშირის მუშები და გლეხები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობისა და XV კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, განაგრძობდნენ ბრძოლას ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის.

სსრ კავშირის სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლისა და ქვეყნის შიგნით სოციალისტური ელემენტების წინააღმდეგ კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლის მკვეთრი გამწვავება.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ «იქმნება ერთიანი ფრონტის მსგავსი რამ ჩემბერლენიდან ტროცკიმდე».

მოხსენებაში კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულ პლენუმზე «ერთხელ კიდევ სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში», საბოლოო სიტყვაში მოხსენების გამო, სიტყვებში მოსკოვის XV საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე და სტალინის სახელობის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა კრებაზე, სტატიაში «შენიშვნები თანამედროვე თემებზე» და სხვა ნაშრომებში ი. ბ. სტალინი იცავს და ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ

მოძღვრებას პარტიის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალის შესახებ, ამხილებს მუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის საქმისადმი მტრულ «თეორიებს» ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიდერებისას და მათს ძირგამომთხრელ საქმიანობას საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) და კომინტერნში.

ი. ბ. სტალინის ამ ნაწარმოებებში განვითარებულია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები; ხაზგასმით აღნიშნულია სოციალისტური რევოლუციის ნაციონალური და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობა და განუყოფლობა; განსაზღვრულია პარტიის ხაზი საგარეო პოლიტიკის დარგში სსრ კავშირზე ახალი სამხედრო თავდასხმის გაძლიერებული საფრთხის პირობებში და დასახულია საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ამოცანები.

ნაშრომებში «პარტიის სამი ძირითადი ლოზუნგის შესახებ გლეხობის საკითხში», «მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხისათვის», «პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ ოქტომბრის მომზადების პერიოდში» განვითარებულია ლენინური მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესახებ და გაშუქებულია საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა მთავრობის კლასობრივი არსი.

მეცხრე ტომის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს 1925 — 1927 წლებში ჩინელი ხალხის რევოლუციურ-დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მამოძრავებელი ძალებისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს. ამ ნაშრომებს ეკუთვნის: «ჩინეთის რევოლუციის საკით-

ხები», «საუბარი სუნ იატ-სენის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან», «რევოლუცია ჩინეთში და კომინტერნის ამოცანები» და სხვ.

ტომში პირველად ქვეყნდება ი. ბ. სტალინის წერილები ქსენოფონტოვისადმი, ზაიცევისადმი, შინკევიჩისადმი, ჩუგუნოვისადმი, ცვეტკოვისა და ალიპოვისადმი, პოკროვსკისადმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

დეკემბერი 1926 – ივლისი 1927

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის VII გაფართოებული პლენუმი [1]

1926 წ. 22 ნოემბერი — 16 დეკემბერი

«პრავდა» №№ 285, 286, 294, 295 და 296;
1926 წ. 9, 10, 19, 21 და 22 დეკემბერი.

ერთხელ კიდევ სოციალ-დემოკრატიული ზადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში

მოხსენება 7 დეკემბერს

I

წინასწარი შენიშვნები

ამხანაგებო! სანამ საკითხის არსზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ გავაკეთო რამდენიმე წინასწარი შენიშვნა.

1. შინაპარტიული განვითარების წინააღმდეგობანი

პირველი საკითხია ჩვენი პარტიის შიგნით ბრძოლის საკითხი, იმ ბრძოლის საკითხი, რომელიც გუშინ როდი დაწყებულა და რომელიც არ წყდება.

თუ ავიღებთ ჩვენი პარტიის ისტორიას იმ მომენტიდან, როცა იგი ჩაისახა ბოლშევიკების ჯგუფის სახით 1903 წელს, და დავაკვირდებით მის შემდგომ ეტაპებს დღემდე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პარტიის ისტორია არის ისტორია ამ პარტიის შიგნით წინააღმდეგობათა ბრძოლისა, ისტორია ამ წინააღმდეგობათა დაძლევისა და ჩვენი პარტიის თანდათანობით განმტკიცებისა ამ წინააღმდეგობათა დაძლევის საფუძველზე. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ რუსები მეტად მოჩხუბარი ხალხია, კამათი უყვართ, უთანხმოებას აღვივებენ, და ამიტომ პარტიის განვითარება მათთან მიმდინარეობს შინაპარტიულ

წინააღმდეგობათა დაძლევის გზით. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. საქმე აქ მოჩხუბარობაში როდია. საქმე აქ იმაშია, რომ არსებობენ პრინციპული უთანხმოებანი, რომლებიც წარმოიშობიან პარტიის განვითარების მსვლელობაში, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მსვლელობაში. საქმე აქ იმაშია, რომ წინააღმდეგობათა დაძლევა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, თუ ვიბრძოლებთ ამა თუ იმ პრინციპებისათვის, ბრძოლის ამა თუ იმ მიზნებისათვის, იმ ბრძოლის ამა თუ იმ მეთოდებისათვის, რომელსაც მიზნისაკენ მივყავართ. შეიძლება დაიდოს და უნდა დაიდოს პარტიის შიგნით სხვანაირად მოაზროვნეებთან ყოველნაირი შეთანხმებანი მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე, წმინდა პრაქტიკული ხასიათის საკითხებზე. მაგრამ თუ ეს საკითხები დაკავშირებულია პრინციპულ უთანხმოებასთან, მაშინ საქმეს ვერ უშველის ვერავითარი შეთანხმება, ვერავითარი «საშუალო» ხაზი. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს «საშუალო» ხაზი პრინციპული ხასიათის საკითხებში. პარტიის მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს ან ერთი, ან მეორე პრინციპი. «საშუალო» ხაზი პრინციპულ საკითხებში არის «ხაზი» გონების დანაგვიანებისა, «ხაზი» უთანხმოების მიჩქმალვისა, «ხაზი» პარტიის იდეური გადაგვარებისა, «ხაზი» პარტიის იდეური სიკვდილისა.

როგორ ცხოვრობენ და ვითარდებიან ამჟამად სოციალ-დემოკრატიული პარტიები დასავლეთში? აქვთ თუ არა მათ წინააღმდეგობანი პარტიის შიგნით, პრინციპული უთანხმოებანი? რა თქმა უნდა, აქვთ. ამჟღავნებენ თუ არა ისინი ამ წინააღმდეგობებს და ცდილობენ თუ არა მათს დაძლევას პატიოსნად და აშკარად პარტიული მასების თვალწინ? არა. რა თქმა უნდა, არა! სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ დამალოს, დაფაროს ეს წინააღმდეგობანი და უთანხმოებანი. სოციალ-დემოკრატიის პრაქ-

ტიკა იმაში მდგომარეობს, რომ თავისი კონფერენციები და ყრილობები გადააქციოს პარადული კეთილდღეობის ფუჭ მასკარადად, გულმოდგინედ დამალოს და მიაფუჩეჩოს შინაგანი წინააღმდეგობანი. მაგრამ აქედან არაფერი არ შეიძლება გამოვიდეს, გონების დანაგვიანებისა და პარტიის იდეური გაღატაკების მეტი. ეს არის დასავლეთ ევროპის ოდესღაც რევოლუციური, დღეს კი რეფორმისტული სოციალ-დემოკრატიის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი.

მაგრამ ჩვენ ასე ცხოვრება და განვითარება არ შეგვიძლია, ამხანაგებო. «საშუალო» პრინციპული ხაზის პოლიტიკა ჩვენი პოლიტიკა არ არის. «საშუალო» პრინციპული ხაზის პოლიტიკა დაუძლურებისა და გადაგვარების გზაზე მდგომი პარტიების პოლიტიკაა. ასეთი პოლიტიკა არ შეიძლება არ იწვევდეს პარტიის გადაქცევას ცარიელ ბიუროკრატიულ აპარატად, რომელიც ფუჭად ტრიალებს და მოწყვეტილია მუშათა მასებს. ეს გზა ჩვენი გზა არ არის.

ჩვენი პარტიის მთელი წარსული იმ დებულების დადასტურებას წარმოადგენს, რომ ჩვენი პარტიის ისტორია არის ისტორია შინაპარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევისა და ამ დაძლევის საფუძველზე ჩვენი პარტიის რიგების განუხრელი განმტკიცებისა.

ავიღოთ პირველი პერიოდი, «ისკრის» პერიოდი, ანუ ჩვენი პარტიის II ყრილობის პერიოდი, როცა ჩვენს პარტიაში პირველად გაჩნდა უთანხმოება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის და როცა ჩვენი პარტიის ზედაფენა, ბოლოს და ბოლოს, გაიყო ორ ნაწილად: ბოლშევიკურ ნაწილად (ლენინი) და მენშევიკურ ნაწილად (პლეხანოვი, აქსელროდი, მარტოვი, ზასულიჩი, პოტრესოვი). ლენინი მაშინ მარტო იყო. რომ იცოდეთ, რამდენი ყვირილი და გოდება იყო მაშინ «შეუნაცვლებელთა» შესახებ, რომლებიც ლენინს ჩამოშორდნენ! მაგრამ ბრძოლის პრაქტიკამ და

პარტიის ისტორიამ ცხადყვეს, რომ ამ უთანხმოებას პრინციპული ბაზა ჰქონდა, რომ ეს უთანხმოება აუცილებელი ეტაპი იყო ნამდვილად რევოლუციური და ნამდვილად მარქსისტული პარტიის წარმოშობისა და განვითარებისათვის. ბრძოლის პრაქტიკამ მაშინ ცხადყო, ჯერ-ერთი, ის, რომ საქმე რაოდენობა კი არ არის, არამედ ხარისხია, და, მეორეც, ის, რომ საქმე ფორმალური ერთიანობა კი არ არის, არამედ ის, რომ ერთიანობას პრინციპული საფუძველი ჰქონდეს. ისტორიამ ცხადყო, რომ ლენინი მართალი იყო, ხოლო «შეუნაცვლებელნი» მართალი არ იყვნენ. ისტორიამ ცხადყო, რომ ლენინსა და «შეუნაცვლებლებს» შორის ამ წინააღმდეგობათა დაუძლევლად ჩვენ ნამდვილი რევოლუციური პარტია არ გვექნებოდა.

ავიღოთ შემდეგი პერიოდი, 1905 წლის რევოლუციის წინადღის პერიოდი, როცა ბოლშევიკები და მენშევიკები ერთმანეთის წინააღმდეგ იდგნენ ჯერ კიდევ ერთი პარტიის შიგნით, როგორც ორი ბანაკი ორი სრულიად სხვადასხვა პლატფორმით, როცა ბოლშევიკები პარტიის ფორმალური გათიშვის მიჯნაზე იდგნენ და როცა ისინი ჩვენი რევოლუციის ხაზის დასაცავად იძულებული იყვნენ მოეწვიათ თავიანთი განსაკუთრებული ყრილობა (III ყრილობა). რით გაიმარჯვა მაშინ პარტიის ბოლშევიკურმა ნაწილმა, რით მოიპოვა პარტიის უმრავლესობის სიმპათია? იმით, რომ იგი არ ჩქმალავდა პრინციპულ უთანხმოებებს და იბრძოდა ამ უთანხმოებათა დაძლევისათვის მენშევიკების იზოლაციის გზით.

შემდეგ, მე შემეძლო მომეხსენიებინა ჩვენი პარტიის განვითარების მესამე სტადია, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდგომი პერიოდი, 1907 წლის პერიოდი, როცა ბოლშევიკების ერთი ნაწილი, ეგრეთწოდებული «ოტზოვისტები», ბოგდანოვის მეთაურობით, ჩამოშორდა ბოლშევიზმს. ეს კრიტიკული პერიოდი იყო ჩვენი პარტიის

ცხოვრებაში. ეს ის პერიოდი იყო, როცა მთელმა რიგმა ბოლშევიკებმა ძველი გვარდიიდან მიატოვეს ლენინი და მისი პარტია. მენშევიკები მაშინ ბოლშევიკების დაღუპვაზე გაჰყვიროდნენ. მაგრამ ბოლშევიზმი არ დაიღუპა, და ბრძოლის პრაქტიკამ სულ რაღაც წელიწადნახევარში ცხადყო, რომ ლენინი და მისი პარტია მართალი იყვნენ, როცა იბრძოდნენ ბოლშევიზმის რიგებს შიგნით წინააღმდეგობათა დასაძლევად. ეს წინააღმდეგობანი დაძლეულ იქნენ არა მათი მიჩქმალვის გზით, არამედ მათი გამოაშკარავების გზით და ჩვენი პარტიის საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ ბრძოლის გზით.

შემდეგ, მე შემეძლო მომეხსენიებინა ჩვენი პარტიის ისტორიის მეოთხე პერიოდი, 1911 — 1912 წლების პერიოდი, როცა ბოლშევიკებმა აღადგინეს მეფის რეაქციის მიერ თითქმის განადგურებული პარტია და განდევნეს ლიკვიდატორები. აქაც, ისევე როგორც წინა პერიოდებში, ბოლშევიკები პარტიის აღდგენისა და განმტკიცებისაკენ მიდიოდნენ არა ლიკვიდატორებთან პრინციპულ უთანხმოებათა მიჩქმალვის გზით, არამედ მათი გამოაშკარავებისა და დაძლევის გზით.

შემდეგ, მე შემეძლო აღმენიშნა მეხუთე სტადია ჩვენი პარტიის განვითარებაში, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდი, როცა ბოლშევიკების ერთმა ნაწილმა ბოლშევიკური პარტიის ცნობილი ლიდერების მეთაურობით მერყეობა გამოიჩინა და არ მოისურვა მონაწილეობა მიეღო ოქტომბრის აჯანყებაში, რადგან მას ავანტიურად თვლიდა. ცნობილია, რომ ეს წინააღმდეგობაც ბოლშევიკებმა დასძლიეს არა უთანხმოებათა მიჩქმალვის გზით, არამედ ოქტომბრის რევოლუციისათვის აშკარა ბრძოლის გზით. ბრძოლის პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამ უთანხმოებათა დაუძლევლად ჩვენ შეგვეძლო კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაგვეყენებინა ოქტომბრის რევოლუცია.

დასასრულ, მე შემეძლო აღმენიშნა ჩვენი შინაპარტიული ბრძოლის განვითარების შემდგომი პერიოდები, ბრესტის ზავის პერიოდი, 1921 წლის პერიოდი (პროფკავშირული დისკუსია) და დანარჩენი პერიოდები, რომლებიც თქვენთვის ცნობილია და რომლებზეც აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. ცნობილია, რომ ყველა ამ პერიოდში, ისევე როგორც წარსულში, ჩვენი პარტია იზრდებოდა და მტკიცდებოდა შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევის გზით.

აქედან რა გამოდის?

გამოდის, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) იზრდებოდა და მტკიცდებოდა შინაპარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით.

გამოდის, რომ შინაპარტიულ უთანხმოებათა ბრძოლის გზით დაძლევა ჩვენი პარტიის განვითარების კანონია.

შეიძლება თქვან, ეს კანონია საკავშირო კომუნისტური პარტიისათვის (ბ) და არა სხვა პროლეტარული პარტიებისთვისო. ეს არ არის მართალი. ეს კანონი განვითარების კანონია ყველა ცოტად თუ ბევრად დიდი პარტიისათვის, სულ ერთია, სსრ კავშირის პროლეტარულ პარტიაზეა ლაპარაკი თუ დასავლეთის პროლეტარულ პარტიებზე. თუ პატარა ქვეყნის პატარა პარტიაში ასე თუ ისე შეიძლება მიჩქმალონ უთანხმოებანი, დაფარონ ისინი ერთი ან რამდენიმე პირის ავტორიტეტით, დიდი ქვეყნის დიდ პარტიაში განვითარება წინააღმდეგობათა დაძლევის გზით პარტიის ზრდისა და განმტკიცების გარდუვალი ელემენტია. ასე ხდებოდა წარსულში. ასე ხდება ახლაც.

აქ მე მინდა დავიმოწმო ავტორიტეტი ენგელსისა, რომელიც მარქსთან ერთად არა ერთ ათეულ წელიწადს ხელმძღვანელობდა პროლეტარულ პარტიებს დასავლეთში. საქმე ეხება გასული საუკუნის ოთხმოციან წლებს, როცა გერმანიაში გამეფებული იყო განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ*, მარქსი და ენგელსი ლონდონში

იმყოფებოდნენ ემიგრაციაში, ხოლო გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული არალეგალური ორგანო «სოციალ-დემოკრატი» [3] ნამდვილად წარმართავდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მუშაობას. ბერნშტეინი მაშინ რევოლუციური მარქსისტი იყო (ჯერ კიდევ ვერ მოესწრო რეფორმისტებთან გადაბარგება), ენგელსს მასთან გაცხოველებული მიწერ-მოწერა ჰქონდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკის ყველაზე საჭირბოროტო საკითხების შესახებ. აი რას სწერდა იგი მაშინ ბერნშტეინს (1882 წ.):

«როგორც ჩანს, დიდი ქვეყნის **ყოველი** მუშათა პარტია შეიძლება ვითარდებოდეს მხოლოდ შინაგან ბრძოლაში, საერთოდ დიალექტიკური განვითარების კანონებთან სრული შესაბამისობით. გერმანიის პარტია გახდა ის, რაც იგი ამჟამად არის, ეიზენახელთა და ლასალელთა ბრძოლაში, სადაც თვით ჩხუბიც კი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. გაერთიანება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა არამზადათა ხროვამ, რომელიც ლასალმა სპეციალურად გამოზარდა, რომ იარაღად გამოეყენებინა, უკვე დრო მოჭამა, და მაშინაც ჩვენები მეტის-მეტად აჩქარდნენ, ამ გაერთიანებაზე რომ დათანხმდნენ. საფრანგეთში იმ ადამიანებმა, რომლებმაც თუმცა მსხვერპლად შესწირეს ბაკუნისტური თეორია, მაგრამ კვლავ იყენებენ ბრძოლის ბაკუნისტურ საშუალებებს და ამავე დროს სურთ მოძრაობის კლასობრივი ხასიათი მსხვერპლად შესწირონ თავიანთ განსაკუთრებულ მიზნებს, აგრეთვე ჯერ დრო უნდა მოჭამონ, სანამ კვლავ შესაძლებელი გახდებოდეს გაერთიანება. ასეთ გარემოებებში გაერთიანების ქადაგება ნამდვილი სისულელე იქნებოდა. მორალური ქადაგება ვერ გვიშველის საყმაწვილო სენის წინააღმდეგ, რომელიც ახლანდელ გარემოებებში გარდუვალია» (იხ. «კ. **მარქსისა** და **ფ. ენგელსის** არქივი», წიგნი I, გვ. 324 — 325 [4]).

ვინაიდან, ამბობს ენგელსი სხვა ადგილას (1885 წ.):

«წინააღმდეგობანი არასოდეს არ შეიძლება მიჩქმალულ იქნან დიდი ხნით, მათი გადაჭრა ბრძოლით ხდება» (იხ. იქვე, გვ. 371).

აი რით უნდა აიხსნას, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი პარტიის შიგნით წინააღმდეგობათა არსებობა და ჩვენი პარ-

ტიის განვითარება ბრძოლის გზით ამ წინააღმდეგობათა დაძლევის მეშვეობით.

2. პარტიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა წყაროები

მაგრამ საიდან ჩნდებიან ეს წინააღმდეგობანი და უთანხმოებანი, სად არის მათი წყარო?

მე ვფიქრობ, რომ პროლეტარულ პარტიებს შიგნით წინააღმდეგობათა წყაროები ორ გარემოებაში იმალება.

როგორია ეს გარემოებანი?

ეს არის, ჯერ-ერთი, ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენა პროლეტარიატსა და მის პარტიაზე კლასთა ბრძოლის ვითარებაში, — ზეგავლენა, რომელსაც არც თუ იშვიათად ემორჩილებიან პროლეტარიატის ყველაზე ნაკლებად მტკიცე ფენები და, მაშასადამე, — პროლეტარული პარტიის ყველაზე ნაკლებად მტკიცე ფენებიც. არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ პროლეტარიატი სრულიად იზოლირებულია საზოგადოებისაგან, საზოგადოების გარეთ დგას. პროლეტარიატი საზოგადოების ნაწილია, მრავალი ძაფით დაკავშირებული მის სხვადასხვა ფენებთან. მაგრამ პარტია პროლეტარიატის ნაწილია. ამიტომ პარტიაც არ შეიძლება თავისუფალი იყოს ბურჟუაზიული საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან ურთიერთობისა და მათი გავლენისაგან. ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის ზეგავლენა პროლეტარიატსა და მის პარტიაზე იმაში გამოიხატება, რომ ბურჟუაზიული იდეები, ზნე-ჩვეულებანი, განწყობილება არც თუ იშვიათად შეაღწევენ ხოლმე პროლეტარიატსა და მის პარტიაში პროლეტარიატის განსაზღვრული ფენების მეშვეობით, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან.

ეს არის, მეორე მხრივ, მუშათა კლასის სხვადასხვაგვაროვნება, მუშათა კლასის შიგნით სხვადასხვა ფენების არსე-

ბობა. მე ვფიქრობ, რომ პროლეტარიატი, როგორც კლასი, შეიძლება გავყოთ სამ ფენად.

ერთი ფენაა პროლეტარიატის ძირითადი მასა, მისი ბირთვი, მისი მუდმივი ნაწილი, «წმინდა სისხლის» პროლეტართა ის მასა, რომელმაც უკვე დიდი ხანია გაწყვიტა კავშირი კაპიტალისტთა კლასთან. პროლეტარიატის ეს ფენა მარქსიზმის ყველაზე საიმედო დასაყრდენია.

მეორე ფენას შეადგენენ ცოტა ხნის წინათ გამოსულნი არაპროლეტარული კლასებიდან, გლეხობიდან, ქალაქის მდაბიოთა რიგებიდან, ინტელიგენციიდან. ესენი არიან სხვა კლასებიდან გამოსულნი, რომელნიც პროლეტარიატის შემადგენლობაში სულ ახლახან შევიდნენ და მუშათა კლასში შეიტანეს თავიანთი ზნენი, ჩვეულებანი, თავიანთი ყოყმანი, თავიანთი მერყეობა. ეს ფენა ყველაზე ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენს ყოველგვარ ანარქისტულ, ნახევრად-ანარქისტულ და «ულტრამემარცხენე» დაჯგუფებათათვის.

დასასრულ, მესამე ფენაა მუშათა არისტოკრატია, მუშათა კლასის ზედაფენა, პროლეტარიატის ყველაზე უზრუნველყოფილი ნაწილი, თავისი მისწრაფებით ბურჟუაზიასთან კომპრომისებისაკენ, თავისი უპირატესი განწყობილებით — შეეწყოს ამა ქვეყნის ძლიერთ, თავისი განწყობილებით — «ხალხში გამოვიდეს». ეს ფენა ყველაზე ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენს აშკარა რეფორმისტებისა და ოპორტუნისტებისათვის.

მიუხედავად გარეგნული განსხვავებისა, მუშათა კლასის ეს ორი უკანასკნელი ფენა წარმოადგენს მეტად თუ ნაკლებად საერთო გარემოს, რომელიც ასაზრდოებს საერთოდ ოპორტუნიზმს, აშკარა ოპორტუნიზმს, რამდენადაც გადასძლევენ მუშათა არისტოკრატიის განწყობილებანი, და «მემარცხენე» ფრაზით დაფარულ ოპორტუნიზმს, რამდე-

ნადაც გადასძლევენ მუშათა კლასის იმ ნახევრად-მეშჩანური ფენების განწყობილებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ სავსებით არ გაუწყვეტიათ კავშირი წვრილბურჟუაზიულ წრესთან. იმ ფაქტში, რომ «ულტრამემარცხენე» განწყობილებანი ძალიან ხშირად ემთხვევიან აშკარა ოპორტუნიზმის განწყობილებას — ამ ფაქტში გასაკვირველი არაფერია. ლენინს არა ერთხელ უთქვამს, «ულტრამემარცხენე» ოპოზიცია მემარჯვენე, მენშევიკური, აშკარა ოპორტუნისტული ოპოზიციის შიდაპირიაო. და ეს სრული სიმართლეა. თუ «ულტრამემარცხენე» მხარს უჭერს რევოლუციას მხოლოდ იმიტომ, რომ რევოლუციის გამარჯვებას **ხვალვე** ელის, ცხადია, რომ იგი სასოწარკვეთილებაში უნდა ჩავარდეს და რევოლუციაზე გული გაუტყდეს, თუ რევოლუციაში შეფერხება მოხდა, თუ რევოლუციამ ხვალვე ვერ გაიმარჯვა.

ბუნებრივია, რომ კლასობრივი ბრძოლის განვითარების ყოველი მობრუნებისას, ბრძოლის ყოველი გამწვავებისას და სიძნელეთა გაძლიერებისას პროლეტარიატის სხვადასხვა ფენების შეხედულებათა, ჩვევებისა და განწყობილების განსხვავებამ გარდუვალად უნდა იჩინოს თავი პარტიაში გარკვეულ უთანხმოებათა სახით, ხოლო ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის ზეგავლენამ გარდუვალად უნდა გაამწვავოს ეს უთანხმოებანი, მისცეს მათ გამოსავალი პროლეტარული პარტიის შიგნით ბრძოლის სახით.

ასეთია შინაპარტიულ წინააღმდეგობათა და უთანხმოებათა წყაროები.

შეიძლება თუ არა გვერდი ავუაროთ ამ წინააღმდეგობებსა და უთანხმოებას? არა, არ შეიძლება. იმის ფიქრი, რომ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამ წინააღმდეგობებს, ნიშნავს თავის მოტყუებას. ენგელსი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ პარტიის შიგნით წინააღმდეგობათა დიდხანს

მიჩქმალვა შეუძლებელია, რომ ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა ბრძოლით ხდება.

ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია სადისკუსიო კლუბად უნდა გადავაქციოთ. პირიქით, პროლეტარული პარტია პროლეტარიატის საბრძოლო ორგანიზაცია არის და ასეთად უნდა დარჩეს. მე მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ არ შეიძლება გავურბოდეთ და თვალს ვარიდებდეთ უთანხმოებას პარტიის შიგნით, თუ ამ უთანხმოებას პრინციპული ხასიათი აქვს. მე მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ მხოლოდ პრინციპული მარქსისტული ხაზისათვის ბრძოლის გზით იქნება შესაძლებელი პროლეტარული პარტიის დაცვა ბურჟუაზიის ზემოქმედებისა და გავლენისაგან. მე მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ მხოლოდ შინაპარტიულ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით იქნება შესაძლებელი მივაღწიოთ პარტიის გაჯანსაღებასა და განმტკიცებას.

II

საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) არსებული ოპოზიციის თავისებურებანი

ახლა ნება მიბოძეთ წინასწარი შენიშვნებიდან გადავიდე საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) არსებული ოპოზიციის საკითხზე.

უწინარეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო ჩვენი შინაპარტიული ოპოზიციის ზოგიერთი თავისებურება. მხედველობაში მაქვს მისი გარეგნული თავისებურებანი, რომლებიც თვალში გეცემა, და ჯერჯერობით არ შევეხები არსებით უთანხმოებას. მე ვფიქრობ, რომ ეს თავისებურებანი შეიძლება განისაზღვროს სამი მთავარი თავისებურებით. ეს არის, ჯერ-ერთი, ის, რომ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) არსებული ოპოზიცია **გაერთიანებული** ოპოზიციაა და არა რაღაც «უბრალო» ოპოზიცია. მეორეც, ის, რომ ოპოზიცია ცდილობს დაფაროს თავისი ოპორტუნიზმი

«მემარცხენე» ფრაზით, თავს იწონებს «რევოლუციური» ლოზუნგებით. მესამეც, ის, რომ ოპოზიცია თავისი პრინციპული უსახურობის გამო ხშირად ჩივის, რომ მას ვერ გაუგეს, რომ ოპოზიციის ლიდერები არსებითად «ვერგაგებულთა» ფრაქციას წარმოადგენენ. (ს ი ც ი ლ ი).

დავიწყოთ პირველი თავისებურებით. რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ოპოზიცია ჩვენში გამოდის როგორც **გაერთიანებული** ოპოზიცია, როგორც ყველა და ყოველგვარ მიმდინარეობათა ბლოკი, რომლებიც წინათ პარტიამ დაგმო, ამასთან იგი გამოდის არა როგორღაც «უბრალოდ», არამედ ტროცკიზმის მეთაურობით?

ეს აიხსნება შემდეგი გარემოებებით.

ჯერ-ერთი, იმით, რომ ბლოკში გაერთიანებული ყველა მიმდინარეობანი, — ტროცკისტებიც, «ახალი ოპოზიციაც», «დემოკრატიული ცენტრალიზმის» [5] ნაშთებიც, «მუშათა ოპოზიციის» [6] ნაშთებიც, — ისინი ყველანი არიან მეტად თუ ნაკლებად ოპორტუნისტული მიმდინარეობანი, რომლებიც ან თავისი წარმოშობის დასაწყისიდანვე ებრძოდნენ ლენინიზმს, ან უკანასკნელ ხანს დაიწყეს მასთან ბრძოლა. თქმა არ უნდა, ამ **საერთო** თვისებას უნდა გაეადვილებინა მათი გაერთიანება ბლოკში პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მეორეც, მიმდინარე პერიოდის გარდატეხითი ხასიათით, იმ გარემოებით, რომ ახლანდელმა გარდატეხის პერიოდმა ხელახლა მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა ჩვენი რევოლუციის ძირითადი საკითხები, და რადგან ყველა ამ მიმდინარეობას ჩვენს პარტიასთან ჰქონდა და კვლავ აქვს უთანხმოება რევოლუციის ამა თუ იმ საკითხებში, ბუნებრივია, რომ ახლანდელი პერიოდის შეჯამებითს ხასიათს, რომელსაც ყველა ჩვენი უთანხმოების ბალანსი გამოჰყავს, ყველა ამ მიმდინარეობისათვის უნდა მიეცა ბიძგი ერთ

ბლოკში, ჩვენი პარტიის ძირითადი ხაზის წინააღმდეგ მიმართულ ბლოკში გაერთიანებისათვის. თქმა არ უნდა, ამ გარემოებას არ შეიძლებოდა არ გაეადვილებინა სხვადასხვა ჯგუფის ოპოზიციურ მიმდინარეობათა გაერთიანება ერთ საერთო ბანაკში.

მესამეც, იმ გარემოებით, რომ ერთი მხრივ ჩვენი პარტიის მძლავრ ძალასა და დარაზმულობას, ხოლო მეორე მხრივ უკლებლივ ყველა ოპოზიციური მიმდინარეობის სისუსტეს და მასებისაგან მოწყვეტას არ შეიძლებოდა აშკარად უიმედო არ გაეხადა ამ მიმდინარეობათა დაქსაქსული ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ, რის გამო ოპოზიციური მიმდინარეობანი გარდუვალად უნდა დასდგომოდნენ ძალების **გაერთიანების** გზას იმისათვის, რომ ცალკეული ჯგუფების შეკრებით აენაზღაურებინათ მათი სისუსტე და ამით აეწიათ, გარეგნულად მაინც, ოპოზიციის შანსები.

ხოლო რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ოპოზიციურ ბლოკს სათავეში უდგას სწორედ ტროცკიზმი?

ჯერ-ერთი, იმით, რომ ტროცკიზმი ჩვენს პარტიაში არსებულ ოპოზიციურ მიმდინარეობათაგან ოპორტუნიზმის ყველაზე დამთავრებული მიმდინარეობაა (კომინტერნის V კონგრესი მართალი იყო, ტროცკიზმი წვრილბურჟუაზიულ გადახრად რომ მიიჩნია[7]).

მეორეც, იმით, რომ ჩვენს პარტიაში არსებულ არც ერთ ოპოზიციურ მიმდინარეობას არ ეხერხება ისე მარჯვედ და ოსტატურად შენიღბოს თავისი ოპორტუნიზმი «მემარცხენე» და რრრრევოლუციური ფრაზით, როგორც ტროცკიზმს. (ს ი ც ი ლ ი).

ეს პირველი შემთხვევა როდია, რომ ჩვენი პარტიის ისტორიაში ტროცკიზმი სათავეში უდგას ოპოზიციურ მიმდინარეობებს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. მე მინდა დავიმოწმო ცნობილი პრეცედენტი ჩვენი პარტიის ისტორიაში, რასაც ადგილი ჰქონდა 1910 — 1914 წლებში, როცა ტროც-

კის მეთაურობით შეიქმნა ოპოზიციურ ანტიპარტიულ მიმდინარეობათა ბლოკი ეგრეთწოდებული აგვისტოს ბლოკის სახით. მე მინდა დავიმოწმო ეს პრეცედენტი, ვინაიდან იგი ახლანდელი ოპოზიციური ბლოკის ერთგვარ პროტოტიპს წარმოადგენს. მაშინ ტროცკიმ პარტიის წინააღმდეგ გააერთიანა ლიკვიდატორები (პოტრესოვი, მარტოვი და სხვ.), ოტზოვისტები («ვპერიოდელები») და თავისი საკუთარი ჯგუფი. ახლა კი იგი შეეცადა ოპოზიციურ ბლოკში გაეერთიანებინა «მუშათა ოპოზიცია», «ახალი ოპოზიცია» და თავისი საკუთარი ჯგუფი.

ცნობილია, რომ ლენინი მაშინ სამი წლის განმავლობაში იბრძოდა აგვისტოს ბლოკის წინააღმდეგ. აი რას წერდა მაშინ ლენინი აგვისტოს ბლოკის შესახებ მისი ჩამოყალიბების მიჯნაზე:

«ამიტომ ჩვენ **მთელი პარტიის სახელით** ვაცხადებთ, რომ ტროცკი ანტიპარტიულ პოლიტიკას ეწევა; — რომ იგი პარტიულ **ლეგალობას არღვევს, ავანტიურისა** და **გათიშვის** გზას ადგება... ტროცკი იმიტომ უვლის დუმილით გვერდს ამ უდავო სიმართლეს, რომ მისი პოლიტიკის **რეალური** მიზნებისათვის სიმართლე აუტანელია. ხოლო რეალური მიზნები სულ უფრო ირკვევა და ცხადი ხდება ყველაზე ნაკლებად გამჭრიახი პარტიელებისთვისაც კი. ეს რეალური მიზნებია **პოტრესოვების ანტიპარტიული ბლოკი ვპერიოდელებთან,** რომელ ბლოკსაც ტროცკი მხარს უჭერს და აწყობს... ეს ბლოკი, რა თქმა უნდა, მხარს დაუჭერს ტროცკის «ფონდს» და ანტიპარტიულ კონფერენციას, რომელსაც იგი იწვევს, ვინაიდან ბატონი პოტრესოვებიც და ვპერიოდელებიც აქ იღებენ იმას, რაც ესაჭიროებათ: თავიანთი ფრაქციების თავისუფლებას, მათს დაკანონებას, მათი საქმიანობის დაფარვას, ამ საქმიანობის ადვოკატურ დაცვას მუშების წინაშე.

და აი სწორედ «პრინციპული საფუძვლების» თვალსაზრისით ჩვენ არ შეგვიძლია არ ვცნოთ ეს ბლოკი **ავანტიურიზმად** ამ სიტყვის სავსებით ზუსტი მნიშვნელობით. იმის თქმას, რომ პოტრესოვში, ოტზოვისტებში ის ნამდვილ მარქსისტებს, სოციალ-დემოკრატიზმის პრინციპულობის ნამდვილ დამცველებს ხედავს, **ტროცკი ვერ ბედავს.** ავანტიურისტის პოზიციის არსი სწორედ ის არის, რომ იგი იძულებულია პერმანენტულად იძვრენდეს თავს... ტროცკის ბლოკი პოტრესოვთან და

ვპერიოდელებთან ავანტიურაა სწორედ «პრინციპული საფუძვლების» თვალსაზრისით. არა ნაკლებ სწორია ეს **პარტიულ-პოლიტიკური** ამოცანების თვალსაზრისით... პლენუმის შემდეგ ერთი წლის გამოცდილებამ ნამდვილად დაგვანახა, რომ სწორედ პოტრესოვის ჯგუფები, სწორედ ვპერიოდელთა ფრაქცია **განასახიერებენ** ამ ბურჟუაზიულ გავლენას პროლეტარიატზე... დასასრულ, მესამეც, ტროცკის პოლიტიკა ავანტიურაა **ორგანიზაციული** თვალსაზრისით, ვინაიდან, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, იგი პარტიულ ლეგალობას არღვევს და, ერთი საზღვარგარეთული ჯგუფის სახელით (ან **ორი** ანტიპარტიული ფრაქციის, გოლოსელებისა და ვპერიოდელების ბლოკის სახელით) კონფერენციას რომ აწყობს, იგი პირდაპირ ადგება გათიშვის გზას» (იხ. ტ. XV, გვ. 65, 67 — 70).

ასეთ აზრს გამოთქვამდა ლენინი ანტიპარტიულ მიმდინარეობათა პირველ ბლოკზე ტროცკის მეთაურობით.

ძირითადად იგივე უნდა ითქვას, მაგრამ კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრით, ანტიპარტიულ მიმდინარეობათა ახლანდელ ბლოკზე, აგრეთვე ტროცკის მეთაურობით.

აი იმის მიზეზები, თუ რატომ გამოდის ახლა ჩვენი ოპოზიცია გაერთიანებული ოპოზიციის სახით და გამოდის არა «უბრალოდ», არამედ ტროცკიზმის მეთაურობით.

ასეთია საქმის ვითარება ოპოზიციის პირველი თავისებურების მხრივ.

გადავიდეთ მეორე თავისებურებაზე. მე უკვე ვთქვი, რომ ოპოზიციის მეორე თავისებურება მდგომარეობს მის გამალებულ მისწრაფებაში — «მემარცხენე», «რევოლუციური» ფრაზით დაფაროს თავისი ოპორტუნისტული საქმე. მე შესაძლებლად არ მიმაჩნია სიტყვა გავაგრძელო აქ იმ ფაქტებზე, რომლებიც ცხადყოფენ მუდმივ უთანხმოებას «რევოლუციურ» სიტყვებსა და ოპორტუნისტულ საქმეებს შორის ჩვენი ოპოზიციის პრაქტიკაში. საკმარისია გადაათვალიეროთ თუნდაც თეზისები ოპოზიციის შესახებ, რაც მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე[8], რომ გაიგოთ ამ შენიღბვის მექანიკა მე მინდა მხოლოდ მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი ჩვენი პარტიის ისტორიი-

დან, რომლებიც მოწმობენ, რომ ყველა ოპოზიციური მიმდინარეობა ჩვენს პარტიაში ძალაუფლების აღების შემდგომ პერიოდში ცდილობდა «რევოლუციური» ფრაზით დაეფარა თავისი არარევოლუციური საქმეები და მუდამ «მარცხნიდან» აკრიტიკებდა პარტიასა და მის პოლიტიკას.

ავიღოთ, მაგალითად, «მემარცხენე» კომუნისტები, რომლებიც პარტიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ბრესტის ზავის პერიოდში (1918 წ.). ცნობილია, რომ ისინი პარტიას «მარცხნიდან» აკრიტიკებდნენ, როდესაც ბრესტის ზავის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და პარტიის პოლიტიკას ოპორტუნისტულ, არაპროლეტარულ, იმპერიალისტების მიმართ შემთანხმებლურ პოლიტიკად თვლიდნენ. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ბრესტის ზავის წინააღმდეგ გალაშქრებით «მემარცხენე» კომუნისტები ხელს უშლიდნენ პარტიას მიეღო «შესვენება», რათა მოეწყო და განემტკიცებინა საბჭოთა ხელისუფლება, ეხმარებოდნენ ესერებსა და მენშევიკებს, რომლებიც მაშინ ბრესტის ზავის წინააღმდეგი იყვნენ, საქმეს უადვილებდნენ იმპერიალიზმს, რომელიც ცდილობდა ჩანასახშივე ჩაეხრჩო საბჭოთა ხელისუფლება.

ავიღოთ «მუშათა ოპოზიცია» (1921 წ.). ცნობილია, რომ ისიც «მარცხნიდან» აკრიტიკებდა პარტიას, ყოველნაირად «ანადგურებდა» ნეპის პოლიტიკას, «აცამტვერებდა» ლენინის დებულებას იმის შესახებ, რომ ინდუსტრიის აღდგენა უნდა დაიწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებით, რომელიც იძლევა სანედლეულო და სასურსათო წანამძღვრებს მრეწველობისათვის, «აცამტვერებდა» ლენინის ამ დებულებას როგორც პროლეტარიატის ინტერესების დავიწყებას და როგორც გლეხურ გადახრას. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ, თუ არ გავატარებდით ნეპის პოლიტიკას, თუ არ განვავითარებდით სოფლის მეურნეობას, რომელიც ქმნის სანედლეულო და სასურსათო წანამძღვრებს მრეწველობისა-

თვის, ჩვენ არ გვექნებოდა არავითარი მრეწველობა, ხოლო პროლეტარიატი დეკლასირებულობის მდგომარეობაში იქნებოდა. გარდა ამისა, ცნობილია, საითკენ იწყო ყოველივე ამის შემდეგ ზრდა «მუშათა ოპოზიციამ», მარჯვნისაკენ თუ მარცხნისაკენ.

ავიღოთ, დასასრულ, ტროცკიზმი, რომელიც აი უკვე რამდენიმე წელიწადია «მარცხნიდან» აკრიტიკებს ჩვენს პარტიას და ამასთან ერთად, როგორც სწორად აღნიშნა კომინტერნის V კონგრესმა, წარმოადგენს წვრილბურჟუაზიულ გადახრას. რა შეიძლება საერთო იყოს წვრილბურჟუაზიულ გადახრასა და ნამდვილ რევოლუციურობას შორის? განა ცხადი არ არის, რომ «რევოლუციური» ფრაზა აქ მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ გადახრას ფარავს?

აღარას ვამბობ «ახალ ოპოზიციაზე», რომლის «მემარცხენე» ყვირილიც მოწოდებულია დაფაროს ის, რომ იგი ტროცკიზმის ტყვეობაშია.

რას მოწმობს ყველა ეს ფაქტი?

იმას, რომ ოპორტუნისტული საქმის «მემარცხენე» შენიღბვა წარმოადგენს ჩვენს პარტიაში არსებული ყველა და ყოველგვარი ოპოზიციური მიმდინარეობის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს ძალაუფლების აღების შემდგომ პერიოდში.

რით აიხსნება ეს მოვლენა?

ეს აიხსნება სსრ კავშირის პროლეტარიატის რევოლუციურობით, იმ უდიდესი რევოლუციური ტრადიციებით, რომლებიც ჩვენი პროლეტარიატის წიაღშია. ეს აიხსნება სსრ კავშირის მუშების პირდაპირი სიძულვილით ანტირევოლუციური, ოპორტუნისტული ელემენტებისადმი. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი მუშები არც კი მოუსმენენ აშკარა ოპორტუნისტს, რის გამო «რევოლუციური» შენიღბვა ის მისატყუებელია, რომელმაც, თუნდაც გარეგნულად, უნდა მიიპყროს მუშების ყურადღება და ჩაუნერგოს მათ ოპო-

ზიციისადმი ნდობა. ჩვენს მუშებს, მაგალითად, ვერ გაუგიათ, როგორ მოხდა, რომ ინგლისელ მუშებს დღემდე ვერ მოუფიქრებიათ წყალში დაახრჩონ ისეთი გამცემლები, როგორიც არის ტომასი, ჭაში ჩაყარონ ისინი. (სიცილი). ყველა, ვინც ჩვენს მუშებს იცნობს, ადვილად მიხვდება, რომ ისეთ ადამიანებსა და ისეთ ოპორტუნისტებს, როგორიც ტომასია, არც ეცხოვრებოდათ საბჭოთა მუშებში. ამავე დროს კი ცნობილია, რომ ინგლისელი მუშები არა თუ არ აპირებენ წყალში გადაყარონ ბატონი ტომასები, არამედ ხელახლაც ირჩევენ მათ გენერალურ საბჭოში", თანაც ირჩევენ არა უბრალოდ, არამედ დემონსტრაციით. ცხადია, რომ ასეთ მუშებს არ ესაჭიროებათ ოპორტუნიზმის რევოლუციური შენიღბვა, ვინაიდან ისედაც წინააღმდეგი არ არიან მიიღონ ოპორტუნისტები თავიანთ წრეში.

რით აიხსნება ეს? ეს აიხსნება იმით, რომ ინგლისელ მუშებს რევოლუციური ტრადიციები არა აქვთ. ისინი, ეს რევოლუციური ტრადიციები, ახლა იქმნებიან. ისინი იქმნებიან და ვითარდებიან, და საფუძველი არ მოგვეპოვება დავეჭვდეთ იმაში, რომ ინგლისელი მუშები იწრთობიან რევოლუციურ ბრძოლებში. მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, ინგლისელ და საბჭოთა მუშებს შორის განსხვავება რჩება. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ოპორტუნისტებისათვის ჩვენს პარტიაში სახიფათოა, რომ ერთგვარი «რევოლუციური» შენიღბვის მოუხდენლად მიუდგნენ სსრ კავშირის მუშებს.

აი სად იმალება ოპოზიციური ბლოკის «რევოლუციური» შენიღბვის მიზეზები.

დასასრულ, ოპოზიციის მესამე თავისებურების შესახებ. როგორც უკვე ვთქვი, ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ოპოზიციური ბლოკი პრინციპულად ჩამოუყალიბებელია, უპრინციპოა, ამებისებურია, და აქედან გამომდინარეობს ოპოზიციის ლიდერების მუდმივი ჩივილი — «ვერ

გაგვიგეს», «დაგვამახინჯეს», ის მოგვაწერეს, რაც «არ გვითქვამსო», და ა. შ. ეს, ჭეშმარიტად, იმათი ფრაქციაა, რომელთაც «ვერ გაუგეს». პროლეტარული პარტიების ისტორია მოწმობს, რომ ეს თავისებურება («ვერ გაუგეს!») საერთოდ ოპორტუნიზმის ყველაზე ჩვეულებრივი და ყველაზე გავრცელებული თავისებურებაა. უნდა იცოდეთ, ამხანაგებო, რომ სწორედ ასეთივე ამბავი «დაემართათ» ცნობილ ოპორტუნისტებს ბერნშტეინს, ფოლმარს, აუერს და სხვებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რიგებში 90-იანი წლების დამლევს და 900-იანი წლების დამდეგს, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატია რევოლუციური იყო და როცა ეს პირწავარდნილი ოპორტუნისტები მთელი რიგი წლების მანძილზე ჩიოდნენ — «ვერ გაგვიგეს», «დაგვამახინჯესო». ცნობილია, რომ ბერნშტეინის ფრაქციას მაშინ გერმანელმა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა «ვერგაგებულთა» ფრაქცია უწოდეს. არ შეიძლება შემთხვევითობად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ, ამრიგად, ოპოზიციური ბლოკი «ვერგაგებულთა» ფრაქციის თანრიგში უნდა შევიტანოთ.

ასეთია ოპოზიციური ბლოკის უმთავრესი თავისებურებანი.

III

უთანხმოებანი საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)

გადავიდეთ არსებით უთანხმოებებზე.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი უთანხმოებანი შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ძირითადი საკითხით. დაწვრილებით არ შევეხები ამ საკითხებს, ვინაიდან საამისოდ ცოტა დრო მაქვს, მოხსენება კი ისედაც ჭიანურდება. მით უმეტეს, რომ თქვენ გაქვთ მასალები საკავშირო კ. პ. (ბ) საკითხებზე, რომლებიც, მართალია, თარგმანის ზოგიერთი შეცდომით ხასიათდება, მაგრამ ძირითადად ისინი მაინც იძლევიან სწორ წარმოდგენას უთანხმოებებზე ჩვენს პარტიაში.

1. სოციალისტური მშენებლობის საკითხები

პირველი საკითხი. პირველი საკითხია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობის საკითხი. საქმე ეხება, რა თქმა უნდა, არა ჩერნოგორიას ანდა თუნდაც ბულგარეთს, არამედ ჩვენს ქვეყანას, სსრ კავშირს. საქმე ეხება ისეთ ქვეყანას, სადაც იყო და ვითარდებოდა იმპერიალიზმი, სადაც არსებობს ერთგვარი მინიმუმი მსხვილი მრეწველობისა, სადაც არსებობს ერთგვარი მინიმუმი პროლეტარიატისა, სადაც არსებობს პროლეტარიატის ხელმძღვანელი პარტია. ამრიგად, შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, შესაძლებელია თუ არა იქ სოციალიზმის აშენება ჩვენი ქვეყნის შინაგანი ძალების საფუძველზე, იმ შესაძლებლობათა საფუძველზე, რომლებიც სსრ კავშირის პროლეტარიატის განკარგულებაშია?

მაგრამ რას ნიშნავს სოციალიზმის აშენება, კონკრეტული კლასობრივი ენით რომ გამოვთქვათ ეს ფორმულა? სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება ნიშნავს იმას, რომ ბრძოლის მსვლელობაში ჩვენი საკუთარი ძალებით დავძლიოთ ჩვენი, საბჭოთა, ბურჟუაზია. მაშასადამე, საკითხი იმით განისაზღვრება, შესწევს თუ არა სსრ კავშირის პროლეტარიატს უნარი — დასძლიოს თავისი საკუთარი, საბჭოთა, ბურჟუაზია. ამიტომ, როცა ამბობენ, შესაძლებელია თუ არა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებაო, ამით სურთ თქვან: შესწევს თუ არა სსრ კავშირის პროლეტარიატს უნარი — თავისი საკუთარი ძალებით დასძლიოს სსრ კავშირის ბურჟუაზია. ასე, და მხოლოდ ასე დგას საკითხი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების პრობლემის გადაჭრისას.

პარტია ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებს, ვინაიდან იგი იქიდან გამოდის, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატს,

პროლეტარულ დიქტატურას სსრ კავშირში შესაძლებლობა აქვს თავისი საკუთარი ძალებით დასძლიოს სსრ კავშირის ბურჟუაზია.

ეს რომ მართალი არ ყოფილიყო, პარტიას საფუძველი რომ არ ჰქონოდა იმის მტკიცებისათვის, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატს უნარი შესწევს ააშენოს სოციალისტური საზოგადოება, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის შედარებითი ტექნიკური ჩამორჩენილობისა, პარტიას საფუძველი აღარ ექნებოდა დარჩენილიყო ხელისუფლების სათავეში, მას ასე თუ ისე უნდა მიეტოვებინა ძალაუფლება და გადასულიყო ოპოზიციური პარტიის მდგომარეობაზე.

ეს იმიტომ, რომ ორში ერთი:

ან ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ სოციალიზმი და საბოლოო ანგარიშით ავაშენოთ იგი, დავძლევთ რა ჩვენს «ნაციონალურ» ბურჟუაზიას, — და მაშინ პარტია ვალდებულია დარჩეს ხელისუფლების სათავეში და უხელმძღვანელოს სოციალისტურ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, რათა სოციალიზმმა გაიმარჯვოს მთელ მსოფლიოში;

ან ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენი საკუთარი ძალებით დავძლიოთ ჩვენი ბურჟუაზია, — და მაშინ, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმას, რომ დაუყოვნებლივ ვერ მივიღებთ დახმარებას გარედან, სხვა ქვეყნებში გამარჯვებული რევოლუციისაგან, ჩვენ პატიოსნად და გულახდილად უნდა ავიღოთ ხელი ძალაუფლებაზე და დავადგეთ იმ კურსს, რომ მომავალში ახალი რევოლუცია მოვაწყოთ სსრ კავშირში.

შეუძლია თუ არა პარტიას მოატყუოს თავისი კლასი, ამ შემთხვევაში მუშათა კლასი? არა, არ შეუძლია. ასეთი პარტია ჩამოსახრჩობი იქნებოდა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენს პარტიას უფლება არა აქვს მოატყუოს მუშათა კლასი, მას პირდაპირ უნდა ეთქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის რწმენის უქონლობა იწვევს ძალაუფლებაზე ხელის აღებას და ჩვენი

პარტიის გადასვლას მმართველი პარტიის მდგომარეობიდან ოპოზიციური პარტიის მდგომარეობაზე.

ჩვენ ბრძოლით მოვიპოვეთ პროლეტარიატის დიქტატურა და ამით შევქმენით **პოლიტიკური** ბაზა სოციალიზმისაკენ წინსვლისათვის. შეგვიძლია თუ არა ჩვენი საკუთარი ძალებით შევქმნათ სოციალიზმის **ეკონომიური** ბაზა, სოციალიზმის აშენებისათვის საჭირო ახალი ეკონომიური საძირკველი? რა არის სოციალიზმის ეკონომიური არსი და ეკონომიური ბაზა? ის ხომ არა, რომ ამ ქვეყნად შევქმნათ «ზეციური სამოთხე» და საყოველთაო კმაყოფილება? არა, ეს კი არა. ეს ობივატელური, მეშჩანური წარმოდგენაა სოციალიზმის ეკონომიურ არსზე. სოციალიზმის ეკონომიური ბაზის შექმნა ნიშნავს იმას, რომ მჭიდროდ შევაკავშიროთ სოფლის მეურნეობა და სოციალისტური ინდუსტრია ერთ მთლიან მეურნეობად, დავუმორჩილოთ სოფლის მეურნეობა სოციალისტური ინდუსტრიის ხელმძღვანელობას, მოვაწესრიგოთ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის პროდუქტების გაცვლის საფუძველზე, დავკეტოთ და მოვსპოთ ყველა ის არხი, რომელთა საშუალებითაც იბადებიან კლასები და იბადება, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალი, შევქმნათ, ბოლოს და ბოლოს, წარმოებისა და განაწილების ისეთი პირობები, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ იწვევენ კლასების მოსპობას.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ამხ. ლენინი იმ პერიოდში, როცა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადავდიოდით და როცა სახალხო მეურნეობის სოციალისტური საძირკვლის აშენების საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა პარტიის წინაშე:

«გაწერის შეცვლა გადასახადით, მისი პრინციპული მნიშვნელობა: «სამხედრო» კომუნიზმიდან **სწორი** სოციალისტური საძირკვლისაკენ. არც გაწერა, არც გადასახადი, არამედ მსხვილი («სოციალიზებული»)

მრეწველობის პროდუქტების გაცვლა გლეხურ პროდუქტებზე, ასეთია სოციალიზმის ეკონომიური **არსი**, მისი ბაზა» (იხ. ტ. XXVI, გვ. 311 — 312).

აი როგორ ესმის ლენინს სოციალიზმის **ეკონომიური** ბაზის შექმნის საკითხი.

მაგრამ სოფლის მეურნეობა სოციალიზებულ ინდუსტრიასთან რომ შევაკავშიროთ, ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გვქონდეს პროდუქტების განმანაწილებელ ორგანოთა მდიდარი ქსელი, როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო კოოპერაციის ორგანოთა მდიდარი ქსელი. ლენინი სწორედ ამ დებულებიდან გამოდიოდა, როცა თავის ბროშურაში «კოოპერაციის შესახებ» ამბობდა:

«კოოპერაცია ჩვენს პირობებში ხშირად სავსებით ემთხვევა სოციალიზმს» (იხ. ტ. XXVII, გვ. 396).

ამრიგად, შეუძლია თუ არა სსრ კავშირის პროლეტარიატს თავისი საკუთარი **ძალებით** ააშენოს სოციალიზმის ეკონომიური ბაზა ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში?

პარტია ამ კითხვაზე **დადებითად** უპასუხებს (იხ. რკპ (ბ) XIV კონფერენციის რეზოლუცია [10]). ლენინი ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებს (იხ. თუნდაც მისი ბროშურა «კოოპერაციის შესახებ»). ჩვენი მშენებლობის მთელი პრაქტიკა ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა, ვინაიდან ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის წილი წლითი-წლობით იზრდება კერძო კაპიტალის წილის ხარჯზე როგორც წარმოების დარგში, ისე ბრუნვის დარგში, ამასთან კერძო კაპიტალის როლი ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების როლთან შედარებით წლითი-წლობით ეცემა.

ხოლო როგორ უპასუხებს ამ კითხვაზე ოპოზიცია?

იგი ამ კითხვაზე **უარყოფით** პასუხს იძლევა.

გამოდის, რომ სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია, რომ სოციალიზმის ეკონომიური ბაზის აშენების შესაძლებლობა უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ასეთ გამარჯვებას შეიძლება ეწოდოს სრული გამარჯვება, სოციალიზმის სრული გამარჯვება, რომელიც უზრუნველყოფს სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანას ყოველგვარი საფრთხისაგან გარედან, იმპერიალისტური ინტერვენციისა და მასთან დაკავშირებული რესტავრაციის საფრთხისაგან? არა, არ ნიშნავს. თუ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების საკითხი ჩვენი, **«ნაციონალური»**, ბურჟუაზიის დაძლევის საკითხია, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების საკითხი **მსოფლიო** ბურჟუაზიის დაძლევის საკითხია. პარტია ამბობს, რომ თავისი საკუთარი ძალებით მსოფლიო ბურჟუაზიის დაძლევა ერთი ქვეყნის პროლეტარიატს არ ძალუძს. პარტია ამბობს, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა მსოფლიო ბურჟუაზიის დაძლევა ან ნეიტრალიზაცია მაინც. პარტია ამბობს, რომ ასეთი ამოცანის შესრულება ძალუძს მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის პროლეტარიატს. ამიტომ ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ნიშნავს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას რამდენიმე ქვეყანაში მაინც.

ეს საკითხი ჩვენს პარტიაში განსაკუთრებულ უთანხმოებას არ იწვევს, და ამიტომ მის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ, ხოლო დაინტერესებულთ მივუთითებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მასალებზე, რომლებიც ამ დღეებში დაურიგდათ კომინტერნის ალმასკომის გაფართოებული პლენუმის წევრებს.

2. «შესვენების» ფაქტორები

მეორე საკითხი. მეორე საკითხი ეხება სსრ კავშირის ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის პირობების, «შესვენების» იმ პერიოდის პირობების პრობლემას, რომლის განმავლობაშიც ჩვენში დაიწყო და გაჩაღდა მუშაობა სოციალიზმის მშენებლობისათვის. ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ და უნდა ვაშენოთ სოციალიზმი სსრ კავშირში. მაგრამ სოციალიზმი რომ ვაშენოთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა ვიარსებოთ. საჭიროა, რომ ომისაგან «შესვენება» გვქონდეს, საჭიროა, რომ ინტერვენციის ცდები არ იყოს, საჭიროა, რომ მოვიპოვოთ ერთგვარი მინიმუმი საერთაშორისო პირობებისა, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ვიარსებოთ და ვაშენოთ სოციალიზმი.

იბადება კითხვა: რას ეყრდნობა საბჭოების რესპუბლიკის ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, რით განისაზღვრება ახლანდელი «მშვიდობიანი» პერიოდი ჩვენი ქვეყნის განვითარებისა კაპიტალისტური. ქვეყნების მიმართ, რას ეყრდნობა ის «შესვენება» ანუ «შესვენების» ის პერიოდი, რომელიც მოპოვებულია, რომელიც შესაძლებლობას არ აძლევს კაპიტალისტურ სამყაროს დაუყოვნებლივ მიმართოს სერიოზული ინტერვენციის ცდებს და რომელიც ქმნის აუცილებელ საგარეო პირობებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის, თუ დამტკიცებულია, რომ ინტერვენციის საფრთხე არსებობს და კიდევ იარსებებს, და რომ ეს საფრთხე შეიძლება ლიკვიდირებულ იქნას მხოლოდ იმის შედეგად, თუ პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებს მთელ რიგ ქვეყნებში?

«შესვენების» ახლანდელი პერიოდი ეყრდნობა, სულ ცოტა, ოთხ ძირითად ფაქტს.

ჯერ-ერთი, იმპერიალისტთა ბანაკში არსებულ წინააღმღეგობებს, რომლებიც არ ნელდებიან და რომლებიც აძნელებენ შეთანხმებას საბჭოების რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მეორეც, წინააღმდეგობებს იმპერიალიზმსა და კოლონიურ ქვეყნებს შორის, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას.

მესამეც, კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის ზრდას და ყველა ქვეყნის პროლეტართა მზარდ თანაგრძნობას საბჭოების რესპუბლიკისადმი. კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარებს **ჯერ** არ ძალუძთ დაეხმარონ სსრ კავშირის პროლეტარებს პირდაპირი რევოლუციით თავიანთი კაპიტალისტების წინააღმდეგ. მაგრამ იმპერიალისტური სახელმწიფოების კაპიტალისტებს **უკვე** აღარ ძალუძთ დასძრან «თავიანთი» მუშები სსრ კავშირის პროლეტარიატის წინააღმდეგ, ვინაიდან ყველა ქვეყნის პროლეტართა თანაგრძნობა საბჭოების რესპუბლიკისადმი მატულობს და არ შეიძლება დღითი-დღე არ მატულობდეს. ხოლო ახლა ისე ვერ იომებ, თუ მუშები არ გიჭერენ მხარს.

მეოთხეც, სსრ კავშირის პროლეტარიატის ძალასა და ძლიერებას, მისი სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს, მისი წითელი არმიის ორგანიზებულობის ძალას.

ამ პირობებისა და მათი მსგავსი პირობების შეხამება ქმნის «მესვენების» იმ პერიოდს, რომელიც საბჭოების რესპუბლიკის ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

3. რევოლუციის «ნაციონალური» და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობა და განუყოფლობა

მესამე საკითხი. მესამე საკითხი ეხება ამა თუ იმ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის «ნაციონალური» და ინტერნაციონალური ამოცანების პრობლემას. პარტია იქიდან გამოდის, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატის «ნაციონალური» და ინტერნაციონალური ამოცანები ერთიან-

ღებიან ერთ საერთო ამოცანად — იმ ამოცანად, რომ ყველა ქვეყნის პროლეტარები განთავისუფლებულ იქნან კაპიტალიზმისაგან, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები მთლიანად და სავსებით უერთდებიან ყველა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის ინტერესებს ყველა ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ერთ საერთო ინტერესად.

რა მოხდებოდა, ყველა ქვეყნის პროლეტარები რომ არ თანაუგრძნობდნენ და არ ეხმარებოდნენ საბჭოების რესპუბლიკას? მოხდებოდა ინტერვენცია და საბჭოების რესპუბლიკის განადგურება.

რა მოხდებოდა, კაპიტალს საბჭოების რესპუბლიკის განადგურება რომ მოეხერხებინა? დადგებოდა უაღრესად შავბნელი რეაქციის ეპოქა ყველა კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყანაში, მუშათა კლასსა და ჩაგრულ ერებს ყელში თოკს წაუჭერდნენ, ლიკვიდირებული იქნებოდა საერთაშორისო კომუნიზმის პოზიციები.

რა მოხდება, თუ ყველა ქვეყნის პროლეტართა თანაგრძნობა და დახმარება საბჭოების რესპუბლიკისადმი გაძლიერდა და გაიზარდა? ეს ძირფესვიანად გააადვილებს სოციალიზმის მშენებლობას სსრ კავშირში.

რა მოხდება, თუ სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა იმატა? ეს ძირფესვიანად გააუმჯობესებს ყველა ქვეყნის პროლეტართა რევოლუციურ პოზიციებს მათს ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ, ძირს გამოუთხრის საერთაშორისო კაპიტალის პოზიციებს მის ბრძოლაში პროლეტარიატის წინააღმდეგ და უმაღლეს საფეხურზე აიყვანს მსოფლიო პროლეტარიატის შანსებს.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატის ინტერესები და ამოცანები უერთდება და განუყრელად უკავშირდება ყველა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის ინტერესებსა და ამოცანებს და, პირიქით,

ყველა ქვეყნის რევოლუციურ პროლეტართა ამოცანები განუყრელად უკავშირდება სსრ კავშირის პროლეტართა ამოცანებსა და წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ამიტომ ამა თუ იმ ქვეყნის პროლეტართა «ნაციონალური» ამოცანების დაპირდაპირება ინტერნაციონალური ამოცანებისადმი ნიშნავს პოლიტიკაში უდიდესი შეცდომის დაშვებას.

ამიტომ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ბრძოლაში სსრ კავშირის პროლეტართა თავდადებისა და მგზნებარების მიჩნევა «ნაციონალური კარჩაკეტილობისა» და «ნაციონალური შეზღუდულობის» ნიშნად, როგორც ამას ზოგჯერ ჩვენი ოპოზიციონერები სჩადიან, — მოასწავებს ჭკუაზე შეშლას ან გამოთაყვანებას.

ამიტომ ერთი ქვეყნის პროლეტართა ინტერესებისა და ამოცანების ყველა ქვეყნის პროლეტართა ინტერესებთან და ამოცანებთან ერთიანობისა და განუყრელობის განმტკიცება წარმოადგენს ყველა ქვეყნის პროლეტართა რევოლუციური მოძრაობის გამარჯვების ყველაზე საიმედო გზას.

სწორედ ამიტომ ერთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება წარმოადგენს არა თვითმიზანს, არამედ საშუალებას და საყრდენს ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვებისათვის.

ამიტომ სსრ კავშირში სოციალიზმის შენება ნიშნავს ყველა ქვეყნის პროლეტართა საერთო საქმის კეთებას, ნიშნავს არა მარტო სსრ კავშირში, არამედ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაშიც კაპიტალზე გამარჯვების გამოჰედვას, ვინაიდან სსრ კავშირის რევოლუცია მსოფლიო რევოლუციის ნაწილია, მისი დასაწყისი და მისი გაჩაღების ბაზაა.

4. სოციალიზმის მშენებლობის საკითხის ისტორიისათვის

მეოთხე საკითხი. მეოთხე საკითხი შეეხება განსახილველი საკითხის ისტორიას. ოპოზიცია გვარწმუნებს, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხი ჩვენს პარტიაში პირველად დაყენებულ იქნა 1925 წელს. ყოველ შემთხვევაში ტროცკიმ პირდაპირ განაცხადა XV კონფერენციაზე: «რატომ მოითხოვენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თეორიულ აღიარებას? საიდან გაჩნდა ეს პერსპექტივა? რატომ 1925 წლამდე არავის აღუძრავს ეს საკითხი?».

ამრიგად, გამოდის, რომ 1925 წლამდე ეს საკითხი ჩვენს პარტიაში არ აღძრულა. გამოდის, რომ მხოლოდ სტალინმა და ბუხარინმა აღძრეს ეს საკითხი პარტიაში და აღძრეს 1925 წელს.

მართალია თუ არა ეს? არა, არ.არის მართალი.

მე ვამტკიცებ, რომ ერთ ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საკითხი პარტიაში პირველად აღძრა ლენინმა ჯერ კიდევ 1915 წელს. მე ვამტკიცებ, რომ მაშინ ლენინის წინააღმდეგ გამოდიოდა სწორედ ტროცკი. მე ვამტკიცებ, რომ იმ დროიდან, ე. ი. 1915 წლიდან, ერთ ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საკითხი არა ერთხელ განხილულა ჩვენს პრესაში და ჩვენს პარტიაში.

მივმართოთ ფაქტებს.

ა) 1915 წელი. ლენინის სტატია ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოში («სოციალ-დემოკრატში» [11]): «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ». აი რას ამბობს ლენინი ამ სტატიაში:

«მაგრამ როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, მსოფლიოს შეერთებული შტატების ლოზუნგი არა გვგონია სწორი იყოს, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ იგი ერთვის სოციალიზმს; მეორეც, იმიტომ, რომ მას შეუძლია

გამოიწვიოს არასწორი გაგება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და დანარჩენ ქვეყნებთან ასეთი ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ.

ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, **კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ** *, **დაუპირისპირდებოდა** დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების ჩაგრულ კლასებს, აჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ»... ვინაიდან «შეუძლებელია სოციალიზმში ერების თავისუფალი გაერთიანება ჩამორჩენილი სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232 — 233).

ხოლო აი ტროცკის პასუხი, რაც მოცემულია იმავე 1915 წელს «ნაშე სლოვოში» [12], რომელსაც ტროცკი ხელმძღვანელობდა:

««ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია». აქედან «სოციალ-დემოკრატს» (ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო 1915 წელს, სადაც დაიბეჭდა ლენინის ხსენებული სტატია. **ი. სტ.**) ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია ერთ ქვეყანაში და რომ ამიტომ საჭირო არ არის თვითეულ ცალკე სახელმწიფოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების წინაპირობად ევროპის შეერთებული შტატების შექმნა მივიჩნიოთ... არც ერთი ქვეყანა რომ არ უნდა «უცდიდეს» სხვა ქვეყნებს თავის ბრძოლაში — ეს ელემენტარული აზრია, რომლის გამეორება სასარგებლო და საჭიროა, რათა პარალელური ინტერნაციონალური მოქმედების იდეა არ შეცვალოს ინტერნაციონალური დაცდითი უმოქმედობის იდეამ. არ ვუცდით რა სხვებს, ჩვენ ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ნაციონალურ ნიადაგზე სრული რწმენით, რომ ჩვენი ინიციატივა ბიძგს მისცემს ბრძო-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ლას სხვა ქვეყნებში; ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ **უიმედოა იმის ფიქრი** — ამას ადასტურებს როგორც ისტორიის გამოცდილება, ისე თეორიული მოსაზრებებიც, — რომ, მაგალითად, **რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას, ან სოციალისტური გერმანია შესძლებს განმარტოებულ არსებობას კაპიტალისტურ სამყაროში.** სოციალური რევოლუციის პერსპექტივების განხილვა ნაციონალურ ფარგლებში იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ სწორედ იმ **ნაციონალური შეზღუდულობის** მსხვერპლი გავმხდარიყავით, რომელიც სოციალ-პატრიოტიზმის არსს შეადგენს» * (ტროცკი, «1917», ტ. III, ნაწილი 1, გვ. 89 — 90).

თქვენ ხედავთ, რომ «სოციალისტური წარმოების მოწყობის» საკითხს ლენინი აყენებდა უკვე 1915 წელს, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მიჯნაზე, იმპერიალისტური ომის პერიოდში, როცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის საკითხი დღის წესრიგში იდგა.

თქვენ ხედავთ, რომ მაშინ ამხ. ლენინის წინააღმდეგ გამოდიოდა სწორედ ტროცკი, რომელმაც, აშკარაა, იცოდა, რომ ლენინის სტატიაში ლაპარაკია «სოციალიზმის გამარჯვებაზე» და «ერთ ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობაზე».

თქვენ ხედავთ, რომ ბრალდება «ნაციონალური შეზღუდულობის» შესახებ ტროცკიმ პირველად წამოაყენა ჯერ კიდევ 1915 წელს, ამასთან ეს ბრალდება მიმართული იყო არა სტალინის ან ბუხარინის წინააღმდეგ, არამედ ლენინის წინააღმდეგ.

ახლა ზინოვიევი ძალიან ხშირად მიმართავს სასაცილო ბრალდებას «ნაციონალური შეზღუდულობის» შესახებ. მაგრამ მას, ეტყობა, არ ესმის, რომ ამით იმეორებს და აღადგენს ტროცკის თეზისს, რომელიც მიმართულია ლენინისა და მისი პარტიის წინააღმდეგ.

---

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ბ) 1919 წელი. ლენინის სტატია «ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში». აი რას წერს ლენინი ამ სტატიაში:

«რაც უნდა იცრუონ, რა ცილისწამებასაც უნდა მიმართონ ყველა ქვეყნის ბურჟუებმა და მათმა პირდაპირმა და ფარულმა ხელშემწყობებმა (II ინტერნაციონალის **«სოციალისტებმა»**), უეჭველი რჩება: **პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ეკონომიური პრობლემის თვალსაზრისით ჩვენში უზრუნველყოფილია კომუნიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე.** მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია სწორედ იმიტომ არის გააფთრებული და ცოფსა ყრის ბოლშევიზმის წინააღმდეგ, აწყობს სამხედრო თავდასხმებს, შეთქმულებებსა და სხვას ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომ მშვენივრად ესმის **ჩვენი გამარჯვების გარდუვალობა საზოგადოებრივი მეურნეობის გარდაქმნაში, თუ ჩვენ სამხედრო ძალით არ გაგვსრისა. ხოლო ამგვარად ჩვენს გასრესას იგი ვერ ახერხებს»** * (იხ. ტ. XXIV, გვ. 510).

თქვენ ხედავთ, რომ ლენინის ამ სტატიაში ლაპარაკია «პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიურ პრობლემაზე», «საზოგადოებრივი მეურნეობის გარდაქმნაზე» «კომუნიზმის გამარჯვების» მიმართულებით. ხოლო რა არის «პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიური პრობლემა» და «საზოგადოებრივი მეურნეობის გარდაქმნა» პროლეტარიატის დიქტატურის დროს? ეს სხვა არა არის რა, თუ არ სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანაში.

გ) 1921 წელი. ლენინის ბროშურა «სასურსათო გადასახადის შესახებ» [13]. ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ და უნდა ავაშენოთ «ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკველი» (იხ. «სასურსათო გადასახადის შესახებ»).

დ) 1922 წელი. ამხ. ლენინის გამოსვლა მოსკოვის საბჭოში, სადაც იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ «ჩვენ სოციალიზმი შემოვიტანეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში»,

* ხაზგასმა ჩემია. ი. ს.

რომ «ნეპური რუსეთი გადაიქცევა სოციალისტურ რუსეთად» (იხ. ტ. XXVII, გვ. 366). ტროცკის პასუხი მის «ბოლოსიტყვაობაში» «ზავის პროგრამისადმი» 1922 წელს იმის პირდაპირ მიუთითებლად, რომ იგი ლენინს ეკამათება. აი რას ამბობს ტროცკი ამ «ბოლოსიტყვაობაში»:

««ზავის პროგრამაში» რამდენჯერმე გამეორებული მტკიცება, რომ პროლეტარული რევოლუცია ძლევამოსილად ვერ დამთავრდება ნაციონალურ ჩარჩოებში, ზოგიერთ მკითხველს, შეიძლება, გაბათილებულად ეჩვენოს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის თითქმის ხუთი წლის გამოცდილებით. მაგრამ ასეთი დასკვნა უსაფუძვლო იქნებოდა. ის ფაქტი, რომ მუშურმა სახელმწიფომ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგობას გაუძლო ერთ ქვეყანაში, და ისიც ჩამორჩენილ ქვეყანაში, მოწმობს პროლეტარიატის კოლოსალურ ძლიერებას, რომელიც სხვა, უფრო მოწინავე, უფრო ცივილიზებულ ქვეყნებში შესძლებს ჰეშმარიტად სასწაულები მოახდინოს. მაგრამ, დავიცავით რა თავი პოლიტიკური და სამხედრო მხრით, როგორც სახელმწიფომ, ჩვენ სოციალისტური საზოგადოების შექმნამდე ვერ მივედით და ვერც კი მივუახლოვდით მას. რევოლუციურ-სახელმწიფოებრივი არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლამ ამ პერიოდში გამოიწვია საწარმოო ძალების უალრესი შემცირება; სოციალიზმი კი შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ამ ძალების ზრდისა და აყვავების საფუძველზე. სავაჭრო მოლაპარაკება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან, კონცესიები, გენუის კონფერენცია და სხვ. მეტისმეტად მკაფიოდ მოწმობენ იმას, რომ **ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ფარგლებში იზოლირებული სოციალისტური მშენებლობა შეუძლებელია... სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა რუსეთში შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში»** * (ტროცკი, «1917», ტ. III, ნაწილი 1, გვ. 92 — 93).

ვის ეკამათება აქ ტროცკი «ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ფარგლებში იზოლირებული სოციალისტური მშენებლობის შეუძლებლობის» შესახებ? რა თქმა უნდა, არა სტალინს ან ბუხარინს. ტროცკი აქ ეკამათება ამხ. ლენინს, და ეკამათება არა რომელიმე სხვა საკითხზე, არამედ ძირი-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

თად საკითხზე — «ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ფარგლებში სოციალისტური მშენებლობის» შესაძლებლობის შესახებ.

ე) 1923 წელი. ლენინის ბროშურა «კოოპერაციის შესახებ», რომელიც მის პოლიტიკურ ანდერძს წარმოადგენს. აი რას ამბობს ლენინი ამ ბროშურაში:

«მართლაც, სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციისაგან, მარტოოდენ კოოპერაციისაგან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც, განა ეს **არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების** აშენებისათვის? ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და **საკმაოა** ამ აშენებისათვის» * (იხ. ტ. XXVII, გვ. 392).

ვგონებ, ძნელია აზრის უფრო ნათლად გამოთქმა.

ტროცკის მიხედვით გამოდის, რომ «ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ფარგლებში სოციალისტური მშენებლობა» **შეუძლებელია.** ლენინი კი ამტკიცებს, რომ ჩვენ, ე. ი. სსრ კავშირის პროლეტარიატს, ახლა, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, გვაქვს «**ყველაფერი,** რაც აუცილებელი და **საკმაოა**» «**სრული** სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის». შეხედულებათა წინააღმდეგობა სრულია.

ასეთია ფაქტები.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხი აღძრულ იქნა ჩვენს პარ-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ტიაში ჯერ კიდევ 1915 წელს, აღძრულ იქნა პირადად ლენინის მიერ, რომელსაც ამ საკითხზე ეკამათებოდა სწორედ ტროცკი, ბრალს სდებდა რა ლენინს «ნაციონალურ შეზღუდულობაში».

თქვენ ხედავთ, რომ მას შემდეგ ეს საკითხი არ მოშორებია ჩვენი პარტიის დღის წესრიგს თვით ამხ. ლენინის გარდაცვალებამდე.

თქვენ ხედავთ, რომ ეს საკითხი რამდენჯერმე აღძრა ტროცკიმ ამა თუ იმ ფორმით, ამხ. ლენინის წინააღმდეგ ფარული, მაგრამ სრულიად გარკვეული პოლემიკის სახით, ამასთან თვითეულ შემთხვევაში ტროცკი ამ საკითხს განმარტავდა არა ლენინისა და ლენინიზმის მიხედვით, არამედ ლენინისა და ლენინიზმის წინააღმდეგ.

თქვენ ხედავთ, რომ ტროცკი **აშკარა სიცრუეს** ამბობს, როცა გვარწმუნებს, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხი 1925 წლამდე არავის აღუძრავსო.

5. სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საკითხის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამჟამად

მეხუთე საკითხი. მეხუთე საკითხი ეხება ამჟამად სოციალიზმის მშენებლობის ამოცანის აქტუალობის პრობლემას. რატომ მიიღო სოციალიზმის მშენებლობის საკითხმა განსაკუთრებით აქტუალური ხასიათი სწორედ ახლა, სწორედ ამ ბოლო დროს? რატომ არის, რომ, მაგალითად, 1915, 1918, 1919, 1921, 1922, 1923 წლებში სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საკითხის განხილვა ხდებოდა შემთხვევიდან შემთხვევამდე, ცალკეულ სტატიებში, 1924, 1925, 1926 წლებში კი ამ საკითხმა განსაკუთრებით დიდი ადგილი დაიკავა ჩვენს პარტიულ პრაქტიკაში? რით აიხსნება ეს?

ჩემი აზრით, ეს აიხსნება სამი მთავარი მიზეზით.

ჯერ-ერთი, იმით, რომ უკანასკნელ წლებში სხვა ქვეყნებში რევოლუციის ტემპი შენელდა, დადგა ეგრეთწოდებული «ნაწილობრივი სტაბილიზაცია კაპიტალიზმისა». აქედან იბადება კითხვა — კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია ხომ არ იწვევს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობათა შესუსტებას ან მოსპობასაც კი? აქედან წარმოსდგება გაზრდილი ინტერესი სოციალიზმისა და სოციალისტური მშენებლობის ბედის საკითხისადმი ჩვენს ქვეყანაში.

მეორეც, იმით, რომ ჩვენ შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, დავუშვით კერძო კაპიტალი და მოვახდინეთ ერთგვარი უკანდახევა იმისათვის, რომ გადაგვეჯგუფებინა ძალები და შემდეგ შეტევაზე გადავსულიყავით. აქედან იბადება კითხვა — ხომ არ შეიძლება, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამ ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობათა შესუსტებას? აქედან წარმოსდგება ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის საკითხისადმი მზარდი ინტერესის ახალი წყარო.

მესამეც, იმ გარემოებით, რომ ჩვენ მოვიგეთ სამოქალაქო ომი, განვდევნეთ ინტერვენციონისტები და მოვიპოვეთ ომისაგან «შესვენება», უზრუნველვყავით მშვიდობა და მშვიდობიანი პერიოდი, რომელიც ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ სამეურნეო ნგრევა, აღვადგინოთ ქვეყნის საწარმოო ძალები და შევუდგეთ ჩვენს ქვეყანაში ახალი ეკონომიკის შენებას. აქედან იბადება კითხვა — რა მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ მეურნეობის მშენებლობა, სოციალიზმის მიმართულებით თუ რაიმე სხვა მიმართულებით? აქედან იბადება კითხვა — თუ მშენებლობა უნდა ვაწარმოოთ სოციალიზმის მიმართულებით, გვაქვს თუ არა საფუძველი იმედი ვიქონიოთ, რომ

შესაძლებლობა გვაქვს ვაშენოთ სოციალიზმი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში და კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის დროს? აქედან წარმოსდგება მთელი პარტიისა და მთელი მუშათა კლასის უდიდესი ინტერესი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ბედის საკითხისადმი. აქედან წარმოსდგება ყოველნაირ მონაცემთა ყოველწლიური გამოანგარიშებანი, რასაც ეწევიან პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები იმ თვალსაზრისით, გაძლიერდა თუ არა მეურნეობის სოციალისტური ფორმების ხვედრითი წონა მრეწველობის დარგში, ვაჭრობის დარგში, მიწათმოქმედების დარგში.

აი სამი მთავარი მიზეზი, რომლებიც მოწმობენ, რომ სოციალიზმის მშენებლობის საკითხი ყველაზე აქტუალური საკითხი გახდა ჩვენი პარტიისა და ჩვენი პროლეტარიატისათვის, ისევე როგორც კომინტერნისათვის.

ოპოზიცია ფიქრობს, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საკითხს მხოლოდ თეორიული ინტერესი აქვს. ეს მართალი არ არის. ეს უდიდესი შეცდომაა. საკითხის ასეთი გაგება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ოპოზიცია სავსებით მოწყვეტილია ჩვენს პარტიულ პრაქტიკას, ჩვენს სამეურნეო მშენებლობას, ჩვენს კოოპერაციულ მშენებლობას. სოციალიზმის მშენებლობის საკითხს ახლა, როცა ჩვენ მოვახდინეთ სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაცია, აღვადგინეთ მრეწველობა და შევედით ახალ ტექნიკურ საფუძველზე მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ხანაში, — სოციალიზმის მშენებლობის საკითხს ახლა უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საითკენ წარვმართოთ საქმე სამეურნეო მშენებლობის დროს, რა მიმართულებით ვაშენოთ, რა ვაშენოთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი მშენებლობის პერსპექტივები, — ყოველივე ეს ისეთი საკითხებია, რომელთა გადაუჭრელადაც პატიოსანი და დაკვირვებული სამეურნეო მუშაკები ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ წინ, თუ სურთ

მართლაც შეგნებულად და მოფიქრებულად მოეკიდონ საქმეს. იმისათვის ვაშენებთ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის გავანაყიეროთ ნიადაგი, თუ იმისათვის, რომ სოციალისტური საზოგადოება ავაშენოთ, — ეს არის ახლა მთავარი ჩვენს აღმშენებლობით მუშაობაში. გვაქვს თუ არა ჩვენ შესაძლებლობა ვაშენოთ სოციალისტური მეურნეობა ახლა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის დროს, — ეს არის ახლა ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი.

ლენინმა ამ კითხვაზე **დადებითად** უპასუხა (იხ. თუნდაც ბროშურა «კოოპერაციის შესახებ»). პარტიამ ამ კითხვაზე **დადებითად** უპასუხა (იხ. რკპ(ბ) XIV კონფერენციის რეზოლუცია). ხოლო ოპოზიცია? მე უკვე ვთქვი, რომ ოპოზიცია ამ კითხვაზე **უარყოფითად** უპასუხებს. მე უკვე ვთქვი ჩემს მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე, ახლა კი იძულებული ვარ აქ გავიმეორო, რომ ტროცკიმ, ოპოზიციური ბლოკის ლიდერმა, ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ, 1926 წლის სექტემბერში, განაცხადა თავის ცნობილ მიმართვაში ოპოზიციონერებისადმი, რომ **«ერთ ქვეყანაში სოციალიზმის** თეორია» მას «ნაციონალური შეზღუდულობის თეორიულ გამართლებად» მიაჩნია (იხ. სტალინის მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე [14]).

შეადარეთ ტროცკის ეს ციტატა (1926 წ.) მის 1915 წლის სტატიას, სადაც იგი ეკამათებოდა ლენინს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხზე და პირველად დააყენა საკითხი ამხ. ლენინისა და ლენინელების «ნაციონალური შეზღუდულობის» შესახებ, — და თქვენთვის გასაგები გახდება, რომ ტროცკი სოციალ-დემოკრატიული უარყოფის თავის ძველ პოზიციაზე დარჩენილა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხში.

სწორედ ამიტომ პარტია ამტკიცებს, რომ ტროცკიზმი სოციალ-დემოკრატიული გადახრაა ჩვენს პარტიაში.

6. რევოლუციის პერსპექტივების შესახებ

მეექვსე საკითხი. მეექვსე საკითხი პროლეტარული რევოლუციის პერსპექტივების პრობლემას შეეხება. ტროცკი თავის სიტყვაში პარტიის XV კონფერენციაზე ამბობდა: «ლენინს მიაჩნდა, რომ 20 წელიწადში ჩვენ ვერასგზით ვერ ავაშენებთ სოციალიზმს, ჩვენი გლეხური ქვეყნის ჩამორჩენილობის პირობებში 30 წელიწადშიც ვერ ავაშენებთ. დავუშვათ 30 — 50 წელიწადი, როგორც მინიმუმიო».

მე აქ უნდა განვაცხადო, ამხანაგებო, რომ ტროცკის მიერ გამოგონილ ამ პერსპექტივას საერთო არა აქვს რა ამხ. ლენინის პერსპექტივასთან სსრ კავშირში რევოლუციის შესახებ. რამდენიმე წუთის შემდეგ ტროცკი თვითონ იწყებს თავის სიტყვაში ამ პერსპექტივასთან ბრძოლას. მაგრამ ეს უკვე მისი საქმეა. მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ ვერც ლენინი და ვერც პარტია პასუხს ვერ აგებენ ტროცკის მიერ გამოგონილი ამ პერსპექტივისა და იქიდან გამომდინარე დასკვნებისათვის. ის ფაქტი, რომ ტროცკი, რომელმაც ეს პერსპექტივა შეთხზა, თავის სიტყვაში შემდეგ თვითონ იწყებს ბრძოლას თავისსავე ნათხზავთან, — ეს ფაქტი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ტროცკი საბოლოოდ დაიბნა და სასაცილო მდგომარეობაში ჩაიყენა თავი.

ლენინს სრულებითაც არ უთქვამს, რომ «ჩვენ ვერასგზით ვერ ავაშენებთ სოციალიზმს» 30 თუ 50 წელიწადში. ნამდვილად ლენინი აი რას ამბობდა:

«10 — 20 წელი სწორი ურთიერთობისა გლეხობასთან — და უზრუნველყოფილია გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით (თუნდაც რომ **მოაგვიანდეთ** პროლეტარულ რევოლუციებს, რომლებიც მწიფდება), წინააღმდეგ შემთხვევაში მოგველის თეთრგვარდიული ტერორით 20 — 40 წელიწადს ტანჯვა» (იხ. ტ. XXVI, გვ. 313).

შეიძლება თუ არა ლენინის ამ დებულებიდან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ჩვენ «ვერასგზით ვერ ავაშენებთ სოციალიზმს 20 — 30 ან 50 წელიწადში»? არა, არ შეიძლება. ამ დებულებიდან შეიძლება გამოვიყვანოთ მხოლოდ შემდეგი დასკვნები:

ა) გლეხობასთან სწორი ურთიერთობით ჩვენთვის უზრუნველყოფილია გამარჯვება (ე. ი. სოციალიზმის გამარჯვება) 10 — 20 წელიწადში;

ბ) ეს გამარჯვება იქნება გამარჯვება არა მარტო სსრ კავშირში, არამედ გამარჯვება «მსოფლიო მასშტაბით»;

გ) თუ ჩვენ ვერ მოვიპოვეთ გამარჯვება ამ ვადაში, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ გაგვანადგურეს, და პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმი შეიცვალა თეთრგვარდიული ტერორის რეჟიმით, რომელმაც შეიძლება 20 — 40 წელიწადს გასტანოს.

რა თქმა უნდა, შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო ლენინის ამ დებულებას და იქიდან გამომდინარე დასკვნებს. მაგრამ არ შეიძლება დაამახინჯო იგი, როგორც ამას ტროცკი სჩადის.

ხოლო რას ნიშნავს გამარჯვება «მსოფლიო მასშტაბით»? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ასეთ გამარჯვებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სოციალიზმის გამარჯვებას ერთ ქვეყანაში? არა, არ ნიშნავს. ლენინი თავის თხზულებებში ზუსტად განასხვავებს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას გამარჯვებისაგან «მსოფლიო მასშტაბით». «მსოფლიო მასშტაბით» გამარჯვებაზე რომ ლაპარაკობს, ლენინს სურს თქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებებს, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებას ისეთი უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, რომ იგი (გამარჯვება) არ შეიძლება შემოიფარგლოს ჩვენი ქვეყნით, არამედ მან

ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში უნდა გამოიწვიოს მძლავრი მოძრაობა სოციალიზმისაკენ, ამასთან, თუ ეს გამარჯვება დროის მიხედვით ვერ დაემთხვა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას სხვა ქვეყნებში, მან ყოველ შემთხვევაში დასაწყისი უნდა მისცეს სხვა ქვეყნების პროლეტართა მძლავრ მოძრაობას მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებისაკენ.

აი როგორია რევოლუციის პერსპექტივა ლენინის მიხედვით, თუ მხედველობაში ვიქონიებთ რევოლუციის გამარჯვების პერსპექტივას, რაზედაც არის სწორედ ლაპარაკი ჩვენს პარტიაში.

ამ პერსპექტივისა და 30 — 50 წლის შესახებ ტროცკის პერსპექტივის ერთმანეთში არევა ნიშნავს ლენინისათვის ცილის დაწამებას.

7. როგორ დგას საკითხი ნამდვილად

მეშვიდე საკითხი. ვთქვათ ასეა, გვეუბნება ოპოზიცია, მაგრამ ვისთან უმჯობესია, ბოლოს და ბოლოს, გვქონდეს კავშირი — მსოფლიო პროლეტარიატთან თუ ჩვენი ქვეყნის გლეხობასთან, ვის მივცეთ უპირატესობა — მსოფლიო პროლეტარიატს თუ სსრ კავშირის გლეხობას? ამასთან საქმე ისე გამოჰყავთ, თითქოს დგას სსრ კავშირის პროლეტარიატი და მის წინაშე ორი მოკავშირეა — მსოფლიო პროლეტარიატი, რომელიც მზად არის დაუყოვნებლივ დაამხოს თავისი ბურჟუაზია, მაგრამ საამისოდ ელოდება ჩვენს უპირატესობით თანხმობას, და ჩვენი გლეხობა, რომელიც მზად არის დაეხმაროს სსრ კავშირის პროლეტარიატს, მაგრამ სავსებით დარწმუნებული არ არის, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატი დათანხმდება ამ დახმარების მიღებაზე. ეს, ამხანაგებო, საკითხის ბავშვური დაყენებაა. საკითხის ასეთ დაყენებას საერთო არაფერი აქვს არც ჩვენს

ქვეყანაში რევოლუციის მიმდინარეობასთან, არც მსოფლიო კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ბრძოლის ფრონტზე ძალთა თანაფარდობასთან. ბოდიშს ვიხდი ასეთი გამოთქმისათვის, მაგრამ საკითხის ასე დაყენება მხოლოდ ინსტიტუტელ ქალიშვილებს შეუძლიათ. სამწუხაროდ, საქმის ვითარება ისეთი როდია, როგორც ზოგიერთი ოპოზიციონერი გვიხატავს, ამასთან საფუძველი არა გვაქვს ეჭვი ვიქონიოთ იმაში, რომ ჩვენ სიამოვნებით მივიღებდით დახმარებას როგორც ერთი, ისე მეორე მხარისაგან, მარტო ჩვენზე რომ იყოს ეს დამოკიდებული. არა, ასე როდი დგას საკითხი სინამდვილეში.

საკითხი აი ასე დგას: **ვინაიდან** მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ტემპი შენელდა, დასავლეთში სოციალიზმის გამარჯვება ჯერ არა ჩანს, სსრ კავშირის პროლეტარიატი კი ხელისუფლების სათავეში დგას, წლითი-წლობით განამტკიცებს მას, თავის გარშემო რაზმავს გლეხობის ძირითად მასებს, აქვს უკვე სერიოზული წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე და წარმატებით განამტკიცებს ყველა ქვეყნის პროლეტარებთან და ჩაგრულ ხალხებთან მეგობრობის კავშირს, — გვაქვს თუ არა საფუძველი უარვყოფდეთ იმას, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატს შეუძლია დასძლიოს თავისი ბურჟუაზია და განაგრძოს სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად კაპიტალისტური გარემოცვისა?

აი როგორ დგას საკითხი ახლა, თუ, რასაკვირველია, დავეყრდნობით არა ფანტაზიებს, როგორც ამას ოპოზიციური ბლოკი სჩადის, არამედ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ბრძოლის ფრონტზე ძალთა ნამდვილ თანაფარდობას.

პარტია ამ კითხვაზე უპასუხებს, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატს შეუძლია ასეთ პირობებში დასძლიოს თა-

ვისი, «ნაციონალური», ბურჟუაზია და წარმატებით აშენოს სოციალისტური მეურნეობა.

ოპოზიცია კი ამბობს, რომ:

«ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი **სახელმწიფოებრივი** * დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას და ვერ გადააქცევს თავის დროებით ბატონობას ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად» (იხ. ტროცკი, «ჩვენი რევოლუცია», გვ. 278).

ხოლო როგორია ტროცკის ამ ციტატის აზრი და რას ნიშნავს «ევროპის პროლეტარიატის **სახელმწიფოებრივი** დახმარება»? ეს ნიშნავს იმას, რომ თუ დასავლეთის პროლეტარიატმა **წინასწარ** არ გაიმარჯვა, თუ დასავლეთის პროლეტარიატმა **წინასწარ** არ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება, სსრ კავშირის პროლეტარიატს არა თუ არ შეუძლია დასძლიოს თავისი ბურჟუაზია და აშენოს სოციალიზმი, არამედ ძალაუფლებასაც ვერ შეინარჩუნებს.

აი როგორ დგას საკითხი და აი სად არის ჩვენი უთანხმოების ფესვი.

რით განსხვავდება ტროცკის ეს პოზიცია მენშევიკ ოტო ბაუერის პოზიციისაგან?

სამწუხაროდ, არაფრით.

8. გამარჯვების შანსების შესახებ

მერვე საკითხი. ვთქვათ ასეა, ამბობს ოპოზიცია, მაგრამ ვის მეტი აქვს გამარჯვების შანსი — სსრ კავშირის პროლეტარიატს თუ მსოფლიო პროლეტარიატს?

«შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ, — ამბობს ტროცკი თავის სიტყვაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე, — რომ 30 — 50 წლის განმავლობაში ევროპის კაპიტალიზმი ლპობას განიცდის, პროლეტარიატს კი რევოლუციის მოხდენის უნარი არ აღმოაჩნდება? მე

* ხაზგასმა ჩემია. ი. **სტ.**

გეკითხებით: რატომ უნდა ავიღო მე ეს წანამძღვარი, რომელსაც არ შეიძლება სხვა რამე ეწოდოს, თუ არ წანამძღვარი უსაფუძვლო უნუგეშო პესიმიზმისა ევროპის პროლეტარიატის მიმართ?.. მე ვამტკიცებ, რომ არავითარი თეორიული თუ პოლიტიკური საფუძველი არა მაქვს ვიფიქრო, რომ ჩვენთვის გლეხობასთან ერთად უფრო ადვილი იქნება სოციალიზმის აშენება, ვიდრე ევროპის პროლეტარიატისთვის — ძალაუფლების აღება» (იხ. ტროცკის სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე).

ჯერ-ერთი, უყოყმანოდ უნდა უკუვაგდოთ ევროპაში «30 — 50 წლის განმავლობაში» უძრაობის პერსპექტივა. ტროცკისათვის არავის არ დაუვალებია დაყრდნობოდა დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის ამ პერსპექტივას, რომელსაც ჩვენი პარტიის პერსპექტივასთან საერთო არა აქვს რა. ტროცკიმ თვითონ შეიბოჭა თავი ამ გამოგონილი პერსპექტივით და თვითონვე უნდა აგოს პასუხი ასეთი ოპერაციის შედეგებისათვის. მე ვფიქრობ, რომ ეს ვადები ერთიორად მაინც უნდა შემოკლდეს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის ნამდვილ პერსპექტივას.

მეორეც, ტროცკი უყოყმანოდ წყვეტს, რომ დასავლეთის პროლეტარებს გაცილებით მეტი შანსი აქვთ დასძლიონ მსოფლიო ბურჟუაზია, რომელსაც ამჟამად ძალაუფლება უპყრია, ვიდრე სსრ კავშირის პროლეტარიატს — დასძლიოს თავისი, «ნაციონალური», ბურჟუაზია, რომელიც პოლიტიკურად უკვე განადგურებულია, სახალხო მეურნეობის მბრძანებელი პუნქტებიდან განდევნილია, ეკონომიურად იძულებულია უკან იხევდეს პროლეტარიატის დიქტატურისა და ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ფორმების შეტევის გამო.

მე მიმაჩნია, რომ საკითხის ასეთი დაყენება სწორი არ არის. მე მიმაჩნია, რომ საკითხის ასე დაყენებით ტროცკი სავსებით ამხელს თავის თავს. განა სწორედ ამასვე არ გვე-

უბნებოდნენ მენშევიკები 1917 წლის ოქტომბერში, როცა ისინი ყველა გზაჯვარედინზე გაიძახოდნენ, რომ დასავლეთის პროლეტარებს გაცილებით მეტი შანსი აქვთ ბურჟუაზიის დამხობისა და ძალაუფლების აღებისა, ვიდრე რუსეთის პროლეტარებს, სადაც ტექნიკა ნაკლებად განვითარებულია და სადაც პროლეტარიატი მცირერიცხოვანიაო? და განა ფაქტი არ არის, რომ, მიუხედავად მენშევიკების გოდებისა, რუსეთის პროლეტარებს 1917 წლის ოქტომბერში გაცილებით მეტი შანსი აღმოაჩნდათ ძალაუფლების აღებისა და ბურჟუაზიის დამხობისა, ვიდრე ინგლისის, საფრანგეთის ან გერმანიის პროლეტარებს? განა მთელ მსოფლიოში რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკამ არ დაგვანახა და არ დაამტკიცა, რომ არ შეიძლება საკითხის ისე დაყენება, როგორც მას ტროცკი აყენებს?

ის საკითხი, თუ ვის მეტი აქვს მალე გამარჯვების შანსი, წყდება არა იმ გზით, რომ დავუპირისპიროთ ერთი ქვეყნის პროლეტარიატი სხვა ქვეყნების პროლეტარიატს ან ჩვენი ქვეყნის გლეხობა — სხვა ქვეყნების პროლეტარიატს. ასეთი დაპირისპირება ბალღური შედარობანას თამაშია. ის საკითხი, თუ ვის მეტი აქვს მალე გამარჯვების შანსი, წყდება რეალური საერთაშორისო ვითარებით, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ბრძოლის ფრონტზე ძალთა რეალური თანაფარდობით. შეიძლება მოხდეს, რომ დასავლეთის პროლეტარებმა დაამარცხონ თავიანთი ბურჟუაზია და ხელთ იგდონ ძალაუფლება უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის აშენებას მოვასწრებდეთ. ეს სრულებითაც არ არის გამორიცხული. მაგრამ შეიძლება ისიც მოხდეს, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატი მოახერხებს ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის აშენებას უფრო ადრე, ვიდრე პროლეტარები დასავლეთში თავიანთ ბურჟუაზიას დაამხობენ. არც ეს არის გამორიცხული.

მალე გამარჯვების შანსების საკითხის გადაწყვეტა აქ დამოკიდებულია კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ბრძოლის ფრონტზე შექმნილ რეალურ ვითარებაზე და მხოლოდ მასზე.

9. პრაქტიკულ-პოლიტიკური უთანხმოებანი

ასეთია ჩვენი უთანხმოების საფუძვლები.

ამ საფუძვლებიდან გამომდინარეობენ პრაქტიკულ-პოლიტიკური ხასიათის უთანხმოებანი როგორც საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში, ისე წმინდა პარტიულ დარგში. ეს უთანხმოებანი შეადგენენ **მეცხრე საკითხის** საგანს.

ა) პარტია, გამოდის რა კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის ფაქტიდან, ფიქრობს, რომ ჩვენ ვიმყოფებით რევოლუციათაშორის პერიოდში, რომ ჩვენ კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციისაკენ მივდივართ, და კომპარტიების ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გზა გაიკაფონ მასებისაკენ, განამტკიცონ კავშირი მასებთან, დაეუფლონ პროლეტარიატის მასობრივ ორგანიზაციებს და მოამზადონ მუშათა ფართო მასები მომავალი რევოლუციური შეჯახებებისათვის.

მაგრამ ოპოზიცია, რომელსაც არა სწამს ჩვენი რევოლუციის შინაგანი ძალები და ეშინია კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციისა, როგორც ისეთი ფაქტისა, რომელსაც შეუძლია დაღუპოს ჩვენი რევოლუცია, შესაძლებლად მიაჩნია (ან მიაჩნდა) კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის ფაქტის უარყოფა, ინგლისის გაფიცვა[15] მიაჩნია (ან მიაჩნდა) კაპიტალიზმის სტაბილიზაციის დამთავრების ნიშნად, ხოლო როცა მაინც აღმოჩნდა, რომ სტაბილიზაცია ფაქტია, ოპოზიცია ამტკიცებს, რომ მით უარესია ფაქტებისათვის და რომ, მაშასადამე, შეიძლება გადავახტეთ ფაქტებს, ამასთან თავი მოგვქონდეს მყვირალა ლოზუნგებით ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გადასინჯვის,

დასავლეთში პროფესიულ მოძრაობასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ და ა. შ.

მაგრამ რას ნიშნავს ის, რომ ანგარიში არ გაუწიო ფაქტებს, მოვლენათა ობიექტურ მსვლელობას? ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერების ნიადაგს მოშორდე და მარჩიელობის ნიადაგზე დადგე.

აქედან წარმოსდგება ავანტიურიზმი ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკაში.

ბ) პარტია, გამოდის რა იქიდან, რომ ინდუსტრიალიზაცია სოციალისტური მშენებლობის ძირითადი გზაა, ხოლო სოციალისტური ინდუსტრიისათვის ძირითად ბაზარს ჩვენი ქვეყნის საშინაო ბაზარი წარმოადგენს, ფიქრობს, რომ ინდუსტრიალიზაცია უნდა ვითარდებოდეს გლეხობის ძირითადი მასის (მუშებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ) მატერიალური მდგომარეობის განუხრელი გაუმჯობესების ბაზაზე, რომ კავშირი ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის და პროლეტარიატის ხელმძღვანელობა ამ კავშირში, როგორც ამბობს ლენინი, «ალფა და ომეგაა საბჭოთა ხელისუფლებისა» [16] და ჩვენი მშენებლობის გამარჯვებისა, რომ ამასთან დაკავშირებით საერთოდ ჩვენი პოლიტიკა, კერძოდ საგადასახადო პოლიტიკა და ფასების პოლიტიკა, ისე უნდა იქნას აგებული, რომ ხელს უწყობდეს ამ კავშირის ინტერესებს.

მაგრამ ოპოზიცია, რომელსაც არა სწამს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში გლეხობის ჩაბმის შესაძლებლობა და ალბათ ფიქრობს, რომ ინდუსტრიალიზაციის გატარება შეიძლება გლეხობის ძირითადი მასის საზიანოდ, გადადის ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური მეთოდების გზაზე, იმ გზაზე, რომ გლეხობა განიხილოს როგორც «კოლონია», როგორც პროლეტარული სახელმწიფოს მხრივ «ექსპლოატაციის» ობიექტი, და აყენებს ინდუსტრიალიზაციის ისეთ ღონისძიებებს (გლეხობის გადასახადებით დაბეგვრის გაძლი-

ერება, სამრეწველო საქონლის გასაცემი ფასების გადიდება და ა. შ.), რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ დაარღვიონ ინდუსტრიის კავშირი გლეხურ მეურნეობასთან, ძირი გამოუთხარონ ღარიბი და საშუალო გლეხის ეკონომიურ მდგომარეობას და დაარღვიონ თვით საფუძვლები ინდუსტრიალიზაციისა.

აქედან წარმოსდგება ოპოზიციის უარყოფითი დამოკიდებულება პროლეტარიატსა და გლეხობას შორის ბლოკის და ამ ბლოკში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეისადმი, — დამოკიდებულება, რომელიც სოციალ-დემოკრატიის დამახასიათებელია.

გ) ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ პარტია, კომუნისტური პარტია, პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ინსტრუმენტია, რომ ხელმძღვანელობა **ერთი** პარტიისა, რომელიც არ უზიარებს და ვერც გაუზიარებს ამ ხელმძღვანელობას სხვა პარტიებს, წარმოადგენს იმ ძირითად პირობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია პროლეტარიატის რამდენადმე მტკიცე და განვითარებული დიქტატურა. ამის გამო ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნია ფრაქციების არსებობა ჩვენი პარტიის შიგნით, ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ პარტიის შიგნით ორგანიზებული ფრაქციების არსებობა იწვევს ერთიანი პარტიის დაშლას პარალელურ ორგანიზაციებად, ჩვენს ქვეყანაში ახალი პარტიის ან ახალი პარტიების ჩანასახთა და უჯრედთა შექმნას და, მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურის რღვევას.

მაგრამ ოპოზიცია, რომელიც აშკარად არ ილაშქრებს ამ დებულებათა წინააღმდეგ, მიუხედავად ამისა თავის პრაქტიკულ მუშაობაში გამოდის პარტიის ერთიანობის შესუსტების აუცილებლობიდან, პარტიის შიგნით ფრაქციების თავისუფლების აუცილებლობიდან და, მაშასადამე, — ახალი პარტიისათვის ელემენტების შექმნის აუცილებლობიდან.

აქედან წარმოსდგება გამთიშველი პოლიტიკა ოპოზიციური ბლოკის პრაქტიკულ მუშაობაში.

აქედან წარმოსდგება პარტიაში «რეჟიმის» შესახებ ოპოზიციის მიერ ატეხილი ღრიანცელი, რაც არსებითად წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ არაპროლეტარული ელემენტების პროტესტების გამოხატულებას.

აქედან წარმოსდგება საკითხი ორი პარტიის შესახებ.

ასეთია, ამხანაგებო, საერთო ჯამი ჩვენი უთანხმოებისა ოპოზიციასთან.

IV

ოპოზიცია მუშაობს

გადავიდეთ ახლა იმ საკითხზე, თუ როგორ იჩინა თავი ამ უთანხმოებამ პრაქტიკულ მუშაობაში.

ამრიგად, რა სახე ჰქონდა ნამდვილად ჩვენს ოპოზიციას მის პრაქტიკულ მუშაობაში, მის ბრძოლაში პარტიასთან?

ცნობილია, რომ ოპოზიცია მოქმედებდა არა მარტო ჩვენს პარტიაში, არამედ კომინტერნის სხვა სექციებშიც, მაგალითად, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვ. ამიტომ საკითხი ასე უნდა დავაყენოთ: რა სახე ჰქონდა ნამდვილად ოპოზიციის და მის მიმდევართა პრაქტიკულ მუშაობას როგორც საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ), ისე კომინტერნის სხვა სექციებში?

ა) **ოპოზიციისა და მის მიმდევართა პრაქტიკული მუშაობა საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ).** ოპოზიციამ თავისი «მუშაობა» იმით დაიწყო, რომ პარტიის წინააღმდეგ წამოაყენა უმძიმესი ბრალდებანი. ოპოზიცია აცხადებდა, პარტია «ოპორტუნიზმის რელსებზე ეშვებაო». ოპოზიცია ამტკიცებდა, პარტიის პოლიტიკა «რევოლუციის კლასობრივ ხაზს ეწინააღმდეგებაო». ოპოზიცია ამტკიცებდა, პარტია გადაგვარებას განიცდის და თერმიდორისაკენ მიდისო.

ოპოზიცია აცხადებდა, ჩვენი სახელმწიფო «სრულებითაც არ არის პროლეტარული სახელმწიფოო». ყოველივე ამას აცხადებდნენ ან ოპოზიციის წარმომადგენელთა აშკარა დეკლარაციებსა და სიტყვებში (ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1926 წლის ივლისის პლენუმი), ან ოპოზიციის არალეგალურ დოკუმენტებში, რომლებსაც მისი მომხრეები ავრცელებდნენ.

მაგრამ პარტიის წინააღმდეგ ამ მძიმე ბრალდებებს რომ აყენებდა, ოპოზიცია ამით ნიადაგს ქმნიდა პარტიის შიგნით ახალი პარალელური უჯრედების მოწყობისათვის, პარტიის ახალი პარალელური ცენტრის მოწყობისათვის, ახალი პარტიის შექმნისათვის. ოპოზიციის ერთ-ერთმა მომხრემ, ბ-მა ოსოვსკიმ, პირდაპირ განაცხადა თავის სტატიებში, რომ არსებული პარტია, ჩვენი პარტია, კაპიტალისტების ინტერესებს იცავს, რომ ამის გამო საჭიროა შეიქმნას ახალი პარტია, «წმინდა პროლეტარული პარტია», რომელიც იარსებებდა და იმოქმედებდა არსებული პარტიის გვერდით.

ოპოზიციას შეუძლია თქვას, რომ პასუხისმგებელი არ არის ოსოვსკის პოზიციისათვის. მაგრამ ეს არ არის მართალი. იგი მთლიანად და სავსებით პასუხისმგებელია ბ-ნ ოსოვსკის «საქმეთათვის». ცნობილია, რომ ოსოვსკი აშკარად აცხადებდა თავს ოპოზიციის მომხრედ, რის წინააღმდეგ ოპოზიციას ერთხელაც არ უცდია გაელაშქრა. შემდეგ, ცნობილია, რომ ტროცკი იცავდა ოსოვსკის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ამხ. მოლოტოვის წინააღმდეგ. დასასრულ, ცნობილია, რომ, მიუხედავად პარტიის ერთსულოვანი აზრისა ოსოვსკის წინააღმდეგ, ოპოზიციამ ცეხტრალურ კომიტეტში ხმა მისცა პარტიიდან ოსოვსკის გარიცხვის წინააღმდეგ. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ოპოზიცია მორალურ პასუხისმგებლობას კისრულობდა ოსოვსკის «საქმეთათვის».

დასკვნა: საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) ოპოზიციის პრაქტიკულმა მუშაობამ თავი იჩინა ოსოვსკის პოზიციით, მისი პოზიციით ჩვენს ქვეყანაში, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) პარალელურად და საწინააღმდეგოდ, ახალი პარტიის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

სხვანაირად არც შეიძლებოდა. ვინაიდან ორში ერთი:

ან ოპოზიციას, პარტიის წინააღმდეგ ამ მძიმე ბრალდებებს რომ აყენებდა, თვითონ არ სჯეროდა ამ ბრალდებათა სერიოზულობა და მხოლოდ დემონსტრაციისათვის აყენებდა მათ, — და მაშინ მას შეცდომაში შეჰყავდა მუშათა კლასი, რაც დანაშაულია;

ან ოპოზიციას სჯეროდა და კვლავაც სჯერა თავის ბრალდებათა სერიოზულობა, — და მაშინ მას კურსი უნდა აეღო და მართლაც აღებული ჰქონდა კურსი პარტიის ხელმძღვანელი კადრების განადგურებისაკენ, ახალი პარტიის შექმნისაკენ.

აი როგორი იყო ჩვენი ოპოზიციის სახე მის პრაქტიკულ მუშაობაში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წინააღმდეგ 1926 წლის ოქტომბრისათვის.

ბ) **ოპოზიციის მიმდევართა პრაქტიკული მუშაობა გერმანიის კომპარტიაში.** გამოდიოდნენ რა ჩვენი ოპოზიციის მიერ პარტიის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებებიდან, «ულტრამემარცხენეებმა» გერმანიაში ბ-ნ კორშის მეთაურობით თავიანთი «შემდგომი» დასკვნები გააკეთეს და საქმე ბოლომდე მიიყვანეს. ცნობილია, რომ კორში, გერმანიაში «ულტრამემარცხენეთა» ეს იდეოლოგი, ამტკიცებს, რომ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა «წმინდა კაპიტალისტური მრეწველობაა». ცნობილია, რომ კორში ჩვენს პარტიას «კულაკიზებულს» უწოდებს, ხოლო კომინტერნს — «ოპორტუნისტულ» ორგანიზაციას. შემდეგ, ცნობილია, რომ ამის გამო კორში ქადაგებს სსრ კავშირში

არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ «ახალი რევოლუციის» აუცილებლობას.

ოპოზიციას შეუძლია თქვას, რომ ეს პასუხს არ აგებს კორშის პოზიციისათვის. მაგრამ ეს არ არის მართალი. ოპოზიცია მთლიანად და სავსებით პასუხისმგებელია ბ-ნ კორშის «საქმეთათვის». ის, რასაც კორში ამბობს, ბუნებრივი დასკვნაა იმ წანამძღვრებიდან, რომლებსაც უქადაგებენ თავიანთ მომხრეებს ჩვენი ოპოზიციის ლიდერები პარტიის წინააღმდეგ ცნობილ ბრალდებათა სახით. ვინაიდან თუ პარტია ოპორტუნიზმის რელსებზე ეშვება, თუ მისი პოლიტიკა არ ეთანხმება რევოლუციის კლასობრივ ხაზს, თუ იგი გადაგვარებას განიცდის და თერმიდორისაკენ მიდის, ხოლო ჩვენი სახელმწიფო «სრულებითაც არ არის პროლეტარული სახელმწიფო», მაშინ აქედან შესაძლებელია მხოლოდ ერთი დასკვნა — ახალი რევოლუცია «კულაკიზებული» ხელისუფლების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ცნობილია, რომ «ულტრამემარცხენეებმა» გერმანიაში, და მათ შორის ვედინგელებმა [17], ხმა მისცეს პარტიიდან კორშის გარიცხვის წინააღმდეგ, რითაც მორალური პასუხისმგებლობა იკისრეს კორშის კონტრრევოლუციური პროპაგანდისათვის. ხოლო ვინ არ იცის, რომ «ულტრამემარცხენენი» მხარს უჭერენ ოპოზიციას საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)?

გ) **ოპოზიციის მიმდევართა პრაქტიკული მუშაობა საფრანგეთში.** იგივე უნდა ითქვას ოპოზიციის მიმდევრებზე საფრანგეთში. მხედველობაში მყავს სუვარინი და მისი ჯგუფი, რომელიც საფრანგეთში ცნობილ ჟურნალში იღვწის. გამოდის რა იმ წანამძღვრებიდან, რომლებიც ჩვენმა ოპოზიციამ წამოაყენა თავის ბრალდებებში პარტიის წინააღმდეგ, სუვარინი იმ დასკვნამდე მიდის, რომ რევოლუციის ძირითადი მტერია პარტიული ბიუროკრატია, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ზედაფენა. სუვარინი ამტკიცებს,

რომ «ხსნა» შესაძლებელია მხოლოდ ერთ რამეში: ახალ რევოლუციაში პარტიის შემადგენლობისა და ხელისუფლების შემადგენლობის ხელმძღვანელი ზედაფენის წინააღმდეგ, ახალ რევოლუციაში, უწინარეს ყოვლისა, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წინააღმდეგ. იქ, გერმანიაში — «ახალი რევოლუცია» სსრ კავშირში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. აქ, საფრანგეთში — «ახალი რევოლუცია» ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წინაალმდეგ. მაგრამ როგორ მოაწყონ ეს ახალი რევოლუცია? შეიძლება თუ არა მოაწყონ იგი ისე, რომ არ შექმნან განსაკუთრებული პარტია, რომელიც შეგუებული იქნება ახალი რევოლუციის მიზნებთან? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. აქედან — საკითხი ახალი პარტიის შექმნისა.

ოპოზიციას შეუძლია თქვას, რომ ის პასუხს არ აგებს სუვარინის ნაჯღაბნისათვის. მაგრამ ეს არ არის მართალი. ჯერ-ერთი, ცნობილია, რომ სუვარინი და მისი ჯგუფი ოპოზიციის, განსაკუთრებით მისი ტროცკისტული ნაწილის მომხრენი არიან. მეორეც, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ოპოზიციას განზრახული ჰქონდა მოეწყო ბ-ნი სუვარინი საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციაში. მართალია, ეს პროექტი ჩაიშალა. მაგრამ ეს ჩვენი ოპოზიციის ბრალი კი არ არის, არამედ მისი უბედურებაა.

ამრიგად, გამოდის, რომ ოპოზიცია თავის პრაქტიკულ მუშაობაში, თუ მას ავიღებთ არა იმ სახით, რ̇ოგორც იგი თვითონ გვიხატავს თავს, არამედ იმ სახით, როგორც იგი თვითონ იჩენს თავს მუშაობის მსვლელობაში როგორც ჩვენში, სსრ კავშირში, ისე საფრანგეთსა და გერმანიაში,— ვამბობ, გამოდის, რომ ოპოზიცია თავის პრაქტიკულ მუშაობაში უშუალოდ მიადგა ჩვენი პარტიის არსებული კადრების განადგურებისა და ახალი პარტიის შექმნის საკითხს.

V

რისთვის აქებენ ოპოზიციას პროლეტარიატის დიქტატურის მტრები

რისთვის აქებენ ოპოზიციას სოციალ-დემოკრატები და კადეტები?

ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, — ვის განწყობილებას ასახავს ოპოზიცია?

თქვენ ალბათ ყურადღება მიაქციეთ, რომ ეგრეთწოდებული «რუსეთის საკითხი» ამ ბოლო დროს დასავლეთში სოციალ-დემოკრატიული და ბურჟუაზიული პრესის საჭირბოროტო საკითხი გახდა. განა შემთხვევითია ეს? რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. სსრ კავშირში სოციალიზმის ზრდამ და დასავლეთში კომუნისტური მოძრაობის გაჩაღებამ არ შეიძლება არ წარმოშვას უდიდესი შეშფოთება ბურჟუაზიისა და მუშათა კლასში მის აგენტთა — სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა რიგებში. ახლა მიჯნა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის მდებარეობს სსრ კავშირის პროლეტარული პარტიისადმი ზოგის ბოროტი სიძულვილისა და ზოგის ამხანაგური მეგობრობის ხაზზე. «რუსეთის საკითხის» უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ახლა ფაქტია, რომელსაც აღარ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ კომუნიზმის მტრებმა.

ორი ფრონტი შეიქმნა «რუსეთის საკითხის» გარშემო: საბჭოების რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთა ფრონტი და მის თავდადებულ მეგობართა ფრონტი. რა სურთ საბჭოების რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებს? ისინი ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ მოსახლეობის ფართო მასებში შექმნან იდეური და მორალური წანამძღვრები პროლეტარულ დიქტატურასთან საბრძოლველად. რა სურთ საბჭოების რესპუბლიკის მეგობრებს? ისინი ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ პროლეტარიატის ფართო ფენებში შექმნან იდეური

და მორალური წანამძღვრები საბჭოების რესპუბლიკისათვის მხარდასაჭერად, მის დასაცავად.

ახლა ვნახოთ, რისთვის აქებენ სოციალ-დემოკრატები და კადეტები რუსეთის ბურჟუაზიული ემიგრაციიდან ჩვენს ოპოზიციას.

აი რას ამბობს, მაგალითად, პაულ ლევი, სოციალ-დემოკრატიის ცნობილი ლიდერი გერმანიაში:

«ჩვენ იმ აზრისა ვიყავით, რომ მუშების განსაკუთრებული ინტერესები, საბოლოო ანგარიშით სოციალიზმის ინტერესები, ეწინააღმდეგება გლეხური საკუთრების არსებობას, რომ მუშებისა და გლეხების ინტერესების იგივეობა მხოლოდ მოჩვენებითია, და რომ რუსეთის რევოლუციის შემდგომი განვითარება გაამწვავებს და უფრო აშკარას გახდის ამ წინააღმდეგობას. ინტერესთა ერთობის იდეა ჩვენ სახეშეცვლილ კოალიციის იდეად მიგვაჩნია. თუ საერთოდ მარქსიზმს დასაბუთებულობის ნატამალი მაინც მოეპოვება, თუ ისტორია დიალექტიკურად ვითარდება, მაშინ ამ წინააღმდეგობას ისევე უნდა დაემსხვრია კოალიციის იდეა, როგორც იგი უკვე დამსხვრეულია გერმანიაში... ჩვენთვის, რომლებიც სსრ კავშირის ამბებს გარედან, დასავლეთ ევროპიდან განვიხილავთ, ცხადია: **ჩვენი შეხედულებები ემთხვევა ოპოზიციის შეხედულებებს**... ფაქტია, რომ რუსეთში კვლავ იწყება დამოუკიდებელი, ანტიკაპიტალისტური მოძრაობა კლასობრივი ბრძოლის ნიშნით» («ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგ», 1926 წ. 30 ივლისი).

აქ, ამ ციტატაში, აბნეულობა რომ არის მუშათა და გლეხთა ინტერესების «იგივეობის» საკითხში, — ეს აშკარაა. მაგრამ პაულ ლევი რომ ჩვენს ოპოზიციას აქებს მუშათა და გლეხთა ბლოკის იდეასთან, მუშათა და გლეხთა კავშირის იდეასთან ბრძოლისათვის, — ესეც უეჭველია.

აი რას ამბობს ჩვენი ოპოზიციის შესახებ საკმაოდ ცნობილი დანი, «რუსეთის» სოციალ-დემოკრატიის ლიდერი, ლიდერი «რუსი» მენშევიკებისა, რომლებიც იბრძვიან სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის:

«არსებული წყობილების თავისი კრიტიკით, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს სოციალ-დემოკრატიის კრიტიკას, ბოლშე-

ვიკური ოპოზიცია **ამზადებს ადამიანთა გონებას...** სოციალ-დემოკრატიის დადებითი პლატფორმის ასათვისებლად».

და შემდეგ:

«ოპოზიცია არა მარტო მუშათა მასებში, არამედ კომუნისტი მუშების წრეშიც ზრდის ისეთ იდეათა და განწყობილებათა ყლორტებს, რომლებმაც უნარიანი მოვლით ადვილად **შეიძლება მოგვცენ სოციალ-დემოკრატიული ნაყოფი»** («სოციალისტიჩესკი ვესტნიკ» № 17 — 18).

ვგონებ, ცხადია.

ხოლო აი რას წერს ჩვენი ოპოზიციის შესახებ მილიუკოვის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული პარტიის ცენტრალური ორგანო «პოსლედნიე ნოვოსტი» [18]:

«დღეს ოპოზიცია ძირს უთხრის დიქტატურას, ოპოზიციის ყოველი ახალი გამოცემა სულ უფრო და უფრო «საშინელ» სიტყვებს წარმოთქვამს, თვით ოპოზიცია ევოლუციას განიცდის იმ მიმართულებით, რომ სულ უფრო და უფრო მკვეთრად გაილაშქროს გაბატონებული სისტემის წინააღმდეგ, და ეს ჯერჯერობით საკმარისია იმისათვის, რომ მადლობით მივიღოთ იგი როგორც პოლიტიკურად უკმაყოფილო მოსახლეობის ფართო ფენების რუპორი» («პოსლედნიე ნოვოსტი» № 1990).

და შემდეგ:

«საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე საშიში მტერი ახლა ის არის, რომელიც მას შეუმჩნევლად ეპარება, ყოველი მხრიდან გარემოიცავს მას და ახდენს მის ლიკვიდაციას მანამდე, სანამ იგი შეამჩნევდეს, რომ ლიკვიდირებულია. სწორედ ამ როლს, რომელიც გარდუვალი და საჭიროა მოსამზადებელ პერიოდში, საიდანაც ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ, ასრულებს საბჭოთა ოპოზიცია» («პოსლედნიე ნოვოსტი» № 1983, ა. წ. 27 აგვისტო).

ვფიქრობ, კომენტარები აქ ზედმეტია.

დროის სიმცირის გამო, მე ვჯერდები მხოლოდ ამ ციტატებს, თუმცა შეიძლებოდა ასეთივე ციტატები ათობით და ასობით მომეყვანა.

აი რისთვის აქებენ ჩვენს ოპოზიციას სოციალ-დემოკრატები და კადეტები.

შემთხვევითია თუ არა ეს? არა, არ არის შემთხვევითი. აქედან ჩანს, რომ ოპოზიცია ასახავს არა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის განწყობილებას, არამედ არაპროლეტარული ელემენტების განწყობილებას, რომლებიც უკმაყოფილონი არიან პროლეტარიატის დიქტატურით, გაბოროტებული არიან პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ და მოუთმენლად ელიან მის დარღვევას, მის დამხობას.

ამრიგად, ჩვენი ოპოზიციის ფრაქციული ბრძოლის ლოგიკამ სინამდვილეში ის გამოიწვია, რომ ჩვენი ოპოზიციის ფრონტი ობიექტურად პროლეტარიატის დიქტატურის მოწინააღმდეგეებისა და მტრების ფრონტს შეუერთდა.

სურდა თუ არა ეს ოპოზიციას? ალბათ არ სურდა. მაგრამ აქ საქმე დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რა სურს ამჯერად ოპოზიციას, არამედ იმაზე, თუ ობიექტურად რას იწვევს მისი ფრაქციული ბრძოლა. ფრაქციული ბრძოლის ლოგიკა ამა თუ იმ ადამიანთა სურვილებზე უფრო ძლიერია. და სწორედ ამიტომ საქმე ისე წარიმართა, რომ ოპოზიციის ფრონტი სინამდვილეში პროლეტარიატის დიქტატურის მოწინააღმდეგეებისა და მტრების ფრონტს შეუერთდა.

ლენინი გვასწავლიდა, რომ კომუნისტების ძირითადი მოვალეობაა პროლეტარიატის დიქტატურის დაცვა და განმტკიცება. საქმე კი ისე წარიმართა, რომ ოპოზიცია თავისი ფრაქციული პოლიტიკის გამო პროლეტარიატის დიქტატურის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა.

აი რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ ოპოზიციამ კავშირი გაწყვიტა ლენინიზმთან არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც.

სხვანაირად არც შეიძლებოდა. კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ბრძოლის ფრონტზე ძალთა თანაფარდობა ისეთია, რომ მუშათა კლასის რიგებში ახლა შესაძლებელია მხოლოდ ორში ერთი პოლიტიკა: ან კომუნიზმის

პოლიტიკა, ან სოციალ-დემოკრატიზმის პოლიტიკა. ოპოზიციის ცდა — დაეკავებინა მესამე პოზიცია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავებისას, გარდუვალად უნდა დამთავრებულიყო იმით, რომ ოპოზიცია ფრაქციული ბრძოლის მსვლელობამ ლენინიზმის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადატყორცნა.

ასეც მოხდა, როგორც მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს.

აი რისთვის აქებენ ოპოზიციას სოციალ-დემოკრატები და კადეტები.

VI

ოპოზიციური ბლოკის დამარცხება

ზემოთ მე ვთქვი, რომ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ოპოზიცია უმძიმეს ბრალდებებს მიმართავდა პარტიის წინააღმდეგ. მე ვთქვი, რომ თავის პრაქტიკულ მუშაობაში ოპოზიცია გათიშვის და ახალი პარტიის შექმნის საკითხის ზედ მიჯნას მიადგა. აქედან იბადება კითხვა — რამდენ ხანს შესძლო ოპოზიციამ შეენარჩუნებინა ეს გამთიშველი პოზიცია? ფაქტები მოწმობენ, რომ მან სულ რამდენიმე თვეს შესძლო ამ პოზიციის შენარჩუნება. ფაქტები მოწმობენ, რომ ამა წლის ოქტომბრის დამდეგისათვის ოპოზიცია იძულებული აღმოჩნდა ეღიარებინა თავისი დამარცხება და უკან დაეხია.

რამ გამოიწვია ოპოზიციის უკანდახევა?

მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციის უკანდახევა გამოიწვია შემდეგმა მიზეზებმა.

ჯერ-ერთი, იმან, რომ სსრ კავშირში ოპოზიციას თავისი პოლიტიკური არმია არ აღმოაჩნდა. ადვილი შესაძლებელია, რომ ახალი პარტიის შექმნა წარმტაც ამოცანას წარმოადგენდეს. მაგრამ თუ დისკუსიის შემდეგ ირკვევა, რომ ახალი პარტიის შესაქმნელად არავინ გყავს, ცხადია, რომ უკანდახევა ერთადერთი გამოსავალია.

მეორეც, იმან, რომ ფრაქციული ბრძოლის მსვლელობაში ოპოზიციას მიემხრნენ ყოველნაირი ბინძური ელემენტები, როგორც ჩვენში, სსრ კავშირში, ისე საზღვარგარეთ, ხოლო სოციალ-დემოკრატები და კადეტები რაც ძალი და ღონე ჰქონდათ შეუდგნენ მის ქებას, არცხვენდნენ და თავსა სჭრიდნენ მას მუშების თვალში თავიანთი ამბორით. ოპოზიციას ასეთი არჩევანი-ღა ჰქონდა: ან შეეფერებინა მტრების ეს ქება და ამბორი, ან მკვეთრი მობრუნება მოეხდინა და უკან დაეხია, რათა ოპოზიციას მექანიკურად ჩამოშორებოდნენ მასთან მიტმასნილი ბინძური კუდები. უკან რომ დაიხია და უკანდახევაზე ხელი მოაწერა, ოპოზიციამ ამით აღიარა, რომ მეორე გამოსავალი ერთადერთი მისაღები გამოსავალია მისთვის.

მესამეც, იმ გარემოებამ, რომ მდგომარეობა სსრ კავშირში უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე ოპოზიცია ფიქრობდა, ხოლო პარტიული მასები უფრო შეგნებული და დარაზმული აღმოჩნდნენ, ვიდრე ეს შეიძლებოდა მოსჩვენებოდა ოპოზიციას ბრძოლის დასაწყისში. რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში კრიზისი რომ ყოფილიყო, მუშების უკმაყოფილება გაზრდილიყო და პარტიას ნაკლები დარაზმულობა გამოეჩინა, — ოპოზიცია სხვა გზას დაადგებოდა და უკანდახევას არ გადაწყვეტდა. მაგრამ ფაქტებმა ცხადყვეს, რომ ოპოზიციის ვარაუდები ამ დარგშიც ჩაიშალა.

ამით აიხსნება ოპოზიციის დამარცხება.

ამით აიხსნება მისი უკანდახევა.

ოპოზიციის დამარცხებამ სამი ეტაპი განვლო.

პირველი ეტაპი იყო ოპოზიციის 1926 წლის 16 ოქტომბრის «განცხადება». ოპოზიციამ ამ დოკუმენტში უარყო ფრაქციების თავისუფლების თეორია და პრაქტიკა და ბრძოლის ფრაქციული მეთოდები, აშკარად და არაორაზროვნად აღიარა თავისი შეცდომები ამ დარგში. მაგრამ ოპოზიციამ უარყო არა მარტო ეს. რამდენადაც თავის «გან-

ცხადებაში» ოპოზიცია გაემიჯნა «მუშათა ოპოზიციას» და ყველა ჯურის კორშებსა და სუვარინებს, ამით მან უარყო თავისი ის იდეური პოზიციებიც, რომლებიც მას ცოტა ხნის წინათ აახლოებდნენ ამ მიმდინარეობებთან.

მეორე ეტაპია იმ ბრალდებათა ფაქტიური უარყოფა, რომლებსაც ოპოზიცია ცოტა ხნის წინათ პარტიის წინააღმდეგ აყენებდა. უნდა ვაღიაროთ და, აღიარებასთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ოპოზიციამ ვერ გაბედა გაემეორებინა თავისი ბრალდებანი პარტიის წინააღმდეგ საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე. რომ შევადაროთ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის ოქმები საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციის ოქმებს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ძველი ბრალდებებიდან ოპორტუნიზმის, თერმიდორელობის, რევოლუციის კლასობრივი ხაზიდან გადახვევის შესახებ და სხვ. — XV კონფერენციაზე ნატამალიც აღარ დარჩენილა. თუ, გარდა ამისა, მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთელმა რიგმა დელეგატებმა ოპოზიციას მიმართეს შეკითხვით ძველ ბრალდებათა შესახებ, ხოლო ოპოზიცია ამის თაობაზე განაგრძობდა ჯიუტად დუმილს, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ოპოზიციამ ნამდვილად უარყო თავისი ძველი ბრალდებანი პარტიის წინააღმდეგ.

შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ეს გარემოება იმად, რომ ოპოზიციამ ფაქტიურად უარყო მთელი რიგი თავისი იდეური პოზიციები? შეიძლება და საჭიროცაა. ეს არის ოპოზიციის საბრძოლო დროშის შეგნებულად დაკეცვა თავისი დამარცხების გამო. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ბრალდებები წამოყენებული იყო ახალი პარტიის შექმნის ვარაუდით. მაგრამ რაკი ეს ვარაუდები მოიხსნა — უნდა მოხსნილიყო, დროებით მაინც, ბრალდებებიც.

მესამე ეტაპია ოპოზიციის სრული იზოლაცია საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ოპო-

ზიციას XV კონფერენციაზე **ერთი ხმაც** არ მიუღია და, ამრიგად, იგი სავსებით იზოლირებული აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ ის ხმაური და ღრიანცელი, რაც ოპოზიციამ ამა წლის სექტემბრის დამლევს ატეხა, იწყებდა რა პარტიის წინააღმდეგ ლაშქრობას, აშკარა ლაშქრობას, და შეადარეთ ეს ხმაური იმ ფაქტს, რომ ოპოზიცია XV კონფერენციაზე, როგორც იტყვიან, მხოლოობითს რიცხვში აღმოჩნდა, და გაიგებთ, რომ ოპოზიციას «უკეთეს» დამარცხებას ვერ უსურვებდი.

განა შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ ოპოზიციამ ნამდვილად უარყო თავისი ბრალდებანი პარტიის წინააღმდეგ, ვერ გაბედა გაემეორებინა ისინი XV კონფერენციაზე, მიუხედავად დელეგატთა მოთხოვნებისა?

არა, არ შეიძლება, ვინაიდან ეს ფაქტია.

რატომ დაადგა ოპოზიცია ამ გზას, რატომ დაკეცა თავისი დროშა?

იმიტომ, რომ ოპოზიციის იდეური დროშის გაწლა აუცილებლად და გარდუვალად მოასწავებს ორი პარტიის თეორიას, ყოველგვარი კაცების, კორშების, მასლოვების, სუვარინებისა და სხვა ბინძური ელემენტების გაცოცხლებას, ჩვენს ქვეყანაში ანტიპროლეტარული ძალების აშვებას, ქებასა და ამბორს სოციალ-დემოკრატიისა და რუსეთის ემიგრაციის ლიბერალური ბურჟუების მხრივ.

ოპოზიციის იდეური დროშა კლავს ოპოზიციას, — აი რაშია საქმე, ამხანაგებო.

ამიტომ, საბოლოოდ რომ არ გახრწნილიყო, ოპოზიცია იძულებული გახდა უკან დაეხია და თავისი დროშა გადაეგდო.

ეს არის ოპოზიციური ბლოკის დამარცხების საფუძველი.

VII

საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციის პრაქტიკული აზრი და მნიშვნელობა

მე ვამთავრებ, ამხანაგებო. დამრჩენია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვთქვა დასკვნებზე საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციის გადაწყვეტილებათა აზრისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით.

პირველი დასკვნა ის არის, რომ კონფერენციამ შეაჯამა XIV ყრილობის შემდეგ შინაპარტიული ბრძოლის შედეგები, გააფორმა ის გამარჯვება, რაც პარტიამ ოპოზიციაზე მოიპოვა, მოახდინა ოპოზიციის იზოლაცია და ბოლო მოუღო იმ ფრაქციულ თავაშვებულობას, რაც თავს მოახვია ჩვენს პარტიას ოპოზიციამ წინა პერიოდში.

მეორე დასკვნა ის არის, რომ კონფერენციამ უფრო მეტად შეამჭიდროვა ჩვენი პარტია, ვიდრე იგი ოდესმე ყოფილა შემჭიდროებული, ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივის საფუძველზე, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლის, ჩვენი პარტიის ყველა ოპოზიციური მიმდინარეობის წინააღმდეგ, ჩვენს პარტიაში ყველა გადახრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეის საფუძველზე.

ახლა ჩვენს პარტიაში ყველაზე აქტუალური საკითხია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხი. ლენინი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ მთელი მსოფლიო შემოგვცქერის ჩვენ, ჩვენს სამეურნეო მშენებლობას, ჩვენს წარმატებებს მშენებლობის ფრონტზე. მაგრამ ამ ფრონტზე წარმატებებს რომ მივაღწიოთ, საჭიროა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ინსტრუმენტი, ჩვენი პარტია, მზად იყოს ამ საქმისათვის, შეგნებული ჰქონდეს ამ ამოცანის მნიშვნელობა და შეეძლოს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ბერკეტი გახდეს.

XV კონფერენციის აზრი და მნიშვნელობა ის არის, რომ მან გააფორმა და დააგვირგვინა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების იდეით ჩვენი პარტიის შეიარაღების საქმე.

მესამე დასკვნა ის არის, რომ კონფერენციამ გადაჭრით უკუაგდო ყველა და ყოველგვარი იდეური მერყეობა ჩვენს პარტიაში და ამით გააადვილა ლენინიზმის სრული გამარჯვება საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ).

თუ კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებული პლენუმი მოიწონებს საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციის გადაწყვეტილებებს და სწორად ცნობს ჩვენი პარტიის პოლიტიკას ოპოზიციის მიმართ, რაშიაც საფუძველი არა მაქვს ეჭვი მეპარებოდეს, — ეს გამოიწვევს მეოთხე დასკვნას — იმის შესახებ, რომ XV კონფერენციამ მოამზადა ზოგიერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი პირობა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ლენინიზმმა გაიმარჯვოს მთელ კომინტერნში, ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის რევოლუციური პროლეტარიატის რიგებში. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი. მ თ ე ლ ი პ ლ ე ნ უ მ ი ს ო ვ ა ც ი ე ბ ი).

საბოლოო სიტყვა

13 დეკემბერი

I

ცალკეული შენიშვნები

1. ჩვენ გვინდა ფაქტები, და არა ზღაპრები და ჭორები

ამხანაგებო! სანამ საკითხის არსზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ ზოგიერთი ფაქტიური შესწორება შემოვიტანო ოპოზიციის განცხადებების გამო, განცხადებებისა, რომლებიც ან ფაქტებს ამახინჯებენ, ან ზღაპრებსა და ჭორებს წარმოადგენენ.

1) პირველი საკითხია კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე ოპოზიციის გამოსვლების საკითხი. ოპოზიცია აცხადებდა, რომ მან გადაწყვიტა გამოსულიყო იმიტომ, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს პირდაპირი მითითება არ მოუცია იმის შესახებ, რომ ოპოზიციის გამოსვლას შეუძლია დაარღვიოს ოპოზიციის 1926 წლის 16 ოქტომბრის «განცხადება», რომ, თუ კი ცენტრალური კომიტეტი მათ გამოსვლას აუკრძალავდა, ოპოზიციის ლიდერები გამოსვლას ვერ გაბედავდნენ.

შემდეგ, ოპოზიციამ განაცხადა, რომ აქ, გაფართოებულ პლენუმზე, გამოსვლისას იგი ყოველ ზომას მიიღებდა იმისათვის, რომ ბრძოლა არ გაემწვავებინა, რომ იგი უბრალო «ახსნა-განმარტებას» დასჯერდებოდა, რომ მას, ღმერთმა

დაიფაროს, არც უფიქრია პარტიის წინააღმდეგ იერიშის მიტანა, რომ მას, ღმერთმა დაიფაროს, არავითარი განზრახვა არ ჰქონია რაიმე ბრალდება წამოეყენებინა პარტიის წინააღმდეგ და გაესაჩივრებინა მისი გადაწყვეტილებანი.

ყოველივე ეს არასწორია, ამხანაგებო. ეს სრულებით არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს ფარისევლობაა ოპოზიციის მხრივ. ფაქტებმა ცხადყვეს, ხოლო განსაკუთრებით კამენევის გამოსვლამ ცხადყო, რომ ოპოზიციის ლიდერების გამოსვლები გაფართოებულ პლენუმზე იყო არა «ახსნა-განმარტება», არამედ პარტიის წინააღმდეგ იერიში, პარტიაზე თავდასხმა.

რას ნიშნავს იმ საკითხის აშკარად დაყენება, რომ პარტიას ბრალი დასდო მემარჯვენე გადახრაში? ეს არის იერიში პარტიის წინააღმდეგ, ეს არის გამოხდომა პარტიის წინააღმდეგ.

განა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში არ აღნიშნა, რომ ოპოზიციის გამოსვლა ბრძოლას გაამწვავებდა, ბიძგს მისცემდა ფრაქციულ ბრძოლას? დიახ, აღნიშნა. სწორედ ეს იყო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ოპოზიციისათვის მიცემული გაფრთხილება. შეეძლო თუ არა ცენტრალურ კომიტეტს ამაზე შორს წასულიყო? არა, არ შეეძლო. რატომ? იმიტომ, რომ ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო აეკრძალა გამოსვლა. პარტიის ყოველ წევრს უფლება აქვს გაასაჩივროს პარტიის გადაწყვეტილება უმაღლეს ინსტანციაში. ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია პარტიის წევრთა ამ უფლებისათვის. მაშასადამე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო, იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ბრძოლის ახალი გაშწვავება, ფრაქციული ბრძოლის ახალი გაძლიერება.

ოპოზიციის ლიდერებს, რომლებიც ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის წევრები არიან, უნდა სცოდნოდათ, რომ მათი გამოსვლები არ შეიძლებოდა არ გადაქცეულიყო თავიანთი პარტიის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ აპელაციად, პარტიის წინააღმდეგ გამოხდომად, პარტიაზე თავდასხმად.

ამრიგად, ოპოზიციის გამოსვლები, განსაკუთრებით კი კამენევის გამოსვლა, რომელიც მისი პირადი გამოსვლა როდია, არამედ მთელი ოპოზიციური ბლოკის გამოსვლაა, ვინაიდან მის სიტყვას, რომელიც მან დაწერილი წაიკითხა, ხელს აწერდნენ ტროცკი, კამენევი და ზინოვიევი,—კამენევის ეს გამოსვლა მობრუნების პუნქტია ოპოზიციური ბლოკის განვითარებაში 1926 წლის 16 ოქტომბრის «განცხადებიდან», სადაც ოპოზიცია ხელს იღებდა ბრძოლის ფრაქციულ მეთოდებზე, ოპოზიციის არსებობის ახალი ხანისაკენ, როცა იგი კვლავ უბრუნდება პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრაქციულ მეთოდებს.

აქედან დასკვნა: ოპოზიციამ დაარღვია 1926 წლის 16 ოქტომბრის თავისივე საკუთარი «განცხადება» და დაუბრუნდა ბრძოლის ფრაქციულ მეთოდებს.

სწორედ ასე ჩავწეროთ, ამხანაგებო. რა საჭიროა ფარისევლობა. კამენევი მართალი იყო, როცა ამბობდა, კატას კატა უნდა ვუწოდოთო. (ხმები: «მართალია!». «ღორს კი — ღორი»).

2) ტროცკიმ თავის სიტყვაში თქვა: «სტალინი თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჭადაგებდა მცდარ ტაქტიკას, რომელსაც ლენინი ახასიათებდა როგორც კაუცკიანურ გადახრასო».

ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს ჭორია. სტალინი არავითარ კაუცკიანურ გადახრას არ «ჭადაგებდა». გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ერთგვარი მერყეობა რომ მქონდა, ეს მე არ დამიფარავს და თვითონ ვწერდი ამას ჩემს

ბროშურაში «ოქტომბრის გზებზე». მაგრამ რომელ ჩვენგანს არ ჰქონია წარმავალი მერყეობა. რაც შეეხება ლენინის პოზიციას და მის აპრილის თეზისებს [19] 1917 წელს, — და სწორედ ამაზეა აქ ლაპარაკი, — პარტიამ მშვენივრად იცის, რომ მე მაშინ ამხ. ლენინთან ერთად ვიყავი კამენევისა და მისი ჯგუფის წინააღმდეგ, რომელნიც მაშინ ლენინის თეზისების წინააღმდეგ იბრძოდნენ. იმ ადამიანებმა, რომლებიც იცნობენ ჩვენი პარტიის 1917 წლის აპრილის კონფერენციის ოქმებს, არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ მე მაშინ ლენინთან ერთად ვიყავი და მასთან ერთად ვიბრძოდი კამენევის ოპოზიციის წინააღმდეგ.

აქ მთელი ფოკუსი იმაშია, რომ ტროცკიმ მე კამენევში ამრია. (ს ი ც ი ლ ი. ტ ა შ ი).

მართალია, რომ კამენევი მაშინ ოპოზიციაში იდგა ლენინის წინააღმდეგ, მისი თეზისების წინააღმდეგ, პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ და ობორონცობის მომხრე თვალსაზრისს ავითარებდა. მართალია, რომ კამენევი მაშინ «პრავდაში», მაგალითად, მარტში, წერდა ნახევრად-ობორონცული ხასიათის სტატიებს, რა სტატიებისთვისაც მე, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ ვიქნები პასუხისმგებელი.

ტროცკის უბედურება ის არის, რომ მან აქ სტალინი კამენევში არია.

ხოლო სად იყო მაშინ ტროცკი, აპრილის კონფერენციის დროს, 1917 წელს, როცა პარტია ბრძოლას ეწეოდა კამენევის ჯგუფის წინააღმდეგ, რა პარტიაში ირიცხებოდა იგი მაშინ, — მემარცხენე-მენშევიკურსა თუ მემარჯვენე-მენშევიკურში, და რატომ არ იყო იგი მაშინ ციმერვალდის მემარცხენე ფრთის [20] რიგებში, — აი ეს გვიამბოს ტროცკიმ, თუნდაც პრესაში. მაგრამ იგი მაშინ ჩვენს პარტიაში რომ არ იყო, — ეს ფაქტია, რომელიც ტროცკის უნდა ახსოვდეს.

3) ტროცკიმ თავის სიტყვაში თქვა, «ნაციონალურ საკითხში სტალინმა საკმაოდ დიდი შეცდომა დაუშვაო». რა შეცდომა, რა გარემოებებში, — ამაზე ტროცკის არაფერი უთქვამს.

ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს ჭორია. მე არასოდეს არ მქონია რაიმე უთანხმოება ნაციონალურ საკითხში პარტიასთან ან ლენინთან. აქ ტროცკი ალბათ გულისხმობს ერთ უმნიშვნელო ინციდენტს, როცა ამხ. ლენინი ჩვენი პარტიის XII ყრილობის წინ მისაყვედურებდა იმას, რომ მე მეტისმეტად სასტიკ ორგანიზაციულ პოლიტიკას ვეწეოდი ქართველი ნახევრად-ნაციონალისტების, ნახევრად-კომუნისტების წინააღმდეგ, ისეთი ტიპის ადამიანების წინააღმდეგ, როგორიც არის მდივანი, რომელიც ამას წინათ სავაჭრო წარმომადგენლად იყო საფრანგეთში, რომ მე «ვდევნიდი» მათ. მაგრამ შემდგომმა ფაქტებმა ცხადყვეს, რომ ეგრეთწოდებული «უკლონისტები», მდივანის ტიპის ადამიანები, ნამდვილად უფრო სასტიკი მოპყრობის ღირსი იყვნენ, ვიდრე მე ვექცეოდი მათ, როგორც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი. შემდგომმა ამბებმა ცხადყვეს, რომ «უკლონისტები» წარმოადგენენ ყველაზე აშკარა ოპორტუნიზმის გახრწნილ ფრაქციას. აბა დაამტკიცოს ტროცკიმ, რომ ეს ასე არ არის. ლენინმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ეს ფაქტები, ვინაიდან ავად იყო, ლოგინად იყო ჩავარდნილი და საშუალება არ ჰქონდა თვალყური ედევნებინა ამბებისათვის. მაგრამ რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ უმნიშვნელო ინციდენტს სტალინის პრინციპულ პოზიციასთან? ტროცკი, აშკარაა, აქ ჭორიკანულად, სიტყვაგადაკრულად მიუთითებს რალაც «უთანხმოებაზე» ჩემსა და პარტიას შორის. მაგრამ განა ფაქტი არ არის, რომ მთლიანად ცენტრალურმა კომიტეტმა, მათ შორის ტროცკიმაც, ერთხმად მისცა ხმა სტალინის თეზისებს ნაციონალურ საკითხში? განა ფაქტი

არ არის, რომ ეს ხმის მიცემა მოხდა მდივანთან ინციდენტის შემდეგ, ჩვენი პარტიის XII ყრილობის წინ? განა ფაქტი არ არის, რომ მომხსენებლად ნაციონალური საკითხის შესახებ XII ყრილობაზე სწორედ სტალინი იყო და არა სხვა ვინმე? სადღაა აქ «უთანხმოება» ნაციონალურ საკითხში, და, კაცმა რომ თქვას, რისთვის დასჭირდა ტროცკის ამ უმნიშვნელო ინციდენტის მოხსენიება?

4) კამენევმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ჩვენი პარტიის XIV ყრილობამ შეცდომა დაუშვა, «მარცხნისაკენ რომ მიმართა ცეცხლი», ე. ი. ოპოზიციის წინააღმდეგ რომ მიმართა ცეცხლი. გამოდის, რომ პარტია იბრძოდა და კვლავაც იბრძვის პარტიის რევოლუციური ბირთვის წინააღმდეგ. გამოდის, რომ ჩვენი ოპოზიცია მემარცხენეა და არა მემარჯვენე.

ყოველივე ეს ფუჭი ლაყბობაა, ამხანაგებო. ეს ჭორია, რომელსაც ჩვენი ოპოზიციონერები ავრცელებენ. XIV ყრილობას არ უფიქრია და არც შეეძლო მიემართა ცეცხლი რევოლუციური უმრავლესობის წინააღმდეგ. ნამდვილად მან ცეცხლი მიმართა მემარჯვენეების წინააღმდეგ, ჩვენი ოპოზიციონერების წინააღმდეგ, რომლებიც მემარჯვენე ოპოზიციას წარმოადგენენ, თუმცა «მემარცხენე» სამოსელში ეხვევიან. რა თქმა უნდა, ოპოზიციას სწადია «რევოლუციურ მემარცხენე» ფრთად ჩათვალოს თავი. მაგრამ ჩვენი პარტიის XIV ყრილობამ, პირიქით, გამოარკვია, რომ ოპოზიცია მხოლოდ ინიღბება «მემარცხენე» ფრაზით, ნამდვილად კი ოპორტუნისტულ ოპოზიციას წარმოადგენს. ჩვენ ვიცით, რომ მემარჯვენე ოპოზიცია ხშირად ინიღბება «მემარცხენე» სამოსლით, რათა შეცდომაში შეიყვანოს მუშათა კლასი. «მუშათა ოპოზიციაც» ყველაზე მემარცხენედ თვლიდა თავს, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე მემარჯვენე აღმოჩნდა. ახლანდელი ოპოზიციაც ყველაზე მემარცხენედ თვლის თავს, მაგ-

რამ ახლანდელი ოპოზიციის პრაქტიკა და მთელი მუშაობა ამტკიცებს, რომ იგი წარმოადგენს ყველა მემარჯვენე მიმდინარეობათა თავმოსაყრელ ცენტრსა და კერას «მუშათა ოპოზიციიდან» და ტროცკიზმიდან «ახალ ოპოზიციამდე» და ყველა ჯურის სუვარინებამდე.

კამენევმა «პატარა» სიყალბე დაუშვა «მემარცხენეებისა» და «მემარჯვენეების» შესახებ.

5) კამენევმა მოიყვანა ციტატა ლენინის თხზულებებიდან იმის შესახებ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის აგებაო, და განაცხადა, რომ პარტია შეცდომას უშვებს, როცა თითქოს ამტკიცებს, რომ ჩვენ უკვე დავამთავრეთ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის აგება.

ეს ფუჭი ლაყბობაა, ამხანაგებო. ეს კამენევის ჭორიკანობაა. პარტიას ჯერ არასოდეს არ განუცხადებია, რომ მან უკვე დაამთავრა ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის აგება. ახლა დავაა სრულებითაც არა იმაზე, დავამთავრეთ თუ ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის აგება. ახლა ამაზე როდია დავა. დავა მხოლოდ იმაზეა, **შეგვიძლია** თუ **არ შეგვიძლია** ჩვენი საკუთარი ძალებით დავამთავროთ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის აგება. პარტია ამტკიცებს, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს დავამთავროთ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის აგება. ოპოზიცია ამას უარყოფს, რითაც დამარცხების მომხრეობისა და კაპიტულანტობის გზაზე ეშვება. აი რაზეა ახლა დავა. კამენევი თავისი პოზიციის მერყეობას გრძნობს და ცდილობს თავი აარიდოს ამ საკითხს. მაგრამ ვერ შესძლებს ამას.

კამენევმა კიდევ ერთი «პატარა» სიყალბე დაუშვა.

6) ტროცკიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მან «წინასწარ განჭვრიტა ლენინის პოლიტიკა 1917 წლის მარტ-აპრილში». ამრიგად, გამოდის, რომ ტროცკის «წინასწარ

განუჭვრეტია» ამხ. ლენინის აპრილის თეზისები. გამოდის, რომ ტროცკი ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვალ-მარტში დამოუკიდებლად მისულა იმ პოლიტიკამდე, რომელსაც ამხ. ლენინი 1917 წლის აპრილ-მაისში იცავდა თავის აპრილის თეზისებში.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, განვაცხადო, რომ ეს სულელური და უტიფარი ბაქიობაა. ტროცკი, რომელსაც «წინასწარ განუჭვრეტია» ლენინი, — ეს ისეთი სურათია, რომელიც მხოლოდ სიცილს იწვევს. გლეხები სავსებით მართალი არიან, როცა ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ ამბობენ: «ბუზი კოშკს შეადარაო». (სიცილი). ტროცკი, რომელსაც «წინასწარ განუჭვრეტია» ლენინი... აბა სინჯოს ტროცკიმ თავი გამოყოს და პრესაში დაამტკიცოს ეს. რატომ ერთხელ მაინც არ სინჯა ეს? ტროცკიმ «წინასწარ განჭვრიტა» ლენინი... მაგრამ რით აიხსნება მაშინ ის ფაქტი, რომ ამხ. ლენინმა რუსეთში ასპარეზზე გამოსვლისთანავე, 1917 წლის აპრილში, საჭიროდ ჩათვალა გამიჯნოდა ტროცკის პოზიციას? რით აიხსნება ის ფაქტი, რომ «წინასწარგანჭვრეტილი» საჭიროდ თვლის გაემიჯნოს «წინასწარგანმჭვრეტს»? განა ფაქტი არ არის, რომ ლენინმა 1917 წლის აპრილში რამდენჯერმე განაცხადა, რომ მას საერთო არა აქვს რა ტროცკის ძირითად ფორმულასთან: «უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური»? განა ფაქტი არ არის, რომ ლენინმა უკვე მაშინ რამდენჯერმე განაცხადა, რომ საერთო არა აქვს რა ტროცკისთან, რომელიც ცდილობდა გადახტომოდა გლეხთა მოძრაობას, აგრარულ რევოლუციას?

სად არის აქ «წინასწარ განჭვრეტა»?

დასკვნა: ჩვენ გვინდა ფაქტები და არა ზღაპრები და ჭორები, მაშინ როცა ოპოზიცია ამჯობინებს ზღაპრებითა და ჭორებით იმოქმედოს.

2. რისთვის აქებენ ოპოზიციას პროლეტარიატის დიქტატურის მტრები

ჩემს მოხსენებაში მე ვთქვი, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მტრები, მენშევიკები და კადეტები რუსეთის ემიგრაციიდან, აქებენ ოპოზიციას. მე ვთქვი, რომ ისინი აქებენ ოპოზიციას ისეთი მუშაობისათვის, რომელიც იწვევს პარტიის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრას და, მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ძირის გამოთხრას. მე მოვიყვანე მთელი რიგი ციტატები, რომლებიც მოწმობენ, რომ სწორედ ამისათვის აქებენ ოპოზიციას პროლეტარიატის დიქტატურის მტრები, იმისათვის, რომ ოპოზიცია თავისი მუშაობით ხელ-ფეხს უხსნის ანტიპროლეტარულ ძალებს ჩვენს ქვეყანაში, ცდილობს სახელი გაუტეხოს ჩვენს პარტიას, სახელი გაუტეხოს პროლეტარულ დიქტატურას და ამით საქმეს უადვილებს პროლეტარიატის დიქტატურის მტრებს.

ამის პასუხად კამენევმა (აგრეთვე ზინოვიევმა) მოიხსენია ჯერ დასავლეთის კაპიტალისტური პრესა, რომელიც თურმე აქებს ჩვენს პარტიას, აგრეთვე სტალინს, ხოლო შემდეგ მოიხსენია უსტრიალოვი, «სმენავეხელი» [21], ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიული სპეცების წარმომადგენელი, რომელიც თანაგრძნობას უცხადებს ჩვენი პარტიის პოზიციას.

რაც შეეხება კაპიტალისტებს, მათ იქ დიდი უთანხმოება აქვთ ჩვენი პარტიის შესახებ. აი, მაგალითად, ამას წინათ ამერიკულ პრესაში სტალინს აქებდნენ, — იგი დიდი კონცესიების მიღების შესაძლებლობას მოგვცემსო. ახლა კი თურმე ყოველნაირად ლანძღავენ და აგინებენ სტალინს, ამტკიცებენ — მან, სტალინმა, «მოგვატყუაო». ბურჟუაზიულ პრესაში ერთ ხანს კარიკატურა დაიბეჭდა სტალინზე, რომელსაც ხელში წყლით სავსე ვედრო უჭირავს და რევოლუციის ხანძარს აქრობს. მაგრამ შემდეგ ამის უარსაყოფად

დაიბეჭდა მეორე კარიკატურა, სადაც სტალინს ვედრო უჭირავს, მაგრამ ვედროში წყალი კი არ არის, არამედ ნავთია, და თურმე სტალინი კი არ აქრობს, არამედ აჩაღებს რევოლუციის ხანძარს. (ტ ა შ ი, ს ი ც ი ლ ი).

როგორც ხედავთ, იქ, კაპიტალისტებში, დიდი უთანხმოებაა ჩვენი პარტიის პოზიციის შესახებ ისევე, როგორც სტალინის პოზიციის შესახებ.

გადავიდეთ უსტრიალოვის საკითხზე. ვინ არის უსტრიალოვი? უსტრიალოვი ბურჟუაზიული სპეციალისტების და საერთოდ ახალი ბურჟუაზიის წარმომადგენელია. იგი პროლეტარიატის კლასობრივი მტერია. ეს უდავოა. მაგრამ მტრები სხვადასხვანაირი არიან. არიან კლასობრივი მტრები, რომლებიც არ ურიგდებიან საბჭოთა ხელისუფლებას და ცდილობენ მის დამხობას, რადაც უნდა დაუჯდეთ. არიან ისეთი კლასობრივი მტრებიც, რომლებიც, ასე თუ ისე, ურიგდებიან საბჭოთა ხელისუფლებას. არიან მტრები, რომლებიც ცდილობენ მოამზადონ პირობები პროლეტარიატის დიქტატურის დასამხობად. ესენი არიან მენშევიკები, ესერები, კადეტები და სხვანი. მაგრამ არიან ისეთი მტრებიც, რომლებიც თანამშრომლობენ საბჭოთა ხელისუფლებასთან და იბრძვიან იმათ წინააღმდეგ, ვინც საბჭოთა ხელისუფლების დამხობის თვალსაზრისზე დგას, რომლებსაც იმის იმედი აქვთ, რომ დიქტატურა თანდათანობით დასუსტდება, გადაგვარდება და შემდეგ ახალი ბურჟუაზიის ინტერესებს დააკმაყოფილებს. მტრების ამ უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნის უსტრიალოვი.

რისთვის მოიხსენია კამენევმა უსტრიალოვი? იქნებ იმისათვის, რათა დაენახვებინა, რომ ჩვენი პარტია გადაგვარდა, და უსტრიალოვი სწორედ ამიტომ აქებს სტალინს, ან საერთოდ ჩვენს პარტიას? ალბათ არა ამისათვის, ვინაიდან კამენევმა ვერ გაბედა პირდაპირ ეთქვა ეს. მაშ რისთვის მოიხსენია ასეთ შემთხვევაში კამენევმა უსტრიალოვი? აშკარაა,

იმისათვის, რომ სიტყვაგადაკრულად მიეთითებინა «გადაგვარებაზე».

მაგრამ კამენევს დაავიწყდა ეთქვა, რომ სწორედ ეს უსტრიალოვი კიდევ უფრო აქებდა ლენინს. უსტრიალოვის სტატიები, რომლებიც ლენინის ქებას შეიცავენ, ცნობილია მთელი ჩვენი პარტიისათვის. მაშ რაშია აქ საქმე? იქნებ, ამხ. ლენინი «გადაგვარდა» ან «გადაგვარება» იწყო, როცა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას აწესებდა? საკმარისია დავსვათ ეს კითხვა, რომ გავიგოთ, თუ რა აბსურდულია ასეთი ვარაუდი «გადაგვარების» შესახებ.

ამრიგად: რისთვის აქებს ლენინსა და ჩვენს პარტიას უსტრიალოვი და რისთვის აქებენ ოპოზიციას მენშევიკები და კადეტები, — აი საკითხი, რომელიც საჭიროა უწინარეს ყოვლისა გადავჭრათ და რომელსაც კამენევი ყოველნაირად ცდილობს გვერდი აუაროს.

ოპოზიციას მენშევიკები და კადეტები აქებენ იმისათვის, რომ იგი ძირს უთხრის ჩვენი პარტიის ერთიანობას, ასუსტებს პროლეტარიატის დიქტატურას და ამით უადვილებს მენშევიკებსა და კადეტებს მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. ამას ამტკიცებენ ციტატები. უსტრიალოვი კი ჩვენს პარტიას აქებს იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, დაუშვა კერძო კაპიტალი, დაუშვა ბურჟუაზიული სპეცები, რომელთა დახმარება და გამოცდილება ესაჭიროება პროლეტარიატს.

მენშევიკები და კადეტები ოპოზიციას აქებენ იმისათვის, რომ თავისი ფრაქციული მუშაობით იგი ეხმარება მათ პროლეტარიატის დიქტატურის დასამხობად პირობების მომზადების საქმეში. ხოლო უსტრიალოვები, რაკი იციან, რომ დიქტატურას ვერ დაამხობ, უკუაგდებენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის თვალსაზრისს, ცდილობენ მიიღონ კუნჭული პროლეტარიატის დიქტატურის მახლობლად, ცდი-

ლობენ მიეტმასნონ მას და — აქებენ პარტიას იმისათვის, რომ მან ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოიღო და განსაზღვრულ პირობებში დაუშვა ახალი ბურჟუაზია, რომელსაც სურს თავისი კლასობრივი მიზნებისათვის გამოიყენოს საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ რომელსაც თვით საბჭოთა ხელისუფლება იყენებს პროლეტარული დიქტატურის მიზნებისათვის.

აი სად არის განსხვავება ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის სხვადასხვა კლასობრივ მტრებს შორის.

აი სად არის იმის ფესვი, რომ მენშევიკები და კადეტები ოპოზიციას აქებენ, ბატონი უსტრიალოვები კი — ჩვენს პარტიას.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ლენინის თვალსაზრისს ამ საკითხზე.

«ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში, — ამბობს ლენინი, — სოციალური წყობილება დაფუძნებულია ორი კლასის: მუშებისა და გლეხების თანამშრომლობაზე, რომელში მონაწილეობისთვისაც ახლა განსაზღვრულ პირობებში დაშვებული არიან «ნეპმანებიც», ე. ი. ბურჟუაზია» (ლენინი, ტ. XXVII, გვ. 405).

აი სწორედ იმისათვის, რომ ახალ ბურჟუაზიას მონაწილეობა მივაღებინეთ ერთგვარ პირობითს თანამშრომლობაში, რა თქმა უნდა, განსაზღვრული პირობებით და საბჭოთა ხელისუფლების მხრივ კონტროლით, — სწორედ ამისათვის აქებს ჩვენს პარტიას უსტრიალოვი, რომელსაც იმედი აქვს ჩაებღაუჭოს ამ მონაწილეობას და ბურჟუაზიის მიზნებისათვის გამოიყენოს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ კი, პარტიას, სხვა ანგარიში გვაქვს: გამოვიყენოთ ახალი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მათი გამოცდილება, მათი ცოდნა იმისათვის, რომ მოვახდინოთ მათი ნაწილის გასაბჭოურება, ასიმილაცია, ხოლო მეორე ნაწილი, რომელსაც გასაბჭოურება არ მოუხერხდება, თავიდან მოვიშოროთ.

განა ფაქტი არ არის, რომ ლენინი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ახალ ბურჟუაზიას და მენშევიკებსა და კადეტებს, დასაშვებად თვლიდა და იყენებდა პირველს და წინადადებას იძლეოდა დაგვეპატიმრებინა მეორენი?

აი რას წერდა ამის შესახებ ამხ. ლენინი თავის «სასურსათო გადასახადში»:

«არ გვეშინოდეს იმისა, რომ კომუნისტებმა «ისწავლონ» ბურჟუაზიული სპეციებისაგან, მათ შორის ვაჭრებისგანაც, წვრილ კაპიტალისტ-კოოპერატორებისგანაც და კაპიტალისტებისგანაც. ისწავლონ მათგან ფორმით სხვანაირად, არსებითად კი ისევე, როგორც სწავლობდნენ და ისწავლეს სამხედრო სპეციებისაგან. «სწავლების» შედეგები შეამოწმონ მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებით: გააკეთე უქეთესად, ვიდრე გააკეთეს შენს გვერდით ბურჟუაზიულმა სპეციებმა, მოახერხე მიაღწიო ასეც და ისეც მიწათმოქმედების აღმავლობას, მრეწველობის აღმავლობას, მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ბრუნვის განვითარებას. ნუ იძუნწებ «სწავლებისათვის» ფასის გადახდაში: სწავლებისათვის ძვირი ფასის გადახდა დასანანებელი არ არის, ოღონდ კი სწავლა რიგიანად მიდიოდეს» (**ლენინი**, ტ. XXVI, გვ. 352).

ასე ამბობდა ლენინი ახალი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული სპეციების შესახებ, რომელთა წარმომადგენელიც არის **უსტრიალოვი**.

ხოლო აი რას ამბობდა ლენინი მენშევიკებსა და ესერებზე:

«უპარტიოები კი, რომლებიც სინამდვილეში სხვა არა არიან რა, თუ არ მოდური, კრონშტადტულ-უპარტიო სამოსლით გამოწყობილი მენშევიკები და ესერები, — ფრთხილად შევინახოთ საპყრობილეში ან გავუგზავნოთ ბერლინში მარტოვს, რათა თავისუფლად გამოიყენონ წმინდა დემოკრატიის ყველა სიმშვენიერე, თავისუფლად გაუზიაროს აზრები ჩერნოვს, მილიუკოვს, ქართველ მენშევიკებს» (იხ. იქვე, გვ. 352).

ასე ამბობდა ლენინი.

იქნებ, ოპოზიცია არ ეთანხმება ლენინს? თქვას ეს პირდაპირ.

აი რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენში მენშევიკებსა და კადეტებს აპატიმრებენ, ახალი ბურჟუაზია კი განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრული შეზღუდვებით დაშვებული გვყავს იმისათვის, რომ, ვებრძვით რა მას ეკონომიური ხასიათის ზომებით და ვძლევთ მას თანდათანობით, ამასთან ერთად გამოვიყენოთ მისი გამოცდილება, მისი ცოდნა ჩვენი სამეურნეო მშენებლობისათვის.

ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენს პარტიას აქებენ ზოგიერთი კლასობრივი მტრები, როგორიც არის, მაგალითად, უსტრიალოვი, იმისათვის, რომ ჩვენ შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა და დავუშვით ბურჟუაზიის ერთგვარი პირობითი და შეზღუდული თანამშრომლობა არსებულ საბჭოთა წყობილებასთან, ამასთან მიზნად გვაქვს გამოვიყენოთ ამ ბურჟუაზიის ცოდნა და გამოცდილება ჩვენი მშენებლობისათვის, რა მიზანსაც, როგორც ცნობილია, საკმაოდ წარმატებით ვახორციელებთ. ოპოზიციას კი აქებენ სხვა კლასობრივი მტრები, როგორც, მაგალითად, მენშევიკები და კადეტები, იმისათვის, რომ მის მუშაობას შედეგად მოსდევს ჩვენი პარტიის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრა, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ძირის გამოთხრა და დიქტატურის დასამხობად მენშევიკებისა და კადეტებისათვის მუშაობის გაადვილება.

იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია, ბოლოს, შეიგნებს, თუ რა ღრმა განსხვავებაა პირველი სახის შექებასა და მეორე სახის შექებას შორის.

3. შეცდომებიც არის და შეცდომებიც

ოპოზიცია აქ ლაპარაკობდა ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრების ზოგიერთ შეცდომაზე. ცალკეული შეცდომები, რა თქმა უნდა, ყოფილა. ჩვენში არ არიან აბსოლუტურად «შეუცდომელი» ადამიანები. ასეთი ადამიანები საერთოდაც არ მოიპოვებიან. მაგრამ შეცდომები სხვა-

დასხვანაირია. არის შეცდომები, რომლებსაც შეცდომების ავტორები დაჟინებით არ იცავენ და რომელთაგანაც პლატფორმები, მიმდინარეობანი, ფრაქციები არ იქმნებიან. ასეთ შეცდომებს მალე ივიწყებენ. არის მეორენაირი შეცდომებიც, რომლებსაც შეცდომების ავტორები დაჟინებით იცავენ და რომელთაგანაც იქმნებიან ფრაქციები, პლატფორმები და ბრძოლა პარტიაში. ასეთი შეცდომები არ შეიძლება მალე მიეცეს დავიწყებას.

შეცდომათა ეს ორი კატეგორია ზუსტად უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან.

აი, მაგალითად, ტროცკი ამბობს, რომ მე ერთ ხანს შეცდომა დავუშვი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დარგში. ეს მართალია. ჩვენი დამამზადებელი ორგანოების მოშლის პერიოდში მე მართლაც ვიძლეოდი წინადადებას — **დროებით** გაგვეხსნა ერთ-ერთი ნავსადგური პურის გასატანად. მაგრამ დაჟინებით არ დამიცავს ჩემი შეცდომა და ლენინთან მოლაპარაკების შემდეგ დაუყოვნებლივ გავასწორე იგი. ტროცკის ასეთი შეცდომები, რომლებიც შემდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა გაასწორა, რომლებიც შემდეგ მას დაჟინებით აღარ დაუცავს, მე შემიძლია ათობით, ასობით ჩამოვთვალო. მე რომ შევდგომოდი ყველა იმ, ძალიან სერიოზული, ნაკლებად სერიოზული და მცირედ სერიოზული შეცდომის ჩამოთვლას, რომლებიც ტროცკიმ ცენტრალურ კომიტეტში თავისი მუშაობის დროს დაუშვა, მაგრამ რომლებიც დაჟინებით აღარ დაუცავს და რომლებიც დავიწყებულ იქნენ, — ამის შესახებ რამდენიმე რეფერატის წაკითხვა მომიხდებოდა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში, პოლიტიკურ პოლემიკაში უნდა ვილაპარაკოთ არა ასეთ შეცდომებზე, არამედ ისეთებზე, რომლებიც შემდეგ პლატფორმებად განვითარდნენ და პარტიის შიგნით ბრძოლა გამოიწვიეს.

მაგრამ ტროცკი და კამენევი სწორედ ისეთი შეცდომების საკითხს შეეხნენ, რომლებიც ოპოზიციურ მიმდინარეობებად არ განვითარებულან და რომლებიც მალე დავიწყებულ იქნენ. და ვინაიდან ოპოზიცია სწორედ ამ საკითხებს შეეხო, ნება მიბოძეთ მეც მოგაგონოთ აქ ზოგიერთი ამგვარი შეცდომა, რომლებიც თავის დროზე დაუშვეს ოპოზიციის ლიდერებმა. იქნებ ეს მათ გაკვეთილად გამოადგეთ და მეორედ აღარ ეცადონ ჩაებღაუჭონ უკვე დავიწყებულ შეცდომებს.

იყო დრო, როცა ტროცკი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამტკიცებდა, საბჭოთა ხელისუფლება ბეწვზე ჰკიდია, «გუგულმა უკვე დაგვძახა», და საბჭოთა ხელისუფლებას რამდენიმე თვის ან კვირის სიცოცხლე-ღა დარჩენიაო. ეს იყო 1921 წელს. ეს იყო უაღრესად საშიში შეცდომა, რომელიც მოწმობდა ტროცკის საშიშ განწყობილებას. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა ამისათვის იგი სასაცილოდ აიგდო, ტროცკისაც დაჟინებით აღარ დაუცავს თავისი ეს შეცდომა, და შეცდომა დავიწყებულ იქნა.

იყო დრო — ეს იყო 1922 წელს, — როცა ტროცკი წინადადებას იძლეოდა — ჩვენი სამრეწველო საწარმოებისა და ტრესტებისათვის ნება დაგვერთო დაეგირავებინათ კრედიტის მისაღებად სახელმწიფო ქონება, მათ შორის ძირითადი კაპიტალიც, კერძო კაპიტალისტებისათვის. (ა მ ხ. ი ა რ ო ს ლ ა ვ ს კ ი: «ეს კაპიტულაციის გზაა»). ნამდვილად რომ ითქვას, ასეც არის. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩვენი საწარმოების დენაციონალიზაციის წინაპირობა იქნებოდა. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა ეს გეგმა უარყო, ტროცკი იბრძოდა, მაგრამ შემდეგ თავი დაანება თავისი შეცდომის დაჟინებით დაცვას, და შეცდომა ახლა დავიწყებულია.

იყო დრო — ეს იყო 1922 წელს, — როცა ტროცკი წინადადებას იძლეოდა — მოგვეხდინა ჩვენი მრეწველობის ძლიერი კონცენტრაცია, ისეთი უგუნური კონცენტრაცია,

რომელიც უთუოდ ფაბრიკა-ქარხნების გარეთ დატოვებდა ჩვენი მუშათა კლასის დაახლოებით მესამედ ნაწილს. ცენტრალურმა კომიტეტმა უარყო ტროცკის ეს წინადადება, როგორც რადაც სქოლასტიკური, უგუნური და პოლიტიკურად საშიში. ტროცკიმ რამდენჯერმე მოაგონა ცენტრალურ კომიტეტს, მომავალში მაინც მოგვიხდება ამ გზას დავადგეთო. მაგრამ ჩვენ ამ გზას არ დავადექით. (ხმა ადგილიდან: «პუტილოვის ქარხნის დახურვა მოგვიხდებოდა»). დიახ, საქმე აქეთ მიდიოდა. მაგრამ შემდეგში ტროცკიმ თავი დაანება თავისი შეცდომის დაჟინებით დაცვას, და შეცდომა დავიწყებულ იქნა.

და სხვა და ასე შემდეგ.

ანდა ავიღოთ ტროცკის მეგობრები — ზინოვიევი და კამენევი, რომლებსაც უყვართ ხშირად მოგვაგონონ, რომ ბუხარინმა როგორღაც ერთხელ თქვა — «გამდიდრდითო», და ბუქნას უვლიან ამ «გამდიდრდით»-ის გარშემო.

ეს იყო 1922 წელს, როცა ჩვენ მსჯელობა გვქონდა ურკარტის კონცესიის საკითხზე, ამ კონცესიის ყოვლად კაბალურ პირობებზე. მერე? განა ფაქტი არ არის, რომ კამენევი და ზინოვიევი წინადადებას იძლეოდნენ მიგვეღო ურკარტის კონცესიის კაბალური პირობები და დაჟინებითაც იცავდნენ თავიანთ წინადადებას? მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა ურკარტის კონცესია უარყო, ზინოვიევი და კამენევი აღარ შეუდგნენ თავიანთი შეცდომის დაჟინებით დაცვას, და შეცდომა დავიწყებულ იქნა.

ანდა ავიღოთ, მაგალითად, კიდევ ერთი ფაქტი კამენევის შეცდომებიდან, რომელზეც მე არ მინდოდა მელაპარაკნა, მაგრამ კამენევი მაიძულებს გავიხსენო, ვინაიდან თავი მოგვაბეზრა ბუხარინის შეცდომის მოგონებით, იმ შეცდომის მოგონებით, რომელიც ბუხარინმა უკვე დიდი ხანია გაასწორა და დასძლია. ვლაპარაკობ ერთ ინციდენტზე, რომელიც

კამენევს შეემთხვა, როცა იგი გადასახლებული იყო ციმბირში, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა კამენევმა წარჩინებულ ვაჭრებთან ერთად ციმბირში (აჩინსკში) მონაწილეობა მიიღო კონსტიტუციონალისტ მიხეილ რომანოვისათვის მისასალმებელი დეპეშის გაგზავნაში (ხმები: «სირცხვილი!»), იმ მიხეილ რომანოვისათვის, რომელსაც მეფემ, ტახტიდან რომ გადადგა, «ტახტის დაკავების უფლება» გადასცა. რა თქმა უნდა, ეს ყოვლად სულელური შეცდომა იყო, და ამ შეცდომისათვის კამენევი მაგრად შეახურა ჩვენმა პარტიამ აპრილის კონფერენციის დროს 1917 წელს. მაგრამ კამენევმა თავისი შეცდომა აღიარა, და შეცდომა დავიწყებულ იქნა.

საჭიროა თუ არა ამგვარი შეცდომების მოგონება? რასაკვირველია, არ არის საჭირო, ვინაიდან ეს შეცდომები დავიწყებულია და უკვე დიდი ხანია ლიკვიდირებულია. მაშ რატომ ცხვირში სჩრიან ტროცკი და კამენევი ამგვარ შეცდომებს თავიანთ პარტიულ ოპონენტებს? განა ცხადი არ არის, რომ ამით ისინი მხოლოდ გვაიძულებენ გავიხსენოთ ოპოზიციის ლიდერების მრავალი შეცდომა? და ჩვენ იძულებული ვართ ასე მოვიქცეთ, თუნდაც იმისათვის, რომ გადავაჩვიოთ ოპოზიცია შარებსა და ჭორებს.

მაგრამ არის მეორენაირი შეცდომები, ისეთი შეცდომები, რომლებსაც ამ შეცდომების ავტორები დაჟინებით იცავენ და რომელთაგანაც შემდეგ ფრაქციული პლატფორმები იქმნებიან. ეს უკვე სულ სხვა ჯურის შეცდომებია. პარტიის ამოცანა ის არის, რომ გამოააშკარაოს ასეთი შეცდომები და დასძლიოს ისინი. ვინაიდან ასეთი შეცდომების დაძლევა იმის ერთადერთი საშუალებაა, რომ დავამკვიდროთ პარტიაში მარქსიზმის პრინციპები, შევინარჩუნოთ ერთიანობა პარტიაში, აღმოვფხვრათ ფრაქციულობა და შევქმნათ გარანტია ასეთი შეცდომების განმეორების წინააღმდეგ.

ავიღოთ, მაგალითად, ტროცკის შეცდომა ბრესტის ზავის დროს, შეცდომა, რომელიც გადაიქცა მთელ პლატფორმად პარტიის წინააღმდეგ. საჭიროა თუ არა ვიბრძოლოთ ასეთი შეცდომების წინააღმდეგ აშკარად და გადაჭრით? დიახ, საჭიროა.

ან ტროცკის მეორე შეცდომა პროფკავშირული დისკუსიის დროს, რომელმაც (შეცდომამ) გამოიწვია სრულიად რუსეთის დისკუსია ჩვენს პარტიაში.

ანდა, მაგალითად, ზინოვიევისა და კამენევის ოქტომბრის შეცდომა, რომელმაც პარტიაში კრიზისი შექმნა 1917 წლის ოქტომბრის აჯანყების წინ.

ანდა, მაგალითად, ოპოზიციური ბლოკის ახლანდელი შეცდომები, რომლებიც გადაიქცნენ ფრაქციულ პლატფორმად და პარტიის წინააღმდეგ ბრძოლად.

და სხვა და ასე შემდეგ.

საჭიროა თუ არა ვიბრძოლოთ ასეთი შეცდომების წინააღმდეგ აშკარად და გადაჭრით? დიახ, საჭიროა.

შეიძლება თუ არა დუმილით ავუაროთ გვერდი ასეთ შეცდომებს, როცა ლაპარაკია უთანხმოებაზე პარტიაში? ცხადია, არ შეიძლება.

4. პროლეტარიატის დიქტატურა ზინოვიევის მიხედვით

ზინოვიევი თავის სიტყვაში ლაპარაკობდა პროლეტარიატის დიქტატურაზე და გვარწმუნებდა, რომ სტალინი არასწორად განმარტავს პროლეტარიატის დიქტატურის ცნებას ცნობილ სტატიაში «ლენინიზმის საკითხებისათვის».

ეს ფუჭი ლაყბობაა, ამხანაგებო. ზინოვიევი აქ გამოლმა გვედავება, რომ გალმა შერჩეს. ნამდვილად ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმაზე, რომ ზინოვიევი ამახინჯებს პროლეტარიატის დიქტატურის ლენინურ გაგებას.

ზინოვიევს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ აქვს ორი ვერსია, რომელთაგან არც ერთს არ შეიძლება ეწო-

დოს მარქსისტული და რომლებიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

პირველი ვერსია. გამოდის რა სწორი დებულებიდან იმის შესახებ, რომ პარტია ძირითადი ხელმძღვანელი ძალაა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, ზინოვიევი მიდის სრულიად არასწორ დასკვნამდე იმის შესახებ, რომ **პროლეტარიატის დიქტატურა პარტიის დიქტატურაა.** ამით ზინოვიევი პარტიის დიქტატურას აიგივებს პროლეტარიატის დიქტატურასთან.

მაგრამ რას ნიშნავს პარტიის დიქტატურის გაიგივება პროლეტარიატის დიქტატურასთან?

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, — კლასსა და პარტიას შორის, მთელსა და ამ მთელის ნაწილს შორის თანასწორობის ნიშნის დასმას, რაც აბსურდი და სრული შეუსაბამობაა. ლენინი არასოდეს არ აიგივებდა და არც შეიძლებოდა გაეიგივებინა პარტია კლასთან. პარტიასა და კლასს შორის დგანან პროლეტარიატის მთელი რიგი მასობრივი უპარტიო ორგანიზაციები, ხოლო ამ ორგანიზაციების უკან დგას პროლეტართა კლასის მთელი მასა. ამ მასობრივი უპარტიო ორგანიზაციების და, მით უმეტეს, მუშათა კლასის მთელი მასის როლისა და ხვედრითი წონის უგულებელყოფა და იმის ფიქრი, რომ პარტიას შეუძლია შეცვალოს პროლეტარიატის მასობრივი უპარტიო ორგანიზაციები და საერთოდ მთელი პროლეტარული მასა, — ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია მოსწყვიტო მასებს, უმაღლეს წერტილამდე აიყვანო პარტიის ბიუროკრატიზაცია, გადააქციო პარტია შეუმცდარ ძალად, დანერგო პარტიაში «ნეჩაეველობა» [22], «არაკჩეევლობა» [23].

რაღა თქმა უნდა, ლენინს პროლეტარიატის დიქტატურის ასეთ «თეორიასთან» საერთო არა აქვს რა.

ეს ნიშნავს, მეორე მხრივ, იმას, რომ პარტიის დიქტატურა გესმოდეს არა გადატანითი მნიშვნელობით, არა მუშათა

კლასისადმი პარტიის **ხელმძღვანელობის** მნიშვნელობით, — და სწორედ ასე ესმოდა იგი ამხ. ლენინს, — არამედ გესმოდეს იგი სიტყვა «დიქტატურის» ზუსტი მნიშვნელობით, ე. ი. იმ მნიშვნელობით, რომ ხელმძღვანელობა შეიცვალოს მუშათა კლასის მიმართ პარტიის **ძალადობით**. ვინაიდან, რა არის დიქტატურა ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით? დიქტატურა, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არის ძალადობაზე დაყრდნობილი ძალაუფლება, ვინაიდან ძალადობის ელემენტების გარეშე დიქტატურა არ არსებობს, თუ დიქტატურას ავიღებთ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. შეიძლება თუ არა პარტია იყოს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა ძალადობას თავისი კლასის მიმართ, მუშათა კლასის უმრავლესობის მიმართ? ცხადია, არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა დიქტატურა არა ბურჟუაზიის მიმართ, არამედ დიქტატურა მუშათა კლასის მიმართ.

პარტია არის თავისი კლასის მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადი და არა მუშათა კლასის უმრავლესობის მიმართ ძალადობაზე დაყრდნობილი ხელისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი დარწმუნების მეთოდზე, როგორც მუშათა კლასის რიგებში პროლეტარული პარტიის მუშაობის ძირითად მეთოდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი იმაზე, რომ პარტია უნდა არწმუნებდეს პროლეტარიატის ფართო მასებს თავისი პოლიტიკის სისწორეში, რომ მხოლოდ ამ ამოცანის შესრულების მიმდინარეობაში შეუძლია პარტიას ჩათვალოს თავი ნამდვილად მასობრივ პარტიად, რომელსაც უნარი შესწევს ბრძოლაში წაიყვანოს პროლეტარიატი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიას მოუხდებოდა დარწმუნების მეთოდის შეცვლა ბრძანებითა და მუქარით პროლეტარიატის მიმართ, რაც აბსურდია და რაც სრულებით

შეუთავსებელია პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტულ გაგებასთან.

აი რა უაზრობას იწვევს ზინოვიევის «თეორია» პარტიის დიქტატურის (ხელმძღვანელობის) გაიგივებისა პროლეტარიატის დიქტატურასთან.

რაღა თქმა უნდა, ლენინს ამ «თეორიასთან» საერთო არა აქვს რა.

სწორედ ამ უაზრობის წინააღმდეგ ვილაშქრებდი ჩემს სტატიაში «ლენინიზმის საკითხებისათვის», როცა ზინოვიევის წინააღმდეგ გამოვდიოდი.

იქნებ ზედმეტი არ იყოს განვაცხადო, რომ ეს სტატია დაიწერა და დასაბეჭდად გადაეცა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგების სრული თანხმობითა და მოწონებით.

ასეთია პირველი ვერსია პროლეტარიატის დიქტატურისა ზინოვიევის მიხედვით.

ხოლო აი **მეორე ვერსიაც**. თუ პირველი ვერსია წარმოადგენს ლენინიზმის დამახინჯებას ერთი მიმართულებით, მეორე ვერსია წარმოადგენს დამახინჯებას სულ სხვა მიმართულებით, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება პირველ მიმართულებას. იგი, ეს მეორე ვერსია, იმაში მდგომარეობს, რომ ზინოვიევი პროლეტარიატის დიქტატურას განსაზღვრავს როგორც არა ერთი კლასის, არა პროლეტართა კლასის ხელმძღვანელობას, არამედ როგორც **ორი** კლასის, მუშებისა და გლეხების, ხელმძღვანელობას.

აი რას ამბობს ზინოვიევი ამის შესახებ:

«ამჟამად სახელმწიფოებრივი ცხოვრების **ხელმძღვანელობა**, საჭე, მიმართულება **ორი კლასის** — მუშათა კლასისა და გლეხობის ხელშია» (გ. ზინოვიევი. «მუშურ-გლეხური კავშირი და წითელი არმია». «პრიბოის» გამოცემა. ლ., 1925 წ., გვ. 4).

შეიძლება თუ არა იმის უარყოფა, რომ ამჟამად ჩვენში არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა? არა, არ შეიძლება. რაში მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენს

ქვეყანაში? ზინოვიევის მიხედვით იგი, თურმე, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ორი კლასი განაგებს. შესათავსებელია თუ არა ეს პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტულ გაგებასთან? ცხადია, რომ შეუთავსებელია.

ლენინი ამბობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის **ერთი** კლასის, პროლეტართა კლასის ბატონობა. პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის პირობებში პროლეტარიატის ეს **ერთმპყრობელობა** იმით გამოიხატება, რომ ხელმძღვანელ ძალას ამ კავშირში წარმოადგენს პროლეტარიატი, მისი პარტია, რომელიც არ უზიარებს და არც შეუძლია გაუზიაროს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელობა სხვა ძალას ან სხვა პარტიას. ყოველივე ეს იმდენად ელემენტარული და უდავოა, რომ არა გვგონია საჭირო იყოს ამ ელემენტარული ამბების განმარტება. ზინოვიევის მიხედვით კი გამოდის, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ორი კლასის ხელმძღვანელობაა. მაშ რატომ არ უნდა ვუწოდოთ ასეთ დიქტატურას არა პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა? და განა ცხადი არ არის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ზინოვიევისებური გაგებისას ჩვენ უნდა გვქონოდა ორი პარტიის ხელმძღვანელობა, «სახელმწიფოებრივი ცხოვრების საჭესთან» მდგომი ორი კლასის შესაბამისად? რა შეიძლება საერთო იყოს ზინოვიევის ამ «თეორიასა» და პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტულ გაგებას შორის?

რაღა თქმა უნდა, ლენინს ამ «თეორიასთან» საერთო არა აქვს რა.

დასკვნა: ზინოვიევი აშკარად ამახინჯებს ლენინურ მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, სულ ერთია, ზინოვიევის «თეორიის» პირველ ვერსიაზეა ლაპარაკი თუ მეორე ვერსიაზე.

5. ტროცკის მისნური წარმოსათქვამი

შემდეგ, მე მინდა შევჩერდე ტროცკის ზოგიერთ ორაზროვან განცხადებაზე, რომელთა მიზანი არსებითად ის არის, რომ შეცდომაში შეიყვანოს ადამიანები. მინდა მოვიყვანო სულ რამდენიმე ფაქტი.

ერთი ფაქტი. იმ კითხვაზე, თუ როგორ უყურებს ტროცკი თავის მენშევიკურ წარსულს, ტროცკიმ ერთგვარი პოზიორობით უპასუხა:

«უკვე თავისთავად ის ფაქტი, რომ მე ბოლშევიკურ პარტიაში შევედი... უკვე თავისთავად ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ მე პარტიის ზღურბლზე დავყარე ყოველივე ის, რაც მანამდე მაშორებდა ბოლშევიზმისაგან».

რას ნიშნავს «პარტიის ზღურბლზე ყოველივე იმის დაყრა, რაც აშორებდა» ტროცკის «ბოლშევიზმისაგან»? რემეკლე მართალი იყო, როცა ამის გამო შესძახა: «როგორ შეიძლება ასეთი რამეების დაყრა პარტიის ზღურბლზე». და მართლაც, როგორ შეიძლება პარტიის ზღურბლზე ასეთი სისაძაგლის დაყრა? (ს ი ც ი ლ ი). ეს კითხვა ტროცკიმ უპასუხოდ დატოვა.

გარდა ამისა, რას ნიშნავს პარტიის ზღურბლზე ტროცკის მენშევიკური გადმონაშთების დაყრა? მან ეს საგნები პარტიის ზღურბლზე დაყარა სათადარიგოდ — მომავალი ბრძოლებისათვის პარტიაში თუ აიღო და დასწვა ისინი? ისე ჰგავს, რომ ტროცკიმ ისინი პარტიის ზღურბლზე სათადარიგოდ დაყარა. თორემ სხვანაირად რით უნდა ავხსნათ ტროცკის ის პერმანენტული უთანხმოება პარტიასთან, რაც პარტიაში მისი შესვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო და დღემდე არ წყდება?

თვითონ განსაჯეთ. 1918 წელი, — ტროცკის უთანხმოება პარტიასთან ბრესტის ზავის საკითხზე და ბრძოლა პარტიის შიგნით. 1920 — 21 წლები, — ტროცკის უთანხმოება

პარტიასთან პროფესიული მოძრაობის საკითხზე და სრულიად რუსეთის დისკუსია. 1923 წელი, — ტროცკის უთანხმოება პარტიასთან პარტიული მშენებლობისა და სამეურნეო პოლიტიკის ძირითად საკითხებზე და დისკუსია პარტიაში. 1924 წელი, — ტროცკის უთანხმოება პარტიასთან ოქტომბრის რევოლუციის შეფასებისა და პარტიის ხელმძღვანელობის საკითხზე და დისკუსია პარტიაში. 1925 — 26 წლები, — ტროცკისა და მისი ოპოზიციური ბლოკის უთანხმოება პარტიასთან ჩვენი რევოლუციისა და მიმდინარე პოლიტიკის ძირითად საკითხებზე.

ეს მეტისმეტად ბევრი უთანხმოება ხომ არ არის იმ ადამიანისათვის, რომელმაც «პარტიის ზღურბლზე დაყარა ყოველივე ის, რაც მანამდე აშორებდა მას ბოლშევიზმისაგან»?

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ტროცკის ეს პერმანენტული უთანხმოება პარტიასთან «შემთხვევით მომხდარი შემთხვევაა» და არა კანონზომიერი მოვლენა?

არა მგონია შეიძლებოდეს ამის თქმა.

მაშ რა მიზანს შეიძლება ისახავდეს ტროცკის ეს მეტად ორაზროვანი განცხადება?

მე ვფიქრობ, მხოლოდ ერთ მიზანს: თვალი აუხვიოს მსმენელებს და შეცდომაში შეიყვანოს ისინი.

მეორე ფაქტი. ცნობილია, რომ ტროცკის პერმანენტული რევოლუციის «თეორიის» საკითხს მცირე მნიშვნელობა რომ აქვს ჩვენი პარტიის იდეოლოგიის თვალსაზრისით, ჩვენი რევოლუციის პერსპექტივების თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ეს «თეორია» იჩემებდა და კვლავაც იჩემებს — კონკურენცია გაუწიოს ლენინიზმის თეორიას ჩვენი რევოლუციის მამოძრავებელი ძალების საკითხში. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ტროცკის არა ერთხელ მიმართავდნენ შეკითხვით, თუ როგორია ახლა, 1926 წელს, მისი დამოკიდებულება მისივე პერმანენტული რევოლუციის «თეორიისადმი». ხოლო რა პასუხი მოგვცა ტროცკიმ თავის სტატიაში

კომინტერნის პლენუმზე? მეტად ორაზროვანი პასუხი. მან თქვა — პერმანენტული რევოლუციის «თეორიას» ზოგიერთი «ხარვეზი» აქვს, ამ «თეორიის» ზოგიერთმა მხარემ გამართლება ვერ პოვა ჩვენს რევოლუციურ პრაქტიკაშიო. გამოდის, რომ თუ ამ «თეორიის» ზოგიერთი მხარე «ხარვეზს» წარმოადგენს, არის ამ «თეორიის» სხვა მხარეებიც, რომლებიც «ხარვეზს» არ წარმოადგენენ და რომლებიც ძალაში უნდა დარჩნენ. მაგრამ როგორ გამოვყოთ პერმანენტული რევოლუციის «თეორიის» ზოგიერთი მხარე ამ «თეორიის» სხვა მხარეებისაგან? განა პერმანენტული რევოლუციის «თეორია» შეხედულებათა მთლიანი სისტემა არ არის? განა შეიძლება მივიჩნიოთ პერმანენტული რევოლუციის «თეორია» ყუთად, რომლის ორი კუთხე, ვთქვათ, დამპალა, დანარჩენი ორი კუთხე კი მთელი და საღი დარჩენილა? და შემდეგ, განა შეიძლება დავჯერდეთ აქ უბრალო განცხადებას საერთოდ «ხარვეზების» შესახებ, რაც არავის არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს, იმის დაუსახელებლად, თუ სახელდობრ **რა** «ხარვეზები» აქვს მხედველობაში ტროცკის და პერმანენტული რევოლუციის «თეორიის» სახელდობრ **რა** მხარეები მიაჩნია არასწორად? ტროცკი ლაპარაკობს პერმანენტული რევოლუციის «თეორიის» ზოგიერთ «ხარვეზზე», მაგრამ სახელდობრ რა «ხარვეზებს» გულისხმობს და ამ «თეორიის» სახელდობრ რა მხარეები მიაჩნია არასწორად, — ყოველივე ამაზე მას კრინტიც არ დაუძრავს. ამიტომ ტროცკის განცხადება ამ საკითხზე უნდა განვიხილოთ როგორც საკითხისათვის თავის არიდება, როგორც იმის ცდა, რომ თავი დაიძვრინოს ორაზროვანი ფრაზით «ხარვეზების» შესახებ, რაც ტროცკის არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს.

ტროცკი ამ შემთხვევაში ისევე მოიქცა, როგორც ძველად იქცეოდნენ ზოგიერთი მოხერხებული მისნები, როცა შემ-

კითხველთ თავიდან იშორებდნენ ორაზროვანი პასუხით, მაგალითად, ასეთით: «მდინარეზე გადასვლისას დამარცხდება დიდი ჯარი». **რომელ** მდინარეზე გადასვლისას, **ვისი** ჯარი დამარცხდება, — გაიგოს, ვისაც შეუძლია. (ს ი ც ი ლ ი).

6. ზინოვიევი მოსწავლის როლში, რომელსაც მოჰყავს მარქსის, ენგელსის, ლენინის ციტატები

შემდეგ, მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ზინოვიევის მიერ მარქსიზმის კლასიკოსთა ციტირების განსაკუთრებულ მანერაზე. ზინოვიევის ამ მანერის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი ერთმანეთში ურევს ყველა პერიოდსა და თარიღს, ერთ გროვად აქუჩებს მათ, მარქსისა და ენგელსის ცალკეულ დებულებებსა და ფორმულებს სწყვეტს სინამდვილესთან ცოცხალი კავშირისაგან, დახავსებულ დოგმებად აქცევს მათ და, ამრიგად, არღვევს მარქსისა და ენგელსის ძირითად მოთხოვნას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ «მარქსიზმი დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის».

აი რამდენიმე ფაქტი.

1) პირველი ფაქტი. ზინოვიევმა თავის სიტყვაში მოიყვანა ცნობილი ციტატა მარქსის ბროშურიდან «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში» (1848 — 1850 წწ.), სადაც ნათქვამია, რომ «მუშათა კლასის ამოცანა (ლაპარაკია სოციალიზმის გამარჯვებაზე. **ი. სტ.**) ვერ გადაიჭრება ნაციონალური საზღვრების ფარგლებში» [21].

შემდეგ ზინოვიევმა მოიყვანა შემდეგი ციტატა მარქსის წერილიდან ენგელსისადმი (1858 წ.):

«ჩვენთვის ძნელი საკითხია შემდეგი: კონტინენტზე რევოლუცია გარდუვალია და დაუყოვნებლივ მიიღებს სოციალისტურ ხასიათს. გარდუვალად ხომ არ გაისრისება იგი ამ პატარა კუთხეში იმის გამო, რომ გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიაზე ბურჟუაზიული საზო-

გადოების მოძრაობა **ჯერ კიდევ აღმავალი ხაზით მიდის?»** * (იხ. **კ. მარქსი და ფ. ენგელსი**, «წერილები», გვ. 74 — 75 [25]).

ზინოვიევს მოჰყავს მარქსის ეს ციტატები გასული საუკუნის 40 — 50-იანი წლების პერიოდისა და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი ამით უარყოფითად არის გადაჭრილი **კაპიტალიზმის ყველა დროისა და პერიოდისათვის.**

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ზინოვიევს გაუგია მარქსი, მისი თვალსაზრისი, მისი ძირითადი ხაზი ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების საკითხში? არა, არ შეიძლება ითქვას. პირიქით, ამ ციტატებიდან ჩანს, რომ ზინოვიევს სრულებით ვერ გაუგია მარქსი, რომ მან დაამახინჯა მარქსის ძირითადი თვალსაზრისი.

გამოდის თუ არა მარქსის ციტატებიდან, რომ ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია კაპიტალიზმის განვითარების **ყოველგვარ** პირობებში? არა, არ გამოდის. მარქსის სიტყვებიდან მხოლოდ ის გამოდის, რომ ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ** «ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობა ჯერ კიდევ **აღმავალი** ხაზით მიდის». ხოლო როგორ მოვიქცეთ, თუ მთლიანად ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობა, მოვლენათა მსვლელობის ძალით, მიმართულებას იცვლის და იწყებს სვლას **დაღმავალი** ხაზით? მარქსის სიტყვებიდან გამოდის, რომ **ასეთ** პირობებში ქრება საფუძველი ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის უარყოფისათვის.

ზინოვიევს ავიწყდება, რომ მარქსის ციტატები ეხება წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდს, როცა კაპიტალიზმი საერთოდ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, როცა საერთოდ კაპიტალიზმის ზრდას თან არ ახლდა ისეთი კაპი-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ტალისტურად განვითარებული ქვეყნის ლპობის პროცესი, როგორიც არის ინგლისი, როცა განვითარების უთანაბრობის კანონი ჯერ კიდევ არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ის მძლავრი ფაქტორი კაპიტალიზმის რღვევის საქმეში, როგორიც გახდა შემდეგში, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, იმპერიალიზმის პერიოდში. წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის მარქსის სიტყვები იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის ძირითადი ამოცანის გადაჭრა ცალკეულ ქვეყნებში შეუძლებელიაო, — სავსებით სწორია. მე ჯერ კიდევ ჩემს მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე ვთქვი, რომ ძველი დროისათვის, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი უარყოფითად წყდებოდა, და წყდებოდა სავსებით სწორად. ხოლო ახლა, კაპიტალიზმის ახლანდელ პერიოდში, როცა წინამონოპოლისტური კაპიტალიზმი იმპერიალისტურ კაპიტალიზმად გადაიზარდა, — შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საერთოდ კაპიტალიზმი ახლა ალმავალი ხაზით ვითარდება? არა, არ შეიძლება ითქვას. იმპერიალიზმის ეკონომიური არსის ანალიზი, რაც ლენინმა მოგვცა, მოწმობს, რომ იმპერიალიზმის პერიოდში ბურჟუაზიული საზოგადოება საერთოდ დაღმავალი ხაზით მიდის. ლენინი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი, იმპერიალისტური კაპიტალიზმი **მომაკვდავი** კაპიტალიზმია. აი რას ამბობს ამის შესახებ ამხ. ლენინი:

«გასაგებია, რატომ არის იმპერიალიზმი **მომაკვდავი**, სოციალიზმზე **გარდამავალი** კაპიტალიზმი: მონოპოლია, რომელიც **კაპიტალიზმიდან** წარმოიშობა, **უკვე** არის კაპიტალიზმის კვდომა, სოციალიზმში მისი გადასვლის დასაწყისი. იმპერიალიზმის მიერ შრომის გიგანტური **განხაზოგადოება** (ის, რასაც აპოლოგეტები — ბურჟუაზიული ეკონომისტები «გადახლართვას» უწოდებენ) იმასვე მოასწავებს» (იხ. **ლენინი**, ტ. XIX, გვ. 302).

ერთია წინამონოპოლისტური კაპიტალიზმი, რომელიც საერთოდ აღმავალი ხაზით ვითარდება. სულ სხვაა იმპერიალისტური კაპიტალიზმი, როცა მსოფლიო უკვე განაწილებულია კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის, როცა კაპიტალიზმის ნახტომისებური განვითარება მოითხოვს უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალ განაწილებას სამხედრო შეტაკებათა გზით, როცა იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის ამ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები და ომები ასუსტებენ კაპიტალიზმის მსოფლიო ფრონტს, ადვილად სავნებს ხდიან მას და ქმნიან ამ ფრონტის ცალკეულ ქვეყნებში გარღვევის შესაძლებლობას. იქ, წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელი ჩანდა. აქ, იმპერიალიზმის პერიოდში, მომაკვდავი კაპიტალიზმის პერიოდში, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვება უკვე შესაძლებელი გახდა.

აი რაშია საქმე, ამხანაგებო, და აი რის გაგება არ სურს ზინოვიევს.

• თქვენ ხედავთ, რომ ზინოვიევს მარქსის ციტატები მოჰყავს, როგორც მოსწავლეს, რომელიც გვერდს უვლის მარქსის **თვალსაზრისს** და ებღაუჭება მარქსის ცალკეულ ციტატებს, ხოლო ამ ციტატებს იგი იყენებს არა როგორც მარქსისტი, არამედ როგორც სოციალ-დემოკრატი.

რაში მდგომარეობს მარქსის ციტირების რევიზიონისტული მანერა? მარქსის ციტირების რევიზიონისტული მანერა იმაში მდგომარეობს, რომ მარქსის **თვალსაზრისს** ცვლიან მარქსის იმ ცალკეულ დებულებათა **ციტატებით,** რომლებიც აღებულია გარკვეული ეპოქის კონკრეტულ პირობებთან დაუკავშირებლად.

რაში მდგომარეობს მარქსის ციტირების ზინოვიევური მანერა? მარქსის ციტირების ზინოვიევური მანერა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მარქსის **თვალსაზრისს** ცვლის ასოთი,

მარქსის **ციტატებით**, რომლებიც მოწყვეტილია ცოცხალ კავშირს XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების განვითარების პირობებთან და გადაქცეულია დოგმად.

მე ვფიქრობ, რომ კომენტარები აქ ზედმეტია.

2) მეორე ფაქტი. ზინოვიევს მოჰყავს ენგელსის სიტყვები «კომუნიზმის პრინციპებიდან» [28] (1847 წ.) იმის შესახებ, რომ მუშათა რევოლუცია «არ შეიძლება ერთ რომელიმე ქვეყანაში მოხდეს», უპირისპირებს ენგელსის ამ სიტყვებს ჩემს განცხადებას საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე, რომ ჩვენ სსრ კავშირში უკვე განვახორციელეთ ცხრა მეათედი ენგელსის მიერ წამოყენებული თორმეტი მოთხოვნისა, და აქედან გამოჰყავს ორი დასკვნა: ჯერ-ერთი, იმის შესახებ, რომ სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ ქვეყნებში შეუძლებელია, მეორეც, იმის შესახებ, რომ მე ჩემს განცხადებაში შევალამაზე სსრ კავშირის თანამედროვე პირობები.

რაც შეეხება ენგელსის ციტატებს, უნდა ითქვას, რომ ზინოვიევი აქ იმავე შეცდომას უშვებს ციტატების განმარტებაში, რაც მარქსის მიმართ დაუშვა. გასაგებია, რომ წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, ბურჟუაზიული საზოგადოების საერთოდ ალმავალი ხაზით განვითარების პერიოდში ენგელსი ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხის უარყოფით გადაწყვეტამდე უნდა მისულიყო. მექანიკურად გაავრცელო ენგელსის ეს დებულება, რაც ნათქვამია კაპიტალიზმის ძველი პერიოდის მიმართ, კაპიტალიზმის ახალ პერიოდზე, იმპერიალისტურ პერიოდზე, — ნიშნავს იმას, რომ დაამახინჯო ენგელსისა და მარქსის თვალსაზრისი ასოს გულისათვის, ცალკეული ციტატისათვის, რომელიც აღებულია წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში განვითარების რეალურ პირობებთან დაუკავშირებლად. მე უკვე ვთქვი ჩემს მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფე-

რენციაზე, რომ თავის დროზე ენგელსის ეს ფორმულა ერთადერთი სწორი ფორმულა იყო. მაგრამ ხომ უნდა გავიგოთ, რომ არ შეიძლება გასული საუკუნის 40-იანი წლების პერიოდი, როცა ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მომაკვდავ კაპიტალიზმზე, გავუთანაბროთ კაპიტალიზმის განვითარების ახლანდელ პერიოდს, იმპერიალიზმის პერიოდს, როცა საერთოდ კაპიტალიზმი მომაკვდავი კაპიტალიზმია. განა ძნელი გასაგებია, რომ ის, რაც მაშინ შეუძლებლად ითვლებოდა, ახლა, კაპიტალიზმის ახალ პირობებში, შესაძლებელი და აუცილებელი გახდა?

თქვენ ხედავთ, რომ აქაც ენგელსის მიმართ ისევე, როგორც მარქსის მიმართ, ზინოვიევი მარქსიზმის კლასიკოსთა ციტირების თავისი რევიზიონისტული მანერის ერთგული დარჩა.

რაც შეეხება ზინოვიევის მეორე დასკვნას, აქ მან დაუშვა ენგელსის პირდაპირი დამახინჯება მისი 12 მოთხოვნის ანუ ღონისძიების საკითხში მუშათა რევოლუციის ხაზით. ზინოვიევს საქმე ისე გამოჰყავს, რომ ენგელსი თავის 12 მოთხოვნაში ვითომც იძლევა სოციალიზმის **გაშლილ** პროგრამას თვით კლასების მოსპობამდე, სასაქონლო წარმოების მოსპობამდე და, მაშასადამე, სახელმწიფოს მოსპობამდე. ეს სრულებით არ არის მართალი. ეს ენგელსის სრული დამახინჯებაა. ენგელსის 12 მოთხოვნაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი არც კლასების მოსპობაზე, არც სასაქონლო მეურნეობის მოსპობაზე, არც სახელმწიფოს მოსპობაზე, არც კერძო საკუთრების ყველა და ყოველგვარი ფორმის მოსპობაზე. პირიქით, ენგელსის 12 მოთხოვნა ეყრდნობა «დემოკრატიის» არსებობას (ენგელსი მაშინ «დემოკრატიად» პროლეტარიატის დიქტატურას გულისხმობდა), კლასების არსებობას და სასაქონლო მეურნეობის არსებობას. ენგელსი პირდაპირ ამბობს, რომ მისი 12 მოთხოვნით იგულისხმება უშუალო «ხელყოფა კერძო საკუთრებისა».

(და არა მისი სრული მოსპობა) და «პროლეტარიატის არსებობის უზრუნველყოფა» (და არა პროლეტარიატის, როგორც კლასის, მოსპობა). აი ენგელსის სიტყვები:

«პროლეტარიატის რევოლუცია, რომელიც უთუოდ მოხდება, შესძლებს მხოლოდ თანდათანობით გარდაქმნას ახლანდელი საზოგადოება და მხოლოდ მას შემდეგ გააუქმებს კერძო საკუთრებას, რაც უკვე შეიქმნება საამისოდ საჭირო მასა წარმოების საშუალებებისა... უწინარეს ყოვლისა იგი შექმნის დემოკრატიულ წყობილებას და ამით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, პროლეტარიატის პოლიტიკურ ბატონობას... დემოკრატია სრულიად უსარგებლო იქნებოდა პროლეტარიატისათვის, თუ მას იგი დაუყოვნებლივ არ გამოიყენებს, როგორც საშუალებას იმ ფართო ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც უშუალოდ ხელყოფენ კერძო საკუთრებას და უზრუნველყოფენ პროლეტარიატის არსებობას *. ეს უმთავრესი ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებლობით გამომდინარეობენ ამჟამად არსებული პირობებიდან, შემდეგია».

და ამას მოჰყვება უკვე ცნობილი 12 მოთხოვნის ანუ ღონისძიების ჩამოთვლა (იხ. **ენგელსი**, «კომუნიზმის პრინციპები»).

ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ ენგელსს ლაპარაკი აქვს არა სოციალიზმის გაშლილ პროგრამაზე კლასების, სახელმწიფოს, სასაქონლო წარმოებისა და სხვ. მოსპობით, არამედ სოციალისტური რევოლუციის **პირველ ნაბიჯებზე**, იმისათვის საჭირო **პირველ ღონისძიებებზე**, რომ მოვახდინოთ კერძო საკუთრების უშუალო ხელყოფა, უზრუნველვყოთ მუშათა კლასის არსებობა და განვამტკიცოთ პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა.

დასკვნა ერთია: ზინოვიევმა ენგელსი დაამახინჯა, მისი 12 მოთხოვნა სოციალიზმის გაშლილ პროგრამად რომ დაახასიათა.

რას ვამბობდი ჩემს საბოლოო სიტყვაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე? იმას, რომ ენგელსის მოთხოვ-

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. ი. სტ.

ნები ანუ ღონისძიებანი, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის პირველ ნაბიჯებს წარმოადგენენ, ჩვენში, სსრ კავშირში, $^{9}/_{10}$-ით უკვე განხორციელებულია.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენში უკვე განხორციელებულია სოციალიზმი?

ცხადია, არ ნიშნავს.

მაშასადამე, ზინოვიევმა, რომელიც ერთგულად იცავს ციტირების თავის მანერას, «პატარა» სიყალბე დაუშვა საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე ჩემი განცხადების შესახებ.

აი სად მიჰყავს ზინოვიევი მარქსისა და ენგელსის ციტირების სპეციფიკურ მანერას.

ციტირების ზინოვიევური მანერა მაგონებს ერთ, საკმაოდ სასაცილო «ისტორიას», რაც სოციალ-დემოკრატებს შეემთხვათ და რაც ერთმა შვედმა რევოლუციონერმა სინდიკალისტმა გვიამბო სტოკჰოლმში. ეს მოხდა 1906 წელს, ჩვენი პარტიის სტოკჰოლმის ყრილობის დროს. ამ შვედმა ამხანაგმა საკმაოდ სასაცილოდ დაგვიხატა თავის ნაამბობში, თუ რა ასკირკიტობის ყაიდაზე მოჰყავს ზოგიერთ სოციალ-დემოკრატს მარქსისა და ენგელსის ციტატები, ჩვენ კი, ყრილობის დელეგატები, მას რომ ვუსმენდით, პირდაპირ ვხარხარებდით. აი ამ «ისტორიის» შინაარსი. ამბავი ყირიმში ხდება ფლოტისა და ქვეითი ჯარის აჯანყების დროს. მოდიან ფლოტისა და ქვეითი ჯარის წარმომადგენლები და ეუბნებიან სოციალ-დემოკრატებს: უკანასკნელ წლებში თქვენ ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოგვიწოდებდით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენი მოწოდება სწორია, ჩვენ, მატროსები და ქვეითი ჯარი, შევთანხმდით ავჯანყდეთ და ახლა რჩევისათვის მოგმართავთო. სოციალ-დემოკრატები აფორიაქდნენ და უპასუხეს, არ შეგვიძლია ისე გადავწყვიტოთ აჯანყების საკითხი, თუ სპეციალური კონფერენცია არ მოვიწვიეთო. მატროსებმა აგრძნობინეს, დაყოვნება არ შეიძ-

ლება, საქმე უკვე მომზადებულია, და თუ სოციალ-დემოკრატებისაგან პირდაპირ პასუხს ვერ მიიღებენ, ხოლო სოციალ-დემოკრატები აჯანყების ხელმძღვანელობას არ მოჰკიდებენ ხელს, შეიძლება საქმე ჩაიშალოსო. მატროსები და ჯარისკაცები წავიდნენ დირექტივების მოლოდინში, სოციალ-დემოკრატებმა კი კონფერენცია მოიწვიეს საკითხის განსახილველად. აიღეს «კაპიტალის» პირველი ტომი, აიღეს «კაპიტალის» მეორე ტომი, აიღეს, ბოლოს, «კაპიტალის» მესამე ტომი. ეძებენ მითითებებს ყირიმის, სევასტოპოლის შესახებ, ყირიმის აჯანყების შესახებ. მაგრამ «კაპიტალის» სამ ტომში, ერთი რა არის, — ერთ მითითებასაც კი ვერ პოულობენ ვერც სევასტოპოლის, ვერც ყირიმის შესახებ, ვერც მატროსთა და ჯარისკაცთა აჯანყების შესახებ. (ს ი ც ი ლ ი). ფურცლავენ მარქსისა და ენგელსის სხვა თხზულებებს, ეძებენ მითითებებს, — სულ ერთია არავითარი მითითება არ აღმოჩნდა. (ს ი ც ი ლ ი). როგორ მოიქცნენ? მატროსები კი უკვე მოვიდნენ, პასუხს ელიან. მერე რა მოხდა? სოციალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, ასეთ ვითარებაში მატროსებისა და ჯარისკაცებისათვის რაიმე მითითების მიცემა არ შეგვიძლიაო. «ასე ჩაიშალა ფლოტისა და ქვეითი ჯარის აჯანყება», — დაამთავრა ამბის თხრობა შვედმა ამხანაგმა. (ს ი ც ი ლ ი).

უეჭველია, რომ ამ ნაამბობში დიდი გაზვიადებაა. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ეს ამბავი საკმაოდ მოხდენილად გადმოგვცემს მარქსისა და ენგელსის ციტირების ზინოვიევური მანერის ძირითად სენს.

3) მესამე ფაქტი. საქმე ეხება ციტატებს ლენინის თხზულებებიდან. რა არ ჩაიდინა ზინოვიევმა, რომ მთელი გროვა ციტატები ამოეგლიჯა ლენინის თხზულებებიდან და «თავბრუ დაეხვია» მსმენელთათვის. ზინოვიევი, ეტყობა, ფიქრობს, რომ რაც მეტი ციტატაა, მით უკეთესია, ამასთან ნაკლებად უწევს ანგარიშს იმას, თუ რაზეა ლაპარაკი

ციტატებში და რა დასკვნის გამოტანა შეიძლება მათგან. ხოლო თუ ყურადღებით წაიკითხავთ ამ ციტატებს, ძნელი არ იქნება იმის გაგება, რომ ზინოვიევს არ მოუყვანია ლენინის თხზულებებიდან არც ერთი ციტატა, რომელშიც თუნდაც გადაკრულად იყოს რაიმე ნათქვამი ოპოზიციური ბლოკის ახლანდელი კაპიტულანტური პოზიციის სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ზინოვიევს რატომღაც არ მოუყვანია ლენინის ერთ-ერთი ძირითადი ციტატა იმის შესახებ, რომ დიქტატურის «ეკონომიური პრობლემის» განხორციელება, ამ პრობლემის განხორციელების საქმეში სსრ კავშირის პროლეტარიატის გამარჯვება უეჭველყოფილად უნდა ჩაითვალოს.

ზინოვიევმა მოიყვანა ციტატა ლენინის ბროშურიდან «კოოპერაციის შესახებ», სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენ სსრ კავშირში გვაქვს ყოველივე, რაც აუცილებელი და საკმაოა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. მაგრამ მას ხელის განძრევაც არ უცდია იმისათვის, რომ თუნდაც გადაკვრით დაეყენებინა კითხვა, — რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ციტატიდან და ვის სასარგებლოდ არის მოყვანილი იგი: ოპოზიციური ბლოკის სასარგებლოდ თუ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) სასარგებლოდ.

ზინოვიევი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება შეუძლებელია, მაგრამ ამ დებულების დასამტკიცებლად მან ლენინის თხზულებებიდან ისეთი ციტატები მოიყვანა, რომლებიც თავდაყირა აყენებენ ზინოვიევის დებულებას.

აი, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ციტატა:

«მე უკვე არა ერთხელ მითქვამს: მოწინავე ქვეყნებთან შედარებით რუსებისათვის უფრო ადვილი იყო **დაეწყოთ** დიდი პროლეტარული რევოლუცია, მაგრამ მათთვის **უფრო ძნელი** იქნება **განაგრძონ** ეს

რევოლუცია და მიიყვანონ საბოლოო გამარჯვებამდე, **სოციალისტური ხაზოგადოების სრული ორგანიზაციის** მნიშვნელობით» * (იხ. ლენინი, ტ. XXIV, გვ. 250).

ზინოვიევი არც კი დაფიქრებულა იმაზე, რომ ეს ციტატა მეტყველებს არა ოპოზიციური ბლოკის სასარგებლოდ, არამედ პარტიის სასარგებლოდ, ვინაიდან აქ ლაპარაკია არა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობაზე, არამედ ამ აშენების სიძნელეებზე, ამასთან სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა ამ ციტატაში აღიარებულია, როგორც ისეთი რამ, რაც თავისთავად იგულისხმება. პარტია ყოველთვის ამბობდა, რომ სსრ კავშირში რევოლუციის დაწყება უფრო ადვილი იქნება, ვიდრე დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ სოციალიზმის აშენება უფრო ძნელი იქნება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამ ფაქტის აღიარება უდრის სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის უარყოფას? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. პირიქით, ამ ფაქტიდან მხოლოდ ის დასკვნა გამოდის, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება სავსებით შესაძლებელი და აუცილებელია, მიუხედავად სიძნელეებისა.

იბადება კითხვა: რისთვის დასჭირდა ზინოვიევს ამგვარი ციტატები?

ეტყობა, იმისათვის, რომ ციტატების სიმრავლით მსმენელს «თავბრუ დაახვიოს» და წყალი აამღვრიოს. (სიცილი).

მაგრამ ახლა, მე ვფიქრობ, ცხადია, რომ ზინოვიევმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, რომ იგი აშკარად მოატყუა მარქსიზმის კლასიკოსთა ციტირების თავისმა ყოვლად სასაცილო მანერამ.

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

7. რევიზიონიზმი ზინოვიევის მიხედვით

დასასრულ რამდენიმე სიტყვა «რევიზიონიზმის» ცნების ზინოვიევური გაგების შესახებ. ზინოვიევის მიხედვით გამოდის, რომ მარქსის ან ენგელსის ძველი ფორმულებისა თუ ცალკეული დებულებების ყოველი გაუმჯობესება, ყოველი დაზუსტება და მით უმეტეს ახალი პირობების შესაბამისი სხვა ფორმულებით მათი შეცვლა რევიზიონიზმია. იბადება კითხვა, რატომ? განა მარქსიზმი მეცნიერება არ არის, და განა მეცნიერება არ ვითარდება, ახალი გამოცდილებით რომ მდიდრდება და ძველ ფორმულებს რომ აუმჯობესებს? თურმე იმიტომ, რომ «რევიზია» ნიშნავს «გადასინჯვას», ხოლო ძველი ფორმულების გაუმჯობესება და დაზუსტება არ შეიძლება მოხდეს ამ ფორმულების რამდენადმე გადაუსინჯავად, მაშასადამე, ძველი ფორმულების ყოველი დაზუსტება და გაუმჯობესება, ახალი გამოცდილებითა და ახალი ფორმულებით მარქსიზმის ყოველი გამდიდრება რევიზიონიზმი ყოფილა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სასაცილოა. მაგრამ რა ვუყოთ ზინოვიევს, თუ იგი თვითონ იყენებს თავს სასაცილო მდგომარეობაში და თანაც წარმოუდგენია, რომ რევიზიონიზმს ეომება.

უფლება ჰქონდა თუ არა, მაგალითად, სტალინს შეეცვალა და დაეზუსტებინა თავისივე საკუთარი ფორმულა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ (1924 წ.) ლენინიზმის მითითებებთან და ძირითად ხაზთან სრული შესაბამისობით? ზინოვიევის მიხედვით გამოდის, რომ არ ჰქონდა უფლება. რატომ? იმიტომ, რომ ძველი ფორმულის შეცვლა და დაზუსტება ამ ფორმულის გადასინჯვაა, ხოლო გადასინჯვა გერმანულად რევიზიას ნიშნავს. განა ცხადი არ არის, რომ სტალინი რევიზიონიზმის გზას დაადგა?

ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენ გვაქვს რევიზიონიზმის ახალი ზინოვიევური კრიტერიუმი, რომლითაც მარქსისტული აზროვნება განწირულია სრული უძრაობისათვის იმის შიშით, რომ რევიზიონიზმში არ დასდონ ბრალი.

თუ, მაგალითად, მარქსი გასული საუკუნის შუახანებში ამბობდა, კაპიტალიზმის განვითარების **ადმავალი ხაზის** დროს სოციალიზმის გამარჯვება ნაციონალურ საზღვრებში შეუძლებელიაო, ხოლო ლენინმა XX საუკუნის მე-15 წელს თქვა, რომ კაპიტალიზმის განვითარების **დაღმავალი ხაზის** დროს, მომაკვდავი კაპიტალიზმის დროს, ასეთი გამარჯვება შესაძლებელია, — გამოდის, რომ ლენინი მარქსის მიმართ რევიზიონიზმის გზას დაადგა.

თუ, მაგალითად, მარქსი გასული საუკუნის შუახანებში ამბობდა, სოციალისტური «გადატრიალება ევროპის კონტინენტის ყოველი ქვეყნის ან თუნდაც მთელი ევროპის კონტინენტის ეკონომიურ ურთიერთობაში, ინგლისის გამოკლებით, მხოლოდ ჭიქა წყალში დაყენებული ქარიშხალიაო»[27], ენგელსმა კი, გაითვალისწინა რა კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილება, შემდეგში ეს დებულება შეცვალა და თქვა, სოციალისტურ რევოლუციას «ფრანგი დაიწყებს, ხოლო გერმანელი დაამთავრებსო», — გამოდის, რომ ენგელსი მარქსის მიმართ რევიზიონიზმის გზას დაადგა.

თუ ენგელსი ამბობდა, სოციალისტურ რევოლუციას ფრანგი დაიწყებს, ხოლო გერმანელი დაამთავრებსო, მაშინ როცა ლენინმა, გაითვალისწინა რა სსრ კავშირში რევოლუციის გამარჯვების გამოცდილება, ცვლილება შეიტანა ამ ფორმულაში, სხვა ფორმულით შეცვალა იგი და თქვა, სოციალისტური რევოლუცია რუსმა დაიწყო, ხოლო გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი დაამთავრებსო, — გამოდის, რომ ლენინი ენგელსის მიმართ და, მით უმეტეს, მარქსის მიმართ რევიზიონიზმის გზას დაადგა.

აი, მაგალითად, ლენინის სიტყვები ამის შესახებ:

«სოციალიზმის დიდი ფუძემდებლები მარქსი და ენგელსი, მთელი რიგი ათეული წლების განმავლობაში მუშათა მოძრაობის განვითარებასა და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდას რომ აკვირდებოდნენ, ნათლად ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისათვის საჭირო იქნება მშობიარობის ხანგრძლივი ტკივილები, პროლეტარიატის დიქტატურის ხანგრძლივი პერიოდი, ყოველივე ძველის დამსხვრევა, კაპიტალიზმის ყველა ფორმის ულმობელი მოსპობა, თანამშრომლობა ყველა ქვეყნის მუშებისა, რომლებმაც უნდა გააერთიანონ მთელი თავიანთი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ საბოლოო გამარჯვება. და ისინი ამბობდნენ, XIX საუკუნის დამლევს ისე მოხდება, რომ «ფრანგი დაიწყებს, ხოლო გერმანელი დაამთავრებსო», — ფრანგი დაიწყებს იმიტომ, რომ რევოლუციის ათეული წლების მანძილზე ფრანგმა თავის თავში გამოიმუშავა ის თავდადებული თაოსნობა რევოლუციურ მოქმედებაში, რამაც იგი სოციალისტური რევოლუციის ავანგარდად გახადა.

ჩვენ ახლა საერთაშორისო სოციალიზმის ძალთა სხვა შეხამებას ვხედავთ. ჩვენ ვამბობთ, რომ მოძრაობა უფრო ადვილად იწყება იმ ქვეყნებში, რომლებიც არ ეკუთვნიან ექსპლოატაციის გამწევი ქვეყნების რიცხვს, ქვეყნების, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ უფრო იოლად ძარცვონ და შეუძლიათ მოისყიდონ თავიანთი მუშების ზედაფენები... **საქმე სხვანაირად წავიდა, ვიდრე მარქსი და ენგელსი მოელოდნენ ***, მათ ჩვენ, რუსეთის მშრომელ და ექსპლოატირებულ კლასებს, მოგვცეს საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის ავანგარდის საპატიო როლი, და ჩვენ ახლა ნათლად ვხედავთ, თუ რა შორს წავა რევოლუციის განვითარება; რუსმა დაიწყო — გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი დაამთავრებს, და სოციალიზმი გაიმარჯვებს» (იხ. **ლენინი**, ტ. XXII, გვ. 218).

თქვენ ხედავთ, რომ ლენინი აქ ენგელსისა და მარქსის პირდაპირ «გადასინჯვას» ახდენს და ზინოვიევის მიხედვით «რევიზიონიზმის» გზას ადგება.

თუ, მაგალითად, ენგელსმა და მარქსმა პარიზის კომუნა განსაზღვრეს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურა, რო-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

მელსაც, როგორც ცნობილია, ხელმძღვანელობდა ორი პარტია, რომელთაგან არც ერთი არ იყო მარქსისტული, ხოლო ლენინმა, გაითვალისწინა რა იმპერიალიზმის პირობებში კლასთა ბრძოლის ახალი გამოცდილება, შემდეგ თქვა, პროლეტარიატის ოდნავ მაინც განვითარებული დიქტატურის განხორციელება მხოლოდ ერთი პარტიის, მარქსიზმის პარტიის ხელმძღვანელობით შეიძლებაო, — გამოდის, რომ ლენინი მარქსისა და ენგელსის მიმართ აშკარა «რევიზიონიზმის» გზას დაადგა.

თუ ლენინი იმპერიალისტური ომის წინა პერიოდში ამბობდა, ფედერაცია სახელმწიფო წყობილების მიუღებელი ტიპიაო, ხოლო 1917 წელს, გაითვალისწინა რა პროლეტარიატის ბრძოლის ახალი გამოცდილება, შეცვალა, გადასინჯა ეს ფორმულა და თქვა, რომ ფედერაცია სახელმწიფო წყობილების მიზანშეწონილი ტიპია სოციალიზმზე გადასვლის დროს, — გამოდის, რომ ლენინი «რევიზიონიზმის» გზას დაადგა თავისი თავისა და ლენინიზმის მიმართ.

და სხვ. და ა. შ.

ამრიგად, ზინოვიევის მიხედვით გამოდის, რომ მარქსიზმი არ უნდა მდიდრდებოდეს ახალი გამოცდილებით, რომ მარქსიზმის ამა თუ იმ კლასიკოსთა ცალკეული დებულებებისა და ფორმულების ყოველი გაუმჯობესება რევიზიონიზმია.

რა არის მარქსიზმი? მარქსიზმი მეცნიერებაა. შეიძლება თუ არა, რომ მარქსიზმი დარჩეს და განვითარდეს როგორც მეცნიერება, თუ იგი არ გამდიდრდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილებით, თუ მან არ გადაამუშავა ეს გამოცდილება **მარქსიზმის თვალსაზრისით,** მარქსისტული მეთოდის **თვალთახედვით?** ცხადია, არ შეიძლება.

განა ამის შემდეგ ცხადი არ არის, რომ მარქსიზმი მოითხოვს ძველი ფორმულების გაუმჯობესებასა და გამდიდ-

რებას ახალი გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, მარქსიზმის თვალსაზრისის **შენარჩუნებით,** მისი მეთოდის შენარჩუნებით, ზინოვიევი კი პირიქით იქცევა, — იგი ინარჩუნებს ასოს და მარქსიზმის ცალკეულ დებულებათა ასოთი ცვლის მარქსიზმის თვალსაზრისს, მის მეთოდს.

რა შეიძლება საერთო ჰქონდეთ, ერთი მხრით, ნამდვილ მარქსიზმსა და, მეორე მხრით, მარქსიზმის ძირითადი ხაზის შეცვლას მარქსიზმის ცალკეულ ფორმულათა ასოთი და მარქსიზმის ცალკეული დებულებებიდან აღებული ციტატებით?

განა შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ ეს მარქსიზმი კი არ არის, არამედ მარქსიზმის კარიკატურაა?

მარქსსა და ენგელსს მხედველობაში ჰყავდათ სწორედ ისეთი «მარქსისტები», როგორიც ზინოვიევია, როცა ამბობდნენ: «ჩვენი მოძღვრება დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის».

ზინოვიევის უბედურება ის არის, რომ მას არ ესმის მარქსისა და ენგელსის ამ სიტყვების აზრი და მნიშვნელობა.

II

ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი

მე ვილაპარაკე ოპოზიციის იმ ცალკეულ შეცდომებსა და ფაქტიურ არასისწორეზე, რაც ოპოზიციის ლიდერების სიტყვებში შევამჩნიე. შევეცადე ამომეწურა ეს საკითხი საბოლოო სიტყვის პირველ ნაწილში ცალკეული შენიშვნების სახით. ახლა ნება მიბოძეთ პირდაპირ გადავიდე საქმის არსზე.

1. ცალკეულ ქვეყნებში პროლეტარულ რევოლუციათა წინაპირობები იმპერიალიზმის პერიოდში

პირველი საკითხია იმპერიალიზმის პერიოდში ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი. როგორც ხედავთ, საქმე ეხება არა ერთ რომელიმე ქვეყანას, არამედ ყველა ცოტად თუ ბევრად განვითარებულ იმპერიალისტურ ქვეყანას.

რაში მდგომარეობს ოპოზიციის ძირითადი შეცდომა ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების საკითხში?

ოპოზიციის ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ესმის ან არ სურს გაიგოს მთელი განსხვავება წინაიმპერიალისტურ კაპიტალიზმსა და იმპერიალისტურ კაპიტალიზმს შორის, მას არ ესმის იმპერიალიზმის ეკონომიური არსი და ერთმანეთში ურევს კაპიტალიზმის ორ სხვადასხვა ფაზას — წინაიმპერიალისტურ ფაზას და იმპერიალისტურ ფაზას.

ოპოზიციის ამ შეცდომიდან გამომდინარეობს მისი მეორე შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ესმის იმპერიალიზმის პერიოდში განვითარების უთანაბრობის კანონის აზრი და მნიშვნელობა, ამ კანონს უპირდაპირებს ტენდენციას ნიველირებისაკენ და, ამრიგად, ულტრაიმპერიალიზმის კაუცკიანურ პოზიციაზე ეშვება.

ეს ორი შეცდომა იწვევს ოპოზიციის მესამე შეცდომას, იმ შეცდომას, რომ წინაიმპერიალისტური კაპიტალიზმის საფუძველზე წარმოშობილ ფორმულებსა და დებულებებს იგი მექანიკურად ავრცელებს იმპერიალისტურ კაპიტალიზმზე, რის გამოც მიდის ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის უარყოფამდე.

რაში მდგომარეობს განსხვავება ძველ, წინამონოპოლისტურ კაპიტალიზმსა და ახალ, მონოპოლისტურ კაპიტა-

ლიზმს შორის, ეს განსხვავება ორი სიტყვით რომ გამოვთქვათ?

იგი იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფალი კონკურენციის საშუალებით კაპიტალიზმის განვითარება შეცვალა განვითარებამ კაპიტალისტთა გრანდიოზული მონოპოლისტური კავშირების საშუალებით, რომ ძველი, «კულტურული», «პროგრესული» კაპიტალი შეცვალა ფინანსურმა კაპიტალმა, «ლპობადმა» კაპიტალმა, რომ კაპიტალის «მშვიდობიანი» გაფართოება და «თავისუფალ» ტერიტორიებზე მისი გავრცელება შეცვალა ნახტომისებურმა განვითარებამ, განვითარებამ უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილების გზით — კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის სამხედრო შეტაკებათა საშუალებით, რომ, ამრიგად, ძველი კაპიტალიზმი, რომელიც საერთოდ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, შეცვალა მომაკვდავმა კაპიტალიზმმა, კაპიტალიზმმა, რომელიც საერთოდ დაღმავალი ხაზით ვითარდება.

აი რას ამბობს ლენინი ამის შესახებ:

«გავიხსენოთ, რაზეა დამყარებული კაპიტალიზმის წინა, «მშვიდობიანი», ეპოქის შეცვლა თანამედროვე, იმპერიალისტური ეპოქით: იმაზე, რომ თავისუფალმა კონკურენციამ ადგილი დაუთმო კაპიტალისტთა მონოპოლისტურ კავშირებს, და იმაზე, რომ მთელი დედამიწის სამყარო (დედამიწის სფერო? ი. სტ.) განაწილებულია. ცხადია, რომ ორივე ამ ფაქტს (და ფაქტორს) მართლაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს: თავისუფალი ვაჭრობა და მშვიდობიანი კონკურენცია შესაძლებელი და აუცილებელი იყო, სანამ კაპიტალს შეეძლო დაუბრკოლებლად გაედიდებინა კოლონიები და ხელთ ეგდო აფრიკაში და სხვ. დაუკავებელი მიწაწყალი, ამასთან კაპიტალის კონცენტრაცია ჯერ კიდევ სუსტი იყო, მონოპოლისტური საწარმოები, ე. ი. იმდენად დიდები, რომ ისინი მრეწველობის მოცემული დარგის **მთელი** ხაზით ბატონობენ, ჯერ კიდევ არ იყო. ასეთ მონოპოლისტურ საწარმოთა წარმოშობა და ზრდა... **შეუძლებელს** ხდის წინანდელ თავისუფალ კონკურენციას, ფეხქვეშ ნიადაგს აცლის მას, ხოლო დედამიწის სფეროს განაწილება **აუცილებელს ხდის** მშვიდობიანი გაფართოებიდან გადასვლას

შეიარაღებულ ბრძოლაზე კოლონიებისა და გავლენის სფეროების **გადანაწილებისათვის»** (იხ. ტ. XVIII, გვ. 254).

და შემდეგ:

«აღარ შეიძლება ძველებურად ცხოვრება შედარებით წყნარ კულტურულ, მშვიდობიან ვითარებაში, როცა კაპიტალიზმი **ნელი-ნელი ევოლუციის გზით ვითარდება** * და თანდათანობით ვრცელდება ახალ ქვეყნებზე, ვინაიდან დადგა სხვა ეპოქა. ფინანსური კაპიტალი **აძევებს** და გააძევებს მოცემულ ქვეყანას დიდ სახელმწიფოთა წყებიდან, წაართმევს მას კოლონიებსა და გავლენის სფეროებს» (იხ. ტ. XVIII, გვ. 256 — 257).

აქედან წარმოსდგება ლენინის ძირითადი დასკვნა იმპერიალისტური კაპიტალიზმის ხასიათის შესახებ:

«გასაგებია, რატომ არის იმპერიალიზმი **მომაკვდავი,** სოციალიზმზე **გარდამავალი** კაპიტალიზმი: მონოპოლია, რომელიც **კაპიტალიზმიდან** წარმოიშობა, **უკვე** არის კაპიტალიზმის კვდომა, სოციალიზმში მისი გადასვლის დასაწყისი. იმპერიალიზმის მიერ შრომის გიგანტური **განსაზოგადოება** (ის, რასაც აპოლოგეტები — ბურჟუაზიული ეკონომისტები «გადახლართვას» უწოდებენ) იმასვე მოასწავებს» (იხ. ტ. XIX, გვ. 302).

ჩვენი ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ მას არ ესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს განსხვავება წინაიმპერიალისტურ კაპიტალიზმსა და იმპერიალისტურ კაპიტალიზმს შორის.

ამრიგად, ჩვენი პარტიის პოზიციის გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს იმ ფაქტის აღიარება, რომ ახლანდელი კაპიტალიზმი, იმპერიალისტური კაპიტალიზმი მომაკვდავი კაპიტალიზმია.

სამწუხაროდ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი უკვე მოკვდა. მაგრამ ეს უეჭველად ნიშნავს, რომ საერთოდ კაპიტალიზმი მიდის არა აღორძინებისაკენ, არამედ კვდომისაკენ, რომ საერთოდ კაპიტალიზმი ვითარდება არა აღმავალი ხაზით, არამედ დაღმავალი ხაზით.

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ამ საერთო საკითხიდან გამომდინარეობს საკითხი იმპერიალიზმის პერიოდში განვითარების უთანაბრობისა.

ჩვეულებრივად რას გულისხმობენ ლენინელები, როცა ლაპარაკობენ იმპერიალიზმის პერიოდში განვითარების უთანაბრობაზე?

იმას ხომ არა, რომ სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების დონეში დიდი განსხვავება არსებობს, რომ ზოგი ქვეყანა ჩამორჩება სხვებს თავის განვითარებაში, რომ ეს განსხვავება უფრო და უფრო მატულობს?

არა, ამას არა. იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობისა და კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების დონის განსხვავების ერთმანეთში არევა ობივატელობის გზაზე დადგომას ნიშნავს. სწორედ ამ ობივატელობის გზას დაადგა ოპოზიცია, როცა საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე ერთმანეთში არია **განვითარების** უთანაბრობის საკითხი და სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო მდგომარეობის დონის განსხვავების საკითხი. სწორედ იმიტომ, რომ ამ აღრევიდან გამოდიოდა, მივიდა მაშინ ოპოზიცია იმ სრულიად არასწორ დასკვნამდე, რომ განვითარების უთანაბრობა წინათ მეტი იყო, ვიდრე იმპერიალიზმის დროს. სწორედ ამიტომ ამბობდა ტროცკი XV კონფერენციაზე, «XIX საუკუნეში ეს უთანაბრობა **მეტი** იყო, ვიდრე XX-შიო» (იხ. ტროცკის სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე). ამასვე ამბობდა მაშინ ზინოვიევი, რომელიც ამტკიცებდა: «მართალი არ არის, რომ კაპიტალისტური განვითარების უთანაბრობა იმპერიალისტური ეპოქის დასაწყისამდე ნაკლები იყო» (იხ. ზინოვიევის სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე).

მართალია, ახლა, XV კონფერენციაზე გამართული დისკუსიის შემდეგ, ოპოზიციამ საჭიროდ სცნო ფრონტი შეეცვალა და თავის სიტყვებში კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე რაღაც სრულიად საწინააღმდეგო გა-

ნაცხადა ან ცდილობდა პირდაპირ დუმილით აევლო გვერდი თავისი ამ შეცდომისათვის. აი, მაგალითად, ტროცკის განცხადება მის სიტყვაში გაფართოებულ პლენუმზე: «რაც შეეხება განვითარების ტემპს, იმპერიალიზმმა ეს უთანაბრობა **უზომოდ გაამწვავა»**. ხოლო რაც შეეხება ზინოვიევს, მან თავის სიტყვაში კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე კეთილგონივრულად მიიჩნია პირდაპირ დუმილით აევლო გვერდი ამ საკითხისათვის, თუმცა არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ დავა იყო სწორედ იმაზე — ძლიერდება უთანაბრობის კანონის მოქმედება იმპერიალიზმის პერიოდში თუ სუსტდება. მაგრამ ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ დისკუსიას ზოგი რამ შეუსწავლებია ოპოზიციისათვის და მისთვის უსარგებლოდ არ ჩაუვლია.

ამრიგად: არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის საკითხი და სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო მდგომარეობის დონის განსხვავების საკითხი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების დონის განსხვავების შესუსტება და ამ ქვეყნების ნიველირების განვითარება ასუსტებს იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედებას? არა, არ შეიძლება ითქვას. მატულობს თუ კლებულობს განვითარების დონის ეს განსხვავება? უეჭველად კლებულობს. იზრდება თუ მცირდება ნიველირება? უთუოდ იზრდება. ხომ არ ეწინააღმდეგება ნიველირების ზრდა იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის გაძლიერებას? არა, არ ეწინააღმდეგება. პირიქით, ნიველირება ის ფონი და ის ბაზაა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის მოქმედების გაძლიერება. მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც **არ** ესმით იმპერიალიზმის ეკონომიური არსი, როგორიც

არიან, მაგალითად, ჩვენი ოპოზიციონერები, შეუძლიათ ნიველირება დაუპირისპირონ იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის კანონს. სწორედ იმიტომ, რომ ჩამორჩენილი ქვეყნები აჩქარებენ თავიანთ განვითარებას და თანდათან უთანაბრდებიან მოწინავე ქვეყნებს, — სწორედ ამიტომ მწვავდება იმისათვის ბრძოლა, რომ ზოგმა ქვეყნებმა გაუსწრონ სხვებს, სწორედ ამიტომ **იქმნება შესაძლებლობა,** რომ ზოგმა ქვეყნებმა გაუსწრონ სხვა ქვეყნებს და განდევნონ ისინი ბაზრებიდან, რითაც შექმნან წინაპირობები სამხედრო შეტაკებებისათვის, კაპიტალიზმის მსოფლიო ფრონტის შესუსტებისათვის, სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარების მიერ ამ ფრონტის გარღვევისათვის. ვისაც ეს უბრალო რამ ვერ გაუგია, მას ვერაფერი გაუგია მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეკონომიური არსის საკითხში.

ამრიგად: ნიველირება ერთ-ერთი პირობაა იმპერიალიზმის პერიოდში განვითარების უთანაბრობის გაძლიერებისათვის.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი ქვეყნები ეწევიან სხვებს და შემდეგ უსწრებენ მათ სამეურნეო განვითარების მხრივ **ჩვეულებრივი წესით,** ასე ვთქვათ, **ევოლუციური** წესით, ისე, რომ არ ხდება ნახტომები, სამხედრო კატასტროფები, უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილება? არა, არ შეიძლება ეს ითქვას. ასეთი უთანაბრობა წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდშიც იყო, რაც იცოდა მარქსმა და რის შესახებაც წერდა ლენინი თავის ნაშრომში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» [28]. მაშინ კაპიტალიზმის განვითარება მეტად თუ ნაკლებად მშვიდად, მეტად თუ ნაკლებად ევოლუციურად მიმდინარეობდა, და ზოგი ქვეყნები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უსწრებდნენ სხვებს ისე,

რომ არ ხდებოდა ნახტომები და მსოფლიო მასშტაბის აუცილებელი სამხედრო შეტაკებანი. ახლა ამ უთანაბრობაზე როდია ლაპარაკი.

მაშ რა არის იმპერიალიზმის დროს კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის კანონი?

იმპერიალიზმის პერიოდში განვითარების უთანაბრობის კანონი ნიშნავს ზოგი ქვეყნების ნახტომისებურ განვითარებას სხვა ქვეყნებთან შედარებით, ზოგი ქვეყნების სწრაფად განდევნას მსოფლიო ბაზრიდან სხვა ქვეყნების მიერ, **უკვე განაწილებული მსოფლიოს** პერიოდულ გადანაწილებას სამხედრო შეტაკებათა და სამხედრო კატასტროფათა გზით, იმპერიალიზმის ბანაკში კონფლიქტების გაღრმავებასა და გამწვავებას, მსოფლიო კაპიტალიზმის ფრონტის შესუსტებას, ცალკეული ქვეყნების პროლეტარიატის მიერ ამ ფრონტის გარღვევის შესაძლებლობას, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

რაში მდგომარეობენ იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის კანონის ძირითადი ელემენტები?

ჯერ-ერთი, იმ ფაქტში, რომ მსოფლიო უკვე განაწილებულია იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის, მსოფლიოში «თავისუფალი», დაუკავებელი ტერიტორიები აღარ არის, და ახალი ბაზრები და ნედლეულის წყაროები რომ დაიკავო, რომ გაფართოვდე, — ამისათვის ძალით უნდა წაართვა სხვებს ეს ტერიტორია.

მეორეც, იმაში, რომ ტექნიკის უმაგალითო განვითარებამ და კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების დონეში გაძლიერებულმა ნიველირებამ შესაძლებელი გახადა და გააადვილა ზოგი ქვეყნების მიერ სხვებისათვის ნახტომისებური გასწრების საქმე, ნაკლებად ძლიერი, მაგრამ სწრაფი განვითარების პროცესში მყოფი ქვეყნების მიერ უფრო ძლიერი ქვეყნების განდევნის საქმე.

მესამეც, იმაში, რომ ცალკეულ იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის გავლენის სფეროების ძველი განაწილება თვითეულ შემთხვევაში ეჯახება მსოფლიო ბაზარზე ძალთა ახალ თანაფარდობას, რომ გავლენის სფეროების ძველ განაწილებასა და ძალთა ახალ თანაფარდობას შორის «წონასწორობის» დასამყარებლად აუცილებელია მსოფლიოს პერიოდული გადანაწილება იმპერიალისტური ომების გზით.

აქედან წარმოსდგება იმპერიალიზმის პერიოდში განვითარების უთანაბრობის გაძლიერება და გამწვავება.

აქედან წარმოსდგება ის, რომ შეუძლებელია იმპერიალიზმის ბანაკში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება.

აქედან წარმოსდგება უმწეობა ულტრაიმპერიალიზმის კაუცკიანური თეორიისა, რომელიც ქადაგებს, რომ შესაძლებელია ამ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება.

მაგრამ აქედან გამოდის, რომ ოპოზიცია, რომელიც უარყოფს იმპერიალიზმის პერიოდში განვითარების უთანაბრობის გაძლიერებისა და გამწვავების ფაქტს, ულტრაიმპერიალიზმის პოზიციაზე ეშვება.

ასეთია იმპერიალიზმის პერიოდში განვითარების უთანაბრობის დამახასიათებელი ნიშნები.

როდის დამთავრდა მსოფლიოს განაწილება იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის?

ლენინი ამბობს, რომ მსოფლიოს განაწილება დამთავრდა XX საუკუნის დამდეგს.

პირველად როდის დაისვა ნამდვილად საკითხი უკვე განაწილებული მსოფლიოს გადანაწილების შესახებ?

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში.

მაგრამ აქედან გამოდის, რომ **იმპერიალიზმის დროს** განვითარების უთანაბრობის კანონის აღმოჩენა და დასაბუთება შესაძლებელი იყო მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს.

სწორედ ამას ვამბობდი მე ჩემს მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე, როცა ვთქვი, რომ იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის კანონი ამხ. ლენინმა აღმოაჩინა და დაასაბუთა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომი უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილების პირველი ცდა იყო. ეს ცდა კაპიტალიზმს იმად დაუჯდა, რომ რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა და კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში იმპერიალიზმს ძირი გამოეთხარა.

რაღა თქმა უნდა, გადანაწილების პირველ ცდას უნდა მოჰყვეს მეორე ცდა, რისთვისაც უკვე წარმოებს მოსამზადებელი მუშაობა იმპერიალისტთა ბანაკში.

არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ გადანაწილების მეორე ცდა მსოფლიო კაპიტალიზმს გაცილებით უფრო ძვირად დაუჯდება, ვიდრე პირველი.

ასეთია მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების პერსპექტივები იმპერიალიზმის პირობებში უთანაბრობის კანონის თვალსაზრისით.

როგორც ხედავთ, ამ პერსპექტივებს პირდაპირ და უშუალოდ მივყავართ იმის შესაძლებლობისაკენ, რომ სოციალიზმმა ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში გაიმარჯვოს იმპერიალიზმის პერიოდში.

ცნობილია, რომ ლენინს ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა პირდაპირ და უშუალოდ გამოჰყავდა კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის კანონიდან. და ლენინი სავსებით მართალი იყო. ვინაიდან იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის კანონი სპობს ყოველგვარ ნიადაგს ყველა და ყოველნაირი სოციალ-დემოკრატების «თეორიული» ვარჯიშისათვის იმის შესახებ, რომ შეუძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

აი რას ამბობს ლენინი ამის შესახებ თავის საპროგრამო სტატიაში, რომელიც დაწერილია 1915 წელს:

«ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. **აქედან გამომდინარეობს** *, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232).

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი:

ა) ოპოზიციის ძირითადი შეცდომა ის არის, რომ იგი ვერ ხედავს განსხვავებას კაპიტალიზმის ორ ფაზას შორის ანდა გაურბის ამ განსხვავებისათვის ხაზის გასმას. ხოლო რატომ გაურბის იგი ამას? იმიტომ, რომ ამ განსხვავებას მივყავართ იმპერიალიზმის პერიოდში განვითარების უთანაბრობის კანონამდე.

ბ) ოპოზიციის მეორე შეცდომა ის არის, რომ მას არ ესმის იმპერიალიზმის დროს კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის კანონის გადამწყვეტი მნიშვნელობა ან სათანადოდ ვერ აფასებს ამ მნიშვნელობას. ხოლო რატომ ვერ აფასებს იგი ამას სათანადოდ? იმიტომ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის კანონის სწორი შეფასება იწვევს დასკვნას ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

გ) აქედან წარმოსდგება ოპოზიციის მესამე შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი უარყოფს იმპერიალიზმის დროს ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

ვინც უარყოფს ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას, ის იძულებულია მიაფუჩეჩოს იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის კანონის მნიშვნელობა, ხოლო ვინც იძულებულია მიაფუჩეჩოს უთა-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ნაბრობის კანონის მნიშვნელობა, მას არ შეუძლია არ მიჩქმალოს ის განსხვავება, რაც არსებობს წინაიმპერიალისტურ კაპიტალიზმსა და იმპერიალისტურ კაპიტალიზმს შორის.

ასეთია კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციების წინაპირობათა საკითხის ვითარება.

როგორია ამ საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა?

პრაქტიკის თვალსაზრისით ჩვენს წინაშე ისახება ორი ხაზი.

ერთი ხაზი — ესაა ხაზი ჩვენი პარტიისა, რომელიც ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს მოუწოდებს ემზადონ მომავალი რევოლუციისათვის, ფხიზლად ადევნონ თვალყური მოვლენათა მსვლელობას და მზად იყვნენ იმისათვის, რომ ხელსაყრელ პირობებში დამოუკიდებლად გაარღვიონ კაპიტალის ფრონტი, აიღონ ძალაუფლება და შეარყიონ მსოფლიო კაპიტალიზმის საფუძვლები.

მეორე ხაზი — ესაა ხაზი ჩვენი ოპოზიციისა, რომელიც თესავს ეჭვებს კაპიტალისტური ფრონტის დამოუკიდებლად გარღვევის მიზანშეწონილობის მიმართ და ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს მოუწოდებს — უცადონ «საყოველთაო კვანძის გახსნის» მომენტს.

თუ ჩვენი პარტიის ხაზი საკუთარ ბურჟუაზიაზე რევოლუციური შეტევის გაძლიერებისა და ცალკეული ქვეყნების პროლეტართა ინიციატივის გაშლის ხაზია, ჩვენი ოპოზიციის ხაზი არის ხაზი პასიური მოლოდინისა და ცალკეული ქვეყნების პროლეტართა ინიციატივის შებოჭვისა მათს ბრძოლაში თავიანთი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პირველი ხაზია ცალკეული ქვეყნების პროლეტართა აქტივიზაციის ხაზი.

მეორე ხაზია რევოლუციისაკენ პროლეტარიატის მისწრაფების შესუსტების ხაზი, პასიურობისა და მოლოდინის ხაზი.

ლენინი ათასგზის მართალი იყო, როცა წერდა შემდეგ წინასწარმეტყველურ სიტყვებს, რომლებიც პირდაპირ ეხება ჩვენს ახლანდელ დავას:

«მე ვიცი, მოიპოვებიან, რასაკვირველია, ბრძენები, რომლებსაც თავი ძალიან ჰკვიან ადამიანებად მიაჩნიათ და სოციალისტებსაც კი უწოდებენ თავიანთ თავს, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ არ უნდა აგვეღო ძალაუფლება მანამდე, სანამ რევოლუცია ყველა ქვეყანაში არ გაჩაღდებოდა. ისინი ვერ მიმხვდარან, რომ, როცა ასე ლაპარაკობენ, ამით რევოლუციას შორდებიან და ბურჟუაზიის მხარეზე გადადიან. დაცდა მანამდე, სანამ მშრომელი კლასები რევოლუციას მოახდენენ საერთაშორისო მასშტაბით, — ეს იმას ნიშნავს, რომ ყველანი გაიყინონ მოლოდინში. ეს უაზრობაა» (იხ. ტ. XXIII, გვ. 9).

ლენინის ამ სიტყვების დავიწყება არ შეიძლება.

2. როგორ ეწევა ზინოვიევი ლენინის «დამუშავებას»

მე ვლაპარაკობდი ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციების წინაპირობებზე. ახლა მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმაზე, თუ როგორ ამახინჯებს ანუ «ამუშავებს» ზინოვიევი ლენინის ძირითად სტატიას პროლეტარული რევოლუციების წინაპირობებისა და ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. ვგულისხმობ ლენინის ცნობილ სტატიას «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ», რომელიც დაწერილია 1915 წელს და რამდენჯერმე ციტირებულია ჩვენი კამათის დროს. ზინოვიევი მისაყვედურებდა, რომ ამ სტატიიდან ციტატა სრულად არ მოვიყვანე; ამასთან იგი ცდილობს ამ სტატიას ისეთი განმარტება მისცეს, რომელსაც არ შეიძლება სხვა რამე ეწოდოს, თუ არ ლენინის შეხედულებების, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების საკითხზე მისი ძირითადი ხაზის სრული დამახინჯება. ნება მიბოძეთ მოვიყვანო ეს ციტატა სრულად, ამასთან იმ სტრიქონებს, რომლებიც წინათ გამოვტოვე

დროის სიმცირის გამო, ხაზგასმით მოვიყვან. აი ეს ციტატა:

«ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, **დაუპირისპირდებოდა** დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს, აჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ. **პოლიტიკური ფორმა საზოგადოებისა, ხადაც პროლეტარიატი იმარჯვებს, ბურჟუაზიას რომ ამხობს, იქნება დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც სულ უფრო მეტად მოახდენს მოცემული ერის ან მოცემული ერების პროლეტარიატის ძალების ცენტრალიზაციას იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელნიც ჯერ კიდევ არ გადასულან სოციალიზმზე. შეუძლებელია კლასების მოსპობა ჩაგრული კლასის, პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე. შეუძლებელია სოციალიზმში ერების თავისუფალი გაერთიანება ჩამორჩენილი სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე»** (იხ. ტ. XVIII, გვ. 232 — 233).

ეს ციტატა რომ მოჰყავს, ზინოვიევი ორ შენიშვნას აკეთებს: პირველს — დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ და მეორეს — სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

შევეხოთ ჯერ პირველ შენიშვნას. ზინოვიევი ფიქრობს, რომ თუ ლენინი აქ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ლაპარაკობს, მაშინ შეიძლება საქმე ეხებოდეს, სულ ბევრი, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღებას, ამასთან ზინოვიევს არც კი შერცხვა საკმაოდ ბუნდოვნად, გადაკვრით, მაგრამ დაჟინებით მიეთითებინა, რომ ლენინი აქ, შესაძლოა, ბურჟუაზიულ რესპუბლიკაზე ლაპარაკობდესო. მართალია

თუ არა ეს? რასაკვირველია, არ არის მართალი. ზინოვიევის ეს არც თუ სავსებით ფაქიზი გადაკრული მითითება რომ გავაბათილოთ, ამისათვის საკმარისია წავიკითხოთ ციტატის უკანასკნელი სტრიქონები, სადაც ლაპარაკია «ჩამორჩენილი სახელმწიფოების წინააღმდეგ **.სოციალისტური** რესპუბლიკების ბრძოლაზე». ცხადია, დემოკრატიულ რესპუბლიკაზე რომ ლაპარაკობდა, ლენინი გულისხმობდა არა ბურჟუაზიულ რესპუბლიკას, არამედ სოციალისტურ რესპუბლიკას.

ლენინი 1915 წელს ჯერ კიდევ არ იცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას. ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს იცოდა, რომ ცალკეული საბჭოები წარმოადგენენ რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს ცარიზმის დამხობის პერიოდში. მაგრამ სახელმწიფო მასშტაბით გაერთიანებულ საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას, იგი მაშინ ჯერ კიდევ არ იცნობდა. საბჭოების რესპუბლიკა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, ლენინმა მხოლოდ 1917 წელს აღმოაჩინა და დაწვრილებით დაამუშავა გარდამავალი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ამ ახალი ფორმის საკითხი 1917 წლის ზაფხულში, უმთავრესად თავის წიგნში «სახელმწიფო და რევოლუცია» [20]. სწორედ ამით აიხსნება, რომ ციტატაში ლენინი ლაპარაკობს არა საბჭოთა რესპუბლიკაზე, არამედ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, რაშიაც, როგორც ციტატიდან ჩანს, გულისხმობს სოციალისტურ რესპუბლიკას. ლენინი აქ ისევე მოიქცა, როგორც თავის დროზე იქცეოდნენ მარქსი და ენგელსი, რომლებიც პარიზის კომუნამდე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმად თვლიდნენ საერთოდ რესპუბლიკას, ხოლო პარიზის კომუნის შემდეგ გაშიფ-

რეს ეს ტერმინი და თქვეს, ეს რესპუბლიკა პარიზის კომუნის ტიპის რესპუბლიკა უნდა იქნესო. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ლენინს თავის ციტატაში მხედველობაში რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა ჰქონოდა, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა «პროლეტარიატის დიქტატურაზე», «კაპიტალისტების ექსპროპრიაციაზე» და სხვ.

თქვენ ხედავთ, რომ ზინოვიევის მიერ ლენინის «დამუშავების» ცდას წარმატება არ მოჰყოლია.

გადავიდეთ ზინოვიევის მეორე შენიშვნაზე. ზინოვიევი გვარწმუნებს, რომ ამხ. ლენინის ფრაზა «სოციალისტური წარმოების მოწყობის» შესახებ ისე როდი უნდა გავიგოთ, როგორც იგი საერთოდ უნდა გაიგოს ნორმალურმა ადამიანმა, არამედ როგორღაც სხვანაირად, სახელდობრ ისე, თითქოს ლენინი აქ გულისხმობდა სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის მხოლოდ **დაწყებას.** რატომ, რა საფუძველზე, — ზინოვიევმა ეს არ ახსნა. ნება მიბოძეთ განვაცხადო, რომ ზინოვიევი აქ კიდევ ერთხელ ცდილობს «დაამუშაოს» ლენინი. ციტატაში პირდაპირ ნათქვამია, რომ «ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების **მოწყობის შემდეგ,** დაუპირისპირდებოდა დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს». აქ ნათქვამია — **«მოწყობის შემდეგ»** და არა «მოწყობას რომ შეუდგება». ნუთუ კიდევ მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ აქ განსხვავებაა? ნუთუ კიდევ მტკიცება ესაჭიროება იმას, რომ ლენინს ნაგულისხმევი რომ ჰქონოდა სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის მხოლოდ **დაწყება,** იგი იტყოდა — «მოწყობას რომ შეუდგება» და არა «მოწყობის შემდეგ». მაშასადამე, ლენინი გულისხმობდა სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის არა მარტო დაწყებას, არამედ გულისხმობდა სოციალისტური წარმოების მოწყობის შესაძ-

ლებლობასაც, ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური წარმოების აშენების შესაძლებლობას.

თქვენ ხედავთ, რომ ზინოვიევის მიერ ლენინის «დამუშავების» ეს მეორე ცდაც დიდი მარცხით დამთავრდა.

ზინოვიევი ცდილობს ლენინის «დამუშავების» ეს თავისი ცდები დაფაროს ლაზღანდარობით იმის შესახებ, რომ «არ შეიძლება სოციალიზმის აშენება ერთი ხელის მოსმით ორ კვირაში ან ორ თვეშიო». ვშიშობ, ზინოვიევს ეს ლაზღანდარობა იმისათვის სჭირდება, რომ «კარგი გამომეტყველებით ავი საქმე დაფაროს». სად ნახა ზინოვიევმა ისეთი ადამიანები, რომლებიც სოციალიზმის აშენებას ორ კვირაში, ორ თვეში ან ორ წელიწადში აპირებენ? რატომ არ დაასახელებს ასეთ ადამიანებს, თუ ისინი საერთოდ არსებობენ ბუნებაში? არ დაუსახელებია იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები ბუნებაში არ არსებობენ. ეს უშნო ლაზღანდარობა ზინოვიევს იმისათვის დასჭირდა, რომ დაეფარა თავისი «მუშაობა» ლენინისა და ლენინიზმის «დასამუშავებლად».

ამრიგად:

ა) გამოდიოდა რა იმპერიალიზმის დროს განვითარების უთანაბრობის კანონიდან, ლენინი თავის ძირითად სტატიაში «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში შესაძლებელია;

ბ) ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებად ლენინი გულისხმობს პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობას, კაპიტალისტების ექსპროპრიაციას და სოციალისტური წარმოების მოწყობას, ამასთან ყველა ეს ამოცანა თვითმიზანი კი არ არის, არამედ იმის საშუალებაა, რომ გამოვიდეთ დანარჩენი, კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ და დავეხმაროთ ყველა ქვეყნის პროლეტარებს მათს ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ;

გ) ზინოვიევმა სცადა შეეკვეცა ლენინიზმის ეს დებულებანი და «დაემუშავებინა» ლენინი ოპოზიციური ბლოკის ახლანდელი ნახევრად-მენშევიკური პოზიციის შესაბამისად. მაგრამ ეს ცდა უვარგისი საშუალებებით გაკეთებული ცდა აღმოჩნდა.

მე ვფიქრობ, რომ შემდგომი კომენტარები აქ ზედმეტია.

III

სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საკითხი

ახლა, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ გადავიდე სსრ კავშირში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხზე.

1. ოპოზიციის «მანევრები» და ლენინის პარტიის «ნაციონალ-რეფორმიზმი»

ტროცკიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ სტალინის ყველაზე დიდი შეცდომაა ერთ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის თეორია. ამრიგად, გამოდის, რომ ლაპარაკია არა ლენინის თეორიაზე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ, არამედ სტალინის რაღაც «თეორიაზე», რომელიც არავისთვის არ არის ცნობილი. მე ეს ისე მესმის, რომ ტროცკიმ მიზნად დაისახა აწარმოოს ბრძოლა ლენინის თეორიის წინააღმდეგ, მაგრამ ვინაიდან ლენინის წინააღმდეგ აშკარად ბრძოლა საზიფათო საქმეა, მან გადაწყვიტა ეს ბრძოლა აწარმოოს ისე, ვითომც სტალინის «თეორიას» ებრძვის. ტროცკის სურს ამით გაიადვილოს ლენინიზმთან ბრძოლა, სტალინის «თეორიის» კრიტიკით შენიღბოს ეს ბრძოლა. საქმის ვითარება რომ სწორედ ასეთია, სტალინი რომ აქ არაფერ შუაშია, სტალინის არავითარ «თეორიაზე»

ლაპარაკიც რომ არ შეიძლება, სტალინს რომ არასოდეს არ დაუჩემებია რაიმე ახალი ეთქვა თეორიაში, არამედ მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ გაეადვილებინა ლენინიზმის სრული გამარჯვება ჩვენს პარტიაში, წინააღმდეგ ტროცკის რევიზიონისტული ჯახირისა, — ამის ჩვენებას ქვემოთ შევეცდები. ჯერჯერობით კი აღვნიშნოთ, რომ ტროცკის განცხადება სტალინის «თეორიის» შესახებ არის მანევრი, ფანდი, ლაჩრული და უხეირო ფანდი, იმისათვის ნავარაუდევი, რომ ამ ფანდით დაფაროს თავისი ბრძოლა ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების ლენინური თეორიის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომელიც 1915 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. პატიოსანი პოლემიკის ნიშანია თუ არა ტროცკის ეს ხერხი, — ეს ამხანაგებმა განსაჯონ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის საკითხზე ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა გამოსავალ პუნქტს წარმოადგენენ ამხ. ლენინის ცნობილი საპროგრამო შრომები. ლენინის ამ შრომებში ნათქვამია, რომ ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვება იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება ამ დიქტატურის ეკონომიური პრობლემის გადაჭრის საქმეში უზრუნველყოფილია, რომ ჩვენ, სსრ კავშირის პროლეტარებს, გვაქვს ყოველივე ის, რაც აუცილებელი და საკმაოა სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

მე ეს-არის ახლა მოვიყვანე ციტატა ლენინის ცნობილი სტატიიდან, სადაც მან პირველად დააყენა ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი, და რომელსაც ამის გამო აქ აღარ გავიმეორებ. ეს სტატია დაწერილია 1915 წელს. ამ სტატიაში ნათქვამია, რომ ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვება, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღება, კაპიტალისტების ექსპროპრიაცია და სოციალისტური წარმოების მოწ-

ყობა — შესაძლებელია. ცნობილია, რომ ტროცკი მაშინვე, იმავე 1915 წელს, პრესაში გამოვიდა ლენინის ამ სტატიის წინააღმდეგ და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის ლენინურ თეორიას «ნაციონალური შეზღუდულობის» თეორია უწოდა.

იბადება კითხვა, რა შუაშია აქ სტალინის «თეორია»?

შემდეგ, ჩემს მოხსენებაში მე მოვიყვანე ციტატა ლენინის ცნობილი თხზულებიდან «ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში», სადაც პირდაპირ და გარკვეულად არის ნათქვამი, რომ სსრ კავშირში პროლეტარიატის გამარჯვება პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიური პრობლემის განხორციელების მხრივ უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს. ეს თხზულება დაწერილია 1919 წელს. აი ეს ციტატა:

«რაც უნდა იცრუონ, რა ცილისწამებასაც უნდა მიმართონ ყველა ქვეყნის ბურჟუებმა და მათმა პირდაპირმა და ფარულმა ხელშემწყობებმა (II ინტერნაციონალის «სოციალისტებმა»), უეჭველი რჩება: **პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ეკონომიური პრობლემის თვალსაზრისით ჩვენში უზრუნველყოფილია კომუნიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე.** მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია სწორედ იმიტომ არის გააფთრებული და ცოფსა ყრის ბოლშევიზმის წინააღმდეგ, აწყობს სამხედრო თავდასხმებს, შეთქმულებებსა და სხვას ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომ მშვენივრად ესმის **ჩვენი გამარჯვების გარდუვალობა საზოგადოებრივი მეურნეობის გარდაქმნაში, თუ ჩვენ სამხედრო ძალით არ გაგვსრისა. ხოლო ამგვარად ჩვენს გასრესას იგი ვერ ახერხებს»** * (იხ. ტ. XXIV, გვ. 510).

თქვენ ხედავთ, რომ ლენინი აქ პირდაპირ ლაპარაკობს საზოგადოებრივი მეურნეობის გარდაქმნის საქმეში, პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიური პრობლემის გადაჭრის საქმეში სსრ კავშირის პროლეტარიატის გამარჯვების შესაძლებლობაზე.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ცნობილია, რომ ტროცკი და მთლიანად ოპოზიცია არ ეთანხმებიან ამ ციტატაში მოცემულ ძირითად დებულებებს.

იბადება კითხვა, რაღა შუაშია აქ სტალინის «თეორია»? ბოლოს, მე მოვიყვანე ციტატა ლენინის ცნობილი ბროშურიდან, ბროშურიდან «კოოპერაციის შესახებ», რომელიც დაწერილია 1923 წელს. ამ ციტატაში ნათქვამია:

«მართლაც, სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციისაგან, მარტოოდენ კოოპერაციისაგან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც, განა ეს არ არის **ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების** აშენებისათვის? ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და **საკმაოა** ამ აშენებისათვის» * (იხ. ტ. XXVII, გვ. 392).

თქვენ ხედავთ, რომ ეს ციტატა არავითარ ეჭვს არ ტოვებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ.

თქვენ ხედავთ, რომ ამ ციტატაში ჩამოთვლილია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის აშენების მთავარი ფაქტორები: პროლეტარული ხელისუფლება, მსხვილი წარმოება პროლეტარული ხელისუფლების ხელში, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი, პროლეტარიატის ხელმძღვანელობა ამ კავშირში, კოოპერაცია.

ტროცკიმ სცადა ამას წინათ, საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე, დაეპირდაპირებინა ამ ციტატისათვის

* ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

მეორე ციტატა ლენინის თხზულებიდან, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ «კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია» (იხ. ტ. XXVI, გვ. 46). მაგრამ ამ ციტატების ერთმანეთისათვის დაპირისპირება იმას ნიშნავს, რომ დაამახინჯო ძირითადი აზრი ლენინის ბროშურისა «კოოპერაციის შესახებ». განა ელექტროფიკაცია მსხვილი წარმოების შემადგენელი ნაწილი არ არის და განა იგი საერთოდ შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში ისე, რომ არ გვექნეს მსხვილი წარმოება, რომელიც მოქცეული იქნება პროლეტარული ხელისუფლების ხელში? განა ცხადი არ არის, რომ ლენინის სიტყვები ბროშურაში «კოოპერაციის შესახებ» მსხვილი წარმოების, როგორც სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ფაქტორის შესახებ, ელექტროფიკაციასაც შეიცავენ?

ცნობილია, რომ ოპოზიცია მეტად თუ ნაკლებად აშკარა, ხოლო უფრო ხშირად ფარულ ბრძოლას ეწევა იმ ძირითად დებულებათა წინააღმდეგ, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამ ციტატაში ლენინის ბროშურიდან «კოოპერაციის შესახებ».

იბადება კითხვა, რა შუაშია აქ სტალინის «თეორია»? ასეთია ლენინიზმის ძირითადი დებულებანი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხზე.

პარტია ამტკიცებს, რომ ლენინიზმის ამ დებულებებს ძირფესვიანად ეწინააღმდეგებიან ტროცკისა და ოპოზიციური ბლოკის ცნობილი დებულებანი იმის შესახებ, რომ «სოციალიზმის მშენებლობა ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ფარგლებში **შეუძლებელია**», რომ «ერთ ქვეყანაში სოციალიზმის თეორია **ნაციონალური შეზღუდულობის თეორიული გამართლებაა**», რომ «ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი **ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას**» (ტროცკი).

პარტია ამტკიცებს, რომ ოპოზიციური ბლოკის ეს დებულებანი წარმოადგენენ ჩვენს პარტიაში სოციალ-დემოკრატიული გადახრის გამოხატულებას.

პარტია ამტკიცებს, რომ ტროცკის ფორმულა «ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების» შესახებ ლენინიზმთან კავშირის სრული გაწყვეტის ფორმულაა. ვინაიდან, რას ნიშნავს ის, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა «ევროპის პროლეტარიატის პირდაპირ სახელმწიფოებრივ დახმარებაზე» დამოკიდებული გავხადოთ? როგორ მოვიქცეთ, ევროპის პროლეტარიატმა უახლოეს წლებში რომ ვერ შესძლოს ძალაუფლების აღება? შეიძლება თუ არა, რომ ჩვენმა რევოლუციამ განუსაზღვრელი დროის მანძილზე ფუჭად იტრიალოს და ელოდეს, სანამ დასავლეთში რევოლუცია გაიმარჯვებდეს? შეიძლება თუ არა იმის იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზია დათანხმდება დასავლეთში რევოლუციის გამარჯვებას უცადოს და ხელს აიღებს თავის მუშაობაზე და თავის ბრძოლაზე ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების წინააღმდეგ? განა არ გამომდინარეობს ტროცკის ამ ფორმულიდან ის პერსპექტივა, რომ თანდათანობით დავუთმოთ ჩვენი პოზიციები ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებს, და შემდეგ ის პერსპექტივა, რომ ჩვენმა პარტიამ ხელი აიღოს ძალაუფლებაზე, თუ დასავლეთში რევოლუციის გამარჯვებამ დაიგვიანა?

განა ცხადი არ არის, რომ აქ საქმე გვაქვს ორ სრულიად სხვადასხვა ხაზთან, რომელთაგან ერთია პარტიისა და ლენინიზმის ხაზი, ხოლო მეორე — ოპოზიციისა და ტროცკიზმის ხაზი?

მე ვეკითხებოდი ჩემს მოხსენებაში ტროცკის და კვლავ ვეკითხები: განა მართალი არ არის, რომ ლენინის თეორიას ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ტროცკი 1915 წელს «ნაციონალური შეზ-

ღუდულობის» თეორიას უწოდებდა? მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. რატომ? ნუთუ დუმილის ხერხი პოლემიკაში გამბედაობის ნიშანია?

შემდეგ, მე ვეკითხებოდი ტროცკის და კვლავ ვეკითხები: განა მართალი არ არის, რომ მან გაიმეორა ბრალდება «ნაციონალური შეზღუდულობის» შესახებ სოციალიზმის მშენებლობის თეორიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ, 1926 წლის სექტემბერში, ოპოზიციისადმი მიმართულ თავის ცნობილ დოკუმენტში? მაგრამ პასუხი ამჯერადაც ვერ მივიღე. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ დუმილის ხერხიც ტროცკის თავისებური «მანევრია»?

რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ ტროცკი რჩება თავის ძველ პოზიციებზე — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ძირითად საკითხში ლენინიზმთან ბრძოლის პოზიციებზე.

იმას, რომ ტროცკის გამბედაობა არ ჰყოფნის პირდაპირ გამოვიდეს ლენინიზმის წინააღმდეგ და ცდილობს სტალინის არარსებული «თეორიის» კრიტიკით დაფაროს თავისი ეს ბრძოლა.

გადავიდეთ მეორე «მემანევრეზე», კამენევზე. იგი, ეტყობა, ტროცკის სენით დაავადებულა და აგრეთვე მანევრირებას შეუდგა. მაგრამ მანევრი მას უფრო უხეში გამოუვიდა, ვიდრე ტროცკის. თუ ტროცკი ცდილობდა ბრალი დაედო მარტო სტალინისათვის, კამენევმა აიღო და ბრალდება წაუყენა მთელ პარტიას, განაცხადა, რომ იგი, ე. ი. პარტია, «საერთაშორისო რევოლუციურ პერსპექტივას ნაციონალურ-რეფორმისტული პერსპექტივით ცვლის». თურმე ნუ იტყვით, ჩვენი პარტია საერთაშორისო რევოლუციურ პერსპექტივას ნაციონალ-რეფორმისტული პერსპექტივით ცვლის. მაგრამ ვინაიდან ჩვენი პარტია ლენინის პარტიაა, ვინაიდან იგი თავის გადაწყვეტილებებში სოციალიზმის მშენებლობის საკითხზე მთლიანად და სავსებით ეყრდნობა ლენინის

ცნობილ დებულებებს, გამოდის, რომ სოციალიზმის მშენებლობის ლენინის თეორია ნაციონალ-რეფორმიზმის თეორიაა. ლენინი «ნაციონალ-რეფორმისტია», — აი რა სისულელით გვიმასპინძლდება კამენევი.

აქვს თუ არა ჩვენს პარტიას რაიმე გადაწყვეტილება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხზე? დიახ, აქვს, და ძალიან გარკვეული გადაწყვეტილებანიც. როდის მიიღო პარტიამ ეს გადაწყვეტილებანი? ეს გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ჩვენი პარტიის XIV კონფერენციაზე 1925 წლის აპრილში. მე ვგულისხმობ XIV კონფერენციის ცნობილ რეზოლუციას კომინტერნის აღმასკომის მუშაობისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის შესახებ. ლენინურია თუ არა ეს რეზოლუცია? დიახ, ლენინურია, ვინაიდან ამის თავდებობას გაგვიწევენ ისეთი კომპეტენტური ადამიანები, როგორიც არიან: ზინოვიევი, რომელმაც XIV კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ამ რეზოლუციის **დასაცავად**, და კამენევი, რომელიც ამ კონფერენციას თავმჯდომარეობდა და რომელმაც ხმა მისცა ამ რეზოლუციის **სასარგებლოდ**.

რატომ მაშინვე არ შეეცადნენ კამენევი და ზინოვიევი ემხილებინათ პარტია წინააღმდეგობებში, უთანხმოებაში XIV კონფერენციის რეზოლუციასთან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხზე, რომელიც (რეზოლუცია), როგორც ცნობილია, მიღებულ იქნა **ერთხმად**?

თითქოს ამაზე ადვილი რა უნდა იყოს: პარტიას აქვს სპეციალური რეზოლუცია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხზე, მას ხმა მისცეს კამენევმა და ზინოვიევმა, ორივენი ახლა პარტიას ბრალს სდებენ ნაციონალ-რეფორმიზმში, — რატომ არ უნდა გამოიყენონ მათ არგუმენტად ისეთი დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი, როგორიც არის XIV კონფერენციის რეზოლუცია, რომე-

ლიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხს ეხება და რომელიც, ცხადია, თავიდან ბოლომდე ლენინურია?

მიაქციეთ თუ არა ყურადღება, რომ საერთოდ ოპოზიცია, განსაკუთრებით კი კამენევი, ისე უვლიდნენ გვერდს XIV კონფერენციის რეზოლუციას, როგორც კატა ცხელ ფაფას? (ს ი ც ი ლ ი). რით აიხსნება, რომ მათ ასე ეშინიათ XIV კონფერენციის რეზოლუციისა, რომელიც მიღებულ იქნა ზინოვიევის მოხსენების გამო და გატარდა კამენევის აქტიური ხელშეწყობით? რატომ არის, რომ კამენევსა და ზინოვიევს ეშინიათ თუნდაც გაკვრით მოიხსენიონ ეს რეზოლუცია? განა იგი, ეს რეზოლუცია, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას არ ეხება? განა სოციალიზმის მშენებლობის საკითხი ჩვენი დისკუსიის ძირითადი სადავო საკითხი არ არის?

მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ კამენევმა და ზინოვიევმა, რომლებიც 1925 წელს მხარს უჭერდნენ XIV კონფერენციის რეზოლუციას, შემდეგ უარყვეს ეს რეზოლუცია, უარყვეს, მაშასადამე, ლენინიზმი, გადავიდნენ ტროცკიზმის მხარეზე, და ახლა ეშინიათ თუნდაც გაკვრით შეეხონ ამ რეზოლუციას, რადგან ეშინიათ, რომ მხილებული იქნებიან.

რაზეა ლაპარაკი ამ რეზოლუციაში?

აი ციტატა ამ რეზოლუციიდან:

«საერთოდ სოციალიზმის გამარჯვება (**არა საბოლოო გამარჯვების აზრით**) **უთუოდ შესაძლებელია** * ერთ ქვეყანაში».

და შემდეგ:

«...ერთიმეორის პირდაპირ საწინააღმდეგო ორი საზოგადოებრივი სისტემის არსებობა იწვევს კაპიტალისტური ბლოკადის, ეკონომიური ზეგავლენის სხვა ფორმების, შეიარაღებული ინტერვენციის, რესტავრაციის მუდმივ საფრთხეს. მაშასადამე, **სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების**

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ერთადერთ გარანტიას, ე. ი. გარანტიას რესტავრაციისაგან, წარმოადგენს ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია მთელ რიგ ქვეყნებში. აქედან **სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენება ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი,** ტექნიკურ-ეკონომიურად უფრო განვითარებული ქვეყნების **«სახელმწიფოებრივი დახმარების» გარეშე** * (ტროცკი). პერმანენტული რევოლუციის ტროცკისტული თეორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ «სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა რუსეთში შესაძლებელი გახდება **მხოლოდ მას შემდეგ,** რაც პროლეტარიატი **გაიმარჯვებს** ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში» (ტროცკი, 1922 წ.), — მტკიცება, რომლითაც სსრ კავშირის პროლეტარიატი ახლანდელ პერიოდში ფატალისტური პასივობისათვის არის განწირული. ასეთი «თეორიების» წინააღმდეგ ამხ. ლენინი წერდა: «უსაზღვროდ შაბლონურია მათი საბუთი, რომელიც დაუზუპირებიათ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის განვითარების დროს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სოციალიზმისათვის არ მოვმწიფებულვართ, რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც ამბობენ სხვადასხვა «სწავლული» ვაჟბატონები მათი წრიდან, ობიექტური ეკონომიური წინაპირობები სოციალიზმისათვის» (შენიშვნები სუხანოვის შესახებ)». (რკპ(ბ) XIV კონფერენციის რეზოლუცია «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით» ³).

თქვენ ხედავთ, რომ XIV კონფერენციის რეზოლუცია ზუსტად გადმოგვცემს ლენინიზმის ძირითად დებულებებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის საკითხში.

თქვენ ხედავთ, რომ რეზოლუციაში ტროცკიზმი დახასიათებულია, როგორც ლენინიზმის მოპირდაპირე, ხოლო რეზოლუციის მთელი რიგი თეზისები ტროცკიზმის საფუძვლების პირდაპირი უარყოფიდან გამოდის.

თქვენ ხედავთ, რომ რეზოლუცია მთლიანად ასახავს იმ დავას, რაც ახლა კვლავ გაჩაღდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების საკითხზე.

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

თქვენ იცით, რომ ჩემი მოხსენება აგებული იყო ამ რეზოლუციის ხელმძღვანელ დებულებათა საფუძველზე.

თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ ჩემს მოხსენებაში სპეციალურად მოვიხსენიე XIV კონფერენციის რეზოლუცია, ბრალს ვდებდი კამენევსა და ზინოვიევს ამ რეზოლუციის დარღვევაში, ამ რეზოლუციისაგან განდგომაში.

რატომ არ სცადეს კამენევმა და ზინოვიევმა გაებათილებინათ ეს ბრალდება?

რაშია აქ საიდუმლოება?

საიდუმლოება აქ იმაშია, რომ კამენევმა და ზინოვიევმა უკვე დიდი ხანია უარყვეს ეს რეზოლუცია და, რაკი უარყვეს, — ტროცკიზმის მხარეზე გადავიდნენ.

ვინაიდან ორში ერთი:

ან XIV კონფერენციის რეზოლუცია ლენინური არ არის, — და მაშინ კამენევი და ზინოვიევი, რომლებმაც ხმა მისცეს ამ რეზოლუციას, ლენინელები არ იყვნენ;

ან ეს რეზოლუცია ლენინურია, — და მაშინ კამენევი და ზინოვიევი, რომლებიც ჩამოშორდნენ ამ რეზოლუციას, ლენინელები აღარ არიან.

აქ ზოგიერთმა ორატორმა (მათ შორის, ვგონებ, რიზემ) **თქვა,** ზინოვიევი და კამენევი კი არ გადასულან ტროცკიზმის **მხარეზე,** არამედ, პირიქით, ტროცკი გადავიდა ზინოვიევისა და კამენევის მხარეზეო. ყოველივე ეს ფუჭი ლაყბობაა, ამხანაგებო. კამენევისა და ზინოვიევის მიერ XIV კონფერენციის რეზოლუციის უარყოფის ფაქტი იმის პირდაპირი დადასტურებაა, რომ სწორედ კამენევი და ზინოვიევი გადავიდნენ ტროცკიზმის მხარეზე.

ამრიგად:

ვინ უარყო ლენინური ხაზი სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საკითხში, ხაზი, რომელიც ჩამოყალიბებულია რკპ(ბ) XIV კონფერენციის რეზოლუციაში?

გამოდის, რომ კამენევმა და ზინოვიევმა.

ვინ «შეცვალა საერთაშორისო რევოლუციური პერსპექტივა» ტროცკიზმით?

გამოდის, რომ კამენევმა და ზინოვიევმა.

თუ ახლა კამენევი ხმაურობს და გაჰყვირის ჩვენი პარტიის «ნაციონალ-რეფორმიზმზე», ეს იმიტომ ხდება, რომ ამით იგი ცდილობს ჩამოაშოროს ამხანაგების ყურადღება თავის შეცოდებას და გამოლმა შემოგვედავოს, რომ გაღმა შერჩეს.

სწორედ ამიტომ კამენევის «მანევრი» ჩვენი პარტიის «ნაციონალ-რეფორმიზმის» შესახებ ფანდია, უშნო და უხეში ფანდი, რაც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ჩვენი პარტიის «ნაციონალ-რეფორმიზმზე» ყვირილით დაფაროს თავისი უარყოფა XIV კონფერენციის რეზოლუციისა, თავისი უარყოფა ლენინიზმისა, თავისი გადასვლა ტროცკიზმის მხარეზე.

2. ჩვენ ვაშენებთ და შეგვიძლია ავაშენოთ სოციალიზმის ეკონომიური ბაზა სსრ კავშირში

ჩემს მოხსენებაში მე ვთქვი, რომ სოციალიზმის **პოლიტიკური** ბაზა ჩვენში უკვე შექმნილია — ეს არის პროლეტარიატის დიქტატურა. მე ვთქვი, რომ სოციალიზმის **ეკონომიური** ბაზა ჯერ კიდევ არ არის შექმნილი და იგი უნდა შევქმნათ. შემდეგ, მე ვთქვი, რომ ამის გამო საკითხი ასე დგას: გვაქვს თუ არა ჩვენ შესაძლებლობა ჩვენი საკუთარი ძალებით ავაშენოთ სოციალიზმის ეკონომიური ბაზა ჩვენს ქვეყანაში? ბოლოს, მე ვთქვი, რომ, თუ ამ საკითხს კლასობრივი ენით გამოვთქვამთ, იგი ასეთ სახეს მიიღებს: გვაქვს თუ არა ჩვენ შესაძლებლობა ჩვენი საკუთარი ძალებით დავძლიოთ ჩვენი, საბჭოთა, ბურჟუაზია?

ტროცკი თავის სიტყვაში ამტკიცებს, რომ, როცა სსრ კავშირში ბურჟუაზიის დაძლევაზე ვლაპარაკობდი, მე ვგუ-

ლისწმობდი მის პოლიტიკურ დაძლევას. ეს, რა თქმა უნდა, მართალი არ არის. ეს ტროცკის ფრაქციული გატაცებაა. ჩემი მოხსენებიდან ჩანს, რომ, სსრ კავშირის ბურჟუაზიის დაძლევაზე რომ ვლაპარაკობდი, მე ვგულისხმობდი მის ეკონომიურ დაძლევას, ვინაიდან პოლიტიკურად იგი უკვე დაძლეულია.

რას ნიშნავს სსრ კავშირის ბურჟუაზიის ეკონომიურად დაძლევა? ანდა სხვანაირად: რას ნიშნავს სსრ კავშირში სოციალიზმის ეკონომიური ბაზის შექმნა?

«სოციალიზმის ეკონომიური ბაზის შექმნა ნიშნავს იმას, რომ მჭიდროდ შევაკავშიროთ სოფლის მეურნეობა და სოციალისტური ინდუსტრია ერთ მთლიან მეურნეობად, დავუმორჩილოთ სოფლის მეურნეობა სოციალისტური ინდუსტრიის ხელმძღვანელობას, მოვაწესრიგოთ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის პროდუქტების გაცვლის საფუძველზე, დავკეტოთ და მოვსპოთ ყველა ის არხი, რომელთა საშუალებითაც იბადებიან კლასები და იბადება, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალი, შევქმნათ, ბოლოს და ბოლოს, წარმოებისა და განაწილების ისეთი პირობები, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ იწვევენ კლასების მოსპობას» (იხ. სტალინის მოხსენება კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულ პლენუმზე *).

აი როგორ განვსაზღვრავდი ჩემს მოხსენებაში სსრ კავშირში სოციალიზმის ეკონომიური ბაზის არსს.

ეს განსაზღვრა ზუსტი გადმოცემაა სოციალიზმის «ეკონომიური არსის», «ეკონომიური ბაზის» იმ განსაზღვრისა, რაც ლენინმა მოგვცა ბროშურის «სასურსათო გადასახადის შესახებ» [81] თავის ცნობილ მონახაზში.

სწორია თუ არა ეს განსაზღვრა, და შეგვიძლია თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ეკონომიური ბაზის აშენება, — აი რა არის ახლა ჩვენი უთანხმოების ძირითადი საკითხი.

* იხ. ეს ტომი, გვ. 24. რ ე დ.

ტროცკი არც კი შეხებია ამ საკითხს. მან აიღო და გვერდი აუარა ამ საკითხს, — ალბათ მიაჩნია, რომ უფრო ჰკვიანური იქნება ჩუმად იყოს.

ხოლო ჩვენ რომ ვაშენებთ სოციალიზმის ეკონომიურ ბაზას და შეგვიძლია ავაშენოთ იგი, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ:

ა) ჩვენი სოციალიზებული წარმოება მსხვილი და გაერთიანებული წარმოებაა, მაშინ როცა ჩვენს ქვეყანაში არანაციონალიზებული წარმოება წვრილი და დაქუცმაცებული წარმოებაა, ამასთან ცნობილია, რომ მსხვილი წარმოების, და ისიც გაერთიანებულის, უპირატესობა წვრილი წარმოების წინაშე უდავო ფაქტია;

ბ) ჩვენი სოციალიზებული წარმოება უკვე ხელმძღვანელობს და იმორჩილებს წვრილ წარმოებას, სულ ერთია, ქალაქის წვრილ წარმოებაზეა ლაპარაკი თუ სოფლისაზე;

გ) ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებთან სოციალისტური ელემენტების ბრძოლის ფრონტზე ამ უკანასკნელთ ძალთა უეჭველი უპირატესობა აქვთ პირველთა წინაშე და თანდათანობით მიიწევენ წინ, სძლევენ რა ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებს როგორც წარმოების დარგში, ისე მიმოქცევის დარგში.

აღარას ვამბობ სხვა ფაქტორებზე, რომლებიც იწვევენ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას კაპიტალისტურ ელემენტებზე.

რა საფუძველი გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის პროცესი კვლავაც არ გაგრძელდება?

ტროცკი თავის სიტყვაში ამბობდა:

«სტალინი ამბობს, რომ ჩვენ ვახორციელებთ სოციალიზმის მშენებლობას, ე. ი. ვცდილობთ მივაღწიოთ კლასებისა და სახელმწიფოს

მოსპობას, ე. ი. ვძლევთ ჩვენს ბურჟუაზიას. დიახ, ამხანაგებო, მაგრამ სახელმწიფოს ხომ სჭირდება არმია გარეშე მტრების წინააღმდეგ» (ციტატა მომყავს სტენოგრამის მიხედვით. ი. სტ.).

რას ნიშნავს ეს? რა აზრი აქვს ამ ციტატას? ამ ციტატიდან შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა: ვინაიდან სოციალიზმის ეკონომიური ბაზის აშენება კლასებისა და სახელმწიფოს მოსპობას ნიშნავს და ვინაიდან არმია ჩვენ მაინც დაგვჭირდება სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, მაშინ როცა არმია უსახელმწიფოოდ შეუძლებელია (ასე ფიქრობს ტროცკი), — გამოდის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ავაშენოთ სოციალიზმის ეკონომიური ბაზა იმ მომენტამდე, სანამ სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვის აუცილებლობა არ გაქრება.

ეს, ამხანაგებო, ყველა ცნების აღრევაა. ან აქ სახელმწიფოდ იგულისხმება სოციალისტური საზოგადოების მხოლოდ შეიარაღებული დაცვის აპარატი, რაც აბსურდია, ვინაიდან სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, ერთი კლასის იარაღია სხვა კლასების წინააღმდეგ, ამასთან, თავისთავად ცხადია, თუ კლასები არ არსებობენ, არც სახელმწიფო შეიძლება არსებობდეს. ან სოციალისტური საზოგადოების დაცვის არმია აქ ვერ წარმოუდგენიათ ისე, თუ სახელმწიფო არ არსებობს, რაც კვლავ აბსურდია, ვინაიდან თეორიულად სავსებით შესაძლებელია დავუშვათ საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც არ არსებობენ კლასები, არ არსებობს სახელმწიფო, მაგრამ არსებობს შეიარაღებული ხალხი, რომელიც თავის უკლასო საზოგადოებას იცავს გარეშე მტრებისაგან. სოციოლოგია იმის ბევრ მაგალითს გვაძლევს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყოფილან საზოგადოებანი, რომლებსაც არ ჰყავდათ კლასები, არ ჰქონდათ სახელმწიფო, მაგრამ ასე თუ ისე იცავდნენ თავს გარეშე მტრებისაგან. იგივე უნდა ითქვას მომავალ უკლასო საზოგადოებაზე, რომელშიც არ იქნებიან

კლასები და სახელმწიფო, მაგრამ რომელსაც მაინც შეიძლება ეყოლოს სოციალისტური მილიცია, რაც საჭირო იქნება გარეშე მტრებისაგან თავის დასაცავად. მე ნაკლებ მოსალოდნელად მიმაჩნია, რომ ჩვენში საქმე ასეთ მდგომარეობამდე მივიდეს, ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი და მით უმეტეს სოციალიზმის გამარჯვება და კლასების მოსპობა ისეთი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებია, რომლებმაც არ შეიძლება არ გამოიწვიონ კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტართა მძლავრი მისწრაფება სოციალიზმისაკენ, რომლებმაც არ შეიძლება არ გამოიწვიონ რევოლუციური აფეთქებანი სხვა ქვეყნებში. მაგრამ თეორიულად სავსებით დასაშვებია საზოგადოების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც შეიძლება წარმოვიდგინოთ სოციალისტური მილიციის არსებობა ისე, რომ კლასები და სახელმწიფო არ არსებობდნენ.

ესეც კია, ეს საკითხი რამდენადმე გაშუქებულია ჩვენი პარტიის პროგრამაში. აი რა არის იქ ნათქვამი:

«წითელ არმიას, როგორც პროლეტარული დიქტატურის იარაღს, აუცილებლობის გამო აშკარა კლასობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს, ე. ი. ის უნდა ყალიბდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატისაგან და გლეხობის ნახევრად-პროლეტარული ფენებისაგან, რომლებიც პროლეტარიატთან ახლოს დგანან. **მხოლოდ კლასების მოსპობასთან დაკავშირებით გადაიქცევა ასეთი კლასობრივი არმია საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ მილიციად**» * (იხ. საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამა [12]).

ტროცკიმ, ეტყობა, დაივიწყა ჩვენი პროგრამის ეს პუნქტი.

ტროცკი თავის სიტყვაში ამბობდა, ჩვენი სახალხო მეურნეობა დამოკიდებულია მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაზეო, და გვარწმუნებდა, რომ «იზოლირებული სამ-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ხედრო კომუნიზმიდან ჩვენ უფრო და უფრო მივდივართ მსოფლიო მეურნეობასთან **შეზრდამდე**».

ამრიგად, გამოდის, რომ ხდება **შეზრდა** მსოფლიო **კაპიტალისტურ** მეურნეობასთან ჩვენი სახალხო მეურნეობისა, სადაც წარმოებს ბრძოლა კაპიტალისტურ და სოციალისტურ ელემენტებს შორის. ვლაპარაკობ **კაპიტალისტურ** მსოფლიო მეურნეობაზე, ვინაიდან სხვა მსოფლიო მეურნეობა ამჟამად ბუნებაში არ არსებობს.

ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს აბსურდია. ეს ტროცკის ფრაქციული გატაცებაა.

არავინ არ უარყოფს, რომ არსებობს ჩვენი სახალხო მეურნეობის დამოკიდებულება მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაზე. ამას არავინ არ უარყოფდა და არც უარყოფს, ისევე როგორც არავინ უარყოფს იმას, რომ ყოველი ქვეყანა და ყოველი სახალხო მეურნეობა, მათ შორის ამერიკის სახალხო მეურნეობაც, დამოკიდებულია საერთაშორისო კაპიტალისტურ მეურნეობაზე. მაგრამ ეს დამოკიდებულება ორმხრივია. არა მარტო ჩვენი მეურნეობაა დამოკიდებული კაპიტალისტურ ქვეყნებზე, არამედ კაპიტალისტური ქვეყნებიც დამოკიდებული არიან ჩვენს მეურნეობაზე, ჩვენს ნავთზე, ჩვენს პურზე, ჩვენს ხე-ტყეზე, დასასრულ, ჩვენს თვალუწვდენ ბაზარზე. ჩვენ ვიღებთ კრედიტებს, ვთქვათ, «სტანდარტ ოილისაგან». ვიღებთ კრედიტებს გერმანელი კაპიტალისტებისაგან. მაგრამ ვიღებთ მათ არა ჩვენი მშვენიერი თვალების გულისათვის, არამედ იმიტომ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს ესაჭიროებათ ჩვენი ნავთი, ჩვენი პური, ჩვენი ბაზარი მოწყობილობის გასასაღებლად. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილს, წარმოადგენს უდიდეს ბაზარს გასაღებისათვის, და კაპიტალისტურ ქვეყნებს არ შეუძლიათ გვერდი აუხვიონ ამა თუ იმ ურთიერთობას ჩვენს ბაზართან. ყოველივე ეს არის კაპიტალისტური ქვეყნების

დამოკიდებულება ჩვენს მეურნეობაზე. აქ დამოკიდებულება ორმხრივია.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებზე ჩვენი სახალხო მეურნეობის დამოკიდებულება გამორიცხავს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის აშენების შესაძლებლობას? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. იმის წარმოდგენა, რომ სოციალისტური მეურნეობა აბსოლუტურად კარჩაკეტილია და მის გარშემო მყოფ სახალხო მეურნეობებზე აბსოლუტურად დამოუკიდებელი, — ნიშნავს სისულელის მტკიცებას. შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ სოციალისტურ მეურნეობას აბსოლუტურად არავითარი ექსპორტი და იმპორტი არ ექნება, რომ ის არ შემოიტანს იმ პროდუქტებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არ მოიპოვება, და არ გაიტანს ამასთან დაკავშირებით თავის პროდუქტებს? არა, არ შეიძლება ამის მტკიცება. ხოლო რა არის ექსპორტი და იმპორტი? ეს არის იმის გამოხატულება, რომ ერთი ქვეყანა მეორეზეა დამოკიდებული. ეს ეკონომიური ურთიერთდამოკიდებულების გამოხატულებაა.

იგივე უნდა ითქვას დღევანდელ კაპიტალისტურ ქვეყნებზე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ ვერც ერთ ქვეყანას, რომელსაც ექსპორტი და იმპორტი არ ჰქონდეს. ავიღოთ ამერიკა, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყანა. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ახლანდელი კაპიტალისტური სახელმწიფოები, ვთქვათ, ინგლისი ან ამერიკა, აბსოლუტურად დამოუკიდებელი ქვეყნები არიან? არა, არ შეიძლება ითქვას. რატომ? იმიტომ, რომ ისინი დამოკიდებული არიან ექსპორტსა და იმპორტზე, ისინი დამოკიდებული არიან სხვა ქვეყნების ნედლეულზე (ამერიკა დამოკიდებულია, მაგალითად, კაუჩუკზე და ნედლეულის სხვა საგნებზე), ისინი დამოკიდებული არიან გასაღების ბაზრებზე, სადაც ისინი ასაღებენ თავიანთ მოწყობილობასა და სხვა მზა საქონელს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თუ აბსოლუტურად დამოუკიდებელი ქვეყნები არ არსებობენ, ამით საერთოდ გამორიცხულია ცალკეულ სახალხო მეურნეობათა დამოუკიდებლობა? არა, არ ნიშნავს. ჩვენი ქვეყანა სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულია ისევე, როგორც სხვა ქვეყნები დამოკიდებული არიან ჩვენს სახალხო მეურნეობაზე, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა ქვეყანამ ამით დაკარგა ან დაკარგავს თავის დამოუკიდებლობას, რომ მას არ შეუძლია დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, რომ იგი საერთაშორისო კაპიტალისტური მეურნეობის პატარა ხრახნად უნდა გადაიქცეს. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ერთი ქვეყნის დამოკიდებულება მეორეზე და ამ ქვეყნების ეკონომიური დამოუკიდებლობა. ცალკეული სახალხო-სამეურნეო ერთეულების აბსოლუტური დამოუკიდებლობის უარყოფა კიდევ არ ნიშნავს და არ შეიძლება ნიშნავდეს ამ ერთეულების ეკონომიური თავისთავადობის უარყოფას.

მაგრამ ტროცკი ლაპარაკობს ჩვენი სახალხო მეურნეობის არა მარტო დამოკიდებულებაზე. იგი ამ დამოკიდებულებას აქცევს ჩვენი მეურნეობის შეზრდად კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობასთან. მაგრამ რას ნიშნავს ჩვენი სახალხო მეურნეობის შეზრდა კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობასთან? ეს ნიშნავს მის გადაქცევას მსოფლიო კაპიტალიზმის დანამატად. მაგრამ განა ჩვენი ქვეყანა მსოფლიო კაპიტალიზმის დანამატს წარმოადგენს? რა თქმა უნდა, არა! ეს სისულელეა, ამხანაგებო. ეს არასერიოზულობაა.

ეს რომ მართალი იყოს, ჩვენ არავითარი შესაძლებლობა არ გვექნებოდა დაგვეცვა ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, საგარეო ვაჭრობის ჩვენი მონოპოლია, ჩვენი ნაციონალიზებული ტრანსპორტი, ჩვენი ნაციონალიზებული კრედიტი, ჩვენი გეგმიანი ხელმძღვანელობა მეურნეობისადმი.

ეს რომ მართალი იყოს, ჩვენ უკვე ვიდგომებოდით ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ჩვეულებრივ კაპიტალისტურ მრეწველობად გადაგვარების გზაზე.

ეს რომ მართალი იყოს, ჩვენ არ გვექნებოდა წარმატებანი ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ბრძოლის ფრონტზე კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

ტროცკი თავის სიტყვაში ამბობდა, «სინამდვილეში ჩვენ მუდამ მსოფლიო მეურნეობის **კონტროლქვეშ** ვიქნებითო».

ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის კონტროლქვეშ განვითარდება, ვინაიდან სხვა მსოფლიო მეურნეობა, კაპიტალისტურის მეტი, ამჟამად ბუნებაში არ არსებობს.

მართალია თუ არა ეს? არა, არ არის მართალი. **ეს** კაპიტალისტურ ოინავართა ოცნებაა, რომელიც არასოდეს არ განხორციელდება.

რა არის კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის კონტროლი? კონტროლი კაპიტალისტების გაგებით ლიტონი სიტყვა როდია. კონტროლი კაპიტალისტების გაგებით — ეს რეალური რამ არის.

კაპიტალისტური კონტროლი — ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, საფინანსო კონტროლს. მაგრამ განა ჩვენი ბანკები ნაციონალიზებული არ არიან და განა ისინი ევროპის კაპიტალისტური ბანკების ხელმძღვანელობით მუშაობენ? საფინანსო კონტროლი ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნან დიდი კაპიტალისტური ბანკების განყოფილებანი, ნიშნავს იმას, რომ შეიქმნას ეგრეთწოდებული «ფილიალური» ბანკები. მაგრამ განა არსებობენ ჩვენში ასეთი ბანკები? რა თქმა უნდა, არა! და არა თუ არ არსებობენ, არამედ არც იქნებიან როდისმე, სანამ ცოცხალია საბჭოთა ხელისუფლება.

კაპიტალისტური კონტროლი — ეს ნიშნავს ჩვენი მრეწველობისადმი კონტროლს, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის დენაციონალიზაციას, ჩვენი ტრანსპორტის დენაციონალიზაციას. მაგრამ განა ჩვენი მრეწველობა ნაციონალიზებული არ არის და განა იგი არ იზრდება სწორედ როგორც ნაციონალიზებული მრეწველობა? განა ვინმე აპირებს თუნდაც ერთი ნაციონალიზებული საწარმოს დენაციონალიზაციას? მე არ ვიცი, რასაკვირველია, რა ვარაუდები აქვთ იქ, ტროცკის საკონცესიო კომიტეტში. (სიცილი). მაგრამ ჩვენს ქვეყანაში დენაციონალიზატორებს რომ არ ეცხოვრებათ, სანამ ცოცხალია საბჭოთა ხელისუფლება, — ამაში შეგიძლიათ ეჭვი არ იქონიოთ.

კაპიტალისტური კონტროლი — ეს ნიშნავს ჩვენი ბაზრის გამგებლობის უფლებას, ნიშნავს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ლიკვიდაციას. მე ვიცი, რომ დასავლეთის კაპიტალისტები არა ერთხელ ეხეთქებოდნენ შუბლით კედელს, ცდილობდნენ გაენგრიათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ჯავშანი. ცნობილია, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ჩვენი ახალგაზრდა სოციალისტური მრეწველობის ფარი და ზღუდე-გალავანია. მაგრამ განა კაპიტალისტებმა უკვე შესძლეს წარმატებისათვის მიეღწიათ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ლიკვიდაციის საქმეში? განა ძნელი გასაგებია, რომ, სანამ საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, რაც არ უნდა მოხდეს, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია იცოცხლებს და დღეგრძელი იქნება.

დასასრულ, კაპიტალისტური კონტროლი ნიშნავს პოლიტიკურ კონტროლს, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობას, ჩვენი ქვეყნის კანონების შეგუებას საერთაშორისო კაპიტალისტური მეურნეობის ინტერესებისა და გემოვნებისადმი. მაგრამ განა ჩვენი ქვეყანა პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქვეყანა არ არის? განა ჩვენი კანონები ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატისა და მშრომელი

მასების ინტერესებით არ არის ნაკარნახევი? რატომ არ მოიყვანენ ფაქტებს, თუნდაც ერთ ფაქტს, რომელიც მოწმობდეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას? აბა სინჯონ და მოიყვანონ.

აი როგორ ესმით კაპიტალისტებს კონტროლი, თუ, რასაკვირველია, ვილაპარაკებთ ნამდვილ კონტროლზე და არა ტყუილუბრალოდ ვილაყბებთ რაღაც უსხეულო კონტროლზე.

თუ საქმე ეხება ასეთ ნამდვილ კაპიტალისტურ კონტროლს, — საქმე კი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ასეთ კონტროლს, ვინაიდან ტყუილუბრალოდ ლაყბობა უსხეულო კონტროლზე მხოლოდ უხეირო ლიტერატორებს შეუძლიათ, — მაშინ უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ასეთი კონტროლი არა გვაქვს და არც გვექნება როდისმე, სანამ ცოცხალია ჩვენი პროლეტარიატი და სანამ გვაქვს საბჭოთა ხელისუფლება. (ტ ა შ ი).

ტროცკი თავის სიტყვაში ამბობდა:

«საქმე ეხება იმას, რომ კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის გარემოცვაში ავაშენოთ იზოლირებული სოციალისტური სახელმწიფო. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმით, რომ ამ იზოლირებული სახელმწიფოს საწარმოო ძალები კაპიტალიზმის საწარმოო ძალებზე უფრო მაღალი იქნება, ვინაიდან პერსპექტივაში, არა ერთი წლის ან ათი წლის, არამედ ნახევარი საუკუნის, **საუკუნის** პერსპექტივაშიც კი შეიძლება განმტკიცდეს მხოლოდ ის სახელმწიფო, ის ახალი საზოგადოებრივი ფორმა, რომლის საწარმოო ძალებიც უფრო მძლავრი აღმოჩნდება, ვიდრე ძველი სამეურნეო სისტემის საწარმოო ძალები» (იხ. სტენოგრამა ტროცკის სიტყვისა კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულ პლენუმზე).

ამრიგად, გამოდის, რომ საჭიროა ორმოცდაათი წელიწადი ან ასიც კი იმისათვის, რომ მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ სინამდვილეში დაამტკიცოს თავისი უპირატესობა, საწარმოო ძალების განვითარების თვალსაზრისით, მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს ყველა ცნებისა და პერსპექტივის აღრევაა.

მეურნეობის ფეოდალურ სისტემას რომ დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა მეურნეობის მონური სისტემის წინაშე, ამას დასჭირდა, ვგონებ, ორასიოდე წელიწადი, თუ ნაკლები არა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან განვითარების ტემპი მაშინ საშინლად ნელი იყო, ხოლო წარმოების ტექნიკა — მეტად პრიმიტიული.

მეურნეობის ბურჟუაზიულ სისტემას რომ დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა მეურნეობის ფეოდალური სისტემის წინაშე, ამას დასჭირდა ასიოდე წელიწადი ან ამაზე ნაკლებიც კი. უკვე ფეოდალური საზოგადოების წიაღში მეურნეობის ბურჟუაზიულმა სისტემამ ცხადყო, რომ იგი უფრო მაღლა, გაცილებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მეურნეობის ფეოდალური სისტემა. ვადებში განსხვავება აქ აიხსნება განვითარების უფრო სწრაფი ტემპით და მეურნეობის ბურჟუაზიული სისტემის უფრო განვითარებული ტექნიკით.

მას შემდეგ ტექნიკამ გამოიჩინა უმაგალითო წარმატებანი, ხოლო განვითარების ტემპი უაღრესად სწრაფი გახდა. იბადება კითხვა, რა საფუძველი აქვს ტროცკის ივარაუდოს, რომ მეურნეობის სოციალისტურ სისტემას მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის წინაშე თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად ასიოდე წელიწადი დასჭირდება?

განა ის ფაქტი, რომ ჩვენი წარმოების სათავეში იქნებიან არა მუქთახორები, არამედ თვითონ მწარმოებლები, — განა ეს ფაქტი იმის უდიდესი ფაქტორი არ არის, რომ მეურნეობის სოციალისტურ სისტემას ყველა შანსი ექნება იმისათვის, რომ მეურნეობა ბუმბერაზული ნაბიჯით წაიყვანოს წინ და უფრო მოკლე ხანში დაამტკიცოს თავისი უპირატესობა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის წინაშე?

განა ის ფაქტი, რომ სოციალისტური მეურნეობა ყველაზე უფრო გაერთიანებული კონცენტრირებული მეურნეობაა, რომ სოციალისტური მეურნეობა გეგმიანი წესით წარმოებს, — განა ეს ფაქტი არ მოწმობს იმას, რომ სოციალისტურ მეურნეობას ყველა პლუსი ექნება იმისათვის, რომ შედარებით მოკლე ხანში დაამტკიცოს თავისი უპირატესობა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის წინაშე, რომელსაც შინაგანი წინააღმდეგობანი ჯიჯგნიან და კრიზისები ღრღნიან?

განა ყოველივე ამის შემდეგ ცხადი არ არის, რომ აქ ორმოცდაათი და ასი წლის პერსპექტივის წამოყენება ნიშნავს დაავადებული იყო დამფრთხალი მეშჩანინის ცრურწმენით მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ყოვლისშემძლეობისადმი? (ხმები: «მართალია!»).

ხოლო როგორია დასკვნები? დასკვნა აქ ორია.

ჯერ-ერთი. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხზე გამოთქმულ საწინააღმდეგო მოსაზრებებში ტროცკიმ პოლემიკის ძველი ბაზიდან უკან დაიხია და ახალ ბაზაზე გადავიდა. წინათ ოპოზიცია საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამდა შინაგან წინააღმდეგობათა თვალსაზრისით, პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა თვალსაზრისით, და ამ წინააღმდეგობებს დაუძლევლად თვლიდა. ახლა ტროცკი ხაზს უსვამს საგარეო წინააღმდეგობებს, წინააღმდეგობებს ჩვენს სახალხო მეურნეობასა და მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობას შორის, და ამ წინააღმდეგობებს დაუძლევლად თვლის. თუ წინათ ტროცკის მიაჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობისათვის დაბრკოლებას წარმოადგენენ წინააღმდეგობანი პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ახლა იგი ფრონტს იცვლის, უკან იხევს — პარტიული პოზიციის კრიტიკის სხვა ბაზაზე გადადის და ამტკიცებს, რომ სოციალისტური მშენებლო-

ბისათვის დაბრკოლებას წარმოადგენენ წინააღმდეგობანი მეურნეობის ჩვენს სისტემასა და კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობას შორის. ამით მან სინამდვილეში აღიარა ოპოზიციის ძველი არგუმენტების უმწეობა.

მეორე. მაგრამ ტროცკის უკანდახევა არის უკანდახევა უღრან ტყეში, ჭაობში. ტროცკიმ არსებითად უკან დაიხია სუხანოვისაკენ, პირდაპირ და აშკარად. არსებითად რით განისაზღვრება ტროცკის «ახალი» არგუმენტები? ეს არგუმენტები იმით განისაზღვრება, რომ ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო ჩვენ არ მოვმწიფებულვართ სოციალიზმისათვის, რომ ჩვენ არა გვაქვს ობიექტური წინაპირობები სოციალისტური მეურნეობის ასაშენებლად, რომ ამის გამო ჩვენი სახალხო მეურნეობა იქცევა და უნდა გადაიქცეს კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის დანამატად, მსოფლიო კაპიტალიზმის კონტროლქვეშ მყოფ სამეურნეო ერთეულად.

მაგრამ ეს «სუხანოველობაა», აშკარა და სრულიად დაუფარავი «სუხანოველობა».

ოპოზიცია დაეშვა მენშევიკ სუხანოვამდე, მის პოზიციამდე — ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის პირდაპირი უარყოფის პოზიციამდე.

3. ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს მსოფლიო პროლეტარიატთან კავშირში

ჩვენ რომ სოციალიზმს გლეხობასთან კავშირში ვაშენებთ, ამის პირდაპირ უარყოფას ჩვენი ოპოზიცია, ვგონებ, ვერ ბედავს. ვაშენებთ თუ არა სოციალიზმს მსოფლიო პროლეტარიატთან კავშირში, — ამ მხრივ ოპოზიციას მიდრეკილება აქვს ეჭვი გამოთქვას. ზოგიერთი ოპოზიციონერი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ჩვენი პარტია ამ კავშირის მნიშვნელობას სათანადოდ ვერ აფასებს. ხოლო ერთ-ერთი მათგანი, კამენევი, იქამდეც კი მივიდა, რომ ბრალი დასდო

პარტიას ნაციონალურ-რეფორმიზმში, საერთაშორისო რევოლუციური პერსპექტივის ნაციონალ-რეფორმისტული პერსპექტივით შეცვლაში.

ეს, ამხანაგებო, სისულელეა. მტკნარი სისულელე. მხოლოდ შეშლილებს შეუძლიათ უარყოფდნენ იმას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის პროლეტართა კავშირს ყველა დანარჩენი ქვეყნის პროლეტარებთან სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. მხოლოდ შეშლილებს შეუძლიათ ბრალს სდებდნენ ჩვენს პარტიას ყველა ქვეყნის პროლეტართა კავშირის საქმის შეუფასებლობაში. მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატთან კავშირში შეიძლება სოციალიზმის შენება ჩვენს ქვეყანაში.

მთელი საკითხი ის არის, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ეს კავშირი.

როცა სსრ კავშირის პროლეტარებმა ძალაუფლება აიღეს 1917 წლის ოქტომბერში, — ეს იყო დახმარება ყველა ქვეყნის პროლეტარებისადმი, ეს იყო მათთან კავშირი.

როცა გერმანიის პროლეტარებმა რევოლუცია მოახდინეს 1918 წელს, — ეს იყო დახმარება ყველა ქვეყნის პროლეტარებისადმი, განსაკუთრებით კი სსრ კავშირის პროლეტარებისადმი, ეს იყო კავშირი სსრ კავშირის პროლეტარიატთან.

როცა დასავლეთ ევროპის პროლეტარები ფუშავდნენ სსრ კავშირში ინტერვენციის საქმეს, იარაღი არ გადაჰქონდათ კონტრრევოლუციური გენერლებისათვის, მოქმედების კომიტეტებს აწყობდნენ და ზურგს ურღვევდნენ თავიანთ კაპიტალისტებს, — ეს იყო დახმარება სსრ კავშირის პროლეტარებისადმი, ეს იყო დასავლეთ ევროპის პროლეტართა კავშირი სსრ კავშირის პროლეტარებთან. კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარების მხრივ ასეთი თანაგრძნობა და ეს მხარდაჭერა რომ არა, ჩვენ ვერ მოვიგებდით სამოქალაქო ომს.

როცა კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარები მთელ რიგ დელეგაციებს გზავნიან ჩვენში, კონტროლს უწევენ ჩვენს მშენებლობას და შემდეგ მთელ მუშურ ევროპაში ავრცელებენ ჩვენი მშენებლობის წარმატებათა ამბავს, — ეს არის დახმარება სსრ კავშირის პროლეტარებისადმი, ეს არის უდიდესი მხარდაჭერა სსრ კავშირის პროლეტარებისათვის, ეს არის კავშირი სსრ კავშირის პროლეტარებთან და ლაგამი ჩვენს ქვეყანაში შესაძლო იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ. ასეთი დახმარება და ასეთი ლაგამი რომ არა, ჩვენ ახლა «შესვენება» არ გვექნებოდა, ხოლო «შესვენება» რომ არა, ვერ გავშლიდით ფართო მუშაობას ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის.

როცა სსრ კავშირის პროლეტარები თავიანთ დიქტატურას განამტკიცებენ, სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაციას ახდენენ, ალმშენებლობით მუშაობას აჩაღებენ და წარმატებებს აღწევენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, — ეს არის უდიდესი დახმარება ყველა ქვეყნის პროლეტარებისადმი, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მათი ბრძოლისადმი, ძალაუფლებისათვის მათი ბრძოლისადმი, ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა, მისი სიმტკიცე, მისი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე წარმოადგენენ მსოფლიო რევოლუციის უდიდეს ფაქტორს, რომელიც მხნეობას მატებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს მათს ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მოსპობა გამოიწვევდა უაღრესად შავბნელ და უაღრესად გააფთრებულ რეაქციას ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ჩვენი რევოლუციის ძალა და კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის ძალა ყველა ქვეყნის პროლეტართა ამ ურთიერთდახმარებასა და ამ კავშირშია.

ასეთია მსოფლიო პროლეტარიატთან სსრ კავშირის პროლეტარების კავშირის სხვადასხვა ფორმები.

ოპოზიციის შეცდომა ის არის, რომ მას არ ესმის ან არ ცნობს კავშირის ამ ფორმებს. ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ იგი ცნობს კავშირის მხოლოდ ერთ ფორმას, დასავლეთ ევროპის პროლეტარების მხრივ სსრ კავშირის პროლეტარიატისათვის «პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების» ფორმას, ე. ი. იმ ფორმას, რომელიც ჯერჯერობით, სამწუხაროდ, გამოყენებული არ არის, ამასთან ოპოზიციას მიაჩნია, რომ სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ბედი პირდაპირ დამოკიდებულია ამ დახმარებაზე მომავალში.

ოპოზიცია ფიქრობს, რომ მხოლოდ დახმარების ასეთი ფორმის აღიარებით შეიძლება შევუნარჩუნოთ პარტიას «საერთაშორისო რევოლუციური პერსპექტივა». მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო რევოლუციამ დაიგვიანა, ასეთმა პოზიციამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ჩვენი განუწყვეტელი დათმობანი ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტებისადმი და, ბოლოს და ბოლოს, — კაპიტულანტობა, იარაღის დაყრა.

ამრიგად, გამოდის, რომ ევროპის პროლეტარიატის «პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარება», რასაც ოპოზიცია მსოფლიო პროლეტარიატთან კავშირის ერთადერთ ფორმად სახავს, წარმოადგენს, მსოფლიო რევოლუციის დაგვიანების შემთხვევაში, კაპიტულანტობის საფარს.

კამენევის «საერთაშორისო რევოლუციური პერსპექტივა», როგორც კაპიტულანტობის საფარი, — აი, თურმე, საით მიჰყავს საქმე კამენევს.

ამიტომ შეიძლება მხოლოდ გაგაოცოს იმ გამბედაობამ, რაც გამოიჩინა აქ გამოსვლისას კამენევმა, როდესაც ჩვენს პარტიას ბრალი დასდო ნაციონალ-რეფორმიზმში.

საიდან გამოიჩინა — როგორ გამოვთქვათ ცოტა უფრო რბილად — ასეთი გამბედაობა კამენევმა, რომელიც არასო-

დეს არ განირჩეოდა არც რევოლუციურობით და არც ინტერნაციონალიზმით?

საიდან გამოიჩინა ასეთი გამბედაობა კამენევმა, რომელიც ყოველთვის ბოლშევიკი იყო მენშევიკებს შორის და მენშევიკი ბოლშევიკებს შორის? (ს ი ც ი ლ ი).

ასე გამბედავი როგორ გახდა კამენევი, რომელსაც ლენინმა თავის დროზე სავსებით სამართლიანად უწოდა ოქტომბრის რევოლუციის «შტრეიკბრეხერი»?

კამენევს სურს იცოდეს, ინტერნაციონალურია თუ არა სსრ კავშირის პროლეტარიატი. მე უნდა განვაცხადო, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატს ოქტომბრის რევოლუციის «შტრეიკბრეხერის» ატესტაცია არ ესაჭიროება.

თქვენ გსურთ იცოდეთ, როგორია სსრ კავშირის პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი? ჰკითხეთ ინგლისელ მუშებს, ჰკითხეთ გერმანელ მუშებს (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი), ჰკითხეთ ჩინელ მუშებს, — და ისინი მოგითხრობენ სსრ კავშირის პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმზე.

4. გადაგვარების საკითხი

ამრიგად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ოპოზიცია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობის პირდაპირი უარყოფის თვალსაზრისზე დგას.

მაგრამ სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობის უარყოფას პარტიის გადაგვარების პერსპექტივამდე მივყავართ, ხოლო გადაგვარების პერსპექტივას, თავის მხრივ, მივყავართ ძალაუფლებაზე ხელის აღებამდე და სხვა პარტიის შექმნის საკითხამდე.

ტროცკიმ ისე მოგვაჩვენა თავი, რომ მას არ შეუძლია სერიოზულად მოეკიდოს ამ საკითხს. ეს შენიღბვაა.

სავსებით უეჭველია, რომ თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვაშენოთ სოციალიზმი, ხოლო სხვა ქვეყნებში რევოლუცია იგ-

ვიანებს, მაშინ როცა კაპიტალი ჩვენში იზრდება ისევე, როგორც იზრდება ჩვენი სახალხო მეურნეობის «შეზრდა» მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობასთან, — მაშინ, **ოპოზიციის თვალსაზრისით,** რჩება მხოლოდ ორი გამოსავალი:

ა) ან დავრჩეთ ხელისუფლების სათავეში და გავატაროთ ბურჟუაზიული დემოკრატიის პოლიტიკა, მონაწილეობა მივიღოთ ბურჟუაზიულ მთავრობაში, გავატაროთ, მაშასადამე, «მილიერანიზმი»;

ბ) ან ხელი ავიღოთ ძალაუფლებაზე, რომ არ გადავგვარდეთ, და ოფიციალური პარტიის გვერდით შევქმნათ ახალი პარტია, რის მიღწევასაც მართლაც ცდილობდა და, არსებითად, კვლავ ცდილობს ჩვენი ოპოზიცია.

ორი პარტიის თეორია, ანუ ახალი პარტიის თეორია, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობის უარყოფის პირდაპირი შედეგია, გადაგვარების პერსპექტივის პირდაპირი შედეგია.

როგორც ერთ, ისე მეორე გამოსავალს კაპიტულანტობისაკენ, დამარცხებითი განწყობილებისაკენ მივყავართ.

როგორ იდგა საკითხი სამოქალაქო ომის პერიოდში? საკითხი ასე იდგა: თუ ჩვენ არმიის მოწყობა და მტრების უკუგდება ვერ შევძელით, პროლეტარიატის დიქტატურა დაეცემა და ჩვენ ძალაუფლებას დავკარგავთ. მაშინ პირველ ადგილზე ომი იდგა.

როგორ დგას საკითხი ახლა, როცა სამოქალაქო ომი დამთავრდა და პირველ ადგილზე სამეურნეო მშენებლობის ამოცანები დადგა? ახლა საკითხი ასე დგას: თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვაშენოთ სოციალისტური მეურნეობა, მაშინ პროლეტარიატის დიქტატურა, რომელმაც ბურჟუაზიას უნდა მისცეს სულ უფრო და უფრო სერიოზული დათმობანი, უნდა გადაგვარდეს და ბურჟუაზიული დემოკრატიის მაჩანჩალა გახდეს.

შეუძლიათ თუ არა კომუნისტებს დათანხმდნენ იმაზე, რომ აწარმოონ ბურჟუაზიული პოლიტიკა, როცა ამასთან პროლეტარიატის დიქტატურა გადაგვარებას განიცდის?

არა, არ შეუძლიათ და არც უნდა აწარმოონ.

აქედან გამოსავალი: ხელი აიღონ ძალაუფლებაზე და შექმნან ახალი პარტია, გზა მისცენ რესტავრაციის პროცესში მყოფ კაპიტალიზმს.

კაპიტულანტობა, როგორც ოპოზიციური ბლოკის ახლანდელი პოზიციის ბუნებრივი შედეგი, — ასეთია დასკვნა.

IV

ოპოზიცია და პარტიის ერთიანობის საკითხი

გადავდივარ უკანასკნელ საკითხზე, ოპოზიციური ბლოკის საკითხსა და ჩვენი პარტიის ერთიანობის საკითხზე.

როგორ ჩამოყალიბდა ოპოზიციური ბლოკი?

პარტია ამტკიცებს, რომ ოპოზიციური ბლოკი ჩამოყალიბდა ტროცკიზმის მხარეზე «ახალი ოპოზიციის» გადასვლის, კამენევისა და ზინოვიევის გადასვლის გზით.

ზინოვიევი და კამენევი უარყოფენ ამას და გადაკვრით აღნიშნავენ, რომ ისინი კი არ მისულან ტროცკისთან, არამედ ტროცკი მივიდა მათთან.

მივმართოთ ფაქტებს.

მე ვილაპარაკე XIV კონფერენციის რეზოლუციაზე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხის შესახებ. მე ვთქვი, რომ კამენევმა და ზინოვიევმა უარყვეს ეს რეზოლუცია, რომელსაც არ ეთანხმება და არ შეუძლია **დაეთანხმოს ტროცკი**, უარყვეს იმისათვის, რომ დაახლოებოდნენ ტროცკის და გადასულიყვნენ ტროცკიზმის მხარეზე. მართალია თუ არა ეს? დიახ, მართალია. სცადეს თუ არა კამენევმა და ზინოვიევმა დაეპირდაპირებინათ რაიმე ამ

მტკიცებისათვის? არა, არ უცდიათ. მათ დუმილით აუარეს გვერდი საკითხს.

შემდეგ, ჩვენ გვაქვს ჩვენი პარტიის XIII კონფერენციის რეზოლუცია, რომელიც ტროცკიზმს ახასიათებს როგორც წვრილბურჟუაზიულ გადახრას და ლენინიზმის რევიზიას [33]. ეს რეზოლუცია, როგორც ცნობილია, დამტკიცებულია კომინტერნის V კონგრესის მიერ. ჩემს მოხსენებაში მე ვთქვი, რომ კამენევმა და ზინოვიევმა უარყვეს ეს რეზოლუცია და თავიანთ სპეციალურ განცხადებებში აღიარეს ტროცკიზმის სიმართლე მის ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ 1923 წელს. მართალია თუ არა ეს? დიახ, მართალია. სცადეს თუ არა ზინოვიევმა და კამენევმა დაეპირდაპირებინათ რაიმე ამ მტკიცებისათვის? არა, არ უცდიათ. მათ დუმილით მიპასუხეს.

კიდევ ფაქტები. კამენევი 1925 წელს ტროცკიზმის შესახებ შემდეგს წერდა:

«ამხ. ტროცკი გახდა ის არხი, რომლის საშუალებითაც წვრილბურჟუაზიული სტიქია თავს იჩენს ჩვენი პარტიის შიგნით. მისი გამოსვლების მთელი ხასიათი, მთელი მისი ისტორიული წარსული მოწმობს, რომ ეს ასეა. პარტიის წინააღმდეგ თავის ბრძოლაში იგი უკვე გახდა ჩვენს ქვეყანაში ყოველივე იმის სიმბოლო, რაც მიმართულია ჩვენი პარტიის წინააღმდეგ»... «ყოველი ზომა უნდა მივიღოთ, რომ ამ არაბოლშევიკური მოძღვრების სენისაგან დავიცვათ პარტიის ის ფენები, რომლებზეც იგი იმედს ამყარებს, სახელდობრ — ჩვენი ახალგაზრდობა, ის მომავალი შემადგენლობა, რომელმაც ხელში უნდა აიღოს პარტიის ბედი. და ამიტომ ყოველნაირი **ახსნა-განმარტების** გაძლიერება ამხ. ტროცკის პოზიციების არასისწორის შესახებ, იმის შესახებ, რომ **საჭიროა ტროცკიზმსა და ლენინიზმს შორის არჩევანის მოხდენა**, რომ **არ შეიძლება პირველისა და მეორის შეხამება** *, — ეს უნდა იყოს ჩვენი პარტიის მორიგი ამოცანა» (იხ. კამენევი, «პარტია და ტროცკიზმი», კრებული «ლენინიზმისათვის», გვ. 84 — 86).

---

* ხაზგასმა ჩემია.. ი. სტ.

ეყოფა თუ არა გამბედაობა კამენევს გაიმეოროს ახლა ეს სიტყვები? თუ იგი მზად არის გაიმეოროს ეს სიტყვები, მაშინ რატომ იმყოფება ახლა ტროცკისთან ბლოკში? თუ იგი ვერ ბედავს მათ გამეორებას, მაშინ განა ცხადი არ არის, რომ კამენევი თავის ძველ პოზიციებს ჩამოშორდა და ტროცკიზმის მხარეზე გადავიდა?

ზინოვიევი ტროცკიზმის შესახებ 1925 წელს წერდა:

«**ამხ. ტროცკის** უკანასკნელი გამოსვლა («ოქტომბრის გაკვეთილები») სხვა არა არის რა, თუ არ უკვე საკმაოდ აშკარა **ცდა ლენინიზმის საფუძვლების რევიზიისა ან პირდაპირი ლიკვიდაციისაც კი** *. სულ ცოტა ხანი გავა, და ეს ცხადი იქნება მთელი ჩვენი პარტიისა და მთელი ინტერნაციონალისათვის» (იხ. ზინოვიევი, «ბოლშევიზმი თუ ტროცკიზმი», კრებული «ლენინიზმისათვის», გვ. 120).

შეადარეთ ზინოვიევის ეს ციტატა კამენევის განცხადებას მის სიტყვაში: «ჩვენ ტროცკისთან ვართ იმიტომ, რომ იგი ლენინის ძირითადი იდეების რევიზიას არ ახდენს», — და გაიგებთ, თუ რაოდენ დაეცნენ კამენევი და ზინოვიევი.

ზინოვიევი იმავე 1925 წელს ტროცკის შესახებ წერდა:

«ახლა წყდება საკითხი, თუ რა არის რკპ 1925 წელს. 1903 წელს ეს საკითხი წყდებოდა წესდების პირველ პარაგრაფთან დამოკიდებულებით, ხოლო 1925 წელს — ტროცკისთან, ტროცკიზმთან დამოკიდებულებით. ვინც ამბობს, ტროცკიზმი შეიძლება ბოლშევიკურ პარტიაში «კანონიერი ელფერი» გახდესო, ის თვითონ აღარ არის ბოლშევიკი. **ვისაც სურს ახლა აშენოს პარტია ტროცკისთან კავშირში, იმ ტროცკიზმთან თანამშრომლობით, რომელიც აშკარად ილაშქრებს ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ის შორდება ლენინიზმის საფუძვლებს** *. უნდა გავიგოთ, რომ ტროცკიზმი განვლილი ეტაპია, რომ ლენინური პარტიის შენება ახლა შესაძლებელია მხოლოდ ტროცკიზმის საწინააღმდეგოდ» («პრავდა», 1925 წ. 5 თებერვალი).

ეყოფა თუ არა გამბედაობა ზინოვიევს გაიმეოროს ახლა ეს სიტყვები? თუ იგი მზად არის გაიმეოროს, მაშინ რატომ

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

იმყოფება ახლა ტროცკისთან ბლოკში? თუ არ შეუძლია გაიმეოროს ეს სიტყვები, მაშინ განა ცხადი არ არის, რომ ზინოვიევი ლენინიზმს ჩამოშორდა და ტროცკიზმის მხარეზე გადავიდა?

რას მოწმობს ყველა ეს ფაქტი?

იმას, რომ ოპოზიციური ბლოკი ჩამოყალიბდა ტროცკიზმის მხარეზე კამენევისა და ზინოვიევის გადასვლის გზით.

როგორია ოპოზიციური ბლოკის პლატფორმა?

ოპოზიციური ბლოკის პლატფორმა არის სოციალ-დემოკრატიული გადახრის პლატფორმა, ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის პლატფორმა, პლატფორმა ყველა და ყოველნაირ ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა თავმოყრისა პარტიის წინააღმდეგ, მისი ერთიანობის წინააღმდეგ, მისი ავტორიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის მოსაწყობად. კამენევი ლაპარაკობს მემარჯვენე გადახრაზე ჩვენს პარტიაში და თან ცენტრალურ კომიტეტზე გვანიშნებს. მაგრამ ეს ფანდია, უხეში და ყალბი ფანდი, რომელიც მიზნად ისახავს პარტიის წინააღმდეგ მყვირალა ბრალდებებით დაფაროს ოპოზიციური ბლოკის ოპორტუნიზმი. ნამდვილად კი ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გამოხატულებას წარმოადგენს ოპოზიციური ბლოკი. ოპოზიციის შესახებ ჩვენ ვმსჯელობთ არა მის განცხადებათა, არამედ მის საქმეთა მიხედვით. ხოლო ოპოზიციის საქმენი მოწმობენ, რომ იგი შესაკრები პუნქტი და კერაა ყველა და ყოველნაირი ოპორტუნისტული ელემენტებისათვის ოსოვსკიდან და «მუშათა ოპოზიციიდან» სუვარინამდე და მასლოვამდე, კორშამდე და რუთ ფიშერამდე. ფრაქციულობის აღდგენა, ჩვენს პარტიაში ფრაქციების თავისუფლების თეორიის აღდგენა, ჩვენი პარტიის მთელი ოპორტუნისტული ელემენტების თავმოყრა, ბრძოლა პარტიის ერთიანობის წი-

ნაალმდეგ, ბრძოლა მისი ხელმძღვანელი კადრების წინააღმდეგ, ბრძოლა ახალი პარტიის შესაქმნელად, — აი რა გეზი აქვს ახლა აღებული ოპოზიციას, თუ კამენევის გამოსვლის მიხედვით ვიმსჯელებთ. კამენევის გამოსვლა ამ მხრივ მობრუნების პუნქტია ოპოზიციის 1926 წლის ოქტომბრის «განცხადებიდან» ოპოზიციის გამთიშველური ხაზის აღდგენისაკენ.

რა არის ოპოზიციური ბლოკი პარტიის ერთიანობის თვალსაზრისით?

ოპოზიციური ბლოკი ჩვენი პარტიის შიგნით ახალი პარტიის ჩანასახია. განა ფაქტი არ არის, რომ ოპოზიციას თავისი ცენტრალური კომიტეტი და თავისი პარალელური ადგილობრივი კომიტეტები ჰყავდა? ოპოზიცია თავის 1926 წლის 16 ოქტომბრის «განცხადებაში» გვარწმუნებდა, რომ მან ფრაქციულობა უარყო. მაგრამ განა კამენევის გამოსვლა იმას არ მოწმობს, რომ ოპოზიცია კვლავ დაუბრუნდა ფრაქციულ ბრძოლას? რა გარანტია გვაქვს, რომ მან უკვე არ აღადგინა ოპოზიციის ცენტრალური და ადგილობრივი პარალელური ორგანიზაციები? განა ფაქტი არ არის, რომ ოპოზიცია თავისი სალაროსათვის სპეციალურ საწევრო ანარიცხებს აგროვებდა? რა გარანტია გვაქვს, რომ იგი კვლავ არ დასდგომია ამ გამთიშველურ გზას?

ოპოზიციური ბლოკი ახალი პარტიის ჩანასახია, რომელიც ძირს უთხრის ჩვენი პარტიის ერთიანობას.

ამოცანა ის არის, რომ გავანადგუროთ ეს ბლოკი და მოვახდინოთ მისი ლიკვიდაცია. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

ამხანაგებო, პროლეტარიატის დიქტატურა, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში იმპერიალიზმი ბატონობს, როცა ერთმა ქვეყანამ, მხოლოდ ერთმა ქვეყანამ, შესძლო კაპიტალის ფრონტის გარღვევა, — პროლეტარიატის დიქ-

ტატურა ასეთ პირობებში ერთ წუთსაც ვერ იარსებებს, თუ პარტია ერთიანი არ არის და შეიარაღებული არ არის რკინისებური დისციპლინით. პარტიის ერთიანობისათვის ძირის გამოთხრის ცდები, ახალი პარტიის შექმნის ცდები ძირშივე უნდა იქნას მოსპობილი, თუ გვსურს შევინარჩუნოთ პროლეტარიატის დიქტატურა, თუ გვსურს ვაშენოთ სოციალიზმი.

ამიტომ ამოცანა ის არის, რომ მოვახდინოთ ოპოზიციური ბლოკის ლიკვიდაცია და განვამტკიცოთ ჩვენი პარტიის ერთიანობა.

V

დასკვნა

მე ვამთავრებ, ამხანაგებო.

თუ კამათს შევაჯამებთ, შეიძლება მივიდეთ ერთ საერთო, სრულიად უეჭველ დასკვნამდე, სახელდობრ — იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი პარტიის XIV ყრილობა მართალი იყო, როცა თქვა, რომ ოპოზიცია დაავადებულია ჩვენი პროლეტარიატის ძალებისადმი ურწმენობით, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობისადმი ურწმენობით.

ესაა ის საერთო შთაბეჭდილება და ის საერთო დასკვნა, რომელიც არ შეიძლებოდა არ შექმნოდათ ამხანაგებს.

ამრიგად, თქვენს წინაშე დგას ორი ძალა. ერთი მხრივ — ჩვენი პარტია, რომელსაც მტკიცე რწმენით მიჰყავს წინ სსრ კავშირის პროლეტარიატი, აშენებს სოციალიზმს და ბრძოლისაკენ მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს. მეორე მხრივ — ოპოზიცია, რომელიც ფეხებში ჭარებგამდგარი, წელკავიანი, შაკიკიანი მიხრწნილი მოხუცივით მილახლახებს ჩვენი პარტიის უკან, — ოპოზიცია, რომელიც ირგვლივ პესიმიზმს თესავს და ატმოსფეროს წამლავს ლაყბობით იმის შესახებ, რომ ჩვენ სსრ კავშირში სოციალიზმის

მშენებლობაში არაფერი გამოგვივა, რომ იქ მათ, ბურჟუებს, ყველაფერი კარგად აქვთ, ჩვენ კი, პროლეტარებს, ყველაფერი ცუდად გვაქვსო.

ასეთია, ამხანაგებო, თქვენს წინაშე მდგომი ორი ძალა.

თქვენ არჩევანი უნდა მოახდინოთ მათ შორის. (ს ი ც ი ლ ი).

ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ სწორ არჩევანს მოახდენთ. (ტ ა შ ი).

ოპოზიცია თავისი ფრაქციული დაბრმავების გამო ჩვენს რევოლუციას განიხილავს როგორც რაღაც ისეთს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ დამოუკიდებელ ძალას, როგორც რაღაც ისეთს, რომელიც დასავლეთის მომავალი რევოლუციის, ჯერ კიდევ გაუმარჯვებელი რევოლუციის უფასო დამატება იქნება.

ამხ. ლენინი ასე როდი უყურებდა ჩვენს რევოლუციას, საბჭოების რესპუბლიკას. ამხ. ლენინი საბჭოების რესპუბლიკას თვლიდა ჩირაღდნად, რომელიც გზას უნათებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ამხ. ლენინი:

«საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითი დიდხანს იდგომება მათ წინაშე (ე. ი. ყველა ქვეყნის პროლეტარების წინაშე. ი. სტ.). ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა მტკიცედ იდგომება, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირაღდანი და როგორც მაგალითი მთელი მშრომელი მასების წინაშე. იქ ჩხუბია, ომი, სისხლისღვრა, მილიონობით ადამიანთა მსხვერპლი, კაპიტალის ექსპლოატაცია, აქ — მშვიდობის ნამდვილი პოლიტიკა და საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა» (იხ. ტ. XXII, გვ. 218).

ამ ჩირაღდნის გარშემო შეიქმნა ორი ფრონტი: ფრონტი პროლეტარული დიქტატურის მტრებისა, რომლებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ ამ ჩირაღდანს, შეარყიონ და ჩააქრონ იგი, და ფრონტი პროლეტარიატის დიქტატურის მეგობრებისა, რომლებიც ცდილობენ დაიცვან ჩირაღდანი და გააჩაღონ მისი ალი.

ამოცანა ის არის, რომ დავიცვათ ეს ჩირაღდანი და განვამტკიცოთ მისი არსებობა მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ამხანაგებო! ეჭვი არ მეპარება, თქვენ მიიღებთ ყველა ზომას იმისათვის, რომ ეს ჩირაღდანი ენთოს და გზას უნათებდეს ყველა ჩაგრულსა და დამონებულს.

ეჭვი არ მეპარება, თქვენ მიიღებთ ყველა ზომას იმისათვის, რომ ამ ჩირაღდნის ალი სულ უფრო ძლიერად გიზგიზებდეს პროლეტარიატის მტრების თავზარდასაცემად.

ეჭვი არ მეპარება, თქვენ მიიღებთ ყველა ზომას იმისათვის, რომ ასეთი ჩირაღდნები აენთოს მსოფლიოს ყველა ნაწილში ყველა ქვეყნის პროლეტართა სასიხარულოდ. (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში. ყველა დელეგატი ფეხზე დგება და მღერის «ინტერნაციონალს». სამგზის «ვაშა»).

წერილი ქსენოფონტოვს

თქვენი წერილი და სტატიის მონასახი წავიკითხე. ბოდიშს ვიხდი დაგვიანებული პასუხისათვის.

ჩემი შენიშვნები:

1) მე იმის წინააღმდეგი ვარ, რომ თქვენ თავს უწოდებდეთ «ლენინისა და სტალინის მოწაფეს». მე მოწაფეები არა მყავს. უწოდეთ თქვენს თავს ლენინის მოწაფე, თქვენ ამის უფლება გაქვთ, მიუხედავად შაცკინის კრიტიკისა. მაგრამ საფუძველი არა გაქვთ თავს უწოდებდეთ ლენინის მოწაფის მოწაფეს. ეს სწორი არ არის. ეს ზედმეტია.

2) მე იმის წინააღმდეგი ვარ, რომ თქვენ შაცკინთან პოლემიკაში 1926 წლის დამლევს იმოწმებდეთ 1924 წლის ივლისში დაწერილ ჩემს პირად წერილს. მით უმეტეს, რომ ის საკითხი **ლენინიზმის განსაზღვრის შესახებ**, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, ჩემს მიერ ჩამოყალიბებული იყო 1924 წლის მარტში, მანამდე, სანამ გამოვიდოდა წიგნი «ლენინისა და ლენინიზმის შესახებ» [34]. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ასეთი მითითება ჩემი წერილის ამონაწერზე, რომელიც თქვენ სრულებით არაფერს გაძლევთ შაცკინთან პოლემიკაში, საქმეს აბნევს და ყურადღება გადააქვს სხვა სფეროში, მე კი შეიძლება მაიძულოს გამოვიდე პრესაში თქვენთვის არახელსაყრელი განცხადებით (რაც მე არ მსურს გავაკეთო).

3) მე მიმაჩნია, რომ საერთოდ შაცკინი მართალია, თქვენ კი მართალი არა ხართ. ვწუხვარ, რომ საშუალება არ მქონდა

გადამეთვალიერებინა თქვენი ახალი ბროშურა სტრატეგიის შესახებ. მე აუცილებლად გირჩევდით არ დაგებეჭდათ ასეთი ნაუცბათევი და დაუდევრად შედგენილი ნაშრომი, რომელიც შეიცავს მთელ რიგ ყოვლად უხეშ შეცდომებსა და არასწორ ფორმულირებებს.

4) ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ შაკინი ყველაფერში მართალია. აღვნიშნავ შაკინის მთავარ შეცდომებს.

მცდარია შაკინის სტატიის, მაგალითად, ის ადგილი, სადაც იგი მარქსის ფორმულას ნაციონალურ საზღვრებში მუშათა კლასის ამოცანის შესრულების შეუძლებლობის შესახებ თითქმის აიგივებს ლენინის ფორმულასთან ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ გამოევლინებინა ამ ფორმულების განსხვავება და გამოემჟღავნებინა ამ განსხვავების ისტორიული ფესვები, შაკინმა საკითხს თავი აარიდა არაფრის მთქმელი შენიშვნით და მიაფუჩეჩა უმნიშვნელოვანესი საკითხი. მაგრამ თავის არიდება საკითხის გადაწყვეტა როდია.

შაკინი მართალი არ არის იმაშიც, რომ თავისდა შეუმჩნევლად ერთმანეთს **უპირდაპირებს** ლენინის ორ ფორმულას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ (დიქტატურის, როგორც **ერთი** კლასის ბატონობის შესახებ, და დიქტატურის, როგორც პროლეტარიატისა და არაპროლეტარულ კლასთა მშრომელი ფენების **კავშირის განსაკუთრებული ფორმის** შესახებ პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობით). შაკინი მართალია, როცა უარყოფს ხელისუფლებაში გლეხობის თანამონაწილეობის იდეას, დიქტატურის დროს ორ კლასს შორის ძალაუფლების გაყოფის იდეას. მაგრამ იგი მართალი არ არის, როცა ერთმანეთს უპირდაპირებს ამ ორ ფორმულას, ვინაიდან მათი

დაპირდაპირება ნიშნავს იმას, რომ არ გესმოდეს ეს ფორმულები.

მე არ მომწონს, აგრეთვე შაცკინის სტატიების უხეში ქედმაღლური კილო: თვითონვე ქადაგებს თავმდაბლობას, სინამდვილეში კი მაქსიმალურ ქედმაღლობას იჩენს.

5) გირჩევთ ნუ გამოხვალთ პრესაში პოლემიკით, ვინაიდან თქვენ მართალი არა ხართ, ხოლო შაცკინი საერთოდ მართალია. უმჯობესი იქნება ხელი მოჰკიდოთ ლენინიზმის სერიოზულად და დაკვირვებულად შესწავლას. გარდა ამისა, გირჩევთ ერთხელ და სამუდამოდ გამოეთხოვოთ ლენინიზმზე წიგნაკების ნაუცბათევად გამოცხობის ჩვეულებას. ეს არ ვარგა.

1926 წ. 30 დეკემბერი.

იბეჭდება პირველად.

სიტყვა მოსკოვის XV საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე [35]

1927 წ. 14 იანვარი

ამხანაგებო! მე არ ვაპირებდი გამოსვლას. არ ვაპირებდი, ვინაიდან ყველაფერი, რაც უნდა თქმულიყო კონფერენციაზე, უკვე თქვეს სხვა ამხანაგებმა, აქ ახალს ვერაფერს იტყვი, ნათქვამის გამეორება კი რა საჭიროა. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი დელეგაციების მოთხოვნის გამო, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა.

რა არის მთავარი და დამახასიათებელი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაში, თუ საქმეს შევხედავთ ქვეყნის მართვის თვალსაზრისით, მთელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის ხელმძღვანელობის თვალსაზრისით?

მთავარი და დამახასიათებელი ის არის, რომ პარტიამ შესძლო სწორი პოლიტიკა მოენახა, — პარტიის ძირითადი ხაზი სწორი აღმოჩნდა, ხოლო მისი ხელმძღვანელი მითითებანი ცხოვრების შესაბამისი აღმოჩნდნენ.

ლენინი ამბობდა:

ათბ-ოცი წელი სწორი პოლიტიკისა გლეხობის მიმართ, — და ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილიაო.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ისტორიულ მომენტში პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის

საკითხი ჩვენთვის მთავარი საკითხია. და აი ჩვენი პრაქტიკა, ჩვენი მუშაობა, პარტიის მუშაობა ცხადყოფს, რომ პარტიამ შესძლო მოეწახა ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ პარტიის პოლიტიკა სწორი იყოს ამ ძირითად საკითხში?

ამისათვის საჭიროა, ჯერ-ერთი, ის, რომ პარტიის პოლიტიკა უზრუნველყოფდეს კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის.

მეორეც, ამისათვის საჭიროა, რომ პარტიის პოლიტიკა უზრუნველყოფდეს პროლეტარიატის ხელმძღვანელობას ამ კავშირის შიგნით.

კავშირის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ საერთოდ ჩვენი საფინანსო პოლიტიკა და კერძოდ ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა შეესაბამებოდნენ მშრომელი მასების ინტერესებს, რომ ფასების პოლიტიკა ჩვენში სწორი იყოს, შეეფარდებოდეს მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებს, რომ კოოპერაციული საზოგადოებრიობა ინერგებოდეს როგორც ქალაქად, ისე, განსაკუთრებით, სოფლად, სისტემატურად, დღითი-დღე.

მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა უაღრესად სერიოზული გართულებანი.

არ ვიტყვი, რომ ამ დარგში სიძნელეები არ გვქონდეს. სიძნელეები გვაქვს, და ძალიან სერიოზულიც. მაგრამ ჩვენ მათ ვძლევთ. და ჩვენ მათ ვძლევთ იმიტომ, რომ ჩვენი პოლიტიკა საერთოდ სწორია.

ხოლო რა არის საჭირო იმისათვის, რომ პროლეტარიატისათვის უზრუნველვყოთ გლეხობისადმი ხელმძღვანელობა? ამისათვის საჭიროა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია

იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი მზარდი სოციალისტური ინდუსტრია მიუძღოდეს სოფლის მეურნეობას.

ლენინი ამბობდა: ყოველი ახალი ქარხანა, ყოველი ახალი ფაბრიკა იმდენად განამტკიცებს მუშათა კლასის პოზიციებს სოფლისადმი ხელმძღვანელობაში, რომ არავითარი წვრილბურჟუაზიული სტიქია ჩვენთვის საშიში არ არის. ამას იგი ამბობდა 1921 წელს. მას შემდეგ ხუთი წელიწადი გავიდა. ამ პერიოდის მანძილზე ჩვენში გაიზარდა ინდუსტრია, გაჩნდნენ ახალი ქარხნები და ფაბრიკები. და აი გამოდის, რომ ყოველი ახალი ფაბრიკა, ყოველი ახალი ქარხანა პროლეტარიატის ხელში ახალი ციხე-სიმაგრეა, რომელიც მისთვის უზრუნველყოფს გლეხობის მრავალმილიონიანი მასებისადმი ხელმძღვანელობას.

თქვენ ხედავთ, რომ ამ დარგშიც პარტიამ შესძლო მოენახა სწორი პოლიტიკა.

არ ვიტყვი, რომ ამ დარგში სიძნელეები არ გვქონდეს. სიძნელეები, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ ჩვენ მათი არ გვეშინია, და ჩვენ მათ ვძლევთ, ვინაიდან ჩვენი პოლიტიკა ძირითადად სწორია.

ამბობენ, საბჭოების ხელისუფლება მსოფლიოში არსებულ ყველა მთავრობათაგან ყველაზე მტკიცე ხელისუფლებაა. ეს მართალია. მერე რით აიხსნება ეს? ეს იმით აიხსნება, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა.

მაგრამ საკმარისია თუ არა მარტო სწორი პოლიტიკა იმისათვის, რომ დავძლიოთ ჩვენს გზაზე წამოჭრილი ყველა და ყოველგვარი სიძნელე?

არა, არ არის საკმარისი.

ამისათვის ხაჭიროა კიდევ ორი პირობა მაინც.

პირველი პირობა. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, რომ პარტიის მიერ შემუშავებული სწორი პოლიტიკა ნამდვილად ტარდებოდეს ცხოვრებაში, ნამდვილად ხორციელდებოდეს მთლიანად და სავსებით.

სწორი პოლიტიკა რომ გქონდეს — ეს, რა თქმა უნდა, პირველი საქმეა. მაგრამ თუ ეს პოლიტიკა ცხოვრებაში არ ტარდება, თუ იგი პრაქტიკაში მახინჯდება განხორციელების დროს, — რა აზრი აქვს ასეთ პოლიტიკას? ცხოვრებაში არის ხოლმე შემთხვევები, რომ პოლიტიკა სწორია, მაგრამ იგი არ ტარდება ან ისე არ ტარდება, როგორც საჭიროა ტარდებოდეს. ასეთი შემთხვევა ახლა ცოტა როდი გვაქვს. სწორედ ასეთ შემთხვევებს გულისხმობდა ლენინი, როცა XI ყრილობაზე თავის უკანასკნელ მოხსენებაში [34] თქვა:

პოლიტიკა ახლა სწორი გვაქვს, მაგრამ ეს არ კმარა, ამიტომ ახლა საქმე ის არის, რომ მოვაგვაროთ ადამიანთა სწორი შერჩევა და მოვაწყოთ შესრულების შემოწმებაო.

ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება, — აი რაზე ამახვილებდა ყურადღებას ლენინი თავის უკანასკნელ ბოხსენებაში. მე ვფიქრობ, რომ ლენინის ეს მითითება თვალწინ უნდა გვქონდეს ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის მთელ პერიოდში. მშენებლობას რომ უხელმძღვანელო, ამისათვის არ კმარა სწორი დირექტივები გქონდეს, — ამისათვის საჭიროა კიდევ ის, რომ ჩვენი საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერაციული და ყოველგვარი სხვა აღმშენებლობითი მუშაობის ხელმძღვანელ პოსტებზე დააყენო ისეთი ადამიანები, რომლებსაც ესმით ამ დირექტივების აზრი და მნიშვნელობა, რომლებსაც უნარი შესწევთ პატიოსნად და კეთილსინდისიერად გაატარონ ეს დირექტივები, რომლებსაც ამ დირექტივების გატარება მიაჩნიათ არა ფუჭ ფორმალობად, არამედ პატივის საქმედ, პარტიისა და

პროლეტარიატის წინაშე თავიანთი უმაღლესი მოვალეობის საქმედ.

აი როგორ უნდა გვესმოდეს ლენინის ლოზუნგი: ადამიანთა სწორი შერჩევა და შესრულების შემოწმება.

ჩვენში კი ზოგჯერ რაღაც სრულიად საწინააღმდეგო ხდება. გარეგნულად თითქოს ცნობენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მითითებებს, ნამდვილად კი მაუდქვეშ ამოდებენ მათ და განაგრძობენ სულ სხვა პოლიტიკის გატარებას. განა ფაქტი არ არის, რომ ზოგჯერ ზოგიერთი აპარატების, სამეურნეო, კოოპერაციული და სხვა აპარატების ზოგიერთი ხელმძღვანელნი პარტიის სწორ მითითებებს მაუდქვეშ ამოდებენ და ძველი, გატკეპნილი გზით სვლას განაგრძობენ? თუ, მაგალითად, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალურმა ორგანოებმა გადაწყვიტეს, რომ ჩვენი პოლიტიკის მორიგ ამოცანას წარმოადგენს საცალო ფასების შემცირება, კოოპერაციული და საერთოდ სავაჭრო დარგის მთელმა რიგმა მუშაკებმა კი ამ გადაწყვეტილებას გვერდი აუხვიეს, ამჯობინეს გვერდი აუარონ მას, — რა ვუწოდოთ ამას? რა არის ეს, თუ არა იმ სწორი პოლიტიკისათვის ძირის გამოთხრა, რომლის კეთილსინდისიერად გატარებაზეც დამოკიდებულია კავშირის ბედი, მუშათა და გლეხთა კავშირის ბედი, საბჭოთა ხელისუფლების ბედი?

ლენინი სწორედ ასეთ შემთხვევებს გულისხმობდა, როცა ამბობდა:

ხაზი სწორი გვაქვს, მაგრამ მანქანა იქით არ მიდის, საითაც უნდა მიდიოდეს.

ხოლო რით აიხსნება ასეთი შეუთანხმებლობა ხაზსა და მანქანას შორის? იმით, რომ ამ მანქანის შემადგენლობა, ამ აპარატის შემადგენლობა ყოველთვის როდია კეთილხარისხოვანი.

სწორედ ამიტომ მუშაკთა სწორი შერჩევა და შესრულების შემოწმება ახლა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი მორიგი ამოცანაა.

სწორედ ამიტომ პარტია ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს იმას, რომ ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის ძირითადი მუშაკების შერჩევა ხდებოდეს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის კეთილსინდისიერად განხორციელების თვალსაზრისით.

მეორე პირობა. მაგრამ საქმე, რასაკვირველია, ამით როდი ამოიწურება. საჭიროა, გარდა ამისა, მივაღწიოთ იმას, რომ ავამაღლოთ მასებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხი და ამით გავაადვილოთ მთელ ჩვენს აღმშენებლობით მუშაობაში მუშათა, აგრეთვე გლეხთა ფართო მასების ჩაბმა. პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა — ეს, რა თქმა უნდა, პირველი საქმეა. მაგრამ პროლეტარიატი ხელმძღვანელობისადმი თავის ნებისყოფას პარტიის მეშვეობით ავლინებს. მშენებლობის ხელმძღვანელობა ცუდი პარტიის მეთაურობით შეუძლებელია. პროლეტარიატს ხელმძღვანელობა რომ შეეძლოს, საჭიროა, რომ მისი პარტია თავისი მოწოდების — მასების უმაღლესი ხელმძღვანელის მოწოდების სიმაღლეზე იდგეს. ხოლო რა არის ამისათვის საჭირო? ამისათვის საჭიროა, რომ პარტიის ხელმძღვანელობა იყოს არა ფორმალური, ქაღალდების წერით განსაზღვრული, არამედ ნამდვილი. ამისათვის საჭიროა, რომ პარტიის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად მოქნილი იყოს.

ამბობენ, რომ თუ მუშათა კლასის ფართო მასები არ ავამოქმედეთ, ისე ვერ გავიმარჯვებთ ჩვენი მშენებლობის ფრონტზე. ეს სრული სიმართლეა. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მშენებლობის ფერხულში ფართო მასების ჩასაბმელად საჭიროა ამ მასებს ხელმძღვანელობდნენ სწორად, მოქნილად, არა წინდაუხედავად. ხოლო

ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს მასებს? მასებს უნდა ხელმძღვანელობდეს პარტია. მაგრამ პარტია ვერ უხელმძღვანელებს მასებს, თუ არ გაითვალისწინა ის ცვლილებანი, რომლებიც უკანასკნელ წლებში მუშებსა და გლეხებში მოხდა. ახლა აღარ შეიძლება ხელმძღვანელობა ძველებურად, მარტო განკარგულებათა და მითითებათა გზით. ასეთი ხელმძღვანელობის დრო წავიდა. ახლა უბრალო ფორმალურმა ხელმძღვანელობამ შეიძლება მხოლოდ გაღიზიანება გამოიწვიოს. რატომ? იმიტომ, რომ გაიზარდა მუშათა კლასის აქტივობა, გაიზარდა მუშათა კლასის მოთხოვნილებანი, გაიზარდა მუშების სიფხიზლე ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებისადმი და მუშები უფრო მომთხოვნელნი გახდნენ.

კარგია თუ არა ეს? რა თქმა უნდა, კარგია. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით ამის მიღწევას. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ მუშათა კლასისადმი ხელმძღვანელობა უფრო რთული ხდება, ხოლო თვით ხელმძღვანელობამ უფრო მოქნილი ხასიათი უნდა მიიღოს. წინათ მუშისთვის იქნებ ფეხზეც დაებიჯებინათ და არაფერი არ მომხდარიყო. ახლა კი ეს არავის შერჩება, ამხანაგებო! ახლა საჭიროა მაქსიმალური ყურადღება ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანებისადმიც კი, ვინაიდან მუშათა ყოფაცხოვრება სწორედ ამ წვრილმანებისაგან შესდგება.

იგივე უნდა ითქვას გლეხებზე. ახლანდელი გლეხი ის აღარ არის, რაც ორი-სამი წლის წინათ იყო. ისიც უფრო ფხიზელი და შეგნებული გახდა. ის კითხულობს ეგრეთწოდებულ ხელმძღვანელთა სტატიებს, მსჯელობს მათზე, დაწვრილებით არჩევს თვითეული ხელმძღვანელის ქცევას და ადგენს მათზე თავის საკუთარ აზრს. არ იფიქროთ, რომ ის სულელი იყოს, როგორც ხანდახან ზოგიერთი ჰკუისკოლოფი გვიხატავს. არა, ამხანაგებო, გლეხი ბევრ ქალაქელ ჰკუისკოლოფზე უფრო ჰკვიანია. და აი მას სურს, რომ მეტი ყურადღებით ეპყრობოდნენ. აქაც ისევე,

როგორც მუშების მიმართ, არ შეიძლება დავჯერდეთ მარტო რეზოლუციებს. აქაც ისევე, როგორც მუშების მიმართ, საჭიროა განვუმარტოთ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მითითებანი, განვუმარტოთ მოთმინებითა და ყურადღებით, რათა გაიგონ, თუ რა სურს პარტიას და საით მიჰყავს მას ქვეყანა. დღეს ვერ გაიგეს — გაისარჯეთ და ხვალ აუხსენით. ხვალ ვერ გაიგეს — გაისარჯეთ და ზეგ აუხსენით. უამისოდ ახლა არავითარი ხელმძღვანელობა არ იქნება და არც შეიძლება იყოს.

ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ თავი უნდა დავანებოთ ხელმძღვანელობას. არა, არ ნიშნავს. მასას არ შეუძლია პატივს სცემდეს პარტიას, თუ პარტია თავს ანებებს ხელმძღვანელობას, თუ იგი აღარ ხელმძღვანელობს. მასებს თვითონ სურთ, რომ მათ უხელმძღვანელონ, და მასები მტკიცე ხელმძღვანელობას ეძებენ. მაგრამ მასებს სურთ, რომ ხელმძღვანელობა იყოს არა ფორმალური, არა ქაღალდების წერით განსაზღვრული, არამედ ნამდვილი, მათთვის გასაგები. სწორედ ამისათვის საჭიროა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიზნებისა და ამოცანების, დირექტივებისა და მითითებების მოთმინებით განმარტება. ხელმძღვანელობისათვის თავის დანებება არ შეიძლება ისევე, როგორც არ შეიძლება მისი შესუსტება. პირიქით, ხელმძღვანელობა გაძლიერებულ უნდა იქნას. მაგრამ ხელმძღვანელობა რომ გაძლიერებულ იქნას, ამისათვის საჭიროა, რომ თვით ხელმძღვანელობა უფრო მოქნილი გახდეს, ხოლო პარტია შეიარაღდეს მაქსიმალური გულისხმიერებით მასების მოთხოვნილებებისადმი.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო. ჩვენი პოლიტიკა სწორია, და ამაშია ჩვენი ძალა. მაგრამ ჩვენი პოლიტიკა ჰაერში გამოკიდებული რომ არ აღმოჩნდეს, საჭიროა ორი პირობა მაინც. ჯერ-ერთი, მუშაკთა სწორი შერჩევა და პარტიის დირექტივების შესრულების შემოწმება. მეორეც, მოქნილობა მასე-

ბისადმი ხელმძღვანელობაში და მაქსიმალური გულისხმიერება მასების მოთხოვნილებებისადმი, გულისხმიერება და კვლავ გულისხმიერება. (მთელი დარბაზის მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში და ოვაციები; ყველა დამსწრენი ფეხზე დგებიან და მღერიან «ინტერნაციონალს»).

«პრავდა» № 13,
1927 წ. 16 იანვარი.

წერილი ამხ. ზაიცევს

დავაგვიანე პასუხი ამხ. ჟიროვის სტატიის შესახებ, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

მე აზრი გამოვთქვი იმის წინააღმდეგ, რომ «ბოლშევიკში» დაბეჭდილიყო ამხ. ჟიროვის სტატია კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის შესახებ, შემდეგი მოტივებით.

1) სტატია, ჩემი აზრით, მოსწავლურია. ეტყობა, ავტორი ვერ დაუფლებია თემას და წარმოდგენა არა აქვს საკითხის სირთულეზე. ასეთი სტატიების მოთავსება კარგია მოსწავლეთა ჟურნალებში, სადაც ადამიანებს შეუძლიათ ივარჯიშონ, რათა შემდეგ გამომუშავდნენ მომწიფებულ ლიტერატორებად. მაგრამ «ბოლშევიკი» ხელმძღვანელი ჟურნალია, მისგან მოითხოვენ ხელმძღვანელ მითითებებს თეორიისა და პოლიტიკის ძირითად საკითხებზე, და ამიტომ ამხ. ჟიროვის სტატიის «ბოლშევიკში» მოთავსება ნიშნავს, ჯერ-ერთი, მკითხველებისათვის თავგზის აბნევას, მეორეც, «ბოლშევიკის», როგორც ხელმძღვანელი ჟურნალის, რენომეს შელახვას.

2) ამხ. ჟიროვი აშკარად ცდება, როცა ერთმანეთთან ათანაბრებს კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის კანონის **პოლიტიკურ** მხარეს და ამ კანონის **ეკონომიურ** მხარეს. ორივე ეს მხარე უთანაბრობის კანონის შინაარსს რომ შეადგენს, ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ

პოლიტიკური უთანაბრობა ახლა ჩვენთვის აქტუალურ საკითხს რომ არ წარმოადგენს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ ჩვენს ახლანდელ დავას ოპოზიციასთან საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ), ეს სავსებით უეჭველია. რაში შეიძლება შევამჩნიოთ პოლიტიკური უთანაბრობის ყველაზე აშკარა გამოხატულება ამჟამად მსოფლიო განვითარების თვალსაზრისით? იმაში, რომ ჩვენში მოწინავე ხელისუფლებაა, პროლეტარიატის ხელისუფლება, საბჭოების ხელისუფლება, მაშინ როცა ტექნიკურად და კულტურულად ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში არსებობს ჩამორჩენილი ხელისუფლება, ე. ი. ბურჟუაზიული ხელისუფლება. უარყოფს თუ არა ოპოზიცია ამ პოლიტიკური უთანაბრობის შესაძლებლობას ან არსებობას? არა, არ უარყოფს. პირიქით, მას მიაჩნია, რომ პროლეტარიატის მიერ ერთ ქვეყანაში ძალაუფლების აღება სავსებით შესაძლებელია.

მაშასადამე, ამ დარგში როდია ჩვენი უთანხმოება.

უთანხმოება იმ საკითხით იწყება, შეიძლება თუ არა **ეკონომიურად** გამარჯვება ბურჟუაზიაზე, ე. ი. შეიძლება თუ არა სოციალიზმის აშენება საბჭოთა ხელისუფლების არსებობისას ერთ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია კაპიტალისტური ქვეყნებით. უთანხმოება, მაშასადამე, ეკონომიურ დარგშია. აი რატომ ვაქცევთ ჩვენ მთავარ ყურადღებას კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების უთანაბრობის კანონის ეკონომიურ მხარეს. ამხ. ჟიროვის შეცდომა ის არის, რომ მან ვერ შეამჩნია ოპოზიციასთან ჩვენი დავის ეს თავისებურება, და განვითარების უთანაბრობის კანონის ეკონომიური მხარისათვის მთავარი ყურადღების მიქცევა ამ კანონის პოლიტიკური მხარის უარყოფად ჩათვალა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამხ. ჟიროვმა ვერ შეამჩნია ოპოზიციასთან ჩვენი დავის არსი.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ უთანაბრობის კანონის ეკონომიური მხარე თავისთავად საფუძველია ყველა და ყოველგვარი კატასტროფისა კაპიტალისტური მსოფლიო მეურნეობის განვითარების დარგში, მათ შორის პოლიტიკური კატასტროფებისაც.

3) ამხ. ჟიროვი ვერ ხედავს წინაიმპერიალისტურ კაპიტალიზმსა და იმპერიალისტურ კაპიტალიზმს შორის არსებული განსხვავების მთელ სიღრმეს. მის მიხედვით უთანაბრობის კანონი იქცევა მსოფლიო კაპიტალიზმის განვითარების უბრალო «არაპროპორციულობად და არაჰარმონიულობად». მაგრამ თუ ეს ასეა, საიდან გაჩნდა განსხვავება ალმავალი ხაზით განვითარების პროცესში მყოფ კაპიტალიზმსა და მომაკვდავ, დაღმავალი ხაზით განვითარების პროცესში მყოფ კაპიტალიზმს შორის? საიდან გაჩნდა განსხვავება მშვიდი ევოლუციის პროცესში მყოფ კაპიტალიზმსა და ლპობის, ნახტომებისა და კატასტროფების გზით განვითარების პროცესში მყოფ კაპიტალიზმს შორის? წინათ რატომ იყო შეუძლებელი სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ ქვეყნებში, ახლა კი შესაძლებელი გახდა? შეიძლება თუ არა მხედველობაში არ მივიღოთ ისეთი ფაქტები, როგორიცაა ფინანსური კაპიტალის ბატონობა, ტექნიკის კოლოსალური განვითარება, ნიველირების ტენდენცია, მსოფლიოს განაწილება გავლენის სფეროებად, კაპიტალისტური ქვეყნების სწრაფი, ნახტომისებური განვითარება კატასტროფებით და უკვე განაწილებული მსოფლიოს პერიოდული გადანაწილებებით და ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობით?

რით განსხვავდება ამ შემთხვევაში ამხ. ჟიროვის პოზიცია ჩვენი ოპოზიციის პოზიციისაგან და, კაცმა რომ თქვას, რატომ, რა საფუძველზე ედავება იგი ოპოზიციას?

ამხ. ჟიროვს, ეტყობა, არ ესმის, რომ **კაპიტალიზმის** განვითარების კანონები, სოციოლოგიური კანონებისაგან განსხვავებით, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ საზოგადოებრივი განვითარების **ყველა** ფაზასთან, — შეიძლება იცვლებოდნენ და უნდა იცვლებოდნენ. უთანაბრობის კანონს წინაიმპერიალისტური კაპიტალიზმის დროს გარკვეული სახე ჰქონდა და მისი შედეგებიც შესაბამისი იყო, იმპერიალისტური კაპიტალიზმის დროს კი ეს კანონი სხვა სახეს იღებს და ამის გამო მისი შედეგები სხვა გამოდის. აი რატომ შეიძლება და საჭიროცაა ლაპარაკი კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების იმ უთანაბრობაზე, რაც იმპერიალიზმის დროს არსებობს, იმ უთანაბრობისაგან განსხვავებით, რაც ძველი კაპიტალიზმის დროს არსებობდა. ის საკითხი, თუ როგორ იცვლებიან კაპიტალიზმის კანონები კაპიტალისტური განვითარების სხვადასხვა სტადიაში, როგორ იზღუდებიან თუ ძლიერდებიან ისინი თავიანთ მოქმედებაში პირობების შეცვლის მიხედვით, — ეს საკითხი განსაკუთრებულ თეორიულ ინტერესს წარმოადგენს, რაზედაც უწინარეს ყოვლისა უნდა ეფიქრა იმ ადამიანს, რომელიც სპეციალურ სტატიას წერს უთანაბრობის კანონის შესახებ. ამხ. ჟიროვის უბედურება (და არა დანაშაული) ის არის, რომ იგი სრულებით ვერ ხედავს საკითხის ამ მხარეს.

4) მე არ ვეხები სხვა საკითხებს, რომლებზედაც ლაპარაკია ამხ. ჟიროვის სტატიაში და რომლებიც, ჩემი აზრით, თვით მისთვის გაურკვეველია, როგორიც არის, მაგალითად, საკითხი «მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის უსუბიექტურობისა» და სხვ. მე ვხედავ, რომ ამხ. ჟიროვს პირდაპირ ენა ექავება იმისათვის, რომ რაღაც განსაკუთრებული და გასაკვირველი თქვას.

5) რაც შეეხება ამხ. ჟიროვის სტატიისადმი სარედაქციო შენიშვნის პროექტს, მე ვფიქრობ, რომ ასეთი სარე-

დაჭციო შენიშვნები არ უნდა კეთდებოდეს ისეთ პასუხისმგებელ ჟურნალში, როგორიც არის «ბოლშევიკი». განაცხადო, რომ რედაქცია «არ ეთანხმება ავტორის ზოგიერთ დებულებას», და არ თქვა, თუ რაში მდგომარეობენ ეს დებულებანი, — ნიშნავს იმას, რომ თავი აარიდო საკითხს და გაურკვეველ მდგომარეობაში დასტოვო მკითხველი. მე ვფიქრობ, რომ «ბოლშევიკი» არ უნდა იძლეოდეს ასეთ შენიშვნებს.

კომ. სალამით **ი. სტალინი**

1927 წ. 28 იანვარი.

ბეჭდება პირველად.

ლენის მუშებს

ამ 15 წლის წინათ აპრილში ლენის მუშების დახვრეტა მეფის თვითმპყრობელობის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ბოროტმოქმედება იყო. გმირული ბრძოლა იმ ამხანაგებისა, რომლებიც შორეულ ტაიგაში დაიღუპნენ მეფის ტყვიებით, დავიწყებული არ არის გამარჯვებული პროლეტარიატის მიერ. განვლილ გზას რომ თვალს გადაავლებენ. საბჭოთა კავშირის მუშებს შეუძლიათ თქვან: ბოდაიბოელი მუშების არც ერთ წვეთ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია, ვინაიდან პროლეტარიატის მტრებს სამაგიერო მიეზღოთ, პროლეტარიატმა კი უკვე მიაღწია თავის გამარჯვებას მათზე.

ახლა, მეფისა და კაპიტალიზმის უღლისაგან თავისუფალთ, ვიტიმის ნაპირებზე თქვენ შესაძლებლობა გაქვთ მოიპოვოთ ოქრო არა მუქთახორების გასამდიდრებლად, არამედ მსოფლიოში პირველი, **თქვენი** მუშური სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად.

პატივი და დიდება მუშათა კლასის გამარჯვებისათვის ბრძოლაში დაღუპულთ!

მოგესალმებით რა, ძვირფასო ამხანაგებო, დაღუპული ამხანაგების გმირულ ბრძოლაზე მოგონებათა ამ დღეს, ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ თქვენ მტკიცედ და განუხრელად განაგრძობთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის საქმეს.

ი. სტალინი

1927 წ. 22 თებერვალი.

გაზეთი «ლენსკი შახტიორ»
(ქ. ბოდაიბო) № 87,
1927 წ. 17 აპრილი.

მისალმება სტალინგრადის გაზეთ «ბორბას»

ძვირფასო ამხანაგებო!

რევოლუციურ პოსტზე «ბორბას» [87] საბრძოლო მუშაობის 10 წელი წარმოადგენს სახელოვან იუბილეს, რომლითაც სტალინგრადის მუშებს შეუძლიათ იამაყონ.

ბრძოლა გენერლებთან — კრასნოვთან და დენიკინთან, კონტრრევოლუციონერთა და დასავლეთელ ინტერვენციონისტთა განდევნა, სამეურნეო ნგრევის დაძლევა, წარმატებანი ახალი ცხოვრების მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე, — ასეთია მთავარი მოვლენები სტალინგრადის პროლეტარიატის უკანასკნელი 10 წლის ცხოვრებიდან. მთელ ამ პერიოდში «ბორბა» სოციალიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა და გზას უნათებდა მშრომელთ.

მხურვალე სალამი «ბორბას»! ვუსურვებ მას ახალ წარმატებებს!

ი. სტალინი

1927 წ. 22 თებერვალი.

გაზეთი «ბორბა» (სტალინგრადი) № 122, 1927 წ. 31 მაისი.

სიტყვა ოქტომბრის გზის სტალინის სახელობის რკინიგზის სახელოსნოთა მუშების კრებაზე

1927 წ. 1 მარტი

(მოკლე შინაარსი)

ამხანაგებო! «წესადაა» შემოღებული, რომ ორატორებმა დაუსრულებლად ილაპარაკონ იმისათვის, რომ სხვებმაც დაუსრულებლად უსმინონ მათ. მე ვფიქრობ, ამჯერად ჩვენ ცოტა სხვანაირად მოვიქცევით. მე იმას დავჯერდები, რომ პასუხს გავცემ ცალკეული ამხანაგების ბარათებში მოცემულ შეკითხვებზე. ვფიქრობ, ასე უფრო სახალისო იქნება. თუ თანახმა ხართ, შევუდგები საქმეს.

მეტი წილი ამ ბარათებისა შეიცავს ერთ შეკითხვას: გვექნება თუ არა წელს ომი, ამა წლის გაზაფხულზე ან შემოდგომაზე?

მე ვუპასუხებ: წელს არც გაზაფხულზე, არც შემოდგომაზე ჩვენ ომი არ გვექნება.

წელს ომი არ გვექნება არა იმიტომ, რომ საერთოდ არ იყოს იმპერიალისტური ომების საფრთხე. არა, ომების საფრთხე არსებობს. წელს ომი არ გვექნება იმიტომ, რომ ჩვენი მტრები მზად არ არიან ომისათვის, იმიტომ, რომ ომის შედეგებისა ჩვენს მტრებს უფრო ეშინიათ, ვიდრე სხვა ვინმეს, იმიტომ, რომ დასავლეთის მუშებს არ სურთ

ეომონ სსრ კავშირს, ხოლო უმუშებოდ ომი შეუძლებელია, დასასრულ, იმიტომ, რომ ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად ვატარებთ მშვიდობის პოლიტიკას, ეს გარემოება კი აძნელებს ჩვენს ქვეყანასთან ომს.

ასაბუთებს რა ამ დებულებებს დასავლეთის დიდ და მცირე სახელმწიფოებთან ჩვენი ურთიერთობის ფაქტებით, ამხ. სტალინი გადადის საკითხზე აღმოსავლეთში სსრ კავშირის პოლიტიკის შესახებ.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ მეგობრობის პოლიტიკა, რასაც ჩვენ აღმოსავლეთის დამოკიდებული და კოლონიური ხალხების მიმართ ვახორციელებთ, დაკავშირებულია ზოგიერთ დათმობასთან ჩვენი მხრივ და, შაშასადამე, ჩვენს ერთგვარ ხარჯებთანაც. ეს, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ ყოველი სხვა პოლიტიკა მიუღებელი იქნებოდა ჩვენთვის არა მარტო პრინციპული თვალსაზრისით, არამედ საგარეო პოლიტიკის ხარჯების თვალსაზრისითაც. ჩვენ პრინციპულად რომ არ შეგვიძლია გავატაროთ აქ სხვა პოლიტიკა, გარდა მეგობრობის პოლიტიკისა, ეს საბჭოთა ხელისუფლების თვით ბუნებიდან გამომდინარეობს, ხელისუფლებისა, რომელმაც დაამსხვრია იმპერიალიზმის ბორკილები და ამაზე ააგო თავისი ძლიერება. ამიტომ ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

განვიხილოთ საქმე საგარეო პოლიტიკის ხარჯების თვალსაზრისით. ჩვენი სახელმწიფოს საზღვრები აღმოსავლეთში ჩინეთთან, ავღანეთთან, სპარსეთთან, თურქეთთან, როგორც ცნობილია, გადაჭიმულია რამდენიმე ათას ვერსზე. ამ საზღვრებზე ჩვენ ახლა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით გვყავს ჯარი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა აქვს მოსაზღვრე სახელმწიფოთა მოსახლეობასთან, და ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს თავს ნება მივცეთ გავწიოთ ეს კოლოსალური ეკონომია საზღვრების დაცვის საქმეში იმიტომ, რომ ამ სახელმწიფოებთან მეგობრობის პოლიტიკას ვეწევით.

მაგრამ დავუშვათ, რომ ამ ქვეყნებთან გვქონდეს არა მეგობრული, არამედ მტრული ურთიერთობა, როგორც ეს რუსეთის თვითმპყრობელობის დროს იყო. მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებოდით ამ საზღვრებზე გვყოლოდა თავით-ფეხამდე შეიარაღებული რამდენიმე არმია და მთელი რიგი სამხედრო ხომალდები შორეულ აღმოსავლეთში, როგორც ამას აკეთებს ახლა ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფო. ხოლო რას ნიშნავს ამ საზღვრებზე რამდენიმე არმიისა და სათანადო ფლოტის ყოლა? ეს ნიშნავს ამ არმიებისა და ფლოტისათვის ყოველწლიურად ასეულმილიონობით მანეთი ხალხის ფულის ხარჯვას. ესეც აღმოსავლეთის პოლიტიკა იქნებოდა. მაგრამ ეს იქნებოდა ყველა შესაძლო პოლიტიკათაგან ყველაზე უყაირათო, ყველაზე მფლანგველი და ყველაზე საშიში პოლიტიკა. სწორედ ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პოლიტიკა აღმოსავლეთში ყველაზე სწორია პრინციპულად, ყველაზე საიმედოა პოლიტიკური შედეგების თვალსაზრისით და ყველაზე ყაირათიანია აღმოსავლეთში შესაძლო ყველა პოლიტიკათაგან.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ ასეთი პოლიტიკა უზრუნველყოფს ჩვენთვის მტკიცე მშვიდობას აღმოსავლეთში არა მარტო კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მიმართ, არამედ იაპონიის მიმართაც.

მთელი რიგი ორატორების შემდეგ, რომლებიც გამოვიდნენ კამათში დეპუტატთა განაწესის გამო, ამხ. სტალინი კვლავ გამოდის პასუხით კრების წევრთა მთელ რიგ ახალ ბარათებზე.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ პასუხი გავცე ამხანაგების ახალ ბარათებზე. ორი საკითხი გამოსჭვივის ამ ბარათებში: საკითხი ინგლის-საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის შესაძლო გაწყვეტისა და საკითხი ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ძირითადი მიღწევებისა.

გაწყვეტს თუ არა ინგლისი 1921 წლის სავაჭრო ხელშეკრულებას? გაწყვეტს თუ არა იგი დიპლომატიურ ურთიერთობას სსრ კავშირთან?

რა თქმა უნდა, ინგლისის მხრივ ურთიერთობის გაწყვეტა გამორიცხული არ არის. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ იგი ნაკლებად მოსალოდნელია. და ნაკლებად მოსალოდნელია იმიტომ, რომ ურთიერთობის გაწყვეტა ინგლისს მინუსების მეტს ვერაფერს მისცემს. აქ არას ვამბობ იმაზე, რომ იმ მშვიდობიანი პოლიტიკის დროს, რომელსაც სსრ კავშირი ეწევა, ურთიერთობის გაწყვეტისათვის პასუხისმგებლობა უმძიმესი პასუხისმგებლობა იქნებოდა ყველა შესაძლო მძიმე პასუხისმგებლობათაგან, როგორიც კი ამჟამად ინგლისის მთავრობას შეუძლია იკისროს...

რაში მდგომარეობს ჩვენი ძირითადი მიღწევა სამეურნეო მშენებლობის საქმეში?

გველაპარაკებიან ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებებზე. გვეუბნებიან, რომ ეს ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ყოველივე ეს მართალია, ამხანაგებო. ნაკლი ბევრი გვაქვს როგორც ქარხნებსა და ფაბრიკებში, ისე ჩვენი მმართველობის აპარატში. უცნაური იქნებოდა, რომ არ გვქონოდა ეს ნაკლოვანებანი იმ კოლოსალური მუშაობის დროს, რომელიც ჩვენ ვიკისრეთ. მაგრამ საქმე ამ ნაკლოვანებებში როდია. საქმე ახლა ის არის, რომ ჩვენ შევძელით ჩვენი საკუთარი ძალებით დაგვეყენებინა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმე.

რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია? ეს ნიშნავს აგრარული ქვეყნის გადაქცევას სამრეწველო ქვეყნად. ეს ნიშნავს ჩვენი ინდუსტრიის დაყენებასა და განვითარებას ახალ ტექნიკურ საფუძველზე.

მსოფლიოში ჯერ არსად მომხდარა, რომ ვეებერთელა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ინდუსტრიულ ქვეყნად

გადაქცეულიყოს კოლონიების გაუძარცვავად, სხვისი ქვეყნების გაუძარცვავად ან გარედან დიდ სესხთა და გრძელვადიან კრედიტთა აუღებლად. გაიხსენეთ ინგლისის, გერმანიის, ამერიკის სამრეწველო განვითარების ისტორია, და გაიგებთ, რომ ეს სწორედ ასეა. ამერიკაც კი, ყველაზე მძლავრი კაპიტალისტური ქვეყანა, იძულებული იყო სამოქალაქო ომის შემდეგ მთელ 30—40 წელიწადს ეცოდვილნა, რომ დაეყენებინა თავისი მრეწველობა გარედან სესხთა და გრძელვადიან კრედიტთა აღებისა და მისი მომჯნავე სახელმწიფოებისა და კუნძულების გაძარცვის გზით.

შეგვიძლია. თუ არა ჩვენ დავადგეთ ამ «ნაცად» გზას? არა, არ შეგვიძლია, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების ბუნება კოლონიურ ძარცვას ვერ იწყნარებს, ხოლო დიდ სესხთა და გრძელვადიან კრედიტთა მიღების ვარაუდისათვის საფუძველი არა გვაქვს.

ძველი რუსეთი, მეფის რუსეთი, ინდუსტრიალიზაციისაკენ მიდიოდა სხვა გზით — კაბალურ სესხთა აღებისა და ჩვენი მრეწველობის ძირითადი დარგების კაბალური კონცესიებით გაცემის გზით. თქვენ იცით, რომ თითქმის მთელი დონბასი, პეტერბურგის მრეწველობის მეტი ნაწილი, ბაქოს ნავთი და მთელი რიგი რკინიგზები, ელექტრომრეწველობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უცხოელი კაპიტალისტების ხელში იყო. ეს იყო გზა ინდუსტრიალიზაციისა სსრ კავშირის ხალხების ხარჯზე და მუშათა კლასის ინტერესთა საწინააღმდეგოდ. ცხადია, რომ ჩვენ. არ შეგვიძლია ამ გზას დავადგეთ: იმისათვის როდი ვებრძოდით კაპიტალიზმის უღელს, იმისათვის როდი დავამხეთ კაპიტალიზმი, რომ შემდეგ ნებაყოფლობით დავიდგათ კაპიტალიზმის უღელი.

რჩება ერთი გზა, საკუთარი დაგროვების გზა, მომჭირნეობის გზა, გზა მეურნეობის ყაირათიანად გაძღოლისა იმი-

სათვის, რომ დავაგროვოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო სახსრები. თქმა არ უნდა, ეს ძნელი ამოცანაა. მაგრამ, მიუხედავად სიძნელეებისა, ჩვენ მას უკვე ვწყვეტთ. დიახ, ამხანაგებო, სამოქალაქო ომის ოთხი წლის შემდეგ ჩვენ ამ ამოცანას უკვე ვწყვეტთ. აი რაშია საქმე, ამხანაგებო, და აი რაშია ჩვენი ძირითადი მიღწევები.

წელს ჩვენი მრეწველობის საჭიროებისათვის ვიძლევით ერთ მილიარდ სამას მილიონ მანეთს. ჩვენ ამ ფულით ვაშენებთ ახალ ქარხნებს, რემონტს ვუკეთებთ ძველ ქარხნებს, შემოგვაქვს ახალი ტექნიკა, ვზრდით მუშათა კლასის რაოდენობას. ამრიგად ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საძირკველს ვუყრით ახალ მრეწველობას ჩვენი საკუთარი დაგროვების საფუძველზე. ამრიგად ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენი საკუთარი სახსრებით ვაგებთ ახალი, სოციალისტური მრეწველობის გრანდიოზულ შენობას. აი რა არის ჩვენი ძირითადი მიღწევა, ამხანაგებო.

ამბობენ, რომ ამ გრანდიოზულ შენობას ზოგიერთი ნაკლი აქვს, რომ ბათქაში მთლად კარგი ვერ არის, რომ აქა-იქ კედელს შპალერი ჩამოსცლია, რომ რომელიღაც კუნჭულში ნაგავი ჯერ კიდევ არ გამოუგვიათ და სხვ. ყოველივე ეს ასეა. მაგრამ განა ამაშია საქმე და განა ეს არის მთავარი? ახალი მრეწველობის გრანდიოზული შენობა შენდება თუ არა? დიახ, შენდება. ეს შენობა საკუთარი სახსრებით შენდება თუ არა? დიახ, საკუთარი სახსრებით. განა ცხადი არ არის, რომ სამეურნეო მშენებლობის საქმეში, ინდუსტრიალიზაციის საქმეში ჩვენ უკვე ვაღწევთ მთავარსა და ძირითადს?

აი რა არის ჩვენი მიღწევების საფუძველი.

ზოგ ჩვენს ამხანაგს მიდრეკილება აქვს მხოლოდ ჩვენს პარტიას მიაწეროს ეს წარმატებანი. სწორედ ამით აიხსნება, რომ ზოგიერთი ამხანაგი უზომოდ აქებს მას, ჩვენს პარტიას. ამითვე უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთი კომუნისტი ტრაბა-

ხობს და ამპარტავნობს, — სამწუხაროდ, ამ ცოდვისაგან ზოგიერთი ჩვენგანი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა. რა თქმა უნდა, ჩვენი პარტიის ძირითადად სწორმა პოლიტიკამ უდიდესი როლი შეასრულა ამ წარმატებათა მიღწევის საქმეში. მაგრამ ჩვენი პარტიის პოლიტიკა გახვრეტილ ფარად არ ეღირებოდა, მას რომ ნამდვილად მეგობრულად არ უჭერდნენ მხარს უპარტიო მუშების მრავალმილიონიანი მასები. ჩვენი პარტია სწორედ იმით არის ძლიერი, რომ მას მხარს უჭერენ უპარტიო მუშათა მასები. ამის დავიწყება არ შეიძლება, ამხანაგებო. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

«პრავდა» № 51,
1927 წ. 3 მარტი.

წერილი ამხ. ცვეტკოვსა და ალიპოვს

თქვენი 1927 წ. 1. III-ის შეკითხვა გაუგებრობად მიმაჩნია. და აი რატომ.

1) ჩემს მოხსენებაში [38] ლაპარაკია არა «თვითმპყრობელური წყობილების» შექმნაზე რუსეთში, არამედ ცენტრალიზებულ მრავალეროვან სახელმწიფოთა შექმნაზე აღმოსავლეთ ევროპაში (რუსეთი, ავსტრია, უნგრეთი). ძნელი გასაგები არ არის, რომ ეს ორი სხვადასხვა თემაა, თუმცა ისინი არ შეიძლება ერთმანეთს მოწყვეტილად ჩაითვალონ.

2) არც მოხსენებაში და არც თეზისებში [39] მე არაფერი არა მაქვს ნათქვამი რუსეთში ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნაზე «**არა** ეკონომიური განვითარების შედეგად, **არამედ** მონღოლებთან და აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან ბრძოლის ინტერესებისათვის» (იხ. თქვენი წერილი). ამ დაპირდაპირებისათვის პასუხი უნდა აგოთ თქვენ და არა მე. მე ვლაპარაკობ მხოლოდ იმაზე, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა შექმნის პროცესი თავდაცვის აუცილებლობის გამო ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პროცესზე **უფრო ჩქარა** წარმოებდა, რის გამოც აქ მრავალეროვანი სახელმწიფოები შეიქმნა ფეოდალიზმის ლიკვიდაციამდე. ეს, როგორც ხედავთ, ის არ არის, რასაც თქვენ არასწორად მომაწერთ.

აი ციტატა ჩემი მოხსენებიდან:

«აღმოსავლეთ ევროპაში, პირიქით, ერების წარმოშობისა და ფეოდალური დაქსაქსულობის ლიკვიდაციის პროცესი დროის მხრივ არ დამთხვეულა ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოშობის პროცესს. მე მხედველობაში მაქვს უნგრეთი, ავსტრია, რუსეთი. ამ ქვეყნებში კაპიტალისტური განვითარება ჯერ კიდევ არ იყო, იგი, იქნებ, მხოლოდ ისახებოდა, მაშინ როდესაც თურქთა, მონღოლთა და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა შემოსევისაგან თავდაცვის ინტერესები მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ შექმნილიყვნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოები, რომლებიც შესძლებდნენ შემოსევას გამკლავებოდნენ. და რადგანაც აღმოსავლეთ ევროპაში ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა გაჩენის პროცესი ადამიანების ერებად ჩამოყალიბების პროცესზე **უფრო ჩქარა წარმოებდა,** ამიტომ იქ წარმოიშვნენ შერეული სახელმწიფოები, რომლებიც რამდენიმე, ჯერ კიდევ ერებად ჩამოუყალიბებელი, მაგრამ უკვე საერთო სახელმწიფოდ გაერთიანებული ხალხისაგან შესდგებოდნენ» [10].

ხოლო აი ციტატა ჩემი თეზისებიდან, რომლებიც პარტიის X ყრილობამ მიიღო:

«იქ, სადაც ერების წარმოშობა საერთოდ და მთლიანად დროის მხრივ ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოშობას დაემთხვა, ერები, ბუნებრივია, სახელმწიფოებრივი გარსით შეიმოსნენ, დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ ნაციონალურ სახელმწიფოებად განვითარდნენ. ასე მოხდა ინგლისში (უირლანდიიდ), საფრანგეთში, იტალიაში. აღმოსავლეთ ევროპაში, პირიქით, ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოშობა, **რაც დაჩქარებული იყო** თავდაცვის საჭიროებით (თურქების, მონღოლების შესევა და სხვ.), მოხდა ფეოდალიზმის ლიკვიდაციაზე უფრო ადრე, მაშასადამე, ერების წარმოშობაზე უფრო ადრე. ამიტომ ერები აქ არ განვითარებულან, მათ არც შეეძლოთ განვითარებულიყვნენ ნაციონალურ სახელმწიფოებად, არამედ შექმნეს რამდენიმე შერეული, მრავალეროვანი ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომლებიც ჩვეულებრივ შესდგებოდნენ ერთი ძლიერი, გაბატონებული ერისა და რამდენიმე სუსტი, დამორჩილებული ერისაგან. ასეთებია: ავსტრია, უნგრეთი, რუსეთი» [11].

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ციტატებში ხაზგასმულ ადგილებს.

3) თუ გადაათვალიერებთ მთელ ჩემს მოხსენებას X ყრილობაზე, აგრეთვე თეზისებს ნაციონალურ საკითხზე (მათს პირველ ნაწილს), ძნელი არ იქნება დარწმუნდეთ, რომ მოხსენების თემას წარმოადგენს არა «თვითმპყრობელური წყობილების» შექმნის საკითხი, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში მრავალეროვან ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა შექმნისა და ამ უკანასკნელი პროცესის დამაჭქარებელი ფაქტორების საკითხი.

კომ. სალამით **ი. სტალინი**

1927 წ. 7 მარტი.

იბეჭდება პირველად.

მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხისათვის

პასუხი დმიტრიევს

თქვენი ა. წ. 14 იანვრის წერილი «ბოლშევიკში» მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხზე გადმომიგზავნეს ცენტრალურ კომიტეტში პასუხის გასაცემად. დიდი დატვირთვის გამო პასუხს დაგვიანებით გაძლევთ, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

1) არ შეიძლება საკითხის დაყენება ისე, როგორც მას ზოგიერთი ამხანაგი აყენებს: «მუშურ-გლეხური მთავრობა — ფაქტიურად, თუ როგორც სააგიტაციო ლოზუნგი». არ შეიძლება იმის თქმა, რომ თუმცა ჩვენში ნამდვილად არც არის მუშურ-გლეხური მთავრობა, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ მუშურ-გლეხურ მთავრობაზე, როგორც სააგიტაციო ლოზუნგზე. საკითხის ასე დაყენების დროს გამოდის, რომ ჩვენს პარტიას შეუძლია მოგვცეს შინაგანად ყალბი ლოზუნგები, რომლებიც ნამდვილად უსაფუძვლოა, რომლებიც თვით პარტიას არა სწამს, მაგრამ რომლებსაც პარტია მაინც იყენებს იმისათვის, რომ მასები მოატყუოს. ასე შეუძლიათ მოიქცნენ ესერები, მენშევიკები, ბურჟუაზიული დემოკრატები, რადგან სიტყვის დაშორება საქმისაგან და მასების მოტყუება ამ მომაკვდავი პარტიების ერთერთ ძირითად იარაღს წარმოადგენს. მაგრამ ჩვენს პარტიას არასოდეს და არავითარ პირობებში არ შეუძლია საკითხი

ასე დააყენოს, ვინაიდან იგი არის მარქსისტული პარტია, ლენინური პარტია, ალმავალი პარტია, რომლის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ შორდება, რომ იგი არ ატყუებს მასებს, რომ იგი მასებს ეუბნება მხოლოდ სიმართლეს და თავის პოლიტიკას აშენებს არა დემაგოგიაზე, არამედ კლასობრივ ძალთა მეცნიერულ ანალიზზე.

საკითხი ასე უნდა დაისვას: **ან** ჩვენში არ არის მუშურ-გლეხური მთავრობა, — და მაშინ მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი უნდა უკუვაგდოთ, როგორც ზედმეტი და ყალბი ლოზუნგი, **ან** ჩვენში ნამდვილად არის მუშურ-გლეხური მთავრობა, ასეთი მთავრობის არსებობა შეესაბამება კლასობრივ ძალთა მდგომარეობას, — და მაშინ მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი სწორი და რევოლუციური ლოზუნგია. **ან** ერთი **ან** მეორე. ორში ერთი უნდა ავირჩიოთ.

2) მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგს თქვენ უწოდებთ «ამხ. სტალინის ფორმულას». ეს სრულიადაც არ არის სწორი. ნამდვილად ეს ლოზუნგი ან, თუ გნებავთ, ეს «ფორმულა» ლენინის ლოზუნგია, და არა ვისიმე სხვისა. მე მხოლოდ გავიმეორე იგი «კითხვა-პასუხში» [12]. აიღეთ ლენინის თხზულებათა XXII ტომი — გვ. 13, 15, 90, 133, 210; XXIII ტომი — გვ. 93, 504; XXIV ტომი — გვ. 448; XXVI ტომი — გვ. 184, სადაც ლენინი საბჭოთა ხელისუფლებას «**მუშურ-გლეხურ მთავრობას**» უწოდებს; აიღეთ XXIII ტომი — გვ. 58, 85, 86, 89; XXIV ტომი — გვ. 115, 185, 431, 433, 436, 539, 540; XXV ტომი — გვ. 82, 146, 390, 407; XXVI ტომი — გვ. 24, 39, 40, 182, 207, 340, სადაც ლენინი საბჭოთა ხელისუფლებას «**მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას**» უწოდებს, — აიღეთ ლენინის ყველა ეს, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნაწარმოები, და თქვენ გაიგებთ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი ანუ «ფორ-

მულა» არის ლენინის ლოზუნგი ანუ «ფორმულა», და არა ვისიმე სხვისა.

3) თქვენი ძირითადი შეცდომა ის არის, რომ თქვენ ერთმანეთში ურევთ:

ა) ჩვენი მთავრობის საკითხსა და ჩვენი სახელმწიფოს საკითხს;

ბ) ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის კლასობრივი ბუნების საკითხსა და ჩვენი მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკის საკითხს.

არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ და, მაშასადამე, გავაიგივეოთ ჩვენი სახელმწიფო და ჩვენი მთავრობა. ჩვენი სახელმწიფო არის პროლეტართა **კლასის** ორგანიზაცია სახელმწიფო ხელისუფლებად, რომელიც მოწოდებულია დათრგუნოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა, მოაწყოს სოციალისტური მეურნეობა, მოსპოს კლასები და სხვ. ჩვენი მთავრობა კი არის ამ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის **ზედა ნაწილი,** მისი ხელმძღვანელი ზედა ნაწილი. მთავრობა შეიძლება ცდებოდეს, მან შეიძლება დაუშვას ისეთი შეცდომები, რომლებიც დროებით მარცხს უქადიან პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ ეს კიდევ არ იქნება იმის მომასწავებელი, რომ პროლეტარული დიქტატურა, როგორც გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს აშენების პრინციპი, უმართებულო ან მცდარია. ეს მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნება, რომ ხელმძღვანელი ზედა ნაწილი ცუდია, რომ ხელმძღვანელი ზედა ნაწილის პოლიტიკა, მთავრობის პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურას არ შეესაბამება, რომ ეს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნათა **შესაბამისად.**

სახელმწიფო და მთავრობა თავიანთი კლასობრივი ბუნებით ერთგვაროვანი არიან, მაგრამ მთავრობა მოცულობით უფრო ვიწროა და იგი არ ფარავს სახელმწიფოს. ისინი

ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ შეიძლება მათი ერთმანეთში არევა.

თქვენ ხედავთ, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ **ჩვენი სახელმწიფოს** საკითხი და ჩვენი მთავრობის საკითხი, ისევე როგორც არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ პროლეტართა კლასის საკითხი და პროლეტართა კლასის ხელმძღვანელი ზედა ნაწილის საკითხი.

მაგრამ კიდევ უფრო დაუშვებელია ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის კლასობრივი ბუნების საკითხისა და ჩვენი მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკის საკითხის ერთმანეთში არევა. ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის კლასობრივი ბუნება თავისთავად ნათელია, — იგი პროლეტარულია. ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი მთავრობის მიზნებიც ნათელია, — ეს არის ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვა, სოციალისტური მეურნეობის მოწყობა, კლასების მოსპობა და სხვ. ყოველივე ეს ნათელია.

რით განისაზღვრება, ასეთ შემთხვევაში, საკითხი ჩვენი მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკის შესახებ? იგი განისაზღვრება იმ **გზებისა** და **საშუალებების** საკითხით, რომელთა მეოხებით შეიძლება განხორციელებულ იქნას პროლეტარული დიქტატურის კლასობრივი მიზნები ჩვენს გლეხურ ქვეყანაში. პროლეტარული სახელმწიფო საჭიროა იმისათვის, რომ დავთრგუნოთ ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა, მოვაწყოთ სოციალისტური მეურნეობა, მოვსპოთ კლასები და სხვ. ჩვენი მთავრობა კი, ყოველივე ამას გარდა, საჭიროა კიდევ იმისათვის, რომ დავსახოთ ის **გზები** და **საშუალებანი** (ყოველდღიური პოლიტიკა), ურომლისოდაც წარმოუდგენელია ამ ამოცანების განხორციელება ჩვენს ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი უმცირესობას შეადგენს, სადაც გლეხობა დიდ უმრავლესობას წარმოადგენს.

როგორია ეს გზები და საშუალებანი, რაში გამოიხატება ისინი? ძირითადად ეს არის ის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია მუშებისა და გლეხობის ძირითადი მასის **კავშირის** შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ, ხელისუფლების სათავეში მდგომი პროლეტარიატის **ხელმძღვანელი როლის** შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ ამ კავშირში. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ **ასეთი** კავშირის გარეშე და **ასეთი** კავშირისაგან დამოუკიდებლად ჩვენი მთავრობა უძლური იქნებოდა, და ჩვენ შესაძლებლობა არ გვექნებოდა მივსულიყავით პროლეტარიატის დიქტატურის იმ ამოცანების განხორციელებამდე, რომელთა შესახებ ეს არის ვილაპარაკე. რამდენ ხანს იარსებებს მუშათა და გლეხთა ეს კავშირი და როდემდის გაგრძელდება საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, მიმართული ასეთი კავშირის განმტკიცებისაკენ? ცხადია, იმ დრომდე, სანამ არსებობენ კლასები და სანამ იარსებებს მთავრობა, როგორც კლასობრივი საზოგადოების გამოხატულება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გამოხატულება.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ:

ა) მუშათა და გლეხთა კავშირი ჩვენთვის საჭიროა არა გლეხობის, როგორც კლასის, შენარჩუნებისათვის, არამედ მისი გარდაქმნისა და გადაკეთებისათვის ისეთი მიმართულებით, რომელიც სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ინტერესებს შეესაბამება;

ბ) საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, მიმართული ამ კავშირის განმტკიცებისაკენ, მიზნად ისახავს კლასების მოსპობას და არა მათს შენარჩუნებას, მიზნად ისახავს კლასების მოსპობის ტემპის დაჩქარებას.

ამიტომ ლენინი სავსებით მართალი იყო, როდესაც წერდა:

«დიქტატურის უმაღლესი პრინციპია გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის უზრუნველყოფა, რათა პროლეტარიატმა შესძლოს

ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება» (ტ. XXVI, გვ. 460).

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ლენინის სწორედ ეს დებულება, და არა სხვა რამე, წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის სახელმძღვანელო ხაზს მის ყოველდღიურ პოლიტიკაში, რომ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა განვითარების ახლანდელ სტადიაზე არსებითად არის მუშებისა და გლეხობის ძირითადი მასის სწორედ **ასეთი** კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკა. **ამ აზრით,** — მაგრამ მხოლოდ ამ აზრით, და არა თავისი კლასობრივი ბუნების აზრით, — საბჭოთა მთავრობა წარმოადგენს **მუშურ-გლეხურ** მთავრობას.

ამის არცნობა ნიშნავს ლენინიზმის გზიდან გადახვევას, პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი მასების კავშირის იდეის უარყოფის გზაზე დადგომას.

ამის არცნობა ნიშნავს მიიჩნიო ეს კავშირი მახინაციად და არა რეალურ რევოლუციურ საქმედ, მიიჩნიო, რომ ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოვიღეთ «აგიტაციისათვის», და არა სოციალისტური მშენებლობისათვის გლეხობის ძირითად მასებთან ერთად.

ამის არცნობა ნიშნავს მიიჩნიო, რომ ჩვენს რევოლუციას **არ** შეუძლია გლეხობის ძირითადი მასების **ძირითადი** ინტერესების დაკმაყოფილება, რომ ეს ინტერესები შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფებიან პროლეტარიატის ინტერესებთან, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვაშენოთ და არც უნდა ვაშენებდეთ სოციალიზმს გლეხობის ძირითად მასებთან ერთად, რომ ლენინის კოოპერაციული გეგმა უსაფუძვლოა, რომ მენშევიკები და მათი დამქაშები მართალი არიან და სხვ.

საკმარისია მხოლოდ დავსვათ ეს საკითხები, რომ გავიგოთ მუშათა და გლეხთა კავშირის კარდინალური საკითხისა-

დმი «სააგიტაციო» მიდგომის მთელი სიდამპლე და უაზრობა. აი რატომ ვამბობდი ჩემს «კითხვა-პასუხში», რომ მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი არის არა «დემაგოგია», არა «სააგიტაციო» მანევრი, არამედ უეჭველად სწორი და რევოლუციური ლოზუნგი.

მოკლედ: ერთი საქმეა საკითხი სახელმწიფოს და მთავრობის კლასობრივი ბუნებისა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი რევოლუციის განვითარების ძირითად მიზნებს, და სხვა საქმეა საკითხი მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკისა, ამ პოლიტიკის **გზებისა** და **საშუალებებისა**, რომლებიც საჭიროა ამ მიზნების განსახორციელებლად. ორივე ეს საკითხი უთუოდ დაკავშირებულია ერთმანეთთან. მაგრამ **ეს** კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი იდენტური არიან, რომ შეიძლება მათი ერთმანეთში არევა.

თქვენ ხედავთ, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ სახელმწიფოს და მთავრობის კლასობრივი ბუნების საკითხი და მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკის საკითხი.

შეიძლება თქვან, რომ აქ არის წინააღმდეგობა: როგორ შეიძლება თავისი კლასობრივი ბუნებით პროლეტარულ მთავრობას მუშურ-გლეხური მთავრობა ვუწოდოთ? მაგრამ წინააღმდეგობა აქ მოჩვენებითია. ნამდვილად რომ ითქვას, აქ ისეთივე «წინააღმდეგობაა», როგორიც სურს იპოვოს ზოგიერთმა ჩვენმა ბრძენმა ლენინის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მოცემულ ორ ფორმულას შორის, რომელთაგან პირველი ფორმულა ამბობს, რომ «პროლეტარიატის დიქტატურა არის **ერთი** კლასის ძალაუფლება» (ტ. XXIV, გვ. 398), ხოლო მეორე ფორმულა ამბობს, რომ «პროლეტარიატის დიქტატურა არის **განსაკუთრებული ფორმა კლასობრივი კავშირისა** * პროლეტარიატსა — მშრომელთა ავანგარდსა — და მშრომელთა მრა-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ვალრიცხოვან არაპროლეტარულ ფენებს (წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონენი, გლეხობა, ინტელიგენცია და სხვ.) შორის» (ტ. XXIV, გვ. 311).

არის თუ არა წინააღმდეგობა ამ ორ ფორმულას შორის? რასაკვირველია, არ არის. როგორ ხორციელდება, ამ შემთხვევაში, **ერთი** კლასის (პროლეტარიატის) ძალაუფლება, ვთქვათ, გლეხობის ძირითად მასასთან კლასობრივი კავშირის პირობებში? ხელისუფლების სათავეში მდგომი პროლეტარიატის («მშრომელთა ავანგარდი») ხელმძღვანელი როლის განხორციელებით ამ კავშირში. ერთი კლასის, პროლეტართა კლასის ძალაუფლება, რომელიც ხორციელდება გლეხობის ძირითად მასასთან ამ კლასის კავშირის საშუალებით, გლეხობის მიმართ **სახელმწიფოებრივი** ხელმძღვანელობის წესით, — აი ამ ორი ფორმულის დედააზრი. სად არის აქ წინააღმდეგობა?

ხოლო რას ნიშნავს პროლეტარიატის **სახელმწიფოებრივი** ხელმძღვანელობა გლეხობის ძირითადი მასის მიმართ? არის თუ არა ეს ისეთი ხელმძღვანელობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, როცა ჩვენ მივისწრაფოდით პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისაკენ? არა, ეს ასეთი ხელმძღვანელობა არ არის. პროლეტარიატის **სახელმწიფოებრივი** ხელმძღვანელობა გლეხობის მიმართ არის ხელმძღვანელობა პროლეტარიატის დიქტატურის დროს. პროლეტარიატის **სახელმწიფოებრივი** ხელმძღვანელობა ნიშნავს, რომ:

ა) ბურჟუაზია უკვე დამხობილია,

ბ) ხელისუფლების სათავეში დგას პროლეტარიატი,

გ) პროლეტარიატი არ უნაწილებს ძალაუფლებას სხვა კლასებს,

დ) პროლეტარიატი აშენებს სოციალიზმს, მიუძღვება რა გლეხობის ძირითად მასებს.

ხოლო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის დროს პროლეტარიატის ხელმძღვანელობა ნიშნავს, რომ:

ა) კაპიტალიზმი რჩება როგორც საფუძველი,

ბ) ხელისუფლების სათავეში დგას რევოლუციურ-დემოკრატიული ბურჟუაზია, რომელიც უმთავრეს ძალას წარმოადგენს ხელისუფლების შემადგენლობაში,

გ) დემოკრატიული ბურჟუაზია ძალაუფლებას უნაწილებს პროლეტარიატს,

დ) პროლეტარიატი ათავისუფლებს გლეხობას ბურჟუაზიული პარტიების გავლენისაგან, იდეურ-პოლიტიკურად ხელმძღვანელობს მას და ამზადებს ბრძოლას კაპიტალიზმის დასამხობად.

როგორც ხედავთ, აქ ძირეული განსხვავებაა.

იგივე უნდა ითქვას მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხის შესახებ. რა წინააღმდეგობა შეიძლება იყოს იმაში, რომ ჩვენი მთავრობის პროლეტარული ბუნება და აქედან გამომდინარე სოციალისტური ამოცანები არა თუ ხელს არ უშლიან ამ მთავრობას, არამედ, პირიქით, აიძულებენ მას, აუცილებლად აიძულებენ გაატაროს მუშათა და გლეხთა კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკა, როგორც ჩვენს გლეხურ ქვეყანაში პროლეტარული დიქტატურის სოციალისტური კლასობრივი ამოცანების განხორციელების უმნიშვნელოვანესი საშუალება, რომ ამ მთავრობას ამის გამო ეწოდება მუშურ-გლეხური მთავრობა?

განა ცხადი არ არის, რომ ლენინი მართალი იყო, როცა ატარებდა მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგს და ჩვენს მთავრობას ახასიათებდა, როგორც მუშურ-გლეხურ მთავრობას?

საერთოდ უნდა ითქვას, რომ «პროლეტარიატის დიქტატურის სისტემა», რომლის მეოხებითაც ტარდება ჩვენს

ქვეყანაში ერთი კლასის ძალაუფლება, პროლეტარიატის ძალაუფლება, — საკმაოდ რთული მოვლენაა. მე ვიცი, რომ ზოგიერთ ამხანაგს არ მოსწონს, არ ეპრიანება ეს სირთულე მე ვიცი, რომ ბევრი მათგანი ამჯობინებდა, «ძალთა რაც შეიძლება ნაკლები ხარჯვის პრინციპის» თვალსაზრისით, საქმე ჰქონოდა უფრო მარტივ და უფრო ადვილ სისტემასთან. მაგრამ რა გაეწყობა: ჯერ-ერთი, ლენინიზმი უნდა აიღო ისეთი, როგორიც ის ნამდვილად არის (არ შეიძლება ლენინიზმის გამარტივება და გავულგარება), მეორეც, ისტორია ამბობს, რომ ყველაზე მარტივი და ყველაზე ადვილი «თეორიები» ყოველთვის როდია ხოლმე ყველაზე სწორი.

4) თქვენს წერილში სჩივით:

«ყველა იმ ამხანაგთა ცოდვა, რომელნიც ამ საკითხს აშუქებენ, ის არის, რომ ისინი ლაპარაკობენ ან მხოლოდ მთავრობაზე ან მხოლოდ სახელმწიფოზე, და ამიტომ საბოლოო პასუხს არ იძლევიან, სრულიად უშვებენ მხედველობიდან იმას, თუ რა მიმართება უნდა იყოს ამ ცნებებს შორის».

მე ვაღიარებ, რომ ასეთი «ცოდვა», მართლაც, აქვთ ჩვენს ხელმძღვანელ ამხანაგებს, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი არასაკმაოდ ბეჯითი «მკითხველი» თვითონ კარგად ვერ უკვირდება ლენინის თხზულებებს და მოითხოვს, რომ მათ ყოველი ფრაზა საფუძვლიანად დაუღეჭონ. მაგრამ რა გაეწყობა: ჯერ-ერთი, ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები ძალიან მოუცლელი და მიმდინარე მუშაობით დატვირთული არიან, რაც შესაძლებლობას არ აძლევს მათ ხელი მოჰკიდონ ლენინიზმის ახსნა-განმარტებას, როგორც იტყვიან, პუნქტობით; მეორეც, ხომ საჭიროა ზოგი რამ დავუტოვოთ «მკითხველებსაც», რომლებიც ლენინის თხზულებათა მსუბუქი **კითხვიდან**, ბოლოს, ხომ უნდა გადავიდნენ ლენინიზმის სერიოზულ **შესწავლაზე**. და უნდა ითქვას, რომ «მკითხველების»

მხრივ ლენინიზმის სერიოზული შესწავლის გარეშე თქვენი ჩივილისთანა ჩივილს და «გაუგებრობას» ყოველთვის ექნება ადგილი.

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი სახელმწიფოს საკითხი. ცხადია, რომ ჩვენი სახელმწიფო როგორც თავისი კლასობრივი ბუნებით, ისე თავისი პროგრამით, თავისი ძირითადი ამოცანებით, თავისი მოქმედებით, თავისი საქმეებით, — პროლეტარული სახელმწიფოა, მუშური სახელმწიფოა, მართალია, ერთგვარი «ბიუროკრატიული დამახინჯებით». გაიხსენეთ ლენინის განმარტება:

«მუშური სახელმწიფო აბსტრაქციაა. ნამდვილად კი ჩვენ გვაქვს მუშური სახელმწიფო, ჯერ-ერთი, იმ თავისებურებით, რომ ჩვენს ქვეყანაში ჭარბობს გლეხური მოსახლეობა, და არა მუშური; და, მეორეც, მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული დამახინჯებით» (ტ. XXVI, გვ. 91).

ამაში დაეჭვება მხოლოდ მენშევიკებს, ესერებსა და ზოგიერთ ჩვენს ოპოზიციონერს თუ შეუძლიათ. ლენინს არა ერთხელ განუმარტავს, რომ ჩვენი სახელმწიფო არის პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო, ხოლო პროლეტარული დიქტატურა არის ერთი კლასის ხელისუფლება, პროლეტარიატის ხელისუფლება. ყველაფერი ეს დიდი ხანია ცნობილია. ამავე დროს კი არსებობს მრავალი «მკითხველი», რომელიც პრეტენზიას აცხადებდა და კვლავ აცხადებს ლენინის მიმართ იმის გამო, რომ ლენინი ჩვენს სახელმწიფოს ზოგჯერ უწოდებდა «მუშურ-გლეხურ» სახელმწიფოს, თუმცა ადვილი გასაგებია, რომ ლენინს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა არა ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების განმარტება და, მით უმეტეს, არა ამ სახელმწიფოს პროლეტარული ბუნების უარყოფა, არამედ ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პროლეტარული ბუნება აუცილებლად მოითხოვს პროლეტარიატისა და გლეხობის

ძირითადი მასების კავშირს, რის გამო საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ამ კავშირის განმტკიცებისაკენ.

აიღეთ, მაგალითად, XXII ტომი — გვ. 174; XXV ტომი — გვ. 50, 80; XXVI ტომი — გვ. 40, 67, 207, 216; XXVII ტომი — გვ. 47. ყველა ამ ნაშრომში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა ნაწარმოებში ლენინი ჩვენს სახელმწიფოს ახასიათებს როგორც **«მუშურ-გლეხურ»** სახელმწიფოს. მაგრამ უცნაური იქნებოდა იმის გაუგებლობა, რომ ლენინს ყველა ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს ჩვენი სახელმწიფოს არა კლასობრივი ბუნების დახასიათება, არამედ მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების იმ პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს პროლეტარული ბუნებიდან და სოციალისტური ამოცანებიდან ჩვენი გლეხური ქვეყნის პირობებში. აი ამ პირობითი და განსაზღვრული აზრით, **მაგრამ მხოლოდ ამ აზრით**, შეიძლება ვილაპარაკოთ «მუშურ-გლეხურ» სახელმწიფოზე, რასაც კიდევაც აკეთებს ლენინი თავისი ნაშრომების აღნიშნულ ადგილებში.

რაც შეეხება ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივ ბუნებას, ზემოთ უკვე ვილაპარაკე, რომ ლენინმა ამის შესახებ მოგვცა უაღრესად ზუსტი ფორმულირება, რომელიც ადგილს არ უტოვებს არავითარ გაუგებრობას: მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული დამახინჯებით ისეთ ქვეყანაში, სადაც გლეხური მოსახლეობა ჭარბობს. ვგონებ, ნათელია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი «მკითხველი», რომელმაც იცის ასოების «კითხვა», მაგრამ რომელსაც არ სურს წაკითხულის გაგება, კვლავ ჩივის, რომ ლენინმა ის «დააბნია» ჩვენი სახელმწიფოს ბუნების საკითხში, ხოლო «მოწაფეებს» არ სურთ ამ «დაბნეულობის» «გამოსწორება». ცოტა არ იყოს სასაცილოა...

თქვენ იკითხავთ: სად არის გამოსავალი ამ «გაუგებრობიდან»?

გამოსავალი, ჩემი აზრით, ერთია: საჭიროა ლენინის შესწავლა არა ცალკე ციტატების მიხედვით, არამედ არსებითად, შესწავლა სერიოზულად, დაკვირვებით და ბეჯითად.

სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ.

«ბოლშევიკ» № 6,
1927 წ. 15 მარტი.

წერილი შინკევიჩს

ბოდიშს ვიხდი პასუხის დაგვიანებისათვის.

1) თქვენ იმოწმებთ ლენინის სიტყვებს (იხ. XXVI და XXVII ტომები [43]) არყის წინააღმდეგ. ლენინის სიტყვები ცენტრალურმა კომიტეტმა, რა თქმა უნდა, იცის. თუ პარტიის ცენტრალური კომიტეტი მაინც დათანხმდა არყის შემოღებაზე, ეს იმიტომ მოხდა, რომ მას ჰქონდა ლენინის საამისო თანხმობა, მოცემული 1922 წელს.

ლენინს გამორიცხულად არ მიაჩნდა, რომ ჩვენ შევძლებდით გარკვეული მსხვერპლის გაღებით მოგვეწესრიგებინა ჩვენი ანგარიშები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ვალების დარგში და მიგვეღო დიდი სესხი ან დიდი ხანგრძლივი კრედიტები. ასე ფიქრობდა იგი გენუის კონფერენციის პერიოდში [44]. ასეთი კომბინაციის დროს ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დაგვჭირდებოდა არყის შემოღება. მაგრამ, ვინაიდან ეს კომბინაცია ვერ განხორციელდა, მრეწველობისათვის კი ფული არ გვქონდა, მაშინ როცა ფულადი სახსრების გარკვეული მინიმუმის უქონლად ჩვენ არ შეგვეძლო გვქონოდა იმედი ჩვენი მრეწველობის რამდენადმე წესიერი განვითარებისა, რაზედაც დამოკიდებულია მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ბედი, — ლენინთან ერთად იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭირო გახდებოდა არყის შემოღება.

რა სჯობს: უცხოეთის კაპიტალის კაბალაში ჩავარდნა, თუ არყის შემოღება, — ასე იდგა საკითხი ჩვენს წინაშე.

ცხადია, რომ ჩვენ არაყზე შევჩერდით, ვინაიდან ვფიქრობდით და კვლავაც ვფიქრობთ, რომ, თუ პროლეტარიატისა და გლეხობის გამარჯვებისათვის დაგვჭირდება ცოტაოდნად ამოსვრა ტალახში, — ჩვენ ამ უკიდურეს საშუალებასაც ვიკისრებთ ჩვენი საქმის ინტერესებისათვის.

ეს საკითხი ჩვენში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსახილველად 1924 წლის ოქტომბერში იდგა. ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი არყის შემოღების წინააღმდეგი იყო, მაგრამ არ მიუთითებდა არავითარ წყაროებს, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა სახსრების მიღება მრეწველობისათვის. ამის პასუხად ცენტრალური კომიტეტის 7 წევრმა, მათ რიცხვში მეც, ცენტრალური კომიტეტის პლენუმში შემდეგი განცხადება შევიტანეთ:

«ამხ. ლენინს 1922 წლის ზაფხულში და იმავე წლის შემოდგომაზე (სექტემბერი) თვითეული ჩვენგანისათვის რამდენჯერმე განუცხადებია, რომ, საზღვარგარეთ სესხის მიღების უიმედობის გამო (გენუის კონფერენციის ჩაფუშვა), საჭირო იქნება შემოვიღოთ არყის მონოპოლია, რომ ეს განსაკუთრებით საჭიროა მინიმალური ფონდის შესაქმნელად ვალუტის განმტკიცებისა და მრეწველობის განმტკიცებისათვის. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ყოველივე ამის შესახებ განვაცხადოთ იმის გამო, რომ ზოგიერთი ამხანაგი იმოწმებს ლენინის უფრო ადრინდელ განცხადებებს ამ საკითხზე».

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება არყის მონოპოლიის შემოღების შესახებ.

2) რაც შეეხება თქვენს სურვილს «წერილობითი კავშირი დაამყაროთ ჩემთან», მზად ვარ დავაკმაყოფილო თქვენი სურვილი და გთხოვთ მომწეროთ ხოლმე იმ საკითხებზე, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ. შესაძლოა, პასუხი ცოტა დავაგვიანო. მაგრამ მაინც გიპასუხებთ.

კომ. სალამით **ი. სტალინი**

1927 წ. 20 მარტი.

იბეჭდება პირველად.

სიტყვა საქავშირო ალკა V სრულიად საქავშირო კონფერენციაზე [45]

1927 წ. 29 მარტი

ამხანაგებო! ნება მომეცით მოგესალმოთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. (ტ ა შ ი).

ნება მომეცით წარმატება გისურვოთ იმ ძნელ მუშაობაში, რასაც თქვენ ეწევით ჩვენი ქვეყნის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის დარაზმვისა და პოლიტიკური განათლებისათვის.

კომკავშირი ჩვენში მუდამ იყო ჩვენი მებრძოლების პირველ რიგებში. იმედი ვიქონიოთ, რომ კომკავშირი კვლავაც პირველ რიგებში იქნება, წინ ივლის სოციალიზმის მაღლა ამართული დროშით. (ტ ა შ ი).

ახლა კი, მისალმების შემდეგ, ნება მომეცით გადავიდე ორ საკითხზე, რომელთა შესახებაც ეს არის მელაპარაკებოდა ზოგიერთი თქვენი ამხანაგი-კომკავშირელი.

პირველი საკითხია ჩვენი სამრეწველო პოლიტიკის საკითხი. ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი საშინაო საქმეებია. მეორე საკითხია ნაკინის ამბების საკითხი [46]. ეს, მაშასადამე, საგარეო საქმეებია.

ამხანაგებო! ძირითადი ხაზი, რომლითაც უნდა წავიდეს ჩვენი ინდუსტრია, ძირითადი ხაზი, რომელმაც უნდა განსაზღვროს მიხი ყველა შემდგომი ნაბიჯი, — ეს არის მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური

შემცირების ხაზი, სამრეწველო საქონლის გასაცემი ფასების სისტემატური შემცირების ხაზი. ეს არის ის შარაგზა, რომლითაც უნდა იაროს ჩვენმა ინდუსტრიამ, თუ მას სურს განვითარდეს, თუ მას სურს განმტკიცდეს, თუ მას სურს წინ გაუძღვეს სოფლის მეურნეობას, თუ მას სურს განამტკიცოს და გააფართოოს ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი.

საიდან წარმოსდგა ეს ხაზი?

რა მიზეზებია, ასეთი ხაზის საჭიროებასა და მიზანშეწონილობას რომ განსაზღვრავენ?

ეს ხაზი, სულ ცოტა, ოთხი ძირითადი მიზეზით განისაზღვრება.

პირველი მიზეზი ის არის, რომ მრეწველობა, რომელიც მაღალ ფასებს ეყრდნობა, არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი მრეწველობა, ვინაიდან ასეთი მრეწველობა აუცილებლად უნდა გადაგვარდეს სათბურის მცენარედ, რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სიცოცხლის უნარი. მხოლოდ მრეწველობა, რომელიც სისტემატურად ამცირებს საქონლის ფასებს, მხოლოდ მრეწველობა, რომელიც ეყრდნობა პროდუქციის თვითღირებულების სისტემატურ შემცირებას, მხოლოდ მრეწველობა, რომელიც, მაშასადამე, სისტემატურად აუმჯობესებს თავის წარმოებას, ტექნიკასა და შრომის ორგანიზაციას, მეურნეობის მართვის მეთოდებსა და ფორმებს, — მხოლოდ ასეთი მრეწველობა გვესაჭიროება ჩვენ, ვინაიდან მხოლოდ მას შეუძლია შემდგომ ვითარდებოდეს და მხოლოდ მას შეუძლია მისცეს პროლეტარიატს სრული გამარჯვება.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ჩვენი მრეწველობა საშინაო ბაზარს ეყრდნობა. ჩვენ არ შეგვიძლია და შესაძლებლობა არა გვაქვს კონკურენცია გავუწიოთ კაპიტალისტებს უცხოეთის ბაზარზე. საშინაო ბაზარი ჩვენი მრეწველობისათვის ძირითადი ბაზარია. მაგრამ აქედან გამომდინარეობს,

რომ ჩვენს მრეწველობას შეუძლია ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც განვითარდება და გაფართოვდება ჩვენი საშინაო ბაზარი, ამ ბაზრის ტევადობა, სამრეწველო საქონლის მასობრივი მოთხოვნილება. ხოლო რა განსაზღვრავს ჩვენი საშინაო ბაზრის გაფართოებას, მისი ტევადობის გაძლიერებას? მას განსაზღვრავს, სხვათა შორის, სამრეწველო საქონლის ფასების სისტემატური შემცირება, ე. ი. ჩვენი მრეწველობის განვითარების სწორედ ის ძირითადი ხაზი, რომლის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკე.

მესამე მიზეზი ის არის, რომ, თუ სამრეწველო საქონლის ფასებს არ შევამცირებთ, თუ სამრეწველო საქონელს სისტემატურად არ გავაიაფებთ, შეუძლებელია იმ პირობების შენარჩუნება, რომლებიც საჭიროა მუშათა ხელფასის შემდგომი გადიდებისათვის. ჯერ-ერთი, მუშები თვითონ არიან სამრეწველო საქონლის მომხმარებლები, რის გამო ამ საქონლის ფასების შემცირებას არ შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდეს რეალური ხელფასის შენარჩუნებისა და გადიდებისათვის. მეორეც, სამრეწველო საქონლის ფასების შემცირება განსაზღვრავს იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების სტაბილურობას, რომელთა მომხმარებლები ქალაქებში უმთავრესად მუშები არიან, რასაც აგრეთვე არ შეიძლება უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდეს მუშათა რეალური ხელფასის შენარჩუნებისა და გადიდებისათვის. განა შეუძლია ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს სისტემატურად არ გაუდიდოს ხელფასი მუშებს? არა, არ შეუძლია. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ სამრეწველო საქონლის ფასების სისტემატური შემცირება მუშათა კლასის საარსებო დონის თანდათანობითი ამაღლების ერთ-ერთი უაღრესად აუცილებელი წინაპირობაა.

ბოლოს, მეოთხე მიზეზი ის არის, რომ სამრეწველო საქონლის ფასების შეუმცირებლად ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის იმ კავშირს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის ბაზას შეადგენს. თქვენ იცით, რომ გლეხი ზედმეტს იხდის სამრეწველო საქონელში, მანუფაქტურაში, მანქანებში და სხვ. თქვენ იცით, რომ ეს გარემოება სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში და აძნელებს სოფლის მეურნეობის ზრდას. აქედან კი რა გამომდინარეობს? აქედან გამომდინარეობს მხოლოდ ის, რომ ჩვენ უნდა ვახორციელებდეთ სამრეწველო საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკას, თუ ჩვენ მართლა გვსურს შევინარჩუნოთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და შემდგომ განვავითაროთ სოფლის მეურნეობა.

მაგრამ რა არის საჭირო იმისათვის, რომ შესაძლებელი და სავსებით განსახორციელებელი გავხადოთ მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულებისა და საქონლის გასაყიდი ფასების შემცირების პოლიტიკა? ამისათვის საჭიროა წარმოების ტექნიკის ძირეული გაუმჯობესება, საწარმოებში შრომის ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესება, მთელი სამეურნეო აპარატის ძირეული გაუმჯობესება და გამარტივება, სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა. ყოველივე ამას ჩვენში წარმოებისა და მეურნეობის მართვის სოციალისტური რაციონალიზაცია ეწოდება. ჩვენი მრეწველობა განვითარების ისეთ ფაზაში შევიდა, როცა შრომის ნაყოფიერების სერიოზული ზრდა და მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირება შეუძლებელი ხდება, თუ არ გამოვიყენებთ ახალ, უკეთეს ტექნიკას, თუ არ გამოვიყენებთ შრომის ახალ, უკეთეს ორგანიზაციას, თუ არ გავამარტივებთ და არ გავაიაფებთ ჩვენს სამეურნეო აპარატს. ყოველივე ეს

გვესაჭიროება არა მარტო იმისათვის, რომ გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ სამრეწველო საქონლის ფასები, არამედ იმისთვისაც, რომ ამ საფუძველზე მიღებული დანაზოგი მოვახმაროთ ჩვენი ინდუსტრიის შემდგომ განვითარებასა და გაფართოებას. აი რისთვის გვესაჭიროება წარმოებისა და მეურნეობის მართვის სოციალისტური რაციონალიზაცია.

ამრიგად, გამოდის ჯაჭვი: ინდუსტრიის შემდგომი განვითარება არ შეგვიძლია, თუ სისტემატურად არ შევამცირებთ მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულებასა და საქონლის გასაყიდ ფასებს, ხოლო სამრეწველო საქონლის ფასების შემცირება შეუძლებელია ახალი ტექნიკის, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების, მეურნეობის მართვის ახალი, გამარტივებული წესების გამოუყენებლად. აქედან გამომდინარეობს წარმოებისა და მეურნეობის მართვის სოციალისტური რაციონალიზაციის საკითხი, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი გადამწყვეტი საკითხი.

აი რატომ ვფიქრობ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება წარმოებისა და მეურნეობის მართვის რაციონალიზაციის შესახებ [47] წარმოადგენს ჩვენი პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დადგენილებას, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს სამრეწველო პოლიტიკას უახლოესი პერიოდისათვის.

ამბობენ, რომ რაციონალიზაცია ერთგვარ დროებით მსხვერპლს მოითხოვს მუშათა ზოგიერთი ჯგუფის მხრივ, მათ შორის ახალგაზრდობის მხრივაც. ეს მართალია, ამხანაგებო.

ჩვენი რევოლუციის ისტორია გვეუბნება, რომ ჩვენში არც ერთი დიდი ნაბიჯი არ გადადგმულა ისე, რომ მუშათა კლასის ცალკეულ ჯგუფებს ერთგვარი მსხვერპლი არ გაეღოთ ჩვენი ქვეყნის მუშათა მთელი კლასის ინტერესებისათვის. ავიღოთ თუნდაც სამოქალაქო ომი, თუმცა ახლან-

დელი უმნიშვნელო მსხვერპლი ოდნავადაც ვერ შეედრება იმ სერიოზულ მსხვერპლს, რაც გაღებულ იქნა ჩვენში სამოქალაქო ომის პერიოდში. .თქვენ ხედავთ, რომ იმ მსხვერპლს ახლა ჩვენ უკვე ჭარბად ვინაზღაურებთ.

არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ახლანდელი უმნიშვნელო მსხვერპლი უახლოეს მომავალში ჭარბად ანაზღაურდება. აი რატომ ვფიქრობ, რომ ჩვენ არ უნდა დავერიდოთ ერთგვარ უმნიშვნელო მსხვერპლს მთელი მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

კომკავშირი ჩვენში მუდამ იყო ჩვენი მებრძოლების პირველ რიგებში. მე არ ვიცი შემთხვევა, რომ იგი ჩვენში ჩამორჩენოდეს ჩვენი რევოლუციური ცხოვრების ამბებს. ეჭვი არ მეპარება, რომ კომკავშირი ახლაც სოციალისტური რაციონალიზაციის განხორციელების საკითხში მის შესაფერ ადგილს დაიკავებს. (ტ ა შ ი).

ახლა ნება მომეცით გადავიდე მეორე საკითხზე — ნანკინის ამბების საკითხზე. მე ვფიქრობ, რომ ნანკინის ამბები ჩვენთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს. იმპერიალიზმი ვერ იარსებებს, თუ არ მიმართა ძალადობასა და ძარცვას, სისხლისღვრასა და სროლას. ამიტომაც არის იგი იმპერიალიზმი. ამის გამო ნანკინის ამბები არ შეიძლება ჩვენთვის მოულოდნელი იყოს.

რას მოწმობენ ნანკინის ამბები?

რა არის მათი პოლიტიკური აზრი?

ეს ამბები მოწმობენ იმას, რომ იმპერიალიზმის პოლიტიკაში მოხდა გარდატეხა, გარდატეხა შეიარაღებული მშვიდობიდან ჩინელი ხალხის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული ომისაკენ.

ნანკინის ამბებამდე იმპერიალიზმი ცდილობდა თავისი ზრახვები დაეფარა მოთაფლული სიტყვებით მშვიდობისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, «ცივილიზაციისა» და «კაცთმოყვარეობის» ნიღაბით,

ერთა ლიგით და სხვ. ნანკინის ამბების შემდეგ იმპერიალიზმმა უკუაგდო მოთაფლული სიტყვებიც, ჩაურევლობაც, ერთა ლიგაც, ყოველგვარი სხვა ნიღაბიც. ახლა იმპერიალიზმი მთელი მსოფლიოს წინაშე გამოშვლებული დგას როგორც აშკარა მტაცებელი და მჩაგვრელი.

ბურჟუაზიულ პაციფიზმს კიდევ ერთი გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა. ვინაიდან, ნამდვილად რომ ითქვას, რა შეიძლება დაუპირისპირონ იმპერიალისტური პაციფიზმის მეხოტბეებმა, როგორიც არიან ბონკურები, ბრეიტშეიდები და სხვები, ნანკინის მცხოვრებთა დახვრეტის **ფაქტს**, გარდა თავიანთი ცრუ პაციფისტური **სიტყვებისა?**

ერთა ლიგას კიდევ ერთი სილა გააწნეს. ვინაიდან, იმპერიალიზმის ლაქიებს გარდა, ვის შეუძლია «ნორმალურად» მიიჩნიოს ის ფაქტი, რომ ერთა ლიგის ერთ-ერთი წევრი ხვრეტს ერთა ლიგის მეორე წევრის მოსახლეობას, თვით ერთა ლიგა კი იძულებულია დუმდეს და ფიქრობდეს, რომ ეს მას არ ეხება?

დამტკიცებულია, რომ ჩვენი პარტია მართალი იყო, როცა შანხაისთან იმპერიალისტური ქვეყნების ჯარების მიყვანას აფასებდა როგორც ჩინელ ხალხზე სამხედრო თავდასხმათა შესავალს. ვინაიდან, გარდა ბრმებისა, ვის შეუძლია ახლა არ ხედავდეს, რომ შანხაიში იმპერიალიზმს ჯარები «სიტყვიდან» «საქმეზე» გადასასვლელად სჭირდებოდა.

ასეთია ნანკინის ამბების აზრი.

როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო განზრახვა იმპერიალისტებისა, რომლებმაც ნანკინის ავანტიურა გაბედეს?

შესაძლოა, ნიღაბი რომ ჩამოიხსნეს და ნანკინში არტილერია აამუშავეს, იმპერიალისტებს უნდოდათ უკუღმა დაეტრიალებინათ ისტორიის ბორბალი, ბოლო მოეღოთ ყველა ქვეყანაში გაზრდილი რევოლუციური მოძრაობისათვის და დაეწყოთ ბრძოლა მსოფლიო კაპიტალიზმის იმ შედარე-

ბითი სიმყარის აღსადგენად, რაც იმპერიალისტურ ომამდე იყო.

ცნობილია, რომ იმპერიალისტური ომიდან კაპიტალიზმი განუკურნავი ჭრილობებით გამოვიდა.

ცნობილია, რომ ათიოდე წლის წინათ სსრ კავშირის მუშებმა და გლეხებმა კაპიტალის ფრონტი გაარღვიეს და მას განუკურნებელი ჭრილობა მიაყენეს.

ცნობილია, რომ იმპერიალისტურმა ომმა იმპერიალისტური ბატონობის საფუძვლები შეარყია კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ცნობილია, რომ ოქტომბრის დროიდან ათი წლის შემდეგ ჩინეთის მუშებმა და გლეხებმაც იწყეს იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევა, ამასთან არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისინი მას საბოლოოდ არ გაარღვევენ.

და აი, შესაძლოა, იმპერიალისტებს სურდათ ერთი დარტყმით მოესპოთ ყოველივე ეს და ისტორიის «ახალი ფურცელი» დაეწყოთ. და თუ მათ ეს მართლაც სურდათ, უნდა ვაღიაროთ, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ვინაიდან მხოლოდ გამოჩერჩეტებულ ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ არტილერიის კანონები ისტორიის კანონებზე ძლიერია, რომ შეიძლება ისტორიის ბორბლის უკუღმა დატრიალება ნანკინში სროლით.

შესაძლოა, რომ, როცა ნანკინს ესროდნენ, იმპერიალისტებს ამით უნდოდათ დაეშინებინათ სხვა ქვეყნების ჩაგრული ხალხები, რომლებიც თავისუფლებისაკენ მიისწრაფიან, და თითქოს ეთქვათ მათთვის: ნანკინის ზღაპარი თქვენთვის არის ნაამბობიო. ეს სრულებითაც არ არის გამორიცხული, ამხანაგებო. დაშინების პოლიტიკას თავისი «საფუძვლები» აქვს იმპერიალიზმის ისტორიაში. მაგრამ იგი, ეს პოლიტიკა, რომ უვარგისია და მიზანს ვერ აღწევს, — ეს არა მგონია საეჭვო იყოს. ამ პოლიტიკას თავის დროზე

«წარმატებით» იყენებდა რუსეთის ცარიზმი. მაგრამ რით დამთავრდა ეს პოლიტიკა? თქვენ იცით, რომ იგი ცარიზმის სრული კრახით დამთავრდა.

ბოლოს, შესაძლოა, რომ, როცა ნანკინს ესროდნენ, იმპერიალისტებს უნდოდათ პირდაპირ გული გაეგმირათ ჩინეთის რევოლუციისათვის და შეუძლებელი გაეხადათ, ჯერ-ერთი, სამხრეთ ჩინეთის ჯარების შემდგომი წინსვლა და ჩინეთის გაერთიანება და, მეორეც, კონცესიების შესახებ მოლაპარაკების იმ პირობების განხორციელება, რომლებიც ხანკოუში გატარდა. ეს სავსებით შესაძლებელია და, თითქოს, სავსებით დასაჯერებელიც უნდა იყოს. იმპერიალისტებს რომ არ უნდათ ერთიანი ჩინეთი და ამჯობინებენ ორი ჩინეთის არსებობას, რათა «უფრო წარმატებით შეეძლოთ მანევრირება», — ეს უკვე რამდენჯერმე წამოსცდა კაპიტალისტურ პრესას. რაც შეეხება შანხაის და სხვა კონცესიებს, არა მგონია საეჭვო იყოს, რომ ბევრი იმპერიალისტი «არ თანაუგრძნობს» იმ პირობებს, რომლებიც შეშუშავებულ და დამტკიცებულ იქნა ხანკოუში. და აი, ნანკინს რომ ესროდნენ, იმპერიალისტებს, როგორც ჩანს, ამით უნდოდათ ეთქვათ, რომ ისინი ამჯობინებენ მომავალში მოლაპარაკება აწარმოონ ნაციონალურ მთავრობასთან არტილერიის ზეგავლენითა და აკომპანემენტით. რა გაეწყობა, ასეთია იმპერიალისტთა მუსიკალური გემოვნება. ეს უცნაური მუსიკა კანიბალების მუსიკას რომ წააგავს, — ეს, ეტყობა, არ აშფოთებს იმპერიალისტებს...

მიაღწევენ თუ არა ისინი თავიანთ მიზანს, — ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ, რომ მათ ჯერჯერობით მიაღწიეს ერთ რამეს: ჩინელებში იმპერიალიზმის წინააღმდეგ სიძულვილის გაღრმავებას, გომინდანის [48] ძალების შემჭიდროებას და ჩინეთში რევოლუციური მოძრაობის ახალ გადაწევას მარცხნისაკენ.

არა მგონია საეჭვო იყოს, რომ შედეგები ჯერჯერობით საწინააღმდეგოა.

ამრიგად, გამოდის, რომ, როცა ნანკინს ესროდნენ, იმპერიალისტები ცდილობდნენ მიეღწიათ ერთი რამისათვის, ნამდვილად კი სხვა რამ გამოვიდა, ამასთან გამოვიდა იმის პირდაპირ საწინააღმდეგო რამ, რის მიღწევასაც ისინი ცდილობდნენ.

ასეთია ნანკინის ამბების შედეგები და პერსპექტივები.

ასეთია კონსერვატიული ბანაკის ბრძენთა პოლიტიკა.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ვისაც ღმერთი დასაღუპავად გასწირავს, მას გონებას წაართმევსო. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი, რ ო მ ე ლ ი ც დ ი დ ხ ა ნ ს ა რ ც ხ რ ე ბ ა).

«პრავდა» № 72,
1927 წ. 31 მარტი.

წერილი ჩუგუნოვს

პასუხი მეტად დაგიგვიანეთ. ბოდიშს ვიხდი.

1) ლენინის მიერ სუნ იატ-სენის კრიტიკა, მოცემული 1912 წელს [49], რა თქმა უნდა, არ მოძველებულა და ძალაში რჩება. მაგრამ ეს კრიტიკა ძველ სუნ იატ-სენს შეეხებოდა. სუნ იატ-სენი მუდამ ხომ ერთ წერტილზე არ იდგა. იგი ვითარდებოდა და წინ მიიწევდა, როგორც ყველაფერი ვითარდება მსოფლიოში. ოქტომბრის შემდეგ, განსაკუთრებით კი 1920—21 წლებში, ლენინი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა სუნ იატ-სენს უმთავრესად იმისათვის, რომ სუნ იატ-სენმა ჩინეთის კომუნისტებთან დაახლოება და თანამშრომლობა დაიწყო. ეს გარემოება უნდა იქონიონ მხედველობაში, როცა ლენინზე და სუნიატსენიზმზე ლაპარაკობენ. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ სუნ იატ-სენი კომუნისტი იყო? არა, არ ნიშნავს. განსხვავება სუნიატსენიზმსა და კომუნიზმს (მარქსიზმს) შორის რჩება. თუ, მიუხედავად ამისა, ჩინეთის კომუნისტები თანამშრომლობენ გომინდანელებთან ერთ პარტიაში, გომინდანის პარტიაში, ეს იმით აიხსნება, რომ სუნ იატ-სენის სამი პრინციპი — დემოკრატია, ეროვნება, სოციალიზმი — საკმაოდ მისაღებ ბაზას წარმოადგენს კომუნისტთა და სუნიატსენელთა ერთობლივი მუშაობისათვის გომინდანის პარტიაში ჩინეთის რევოლუციის განვითარების ახლანდელ სტადიაზე.

ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ერთ დროს რუსეთიც იდგა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინაშე, და, მიუხედავად ამისა, კომუნისტები და ესერები მაშინ ერთ საერთო პარტიაში არ შედიოდნენო, — ეს ლაპარაკი მოკლებულია ყოველგვარ ნიადაგს. საქმე ის არის, რომ რუსეთი მაშინ ნაციონალური მხრივ არ იყო დაჩაგრული ქვეყანა (იგი თვითონ არ ერიდებოდა სხვა ერების ჩაგვრას), რის გამო რუსეთში არ იყო მძლავრი ნაციონალური მომენტი, რომელიც ერთიან ბანაკად გააერთიანებდა ქვეყნის რევოლუციურ ძალებს, მაშინ როცა ახლანდელ ჩინეთში ნაციონალური მომენტი არა მარტო არსებობს, არამედ იგი არის **უპირატესი** მომენტიც (იმპერიალისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლა), რომელიც განსაზღვრავს გომინდანის შიგნით ჩინეთის რევოლუციურ ძალებს შორის ურთიერთობის ხასიათს.

2) ჩემს მოხსენებაში XIV ყრილობაზე [ი] **ერთი სიტყვაც** არ არის ნათქვამი «იაპონიისადმი დათმობებზე», ისიც «ჩინეთის ხარჯზე». ეს არასერიოზულობაა, ამბ. ჩუგუნოვო. მე იქ ვლაპარაკობ იაპონიასთან მხოლოდ მეგობრულ ურთიერთობაზე. ხოლო რა არის მეგობრული ურთიერთობა დიპლომატიის თვალსაზრისით? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვინდა იაპონიასთან ომი, რომ ჩვენ მშვიდობის პოლიტიკის მომხრე ვართ.

3) რაც შეეხება ჩრდილოეთ ამერიკის ორაზროვან პოლიტიკას, იგი, ეს ორაზროვნობა, იმდენად ნათელი და უეჭველია, რომ განმარტებას არ საჭიროებს.

კომ. სალამით **ი. სტალინი**

1927 წ. 9 აპრილი.

ბეჭდება პირველად.

პარტიის სამი ძირითადი ლოზუნგის შესახებ გლეხობის საკითხში

პასუხი იან — სკის

თქვენი წერილი, რა თქმა უნდა, თავის დროზე მივიღეცოტა დაგვიანებით გიპასუხებთ, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

1) ლენინი ამბობს, რომ **«ყოველი რევოლუციის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო ძალაუფლების საკითხი»** (იხ. ტ. XXI, გვ. 142). რომელი კლასის ან რომელი კლასების ხელშია მოქცეული ძალაუფლება; რომელი კლასი ან რომელი კლასები უნდა იქნან დამხობილი, რომელმა კლასმა ან რომელმა კლასებმა უნდა აიღონ ძალაუფლება, — ეს არის «ყოველი რევოლუციის უმთავრესი საკითხი».

პარტიის ძირითად სტრატეგიულ ლოზუნგებს, რომლებიც ძალას ინარჩუნებენ რევოლუციის ამა თუ იმ ეტაპის მთელი პერიოდის განმავლობაში, არ შეიძლება ვუწოდოთ ძირითადი ლოზუნგები, თუ ისინი მთლიანად და სავსებით არ ემყარებიან ლენინის ამ კარდინალურ თეზისს.

ძირითადი ლოზუნგები შეიძლება სწორი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აგებულია კლასობრივ ძალთა მარქსისტული ანალიზის ბაზაზე, თუ ისინი სახავენ კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე რევოლუციურ ძალთა განლაგების სწორ სქემას, თუ ისინი აადვილებენ მასების მიყვანას რევოლუციის გამარჯვებისათვის წარმოებული ბრძოლის

ფრონტთან, ახალი კლასის მიერ ძალაუფლების აღებისათვის წარმოებული ბრძოლის ფრონტთან, თუ ისინი უადგილებენ პარტიას ხალხის ფართო მასებიდან ფართო და მძლავრი პოლიტიკური არმიის შექმნას, რაც აუცილებელია ამ ამოცანის შესასრულებლად.

რევოლუციის ამა თუ იმ ეტაპის განმავლობაში შეიძლება ადგილი ექნეს დამარცხებას და უკანდახევას, წარუმატებლობას და ცალკეულ ტაქტიკურ შეცდომებს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ძირითადი სტრატეგიული ლოზუნგი სწორი არ არის. ასე, მაგალითად, ძირითადი ლოზუნგი ჩვენი რევოლუციის **პირველ** ეტაპზე — «მთელ გლეხობასთან ერთად, მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის» — სავსებით სწორი იყო, მიუხედავად იმისა, რომ 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა.

მაშასადამე, არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ პარტიის ძირითადი ლოზუნგის საკითხი და საკითხი რევოლუციის წარმატებისა თუ წარუმატებლობისა მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე.

შეიძლება მოხდეს, რომ რევოლუციის მსვლელობაში პარტიის ძირითადმა ლოზუნგმა უკვე მიგვიყვანოს ძველი კლასების ან ძველი კლასის ძალაუფლების დამხობამდე, მაგრამ რევოლუციის მთელი რიგი არსებითი მოთხოვნები, რომლებიც ამ ლოზუნგიდან გამომდინარეობენ, ვერ განხორციელდნენ, ან მათი განხორციელება გაჭიანურდეს დროის მთელი პერიოდის განმავლობაში, ან მათი განხორციელებისათვის საჭირო გახდეს ახალი რევოლუცია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ძირითადი ლოზუნგი სწორი არ არის. ასე, მაგალითად, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დაამხო ცარიზმი და მემამულეები, მაგრამ ვერ განახორცი-

ელა მემამულეთა მიწების კონფისკაცია და სხვ., მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ რევოლუციის პირველ ეტაპზე ჩვენი ძირითადი ლოზუნგი სწორი არ იყო.

ან კიდევ: ოქტომბრის რევოლუციამ განახორციელა ბურჟუაზიის დამხობა და ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში, მაგრამ მას ერთბაშად არ მოჰყოლია: ა) საერთოდ, ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა და ბ) კერძოდ, კულაკობის იზოლაცია სოფლად, და ეს საქმე გააჭიანურა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სწორი არ იყო ჩვენი ძირითადი ლოზუნგი რევოლუციის **მეორე** ეტაპზე — «უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ქალაქად და სოფლად კაპიტალიზმის წინააღმდეგ საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პირობებში, პროლეტარიატის ძალაუფლებისათვის».

მაშასადამე, არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ პარტიის ძირითადი ლოზუნგის საკითხი და ამ ლოზუნგიდან გამომდინარე ამა თუ იმ მოთხოვნის განხორციელების ვადისა და ფორმების საკითხი.

ამიტომ ჩვენი პარტიის სტრატეგიული ლოზუნგები არ შეიძლება შეფასდეს არც ამა თუ იმ პერიოდში რევოლუციური მოძრაობის ეპიზოდური წარმატებისა თუ დამარცხების თვალსაზრისით, არც, მით უმეტეს, ამ ლოზუნგებიდან გამომდინარე ამა თუ იმ მოთხოვნის განხორციელების ვადებისა თუ ფორმების თვალსაზრისით. პარტიის სტრატეგიული ლოზუნგები შეიძლება შეფასდეს მხოლოდ კლასობრივ ძალთა მარქსისტული ანალიზის თვალსაზრისით და რევოლუციის გამარჯვებისათვის, ახალი კლასის ხელში ძალაუფლების მოქცევისათვის ბრძოლის ფრონტზე რევოლუციის ძალთა სწორი განლაგების თვალსაზრისით.

თქვენი შეცდომა ის არის, რომ თქვენ გვერდი აუარეთ ამ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ საკითხს ან ვერ გაიგეთ იგი.

2) თქვენს წერილში სწერთ:

«სწორია თუ არა მტკიცება, რომ ჩვენ კავშირი გვქონდა მთელ გლეხობასთან **მხოლოდ** ოქტომბრამდე? არა, არ არის სწორი. ლოზუნგი — «კავშირი მთელ გლეხობასთან» ძალაში იყო ოქტომბრამდე, **ოქტომბრის მომენტში და პირველ პერიოდში ოქტომბრის შემდეგ,** რამდენადაც მთელი გლეხობა დაინტერესებული იყო ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე დამთავრებით».

ამრიგად, ამ ციტატიდან გამომდინარეობს, რომ პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი რევოლუციის **პირველ** ეტაპზე (1905 წ. — 1917 წ. თებერვალი), როდესაც საქმე ეხებოდა მეფისა და მემამულეთა ძალაუფლების დამხობას და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის დამყარებას, **არ განსხვავდებოდა** რევოლუციის **მეორე** ეტაპის (1917 წ. თებერვალი — 1917 წ. ოქტომბერი) სტრატეგიული ლოზუნგისაგან, როდესაც საქმე ეხებოდა ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას.

თქვენ, მაშასადამე, უარყოფთ ძირითად განსხვავებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასა და პროლეტარულ-სოციალისტურ რევოლუციას შორის. ხოლო ეს შეცდომა იმიტომ მოგდით, რომ, როგორც ჩანს, არ გინდათ გაიგოთ ის უბრალო გარემოება, რომ სტრატეგიული ლოზუნგის ძირითად თემას წარმოადგენს ძალაუფლების საკითხი რევოლუციის მოცემულ ეტაპზე, საკითხი იმის შესახებ, თუ **რომელი** კლასი ემხობა და **რომელი** კლასის ხელში გადადის ძალაუფლება. არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ თქვენ აქ სრულიად არა ხართ მართალი.

თქვენ ამბობთ, რომ ოქტომბრის მომენტში და პირველ პერიოდში ოქტომბრის შემდეგ ჩვენ ვატარებდით ლოზუნგს — «კავშირი **მთელ** გლეხობასთან», რამდენადაც მთელი გლეხობა იყო დაინტერესებული ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანით. მაგრამ ვინ გითხრათ, რომ ოქტომბრის გადატრიალება და ოქტომბრის რევოლუცია ამოიწურებოდა ან თავის ძირითად ამოცანად ისა-

ხავდა ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანას? საიდან აიღეთ ეს? განა ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება შეიძლება მოთავსდეს ბურჟუაზიული რევოლუციის ჩარჩოებში? განა პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვება ბურჟუაზიული რევოლუციის ჩარჩოებიდან გამოსვლა არ არის?

როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კულაკებს (ისინიც ხომ გლეხები არიან) შეეძლოთ მხარი დაეჭირათ ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის?

როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის, მიწის კერძო საკუთრების გაუქმების, მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ ის არ შეიძლება ალიარებულ იქნას სოციალისტურ დეკრეტად, ტარდებოდა ჩვენში კულაკობასთან **ბრძოლისა** და არა მასთან კავშირის გზით?

როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კულაკებს (იმავე გლეხებს) შეეძლოთ მხარი დაეჭირათ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებისათვის ფაბრიკების, ქარხნების, რკინიგზების, ბანკების და სხვ. ექსპროპრიაციის შესახებ ან მხარი დაეჭირათ პროლეტარიატის ლოზუნგისათვის იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ?

როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციაში **ძირითადია** არა ეს და ამის მსგავსი აქტები, არა ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, არამედ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა?

უდავოა, რომ ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, რომ ოქტომბრის რევოლუციის გარეშე იგი ვერ იქ-

ნებოდა ბოლომდე მიყვანილი, ისევე როგორც თვით ოქტომბრის რევოლუციის განმტკიცება არ შეიძლებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიუყვანლად, და რამდენადაც ოქტომბრის რევოლუციას ბოლომდე მიჰყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია, იმდენად მას თანაგრძნობით უნდა მოპყრობოდა მთელი გლეხობა. ყველაფერი ეს უდავოა. მაგრამ განა შეიძლება ამ საბუთით იმის მტკიცება, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა წარმოადგენდა არა **წარმოებულ მოვლენას** ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობაში, არამედ მის **დედაარსს** ან მის **ძირითად** მიზანს? რა უყავით ოქტომბრის რევოლუციის მთავარი მიზანი — ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა, კაპიტალისტების ექსპროპრიაცია და სხვ.?

და თუ სტრატეგიული ლოზუნგის მთავარ თემას წარმოადგენს ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხი, ე. ი. ერთი კლასის ხელიდან მეორე კლასის ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი, განა აქედან ცხადი არ არის, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ პროლეტარული ხელისუფლების მიერ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საკითხი და ბურჟუაზიის დამხობისა და თვით ამ პროლეტარული ძალაუფლების დაპყრობის საკითხი, ე. ი. საკითხი, რომელიც რევოლუციის მეორე ეტაპზე სტრატეგიული ლოზუნგის მთავარ თემას წარმოადგენს?

პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი მიღწევა ის არის, რომ მან ბოლომდე მიიყვანა ბურჟუაზიული რევოლუცია და მთლიანად გახვეტა შუა საუკუნეების ნაგავი. სოფლისათვის ამას უმთავრესი და ჭეშმარიტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. უამისოდ ვერ განხორციელდებოდა გლეხთა ომების შეერთება პროლეტარულ რევოლუციასთან, რის შესახებაც ლაპარაკობდა

მარქსი ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში [61]. უამისოდ ვერ განმტკიცდებოდა თვით პროლეტარული რევოლუცია.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება. ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა ერთეული აქტი როდია. ნამდვილად იგი გაგრძელდა მთელი პერიოდის განმავლობაში და შეიცავდა არა მარტო 1918 წლის ნაწილს, როგორც თქვენ ამტკიცებთ თქვენს წერილში, არამედ 1919 წლის (ვოლგისპირეთი — ურალი) და 1919 — 1920 წლების (უკრაინა) ნაწილებსაც. მე მხედველობაში მაქვს კოლჩაკისა და დენიკინის შემოტევა, როცა მთელი გლეხობის წინაშე წამოიჭრა მემამულეთა ძალაუფლების აღდგენის საფრთხე და როცა იგი, სწორედ როგორც **მთელი,** იძულებული გახდა შემჭიდროებულიყო საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, რათა უზრუნველეყო ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა და შეენარჩუნებინა ამ რევოლუციის ნაყოფი. ცოცხალი ცხოვრების პროცესთა ეს სირთულე და მრავალფეროვნება, პროლეტარიატის დიქტატურის უშუალო სოციალისტურ ამოცანათა ეს «უცნაური» გადახლართვა ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ამოცანასთან ყოველთვის თვალწინ უნდა გვქონდეს, რათა სწორად გავიგოთ როგორც თქვენს მიერ ლენინის თხზულებებიდან მოყვანილი ციტატები, ისე პარტიული ლოზუნგების განხორციელების მექანიკა.

განა შეიძლება ითქვას, რომ ეს გადახლართვა მოწმობს პარტიის ლოზუნგის უმართებულობას რევოლუციის **მეორე** ეტაპზე, რომ ეს ლოზუნგი არ განსხვავდება რევოლუციის **პირველი** ეტაპის ლოზუნგისაგან? არა, ამის თქმა არ შეიძლება. პირიქით, ეს გადახლართვა მხოლოდ ადასტურებს პარტიის ლოზუნგის სისწორეს რევოლუციის მეორე ეტაპზე: **უღარიბეს** გლეხობასთან ერთად, ქალაქად და სოფლად კაპიტალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარია-

ტის ძალაუფლებისათვის და სხვ. რატომ? იმიტომ რომ, ბურჟუაზიული რევოლუცია ბოლომდე რომ მიგვეყვანა, საჭირო იყო **ჯერ** დაგვემხო ბურჟუაზიის ხელისუფლება ოქტომბერში და დაგვემყარებინა პროლეტარიატის ხელისუფლება, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შესწევს უნარი ბოლომდე მიიყვანოს ბურჟუაზიული რევოლუცია. ხოლო ოქტომბერში პროლეტარიატის ხელისუფლების დასამყარებლად საჭირო იყო ოქტომბრისათვის მოგვემზადებინა და შეგვექმნა **სათანადო** პოლიტიკური არმია, რომელსაც შეეძლებოდა დაემხო ბურჟუაზია, შეეძლო დაემყარებინა პროლეტარიატის ხელისუფლება, ამასთან საჭირო არ არის ვამტკიცოთ, რომ **ასეთი** პოლიტიკური არმიის მომზადება და შექმნა ჩვენ შეგვეძლო **მხოლოდ** ლოზუნგით: პროლეტარიატის კავშირი უღარიბეს გლეხობასთან ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ცხადია, რომ **ასეთი** სტრატეგიული ლოზუნგის გარეშე, რომელიც 1917 წლის აპრილიდან 1917 წლის ოქტომბრამდე ტარდებოდა, ჩვენ არ გვეყოლებოდა **ასეთი** პოლიტიკური არმია, მაშასადამე, ვერ გავიმარჯვებდით ოქტომბერში, ვერ დავამხობდით ბურჟუაზიის ძალაუფლებას და, მაშასადამე, შესაძლებლობა არ გვექნებოდა ბოლომდე მიგვეყვანა ბურჟუაზიული რევოლუცია.

აი რატომ არ შეიძლება ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა დავუპირდაპიროთ სტრატეგიულ ლოზუნგს რევოლუციის მეორე ეტაპზე, ლოზუნგს, რომლის ამოცანა იყო პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის უზრუნველყოფა.

არის მხოლოდ ერთი საშუალება თავიდან ავიცილოთ ყველა ეს «წინააღმდეგობა», — ვაღიაროთ ძირითადი განსხვავება რევოლუციის პირველი ეტაპის (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია) სტრატეგიულ ლოზუნგსა და რევოლუციის მეორე ეტაპის (პროლეტარული რევოლუცია).

სტრატეგიულ ლოზუნგს შორის, — ვაღიაროთ, რომ რევოლუციის პირველი ეტაპის პერიოდში ჩვენ მივდიოდით **მთელ** გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის, ხოლო რევოლუციის მეორე ეტაპის პერიოდში ჩვენ მივდიოდით **უღარიბეს** გლეხობასთან ერთად კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ პროლეტარული რევოლუციისათვის.

ამის აღიარება კი საჭიროა, რადგან ამას გვავალებს რევოლუციის პირველი და მეორე ეტაპების კლასობრივ ძალთა ანალიზი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იმ ფაქტის ახსნა, რომ 1917 წლის თებერვლამდე ჩვენ ვეწეოდით მუშაობას პროლეტარიატისა და **გლეხობის** რევოლუციურ-**დემოკრატიული** დიქტატურის ლოზუნგით, ხოლო 1917 წლის თებერვლის შემდეგ ეს ლოზუნგი შევცვალეთ პროლეტარიატისა და **უღარიბესი** გლეხობის **სოციალისტური** დიქტატურის ლოზუნგით.

დამეთანხმეთ, რომ ერთი ლოზუნგის ეს შეცვლა მეორე ლოზუნგით 1917 წლის მარტ-აპრილში არ შეიძლება აიხსნას თქვენი სქემის მიხედვით.

პარტიის ამ ორი სტრატეგიული ლოზუნგის ძირითადი განსხვავება ლენინმა აღნიშნა ჯერ კიდევ თავის ბროშურაში «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში». პარტიის ლოზუნგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადების პირობებში მან ასე ჩამოაყალიბა:

«პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, გლეხობის მასის შემოერთებით, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და დასძლიოს ბურჟუაზიის მერყეობა» (იხ. ტ. VIII, გვ. 96).

სხვანაირად რომ ვთქვათ: მთელ გლეხობასთან ერთად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ნეიტრალი-

ზაციის პირობებში, — დემოკრატიული გადატრიალებისათვის.

რაც შეეხება პარტიის ლოზუნგს სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში, ლენინმა იგი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

«პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარული ელემენტების მასის შემოერთებით, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და დასძლიოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა» (იხ. იქვე).

სხვანაირად რომ ვთქვათ: უღარიბეს გლეხობასთან და საერთოდ მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარულ ფენებთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ წვრილი ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში ქალაქად და სოფლად, — სოციალისტური გადატრიალებისათვის.

ეს იყო 1905 წელს.

1917 წლის აპრილში ლენინი, ახასიათებდა რა მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის გადახლართვას ბურჟუაზიის რეალურ ძალაუფლებასთან, ამბობდა:

«მიმდინარე მომენტის თავისებურებას რუსეთში წარმოადგენს ის, რომ ხდება **გადასვლა** რევოლუციის **პირველი** * ეტაპიდან, რომელმაც, პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობისა და ორგანიზებულობის გამო, ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, — მის **მეორე** ეტაპზე, რომელმაც ძალაუფლება უნდა მისცეს პროლეტარიატს და გლეხობის **უღარიბეს ფენებს**» * (იხ. **ლენინის** «აპრილის თეზისები» — ტ. XX, გვ. 88).

1917 წლის აგვისტოს დამლევს, როცა გამალებული მზადება წარმოებდა ოქტომბრისათვის, ლენინი სპეციალურ სტატიაში «გლეხები და მუშები» წერდა:

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

«მხოლოდ პროლეტარიატსა და **გლეხობას** * შეუძლიათ დაამხონ მონარქია — ასეთი იყო, იმ დროის მიხედვით (იგულისხმება 1905 წელი. *ი. სტ.*), ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის ძირითადი ვანსაზღვრა. და ეს განსაზღვრა სწორი იყო. 1917 წლის თებერვალმა და მარტმა **ეს** ერთხელ კიდევ დაადასტურეს. მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს **უღარიბეს გლეხობას** * (ნახევრად-პროლეტარებს, როგორც ჩვენი პროგრამა ამბობს), შეუძლია დემოკრატიული ზავით დაამთავროს ომი, მოაშუშოს მისი ჭრილობები, გადადგას ნაბიჯები სოციალიზმისაკენ, რაც უთუოდ აუცილებელი და **გადაუდებელი** გახდა, — ასეთია ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის განსაზღვრა ამჟამად» (იხ. ტ. XXI, გვ. 111).

ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ჩვენ **ამჟამად** გვქონდეს პროლეტარიატისა **და** უღარიბესი გლეხობის დიქტატურა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ჩვენ მივდიოდით ოქტომბრისაკენ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით და განვახორციელეთ იგი ოქტომბერში ფორმალურად, რამდენადაც ჩვენ ბლოკი გვქონდა მემარცხენე ესერებთან და ვუნაწილებდით მათ ხელმძღვანელობას, თუმცა ფაქტიურად ჩვენში მაშინაც იყო პროლეტარიატის დიქტატურა, ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკები, უმრავლესობას შევადგენდით. მაგრამ პროლეტარიატისა **და** უღარიბესი გლეხობის დიქტატურა ფორმალურად აღარ არსებობდა მემარცხენე ესერების «პუტჩის» [52] შემდეგ, მემარცხენე ესერებთან ბლოკის გაწყვეტის შემდეგ, როცა ხელმძღვანელობა **მთლიანად** და **სავსებით** გადავიდა **ერთი** პარტიის, ჩვენი პარტიის ხელში, რომელიც სახელმწიფოს ხელმძღვანელობას არ უნაწილებს და ვერც გაუნაწილებს სხვა პარტიას. სწორედ ამას ეწოდება ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა.

დასასრულ, 1918 წლის ნოემბერში ლენინი, რეტროსპექტულად ავლებდა რა თვალს რევოლუციის მიერ განვლილ გზას, წერდა:

---

* ხაზგასმა ჩემია. *ი. სტ.*

«დიახ, ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, **სანამ ჩვენ მივდივართ გლეხობასთან ერთად,** როგორც **მთელთან.** ეს ჩვენ ცხადზე უცხადესად გვქონდა შეგნებული, ასჯერ და ათასჯერ გვითქვამს 1905 წლიდან, არასოდეს არ გვიცდია ისტორიული პროცესის ამ აუცილებელ საფეხურზე გადახტომა, არც მისი გაუქმება დეკრეტებით... მაგრამ 1917 წელს, **აპრილიდან, ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, ჩვენს მიერ** * ძალაუფლების **ალებამდე** *, ჩვენ აშკარად ვამბობდით და ვუხსნიდით ხალხს: ახლა რევოლუცია ამაზე ვერ შეჩერდება, ვინაიდან ქვეყანა წინ წავიდა, კაპიტალიზმმა გადადგა ნაბიჯი წინ, არნახულ საზღვარს მიაღწია გაჩანაგებამ, რომელიც **მოითხოვს** (სურს ეს ვისმე თუ არა), მოითხოვს ნაბიჯების გადადგმას წინ, **სოციალიზმისაკენ.** ვინაიდან სხვაგვარად წინსვლა, ომისაგან განაწამები ქვეყნის სხვაგვარად გადარჩენა, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ტანჯვის სხვაგვარად **შემსუბუქება შეუძლებელია.** სწორედ ისე მოხდა, როგორც ჩვენ ვამბობდით. რევოლუციის მსვლელობამ დაადასტურა ჩვენი მსჯელობის სისწორე. **ჯერ «მთელ» გლეხობასთან ერთად** მონარქიის წინააღმდეგ, მემამულეთა წინააღმდეგ, შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ (და ამდენად რევოლუცია რჩება ბურჟუაზიული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული). **შემდეგ,** უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ნახევრად-პროლეტარიატთან ერთად, ყველა ექსპლოატირებულთან ერთად, **კაპიტალიზმის წინააღმდეგ,** მათ შორის **სოფლის მდიდრების, კულაკების, სპეკულანტების წინააღმდეგ** *, და ამდენად რევოლუცია ხდება **სოციალისტური»** (იხ. ტ. XXIII, გვ. 390 — 391).

როგორც ხედავთ, ლენინს არა ერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადების პერიოდის პირველ სტრატეგიულ ლოზუნგსა და ოქტომბრის მომზადების პერიოდის მეორე სტრატეგიულ ლოზუნგს შორის არსებული განსხვავების მთელი სიღრმე. იქ — ლოზუნგი: **მთელ გლეხობასთან** ერთად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, აქ — ლოზუნგი: **უღარიბეს გლეხობასთან** ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა გაგრძელდა მთელი პერიოდით ოქტომბრის შემდეგ, რომ, რამდენადაც ჩვენ ბოლომდე მიგვყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია, იმდენად არ შეიძლებოდა «მთელი»

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

გლეხობის თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე არ ყოფილიყო, — ეს ფაქტი, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ოდნავადაც არ არყევს იმ ძირითად დებულებას, რომ ოქტომბრისაკენ ჩვენ მივდიოდით და ოქტომბერში გავიმარჯვეთ **უღარიბეს გლეხობასთან** ერთად, რომ დავამხეთ ბურჟუაზიის ხელისუფლება და დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა (რომლის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა ბურჟუაზიული რევოლუციის მიყვანა ბოლომდე) **უღარიბეს გლეხობასთან** ერთად კულაკობის (იგივე გლეხები) წინააღმდეგობისა და საშუალო გლეხობის მერყეობის პირობებში.

ვგონებ, ნათელია.

3) შემდეგ თქვენს წერილში სწერთ:

«სწორია თუ არა მტკიცება, რომ «ჩვენ მივედით ოქტომბერთან ლოზუნგით — კავშირი სოფლის ღარიბ გლეხობასთან საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პირობებში»? არა, სწორი არ არის. უკვე ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან და ლენინის თხზულებებიდან ამოღებული ციტატებიდან ჩანს, რომ ეს ლოზუნგი შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ მაშინ, როცა «მომწიფდა კლასობრივი დაყოფა გლეხობის შიგნით» (ლენინი), ე. ი. «1918 წ. ზაფხულში და შემოდგომაზე»».

ამ ციტატიდან გამოდის, რომ საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის გზას პარტია დაადგა არა ოქტომბრის მომზადების პერიოდში და არა ოქტომბრის დროს, არამედ ოქტომბრის შემდეგ და განსაკუთრებით 1918 წლის შემდეგ, ღარიბთა კომიტეტების შემდეგ. ეს **სრულიად არ არის სწორი.**

პირიქით, საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა კი არ დაიწყო, არამედ **დამთავრდა** ღარიბთა კომიტეტების შემდეგ, 1918 წლის შემდეგ. საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა **გაუქმდა** (და არა შემოღებულ იქნა) ჩვენს პრაქტიკაში სწორედ 1918 წლის შემდეგ. სწორედ 1918 წლის შემდეგ, 1919 წლის მარტში, ლენინმა, გახსნა რა ჩვენი პარტიის VIII ყრილობა, თქვა:

«ძველი დროის სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები, — როცა მათ ჯერ კიდევ სწამდათ რევოლუცია და თეორიულად და იდეურად ემსახურებოდნენ მას, — ლაპარაკობდნენ **გლეხობის ნეიტრალიზაციაზე**, ე. ი. იმაზე, რომ საშუალო გლეხობა გადაექციათ ისეთ საზოგადოებრივ ფენად, რომელიც, თუ აქტიურად არ დაეხმარებოდა პროლეტარიატის რევოლუციას, ყოველ შემთხვევაში, ხელს მაინც არ შეუშლიდა მას, ნეიტრალური იქნებოდა, არ დადგებოდა ჩვენი მტრების მხარეზე. ამოცანის ეს განყენებული, თეორიული დასმა ჩვენთვის სავსებით ნათელია. **მაგრამ იგი საკმარისი არ არის** *. ჩვენ შეველით **სოციალისტური მშენებლობის ისეთ სტადიაში** *, როცა საჭიროა კონკრეტულად, დეტალურად შევიმუშაოთ სოფლად მუშაობის გამოცდილებით შემოწმებული ძირითადი წესები და მითითებანი, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისათვის, რომ საშუალო გლეხის მიმართ **მტკიცე კავშირის ნიადაგზე დავდგეთ»** (იხ. ტ. XXIV, გვ. 114).

როგორც ხედავთ, გამოდის რაღაც იმის პირდაპირ საწინააღმდეგო, რასაც ამბობთ თქვენს წერილში, ამასთან თქვენ თავდაყირა აყენებთ აქ ჩვენს **ნამდვილ** პარტიულ პრაქტიკას, ერთმანეთში ურევთ ნეიტრალიზაციის **დასაწყისსა** და მის **დასასრულს.**

საშუალო გლეხი წუწუნებდა და მერყეობდა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის, სანამ ბურჟუაზიას ვამხობდით, სანამ საბჭოების ძალაუფლება ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული, რის გამო გვიხდებოდა მისი ნეიტრალიზება. საშუალო გლეხმა იწყო ჩვენსკენ მობრუნება, როცა იგი უკვე რწმუნდებოდა, რომ ბურჟუაზია «სერიოზულად» დამხობილია, რომ საბჭოების ძალაუფლება მტკიცდება, კულაკს ამარცხებენ, წითელი არმია იმარჯვებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. სწორედ ასეთი გარდატეხის შემდეგ გახდა შესაძლებელი პარტიის მესამე სტრატეგიული ლოზუნგი, რომელიც ლენინმა პარტიის VIII ყრილობაზე მოგვცა: ღარიბ გლეხობაზე **დაყრდნობით** და საშუ-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ალო გლეხთან **მტკიცე კავშირის** დამყარებით — წინ, სოციალისტური მშენებლობისათვის.

როგორ დაგავიწყდათ ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი?

თქვენი წერილიდან შემდეგ გამომდინარეობს, რომ საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა პროლეტარულ რევოლუციაზე **გადასვლის დროს** და ამ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ **პირველ დღეებში** — არასწორი, გამოუსადეგარი და ამიტომ მიუღებელია. ეს **სრულიად არ არის სწორი.** საქმე სწორედ პირიქითაა. სწორედ ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობის დროს და პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცებამდე ყველაზე უფრო მერყეობს და წინააღმდეგობას გვიწევს საშუალო გლეხი. სწორედ ამ პერიოდშია აუცილებელი ღარიბ გლეხობასთან კავშირი და საშუალო გლეხის ნეიტრალიზაცია.

დაჟინებით იცავთ რა თქვენს შეცდომას, თქვენ ამტკიცებთ, რომ გლეხობის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც, რომლებიც «ცოტად თუ ბევრად მოგვაგონებენ ოქტომბრის წინადროინდელი რუსეთის ეკონომიკას». ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ აი რას ამბობს ლენინი თავის თეზისებში აგრარული საკითხის შესახებ კომინტერნის II კონგრესზე [53] პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების პერიოდში საშუალო გლეხის მიმართ პროლეტარული პარტიების პოლიტიკის შესახებ. ლენინი განსაზღვრავს უღარიბეს გლეხობას, ან, უფრო ზუსტად, «სოფლის მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებს», როგორც ცალკე ჯგუფს, რომელსაც შეადგენენ სოფლის მეურნეობის მუშები, ნახევრად-პროლეტარები ან პარცელური გლეხები და წვრილი გლეხობა, შემდეგ გადადის საშუალო გლეხობის, როგორც სოფლად განსაკუთრებული ჯგუფის, საკითხზე და ამბობს:

«საშუალო გლეხობად» ეკონომიური აზრით უნდა ვიგულისხმოთ წვრილი მიწათმოქმედნი, რომელნიც, საკუთრებისა თუ იჯარის უფლებით, ფლობენ მიწის ასევე მცირე ნაკვეთებს, მაგრამ მაინც ისეთ ნაკვეთებს, რომლებიც, ჯერ-ერთი, როგორც საერთო წესი, კაპიტალიზმის დროს იძლევიან არა მარტო მეურნეობის ოჯახის ხელმოკლედ შენახვის საშუალებას, არამედ განსაზღვრული გარდამეტის მიღების შესაძლებლობასაც, რაც, ყოველ შემთხვევაში საუკეთესო წლებში, შეიძლება გადაიქცეს კაპიტალად, და რომლებიც, მეორე მხრივ, საკმაოდ ხშირად მიმართავენ (მაგალითად, ორი ან სამი მეურნეობიდან ერთში) სხვისი სამუშაო ძალის დაქირავებას... რევოლუციურ პროლეტარიატს არ შეუძლია ამოცანად დაისახოს, — ყოველ შემთხვევაში **უახლოესი მომავლისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდის დასაწყისისათვის**, — ამ ფენის მომხრობა, ის უნდა **დაკმაყოფილდეს მისი ნეიტრალიზების ამოცანით**, ე. ი. ამოცანით — ნეიტრალური გახადოს იგი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ბრძოლაში» * (იხ. ტ. XXV, გვ. 271 — 272).

როგორ შეიძლება ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა ჩვენში შეიძლებოდა «წარმოშობილიყო» **«მხოლოდ»** «1918 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე», ე. ი. საბჭოების ძალაუფლების განმტკიცების საქმეში, პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცების საქმეში მიღწეულ გადამწყვეტ წარმატებათა **შემდეგ?**

როგორც ხედავთ, პროლეტარული პარტიების სტრატეგიული ლოზუნგის საკითხი სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისა და პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცების მომენტისათვის, ისევე როგორც საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის საკითხი, არც ისე მარტივია, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ.

4) ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ თქვენს მიერ ლენინის თხზულებებიდან მოყვანილი ციტატები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუპირდაპიროთ პარტიის ძი-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

რითად ლოზუნგს რევოლუციის მეორე ეტაპზე, ვინაიდან ისინი, ეს ციტატები: ა) გველაპარაკებიან არა პარტიის ძირითად ლოზუნგზე ოქტომბრის **წინ**, არამედ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანაზე ოქტომბრის **შემდეგ**, ბ) ისინი კი არ აბათილებენ, არამედ ადასტურებენ ამ ლოზუნგის სისწორეს.

ზემოთ უკვე ვთქვი და იძულებული ვარ ერთხელ კიდევ გავიმეორო, რომ პარტიის სტრატეგიულ ლოზუნგს რევოლუციის მეორე ეტაპზე, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების **წინა** პერიოდში, ლოზუნგს, რომლის მთავარ თემას შეადგენს ძალაუფლების საკითხი, არ შეიძლება დავუპირდაპიროთ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ამოცანა, რომელიც ხორციელდებოდა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების **შემდგომ** პერიოდში.

5) თქვენ ლაპარაკობთ ამხ. მოლოტოვის ცნობილ სტატიაზე «პრავდაში» «ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ ჩვენს ქვეყანაში» (1927 წ. 12 მარტი), რომელმაც, თურმე, «გაიძულათ» მოგემართათ ჩემთვის ახსნა-განმარტების მისაღებად. მე არ ვიცი, როგორ კითხულობთ თქვენ სტატიებს. მეც წავიკითხე ამხ. მოლოტოვის სტატია და ვფიქრობ, რომ იგი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმას, რაც ნათქვამია ჩემს მოხსენებაში ჩვენი პარტიის XIV ყრილობაზე გლეხობის მიმართ პარტიის ლოზუნგების შესახებ [54].

ამხ. მოლოტოვი თავის სტატიაში ლაპარაკობს არა პარტიის ძირითად ლოზუნგზე ოქტომბრის პერიოდში, **არამედ** იმაზე, რომ, რამდენადაც პარტიას ოქტომბრის შემდეგ ბოლომდე მიჰყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია, იმდენად მას თანაუგრძნობდა ყველა გლეხი. ნაგრამ მე ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ამ ფაქტის აღნიშვნა კი არ უარყოფს, არამედ, პირიქით, ადასტურებს იმ ძირითადი დებულების სისწორეს, რომ ჩვენ დავამხეთ ბურჟუაზიის ხელისუფლება და

დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა უღარიბეს გლეხობასთან ერთად და საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პირობებში ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ უამისოდ ჩვენ ბოლომდე ვერ მივიყვანდით ბურჟუაზიულ რევოლუციას.

«ბოლშევიკ» № 7—8,
1927 წ. 15 აპრილი.

ჩინეთის რევოლუციის საკითხები

თეზისები პროპაგანდისტებისათვის, მოწონებული ხაკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ

I

ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივები

ძირითადი ფაქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩინეთის რევოლუციის ხასიათს:

ა) ჩინეთის ნახევრად-კოლონიური მდგომარეობა და იმპერიალიზმის ფინანსურ-ეკონომიური ბატონობა;

ბ) ფეოდალიზმის გადმონაშთების უღელი, რასაც მილიტარიზმისა და ბიუროკრატიის უღელი აძლიერებს;

გ) მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების მზარდი რევოლუციური ბრძოლა ფეოდალთა და მოხელეთა უღლის წინააღმდეგ, მილიტარიზმის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ;

დ) ნაციონალური ბურჟუაზიის პოლიტიკური სისუსტე, მისი დამოკიდებულება იმპერიალიზმისაგან, მისი შიში რევოლუციური მოძრაობის გაფართოების წინაშე;

ე) პროლეტარიატის მზარდი რევოლუციური აქტივობა, მისი ავტორიტეტის ზრდა მშრომელთა მილიონიან მასებში;

ვ) პროლეტარული დიქტატურის არსებობა ჩინეთის მეზობლად.

აქედან გამომდინარეობს ჩინეთის ამბების განვითარების ორი გზა:

ან ნაციონალური ბურჟუაზია დაამარცხებს პროლეტარიატს, მოურიგდება იმპერიალიზმს და მასთან ერთად გაილაშქრებს რევოლუციის წინააღმდეგ იმისათვის, რომ დაამთავროს იგი კაპიტალიზმის ბატონობის დამყარებით;

ან პროლეტარიატი ჩამოიშორებს ნაციონალურ ბურჟუაზიას, განამტკიცებს თავის ჰეგემონიას და გაიყოლიებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მილიონიან მასებს იმისათვის, რომ დასძლიოს ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, მიაღწიოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სრულ გამარჯვებას და შემდეგ იგი თანდათანობით გადაიყვანოს სოციალისტური რევოლუციის რელსებზე აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ორში ერთი.

მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი და სსრ კავშირში პროლეტარული დიქტატურის არსებობა, რომლის გამოცდილებაც წარმატებით შეიძლება გამოიყენოს ჩინეთის პროლეტარიატმა, მნიშვნელოვნად ამცირებს ჩინეთის რევოლუციის მეორე გზის განხორციელების შესაძლებლობას.

მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ იმპერიალიზმი ჩინეთის რევოლუციას, ძირითადად, ერთიანი ფრონტით უტევს, რომ ახლა იმპერიალისტებს შორის არ არის ის გათიშვა და ის ომი, რომლებიც არსებობდნენ, მაგალითად, ოქტომბრის რევოლუციის წინ იმპერიალიზმის ბანაკში და რომლებიც ასუსტებდნენ იმპერიალიზმს, — ეს ფაქტი მოწმობს, რომ ჩინეთის რევოლუცია გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე გაცილებით მეტ სიძნელეებს შეხვდება, ვიდრე რუსეთის რევოლუცია, რომ ამ რევოლუციის მსვლელობაში მტრის მხარეზე გადასვლა და გამცემლობა შეუდარებლად უფრო

მეტი იქნება, ვიდრე სსრ კავშირში სამოქალაქო ომის პერიოდში იყო.

ამიტომ ბრძოლა რევოლუციის ამ ორ გზას შორის ჩინეთის რევოლუციის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

სწორედ ამიტომ კომუნისტების ძირითადი ამოცანაა ბრძოლა ჩინეთის რევოლუციის მეორე გზის გამარჯვებისათვის.

II

ჩინეთის რევოლუციის პირველი ეტაპი

ჩინეთის რევოლუციის პირველ პერიოდში, ჩრდილოეთისაკენ პირველი გალაშქრების პერიოდში, როცა ნაციონალური არმია, მდინარე იანძის რომ უახლოვდებოდა, გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა, ხოლო მუშათა და გლეხთა მძლავრი მოძრაობა ჯერ კიდევ არ იყო გაჩაღებული, ნაციონალური ბურჟუაზია (არა კომპრადორები[55]) რევოლუციასთან ერთად მიდიოდა. ეს იყო გაერთიანებული **საერთო-ნაციონალური** ფრონტის რევოლუცია.

ეს არ ნიშნავს, რომ არ იყო წინააღმდეგობები რევოლუციასა და ნაციონალურ ბურჟუაზიას შორის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ნაციონალური ბურჟუაზია, როცა იგი რევოლუციას უჭერდა მხარს, ცდილობდა გამოეყენებინა იგი თავისი მიზნებისათვის, რათა უმთავრესად ტერიტორიულ დაპყრობათა ხაზით მისი წარმართვის გზით შეეზღუდა მისი გაქანება. ამ პერიოდში მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის ბრძოლა გომინდანში ამ წინააღმდეგობათა ანარეკლი იყო. ჩან კაი-შის ცდა 1926 წლის მარტში — გაეძევებინა კომუნისტები გომინდანიდან, იყო ნაციონალური ბურჟუაზიის პირველი სერიოზული ცდა — აელაგმა რევოლუცია. ცნობილია, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს უკვე მაშინ მიაჩნდა, რომ «საჭიროა გეზის აღება

გომინდანის შემადგენლობაში კომპარტიის დატოვებისაკენ», რომ საჭიროა «საქმის ისე წაყვანა, რომ მემარჯვენეები წავიდნენ ან გარიცხულ იქნან გომინდანიდან» (1926 წ. აპრილი).

ეს იყო გეზი რევოლუციის შემდგომი განვითარებისაკენ, გომინდანის შიგნით და ნაციონალური მთავრობის შემადგენლობაში მემარცხენეთა და კომუნისტთა მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, გომინდანის ერთიანობის განმტკიცებისა და ამავე დროს მემარჯვენე გომინდანელთა მხილებისა და იზოლაციისაკენ, გომინდანის დისციპლინისადმი მემარჯვენეთა დამორჩილებისაკენ, მემარჯვენეების, მათი კავშირურთიერთობისა და მათი გამოცდილების გამოყენებისაკენ, რამდენადაც ისინი ემორჩილებიან გომინდანის დისციპლინას, ან გომინდანიდან მემარჯვენეთა განდევნისაკენ, რამდენადაც ისინი ამ დისციპლინას არღვევენ და რევოლუციის ინტერესებს ღალატობენ.

შემდგომმა ამბებმა მთლიანად დაადასტურეს ამ გეზის სისწორე. გლეხთა მოძრაობის მძლავრი განვითარება და გლეხთა კავშირებისა და გლეხთა კომიტეტების შექმნა სოფლად, მძლავრი საგაფიცვო ტალღა ქალაქებში და პროფესიულ კავშირთა საბჭოების შექმნა, ნაციონალური ჯარების ძლევამოსილი წინსვლა იმპერიალისტების ფლოტითა და ჯარებით ალყაშემორტყმული შანხაისაკენ, — ყოველივე ეს და მათი მსგავსი ფაქტები მოწმობენ, რომ აღებული გეზი ერთადერთი სწორი გეზი იყო.

მხოლოდ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ მემარჯვენეთა ცდამ 1927 წლის თებერვალში — გაეთიშათ გომინდანი და ნანჩანში ახალი ცენტრი შეექმნათ, მარცხი განიცადა რევოლუციური გომინდანის ერთსულოვანი წინააღმდეგობის მეოხებით უხანში.

მაგრამ ეს ცდა იმის ნიშანი იყო, რომ ჩინეთში ხდება კლასობრივ ძალთა გადაჯგუფება, რომ მემარჯვენეები და

ნაციონალური ბურჟუაზია არ დაწყნარდებიან, რომ ისინი გააძლიერებენ მუშაობას რევოლუციის წინააღმდეგ.

ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მართალი იყო, როცა 1927 წლის მარტში ამბობდა, რომ:

ა) «ამჟამად ჩინეთის რევოლუცია, კლასობრივ ძალთა გადაჯგუფებასა და იმპერიალისტური არმიების კონცენტრაციასთან დაკავშირებით, კრიტიკულ პერიოდს განიცდის და რომ მისი შემდგომი გამარჯვებანი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღებული იქნება მტკიცე გეზი მასობრივი მოძრაობის განვითარებისაკენ»;

ბ) «საჭიროა გეზის აღება მუშათა და გლეხთა შეიარაღებისაკენ, ადგილებზე გლეხთა კომიტეტების გადაქცევისაკენ ხელისუფლების ფაქტიურ ორგანოებად შეიარაღებული თავდაცვით»;

გ) «კომპარტიამ არ უნდა დაფაროს შემარჯვენე გომინდანელთა მოღალატური და რეაქციული პოლიტიკა და მემარჯვენეთა მხილების გზით უნდა დარაზმოს მასები გომინდანისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის გარშემო» (1927 წ. 3 მარტი).

ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ, ერთი მხრივ, რევოლუციის მძლავრ განვითარებას შემდეგში და, მეორე მხრივ, იმპერიალისტთა შეტევას შანხაიში არ შეეძლოთ ჩინეთის ნაციონალური ბურჟუაზია არ გადაეტყორცნათ კონტრრევოლუციის ბანაკში, ისევე როგორც ნაციონალური ჯარების მიერ შანხაის დაკავებას და შანხაის მუშების გაფიცვებს არ შეეძლოთ არ გაეერთიანებინათ იმპერიალისტები რევოლუციის ჩასახშობად.

ასეც მოხდა. ნანკინში მომხდარი დახვრეტა ამ მხრივ ჩინეთში მებრძოლი ძალების ახალი გამიჯვნის სიგნალი გახდა. ნანკინს რომ დაუშინეს და ულტიმატუმი წაუყენეს, იმპერიალისტებს უნდოდათ ეთქვათ, რომ ისინი ესწრაფიან ნა-

ციონალური ბურჟუაზიის მხარდაჭერას ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის.

ხოლო მუშათა მიტინგებს რომ ხვრეტდა და გადატრიალებას აწყობდა, ჩან კაი-ში, თითქოს იმპერიალისტთა მოწოდების პასუხად, ამბობდა, რომ იგი მზად არის მოურიგდეს იმპერიალისტებს ნაციონალურ ბურჟუაზიასთან ერთად ჩინეთის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

III

ჩინეთის რევოლუციის მეორე ეტაპი

ჩან კაი-შის მიერ მოხდენილი გადატრიალება მოასწავებს ნაციონალური ბურჟუაზიის განდგომას რევოლუციისაგან, ნაციონალური კონტრრევოლუციის ცენტრის წარმოშობას და მემარჯვენე გომინდანელთა მორიგებას იმპერიალიზმთან ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ.

ჩან კაი-შის მიერ მოხდენილი გადატრიალება ნიშნავს, რომ სამხრეთ ჩინეთში ამიერიდან იქნება ორი ბანაკი, ორი მთავრობა, ორი არმია, ორი ცენტრი — რევოლუციის ცენტრი უხანში და კონტრრევოლუციის ცენტრი ნანკინში.

ჩან კაი-შის მიერ მოხდენილი გადატრიალება ნიშნავს, რომ რევოლუცია შევიდა თავისი განვითარების მეორე ეტაპში, რომ დაიწყო **მობრუნება საერთო-ნაციონალური** გაერთიანებული ფრონტის რევოლუციიდან **მუშათა** და **გლეხთა** მრავალმილიონიანი მასების რევოლუციისაკენ, **აგრარული** რევოლუციისაკენ, რომელიც გააძლიერებს და გააფართოებს ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჯენტრებისა და ფეოდალი მემამულეების წინააღმდეგ, მილიტარისტებისა და ჩან კაი-შის კონტრრევოლუციური ჯგუფის წინააღმდეგ.

ეს ნიშნავს, რომ ბრძოლა რევოლუციის ორ გზას შორის, მისი შემდგომი განვითარების მომხრეებსა და მისი ლიკვი-

დაციის მომხრეებს შორის, დღითი-დღე გამწვავდება და მოიცავს რევოლუციის მთელ ახლანდელ პერიოდს.

ეს ნიშნავს, რომ რევოლუციური გომინდანი უხანში, დაადგება რა მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გზას, ნამდვილად გადაიქცევა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოდ, ხოლო ჩან კაი-შის კონტრრევოლუციური ჯგუფი ნანკინში, დაშორდება რა მუშებსა და გლეხებს და დაუახლოვდება იმპერიალიზმს, ბოლოს და ბოლოს გაიზიარებს მილიტარისტთა ბედს.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ გომინდანის ერთიანობის შენარჩუნების პოლიტიკა, გომინდანის შიგნით მემარჯვენეთა იზოლაციის პოლიტიკა და რევოლუციის მიზნებისათვის მათი გამოყენების პოლიტიკა აღარ შეესაბამება რევოლუციის ახალ ამოცანებს. ეს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს გომინდანიდან მემარჯვენეთა გადაჭრით განდევნის პოლიტიკით, მემარჯვენეთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის პოლიტიკით, მათ სრულ პოლიტიკურ ლიკვიდაციამდე, ჩინეთში მთელი ძალაუფლების მოქცევის პოლიტიკით **რევოლუციური** გომინდანის ხელში, გომინდანისა მისი მემარჯვენე ელემენტების გარეშე, გომინდანისა, როგორც მემარცხენე გომინდანელთა და კომუნისტთა შორის ბლოკისა.

შემდეგ აქედან გამომდინარეობს, რომ გომინდანის შიგნით მემარცხენეთა და კომუნისტთა მჭიდრო თანამშრომლობის პოლიტიკას მოცემულ ეტაპზე ენიჭება განსაკუთრებული ძალა და განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ეს თანამშრომლობა ასახავს მუშათა და გლეხთა კავშირს, რომელიც გომინდანის გარეთ იქმნება, რომ ასეთი თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია რევოლუციის გამარჯვება.

შემდეგ აქედან გამომდინარეობს, რომ რევოლუციური გომინდანის ძალის ძირითადი წყაროა შემდგომი გაშლა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობისა და გან-

მტკიცება მათი მასობრივი ორგანიზაციებისა — გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა, მუშათა პროფკავშირებისა და სხვა მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციებისა, როგორც მომავალში საბჭოების მოსამზადებელი ელემენტებისა, რომ რევოლუციის გამარჯვების ძირითადი საწინდარია მშრომელთა მილიონიანი მასების რევოლუციური აქტივობის ზრდა, ხოლო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მთავარი საშუალებაა მუშებისა და გლეხების შეიარაღება.

ბოლოს, აქედან გამომდინარეობს, რომ კომპარტიამ, რომელიც რევოლუციურ გომინდანელებთან ერთ რიგებში იბრძვის, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, როგორც პირობა, რომელიც აუცილებელია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველყოფისათვის.

IV

ოპოზიციის შეცდომები

ოპოზიციის (რადეკი და კომპანია) ძირითადი შეცდომა ის არის, რომ მას არ ესმის ჩინეთის რევოლუციის ხასიათი, არ ესმის, თუ რა ეტაპზეა ამჟამად ეს რევოლუცია, არ ესმის მისი ახლანდელი საერთაშორისო ვითარება.

ოპოზიცია მოითხოვს, რომ ჩინეთის რევოლუცია დაახლოებით ისეთივე ტემპით ვითარდებოდეს, როგორითაც ოქტომბრის რევოლუცია მიმდინარეობდა. ოპოზიცია უკმაყოფილოა, რომ შანხაის მუშებმა არ მიიღეს გადამწყვეტი ბრძოლა იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ.

მაგრამ ოპოზიციას არ ესმის, რომ რევოლუცია ჩინეთში არ შეიძლება სწრაფი ტემპით განვითარდეს, სხვათა შორის, იმიტომ, რომ საერთაშორისო ვითარება ახლა ნაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე 1917 წელს იყო (არ არის ომი იმპერიალისტებს შორის).

ოპოზიციას არ ესმის, რომ არ შეიძლება გადამწყვეტი ბრძოლის მიღება არახელსაყრელი პირობების დროს, როცა რეზერვები ჯერ კიდევ არ არის თავმოყრილი, ისევე როგორც, მაგალითად, ბოლშევიკებმა არ მიიღეს გადამწყვეტი ბრძოლა 1917 წლის არც აპრილში, არც ივლისში.

ოპოზიციას არ ესმის, რომ არახელსაყრელ პირობებში გადამწყვეტი ბრძოლისათვის თავის აურიდებლობა (როცა შეიძლება მისთვის თავის არიდება) — ნიშნავს რევოლუციის მტრების საქმის გაადვილებას.

ოპოზიცია მოითხოვს, რომ ჩინეთში დაუყოვნებლივ შეიქმნას მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. მაგრამ რას ნიშნავს საბჭოების შექმნა **ახლა?**

ჯერ-ერთი, არ შეიძლება მათი შექმნა ყოველ მომენტში, — ისინი იქმნებიან რევოლუციური ტალღების მხოლოდ განსაკუთრებული აზვირთების პერიოდში.

მეორეც, საბჭოები ლაყბობისათვის კი არ იქმნება, — ისინი იქმნებიან უწინარეს ყოვლისა როგორც არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოები, როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლის ორგანოები. ასეთი იყო საქმის ვითარება 1905 წელს. ასეთი იყო საქმის ვითარება 1917 წელს.

მაგრამ რას ნიშნავს საბჭოების შექმნა **ახლანდელ მომენტში,** მაგალითად, უხანის მთავრობის მოქმედების რაიონში? ეს ნიშნავს ამ რაიონში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგის მიცემას. ეს ნიშნავს ხელისუფლების ახალი ორგანოების შექმნის ლოზუნგის მიცემას, რევოლუციური გომინდანის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგის მიცემას, გომინდანისა, რომელშიც შედიან კომუნისტებიც, რომლებსაც ბლოკი აქვთ მემარცხენე გომინდანელებთან, ვინაიდან ახლა ამ რაიონში არ არსებობს არავითარი სხვა ხელისუფლება, გარდა რევოლუციური გომინდანის ხელისუფლებისა.

შემდეგ, ეს ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთში ავრიოთ, ერთი მხრივ, ამოცანა მუშათა და გლეხთა მასობრივი ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცებისა საგაფიცვო კომიტეტების, გლეხთა კავშირებისა და კომიტეტების, პროფკავშირთა საბჭოების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და სხვათა სახით, რომლებსაც უკვე ახლა ეყრდნობა რევოლუციური გომინდანი, და, მეორე მხრივ, ამოცანა საბჭოთა სისტემის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ტიპის, შექმნისა რევოლუციური გომინდანის ხელისუფლების ნაცვლად.

ბოლოს, ეს ნიშნავს იმის გაუგებლობას, თუ რა ეტაპზეა ამჟამად რევოლუცია ჩინეთში. ეს ნიშნავს ჩინელი ხალხის მტრებისათვის ახალი იარაღის მიცემას რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ახალი ლეგენდების შესაქმნელად იმის შესახებ, რომ ჩინეთში ხდება არა ნაციონალური რევოლუცია, არამედ «მოსკოვური გასაბჭოების» ხელოვნური გადანერგვა.

ამრიგად, **ახლანდელ მომენტში** საბჭოების შექმნის ლოზუნგს რომ აყენებს, ოპოზიცია ხელს უწყობს ჩინეთის რევოლუციის მტრებს.

ოპოზიციას მიზანშეუწონლად მიაჩნია კომპარტიის მონაწილეობა გომინდანში. ოპოზიციას, მაშასადამე, მიზანშეწონილად მიაჩნია კომპარტიის წასვლა გომინდანიდან. მაგრამ რას ნიშნავს კომპარტიის წასვლა გომინდანიდან **ახლა,** როცა მთელი იმპერიალისტური ხროვა ყველა მისი მაჩანჩალიანად მოითხოვს კომუნისტების განდევნას გომინდანიდან? ეს ნიშნავს ბრძოლის ასპარეზის დატოვებას და გომინდანში თავის მოკავშირეთა მიტოვებას რევოლუციის მტრების გასახარებლად. ეს ნიშნავს კომპარტიის დასუსტებას, რევოლუციური გომინდანისათვის ძირის გამოთხრას, შანხაელი კავენიაკებისათვის საქმის გაადვილებას და გომინდანის

დროშის, ჩინეთში ყველაზე პოპულარული დროშის, გადაცემას მემარჯვენე გომინდანელთა ხელში.

სწორედ ამას მოითხოვენ ახლა იმპერიალისტები, მილიტარისტები და მემარჯვენე გომინდანელები.

ამრიგად, გამოდის, რომ, მხარს უჭერს რა გომინდანიდან კომპარტიის წასვლას **ახლანდელ მომენტში,** ოპოზიცია ხელს უწყობს ჩინეთის რევოლუციის მტრებს.

ამიტომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმი სავსებით სწორად მოიქცა, გადაჭრით რომ უარყო ოპოზიციის პლატფორმა [56].

«პრავდა» № 90,
1927 წ. 21 აპრილი.

გაზეთ «პრავდას»

(15 წლისთავის დღისათვის)

მხურვალე სალამი «პრავდას», ლენინის ანდერძის მატარებელს და კომუნიზმისათვის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მედროშეს!

ი. სტალინი

«პრავდა» № 99,
1927 წ. 5 მაისი.

ჩინეთის რევოლუციის საკითხებისათვის

პასუხი ამხ. მარჩულინს

თქვენი წერილი «დერევენსკი კომმუნისტის» [57] რედაქციისადმი ჩინეთში საბჭოების საკითხზე რედაქციიდან გადმომიგზავნეს პასუხის მოსაცემად. ვფიქრობ, რომ საწინააღმდეგო არა გექნებათ რა, და გიგზავნით მოკლე პასუხს თქვენს წერილზე.

მე ვფიქრობ, ამხ. მარჩულინ, რომ თქვენი წერილი გაუგებრობით არის გამოწვეული. და აი რატომ.

1) სტალინის თეზისებში პროპაგანდისტებისათვის ლაპარაკია **ახლანდელ** ჩინეთში **მუშათა,** გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების **დაუყოვნებლივ** შექმნის წინააღმდეგ. თქვენ კი, გამოსთქვამთ რა სტალინის თეზისების საწინააღმდეგო აზრს, იმოწმებთ ლენინის თეზისებსა და სიტყვას კომინტერნის II კონგრესზე [58], სადაც ლაპარაკია მხოლოდ **გლეხთა** საბჭოებზე, **მშრომელთა** საბჭოებზე, **მშრომელი ხალხის** საბჭოებზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი **მუშათა** დეპუტატების საბჭოების შექმნაზე.

რატომ არ ლაპარაკობს ლენინი **მუშათა** დეპუტატების საბჭოების შექმნაზე არც თავის თეზისებში, არც თავის სიტყვაში? იმიტომ, რომ ლენინს თავის სიტყვაშიც და

თავის თეზისებშიც მხედველობაში აქვს ისეთი ქვეყნები, სადაც «ლაპარაკიც კი არ შეიძლება წმინდა პროლეტარულ მოძრაობაზე», სადაც «თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი» (იხ. ტ. XXV, გვ. 353). ლენინი თავის სიტყვაში პირდაპირ ამბობს, რომ მას მხედველობაში აქვს ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან შუა აზია, სპარსეთი, სადაც «თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი» (იხ. იქვე).

შეიძლება თუ არა ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნოს ჩინეთი მისი ისეთი სამრეწველო ცენტრებით, როგორიც არის შანხაი, ხანკოუ, ნანკინი, ჩანშა და სხვ., სადაც უკვე სამ მილიონამდეა პროფკავშირებში დარაზმული მუშები? ცხადია, არ შეიძლება.

ცხადია, როცა ლაპარაკობენ თანამედროვე ჩინეთზე, სადაც არის სამრეწველო პროლეტარიატის გარკვეული მინიმუმი, მხედველობაში უნდა ჰქონდეთ არა უბრალოდ **გლეხთა** საბჭოების ან მშრომელთა საბჭოების შექმნა, არამედ **მუშათა** და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა.

სხვა საქმეა, ლაპარაკი რომ იყოს სპარსეთზე, ავღანეთზე და სხვ. მაგრამ სტალინის თეზისებში, როგორც ცნობილია, ლაპარაკია ჩინეთზე, და არა სპარსეთზე, ავღანეთზე და სხვ.

ამიტომ არასწორი და უსაფუძვლოა, როცა თქვენ გამოსთქვამთ სტალინის თეზისების საწინააღმდეგო აზრს და იმოწმებთ ლენინის სიტყვასა და თეზისებს კომინტერნის II კონგრესზე.

2) თქვენს წერილში მოგყავთ ციტატა კომინტერნის II კონგრესის «დამატებითი თეზისებიდან» ნაციონალურ და კოლონიურ საკითხზე, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთში «პროლეტარული პარტიები უნდა ეწეოდნენ კომუნისტური იდეების გაძლიერებულ პროპაგანდას და პირველი შესაძლებლობისთანავე აარსებდნენ

მუშათა და გლეხთა საბჭოებს». ამასთან საქმეს ისე სახავთ, თითქოს ეს «დამატებითი თეზისები» და იქიდან ამოღებული ციტატა ლენინს ეკუთვნოდეს. ეს სწორი არ არის, ამხ. მარჩულინ. აქ თქვენ პირდაპირ შემცდარხართ. «დამატებითი თეზისები» როის ეკუთვნის. ისინი ასეც იქნა გატარებული II კონგრესზე, როგორც როის თეზისები, მიღებული ლენინის თეზისების «დამატებად» (იხ. კომინტერნის II კონგრესი, სტენოგრ. ანგარიში, გვ. 122 — 126).

რისთვის გახდა საჭირო «დამატებითი თეზისები»? იმისათვის, რომ ჩამორჩენილი კოლონიური ქვეყნებიდან, რომლებსაც სამრეწველო პროლეტარიატი არა ჰყავთ, ცალკე გამოგვეყო ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან ჩინეთი და ინდოეთი, რომელთა შესახებაც არ შეიძლება მტკიცება, რომ იქ «თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი». წაიკითხეთ ეს «დამატებითი თეზისები» და მიხვდებით, რომ იქ ლაპარაკია, უმთავრესად, ჩინეთსა და ინდოეთზე (იხ. კომინტერნის II კონგრესი, სტენოგრ. ანგარიში, გვ. 122).

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ საჭირო გახდა როის განსაკუთრებული თეზისები ლენინის თეზისების «დამატებად»? საქმე ის არის, რომ ლენინის თეზისები დაწერილი და გამოქვეყნებული იყო II კონგრესის გახსნამდე დიდი ხნით ადრე, კოლონიური ქვეყნების წარმომადგენელთა ჩამოსვლამდე და II კონგრესის სპეციალურ კომისიაში დისკუსიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. და ვინაიდან კონგრესის კომისიაში დისკუსიამ ცხადყო აუცილებლობა აღმოსავლეთის ჩამორჩენილი კოლონიების რიცხვიდან ისეთი ქვეყნების გამოყოფისა, როგორიც ჩინეთი და ინდოეთი არიან, საჭირო გახდა «დამატებითი თეზისები».

ამიტომ არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ ლენინის სიტყვა და თეზისები და როის «დამატებითი თეზისები», ისევე როგორც არ შეიძლება დავივიწყოთ ის, რომ, როცა

ლაპარაკია ისეთ ქვეყნებზე, როგორიც არიან ჩინეთი და ინდოეთი, მხედველობაში უნდა გვქონდეს **მუშათა** და გლეხთა საბჭოების და არა უბრალოდ გლეხთა საბჭოების შექმნა.

3) საჭირო გახდება თუ არა ჩინეთში **მუშათა** და გლეხთა საბჭოების შექმნა? დიახ, აუცილებლად გახდება საჭირო. ამის შესახებ პირდაპირ არის ლაპარაკი სტალინის თეზისებში პროპაგანდისტებისათვის, სადაც ნათქვამია:

«რევოლუციური გომინდანის ძალის ძირითადი წყაროა შემდგომი გაშლა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობისა და განმტკიცება მათი მასობრივი ორგანიზაციებისა — გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა, მუშათა პროფკავშირებისა და სხვა მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციებისა, როგორც **მომავალში საბჭოების მოსამზადებელი ელემენტებისა**»... *.

მთელი საკითხი ის არის, **როდის** უნდა შეიქმნას ისინი, **რა** პირობებში, **როგორ** ვითარებაში?

მუშათა დეპუტატების საბჭოები ყოვლისმომცველი და ამიტომ საუკეთესო რევოლუციური ორგანიზაციაა მუშათა კლასისა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი შეიძლება შეიქმნას ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში. როცა ხრუსტალიოვმა, პიტერის მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველმა თავმჯდომარემ, 1906 წლის ზაფხულში რევოლუციის შენელების შემდეგ დააყენა მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნის საკითხი, ლენინმა მის საწინააღმდეგოდ თქვა, რომ მოცემულ მომენტში, როცა არიერგარდი (გლეხობა) ჯერ არ დასწევია ავანგარდს (პროლეტარიატს), — მიზანშეწონილი არ არის მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნაო. და ლენინი სავსებით მართალი იყო. რატომ? იმიტომ, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები მუშების უბრალო ორგანიზაცია როდია. მუშათა დეპუტატების საბჭოები არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მუშათა კლასის

* იხ. ეს ტომი, გვ. 242 — 243. რ ე დ.

ბრძოლის ორგანოებია, აჯანყების ორგანოებია, ახალი რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებია, და ისინი მხოლოდ როგორც ასეთები შეიძლება ვანვითარდნენ და განმტკიცდნენ. და თუ არ არის პირობები არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ უშუალო მასობრივი ბრძოლისათვის, მოცემული ხელისუფლების წინააღმდეგ მასობრივი აჯანყებისათვის, ახალი რევოლუციური ხელისუფლების შექმნისათვის, მაშინ მუშათა საბჭოების შექმნა მიზანშეუწონელია, ვინაიდან მათ, თუ ასეთი პირობები არ არის, დალპობისა და ფუჭ სალაყბოდ გადაქცევის საფრთხე მოელით.

აი რას ამბობდა ლენინი მუშათა დეპუტატების საბჭოების შესახებ:

«მუშათა დეპუტატების საბჭოები **მასობრივი უშუალო ბრძოლის ორგანოებია**»... «არა რომელიმე თეორიამ, არა ვისიმე მოწოდებამ, არა ვისიმე მოგონილმა ტაქტიკამ, არა პარტიულმა დოქტრინამ, არამედ ვითარების ძალამ მიიყვანა ეს უპარტიო, მასობრივი ორგანოები აჯანყების აუცილებლობამდე და გახადა ისინი აჯანყების ორგანოებად. და ამჟამად ასეთი ორგანოების დაარსება ნიშნავს **აჯანყების** * ორგანოების შექმნას, მათი შექმნისათვის მოწოდება ნიშნავს **აჯანყებისათვის მოწოდებას** *. ამის დავიწყება ან ხალხის ფართო **მასების** წინაშე ამის მიჩქმალვა ყველაზე მიუტევებელი სიბეცე და ყველაზე უარესი პოლიტიკა იქნებოდა» (იხ. ტ. X, გვ. 15).

ან კიდევ:

«ორივე რევოლუციის, როგორც 1905 წლის, ისე 1917 წლის რევოლუციების, მთელი გამოცდილება, ასევე ბოლშევიკების პარტიის ყველა გადაწყვეტილება, მისი ყველა პოლიტიკური განცხადება მრავალი წლის მანძილზე იმას ლაპარაკობს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო რეალურია მხოლოდ როგორც **აჯანყების ორგანო** *, მხოლოდ **როგორც რევოლუციური ხელისუფლების ორგანო** *. თუ ეს ამოცანა არა აქვთ, საბჭოები უბრალო სათამაშოა, რომელიც გარდუვალად იწვევს აპათიას, გულგრილობას, მასების **იმედგაცრუებას**, რომლებსაც სავსებით კანონიერად მობეზრდათ **რეზოლუციებისა** და პროტესტების დაუსრულებელი გამეორება» (იხ. ტ. XXI, გვ. 288).

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რას ნიშნავს ასეთი ვითარების დროს მოწოდება **მუშათა**, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების **დაუყოვნებლივ** შექმნისაკენ ახლანდელ სამხრეთ ჩინეთში, ვთქვათ, უხანის მთავრობის რაიონში, სადაც ამჟამად ხელისუფლების სათავეში რევოლუციური გომინდანი დგას, სადაც ამჟამად ვითარდება მოძრაობა ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება რევოლუციურ გომინდანს»? მოწოდება ახლა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნისაკენ ამ რაიონში, — ეს ნიშნავს მოწოდებას რევოლუციური გომინდანის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ. მიზანშეწონილია თუ არა ეს? ცხადია, არ არის მიზანშეწონილი. ცხადია, ვინც ახლა მოუწოდებს მუშათა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნისაკენ ამ რაიონში, ის ცდილობს გადაახტეს ჩინეთის რევოლუციის გომინდანურ ფაზას, ის ქმნის იმის საფრთხეს, რომ ჩინეთის რევოლუცია უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს.

აი როგორია, ამხ. მარჩულინ, საქმის ვითარება ჩინეთში მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის საკითხის მხრივ.

კომინტერნის II კონგრესზე მიღებულ იქნა სპეციალური რეზოლუცია სათაურით: «როდის და რა პირობებში შეიძლება მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნა». ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა ლენინის დროს. გირჩევდით წაგეკითხათ ეს რეზოლუცია. იგი ინტერესს არ არის მოკლებული (იხ. კომინტერნის II კონგრესი, სტენოგრ. ანგარ ში, გვ. 580 — 583).

4) როდის იქნება საჭირო ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა? ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები აუცილებლად უნდა შეიქმნას ისეთ მომენტში, როცა ძლევამოსილი აგრარული რევოლუცია მთელი ძალით გაჩაღდება, როცა გომინდანი, როგორც **ჩინეთის რევოლუციური ნაროდნიკობისა**

(მემარცხენე გომინდანი) **და კომპარტიის ბლოკი,** უკვე ზედმეტი გახდება, როცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელსაც ჯერ არ გაუმარჯვნია და რომელიც არც თუ მალე გაიმარჯვებს, დაიწყებს თავისი უარყოფითი ნიშნების გამოვლინებას, როცა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ახლანდელი გომინდანური ტიპიდან საჭირო გახდება თანდათანობით გადასვლა სახელმწიფოს ორგანიზაციის ახალ **პროლეტარულ** ტიპზე.

სწორედ ასეც უნდა გვესმოდეს ცნობილი ადგილი **მუშათა** და გლეხთა საბჭოების შესახებ როის «დამატებით თეზისებში», რომლებიც მიღებულია კომინტერნის II კონგრესზე.

უკვე დადგა თუ არა ეს მომენტი?

საჭირო არ არის მტკიცება, რომ ასეთი მომენტი ჯერ არ დამდგარა.

მაშ რა არის საჭირო ახლა? საჭიროა აგრარული რევოლუციის გაფართოება და გაღრმავება ჩინეთში. საჭიროა შექმნა და განმტკიცება მუშათა და გლეხთა ყველა და ყოველგვარი მასობრივი ორგანიზაციებისა, დაწყებული პროფკავშირთა საბჭოებით და საგაფიცვო კომიტეტებით და დამთავრებული გლეხთა კავშირებით და გლეხთა რევოლუციური კომიტეტებით, რათა რევოლუციური მოძრაობის ზრდის მიხედვით და მისი წარმატებების მიხედვით ისინი გადაქცეულ იქნან მომავალში მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ბაზებად.

ეს არის ახლა ამოცანა.

1927 წ. 9 მაისი.

ჟურნალი «დერევენსკი
კომმუნისტ» № 10,
1927 წ. 15 მაისი.
ხელმოწერა: ი. სტალინი.

საუბარი სუნ იატ-სენის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან

1927 წ. 13 მაისი

ამხანაგებო! სამწუხაროდ, დღეს შემიძლია საუბარს მხოლოდ ორი-სამი საათი დავუთმო. იქნებ, შემდეგში შევძლოთ უფრო ხანგრძლივი საუბრის მოწყობა. დღეს კი, მე ვფიქრობ, შეგვეძლო დავკმაყოფილებულიყავით იმ საკითხების განხილვით, რომლებიც თქვენ წერილობითი სახით ჩამოგიყალიბებიათ. მე მივიღე სულ ათი შეკითხვა. დღევანდელ საუბარში სწორედ ამ შეკითხვებზე გიპასუხებთ. თუ გაქვთ დამატებითი შეკითხვები — ისინი კი, როგორც ამბობენ, გაქვთ, — შეეცდები მათზე შემდგომ საუბარში გიპასუხოთ. მაშ ასე, შევუდგეთ საქმეს.

პირველი კითხვა

«რატომ არ არის სწორი რადეკის მტკიცება, რომ ჩინეთის სოფელში გლეხობის ბრძოლა მიმართულია არა იმდენად ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, რამდენადაც ბურჟუაზიის წინააღმდეგ?

შეიძლება თუ არა მტკიცება, რომ ჩინეთში ბატონობს სავაჭრო კაპიტალიზმი, ან ფეოდალიზმის ნაშთები?

რატომ არის, რომ ჩინელი მილიტარისტები, რომლებიც მსხვილ სამრეწველო საწარმოთა მფლობელები არიან, ამავე დროს არიან ფეოდალიზმის წარმომადგენლები?»

რადეკი, მართლაც, ამტკიცებს რაღაც იმის მსგავსს, რაზეც ლაპარაკია ამ კითხვაში. რამდენადაც მახსოვს, რადეკი მოსკოვის ორგანიზაციის აქტივზე თავის გამოსვლაში ან სრულიად უარყოფდა ფეოდალიზმის გადმონაშთების არსებობას, ან სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევდა ფეოდალიზმის გადმონაშთებს ჩინეთის სოფელში.

ეს, რა თქმა უნდა, რადეკის დიდი შეცდომაა.

ჩინეთში ფეოდალიზმის გადმონაშთები რომ არ იყოს, ჩინეთის სოფლისათვის ამ გადმონაშთებს უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, მაშინ არ იქნებოდა ნიადაგი აგრარული რევოლუციისათვის, მაშინ ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი აგრარული რევოლუციის შესახებ როგორც კომპარტიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანის შესახებ ჩინეთის რევოლუციის ახლანდელ ეტაპზე.

არსებობს თუ არა სავაჭრო კაპიტალი ჩინეთის სოფელში? დიახ, არსებობს, და არა მარტო არსებობს, არამედ გლეხს ყოველგვარ ფეოდალზე ნაკლებად არა სწოვს სისხლს. მაგრამ თავდაპირველი დაგროვების ტიპის ეს სავაჭრო კაპიტალი ჩინეთის სოფელში თავისებურად **შეხამებულია** ფეოდალის ბატონობასთან, მემამულის ბატონობასთან, და ამ უკანასკნელისაგან გადააქვს გლეხების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის შუასაუკუნეობრივი მეთოდები. აი რაშია საკითხი, ამხანაგებო.

რადეკის შეცდომა ის არის, რომ მას ვერ გაუგია ეს თავისებურება, ფეოდალური გადმონაშთების ბატონობის ეს **შეხამება** ვაჭრული კაპიტალის არსებობასთან ჩინეთის სოფელში გლეხობის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივი მეთოდების შენარჩუნების დროს.

მილიტარიზმი, ძიუძიუნები, ყოველგვარი გუბერნატორები და მთელი ახლანდელი გულქვა, მძარცველური, სამხედრო და არასამხედრო ბიუროკრატია ამ თავისებურების ზედნაშენს წარმოადგენენ ჩინეთში.

იმპერიალიზმი მხარს უჭერს და განამტკიცებს მთელ ამ ფეოდალურ-ბიუროკრატიულ მანქანას.

ზოგიერთი მილიტარისტი რომ მამულებს ფლობს და ამავე დროს სამრეწველო საწარმოთა მფლობელია, — ეს გარემოება ძირითადად არა ცვლის საქმეს. ბევრ რუს მემამულესაც ჰქონდა თავის დროზე ფაბრიკები და სხვა სამრეწველო საწარმოები, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდა, ფეოდალური გადმონაშთების წარმომადგენლებად დარჩენილიყვნენ.

თუ გლეხის შემოსავლის 70%, მთელ რიგ რაიონებში ჯენტრის, მემამულის სასარგებლოდ მიდის; თუ მემამულე ფაქტიური ძალაუფლებით სარგებლობს ეკონომიურ დარგშიც და ადმინისტრაციულ და სასამართლო დარგშიც; თუ მთელ რიგ პროვინციებში დღემდე კიდევ არსებობს ქალებისა და ბავშვების ყიდვა-გაყიდვა, — უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შუასაუკუნეობრივ ვითარებაში გაბატონებულ ძალას წარმოადგენს ფეოდალური გადმონაშთების ძალა, მემამულეთა ძალა, მემამულური — სამხედრო და არასამხედრო— ბიუროკრატიის ძალა, რომელიც თავისებურად შეხამებულია სავაჭრო კაპიტალის ძალასთან.

სწორედ ეს თავისებური პირობები უქმნიან ნიადაგს გლეხობის იმ აგრარულ მოძრაობას, რომელიც იზრდება და კვლავაც გაიზრდება ჩინეთში.

ეს პირობები რომ არ ყოფილიყო, ფეოდალური გადმონაშთები და ფეოდალური ჩაგვრა რომ არ ყოფილიყო, ჩინეთში არ იქნებოდა აგრარული რევოლუციის საკითხი, მემამულეთა მიწების კონფისკაციის საკითხი და სხვ.

ეს პირობები რომ არ ყოფილიყო, აგრარული რევოლუცია ჩინეთში გაუგებარი იქნებოდა.

მეოთხე კითხვა

«რაში არ არის მართალი რადეკი, როცა ამტკიცებს, რომ რადგან მარქსისტები რამდენიმე კლასის პარტიას არ ცნობენ, გომინდანი წვრილბურჟუაზიული პარტია არისო?»

ამ კითხვის გამო რამდენიმე შენიშვნა უნდა გავაკეთო.

პირველი. საკითხი აქ არასწორად არის დაყენებული. ჩვენ სრულებითაც არ გვითქვამს და არ ვამბობთ, რომ გომინდანი რამდენიმე კლასის პარტიაა. ეს მართალი არ არის. ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, რომ გომინდანი რამდენიმე ჩაგრული კლასის **ბლოკის** პარტიაა. ეს, ამხანაგებო, ერთი და იგივე არ არის. გომინდანი რომ რამდენიმე კლასის პარტია იყოს, საქმე იმით დამთავრდებოდა, რომ გომინდანის მომხრე არც ერთ კლასს თავისი საკუთარი პარტია არ ექნებოდა გომინდანის გარეშე, ხოლო თვით გომინდანი ყველა ამ კლასისათვის საერთო და **ერთადერთი** პარტია იქნებოდა. მაგრამ სინამდვილეში განა ასეთია საქმის ვითარება? განა ჩინეთის პროლეტარიატს, რომელიც გომინდანს ემხრობა, ამასთან ერთად არა აქვს თავისი ვანსაკუთრებული პარტია, კომუნისტური პარტია, რომელიც გომინდანისაგან განსხვავდება და რომელსაც თავისი განსაკუთრებული პროგრამა, თავისი განსაკუთრებული ორგანიზაცია აქვს? ცხადია, რომ გომინდანი არის არა რამდენიმე ჩაგრული კლასის პარტია, არამედ პარტია რამდენიმე ჩაგრული კლასის **ბლოკისა,** რომლებსაც თავიანთი საკუთარი პარტიული ორგანიზაციები აქვთ. მაშასადამე, საკითხი აქ არასწორად არის დაყენებული. მართლაც, თანამედროვე ჩინეთში საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ გომინდანს, როგორც ჩაგრული კლასების **ბლოკის** პარტიას.

მეორე. მართალი არ არის, რომ მარქსიზმისათვის პრინციპულად მიუღებელია ჩაგრული, რევოლუციური კლასების ბლოკის პარტია, რომ მარქსისტებისათვის პრინციპულად დაუშვებელია ასეთი პარტიის შემადგენლობაში შესვლა. ეს, ამხანაგებო, აბსოლუტურად არ არის მართალი. ნამდვილად მარქსიზმი არა მარტო აღიარებდა (და კვლავაც აღიარებს), რომ პრინციპულად დასაშვებია მარქსისტების შესვლა ასეთი პარტიის შემადგენლობაში, არამედ ნამდვილად კიდევაც ახორციელებდა ასეთ შესვლას გარკვეული ისტორიული პირობების დროს. მე შემეძლო დამემოწმებინა ისეთი მაგალითი, როგორიცაა თვით მარქსის მაგალითი 1848 წელს, გერმანიის რევოლუციის დროს, როცა მარქსი და მისი თანამოაზრენი შედიოდნენ გერმანიის ცნობილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კავშირის [39] შემადგენლობაში და იქ რევოლუციური ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობდნენ. ცნობილია, რომ ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კავშირში, ამ ბურჟუაზიულ-რევოლუციურ პარტიაში მარქსისტებს გარდა შედიოდნენ კიდევ რევოლუციური ბურჟუაზიის წარმომადგენლები. «რეინის ახალი გაზეთი» [40], რომელსაც მაშინ მარქსი რედაქტორობდა, ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კავშირის ორგანო იყო. მხოლოდ 1849 წლის გაზაფხულზე, როცა გერმანიაში რევოლუცია შენელდა, ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კავშირიდან გამოვიდნენ მარქსი და მისი თანამოაზრენი, რომლებმაც გადაწყვიტეს შეექმნათ მუშათა კლასის სავსებით დამოუკიდებელი ორგანიზაცია დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკით.

როგორც ხედავთ, მარქსი უფრო შორსაც მიდიოდა, ვიდრე ჩვენი დროის ჩინელი კომუნისტები, რომლებიც გომინდანის შემადგენლობაში შედიან სწორედ როგორც დამოუკიდებელი პროლეტარული პარტია თავისი განსაკუთრებული ორგანიზაციით.

შეიძლება საკამათო გავხადოთ ან არ გავხადოთ იმის **მიზანშეწონილობა,** რომ მარქსი და მისი თანამოაზრენი შედიოდნენ გერმანიის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კავშირის შემადგენლობაში 1848 წელს, როცა საქმე ეხებოდა **აბსოლუტიზმის** წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლას რევოლუციურ ბურჟუაზიასთან ერთად. ეს **ტაქტიკის** საკითხია. მაგრამ მარქსს რომ **პრინციპულად** დასაშვებად მიაჩნდა ასეთი შესვლა, — ეს სრულიად უეჭველია.

მესამე. სრულიად უმართებულო იქნებოდა გვეთქვა, რომ გომინდანი უხანში წვრილბურჟუაზიული პარტიაა, და აქ წერტილი დაგვესვა. გომინდანის ასე დახასიათება შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც ვერ გაუგიათ ვერც იმპერიალიზმი ჩინეთში, ვერც ჩინეთის რევოლუციის ხასიათი. გომინდანი «ჩვეულებრივი» წვრილბურჟუაზიული პარტია როდია. წვრილბურჟუაზიული პარტიები სხვადასხვანაირი არიან ხოლმე. მენშევიკები და ესერები რუსეთში აგრეთვე წვრილბურჟუაზიული პარტიები იყვნენ, მაგრამ ისინი ამასთან ერთად იყვნენ **იმპერიალისტური** პარტიები, ვინაიდან მათ საბრძოლო კავშირი ჰქონდათ საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტებთან და მათთან ერთად **იბყრობდნენ** და **ჩაგრავდნენ** სხვა ქვეყნებს — თურქეთს, სპარსეთს, მესოპოტამიას, გალიციას.

განა შეიძლება ითქვას, რომ გომინდანი **იმპერიალისტური** პარტიაა? ცხადია, არ შეიძლება. გომინდანი არის **ანტიიმპერიალისტური** პარტია, ისევე როგორც რევოლუცია ჩინეთში ანტიიმპერიალისტური რევოლუციაა. აქ ძირეული განსხვავებაა. ეს განსხვავება რომ ვერ დავინახოთ და ერთმანეთში ავრიოთ **ანტიიმპერიალისტური** გომინდანი და ესერულ-მენშევიკური **იმპერიალისტური** პარტიები — ეს იმას ნიშნავს, რომ ვერაფერს მივხვდეთ ჩინეთის ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაში.

რა თქმა უნდა, გომინდანი **იმპერიალისტური** წვრილ-ბურჟუაზიული პარტია რომ იყოს, ჩინეთის კომუნისტები ბლოკს კი არ შეკრავდნენ მასთან, არამედ მას ჯანაბაში გაგზავნიდნენ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ გომინდანი **ანტიიმპერიალისტური** პარტიაა, რომელიც რევოლუციურ ბრძოლას ეწევა იმპერიალისტებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ ჩინეთში. ამ აზრით გომინდანი სამი თავით მაღლა დგას კერენსკისა და წერეთლის ტიპის ყველა და ყოველგვარ **იმპერიალისტ** «სოციალისტებზე».

ჩან კაი-შიც კი, მემარჯვენე გომინდანელი, ჩან კაი-ში, რომელიც, **ვიდრე** გადატრიალებას მოახდენდა, ყველა და ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდა მემარცხენე გომინდანელებისა და კომუნისტების წინააღმდეგ, — ჩან კაი-შიც კი მაშინ კერენსკებსა და წერეთლებზე მაღლა იდგა, ვინაიდან კერენსკები და წერეთლები ომს აწარმოებდნენ **იმისათვის,** რომ დაემონებინათ თურქეთი, სპარსეთი, მესოპოტამია, გალიცია, და ამით **განამტკიცებდნენ** იმპერიალიზმს, ხოლო ჩან კაი-ში ომს აწარმოებდა — ავად თუ კარგად — ჩინეთის დამონების **წინააღმდეგ** და ამით **ასუსტებდა** იმპერიალიზმს.

რადეკის, და საერთოდ ოპოზიციის, შეცდომა ის არის, რომ იგი უგულებელყოფს ჩინეთის ნახევრად-კოლონიურ მდგომარეობას, ვერ ხედავს ჩინეთის რევოლუციის ანტი-იმპერიალისტურ ხასიათს და ვერ ამჩნევს იმას, რომ გომინდანი უხანში, გომინდანი, რომელშიც მემარჯვენე გომინდანელები არ არიან, იმპერიალიზმის **წინააღმდეგ** ჩინეთის მშრომელი მასების ბრძოლის ცენტრს წარმოადგენს.

მესამე კითხვა

«ხომ არ არის წინააღმდეგობა გომინდანის, როგორც ორი ძალის — კომპარტიისა და წვრილი ბურჟუაზიის — ბლოკის, თქვენს შეფასებასა (სიტყვა აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა კრე-

ბაზე 1925 წ. 18 მაისს) და **იმ შეფასებას შორის, რომელიც მოცემულია კომინტერნის რეზოლუციაში გომინდანის შესახებ, როგორც ოთხი კლასის, მათ შორის აგრეთვე მსხვილი ბურჟუაზიის, ბლოკის შესახებ?**

შესაძლებელია თუ არა, რომ ჩინეთის კომპარტია გომინდანში შედიოდეს ჩინეთში პროლეტარიატის დიქტატურის დროს?»

ჯერ-ერთი, საჭიროა შევნიშნოთ, რომ გომინდანში არსებული ფაქტიური მდგომარეობის განსაზღვრა, რომელიც კომინტერნის მიერ 1926 წლის დეკემბერშია მოცემული (VII გაფართოებული პლენუმი), თქვენს «კითხვაში» არასწორად, არა სავსებით ზუსტად არის გადმოცემული. «კითხვაში» ნათქვამია: «მათ შორის აგრეთვე **მსხვილი** ბურჟუაზიის». მაგრამ კომპრადორებიც მსხვილი ბურჟუაზიაა. განა ეს იმას ნიშნავს, რომ 1926 წლის დეკემბერში კომინტერნი კომპრადორულ ბურჟუაზიას გომინდანის ბლოკის წევრად თვლიდა? ცხადია, არ ნიშნავს, ვინაიდან კომპრადორული ბურჟუაზია იყო და რჩება გომინდანის მოსისხლე მტრად. კომინტერნის რეზოლუციაში ლაპარაკია არა საერთოდ მსხვილ ბურჟუაზიაზე, არამედ «კაპიტალისტური ბურჟუაზიის **ნაწილზე**». მაშასადამე, აქ საქმე შეიძლება ეხებოდეს არა ყოველგვარ მსხვილ ბურჟუაზიას, არამედ **არა**კომპრადორული ტიპის ნაციონალურ ბურჟუაზიას.

მეორეც, უნდა განვაცხადო, რომ მე ვერ ვხედავ წინააღმდეგობას გომინდანის ამ ორ განსაზღვრას შორის. ვერ ვხედავ, რადგან აქ საქმე გვაქვს გომინდანის განსაზღვრასთან ორი სხვადასხვა თვალსაზრისით, რომელთაგან არც ერთს არ შეიძლება ეწოდოს არასწორი, ვინაიდან ისინი ორივე სწორია.

როცა 1925 წელს მე ვლაპარაკობდი გომინდანზე, როგორც მუშათა და გლეხთა ბლოკის პარტიაზე, მე სრულებითაც არ მქონია მხედველობაში დამეხასიათებინა გომინ-

დანში არსებული საქმეთა **ფაქტიური** მდგომარეობა, დამეხასიათებინა ის, თუ **ნამდვილად** რომელი კლასები ემხრობოდნენ გომინდანს 1925 წელს. როცა გომინდანზე ვლაპარაკობდი, მე მაშინ მხედველობაში მქონდა გომინდანი, მხოლოდ როგორც **ტიპი** თავისებური სახალხო-რევოლუციური პარტიის აგებისა აღმოსავლეთის ჩაგრულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი, როგორც **ტიპი** ისეთი სახალხო-რევოლუციური პარტიის აგებისა, რომელიც **უნდა** ეყრდნობოდეს მუშებისა და ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციურ ბლოკს. მე მაშინ პირდაპირ ვთქვი, რომ **«ერთიანი ნაციონალური ფრონტის** პოლიტიკიდან კომუნისტები ასეთ ქვეყნებში **უნდა გადავიდნენ** მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიის **რევოლუციური ბლოკის** პოლიტიკაზე» (იხ. **სტალინი,** «აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ», — «ლენინიზმის საკითხები», გვ. 264 [61]).

მაშასადამე, მე მხედველობაში მქონდა საერთოდ სახალხო-რევოლუციური პარტიების, კერძოდ გომინდანის, არა აწმყო, არამედ **მომავალი.** და ამაში მე სავსებით მართალი ვიყავი. ვინაიდან გომინდანის მსგავს ორგანიზაციებს მომავალი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ისწრაფიან დაეყრდნონ მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიის ბლოკს, ამასთან, წვრილი ბურჟუაზიის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს, უმთავრესად, **გლეხობა,** რომელიც კაპიტალისტურად ჩამორჩენილ ქვეყნებში წვრილი ბურჟუაზიის **ძირითად** ძალას წარმოადგენს.

კომინტერნს კი საქმის მეორე მხარე აინტერესებდა. თავის VII გაფართოებულ პლენუმზე იგი გომინდანს განიხილავდა არა მისი მომავლის თვალსაზრისით, არა იმის თვალსაზრისით, თუ რა უნდა გახდეს იგი, არამედ **აწმყოს**

თვალსაზრისით, იმ თვალსაზრისით, თუ როგორია **ფაქტიური** მდგომარეობა გომინდანის შიგნით და **ნამდვილად** სახელდობრ რომელი კლასები ემხრობოდნენ გომინდანს 1926 წელს. და კომინტერნი სავსებით მართალი იყო, როცა თქვა, რომ იმ დროს, იმ მომენტისათვის, **როცა გომინდანში ჯერ კიდევ არ იყო გათიშვა,** გომინდანი **ნამდვილად** შეადგენდა მუშების, წვრილი ბურჟუაზიის (ქალაქისა და სოფლის) და ნაციონალური ბურჟუაზიის ბლოკს. აქ შეიძლებოდა დაგვემატებინა, რომ არა მარტო 1926 წელს, არამედ 1925 წელსაც გომინდანი სწორედ ამ კლასების ბლოკს ეყრდნობოდა. კომინტერნის რეზოლუციაში, რომლის შემუშავებაშიც მე უალრესად აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი, პირდაპირ ნათქვამია, რომ «პროლეტარიატი ბლოკს ქმნის გლეხობასთან, რომელიც აქტიურად გამოდის თავისი ინტერესებისათვის საბრძოლველად, ქალაქის წვრილ ბურჟუაზიასთან და კაპიტალისტური ბურჟუაზიის ნაწილთან», რომ «ძალთა ამ შეხამებამ თავისი პოლიტიკური გამოხატულება პოვა სათანადო დაჯგუფებაში გომინდანის პარტიასა და კანტონის მთავრობაში» (იხ. რეზოლუცია[62]).

მაგრამ, რამდენადაც კომინტერნი არ დასჯერდა 1926 წელს არსებულ საქმის **ფაქტიურ** მდგომარეობას და გომინდანის **მომავალსაც** შეეხო, მას არ შეეძლო არ ეთქვა, რომ ეს ბლოკი წარმოადგენს მხოლოდ დროებით ბლოკს, რომ უახლოეს დროში ეს ბლოკი შეცვლილი უნდა იქნას პროლეტარიატისა და წვრილი ბურჟუაზიის ბლოკით. კომინტერნის რეზოლუციაში შემდეგ სწორედ ამიტომ არის ნათქვამი, რომ «ამჟამად მოძრაობა იმყოფება მესამე სტადიის მიჯნაზე, კლასების ახალი გადაჯგუფების წინ», რომ «განვითარების ამ სტადიაზე მოძრაობის ძირითადი ძალა იქნება კიდევ უფრო რევოლუციური ხასიათის ბლოკი — პროლეტარიატის, გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის

ბლოკი, მსხვილი კაპიტალისტური ბურჟუაზიის უმეტესი ნაწილის **ჩამოშორების პირობით»*** (იხ. იქვე).

სწორედ ეს არის მუშებისა და წვრილი ბურჟუაზიის (გლეხობის) ის ბლოკი, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა გომინდანი, რომელიც უკვე იწყებს ჩამოყალიბებას უხანში გომინდანის გათიშვისა და ნაციონალური ბურჟუაზიის ჩამოშორების შემდეგ და რომელზეც მე ვილაპარაკე ჩემს მოხსენებაში აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში წაკითხულ ჩემს მოხსენებაში 1925 წელს (იხ. ზემოთ).

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს გომინდანის დახასიათება ორი სხვადასხვა მხრივ:

ა) მისი **აწმყოს** მხრივ, გომინდანში 1926 წელს საქმეთა ფაქტიური მდგომარეობის მხრივ, და

ბ) მისი **მომავლის** მხრივ, იმის მხრივ, თუ რა უნდა იყოს გომინდანი, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში სახალხო-რევოლუციური პარტიის აგების **ტიპი.**

ორივე ეს დახასიათება კანონზომიერი და სწორია, ვინაიდან, მოიცავენ რა გომინდანს ორი სხვადასხვა მხრიდან, ისინი საბოლოო ანგარიშით ამომწურავ სურათს გვაძლევენ.

საკითხავია — სად არის აქ წინააღმდეგობა?

მეტი სიცხადისათვის ავიღოთ ინგლისის «მუშათა პარტია» («ლეიბორ პარტი»). ცნობილია, რომ ინგლისში არსებობს მუშათა განსაკუთრებული პარტია, რომელიც მუშა-მოსამსახურეთა პროფესიულ ორგანიზაციებს ეყრდნობა. არავინ დაეჭვდება იმაში, რომ ამ პარტიას მუშათა პარტია უწოდოს. მას ასეც ეწოდება არა მარტო ინგლისურ, არამედ ყოველ სხვა მარქსისტულ ლიტერატურაშიც.

მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ეს პარტია მართლა მუშათა პარტიაა, მუშების კლასობრივი პარტია, რომელიც

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

თავის თავს ბურჟუაზიას უპირდაპირებს? განა შეიძლება ითქვას, რომ იგი **ნამდვილად** წარმოადგენს ერთი კლასის, მუშათა კლასის, პარტიას, და არა, ვთქვათ, ორი კლასის პარტიას? არა, არ შეიძლება ითქვას. **ნამდვილად** ინგლისის მუშათა პარტია წარმოადგენს მუშებისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ბლოკის პარტიას. **ნამდვილად** ეს პარტია არის ორი კლასის ბლოკის პარტია, ამასთან, თუ ვილაპარაკებთ იმაზე, ვისი გავლენა უფრო ძლიერია ამ პარტიაში, მუშების გავლენა, რომლებიც თავიანთ თავს ბურჟუაზიას უპირდაპირებენ, თუ წვრილი ბურჟუაზიის გავლენა, უნდა ითქვას, რომ ამ პარტიაში წვრილი ბურჟუაზიის გავლენა ჭარბობს.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ინგლისის მუშათა პარტია **ნამდვილად** წარმოადგენს ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიის დანამატს. მას კი მარქსისტულ ლიტერატურაში **მუშათა** პარტიას უწოდებენ. რით აიხსნება ეს «წინააღმდეგობა»? ეს იმით აიხსნება, რომ, როცა ამ პარტიას განსაზღვრავენ, როგორც **მუშათა** პარტიას, ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ არა საქმეთა ფაქტიური მდგომარეობა ამ პარტიაში **ამჟამად,** არამედ მუშათა პარტიის აგების ის **ტიპი,** რომლის მიხედვითაც, გარკვეულ პირობებში, იგი **მომავალში** უნდა გადაიქცეს მუშათა ნამდვილ კლასობრივ პარტიად, რომელიც თავის თავს ბურჟუაზიულ სამყაროს უპირდაპირებს. ეს კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ეს პარტია, ჯერჯერობით, **ნამდვილად** წარმოადგენს მუშებისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ბლოკის პარტიას.

აქაც ისევე არ არის წინააღმდეგობა, როგორც არ არის წინააღმდეგობა ყოველივე იმაში, რაზეც მე ეს არის ვილაპარაკე გომინდანის შესახებ.

შესაძლებელია თუ არა, რომ ჩინეთის კომპარტია გომინდანში შედიოდეს ჩინეთში პროლეტარიატის დიქტატურის დროს?

მე ვფიქრობ, რომ მიზანშეწონილი არ არის და ამიტომ შეუძლებელია. მიზანშეწონილი არ არის შედიოდეს არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურის დროს, არამედ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნის დროსაც. ვინაიდან რა არის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა ჩინეთში? ეს არის ორხელისუფლებიანობის შექმნა. ეს არის ძალაუფლებისათვის ბრძოლა გომინდანსა და საბჭოებს შორის. მუშათა და გლეხთა საბჭოების შექმნა არის მზადება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე, სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის. შეიძლება თუ არა ასეთი მზადების წარმოება ერთ საერთო რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიაში შემავალი **ორი** პარტიის ხელმძღვანელობით? არა, არ შეიძლება. რევოლუციის ისტორია ამბობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მომზადება და სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ **ერთი** პარტიის, კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით, თუ, რა თქმა უნდა, ლაპარაკია ნამდვილ პროლეტარულ რევოლუციაზე. რევოლუციის ისტორია ამბობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლება ბრძოლით მოპოვებულ და განვითარებულ იქნას მხოლოდ **ერთი** პარტიის, კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით. უამისოდ არ არის და არც შეიძლება იყოს პროლეტარიატის ნამდვილი და სრული დიქტატურა იმპერიალიზმის პირობებში.

ამიტომ არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურის დროს, არამედ ასეთ დიქტატურამდეც, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნის დროს, კომპარტია იძულებული იქნება გავიდეს გომინდანიდან იმისათვის, რომ

შეუდგეს ჩინეთის ოქტომბრის მომზადებას მხოლოდ და მხოლოდ თავისი ხელმძღვანელობით.

მე ვფიქრობ, რომ ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნისა და ჩინეთის ოქტომბრის მომზადების პერიოდში ჩინეთის კომუნისტური პარტია იძულებული იქნება ახლანდელი ბლოკი გომინდანის **შიგნით** შეცვალოს ბლოკით გომინდანის **გარეშე**, მსგავსად იმ ბლოკისა, რომელიც ჩვენ გვქონდა, ვთქვათ, მემარცხენე ესერებთან ოქტომბერზე გადასვლის პერიოდში.

მეოთხე კითხვა

«წარმოადგენს თუ არა უხანის მთავრობა პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიულ დიქტატურას, და თუ არა, როგორია დემოკრატიული დიქტატურის მოპოვებისათვის ბრძოლის შემდგომი გზები?

სწორია თუ არა მარტინოვის მტკიცება, რომ პროლეტარიატის დიქტატურაზე გადასვლა შეიძლება «მეორე» რევოლუციის მოუხდენლად, და თუ სწორია, სად არის ზღვარი დემოკრატიულ დიქტატურასა და პროლეტარიატის დიქტატურას შორის ჩინეთში?»

უხანის მთავრობა ჯერ კიდევ არ არის პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა. იგი შეიძლება ასეთი გახდეს. იგი დანამდვილებით გადაიქცევა დემოკრატიულ დიქტატურად, თუ აგრარული რევოლუცია მთელი ძალით გაჩაღდება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ასეთი დიქტატურის ორგანო.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ უხანის მთავრობა პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის ორგანოდ გადაიქცეს? ამისათვის, ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ორი რამ:

ჯერ-ერთი, საჭიროა, რომ უხანის მთავრობა გახდეს ჩინეთის აგრარულ-გლეხური რევოლუციის მთავრობად,

მთავრობად, რომელიც ყოველმხრივ დაუჭერს მხარს ამ რევოლუციას.

მეორეც, საჭიროა, რომ გომინდანმა თავისი ხელმძღვანელი ზედაფენა შეავსოს აგრარული მოძრაობის ახალი ლიდერებით გლეხებიდან და მუშებიდან და თავისი ძირეული ორგანიზაციები გააფართოოს იმით, რომ შეიყვანოს იქ გლეხთა კავშირები, მუშათა პროფკავშირების საბჭოები და ქალაქისა და სოფლის სხვა რევოლუციური ორგანიზაციები.

ამჟამად გომინდანი სულ რაღაც 500 ათას წევრს აერთიანებს. ჩინეთისათვის ეს ცოტაა, ძალიან ცოტა. საჭიროა, რომ გომინდანმა თავის შემადგენლობაში შეიყვანოს მილიონობით რევოლუციური გლეხები და მუშები და, ამრიგად, გადაიქცეს მრავალმილიონიან რევოლუციურ-დემოკრატიულ ორგანიზაციად.

მხოლოდ ამ პირობებში მიიღებს გომინდანი შესაძლებლობას — გამოყოს ისეთი რევოლუციური მთავრობა, რომელიც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოდ გადაიქცევა.

მართლა თქვა თუ არა ამხ. მარტინოვმა პროლეტარიატის დიქტატურაზე მშვიდობიანი გადასვლის შესახებ, — ეს მე არ ვიცი. მე არ წამიკითხავს ამხ. მარტინოვის სტატია, არ წამიკითხავს, რადგან შესაძლებლობა არა მაქვს თვალი ვადევნო მთელ ჩვენს ყოველდღიურ ლიტერატურას. მაგრამ თუ მას მართლაც აქვს ნათქვამი ჩინეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობის შესახებ, — ეს შეცდომაა.

ჩუგუნოვმა ერთხელ მკითხა: «რას იტყვით, ამხ. სტალინ, ხომ არ შეიძლება მოვაწყოთ ისე, რომ გომინდანის საშუალებით ერთბაშად, ყოველგვარი მიხვევ-მოხვევის გარეშე, გადავიდეთ პროლეტარიატის დიქტატურაზე მშვიდობიანი გზით?». მე, ჩემი მხრივ, ვკითხე: «როგორ არის,

ამბ. ჩუგუნოვო, საქმე თქვენში, ჩინეთში, — გყავთ თუ არა მემარჯვენე გომინდანელები, კაპიტალისტური ბურჟუაზია, იმპერიალისტები?». მან დადებითად მიპასუხა. «მაშინ უჩხუბრად საქმე არ გათავდება-მეთქი», — ვუთხარი მე.

ეს იყო ჯერ კიდევ ჩან კაი-შის მიერ მოხდენილ გადატრიალებამდე. პრინციპულად, რა თქმა უნდა, შეიძლება დავაყენოთ საკითხი ჩინეთში რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობის შესახებ. ლენინს, მაგალითად, ერთ დროს შესაძლებლად მიაჩნდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება რუსეთში საბჭოების საშუალებით. ეს იყო 1917 წლის აპრილიდან ივლისამდე. მაგრამ ივლისის დამარცხების შემდეგ ლენინმა აღიარა, რომ პროლეტარულ რევოლუციაზე მშვიდობიანი გადასვლა გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. მე ვფიქრობ, რომ ჩინეთში მით უფრო მეტად საჭიროა გამორიცხულად ჩაითვალოს მშვიდობიანი გადასვლა პროლეტარულ რევოლუციაზე.

რატომ?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მეტად მრავალრიცხოვანი და ძლიერი არიან ჩინეთის რევოლუციის როგორც შინაგანი მტრები (ჩჟან ძო-ლინი, ჩან კაი-ში, მსხვილი ბურჟუაზია, ჯენტრები, მემამულეები და სხვ.), ისე გარეშე მტრები (იმპერიალისტები), რომ შეიძლებოდეს ფიქრი, თითქოს საქმე შეიძლება მოეწყოს ისე, რომ არ მოხდეს სერიოზული კლასობრივი ბრძოლები, სერიოზული გათიშვები და მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლა რევოლუციის შემდგომი განვითარების დროს.

მეორეც, იმიტომ, რომ საფუძველი არა გვაქვს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გომინდანური ფორმა მიზანშეწონილ ფორმად ჩავთვალოთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლისათვის.

ბოლოს, იმიტომ, რომ თუ, მაგალითად, რუსეთში არ მოხერხდა პროლეტარულ რევოლუციაზე მშვიდობიანი გადასვლა საბჭოების საშუალებით, რომლებიც პროლეტარული რევოლუციის კლასიკურ ფორმას წარმოადგენენ, რა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ასეთი გადასვლა შეიძლება გომინდანის საშუალებით მოხერხდეს?

ამიტომ მე ვფიქრობ, რომ პროლეტარულ რევოლუციაზე მშვიდობიანი გადასვლა ჩინეთში გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს.

მეხუთე კითხვა

«უხანის მთავრობა რატომ არ აწარმოებს შეტევას ჩან კაი-შის წინააღმდეგ, არამედ შეტევას აწარმოებს ჩუან ძოლინის წინააღმდეგ?

უხანის მთავრობისა და ჩან კაი-შის ერთსა და იმავე დროს შეტევა ჩრდილოეთისაკენ ხომ არ წარმოადგენს ჩინეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტის მიჩქმალვას?»

თქვენ, ამხანაგებო, ძალიან ბევრს მოითხოვთ უხანის მთავრობისაგან. რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნებოდა ერთსა და იმავე დროს დამარცხებულ იქნან ჩუან ძო-ლინიც, ჩან კაი-შიც, ლი ტი-სინიც, იან სენიც. მაგრამ უხანის მთავრობის მდგომარეობა ახლა ისეთია, რომ მას შესაძლებლობა არ ეძლევა ერთბაშად ოთხივე ფრონტზე აწარმოოს შეტევა. უხანის მთავრობამ მუკდენელთა წინააღმდეგ გაილაშქრა, ყოველ შემთხვევაში, ორი მიზეზის გამო.

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მუკდენელები მიიწევენ უხანისაკენ და უნდათ მისი ლიკვიდაცია, რის გამო მუკდენელთა წინააღმდეგ გამოსვლა თავდაცვის სრულიად გადაუდებელ ღონისძიებას წარმოადგენს.

მეორეც, იმიტომ, რომ უხანელებს უნდათ შეუერთდნენ ფინ იუი-სიანის ჯარებს და დაიძრან წინ რევოლუციის

ბაზის გასაფართოებლად, რაც ამჟამად უხანისათვის ისევ და ისევ უმნიშვნელოვანეს სამხედრო-პოლიტიკურ საქმეს წარმოადგენს.

ერთსა და იმავე დროს შეტევა ორ ისეთ მნიშვნელოვან ფრონტზე, როგორიც ჩან კაი-შისა და ჩჟან ძო-ლინის საწინააღმდეგო ფრონტებია, ამჟამად წარმოადგენს ისეთ საქმეს, რომელიც უხანის მთავრობის ძალებს აღემატება. აღარას ვამბობ დასავლეთით იან სენის წინააღმდეგ და სამხრეთით ლი ტი-სინის წინააღმდეგ შეტევაზე.

სამოქალაქო ომის დროს ჩვენ, ბოლშევიკები, უფრო ძლიერი ვიყავით, და მაინც ვერ ვახერხებდით წარმატებითი შეტევითი ოპერაციების განვითარებას ყველა ფრონტზე. რა საფუძველი გვაქვს უფრო მეტი მოვთხოვოთ ამჟამად უხანის მთავრობას?

და, შემდეგ, რას ნიშნავს ახლა შანხაიზე შეტევა, როცა ჩრდილოეთიდან უხანის წინააღმდეგ მიდიან მუკდენელები და უ პეი-ფუს მომხრეები? ეს ნიშნავს მუკდენელთა საქმის გაადვილებას და ფინის ჯარებთან შეერთების გადადებას გაურკვეველი დროით, აღმოსავლეთში რაიმე წარმატების მიუღწევლად. უმჯობესია ჩან კაი-შიმ ჯერჯერობით იფართხალოს შანხაის რაიონში და იქ კუდი კუდს გადააბას იმპერიალისტებთან.

შანხაისათვის კიდევ იქნება ბრძოლები, და არა ისეთი, როგორიც ახლა წარმოებს ჩანჯოუსათვის და სხვ. არა, იქ უფრო სერიოზული ბრძოლები იქნება. იმპერიალიზმი ისე იოლად არ დათმობს შანხაის, რომელიც იმპერიალისტური ჯგუფების უმნიშვნელოვანეს ინტერესთა გადახლართვის მსოფლიო კვანძს წარმოადგენს.

განა უფრო მიზანშეწონილი არ იქნება, რომ უხანელები ჯერ შეუერთდნენ ფინს, საკმაოდ მომაგრდნენ სამხედრო თვალსაზრისით, მთელი ძალით განავითარონ აგრარული რევოლუცია, აწარმოონ გაძლიერებული მუშაობა ჩან კაი-შის

ზურგისა და ფრონტის დასარღვევად და მერე, ამის შემდეგ, მთელი სიგრძე-სიგანით დააყენონ საკითხი შანხაის შესახებ? მე ვფიქრობ, რომ ასე უფრო მიზანშეწონილი იქნება.

ამიტომ აქ საქმე ჩინეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტის «მიჩქმალვაში» როდია, ვინაიდან მას სულ ერთია ვერ მიჩქმალავ, თუ აგრარული რევოლუცია განვითარდება, ხოლო იგი რომ ვითარდება და კვლავაც განვითარდება, — ეს ახლა არა მგონია საეჭვო იყოს. საქმე, ვიმეორებ, «მიჩქმალვაში» კი არ არის, არამედ ბრძოლის მიზანშეწონილი ტაქტიკის აგებაშია.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ყველა ფრონტზე შეტევა ახლა რევოლუციურობის ძირითად ნიშანს წარმოადგენს. არა, ამხანაგებო, ეს სწორი არ არის. ახლანდელ მომენტში ყველა ფრონტზე შეტევა სისულელეა, და არა რევოლუციურობა. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ სისულელე და რევოლუციურობა.

მეექვსე კითხვა

«შესაძლებელია თუ არა ქემალისტური რევოლუცია ჩინეთში?»

მე იგი წარმოუდგენლად და ამიტომ შეუძლებლად მიმაჩნია ჩინეთში.

ქემალისტური რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა თურქეთი, სპარსეთი, ავღანეთი, სადაც არ არის ან თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი და სადაც არ არის მძლავრი აგრარულ-გლეხური რევოლუცია. ქემალისტური რევოლუცია არის ნაციონალური სავაჭრო ბურჟუაზიის ზედაფენის რევოლუცია, რომელიც უცხოელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოიშობა და თავის შემდგომ განვითარებაში არსებითად მიმართულია გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ,

აგრარული რევოლუციის თვით შესაძლებლობათა წინააღმდეგ.

ქემალისტური რევოლუცია ჩინეთში შეუძლებელია იმიტომ, რომ:

ა) იქ, ჩინეთში, არის გარკვეული მინიმუმი მებრძოლი და აქტიური სამრეწველო პროლეტარიატისა, რომელიც გლეხებში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს;

ბ) იქ არის გაშლილი აგრარული რევოლუცია, რომელიც თავის გზაზე სპობს ფეოდალიზმის ნაშთებს.

მრავალმილიონიანი გლეხობა, რომელმაც მთელ რიგ პროვინციებში უკვე ხელთ იგდო მიწა და რომელსაც მის ბრძოლაში ჩინეთის რევოლუციური პროლეტარიატი ხელმძღვანელობს, — აი რა არის ეგრეთწოდებული ქემალისტური რევოლუციის შესაძლებლობის საწინააღმდეგო საშუალება.

არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ ქემალისტთა პარტია და მემარცხენე გომინდანის პარტია უხანში, ისევე როგორც არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ თურქეთი და ჩინეთი. თურქეთში არ არის ისეთი ცენტრები, როგორიცაა შანხაი, უხანი, ნანკინი, ტიანძინი და სხვ. ანგორა ვერ შეედრება უხანს, ისევე როგორც ქემალისტთა პარტია ვერ შეედრება მემარცხენე გომინდანს.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე განსხვავება ჩინეთსა და თურქეთს შორის საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით. თურქეთის მიმართ იმპერიალიზმმა უკვე მიაღწია თავის მთელ რიგ ძირითად მოთხოვნებს, ჩამოართვა რა თურქეთს სირია, პალესტინა, მესოპოტამია და იმპერიალისტებისათვის მნიშვნელოვანი სხვა პუნქტები. თურქეთი ახლა დაყვანილია მცირე სახელმწიფოს ოდენობამდე, რომელსაც 10 — 12 მილიონი სული მოსახლეობა ჰყავს. იგი არ წარმოადგენს არც სერიოზულ ბაზარს, არც გამოყენების გადამწყვეტ წერტილებს იმპერიალიზმისა-

თვის. ეს, სხვათა შორის, იმიტომ მოხდა, რომ ძველი თურქეთი ეროვნებათა კონგლომერატს წარმოადგენდა, და კომპაქტური თურქი მოსახლეობა მხოლოდ ანატოლიაში იყო.

ასე როდია ჩინეთში. ჩინეთი წარმოადგენს ნაციონალური თვალსაზრისით კომპაქტურ ქვეყანას რამდენიმე ასეული მილიონი სული მოსახლეობით, ქვეყანას, რომელიც გასაღებისა და კაპიტალის გატანის უმნიშვნელოვანეს ბაზარს შეადგენს მთელ მსოფლიოში. თუ იქ, თურქეთში, იმპერიალიზმს შეეძლო დასჯერებოდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ოლქების მოწყვეტას ალმოსავლეთში, იყენებდა რა ძველი თურქეთის შიგნით ნაციონალურ ანტაგონიზმებს თურქებსა და არაბებს შორის, აქ, ჩინეთში, იმპერიალიზმმა უნდა ურტყას ნაციონალური ჩინეთის ცოცხალ სხეულს, დაჭრას იგი ნაწილებად და წაართვას მას მთელი პროვინციები იმისათვის, რომ შეინარჩუნოს თავისი ძველი პოზიციები ან, ყოველ შემთხვევაში, დაიტოვოს ამ პოზიციების ნაწილი.

ამიტომ, თუ იქ, თურქეთში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლებოდა დამთავრებულიყო შეკვეცილი ანტიიმპერიალისტური რევოლუციით ქემალისტების მხრივ, აქ, ჩინეთში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ უნდა მიიღოს ღრმა ხალხური და მკაფიო ნაციონალური ხასიათი, თანდათანობით უნდა გაღრმავდეს და მივიდეს იმპერიალიზმთან გააფთრებულ შეტაკებებამდე და შეარყიოს იმპერიალიზმის თვით საფუძვლები მთელ მსოფლიოში.

ოპოზიციის (ზინოვიევი, რადეკი, ტროცკი) უდიდესი შეცდომა ის არის, რომ იგი ვერ ხედავს მთელ ამ განსხვავებას თურქეთსა და ჩინეთს შორის, ერთმანეთში ურევს ქემალისტურ რევოლუციასა და აგრარულ რევოლუციას და ყველაფერს, განურჩევლად, ერთ გროვაში ყრის.

მე ვიცი, რომ ჩინეთის ნაციონალისტებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც ქემალიზმის იდეას ელოლიავებიან.

ქემალის როლის პრეტენდენტები ახლა იქ ცოტა როდია. მათ შორის პირველია ჩან კაი-ში. მე ვიცი, რომ ზოგიერთი იაპონელი ჟურნალისტი მიდრეკილებას იჩენს ჩან კაი-ში ჩინელ ქემალად მიიჩნიოს. მაგრამ ყოველივე ეს შეშინებული ბურჟუების ოცნება და ილუზიებია. ჩინეთში უნდა გაიმარჯვონ **ან** ჩინელმა მუსოლინებმა, როგორიც არიან ჩჟან ძო-ლინი და ჩჟან ძუნ-ჩანი, იმისათვის, რომ შემდეგ დამხობილ იქნან აგრარული რევოლუციის გაქანებით, **ან** უხანმა.

ჩან კაი-ში და მისი თანამოსაგრენი, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ საშუალო პოზიცია ამ ორ ბანაკს შორის, აუცილებლად უნდა დამარცხდნენ და გაიზიარონ ჩჟან ძო-ლინისა და ჩჟან ძუნ-ჩანის ბედი.

მეშვიდე კითხვა

«საჭიროა თუ არა ახლა წამოყენებულ იქნას ჩინეთში გლეხობის მიერ მიწის დაუყოვნებლივ ხელში ჩაგდების ლოზუნგი და როგორ შევაფასოთ ფაქტები მიწის ხელში ჩაგდებისა ხუნანში?»

მე ვფიქრობ, რომ საჭიროა. მიწის კონფისკაციის ლოზუნგი ზოგიერთ რაიონში ფაქტიურად უკვე ტარდება. მთელ რიგ რაიონებში, როგორიც არის ხუნანი, ხუბეი და სხვ., გლეხები უკვე ხელთ იგდებენ მიწას ქვემოდან, ქმნიან თავიანთ სასამართლოს, თავიანთ სამსჯავროს, თავიანთ თავდაცვას. მე ვფიქრობ, რომ მიწის კონფისკაციის ლოზუნგზე უახლოეს დროში გადავა ჩინეთის მთელი გლეხობა. ამაშია ჩინეთის რევოლუციის ძალა.

თუ უხანს სურს გაიმარჯვოს, თუ მას სურს შექმნას ნამდვილი ძალა ჩჟან ძო-ლინის წინააღმდეგაც, ჩან კაი-შის წინააღმდეგაც, იმპერიალისტთა წინააღმდეგაც, — მან ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი აგრარულ-გლეხურ რევოლუციას მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისათვის.

სისულელეა იმის ფიქრი, რომ ფეოდალიზმისა და იმპერიალიზმის დამხობა ჩინეთში მარტო სამხედრო ძალებით შეიძლება. თუ აგრარული რევოლუცია არ მოხდება და უხანის ჯარებს აქტიურად არ დაუჭერენ მხარს გლეხთა და მუშათა მრავალმილიონიანი მასები, ასეთი ძალების დამხობა შეუძლებელია.

ჩან კაი-შის მიერ მოხდენილ გადატრიალებას ოპოზიცია ხშირად აფასებს, როგორც ჩინეთის რევოლუციის დაცემას. ეს შეცდომაა. ადამიანები, რომლებიც ჩან კაი-შის მიერ მოხდენილ გადატრიალებას აფასებენ, როგორც ჩინეთის რევოლუციის დაცემას, ნამდვილად ჩან კაი-შის ემხრობიან, ნამდვილად ემხრობიან იმას, რომ ჩან კაი-ში დაბრუნებულ იქნას უხანის გომინდანში. ისინი, ჩანს, ფიქრობენ, ჩან კაი-ში რომ არ გამოთიშულიყო, რევოლუციის საქმე უკეთესად წავიდოდაო. სულელური და არარევოლუციურია ასე ფიქრი. ჩან კაი-შის მიერ მოხდენილმა გადატრიალებამ ნამდვილად გამოიწვია გომინდანის გაწმენდა სიბილწისაგან და გომინდანის ბირთვის გადაწევა მარცხნივ. რა თქმა უნდა, ჩან კაი-შის მიერ მოხდენილ გადატრიალებას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა მთელ რიგ რაიონებში მუშების ნაწილობრივი დამარცხება. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივი და დროებითი დამარცხებაა. ნამდვილად, ჩან კაი-შის მიერ მოხდენილი გადატრიალების შემდეგ **მთლიანად** რევოლუცია შევიდა თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაში, **აგრარული** მოძრაობის ფაზაში.

ამაშია ჩინეთის რევოლუციის ძალა და ძლიერება.

რევოლუციის მოძრაობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მოძრაობა განუწყვეტელი აღმავლობის ხაზით. ეს არის წიგნური, არარეალური წარმოდგენა რევოლუციის შესახებ. რევოლუცია მუდამ მოძრაობს მიხვეულ-მოხვეული გზებით, ზოგ რაიონში უტევს და ანადგურებს ძველ წესწყობილებას, ზოგ რაიონში ნაწილობრივ დამარცხებებს

განიცდის და უკან იხევს. ჩან კაი-შის მიერ მოხდენილი გადატრიალება ერთ-ერთი იმ მიხვეულ-მოხვეულ გზათაგანია ჩინეთის რევოლუციის მსვლელობაში, რომელიც საჭირო გახდა იმისათვის, რომ რევოლუცია სიბილწისაგან გაწმენდილიყო და წინ დაძრულიყო მძლავრი აგრარული მოძრაობის გზით.

მაგრამ მან, ამ აგრარულმა მოძრაობამ, ჩამოყალიბება რომ შესძლოს, ამისათვის მას თავისი განმაზოგადებელი ლოზუნგი უნდა ჰქონდეს. ეს ლოზუნგია მემამულეთა მიწების კონფისკაცია.

მერვე კითხვა

«რატომ არის ამჟამად უმართებულო საბჭოების შექმნის ლოზუნგი?

ხომ არ ემუქრება ჩინეთის კომპარტიას საფრთხე—კუდში მოექცეს მოძრაობას ხენანში მუშათა საბჭოების შექმნის ფაქტებთან დაკავშირებით?»

რომელ საბჭოებზეა ლაპარაკი, **პროლეტარულ** საბჭოებზე თუ **არაპროლეტარულ** საბჭოებზე, «გლეხთა» საბჭოებზე, «მშრომელთა» საბჭოებზე, «სახალხო» საბჭოებზე? ლენინი თავის თეზისებში კომინტერნის II კონგრესზე ლაპარაკობდა აღმოსავლეთის ჩამორჩენილ ქვეყნებში «გლეხთა საბჭოების», «მშრომელთა საბჭოების» შექმნის შესახებ. მას მხედველობაში ჰქონდა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა შუა აზია, სადაც «არ არის ან თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი». მას მხედველობაში ჰქონდა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა სპარსეთი, ავღანეთი და სხვ. სწორედ ამით აიხსნება, რომ ლენინის თეზისებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ასეთ ქვეყნებში **მუშათა** საბჭოების შექმნის შესახებ.

მაგრამ აქედან ჩანს, რომ ლენინის თეზისებს მხედველობაში ჰქონდათ არა ჩინეთი, რომლის შესახებაც არ შე-

იძლება ითქვას, რომ იქ «არ არის ან თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი», არამედ აღმოსავლეთის სხვა, უფრო ჩამორჩენილი ქვეყნები.

მაშასადამე, საქმე ეხება ჩინეთში **მუშათა** და გლეხთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნას. მაშასადამე, ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს არა ლენინის თეზისები, არამედ როის თეზისები, მიღებული კომინტერნის იმავე II კონგრესის მიერ, სადაც ლაპარაკია **მუშათა** და გლეხთა საბჭოების შექმნაზე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი. მაგრამ იქ ნათქვამია, რომ **მუშათა** და გლეხთა საბჭოები ამ ქვეყნებში უნდა შეიქმნას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის დროს.

რა არის **მუშათა** და გლეხთა დეპუტატების საბჭოები? მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები არის, უმთავრესად, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების ორგანოები, ახალი რევოლუციური ხელისუფლებისათვის ბრძოლის ორგანოები, ახალი რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები არის, ამასთან ერთად, რევოლუციის ორგანიზაციის ცენტრები.

მაგრამ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები რევოლუციის ორგანიზაციის ცენტრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ არსებული ხელისუფლების დამხობის ორგანოებს, თუ ისინი წარმოადგენენ ახალი რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებს. თუ ისინი ახალი რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები არ არიან, ისინი რევოლუციური მოძრაობის ორგანიზაციის ცენტრებიც ვერ იქნებიან. ამის გაგება არ უნდა ოპოზიციას, რომელიც იბრძვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ლენინური გაგების წინააღმდეგ.

რას ნიშნავს ახლა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა, ვთქვათ, უხანის მთავრობის მოქმედების რაიონში? ეს ნიშნავს ორხელისუფლებიანობის შექმნას, უხანის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების ორგანოების შექმნას. უნდა დაამხონ თუ არა ახლა ჩინეთის კომუნისტებმა უხანის მთავრობა? ცხადია, არ უნდა დაამხონ. პირიქით, მხარი უნდა დაუჭირონ მას, გადააქციონ იგი ჩან ძოლინის წინააღმდეგ, ჩან კაი-შის წინააღმდეგ, მემამულეებისა და ჯენტრების წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ.

მაგრამ თუ კომპარტიამ ახლა არ უნდა დაამხოს უხანის მთავრობა, რა საჭიროა **ახლა** მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა?

ორში ერთი:

ან ახლავე იქმნება მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები იმისათვის, რომ დამხობილ იქნას უხანის მთავრობა, რაც უმართებულო და დაუშვებელია ახლანდელ მომენტში;

ან, ქმნიან რა ახლავე მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, კომუნისტებს გეზი აღებული არა აქვთ უხანის მთავრობის დამხობისაკენ, საბჭოები არ ხდებიან ახალი რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებად, — და მაშინ ისინი, საბჭოები, კვდებიან და იქცევიან საბჭოების პაროდიად.

სწორედ ამის წინააღმდეგ მუდამ გვაფრთხილებდა ლენინი, როცა ლაპარაკობდა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნის შესახებ.

თქვენს «კითხვაში» ლაპარაკია ხენანში მუშათა საბჭოების წარმოშობაზე და იმაზე, რომ კომპარტიას ემუქრება მოძრაობის კუდში მოქცევის საფრთხე, თუ იგი მასებში არ წავა საბჭოების შექმნის ლოზუნგით. ეს არაფერია, ამხანაგებო. არავითარი მუშათა დეპუტატების საბ-

ჭოები ახლა ხენანში არ არის. ეს ინგლისის პრესის მიერ გავრცელებული ჭორია. იქ არიან «წითელი შუბები» [68], იქ არიან გლეხთა კავშირები, მაგრამ ჯერჯერობით მუშათა დეპუტატების საბჭოების ხსენებაც არ არის.

რა თქმა უნდა, შეიძლება შეიქმნას მუშათა საბჭოები. ეს არც თუ ძალიან ძნელი საქმეა. მაგრამ საქმე მუშათა საბჭოების შექმნა კი არ არის, არამედ ის, რომ ეს საბჭოები გადაქცეულ იქნან ახალი რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებად. უამისოდ საბჭოები არარაობაა, საბჭოების პაროდიაა. მუშათა საბჭოების ნაადრევად შექმნა იმისათვის, რომ შემდეგ ისინი ჩაშლილ იქნან და გადაიქცნენ არარაობად, — სწორედ ეს ნიშნავს იმის გაადვილებას, რომ ჩინეთის კომპარტია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადიდან გადაიქცეს საბჭოებზე ყველა და ყოველგვარი «ულტრამემარცხენე» ვარჯიშის დანამატად.

პიტერის 1905 წლის მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველი თავმჯდომარე ხრუსტალიოვიც მოითხოვდა მუშათა დეპუტატების საბჭოების აღდგენას და, მაშასადამე, შექმნასაც 1906 წლის ზაფხულში, რადგან ფიქრობდა, რომ საბჭოებს თავისთავად შეუძლიათ შეცვალონ კლასობრივ ძალთა თანაფარდობა, ვითარებისაგან დამოუკიდებლად. ლენინმა მაშინ ხრუსტალიოვის აზრის საწინააღმდეგოდ თქვა, 1906 წლის ზაფხულში მუშათა დეპუტატების საბჭოები არ უნდა შეიქმნას, ვინაიდან არიერგარდი (გლეხობა) ჯერ კიდევ არ დასწევია ავანგარდს (პროლეტარიატს), ხოლო ასეთ პირობებში საბჭოების შექმნა და ამით აჯანყების ლოზუნგის მიცემა სახიფათო და მიზანშეუწონელიაო.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ, ჯერ-ერთი, არ შეიძლება თავისთავად საბჭოების როლის გაზვიადება და, მეორეც, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნისას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს გარემო ვითარებას.

საერთოდ საჭიროა თუ არა შეიქმნას ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები?

დიახ, საჭიროა შეიქმნას. მათი შექმნა საჭირო გახდება უხანის რევოლუციური მთავრობის განმტკიცების შემდეგ, აგრარული რევოლუციის გაჩაღების შემდეგ, აგრარული რევოლუციიდან, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის დროს.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა ნიშნავს ჩინეთში საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლის ჩაყრას. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლის ჩაყრა ნიშნავს ორხელისუფლებიანობის საფუძვლის ჩაყრას და გეზის აღებას უხანის ახლანდელი გომინდანური ხელისუფლების შეცვლისაკენ საბჭოთა ხელისუფლებით.

მე ვფიქრობ, რომ ამისათვის დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა.

თქვენს «კითხვაში» ლაპარაკია ჩინეთში პროლეტარიატისა და კომპარტიის ჰეგემონიაზე.

ხოლო რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩინეთის პროლეტარიატს გაუადვილდეს ბელადის როლი, ჰეგემონის როლი ახლანდელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში?

ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, რომ ჩინეთის კომპარტია წარმოადგენდეს მუშათა კლასის შემჭიდროებულ ორგანიზაციას თავისი პროგრამით, თავისი პლატფორმით, თავისი საკუთარი ორგანიზაციით, თავისი საკუთარი გეზით.

მეორეც, ამისათვის საჭიროა, რომ ჩინეთის კომუნისტები იდგნენ აგრარულ-გლეხური მოძრაობის პირველ რიგებში, რომ ისინი ასწავლიდნენ გლეხებს, განსაკუთრებით ღარიბ გლეხობას, რევოლუციურ კავშირებად და კომიტეტებად დარაზმვას და საქმის წაყვანას მემამულეთა მიწების კონფისკაციისაკენ.

მესამეც, ამისათვის საჭიროა, რომ ჩინეთის კომუნისტები მომაგრდნენ არმიაში, რომ მათ გაარევოლუციურონ არმია, გარდაქმნან და გადააქციონ იგი ცალკეული ავანტიურისტების იარაღიდან რევოლუციის იარაღად.

ბოლოს, ამისათვის საჭიროა, რომ ჩინეთის კომუნისტებმა მონაწილეობა მიიღონ უხანის მთავრობის ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში, უხანის ვომინდანის ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებში და აწარმოონ იქ გადამწყვეტი პოლიტიკა რევოლუციის შემდგომი გაჩაღებისათვის როგორც მემამულეთა წინააღმდეგ, ისე იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ოპოზიცია ფიქრობს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნოს ჩინეთის კომპარტიას რევოლუციურ-დემოკრატიული ძალებისაგან ჩამოშორებისა და გომინდანიდან და უხანის მთავრობიდან მისი გამოსვლის გზით. მაგრამ ეს იქნებოდა ისეთი საკმაოდ საეჭვო «დამოუკიდებლობა», რომელზეც ჩვენში ლაპარაკობდნენ მენშევიკები 1905 წელს. ცნობილია, რომ მენშევიკები, გამოდიოდნენ რა მაშინ ლენინის წინააღმდეგ, ამბობდნენ: «ჩვენ გვესაჭიროება მუშათა პარტიის **არა** ჰეგემონია, **არამედ** მისი დამოუკიდებლობაო». ლენინი მაშინ სწორად უპასუხებდა, რომ ეს არის დამოუკიდებლობის უარყოფა, ვინაიდან ჰეგემონიის დაპირდაპირება დამოუკიდებლობისადმი არის პროლეტარიატის გადაქცევა ლიბერალური ბურჟუაზიის დანამატად.

მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია, რომელიც ახლა ჩინეთის კომპარტიის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს და ამასთან ერთად მოითხოვს ან გადაკვრით მიუთითებს გომინდანიდან და უხანის მთავრობიდან ჩინეთის კომპარტიის გამოსვლაზე, 1905 წლის პერიოდის მენშევიკური «დამოუკიდებლობის» გზაზე ექანება. ნამდვილი დამოუკიდებლობისა და ნამდვილი ჰეგემონიის შენარჩუნება კომპარტიას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გახდება ხელმძღვანელ ძალად

როგორც გომინდანის შიგნით, ისე მის გარეთ, მშრომელთა ფართო მასებში.

არა გომინდანიდან გამოსვლა, არამედ კომპარტიის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა როგორც გომინდანში, ისე მის გარეთ, — აი რა მოეთხოვება ახლა ჩინეთის კომპარტიას, თუ მას სურს მართლაც დამოუკიდებელი იყოს.

მეცხრე კითხვა

«შეიძლება თუ არა ახლანდელ მომენტში დაყენებულ იქნას ჩინეთში რეგულარული წითელი არმიის შექმნის საკითხი?»

მე ვფიქრობ, რომ პერსპექტივაში ეს საკითხი აუცილებლად უნდა გვქონდეს მხედველობაში. მაგრამ თუ საკითხი პრაქტიკულად დგას, ახლა, ამ წუთში, ახლანდელი არმიის შეცვლა ახალი არმიით, წითელი არმიით, შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ მისი შემცვლელი ჯერჯერობით არ არის.

მთავარი **ახლა** ის არის, რომ არსებული არმიის გაუმჯობესებით და ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით მისი გარევოლუციურების გზით ახლავე ჩაეყაროს საფუძველი ახალ რევოლუციურ პოლკებსა და დივიზიებს რევოლუციური გლეხებისაგან, რომლებმაც აგრარული რევოლუციის სკოლა გაიარეს, და რევოლუციური მუშებისაგან, შეიქმნას მთელი რიგი ახალი, ნამდვილად საიმედო კორპუსები საიმედო მეთაურთა შემადგენლობით და გადაქცეულ იქნან ისინი უხანის რევოლუციური მთავრობის დასაყრდენად.

სწორედ ეს კორპუსები იქნებიან იმ ახალი არმიის ბირთვი, რომელიც შემდეგ წითელ არმიად ჩამოყალიბდება.

ეს საჭიროა როგორც ფრონტებზე ბრძოლისათვის, ისე, განსაკუთრებით, ზურგში ყველა და ყოველგვარი კონტრრევოლუციური მეტიჩარების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

უამისოდ არ არის გარანტია ზურგში და ფრონტზე დამარცხებათაგან, მტრის მხარეზე გადასვლისა და ღალატისაგან.

მე ვფიქრობ, რომ ეს გზა, ჯერჯერობით, ერთადერთი შესაძლო და მიზანშეწონილი გზაა.

მეათე კითხვა

«შესაძლებელია თუ არა ახლა, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის მომენტში, ჩინელთა საწარმოების ხელში ჩაგდების ლოზუნგი?

რა პირობებშია შესაძლებელი ჩინეთში უცხოელთა ფაბრიკების ხელში ჩაგდება და გამოიწვევს თუ არა ეს იმავე დროს ჩინელთა საწარმოების ხელში ჩაგდებას?»

მე ვფიქრობ, საერთოდ რომ ვთქვათ, საქმე ჯერ კიდევ არ მომწიფებულა იმისათვის, რომ შეიძლებოდეს გადასვლა ჩინელთა საწარმოების ხელში ჩაგდებაზე. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ჩინელ მეწარმეთა ჯიუტმა საბოტაჟმა, მთელი რიგი ასეთი საწარმოების დახურვამ და უმუშევრობის ხელოვნურმა შექმნამ — შეიძლება აიძულოს უხანის მთავრობა, რომ ახლავე დაიწყოს ზოგიერთი ასეთი საწარმოს ნაციონალიზაცია და მათი ამუშავება უხანის მთავრობის ძალებით.

შესაძლოა, რომ უხანის მთავრობა უკვე ახლა იძულებული გახდეს **ცალკეულ შემთხვევებში** განახორციელოს ასეთი ღონისძიება, როგორც გამაფრთხილებელი ღონისძიება, განსაკუთრებით ბოროტ და კონტრრევოლუციონერ ჩინელ მეწარმეთა წინააღმდეგ.

რაც შეეხება უცხოელთა საწარმოებს, ამ საწარმოთა ნაციონალიზაციის საქმე მომავლის საკითხია. ამ საწარმოთა ნაციონალიზაცია პირდაპირ ომის გამოცხადებაა იმპერიალისტებისათვის. მაგრამ ასეთი ომის გამოსაცხადებლად

საჭიროა სხვა, რამდენადმე უფრო ხელსაყრელი ვითარება, ვიდრე ახლა არის.

მე ვფიქრობ, რომ რევოლუციის ახლანდელ სტადიაზე, როცა რევოლუცია ჯერ არ მომაგრებულა, ასეთი ღონისძიება ნაადრევი და ამიტომ მიზანშეუწონელია.

ახლა ამოცანაა არა ეს, არამედ ის, რომ მთელი ძალით გაჩაღდეს აგრარული რევოლუციის ცეცხლი, უზრუნველყოფილ იქნას პროლეტარიატის ჰეგემონია ამ რევოლუციაში, განმტკიცდეს უხანი და გადაქცეულ იქნას იგი ჩინეთის რევოლუციის ყველა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად.

არ შეიძლება იკისრო ყველა ამოცანის ერთბაშად გადაჭრა, თუ არ გინდა წელში გაწყდე. მით უმეტეს, რომ გომინდანს და მის მთავრობას არ შესწევთ ისეთი კარდინალური ამოცანების გადაჭრის უნარი, როგორიცაა ჩინეთისა და უცხოეთის ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის ამოცანა.

ასეთი ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა სხვა ვითარება, რევოლუციის სხვა ფაზა, რევოლუციური ხელისუფლების სხვა ორგანოები.

ი. სტალინი. რევოლუცია ჩინეთში და ოპოზიციის შეცდომები. მ. — ლ., 1927.

პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ ოქტომბრის მომზადების პერიოდში

პასუხი ს. პოკროვსკის

მე ვფიქრობ, რომ თქვენი ა. წ. 2 მაისის წერილი არ იძლევა არც საბაბს, არც საფუძველს იმისათვის, რომ გიპასუხოთ დაწვრილებით, ასე ვთქვათ, ყველა პუნქტზე.

სიმართლე რომ ითქვას, იგი არ იძლევა რაიმე განსაკუთრებით ახალს იან — სკის წერილთან შედარებით.

თუ მე მაინც გიპასუხებთ თქვენს წერილზე, ეს იმიტომ, რომ იგი შეიცავს 1917 წლის აპრილ-მაისის პერიოდის კამენევშჩინის პირდაპირი რესტავრაციის ზოგიერთ ელემენტს. მხოლოდ კამენევშჩინის რესტავრაციის ამ ელემენტთა მხილებისათვის საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ გიპასუხოთ თქვენს წერილზე.

1) თქვენს წერილში თქვენ ლაპარაკობთ, რომ «ნამდვილად თებერვლიდან ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში ჩვენ გვქონდა **მთელ** გლეხობასთან კავშირის ლოზუნგი», რომ «თებერვლიდან ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში პარტია მტკიცედ იცავდა თავის **ძველ** ლოზუნგს გლეხობის მიმართ — კავშირს **მთელ** გლეხობასთან მთლიანად».

ჯერ-ერთი, გამოდის, რომ ოქტომბრის მომზადების პერიოდში (1917 წ. აპრილი — ოქტომბერი) ბოლშევიკებს ამოცანად არ ისახავდნენ მიჯნის გავლებას უღარიბეს გლეხობასა და შეძლებულ გლეხებს შორის, არამედ გლეხობას იღებდნენ როგორც მთელს.

მეორეც, გამოდის, რომ ოქტომბრის მომზადების პერიოდში ბოლშევიკებს არ შეუცვლიათ ძველი ლოზუნგი — «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა» — ახალი ლოზუნგით — «პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა», არამედ დარჩნენ ძველ პოზიციებზე, რომლებიც მოცემულია ლენინის ბროშურაში «ორი ტაქტიკა» 1905 წელს.

მესამეც, გამოდის, რომ ბოლშევიკური პოლიტიკა ბრძოლისა საბჭოების მერყეობასთან და შემთანხმებლობასთან, ოქტომბრის მომზადების პერიოდში (1917 წ. მარტი — ოქტომბერი), საშუალო გლეხობის მერყეობასთან საბჭოებში და ფრონტზე, მერყეობასთან რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის, მერყეობასთან და შემთანხმებლობასთან, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ივლისის დღეებში, როცა საბჭოები შემთანხმებელ ესერთა და მენშევიკთა მეთაურობით გვერდში ამოუდგნენ კონტრრევოლუციურ გენერლებს ბოლშევიკების იზოლაციის საქმეში, — გამოდის, რომ ბოლშევიკური ბრძოლა გლეხობის გარკვეული ფენების ამ მერყეობისა და შემთანხმებლობის წინააღმდეგ უსაგნო და აბსოლუტურად ზედმეტი იყო.

ბოლოს, გამოდის, რომ კამენევი მართალი იყო, როცა 1917 წლის აპრილ-მაისში იცავდა პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ძველ ლოზუნგს, ხოლო ლენინი, რომელსაც ეს ლოზუნგი უკვე მოძველებულად მიაჩნდა და რომელმაც გამოაცხადა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ახალი ლოზუნგი, მართალი არ იყო.

საკმარისია მხოლოდ დაისვას ეს კითხვები, რომ ნათელი გახდეს სრული შეუსაბამობა თქვენი წერილისა მთლიანად.

მაგრამ ვინაიდან თქვენ ძალიან გიყვართ ცალკე ციტატების მოყვანა ლენინის თხზულებებიდან, მივმართოთ ციტატებს.

დიდი შრომა არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ თებერვლის გადატრიალების შემდეგ რუსეთის აგრარულ ურთიერთობაში **ახალ** მოვლენად, რევოლუციის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ლენინს მიაჩნდა არა პროლეტარიატის და მთელი გლეხობის ინტერესთა ერთიანობა, არამედ უღარიბესი გლეხობის **გათიშვა** შეძლებულ გლეხობასთან, რომელთაგან პირველი, ე. ი. უღარიბესი გლეხობა, მიიწევდა პროლეტარიატისაკენ, ხოლო მეორე, ე. ი. შეძლებული გლეხობა, მიჰყვებოდა დროებითს მთავრობას.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი 1917 წლის **აპრილში** კამენევისა და კამენევშჩინის წინააღმდეგ პოლემიკის დროს:

«შეუწყნარებელია პროლეტარული პარტიისათვის **ახლა*** იმედის დაშყარება გლეხობასთან ინტერესთა ერთიანობაზე» (იხ. **ლენინის** სიტყვა 1917 წ. აპრილის კონფერენციაზე, ტ. XX, გვ. 245).

შემდეგ:

«ჩვენ უკვე ახლა ვხედავთ გლეხობის მთელ რიგ ყრილობათა გადაწყვეტილებებში იმ აზრს, რომ აგრარული საკითხის გადაჭრა გადაიდოს დამფუძნებელ კრებამდე, — ეს არის გამარჯვება **შეძლებული გლეხობისა***, რომელიც კადეტებისაკენ იხრება» (იხ. **ლენინის** სიტყვა პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 1917 წ. აპრილში, ტ. XX, გვ. 176).

შემდეგ:

«შესაძლებელია, რომ გლეხობამ ხელში ჩაიგდოს მთელი მიწა და მთელი ძალაუფლება. მე არა თუ არ ვივიწყებ ამ შესაძლებლობას, არა-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

თუ არ ვფარგლავ მარტო დღევანდელი დღით ჩემს თვალთახედვის არეს, არამედ პირდაპირ და ზუსტ ფორმულირებას ვაძლევ აგრარულ პროგრამას, ვითვალისწინებ რა **ახალ** მოვლენას: მოჯამაგირეთა და უღარიბეს გლეხთა უფრო ღრმა **გათიშვას** * მეპატრონე გლეხებთან» (იხ. **ლენინის** აპრილში დაწერილი სტატია «წერილები ტაქტიკაზე», ტ. XX, გვ. 103).

აი რაში ხედავდა ლენინი **ახალს** და **მნიშვნელოვანს** სოფლის ახალ ვითარებაში თებერვლის რევოლუციის **შემდეგ.**

აი რას ემყარებოდა ლენინი პარტიის პოლიტიკის გამომუშავების დროს 1917 წლის თებერვლის შემდგომ პერიოდში.

ამ დებულებას ემყარებოდა ლენინი, როცა იგი 1917 წლის აპრილში პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე ლაპარაკობდა:

«მწოლოდ ადგილებზე, აქ გავიგეთ უკვე, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ძალაუფლება გადასცა დროებითს მთავრობას. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო არის პროლეტარიატისა და ჯარისკაცთა დიქტატურის განხორციელება; ჯარისკაცთა შორის უმრავლესობა გლეხებია. სწორედ ეს არის პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა. მაგრამ ეს «დიქტატურა» შეუთანხმდა ბურჟუაზიას. აი აქ არის საჭირო **«ძველი» ბოლშევიზმის გადახინჯვა»** * (იხ. ტ. XX, გვ. 176).

ამავე დებულებას ემყარებოდა ლენინი, როცა 1917 წლის აპრილში წერდა:

«ვინც **ახლა** ლაპარაკობს მხოლოდ «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურაზე», იგი ჩამორჩა ცხოვრებას, ის ამის გამო ნამდვილად **გადავიდა** წვრილი ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ, იგი უნდა ჩაბარდეს «ბოლშევიკურ» წინარევოლუციურ იშვიათობათა არქივს (შეიძლება ვუწოდოთ: «ძველი ბოლშევიკების» არქივი)» (იხ. ტ. XX, გვ. 101).

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა პროლეტარიატისა და **უღარიბესი** გლეხობის დიქტატურის ლოზუნგი **ნაცვლად** ძველი ლოზუნგისა — პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის შესახებ.

თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, როგორც კიდევაც ლაპარაკობთ თქვენს წერილში, რომ ეს არის ტროცკისტული გადახტომა ჯერ კიდევ დაუმთავრებელ გლეხურ რევოლუციაზე, მაგრამ ეს იმდენადვე იქნება დამაჯერებელი, რამდენადაც დამაჯერებელი იყო კამენევის ასეთივე გამოდავება, მიმართული ლენინის წინააღმდეგ 1917 წლის აპრილში.

ლენინი სავსებით ითვალისწინებდა ასეთ გამოდავებას, როცა თქვა:

«ტროცკიზმი — «უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური». ეს სწორი არ არის. წვრილი ბურჟუაზია არსებობს, მისი გამორიცხვა არ შეიძლება. მაგრამ მას ორი ნაწილი აქვს. მისი **უღარიბესი** * ნაწილი მუშათა კლასს მიჰყვება» (იხ. ტ. XX, გვ. 182).

კამენევის შეცდომა, ახლა კი თქვენი შეცდომა ის არის, რომ თქვენ უუნარო აღმოჩნდით შეამჩნიოთ და ხაზგასმით აღნიშნოთ განსხვავება წვრილი ბურჟუაზიის, ამ შემთხვევაში გლეხობის, ორ ნაწილს შორის, უუნარო აღმოჩნდით **გამოჰყოთ** გლეხობის უღარიბესი ნაწილი გლეხობის მთელი მასიდან და **ააგოთ** ამაზე პარტიის პოლიტიკა 1917 წლის რევოლუციის პირველი ეტაპიდან მის მეორე ეტაპზე გადასვლის ვითარებაში, უუნარო აღმოჩნდით **გამოიყვანოთ** აქედან ახალი ლოზუნგი, პარტიის მეორე სტრატეგიული ლოზუნგი პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ.

თანმიმდევრობით გავადევნოთ თვალი «პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის» ლოზუნგის პრაქტიკულ ისტორიას 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე ლენინის შრომებში.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

1917 წლის აპრილი:

«მიმდინარე მომენტის თავისებურებას რუსეთში წარმოადგენს ის, რომ ხდება **გადასვლა** რევოლუციის **პირველი*** ეტაპიდან, რომელმაც, პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობისა და ორგანიზებულობის გამო, ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, — მის **მეორე** ეტაპზე, რომელმაც ძალაუფლება უნდა მისცეს პროლეტარიატისა და **გლეხობის უღარიბეს ფენებს»*** (იხ. **ლენინის** «აპრილის თეზისები», ტ. XX, გვ. 88).

1917 წლის **ივლისი:**

«მხოლოდ რევოლუციურ მუშებს, თუ მათ მხარს დაუჭერენ **უღარიბესი გლეხები***, შეუძლიათ გატეხონ კაპიტალისტების წინააღმდეგობა, წაიყვანონ ხალხი გამოუსყიდველად მიწის მოპოვებისაკენ, სრულ თავისუფლებისაკენ, შიმშილზე გამარჯვებისაკენ, ომზე გამარჯვებისაკენ, სამართლიანი და მტკიცე ზავისაკენ» (იხ. ტ. XXI, გვ. 77).

1917 წლის **აგვისტო:**

«მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს **უღარიბეს გლეხობას*** (ნახევრად-პროლეტარებს, როგორც ჩვენი პროგრამა ამბობს), შეუძლია დემოკრატიული ზავით დაამთავროს ომი, მოაშუშოს მისი ჭრილობები, გადადგას ნაბიჯები სოციალიზმისაკენ, რაც უთუოდ აუცილებელი და **გადაუდებელი** გახდა, — ასეთია ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის განსაზღვრა ამჟამად» (იხ. ტ. XXI, გვ. 111).

1917 წლის **სექტემბერი:**

«მხოლოდ პროლეტარებისა და **უღარიბესი გლეხების*** დიქტატურას შეუძლია გატეხოს კაპიტალისტების წინააღმდეგობა, გამოიჩინოს ძალაუფლების ნამდვილად დიადი გამბედაობა და სიმტკიცე, უზრუნველყოს თავისთვის მასების აღფრთოვანებული, თავდადებული, ჭეშმარიტად გმირული მხარდაჭერა არმიაშიც და გლეხობაშიც» (იხ. ტ. XXI, გვ. 147).

1917 წლის **სექტემბერი — ოქტომბერი,** ბროშურა «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?», სადაც ლენინი ეკამათება «ნოვაია ჟიზნს»:[64]

«ან * მთელი ძალაუფლება ბურჟუაზიას — ამას თქვენ დიდხანია აღარ იცავთ, და თვით ბურჟუაზიაც ვერ ბედავს ამის შესახებ

* ხაზგასმა ჩემია. ი. ს.

კრინტის დაძვრასაც კი, რადგან იცის, რომ ხალხმა უკვე 20 — 21 აპრილს ასეთი ძალაუფლება მხარის ერთი შეტოკებით დაამხო და ახლაც დაამხობს სამჯერ უფრო გაბედულად და დაუზოგავად. **ან** * წვრილი ბურჟუაზიის ძალაუფლება, ე. ი. მისი კოალიცია (კავშირი, შეთანხმება) ბურჟუაზიასთან, ვინაიდან თავისთავად და დამოუკიდებლად წვრილ ბურჟუაზიას არ სურს და **არც შეუძლია** მოიპოვოს ძალაუფლება, როგორც ეს დაამტკიცა ყველა რევოლუციის გამოცდილებამ, როგორც ამას ამტკიცებს ეკონომიური მეცნიერებაც, რომელიც განმარტავს, რომ კაპიტალისტურ ქვეყანაში შეიძლება იდგე კაპიტალის მხარეზე, შეიძლება იდგე შრომის მხარეზე, მაგრამ შუაში დგომას ვერ შესძლებ. ამ კოალიციამ რუსეთში ნახევარი წლის განმავლობაში მრავალი ათეული ხერხი სინჯა და მარცხი განიცადა. **ან** *, ბოლოს, მთელი ძალაუფლება პროლეტარებს და **უღარიბეს გლეხებს** *, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ გატეხონ მისი წინააღმდეგობა. ეს ჯერ კიდევ არ არის ნასინჯი, და თქვენ ამას, ბატონებო «ნოვაია ჟიზნიდან», **არ ურჩევთ** ხალხს, აშინებთ რა მას თქვენი საკუთარი შიშით ბურჟუაზიის წინაშე. სხვა რაიმე მეოთხის გამოგონებაც კი შეუძლებელია» (იხ. ტ. XXI, გვ. 275).

ასეთია ფაქტები.

თქვენ «არხეინად» **გვერდს უვლით** ყველა ამ ფაქტსა და მოვლენას ოქტომბრის მომზადების ისტორიიდან, «არხეინად» **ჰშლით** ბოლშევიზმის ისტორიიდან ბოლშევიკების **ბრძოლას** ოქტომბრის მომზადების პერიოდში იმ «მეპატრონე გლეხების» **მერყეობასთან** და **შემთანხმებლობასთან,** რომლებიც ისხდნენ მაშინ საბჭოებში, «არხეინად» **ასამარებთ** ლენინის ლოზუნგს პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ და ამასთან ერთად გგონიათ, რომ ეს არ არის **ძალადობა** ისტორიის მიმართ, ლენინიზმის მიმართ.

ამ ციტატებიდან, რომელთა რიცხვის გადიდება შეიძლებოდა, თქვენ უნდა ხედავდეთ, რომ 1917 წლის თებერვლის შემდეგ ბოლშევიკები გამოსავალ პუნქტად იღებდნენ არა გლეხობას მთლიანად, არამედ მის უღარიბეს ნაწილს,

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ისინი მიდიოდნენ ოქტომბრისაკენ არა **ძველი** ლოზუნგით — პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის შესახებ, არამედ **ახალი** ლოზუნგით — პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ.

აქედან ჩანს, რომ ბოლშევიკები ამ ლოზუნგს ატარებდნენ საბჭოების მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლაში, გლეხობის იმ გარკვეული ნაწილის მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლაში, რომელიც საბჭოებში იჯდა, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის იმ გარკვეული პარტიების მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლაში, რომლებსაც ესერები და მენშევიკები ეწოდებათ.

აქედან ჩანს, რომ ახალი ლოზუნგის — პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის გარეშე ჩვენ ვერ შევკრებდით საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ არმიას, რომელიც შესძლებდა ესერებისა და მენშევიკების შემთანხმებლობის დაძლევას, გლეხობის გარკვეული ნაწილის მერყეობის ნეიტრალიზაციას, ბურჟუაზიული ძალაუფლების დამხობას და, ამრიგად, შესაძლებელს გახდიდა ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანას.

აქედან ჩანს, რომ «ოქტომბრისაკენ ჩვენ მივდიოდით და ოქტომბერში გავიმარჯვეთ უღარიბეს გლეხობასთან ერთად, კულაკობის (იგივე გლეხობა) წინააღმდეგობისა და საშუალო გლეხობის მერყეობის პირობებში» (იხ. ჩემი პასუხი იან — სკისადმი *).

ამრიგად, გამოდის, რომ 1917 წლის აპრილში, ისე როგორც ოქტომბრის მომზადების მთელ პერიოდში, მართალი იყო ლენინი, და არა კამენევი, ხოლო თქვენ, ახდენთ რა ახლა კამენევშჩინის რესტავრაციას, თითქოს მაინცდამაინც კარგ კომპანიაში არ ხვდებით.

2) წინააღმდეგ ყოველივე ზემოთქმულისა, თქვენ მოგყავთ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ 1917 წლის ოქ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 230. რ ე დ.

ტომბერში ჩვენ ძალაუფლებას ვიპყრობდით **მთლიანად** გლეხობის მხარდაჭერით. ჩვენ რომ ძალაუფლებას ვიპყრობდით მთლიანად გლეხობის **ერთგვარი** მხარდაჭერით, ეს სავსებით მართალია. მაგრამ თქვენ დაგავიწყდათ ერთი «წვრილმანის» დამატება: **მთლიანად** გლეხობა მხარს გვიჭერდა ოქტომბერში, ოქტომბრის შემდეგაც, მხოლოდ **იმდენად, რამდენადაც** ჩვენ ბოლომდე მიგვყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია. ეს ფრიად მნიშვნელოვანი «წვრილმანია», რომელიც ამ შემთხვევაში წყვეტს საკითხს. ასეთი მნიშვნელოვანი «წვრილმანის» «დავიწყება» და, ამრიგად, უმნიშვნელოვანესი საკითხის მიჩქმალვა არ მიეტევება ბოლშევიკს.

თქვენი წერილიდან ჩანს, რომ თქვენ ლენინის სიტყვებს **მთლიანად** გლეხობის მხარდაჭერის შესახებ **უპირდაპირებთ** პარტიის ლოზუნგს «პროლეტარიატისა და **უღარიბესი** გლეხობის დიქტატურის» შესახებ, რომელიც იმავე ლენინმა მოგვცა. მაგრამ იმისათვის, რომ დაუპირდაპიროთ ლენინის ეს სიტყვები ზემომოყვანილ ციტატებს ლენინის თხზულებებიდან, იმისათვის, რომ გქონდეთ საფუძველი გააბათილოთ ლენინის ზემომოყვანილი ციტატები პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ იმავე ლენინის თქვენს მიერ მოყვანილი სიტყვებით გლეხობაზე მთლიანად, — ამისათვის საჭიროა დაამტკიცოთ, ყოველ შემთხვევაში, ორი რამ.

პირველი. საჭიროა დაამტკიცოთ, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა **მთავარია** ოქტომბრის რევოლუციაში. ლენინის აზრით, ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა **«დამატებითი»** პროდუქტია ოქტომბრის რევოლუციისა, რომელმაც **«გზადაგზა»** გადაწყვიტა ეს ამოცანა. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გააბათილოთ ლენინის ეს დებულება და დაამტკიცოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციაში **მთავარია** არა ბურჟუაზიის ხელისუფლების დამ-

ხობა და ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში, არამედ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. სცადეთ დაამტკიცოთ ეს, და მაშინ მე მზადა ვარ ვალიარო, რომ პარტიის ლოზუნგს 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე შეადგენდა ჩვენში არა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა.

თქვენი წერილიდან ჩანს, რომ თქვენ შესაძლებლად არა სთვლით იკისროთ ეს მეტად სახიფათო ამოცანა, მაგრამ ცდილობთ «გზადაგზა» დაამტკიცოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, ზავის საკითხში, თითქოს ჩვენ მხარს გვიჭერდა **მთელი** გლეხობა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ეს სრულიად არ არის სწორი. ზავის საკითხში თქვენ დადექით ობივატელურ თვალსაზრისზე. ნამდვილად კი ზავის საკითხი ჩვენთვის მაშინ ძალაუფლების საკითხი იყო, ვინაიდან მხოლოდ ძალაუფლების გადასვლით პროლეტარიატის ხელში შესაძლებელი იყო იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის იმედი გვქონოდა.

თქვენ, ალბათ, დაგავიწყდათ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ «ომის დამთავრება შეიძლება მხოლოდ ძალაუფლების გადასვლით მეორე კლასის ხელში», რომ «ძირს ომი» — არ ნიშნავს ხიშტის გადაგდებას. ეს ნიშნავს ძალაუფლების გადასვლას მეორე კლასის ხელში» (იხ. **ლენინის** სიტყვა პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 1917 წ. აპრილში, ტ. XX, გვ. 181 და 178).

ამრიგად, ორში ერთი: ან უნდა დაამტკიცოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციაში **მთავარია** ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, ან ამას ვერ დაამტკიცებთ, — და მაშინ თავისთავად გამოდის დასკვნა იმის შესახებ, რომ გლეხობას **მთლიანად** შეეძლო ჩვენთვის მხარი დაეჭირა ოქტომბერში მხოლოდ იმდენად, **რამდენადაც** ჩვენ ბოლომდე მიგვყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია, ვსპობდით

მონარქიას, მემამულეთა საკუთრებას და მემამულურ წესებს.

მეორე. თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ ბოლშევიკებს შეეძლოთ მიეღწიათ მთლიანად გლეხობის მხარდაჭერისათვის ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ, რამდენადაც მათ ბოლომდე მიჰყავდათ ბურჟუაზიული რევოლუცია, ოქტომბრის მომზადების მთელ პერიოდში პროლეტარიატისა და **უღარიბესი** გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის სისტემატურად გატარების **გარეშე,** წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლობასთან სისტემატური ბრძოლის **გარეშე,** რაც გამომდინარეობს ამ ლოზუნგიდან, გლეხობის გარკვეული ფენებისა და საბჭოებში მათ წარმომადგენელთა მერყეობის სისტემატური მხილების **გარეშე,** რაც იმავე ლოზუნგიდან გამომდინარეობს.

სცადეთ ამის დამტკიცება. მართლაც, რატომ მოვახერხეთ მთლიანად გლეხობის მიერ ჩვენთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ? იმიტომ, რომ ჩვენ შესაძლებლობა მივიღეთ ბოლომდე მიგვეყვანა ბურჟუაზიული რევოლუცია.

რატომ მივიღეთ ასეთი შესაძლებლობა? იმიტომ, რომ ჩვენ მოვახერხეთ დაგვემხო ბურჟუაზიული ხელისუფლება და შეგვეცვალა იგი პროლეტარიატის ხელისუფლებით, რომელსაც, და მხოლოდ მას, შესწევს უნარი ბოლომდე მიიყვანოს ბურჟუაზიული რევოლუცია.

რატომ შევძელით ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობა და პროლეტარიატის ხელისუფლების დამყარება? იმიტომ, რომ ოქტომბრის მომზადებას ვაწარმოებდით პროლეტარიატისა და **უღარიბესი** გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით, იმიტომ, რომ, ვემყარებოდით რა ამ ლოზუნგს, ჩვენ სისტემატურად ვებრძოდით წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლობას, იმიტომ, რომ, ვემყარებოდით რა ამ ლოზუნგს, ჩვენ სისტემატურად ვებრძოდით სა-

შუალო გლეხობის მერყეობას საბჭოებში, იმიტომ, რომ **მხოლოდ ასეთი ლოზუნგით** შეგვეძლო დაგვეძლია საშუალო გლეხის მერყეობა, დაგვემსხვრია წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლობა და შეგვეკრიბა ისეთი პოლიტიკური არმია, რომელსაც უნარი ექნებოდა ებრძოლნა ძალაუფლების გადასვლისათვის პროლეტარიატის ხელში.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ წინასწარი პირობების გარეშე, რომლებმაც განსაზღვრეს ოქტომბრის რევოლუციის ბედი, ჩვენ ვერ შევძლებდით მიგვეღწია ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საქმეში **მთლიანად** გლეხობის მხარდაჭერისათვის არც ოქტომბერში და არც ოქტომბრის შემდეგ.

აი როგორ უნდა გვესმოდეს გლეხთა ომების შეერთება პროლეტარულ რევოლუციასთან.

აი რატომ **არის**, რომ ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საქმეში მთლიანად გლეხობის მხარდაჭერის **დაპირდაპირება** პროლეტარიატისა და **უღარიბესი** გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით ოქტომბრის რევოლუციის მომზადების ფაქტისადმი — იმას ნიშნავს, რომ **ვერაფერი გაიგო ლენინიზმში.**

თქვენი ძირითადი შეცდომა ის არის, რომ თქვენ ვერ გაიგეთ ვერც ის ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობაში **სოციალისტური** ამოცანები გადაეხლართა **ბურჟუაზიული** რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ამოცანებს, ვერ გაიგეთ ვერც ოქტომბრის რევოლუციის იმ ცალკე მოთხოვნების განხორციელების მექანიკა, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის მეორე სტრატეგიული ლოზუნგიდან პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ.

როდესაც თქვენს წერილს ჯითხულობ, შეიძლება იფიქრო, რომ ჩვენ კი არ ავიყვანეთ გლეხობა პროლეტარული რევოლუციის სამსახურში, არამედ, პირიქით, «გლეხობამ

მთლიანად», კულაკობის ჩათვლით, აიყვანა თავის სამსახურში ბოლშევიკები. ცუდად წავიდოდა ბოლშევიკების საქმე, ისინი რომ ასე იოლად «დგებოდნენ» არაპროლეტარული კლასების სამსახურში.

1917 წლის აპრილის პერიოდის კამენევშჩინა — აი რა გბოჭავთ თქვენ.

3) თქვენ ამტკიცებთ, რომ სტალინი ვერ ხედავს განსხვავებას 1905 წლის ვითარებასა და 1917 წლის თებერვლისათვის არსებულ ვითარებას შორის. ეს, რა თქმა უნდა, არასერიოზულია. მე ეს არ მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა. ჩემს წერილში ვამბობდი მხოლოდ იმას, რომ პარტიის ლოზუნგმა პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის შესახებ, რომელიც მოცემული იყო 1905 წელს, თავისი დადასტურება პოვა 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში. და ეს, რა თქმა უნდა, სწორია. სწორედ ასე გვიხატავდა მდგომარეობას ლენინი თავის სტატიაში «გლეხები და მუშები» 1917 წლის აგვისტოში:

«მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხობას შეუძლიათ დაამხონ მონარქია — ასეთი იყო, იმ დროის მიხედვით (ნაგულისხმევია 1905 წელი. ი. სტ.), ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის ძირითადი განსაზღვრა. და ეს განსაზღვრა სწორი იყო. **1917 წლის თებერვალმა და მარტმა ეს ერთხელ კიდევ დაადასტურეს**» * (იხ. ტ. XXI, გვ. 111).

თქვენ მხოლოდ შარზე ხართ.

4) შემდეგ, თქვენ ცდილობთ ამხილოთ სტალინი წინააღმდეგობებში, უპირდაპირებთ რა მის თეზისს საშუალო გლეხის შემთანხმებლობის შესახებ **ოქტომბრამდე** ციტატას სტალინის ბროშურიდან «ლენინიზმის საკითხები», სადაც ლაპარაკია საშუალო გლეხობასთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობაზე **პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ.**

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დიდი შრომა არ არის საჭირო, რომ დაამტკიცო ორი სხვადასხვა მოვლენის ასეთი გაიგივების აბსოლუტურად არამეცნიერული ხასიათი. საშუალო გლეხი ოქტომბრის წინ, როცა ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია იდგა, და საშუალო გლეხი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, როცა ბურჟუაზია უკვე დამხობილი და ექსპროპრიირებულია, კოოპერაცია განვითარდა და წარმოების ძირითადი საშუალებანი პროლეტარიატის ხელშია თავმოყრილი, — ორი სხვადასხვა რამეა. ამ ორი სხვადასხვაგვარი საშუალო გლეხის გაიგივება და მათი ერთად დაყენება, — ეს იმას ნიშნავს, რომ მოვლენები განიხილო ისტორიულ ვითარებასთან დაუკავშირებლად და დაკარგო ყველა პერსპექტივა. ეს ციტატების მოყვანის ზინოვიევისებურ მანერას წააგავს, ყველა თარიღი და პერიოდი ერთმანეთში რომ არის არეული.

თუ ამას «რევოლუციური დიალექტიკა» ეწოდება, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ პოკროვსკიმ უკან მოიტოვა «დიალექტიკური» ხრიკიანობის ყველა რეკორდი.

5) დანარჩენ საკითხებს არ ვეხები, რადგან ვფიქრობ, რომ ისინი უკვე ამოწურულია იან — სკისთან მიწერ-მოწერაში.

1927 წ. 20 მაისი.

პირველად დაიბეჭდა წიგნში:
ი. სტალინი. ლენინიზმის
საკითხები. მე-4 გამოც., 1928.

რევოლუცია ჩინეთში და კომინტერნის ამოცანები

სიტყვა კომინტერნის აღმასკომის VIII პლენუმის [65] X სხდომაზე

1927 წ. 24 მაისი

I

ზოგიერთი წვრილმანი საკითხი

ამხანაგებო! ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ დღეს დავიგვიანე აღმასკომის სხდომაზე და მთლიანად ვერ მოვისმინე ტროცკის სიტყვა, რომელიც მან აქ აღმასკომის სხდომაზე წაიკითხა.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ტროცკიმ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ისეთი რაოდენობით შემოიტანა აღმასკომში ლიტერატურა, თეზისები და წერილები ჩინეთის საკითხზე, რომ ოპოზიციის გასაკრიტიკებლად მასალების ნაკლებობა არ გვექნება.

ამიტომ ტროცკის შეცდომების კრიტიკის დროს მე დავეყრდნობი ამ დოკუმენტებს და არ ვეჭვობ, რომ ეს კრიტიკა ამასთან ერთად ტროცკის დღევანდელი სიტყვის საფუძველთა კრიტიკა იქნება.

შეძლებისამებრ შევეცდები არ შევეხო პირად ელემენტს პოლემიკაში. ტროცკისა და ზინოვიევის პირადი გალაშქრება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის

ცალკეულ წევრთა წინააღმდეგ იმად არა ღირს, რომ მასზე შევჩერდეთ.

ჩანს, ტროცკის უნდოდა თავი გამოეყვანა ერთგვარ გმირად კომინტერნის აღმასკომის სხდომებზე, რათა აღმასკომის მუშაობა ომის საფრთხის, ჩინეთის რევოლუციის და სხვა საკითხებზე გადაექცია ტროცკის საკითხზე მუშაობად. მე ვფიქრობ, რომ ტროცკი არ არის ასეთი დიდი ყურადღების ღირსი. (ხმა ადგილიდან: «სწორია!»). მით უმეტეს, რომ იგი მსახიობს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე გმირს, ხოლო მსახიობისა და გმირის ერთმანეთში არევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

იმაზე აღარას ვლაპარაკობ, რომ ბუხარინისა ან სტალინისათვის შეურაცხმყოფელი არაფერია იმაში, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ტროცკი და ზინოვიევი, რომლებიც აღმასკომის VII გაფართოებულმა პლენუმმა სოციალ-დემოკრატიულ გადახრაში ამხილა, ხელაღებით ლანძღავენ ბოლშევიკებს. პირიქით, ჩემთვის უდიდესი შეურაცხყოფა იქნებოდა, ტროცკისა და ზინოვიევის ტიპის ნახევრად-მენშევიკები რომ მაქებდნენ და არა მლანძღავდნენ.

არც იმაზე გავაგრძელებ სიტყვას, დაარღვია თუ არა ოპოზიციამ თავისი ახლანდელი ფრაქციული გამოსვლებით მის მიერ 1926 წლის 16 ოქტომბერს ნაკისრი ვალდებულებანი. ტროცკი ირწმუნება, რომ ოპოზიციის 1926 წლის 16 ოქტომბრის დეკლარაციის მიხედვით მას უფლება აქვს დაიცვას თავისი შეხედულებანი. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ, თუ ტროცკი ფიქრობს ამტკიცოს, რომ დეკლარაცია ამით ამოიწურება, ამას სხვას ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა სოფიზმს.

ოპოზიციის 16 ოქტომბრის დეკლარაციაში ლაპარაკია არა მარტო იმაზე, რომ ოპოზიციას უფლება აქვს დაიცვას

თავისი შეხედულებანი, არამედ იმაზეც, რომ ეს შეხედულებანი შეიძლება დაცულ იქნას მხოლოდ პარტიულად-დასაშვებ ჩარჩოებში, რომ ფრაქციულობა უკუგდებული და ლიკვიდირებული უნდა იქნას, რომ ოპოზიცია ვალდებულია «უსიტყვოდ დაემორჩილოს» პარტიის ნებას და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, რომ ოპოზიცია მოვალეა არა მარტო დაემორჩილოს ამ გადაწყვეტილებებს, არამედ კეთილსინდისიერადაც «განახორციელოს» ისინი.

ყოველივე ამის შემდეგ განა კიდევ საჭიროა მტკიცება, რომ ოპოზიციამ თავისი 1926 წლის 16 ოქტომბრის დეკლარაცია უაღრესად უხეშად დაარღვია და ნაფლეთებად აქცია.

სიტყვას არ გავაგრძელებ აგრეთვე ჩინეთის საკითხში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და კომინტერნის პოზიციის უხამსი და უხეშად-ცილისმწამებლური დამახინჯების შესახებ, რაც მოცემულია ოპოზიციის მრავალრიცხოვან თეზისებსა, სტატიებსა და სიტყვებში. ტროცკი და ზინოვიევი განუწყვეტლივ ამტკიცებენ, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და კომინტერნი თითქოს იცავდნენ და იცავენ ჩინეთის ნაციონალური ბურჟუაზიისათვის «მხარდაჭერის» პოლიტიკას.

არა მგონია საჭირო იყოს იმის დასაბუთება, რომ ტროცკისა და ზინოვიევის ეს მტკიცება მონაჭორია, ცილისწამებაა, საქმის განზრახ დამახინჯებაა. სინამდვილეში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და კომინტერნი იცავდნენ არა ნაციონალური ბურჟუაზიისათვის მხარდაჭერის პოლიტიკას, არამედ ნაციონალური ბურჟუაზიის **გამოყენების** პოლიტიკას, **სანამ** რევოლუცია ჩინეთში **საერთო-ნაციონალური** გაერთიანებული ფრონტის რევოლუცია იყო, და ეს პოლიტიკა მათ შემდეგ **შეცვალეს** ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ **შეიარაღებული ბრძოლის** პოლიტიკით,

როცა რევოლუცია ჩინეთში **აგრარული** რევოლუცია გახდა, ხოლო ნაციონალურმა ბურჟუაზიამ რევოლუციისაგან ჩამოშორება იწყო.

საკმარისია გადაათვალიეროთ ისეთი დოკუმენტები, როგორიც არის VII გაფართოებული პლენუმის რეზოლუცია, კომინტერნის აღმასკომის ცნობილი მოწოდება [68], სტალინის თეზისები პროპაგანდისტებისათვის *, ბოლოს, ბუხარინის თეზისები, რომლებიც ამ დღეებში კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმს წარედგინა, — რომ დარწმუნდეთ ამაში.

ოპოზიციის უბედურება სწორედ ის არის, რომ მას არ შეუძლია ცილისწამებასა და დამახინჯებას არ მიმართოს.

გადავიდეთ საქმეზე.

II

აგრარულ-გლეხური რევოლუცია, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფუძველი

ტროცკის ძირითადი შეცდომა ის არის, რომ მას არ ესმის ჩინეთის რევოლუციის აზრი და ხასიათი. კომინტერნის აზრით, ამჟამად ჩინეთში ჩაგვრის უპირატესი ფაქტორი, რომელიც სტიმულს აძლევს აგრარულ რევოლუციას, არის **ფეოდალიზმის გადმონაშთები.** კომინტერნის აზრით, ფეოდალიზმის გადმონაშთები ჩინეთის სოფელში და ამ გადმონაშთების მთელი მილიტარისტულ-ბიუროკრატიული ზედნაშენი ყველა ძიუძიუნებიანად, გუბერნატორებიანად, გენერლებიანად, ჩჟან ძო-ლინებიანად და სხვ., — წარმოადგენენ იმ ბაზას, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა და ჩაღდება ახლანდელი აგრარული რევოლუცია.

თუ გლეხთა შემოსავლის 70% მთელ რიგ პროვინციებში შემამულესა და ჯენტრის ეკუთვნის, თუ შეიარაღებული და

* იხ. ეს ტომი, გვ. 236 — 246. რედ.

შეუიარაღებელი მემამულეები წარმოადგენენ არა მარტო ეკონომიურ, არამედ აგრეთვე ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებას, თუ მთელ რიგ პროვინციებში ჯერ კიდევ დღემდე პრაქტიკაშია ქალთა და ბავშვთა შუასაუკუნეობრივი ყიდვა-გაყიდვა, — არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ფეოდალური გადმონაშთები წარმოადგენენ ჩაგვრის ძირითად ფორმას ჩინეთის პროვინციებში.

სწორედ იმიტომ, რომ ფეოდალური გადმონაშთები მთელი მათი მილიტარისტულ-ბიუროკრატიული ზედნაშენიანად წარმოადგენენ ჩაგვრის ძირითად ფორმას ჩინეთში, — სწორედ ამიტომ განიცდის ახლა ჩინეთი თავისი ძალითა და მასშტაბით უდიდეს აგრარულ რევოლუციას.

ხოლო რა არის აგრარული რევოლუცია? სწორედ ის არის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფუძველი და შინაარსი.

სწორედ ამიტომ ამბობს კომინტერნი, რომ ჩინეთი ამჟამად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას განიცდის.

მაგრამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩინეთში მარტო ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ როდია მიმართული. ამასთან ერთად იგი მიმართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

რატომ?

იმიტომ, რომ იმპერიალიზმი ჩინეთში მთელი მისი ფინანსური და სამხედრო ძლიერებით ის ძალაა, რომელიც მხარს უჭერს, სულს უღგამს, ნერგავს და ამაგრებს ფეოდალურ გადმონაშთებს მთელი მათი ბიუროკრატიულ-მილიტარისტული ზედნაშენიანად.

იმიტომ, რომ ჩინეთში ფეოდალური გადმონაშთების აღმოფხვრა შეუძლებელია, თუ ამასთან ერთად არ იწარმოებს რევოლუციური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში.

იმიტომ, რომ ვისაც სურს მოსპოს ფეოდალური გადმონაშთები ჩინეთში, მან აუცილებლად უნდა აღმართოს ხელი იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ჯგუფების წინააღმდეგ ჩინეთში.

იმიტომ, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის უწარმოებლად შეუძლებელია ფეოდალური გადმონაშთების საბოლოოდ ჩაქვლა და აღმოფხვრა ჩინეთში.

სწორედ ამიტომ ამბობს კომინტერნი, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩინეთში იმავე დროს ანტიიმპერიალისტური რევოლუციაა.

ამრიგად, ახლანდელი რევოლუცია ჩინეთში წარმოადგენს რევოლუციური მოძრაობის ორი ნაკადის — ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის შეერთებას. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩინეთში არის ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის შეერთება იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

ასეთია ჩინეთის რევოლუციის საკითხებში კომინტერნის (და, მაშასადამე, აგრეთვე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის) მთელი ხაზის გამოსავალი პუნქტი.

ხოლო როგორია ჩინეთის საკითხში ტროცკის პოზიციის გამოსავალი პუნქტი? იგი **პირდაპირ საწინააღმდეგოა** კომინტერნის თვალსაზრისისა, რომელიც ეს არის მოვიყვანეთ. ტროცკი ან სრულებით არა ცნობს ფეოდალური გადმონაშთების არსებობას ჩინეთში, ან მათ გადამწყვეტ მნიშვნელობას არ აძლევს. ტროცკი (მაშასადამე, ოპოზიციაც), ჯეროვნად არ აფასებს რა ფეოდალურ-ბიუროკრატიული ჩაგვრის ძალასა და მნიშვნელობას ჩინეთში, ფიქრობს, რომ ჩინეთის ნაციონალური რევოლუციის ძირითადი მიზეზია ჩინეთის სახელმწიფოებრივ-საბაჟო დამოკიდებულება იმპერიალიზმის ქვეყნებისაგან.

ნება მომეცით მივუთითო ტროცკის ცნობილ თეზისებზე, რომლებიც მან რამდენიმე დღის წინათ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და კომინტერნის აღმასკომს გაუგზავნა. ტროცკის ამ თეზისების სათაურია: «ჩინეთის რევოლუცია და სტალინის თეზისები».

აი რას წერს ტროცკი ამ თეზისებში:

«სრულიად უნიადაგოა ბუხარინის ცდა — ოპორტუნისტული შემთანხმებლური ხაზი გაამართლოს ჩინეთის ეკონომიკაში «ფეოდალიზმის ნაშთების» ვითომდა უპირატეს როლზე მითითებით. ბუხარინის მიერ ჩინეთის მეურნეობის შეფასება დამყარებულიც რომ იყოს ეკონომიურ ანალიზზე, და არა სქოლასტიკურ განსაზღვრებზე, «ფეოდალიზმის ნაშთები» სულ ერთია ვერ გაამართლებდნენ იმ პოლიტიკას, რომელმაც ესოდენ აშკარად გააადვილა აპრილის გადატრიალება. ჩინეთის რევოლუციას ნაციონალურ-ბურჟუაზიული ხასიათი აქვს **იმ ძირითადი მიზეზის გამო**, რომ ჩინეთის კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა განვითარებას წინ ეღობება ჩინეთის **სახელმწიფოებრივ-საბაჟო** * დამოკიდებულება იმპერიალიზმის ქვეყნებისაგან» (იხ. ტროცკი, «ჩინეთის რევოლუცია და სტალინის თეზისები»).

ამ ციტატას უყურადღებოდ თუ მოვეკიდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტროცკი იბრძვის არა ჩინეთის რევოლუციის ხასიათის საკითხში კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ, არამედ ბუხარინის «შემთანხმებლური პოლიტიკის» წინააღმდეგ. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ნამდვილად ამ ციტატაში ლაპარაკია ჩინეთში ფეოდალური გადმონაშთების «უპირატესი როლის» **უარყოფის** შესახებ. ნამდვილად აქ ლაპარაკია იმაზე, რომ **აგრარული** რევოლუცია, რომელიც ამჟამად ჩინეთში ჩაღდება, გამოცხადებულ იქნას ზედაფენის რევოლუციად, ასე ვთქვათ, ანტისაბაჟო რევოლუციად.

ბუხარინის «შემთანხმებლურ პოლიტიკაზე» ლაყბობა ტროცკის აქ იმისათვის დასჭირდა, რომ დაეფარა თავისი

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

განდგომა კომინტერნის ხაზისაგან. ეს — პირდაპირ ვიტყვი—ტროცკის ჩვეულებრივი თაღლითური ხერხია.

ამრიგად, ტროცკის მიხედვით გამოდის, რომ ფეოდალური გადმონაშთები ჩინეთში მთელი მათი მილიტარისტულ-ბიუროკრატიული ზედნაშენიანად წარმოადგენენ ამჟამად არა ჩინეთის რევოლუციის ძირითად ზამბარას, არამედ მეორეხარისხოვან და უმნიშვნელო ძალას, რომელიც მხოლოდ იმის ღირსია, რომ ბრჭყალებში ჩაისვას.

ამრიგად, ტროცკის მიხედვით გამოდის, რომ ჩინეთში ნაციონალური რევოლუციის «ძირითად მიზეზს» წარმოადგენს ჩინეთის საბაჟო დამოკიდებულება იმპერიალისტებისაგან, რომ ამის გამო რევოლუცია ჩინეთში უმთავრესად წარმოადგენს, ასე ვთქვათ, ანტისაბაჟო რევოლუციას.

ასეთია ტროცკის კონცეფციის გამოსავალი პუნქტი.

ასეთია ტროცკის თვალსაზრისი ჩინეთის რევოლუციის ხასიათის საკითხში.

ნება მომეცით აღვნიშნო, რომ ეს თვალსაზრისი «მისი უდიდებულესობის» ჩან ძო-ლინის სამოქალაქო მრჩევლის თვალსაზრისია.

თუ ტროცკის თვალსაზრისი სწორია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მართალი არიან ჩან ძო-ლინი და ჩან კაი-ში, რომლებსაც არა სურთ არც აგრარული, არც მუშათა რევოლუცია და ცდილობენ მიაღწიონ მხოლოდ იმას, რომ გააუქმონ უთანასწორო ხელშეკრულებანი და დაამყარონ ჩინეთის საბაჟო ავტონომია.

ტროცკი ჩან ძო-ლინისა და ჩან კაი-შის კანცელარისტთა თვალსაზრისს დაადგა.

თუ ფეოდალიზმის ნაშთები ბრჭყალებში უნდა ჩაისვას; თუ მართალი არ არის კომინტერნი, როცა აცხადებს, რევოლუციის ახლანდელ სტადიაზე ფეოდალიზმის ნაშთებს უპირატესი მნიშვნელობა აქვთო; თუ ჩინეთის რევოლუციის საფუძველია საბაჟო დამოკიდებულება და არა ბრძოლა

ფეოდალური გადმონაშთებისა და მათი ხელისშემწყობი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, — მაშინ რაღა რჩება ჩინეთის აგრარული რევოლუციისაგან?

საიდან წარმოიშვა აგრარული რევოლუცია ჩინეთში მემამულეთა მიწების კონფისკაციის მოთხოვნით? ასეთ შემთხვევაში რა საფუძვლით თვლიან ჩინეთის რევოლუციას ბურჟუაზიულ-**დემოკრატიულ** რევოლუციად? განა ფაქტი არ არის, რომ აგრარული რევოლუცია ბურჟუაზიულ-**დემოკრატიული** რევოლუციის საფუძველია? ნუთუ აგრარულ რევოლუციას შეეძლო ციდან ჩამოვარდნილიყო?

განა ფაქტი არ არის, რომ მილიონობით და ათეულმილიონობით გლეხები ჩაბმული არიან უდიდეს აგრარულ რევოლუციაში ისეთ პროვინციებში, როგორიც არის ხუნანი, ხუბეი, ხენანი და სხვ., სადაც გლეხები ამყარებენ თავიანთ ხელისუფლებას, თავიანთ სასამართლოს, თავიანთ თავდაცვას, ერეკებიან მემამულეებს და «პლებეურად» უსწორდებიან მათ?

საიდან შეიძლებოდა წარმოშობილიყო ასეთი მძლავრი აგრარული მოძრაობა, ფეოდალურ-მილიტარისტული ჩაგვრა რომ ჩაგვრის გაბატონებულ ფორმას არ წარმოადგენდეს ჩინეთში?

საიდან შეეძლო ათეულმილიონობით გლეხთა ამ მძლავრ მოძრაობას მიეღო, ამასთან ერთად, ანტიიმპერიალისტური ხასიათი, თუ არ ვაღიარებთ, რომ იმპერიალიზმი ჩინელი ხალხის ფეოდალურ-მილიტარისტულ მჩაგვრელთა ძირითადი მოკავშირეა?

განა ფაქტი არ არის, რომ მარტო ხუნანში ამჟამად გლეხთა კავშირში ორნახევარ მილიონზე მეტი წევრი ითვლება? ხოლო ეს წევრები რამდენია ახლა ხუბეიში, ხენანში და რამდენი იქნება სულ უახლოეს მომავალში ჩინეთის სხვა პროვინციებში?

ახლა «წითელი შუბები», «შემოჭერილი მუცლების კავშირები» და სხვ., — ნუთუ ყველაფერი ეს გამოგონილია და არა რეალობაა?

ნუთუ სერიოზულად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ათეულმილიონობით გლეხთა აგრარული რევოლუცია მემამულეთა მიწების კონფისკაციის ლოზუნგით მიმართულია არა ფეოდალიზმის ნამდვილი და უეჭველი გადმონაშთების წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ ფეოდალიზმის მოჩვენებითი გადმონაშთებისა ბრჭყალებში?

განა ცხადი არ არის, რომ ტროცკი «მისი უდიდებულესობის» ჩუან ძო-ლინის კანცელარისტთა თვალსაზრისს დაადგა?

ამრიგად, ჩვენ გვაქვს ორი ძირითადი ხაზი:

ა) **კომინტერნის ხაზი,** რომელიც მხედველობაში იღებს ფეოდალური გადმონაშთების, როგორც ჩაგვრის გაბატონებული ფორმის, არსებობას ჩინეთში, მძლავრი აგრარული მოძრაობის გადამწყვეტ მნიშვნელობას, ფეოდალური გადმონაშთების კავშირს იმპერიალიზმთან, ჩინეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამახვილებით;

ბ) **ტროცკის ხაზი,** რომელიც უარყოფს ფეოდალურ-მილიტარისტული ჩაგვრის უპირატეს მნიშვნელობას, ვერ ხედავს ჩინეთში აგრარულ-რევოლუციური მოძრაობის გადამწყვეტ მნიშვნელობას და ჩინეთის რევოლუციის ანტიიმპერიალისტურ ხასიათს ხსნის მხოლოდ ჩინეთის კაპიტალიზმის ინტერესებით, რომელიც ჩინეთის საბაჟო დამოუკიდებლობას მოითხოვს.

ტროცკის (მაშასადამე, აგრეთვე ოპოზიციის) ძირითადი შეცდომა ის არის, რომ იგი ჯეროვნად არ აფასებს აგრარულ რევოლუციას ჩინეთში, არ ესმის ამ რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი, უარყოფს ჩინეთის მრავალმილიონიანი აგრარული მოძრაობის წინაპირობებს, ჯე-

როვნად არ აფასებს გლეხობის როლს ჩინეთის რევოლუციაში.

ეს შეცდომა ტროცკისათვის ახალი როდია. იგი უაღრესად დამახასიათებელი ნიშანია ტროცკის მთელი ხაზისა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მისი ბრძოლის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში გლეხობის როლის შეუფასებლობა ის შეცდომაა, რომელიც ტროცკის თან სდევს 1905 წლიდან, შეცდომა, რომელმაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინ და რომელიც მას დღემდე ვერ მოუცილებია.

ნება მომეცით დავიმოწმო ზოგიერთი ფაქტი იმ ბრძოლის სფეროდან, რომელსაც ტროცკი ლენინიზმის წინააღმდეგ ეწეოდა, მაგალითად, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინ, როცა ჩვენ მივდიოდით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისაკენ რუსეთში.

ტროცკი მაშინ ამტკიცებდა, რომ, რადგან გლეხობაში დიფერენციაცია გაძლიერდა, რადგან ახლა იმპერიალიზმის ბატონობა გვაქვს და პროლეტარიატი თავის თავს ბურჟუაზიულ ერს უპირდაპირებს, ამიტომ გლეხობის როლი თანდათან დაეცემა, ხოლო აგრარულ რევოლუციას ის მნიშვნელობა არ ექნება, რომელსაც მას 1905 წელს აძლევდნენო.

რას უპასუხებდა ამაზე ლენინი? ნება მომეცით მოვიყვანო ციტატა ლენინის 1915 წლის სტატიიდან რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში გლეხობის როლის საკითხზე:

«ტროცკის ორიგინალური თეორია (ლაპარაკია ტროცკის «პერმანენტულ რევოლუციაზე». ი. სტ.) ბოლშევიკებისაგან იღებს მოწოდებას პროლეტარიატის გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლისაკენ და მის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისაკენ, ხოლო მენშევიკებისაგან — გლეხობის როლის «უარყოფას». გლეხობა ფენებად დანაწილდა, მისი დიფერენციაცია მოხდაო; მისი შესაძლო რევოლუციური რო-

ლი განუწყვეტლივ კლებულობდაო; რუსეთში შეუძლებელია «ნაციონალური» რევოლუცია: «ჩვენ იმპერიალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ», ხოლო «იმპერიალიზმი ბურჟუაზიულ ერს კი არ უპირდაპირებს ძველ რეჟიმს, არამედ პროლეტარიატს უპირდაპირებს ბურჟუაზიულ ერსო».

აი სასაცილო მაგალითი «სიტყვის თამაშისა»: იმპერიალიზმი! თუ **რუსეთში** პროლეტარიატი უკვე უპირდაპირდება «ბურჟუაზიულ ერს», მაშ ჩანს რუსეთი პირდაპირ **სოციალისტური** რევოლუციის წინაშე მდგარა!! მაშინ სწორი არ ყოფილა «**მემამულეთა** მიწების კონფისკაციის» ლოზუნგი (რომელსაც 1912 წლის იანვრის კონფერენციის შემდეგ იმეორებს ტროცკი 1915 წელს), მაშინ უნდა ვილაპარაკოთ **არა** «რევოლუციურ მუშათა» მთავრობაზე, არამედ «მუშათა **სოციალისტურ**» მთავრობაზე!! სადამდე მიდის ტროცკის დაბნეულობა, ეს ჩანს მისი ფრაზიდან, რომ პროლეტარიატი გაბედულობით «**ხალხის არაპროლეტარულ** (!) მასებსაც» გაიყოლიებს (№ 217)!! ტროცკი არ დაუფიქრდა, რომ თუ პროლეტარიატი გაიყოლიებს სოფლის არაპროლეტარულ მასებს მემამულეთა მიწების კონფისკაციისათვის და დაამხობს მონარქიას, სწორედ ეს იქნება დამთავრება «ნაციონალური ბურჟუაზიული რევოლუციისა» რუსეთში, სწორედ ეს იქნება **პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა!** *

მთელმა ათმა წელმა — დიადმა ათმა წელმა — 1905 — 1915 წლებმა დაამტკიცა, რომ არსებობს რუსეთის რევოლუციის ორი და მხოლოდ ორი კლასობრივი ხაზი. გლეხობის ფენებად დანაწილებამ გააძლიერა მის შიგნით კლასობრივი ბრძოლა, გამოაღვიძა მრავალი ელემენტი, რომელთაც მანამდე პოლიტიკურად ეძინათ, ქალაქის პროლეტარიატს დაუახლოვა სოფლის პროლეტარიატი (ამ უკანასკნელის **ცალკე** ორგანიზაციას ბოლშევიკები მტკიცედ მოითხოვდნენ 1906 წლიდან და ეს მოთხოვნა შეიტანეს სტოკჰოლმის, მენშევიკური, ყრილობის რეზოლუციაში). მაგრამ «გლეხობასა» და მარკოვ-რომანოვხოსტოვებს შორის ანტაგონიზმი გაძლიერდა, გაიზარდა, გამწვავდა. ეს ისეთი ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ მას ტროცკის მიერ პარიზში ათეულობით გამოქვეყნებული **სტატიების** ათასობით ფრაზაც კი ვერ «გააბათილებს». ტროცკი საქმით ეხმარება რუსეთის ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს, რომლებსაც გლეხობის როლის «უარყოფად» ესმით **სურვილის უქონლობა** — რევოლუციისათვის აამხედრონ გლეხები! ახლა კი ეს არის მთავარი» (იხ. ტ. XVIII, გვ. 317 — 318).

---

* ხაზგასმა ჩემია. ი. ს.

ტროცკის სქემის აი ეს თავისებურება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხედავს ბურჟუაზიას, ხედავს პროლეტარიატს, მაგრამ ვერ ამჩნევს გლეხობას და არ ესმის მისი როლი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, — სწორედ ეს თავისებურება შეადგენს ოპოზიციის ძირითად შეცდომას ჩინეთის საკითხში.

სწორედ ეს არის ტროცკისა და ოპოზიციის «ნახევრად-მენშევიზმი» ჩინეთის რევოლუციის ხასიათის საკითხში.

ამ ძირითადი შეცდომიდან წარმოსდგება ოპოზიციის ყველა დანარჩენი შეცდომა, ოპოზიციის თეზისების მთელი აბნეულობა ჩინეთის საკითხში.

III

ნანკინის მემარჯვენეთა გომინდანი, რომელიც სპობს კომუნისტებს, და უხანის მემარცხენეთა გომინდანი, რომელიც მხარს უჭერს კომუნისტებთან კავშირს

ავიღოთ, მაგალითად, უხანის საკითხი. კომინტერნის გეზი უხანის რევოლუციური როლის საკითხში ცნობილი და ნათელია. რადგან ჩინეთში აგრარული რევოლუციაა; რადგან აგრარული რევოლუციის გამარჯვება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებაა, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურის გამარჯვებაა; რადგან ნანკინი ნაციონალური კონტრრევოლუციის ცენტრია, ხოლო უხანი — ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის ცენტრი, — ამიტომ საჭიროა უხანის გომინდანისათვის მხარდაჭერა, საჭიროა კომუნისტების მონაწილეობა ამ გომინდანში და მის რევოლუციურ მთავრობაში, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლი როგორც გომინდანში, ისე გომინდანის გარეთ.

წარმოადგენს თუ არა უხანის ახლანდელი მთავრობა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოს? არა, ჯერჯერობით არ წარმოადგენს და არც მალე გახდება ასეთ ორგანოდ. მაგრამ მას ყველა შანსი აქვს განვითარდეს ასეთ ორგანოდ, თუ რევოლუცია შემდგომ განვითარდება, თუ ამ რევოლუციას წარმატებები ექნება.

ასეთია კომინტერნის გეზი.

სულ სხვანაირად უყურებს საქმეს ტროცკი. მისი აზრით, უხანი «ფიქციაა», და არა რევოლუციური მოძრაობის ცენტრი. კითხვაზე — რას წარმოადგენს ახლა მემარცხენე გომინდანი, ტროცკი უპასუხებს: «ჯერჯერობით არაფერს, ან თითქმის არაფერს».

დავუშვათ, რომ უხანი ფიქციაა. მაგრამ თუ უხანი ფიქციაა, რატომ არ მოითხოვს ტროცკი გადამწყვეტ ბრძოლას ამ ფიქციის წინააღმდეგ? როდის აქეთ დაიწყეს კომუნისტებმა ფიქციისათვის მხარდაჭერა, ფიქციაში მონაწილეობა, ფიქციის სათავეში ჩადგომა და სხვ.? განა ფაქტი არ არის, რომ კომუნისტები ვალდებული არიან ებრძოლონ ფიქციას? განა ფაქტი არ არის, რომ კომუნისტების მიერ ფიქციის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელის აღება პროლეტარიატისა და გლეხობის მოტყუებაა? მაშ რატომ არ იძლევა ტროცკი წინადადებას ფიქციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, თუნდაც უხანის გომინდანიდან და უხანის მთავრობიდან კომუნისტების დაუყოვნებლივ წასვლის გზით? რატომ იძლევა ტროცკი წინადადებას, რომ კომუნისტები დარჩნენ ამ ფიქციაში, არ წავიდნენ იქიდან? სად არის აქ ლოგიკა?

ეს «ლოგიკური» შეუსაბამობა იმით ხომ არ აიხსნება, რომ ტროცკი, რომელმაც უხანს მუშტი მოუქნია და მას ფიქცია უწოდა, შემდეგ შეშინდა და ვერ გაბედა თავის თეზისებში სათანადო დასკვნა გამოეტანა?

ან, მაგალითად, ავიღოთ ზინოვიევი. თავის თეზისებში, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმს დაურიგდა, ზინოვიევი უხანის გომინდანს ახასიათებს, როგორც ქემალისტების 1920 წლის პერიოდის მთავრობას. მაგრამ ქემალისტების მთავრობა — ეს არის მთავრობა მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ ბრძოლისა, მთავრობა, სადაც კომუნისტებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ადგილი. უხანის ასეთი დახასიათებიდან თითქოს შეიძლება გამოტანილ იქნას მხოლოდ ერთი დასკვნა: გადამწყვეტი ბრძოლა უხანის წინააღმდეგ, უხანის მთავრობის დამხობა.

მაგრამ ასე ფიქრი შეუძლიათ ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებსაც ჩვეულებრივი ადამიანური ლოგიკა აქვთ.

ასე როდი ფიქრობს ზინოვიევი. ახასიათებს რა უხანის მთავრობას ხანკოუში, როგორც ქემალისტთა მთავრობას, იგი ამასთან ერთად წინადადებას იძლევა უაღრესად ენერგიული დახმარება გაეწიოს სწორედ ამ მთავრობას, იქიდან არ გამოვიდნენ კომუნისტები, არ დატოვონ უხანის გომინდანი და სხვ. იგი პირდაპირ ამბობს:

«საჭიროა უაღრესად ენერგიული და ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს ხანკოუს, მოეწყოს იქიდან წინააღმდეგობის გაწევა კავენიაკებისათვის. უახლოეს დროში საჭიროა მთელი ძალღონე მიმართულ იქნას სწორედ იქითკენ, რომ დახმარება გაეწიოს უხანის მთავრობას ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს ხანკოუში» (იხ. ზინოვიევის თეზისები).

მიხვდით, ვისაც შეგიძლიათ!

ტროცკი ამბობს, უხანი, ე. ი. ხანკოუ, ფიქცია არისო. ზინოვიევი, პირიქით, ამტკიცებს, უხანი ქემალისტთა მთავრობა არისო. აქედან ასეთი დასკვნა უნდა გამოეტანათ: ბრძოლა ფიქციის წინააღმდეგ, ანუ ბრძოლა უხანის მთავრობის დამხობისათვის. ამავე დროს კი როგორც ტროცკი, ისე ზინოვიევი უკან იხევენ დასკვნის გამოტანაში, რომელიც უცილობლად გამომდინარეობს მათი წანამძღვრებიდან, ხოლო ზინოვიევი უფრო შორსაც მიდის და გვთავა-

ზობს «უაღრესად ენერგიული და ყოველმხრივი დახმარების გაწევას ხანკოუსათვის».

რას მოწმობს ყოველივე ეს? იმას, რომ ოპოზიცია გაიხლართა წინააღმდეგობებში. მან დაკარგა ლოგიკურად აზროვნების უნარი და დაკარგა ყველა პერსპექტივა.

დაბნეულობა შეხედულებებში, ყოველგვარი პერსპექტივის დაკარგვა უხანის საკითხში,— ასეთია ტროცკისა და ოპოზიციის გეზი, თუ დაბნეულობას საერთოდ შეიძლება გეზი ეწოდოს.

IV

ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შესახებ

ან კიდევ ავიღოთ, მაგალითად, ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების საკითხი.

საბჭოების შექმნის საკითხზე ჩვენ გვაქვს სამი რეზოლუცია, რომლებიც მიღებულია კომინტერნის II კონგრესზე: ლენინის თეზისები ჩამორჩენილ ქვეყნებში **არაპროლეტარული,** გლეხური საბჭოების შექმნის შესახებ, როის თეზისები **მუშათა** და გლეხთა საბჭოების შექმნის შესახებ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი, და სპეციალური თეზისები იმის შესახებ, თუ «როდის და რა პირობებში შეიძლება შეიქმნას მუშათა დეპუტატების საბჭოები».

ლენინის თეზისებში ლაპარაკია «გლეხური», «სახალხო», **არაპროლეტარული** საბჭოების შექმნაზე შუა აზიის მსგავს ქვეყნებში, სადაც არ არის ან თითქმის არ არის სამრეწველო პროლეტარიატი. ლენინის თეზისებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ასეთ ქვეყნებში **მუშათა** დეპუტატების საბჭოების შექმნის შესახებ. ამასთან ლენინის თეზისები ჩამორჩენილ ქვეყნებში «გლეხური», «სახალხო» საბჭოების განვითარებისა და შექმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად თვლიან სსრ კავშირის პროლეტარიატის მიერ

რევოლუციისათვის **პირდაპირ** მხარდაჭერას ასეთ ქვეყნებში. ცხადია, რომ ამ თეზისებს მხედველობაში აქვთ არა ჩინეთი ან ინდოეთი, სადაც არის სამრეწველო პროლეტარიატის ერთგვარი მინიმუმი და სადაც **მუშათა** საბჭოების შექმნა, გარკვეულ პირობებში, წარმოადგენს გლეხთა საბჭოების შექმნის წინაპირობას, არამედ სხვა, უფრო ჩამორჩენილი, ქვეყნები, როგორიცაა სპარსეთი და სხვ.

როის თეზისებს მხედველობაში აქვთ, უმთავრესად, ჩინეთი და ინდოეთი, სადაც არის სამრეწველო პროლეტარიატი. ამ თეზისებში წამოყენებულია წინადადება, რომ გარკვეულ პირობებში, ბურჟუაზიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე გარდამავალ პერიოდში, შეიქმნას **მუშათა** და გლეხთა დეპუტატების საბჭოები. ცხადია, რომ ამ თეზისებს პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ჩინეთთან.

II კონგრესის განსაკუთრებულ თეზისებში, რომლებსაც სათაურად აქვთ «როდის და რა პირობებში შეიძლება შეიქმნას მუშათა დეპუტატების საბჭოები», ლაპარაკია მუშათა დეპუტატების საბჭოების როლის შესახებ რუსეთისა და გერმანიის რევოლუციის გამოცდილების საფუძველზე. ეს თეზისები ამტკიცებენ, რომ «პროლეტარული რევოლუციის გარეშე საბჭოები გარდუვალად იქცევიან საბჭოების პაროდიად». ცხადია, რომ ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ეს უკანასკნელი თეზისებიც.

როგორია საქმის ვითარება ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის საკითხის მხრივ, თუ ამასთან მხედველობაში მივიღებთ როგორც ჩინეთში ამჟამად არსებულ ვითარებას და უხანში გომინდანის, როგორც რევოლუციური მოძრაობის ცენტრის, არსებობას, ისე კომინტერნის II კონგრესის ორი უკანასკნელი თეზისის მითითებებს?

მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა **ახლა**, მაგალითად, უხანის მთავრობის მოქმედების რაიონში,— ეს ნიშნავს ორხელისუფლებიანობის შექმნას, მემარცხენე გომინდანის დამხობისა და ჩინეთში ახალი, საბჭოთა ხელისუფლების შექმნისათვის ბრძოლის ლოზუნგის მიცემას.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები არსებული ხელისუფლების დამხობისათვის ბრძოლის ორგანოებია, ახალი ხელისუფლებისათვის ბრძოლის ორგანოებია. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გაჩენამ არ შეიძლება არ შექმნას ორხელისუფლებიანობა, ხოლო ორხელისუფლებიანობამ არ შეიძლება არ გაამწვავოს ის საკითხი, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს **მთელი** ძალაუფლება.

როგორი იყო საქმის ვითარება რუსეთში 1917 წლის მარტ-აპრილ-მაის-ივნისში? მაშინ არსებობდა დროებითი მთავრობა, რომელსაც ხელთ ჰქონდა ნახევარი ძალაუფლება, მაგრამ, შეიძლება ითქვას, უფრო რეალური ძალაუფლება, ვინაიდან მას ჯერ კიდევ მხარს უჭერდნენ ჯარები. ამასთან ერთად არსებობდნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებსაც აგრეთვე ხელთ ჰქონდათ ნახევარი ძალაუფლების მსგავსი რამ, თუმცა არა იმდენად რეალური ძალაუფლება, როგორც დროებით მთავრობას. ბოლშევიკების ლოზუნგი მაშინ იყო დროებითი მთავრობის ჩამოშორება და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისათვის **მთელი** ძალაუფლების გადაცემა. ბოლშევიკებს შორის მაშინ არავინ ფიქრობდა დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შესვლაზე, ვინაიდან არ შეიძლება შედიოდე მთავრობის შემადგენლობაში, თუ საქმე ამ მთავრობის დამხობისაკენ მიგყავს.

განა შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში 1917 წლის მარტ-ივნისში არსებული ვითარება ჩინეთში ამჟამად არსებული ვითარების ანალოგიურია? არა, არ შეიძლება ითქვას. არ შეიძლება ითქვას არა მარტო იმიტომ, რომ რუსეთი მა-

შინ იდგა პროლეტარული რევოლუციის წინაშე, ჩინეთი კი ახლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინაშე დგას, არამედ იმიტომაც, რომ დროებითი მთავრობა რუსეთში მაშინ კონტრრევოლუციური და იმპერიალისტური მთავრობა იყო, უხანის ახლანდელი მთავრობა კი ანტიიმპერიალისტური და რევოლუციური მთავრობაა ამ სიტყვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გაგებით.

რას გვთავაზობს, ამასთან დაკავშირებით, ოპოზიცია?

იგი გვთავაზობს ჩინეთში მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების, როგორც რევოლუციური მოძრაობის ორგანიზაციის ცენტრების, დაუყოვნებლივ შექმნას. მაგრამ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები მარტო რევოლუციური მოძრაობის ორგანიზაციის ცენტრები როდია. ისინი წარმოადგენენ, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების ორგანოებს, ახალი, რევოლუციური ხელისუფლების შექმნის ორგანოებს. ოპოზიციას არ ესმის, რომ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები რევოლუციური მოძრაობის ცენტრებად შეიძლება გადაქცეულ იქნან **მხოლოდ** როგორც აჯანყების ორგანოები, მხოლოდ როგორც ახალი ხელისუფლების ორგანოები. უამისოდ მუშათა დეპუტატების საბჭოები იქცევიან ფიქციად, არსებული ხელისუფლების დანამატად, როგორც ეს იყო გერმანიაში 1918 წელს და რუსეთში 1917 წლის ივლისში.

ესმის თუ არა ოპოზიციას, რომ ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა ახლა ნიშნავს ორხელისუფლებიანობის შექმნას საბჭოებსა და უხანის მთავრობას შორის და მას აუცილებლად და გარდუვალად მივყავართ უხანის მთავრობის დამხობის ლოზუნგისაკენ?

მე ძალიან ვეჭვობ, რომ ზინოვიევს ესმოდეს ეს მარტივი რამ. მაგრამ ტროცკის ეს სავსებით ესმის, ვინაიდან

იგი პირდაპირ ამბობს თავის თეზისებში, რომ: «საბჭოების ლოზუნგი ნიშნავს მოწოდებას ხელისუფლების ნამდვილი ორგანოების შექმნისაკენ ორხელისუფლებიანობის გარდამავალი რეჟიმის გავლით» (იხ. ტროცკის თეზისები «ჩინეთის რევოლუცია და სტალინის თეზისები»).

ამრიგად, გამოდის, რომ, ვქმნით რა ჩინეთში საბჭოებს, ჩვენ ამასთან ერთად ვქმნით «ორხელისუფლებიანობის რეჟიმს», ვამხობთ უხანის მთავრობას და ვქმნით ახალ, რევოლუციურ ხელისუფლებას. ჩანს, ტროცკი აქ ნიმუშად იღებს რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის წინა პერიოდის რევოლუციის ისტორიის ამბებს. მაშინ ჩვენში, მართლაც, ორხელისუფლებიანობა იყო და ჩვენ, მართლაც, მაშინ ვამხობდით დროებითს მთავრობას.

მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ მაშინ არავინ ფიქრობდა დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შესვლას. მაშ რატომ არ იძლევა ტროცკი ახლა წინადადებას, რომ კომუნისტები დაუყოვნებლივ გამოვიდნენ გომინდანიდან და უხანის მთავრობიდან? როგორ შეიძლება ჰქმნიდე საბჭოებს, ჰქმნიდე ორხელისუფლებიანობის რეჟიმს და ამასთან ერთად შედიოდე სწორედ იმ უხანის მთავრობის შემადგენლობაში, რომელსაც დამხობას უპირებ? ტროცკის თეზისები ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევიან.

ამავე დროს ცხადია, რომ ტროცკის აქ უიმედოდ აებნა გზა-კვალი თავისივე საკუთარ წინააღმდეგობათა ტევრში. მან ერთმანეთში აურია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და პროლეტარული რევოლუცია. მას «დაავიწყდა», რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩინეთში არა თუ არ დამთავრებულა და მას ჯერ არა თუ არ გაუმარჯვნია, არამედ თავისი განვითარების მხოლოდ პირველ ფაზაზე დგას. ტროცკის არ ესმის, რომ უხანის მთავრობისათვის მხარდაჭერაზე უარის თქმა, ორხელისუფლებიანობის ლოზუნგის მიცემა და უხანის მთავრობის დამხობა **ახლა** საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის საშუალებით, —

ეს ნიშნავს ჩან კაი-შისა და ჩჟან ძო-ლინისათვის პირდაპირ და უეჭველ მხარდაჭერას.

ჩვენ გვეუბნებიან: მაშ, თუ ასეა, როგორღა გავიგოთ მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნა 1905 წელს რუსეთში, — განა მაშინ ჩვენში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია არ იყოო?

მაგრამ, ჯერ-ერთი, მაშინ სულ ორი საბჭო იყო — პეტერბურგსა და მოსკოვში, და ორი საბჭოს არსებობა ჯერ კიდევ არ ქმნიდა საბჭოთა ხელისუფლების სისტემას რუსეთში.

მეორეც, პეტერბურგისა და მოსკოვის საბჭოები მაშინ ძველი, მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების ორგანოები იყვნენ, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ არ შეიძლება საბჭოებს განვიხილავდეთ მხოლოდ როგორც რევოლუციის ორგანიზაციის ცენტრებს, რომ საბჭოები შეიძლება ასეთი ცენტრები იყვნენ მხოლოდ როგორც აჯანყების ორგანოები და ახალი ხელისუფლების ორგანოები.

მესამეც, მუშათა საბჭოების ისტორია მოწმობს, რომ ასეთი საბჭოები შეიძლება არსებობდნენ და შემდგომ ვითარდებოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ხელსაყრელი პირობები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირდაპირი გადასვლისათვის პროლეტარულ რევოლუციაში, თუ არსებობს, მაშასადამე, ხელსაყრელი პირობები ბურჟუაზიული ხელისუფლებიდან პროლეტარიატის დიქტატურაზე გადასვლისათვის.

განა იმიტომ არ დაიღუპნენ მუშათა საბჭოები პეტერბურგსა და მოსკოვში 1905 წელს ისევე, როგორც მუშათა საბჭოები გერმანიაში 1918 წელს, რომ მაშინ არ იყო ასეთი ხელსაყრელი პირობები?

შესაძლოა, 1905 წელს რუსეთში არ ყოფილიყო საბჭოები, მაშინ რომ რუსეთში არსებულიყო ფართო რევოლუციური ორგანიზაცია, როგორიცაა ახლანდელი მემარცხენე

გომინდანი ჩინეთში. მაგრამ მაშინ რუსეთში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი ორგანიზაცია, ვინაიდან რუს მუშათა და გლეხთა წრეში არ იყო ნაციონალური ჩაგვრის ელემენტები, რუსები თვითონ ჩაგრავდნენ სხვა ეროვნებებს, ხოლო ისეთი ორგანიზაცია, როგორიც მემარცხენე გომინდანია, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ უცხოელ იმპერიალისტთა მხრივ ნაციონალური ჩაგვრის პირობებში, რომელიც ერთ ფართო ორგანიზაციაში უყრის თავს ქვეყნის რევოლუციურ ელემენტებს.

მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ იმის უარყოფა, რომ მემარცხენე გომინდანს ეკუთვნის რევოლუციური ბრძოლის ორგანოს როლი, ჩინეთში ფეოდალიზმის გადმონაშთებისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყების ორგანოს როლი.

მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან?

აქედან ის გამომდინარეობს, რომ ჩინეთში მემარცხენე გომინდანი ჩინეთის ახლანდელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის დაახლოებით ისეთსავე როლს ასრულებს, როგორსაც 1905 წელს საბჭოები ასრულებდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის რუსეთში.

სხვა საქმეა, ჩინეთში რომ არ იყოს ისეთი პოპულარული და რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაცია, როგორიც მემარცხენე გომინდანია. მაგრამ რახან არსებობს ასეთი სპეციფიკური რევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც მომარჯვებულია ჩინეთის პირობების თავისებურებებს და რომელმაც დაამტკიცა თავისი გამოსადეგობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის ჩინეთში, — სისულელე და უგუნურება იქნებოდა წლობით შექმნილი ამ ორგანიზაციის დაშლა ახლა, როცა ეს-ეს არის დაიწყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელსაც ჯერ არ გაუმარჯვნია და რომელიც არც თუ მალე გაიმარჯვებს.

ამის მიხედვით ზოგიერთ ამხანაგს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ გომინდანი შეიძლება გამოყენებულ იქნას მომავალშიც, პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლისას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმა, ამასთან ისინი ამაში ხედავენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობას.

რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა, საერთოდ რომ ვთქვათ, რასაკვირველია, გამორიცხული არ არის. ჩვენშიც, რუსეთშიც, 1917 წლის დამდეგს ლაპარაკობდნენ საბჭოების საშუალებით რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობაზე.

მაგრამ, ჯერ-ერთი, გომინდანი საბჭოები როდია, და თუ იგი მომარჯვებულია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარების საქმეს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი შეიძლება მომარჯვებული იყოს პროლეტარული რევოლუციის განვითარების საქმესთან, მაშინ როცა მუშათა დეპუტატების საბჭოები პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე მომარჯვებულ ფორმას წარმოადგენენ.

მეორეც, საბჭოების დროსაც კი რუსეთში 1917 წელს ნამდვილად გამორიცხული აღმოჩნდა მშვიდობიანი გადასვლა პროლეტარულ რევოლუციაზე.

მესამეც, პროლეტარული ცენტრები ჩინეთში ისე ცოტაა, ხოლო ჩინეთის რევოლუციის მტრები ისე ძლიერი და მრავალრიცხოვანი არიან, რომ რევოლუციის ყოველ წინსვლას და იმპერიალისტთა ყოველ შეტევას აუცილებლად მოჰყვება გომინდანისაგან ახალი გამოთიშვა და გომინდანის ავტორიტეტის ხარჯზე კომპარტიის ახალი გაძლიერება.

მე ვფიქრობ, რომ ჩინეთის რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი გზა გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს.

მე ვფიქრობ, რომ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა ჩინეთში საჭირო გახდება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე გარდამავალ პერიოდში. ვინაიდან თანამედროვე პირობებში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გარეშე შეუძლებელია ასეთი გადასვლა.

საჭიროა ჯერ გაიშალოს აგრარული მოძრაობა მთელ ჩინეთში, საჭიროა განმტკიცდეს უხანი და მხარი დაეჭიროს მას ფეოდალურ-ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საჭიროა დახმარება გაეწიოს უხანს კონტრრევოლუციაზე გამარჯვების მოპოვებაში, საჭიროა ფართოდ და ყველგან განვითარდეს გლეხთა კავშირები, მუშათა პროფკავშირები და სხვა რევოლუციური ორგანიზაციები, როგორც ბაზები საბჭოების შესაქმნელად მომავალში, საჭიროა შესაძლებლობა მიეცეს ჩინეთის კომპარტიას განამტკიცოს თავისი გავლენა გლეხობასა და არმიაში, — და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეიქმნას მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, როგორც ახალი ხელისუფლებისათვის ბრძოლის ორგანოები, როგორც ორხელისუფლებიანობის ფაქტორები, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის მომზადების ფაქტორები.

ჩინეთში მუშათა საბჭოების შექმნა ლიტონი სიტყვა, ფუჭი «რევოლუციური» დეკლამაცია როდია. ამ საკითხს არ შეიძლება ისე ქარაფშუტულად ვუყუროთ, როგორც ამას ტროცკი აკეთებს.

მუშათა და გლეხთა საბჭოების შექმნა — ეს, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს გომინდანიდან გამოსვლას, ვინაიდან არ შეიძლება საბჭოების შექმნა და ორხელისუფლებიანობის წინ წაწევა, მუშათა და გლეხთა მოწოდება ახალი ხელისუფლების შექმნისაკენ, და ამავე დროს გომინდანისა და მისი მთავრობის შემადგენლობაში დარჩენა.

მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნა — ეს ნიშნავს, შემდეგ, გომინდანის **შიგნით** არსებული ახლანდელი ბლოკის შეცვლას ბლოკით გომინდანის **გარეთ**, იმ ბლოკის ანალოგიურად, რომელიც ბოლშევიკებს 1917 წლის ოქტომბერში მემარცხენე ესერებთან ჰქონდათ.

რატომ?

იმიტომ, რომ თუ იქ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს, ლაპარაკია პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურის შექმნაზე, და ამას სავსებით შეესაბამება გომინდანს შიგნით არსებული ბლოკის პოლიტიკა, აქ, საბჭოების შექმნისა და პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის დროს, ლაპარაკი იქნება პროლეტარიატის დიქტატურის შექმნაზე, საბჭოების ხელისუფლების შექმნაზე, ხოლო ასეთი ხელისუფლების მომზადება და შექმნა შეიძლება მხოლოდ **ერთი** პარტიის, კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით.

შემდეგ. მუშათა დეპუტატების საბჭოების არსებობა გამოიწვევს ვალდებულებას. ამჟამად ჩინეთში მუშები თვეში 8—15 მანეთს იღებენ, აუტანელ პირობებში ცხოვრობენ, მეტის-მეტად ბევრს მუშაობენ. ამას საჭიროა და შეიძლება ბოლო მოეღოს ახლავე — ხელფასის გადიდებით, რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღებით, მუშათა კლასის საბინაო პირობების გაუმჯობესებით და სხვ. მაგრამ მუშათა დეპუტატების საბჭოების დროს მუშები ამაზე არ შეჩერდებიან. ისინი კომუნისტებს ეტყვიან (და მართალი იქნებიან): თუ ჩვენ საბჭოები გვაქვს, საბჭოები კი ხელისუფლების ორგანოებია, არ შეიძლება შევავიწროოთ ბურჟუაზია და მისი «ცოტაოდენი» ექსპროპრიაცია მოვახდინოთ? კომუნისტები ფუჭი მოლაყბეები იქნებიან, თუ არ დაადგებიან ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის გზას მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების არსებობის დროს.

საკითხავია: შეიძლება და საჭიროა თუ არა ამ გზაზე დადგომა ახლა, რევოლუციის დღევანდელ ფაზაზე?

არა, საჭირო არ არის.

შეიძლება და საჭიროა თუ არა მომავალში ბურჟუაზიის ექსპროპრიაციაზე ხელის აღება მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების დროს? არა, არ შეიძლება. მაგრამ იმის ფიქრი, რომ ამასთანავე შეიძლება შენარჩუნებულ იქნას კომუნისტების ბლოკი გომინდანის **შიგნით** — ნიშნავს შეიქმნათ ილუზია და არ გვესმოდეს მექანიკა კლასობრივ ძალთა ბრძოლისა ბურჟუაზიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის პერიოდში.

აი როგორია საქმის ვითარება ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნის საკითხის მხრივ.

როგორც ხედავთ, იგი ისე მარტივი არ არის, როგორც ამას გვისახავს ტროცკისა და ზინოვიევის მსგავსი ზოგიერთი უზომოდ ქარაფშუტა ადამიანი.

საერთოდ დასაშვებია თუ არა, **პრინციპული** თვალსაზრისით, მარქსისტების მონაწილეობა და თანამშრომლობა რევოლუციურ ბურჟუაზიასთან ერთ საერთო რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიაში ან ერთ საერთო რევოლუციურ-დემოკრატიულ მთავრობაში?

ზოგიერთი ოპოზიციონერი ფიქრობს, რომ დაუშვებელია. მარქსიზმის ისტორია კი ამბობს, რომ გარკვეულ პირობებში და გარკვეული ვადით ასეთი მონაწილეობა სავსებით დასაშვებია.

მე შემეძლო დამემოწმებინა ისეთი მაგალითი, როგორიცაა მარქსის მაგალითი 1848 წელს გერმანიაში, გერმანიის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციის დროს, როცა მარქსი თავისი თანამოაზრეებიანად შედიოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კავშირში რეინის პროვინციაში და როცა ამ რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს, «რეინის ახალ გაზეთს», მარქსი რედაქტორობდა.

ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კავშირში რომ იყვნენ და წინ უბიძგებდნენ რევოლუციურ ბურჟუაზიას, მარქსი და მისი თანამოაზრეები ამავე დროს ყოველმხრივ აკრიტიკებდნენ თავიანთ მემარჯვენე მოკავშირეთა ორჭოფობას ისევე, როგორც ჩინეთის კომპარტიამ, გომინდანში რომ იმყოფება, ყოველმხრივ უნდა გააკრიტიკოს მერყეობა და ორჭოფობა თავისი მოკავშირეებისა — მემარცხენე გომინდანელებისა.

ცნობილია, რომ მხოლოდ 1849 წლის გაზაფხულზე დატოვეს მარქსმა და მისმა თანამოაზრეებმა ეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კავშირი და შეუდგნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც სრულიად დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკა ექნებოდა.

როგორც ხედავთ, მარქსი უფრო შორსაც კი მიდიოდა, ვიდრე ჩინეთის კომპარტია, რომელიც გომინდანში შედის როგორც პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი პარტია.

შეიძლება ვიდავოთ ან არ ვიდავოთ, მიზანშეწონილი იყო თუ არა, რომ მარქსი და მისი თანამოაზრენი 1848 წელს ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კავშირში შედიოდნენ. მაგალითად, როზა ლუქსემბურგი ფიქრობდა, რომ მარქსი არ უნდა შესულიყო ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კავშირში. ეს **ტაქტიკის** საკითხია. მაგრამ მარქსსა და ენგელსს რომ **პრინციპულად** შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიაჩნდათ ბურჟუაზიულ-რევოლუციური პარტიის შემადგენლობაში ყოფნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, გარკვეულ პირობებში და გარკვეული ვადით, — ეს სრულიად უეჭველია. რაც შეეხება მარქსისტების მონაწილეობას რევოლუციურ-დემოკრატიულ მთავრობაში და იქ რევოლუციურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას, გარკვეულ პირობებში და გარკვეულ ვითარებაში, ამაზე ჩვენ გვაქვს ისეთი მარქსისტების მითითე-

ბანი, როგორიც არიან ენგელსი და ლენინი. ცნობილია, რომ ენგელსი თავის ბროშურაში «ბაკუნისტები მუშაობენ»[67] აზრს გამოთქვამდა ასეთი მონაწილეობის სასარგებლოდ. ცნობილია, რომ ლენინიც 1905 წელს აზრს გამოთქვამდა იმის სასარგებლოდ, რომ დასაშვებია ასეთი მონაწილეობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციურ მთავრობაში.

V

ორი ხაზი

მაშასადამე, ჩვენს წინაშეა ორი სულ სხვადასხვა ხაზი ჩინეთის საკითხში — კომინტერნის ხაზი და ტროცკისა და ზინოვიევის ხაზი.

კომინტერნის ხაზი. ფეოდალური გადმონაშთები და მათზე დამყარებული ბიუროკრატიულ-მილიტარისტული ზედნაშენი, რომელსაც ყოველნაირად უჭერენ მხარს ყველა ქვეყნის იმპერიალისტები, ჩინეთის ახლანდელი სინამდვილის ძირითად ფაქტს წარმოადგენენ.

ჩინეთი ამჟამად განიცდის აგრარულ რევოლუციას, რომელიც მიმართულია როგორც ფეოდალური გადმონაშთების, ისე იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

აგრარული რევოლუცია ჩინეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფუძველსა და შინაარსს შეადგენს.

უხანის გომინდანი და უხანის მთავრობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციური მოძრაობის ცენტრს წარმოადგენენ.

ნანკინი და ნანკინის მთავრობა ნაციონალური კონტრრევოლუციის ცენტრს წარმოადგენენ.

უხანის მხარდაჭერის პოლიტიკა ამავე დროს არის პოლიტიკა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გაშლისა აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. აქედან წარმოსდგება კომუნისტების მონაწილეობა უხანის გომინდანში

და უხანის რევოლუციურ მთავრობაში, მონაწილეობა, რომელიც კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს კომუნისტების მხრივ გომინდანში თავიანთი მოკავშირეების ორჭოფობისა და მერყეობის ყოველმხრივ კრიტიკას.

კომუნისტების ეს მონაწილეობა გამოყენებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ პროლეტარიატს გავუადვილოთ ჰეგემონის როლი ჩინეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და მოვაახლოოთ პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის მომენტი.

იმ მომენტისათვის, როცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია სრულ გამარჯვებას მიუახლოვდება და როცა ბურჟუაზიული რევოლუციის მსვლელობაში დაისახება პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის გზები, — ამ მომენტისათვის უნდა შეიქმნას მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, როგორც ორხელისუფლებიანობის ფაქტორები, როგორც ახალი ხელისუფლებისათვის ბრძოლის ორგანოები, როგორც ახალი ხელისუფლების, საბჭოების ხელისუფლების ორგანოები.

ამ დროისათვის კომუნისტების ბლოკი გომინდანის შიგნით უნდა შეიცვალოს ბლოკით გომინდანის გარეთ, ხოლო კომპარტია უნდა გახდეს **ახალი** რევოლუციის **ერთადერთი** ხელმძღვანელი ჩინეთში.

ახლა იმ წინადადების წამოყენება, როგორც ამას ტროცკი და ზინოვიევი აკეთებენ, რომ **დაუყოვნებლივ** შეიქმნას მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები და **დაუყოვნებლივ** შეიქმნას ორხელისუფლებიანობა, ახლა, როცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჯერ კიდევ თავისი განვითარების დაწყებითს ფაზაშია, როცა გომინდანი წარმოადგენს ნაციონალურ-დემოკრატიული რევოლუციის ორგანიზაციის ისეთ ფორმას, რომელიც ყველაზე მეტად არის მომარჯვებული და ყველაზე მეტად შეესაბამება ჩინეთის სპეციფიკურ თავისებურებებს, — ეს ნიშნავს რევოლუ-

ციური მოძრაობის დეზორგანიზებას, უხანის დასუსტებას, მისი დაცემის გაადვილებას და ჩჟან ძო-ლინისა და ჩან კაი-შისათვის დახმარების გაწევას.

ტროცკისა და ზინოვიევის ხაზი. ფეოდალიზმის გადმონაშთები ჩინეთში — ბუხარინის გამონაგონია. ეს გადმონაშთები ან სრულებით არ არის ჩინეთში, ან ისე უმნიშვნელოა, რომ არ შეიძლება რამდენადმე სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეთ.

ჩინეთში ახლა, თურმე, არის აგრარული რევოლუცია. მაგრამ საიდან გაჩნდა იგი, თვით ეშმაკიც ვერ გაერკვევა. (ს ი ც ი ლ ი).

მაგრამ რაკი იგი, ეს აგრარული რევოლუცია, არის, რა თქმა უნდა, მოგვიხდება ასე თუ ისე დავუჭიროთ მას მხარი.

ახლა მთავარია არა აგრარული რევოლუცია, არამედ რევოლუცია ჩინეთის საბაჟო დამოუკიდებლობისათვის, ასე ვთქვათ, ანტისაბაჟო რევოლუცია.

უხანის გომინდანი და უხანის მთავრობა ან «ფიქციაა» (ტროცკი), ან ქემალიზმი (ზინოვიევი).

ერთი მხრივ, საჭიროა შეიქმნას ორხელისუფლებიანობა უხანის მთავრობის **დასამხობად** საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის გზით (ტროცკი). მეორე მხრივ, საჭიროა **განმტკიცებულ იქნას** უხანის მთავრობა, საჭიროა ენერგიული და ყოველმხრივი **დახმარება** გაეწიოს უხანის მთავრობას, აგრეთვე, თურმე, საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის გზით (ზინოვიევი).

წესის მიხედვით, კომუნისტები დაუყოვნებლივ უნდა წასულიყვნენ ამ «ფიქციიდან», უხანის მთავრობიდან და უხანის გომინდანიდან. თუმცა, ესეც კია, უმჯობესი იქნებოდა ისინი დარჩენილიყვნენ ამ «ფიქციაში», ე. ი. უხანის მთავრობაშიც და უხანის გომინდანშიც. მაგრამ რისთვის უნდა დარჩნენ ისინი უხანში, თუ უხანი «ფიქციაა», —

ეს, თურმე, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ხოლო ვინც ამას არ ეთანხმება, — ის მოღალატე და გამცემია.

ასეთია ტროცკისა და ზინოვიევის ეგრეთწოდებული ხაზი.

არა მგონია შეიძლებოდეს წარმოვიდგინოთ იმაზე უფრო შეუსაბამო და აბნეული რამ, ვიდრე ეს ეგრეთწოდებული ხაზია.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარქსისტებთან, არამედ ცხოვრებას მოწყვეტილ რომელიღაც კანცელარისტებთან ან, უფრო უკეთ, — «რევოლუციურ» ტურისტებთან, რომლებიც მოგზაურობენ სხვადასხვა სოხუმებსა და კისლოვოდსკებში, გამოეპარათ კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმი, რომელმაც ჩინეთის რევოლუციის შესახებ ძირითადი გეზი მოგვცა, შემდეგ გაზეთებიდან შეიტყვეს, რომ ჩინეთში მართლაც მომხდარა რომელიღაც — აგრარული თუ ანტისაბაჟო — რევოლუცია, და გადაწყვიტეს, რომ საჭიროა შეადგინონ მთელი გროვა თეზისები, — აპრილში ერთი ჯურის თეზისები, მაისის დამდეგს მეორენაირი თეზისები, მაისის დამლევს მესამენაირი თეზისები, და, მთელ გროვა თეზისებს რომ შეადგენენ, მიაყაროონ ისინი კომინტერნის აღმასკომს, ვარაუდობენ რა, ალბათ, რომ აბნეული და ურთიერთის საწინააღმდეგო თეზისების სიუხვე ჩინეთის რევოლუციის ხსნის ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

ასეთია, ამხანაგებო, ორი ხაზი ჩინეთის რევოლუციის საკითხებში.

თქვენ დაგჭირდებათ არჩევანი მოახდინოთ ამ ორ ხაზს შორის.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო,

ბოლოს მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ტროცკისა და ზინოვიევის ფრაქციულ გამოსვლათა პოლიტიკური აზრისა და მნიშვნელობის შესახებ **ახლანდელ მომენტში**. ისინი

ჩივიან, რომ მათ საკმაო თავისუფლებას არ აძლევენ უმაგალითო და შეუწყნარებელი ლანძღვა-გინებისათვის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და კომინტერნის აღმასკომის მიმართ. ისინი უჩივიან «რეჟიმს» კომინტერნსა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ). არსებითად, მათ თავისუფლება სურთ კომინტერნისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) დეზორგანიზაციისათვის. არსებითად, მათ სურთ კომინტერნში და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) გადმონერგონ მასლოვისა და კომპანიის ზნე-ჩვეულება.

უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ ტროცკიმ პარტიასა და კომინტერნზე თავისი თავდასხმებისათვის მეტად შეუფერებელი მომენტი აირჩია. ეს არის ცნობა მივიღე, რომ ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ გადაწყვიტა ურთიერთობა გაწყვიტოს სსრ კავშირთან. მტკიცებაც არ უნდა, რომ ახლა ყველგან დაიწყება ლაშქრობა კომუნისტების წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა უკვე დაიწყო. საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბ) ერთნი ემუქრებიან ომსა და ინტერვენციას. მეორენი — გათიშვას. იქმნება ერთიანი ფრონტის მსგავსი რამ ჩემბერლენიდან ტროცკიმდე.

შესაძლოა, რომ ამით ჩვენი შეშინება უნდათ. მაგრამ არა მგონია მტკიცება ესაჭიროებოდეს იმას, რომ ბოლშევიკები მშიშარები არ არიან. ბოლშევიზმის ისტორიაში ცოტა როდია ცნობილი ასეთი «ფრონტი». ბოლშევიზმის ისტორია გვიჩვენებს, რომ ასეთ «ფრონტებს» მუდამ ამსხვრევდნენ ბოლშევიკების რევოლუციური სიმტკიცე და უმაგალითო მამაცობა.

შეგიძლიათ არ დაეჭვდეთ, რომ ჩვენ შევძლებთ ამ ახალი «ფრონტის» დამსხვრევასაც. (ტ ა შ ი).

«ბოლშევიკ» № 10,
1927 წ. 31 მაისი.

აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ორი წლის წინათ, აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის არსებობის მეოთხე წლისთავის გამო თქვენთან სიტყვით რომ გამოვედი, მე ვილაპარაკე უნივერსიტეტის ამოცანებზე როგორც საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, ისე აღმოსავლეთის ჩაგრული ქვეყნების მიმართ [68].

ასრულებს რა თავის ამოცანებს, უნივერსიტეტი ახლა ბრძოლის ცეცხლში გზავნის მებრძოლთა ახალ კადრებს, უნივერსიტეტდამთავრებულ მსმენელთა თავის მეოთხე გამოშვებას, რომლებიც წარმოადგენენ 74 ეროვნებას, ლენინიზმის მძლავრი იარაღით შეიარაღებულ ამხანაგებს.

ამხანაგები საბრძოლო სამუშაოზე მიდიან ისტორიის ერთ-ერთ უაღრესად პასუხსაგებ მომენტში, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი და, უწინარეს ყოვლისა, ინგლისის იმპერიალიზმი ცდილობს ყელში სწვდეს ჩინეთის რევოლუციას და ამავე დროს ბრძოლაში იწვევს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირს — იმ იმედით, რომ მოსპობს ყველა ქვეყნის პროლეტართა ურყევსა და მძლავრ დასაყრდენს.

მივესალმები ახლად კურსდამთავრებულ ამხანაგებს და მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ ისინი ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ ვალს პროლეტარიატის წინაშე და მთელ ძალღონესა და ცოდნას მოახმარენ იმპერიალიზმის უღლისაგან აღმოსავლეთის მშრომელთა განთავისუფლების საქმეს.

ი. სტალინი

«პრავდა» № 121,
1927 წ. 31 მაისი.

პასუხი ს. პოკროვსკის

თქვენთან მიწერ-მოწერა რომ დავიწყე, მეგონა, ჰეშმარიტების მაძიებელ ადამიანთან მქონდა საქმე. ახლა, თქვენი მეორე წერილის შემდეგ, ვხედავ, რომ მიწერ-მოწერას ვაწარმოებ საკუთარ თავზე შეყვარებულ თავხედთან, რომელიც საკუთარი პიროვნების «ინტერესებს» ჰეშმარიტების ინტერესებზე მაღლა აყენებს. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამ მოკლე (და უკანასკნელ) პასუხში საგნებს პირდაპირ ვუწოდებ თავის სახელებს.

1. მე ვამტკიცებდი, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში პარტიამ ძველი სტრატეგიული ლოზუნგი — პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისა და «**მთელ** გლეხობასთან კავშირის» შესახებ **შეცვალა** ახალი სტრატეგიული ლოზუნგით — პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურისა და «**უღარიბეს** გლეხობასთან კავშირის» შესახებ.

მე ვამტკიცებდი, რომ პარტია მიდიოდა და მივიდა ოქტომბრამდე ამ ახალი ლოზუნგის გატარებით, რომ ასეთი ლოზუნგის გაუტარებლად პარტია ვერ შექმნიდა საჭირო პოლიტიკურ არმიას, რომელსაც უნარი ექნებოდა დაემხო ბურჟუაზიის ხელისუფლება და დაემყარებინა პროლეტარიატის ხელისუფლება.

თქვენ გადაჭრით ილაშქრებდით ამ ჩემი მტკიცების წინააღმდეგ და ამტკიცებდით, რომ «თებერვლიდან ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში პარტია იცავდა თავის **ძველ** ლოზუნგს გლეხობის მიმართ — **მთელ** გლეხობასთან კავშირს» (იხ. თქვენი პირველი წერილი). და თქვენ არა მარტო ამტკიცებდით, არამედ თითქმის აქსიომადაც მიგაჩნდათ ეს ანტილენინური, წმინდა კამენევური კონცეფცია.

ასე **იყო** საქმე, და სწორედ **ამაზე** გვქონდა დავა.

ახლა, როცა დაინახეთ, თუ რა ტევრში შეგიყვანათ თქვენმა ჯიუტობამ და თავისმოიმედეობამ, თქვენ იძულებული ხართ ჩურჩულით აღიაროთ თქვენი შეცდომა, და ამტკიცებთ, რომ «აპრილ-ოქტომბრის პერიოდში პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი იყო სწორედ ლოზუნგი პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის დიქტატურისა» (იხ. თქვენი მეორე წერილი).

მაგრამ ამ თქვენს შეცდომას ჩურჩულით რომ აღიარებთ, თქვენ იქვე ცდილობთ ხმამაღლა მისცეთ მას უმნიშვნელო «სიტყვიერი» არასიზუსტის ხასიათი და აცხადებთ, რომ «იმ სიტყვიერ გაფორმებას, რომელიც ჩემს აზრს წინა წერილში მივეცი, როცა ვამბობდი, რომ პარტიამ უკუაგდო თავისი ძველი ლოზუნგი მთელ გლეხობასთან კავშირის შესახებ, მართლაც, შეუძლია გაურკვევლობა გამოიწვიოს» (იხ. თქვენი მეორე წერილი).

გამოდის, რომ ჩვენ დავა გვქონდა «სიტყვიერების», და არა ორი **პრინციპულად** სხვადასხვა კონცეფციის შესახებ!

ამას ჩვენში, რბილად რომ ვთქვა, — **თავხედობა** ეწოდება.

2. მე ვამტკიცებდი, რომ ოქტომბრის მომზადება ჩვენში მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, როცა გვიხდებოდა ბრძოლა გლეხობის გარკვეული ნაწილის შემთანხმებლო-

ბასა და მერყეობასთან საბჭოებში, რომ ეს მერყეობა და ეს შემთანხმებლობა უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ რევოლუციას (ბოლშევიკების დამარცხება 1917 წლის ივლისში), რომ მხოლოდ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის დროს შეიძლებოდა წარმატებით ბრძოლა ამ მერყეობისა და შემთანხმებლობის წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ამ ლოზუნგის მეოხებით შესძლეს ბოლშევიკებმა საშუალო გლეხის მერყეობისა და შემთანხმებლობის ნეიტრალიზება.

თქვენ გადაჭრით ილაშქრებდით ამის წინააღმდეგ და დაჟინებით იცავდით იმ თქვენს შეცდომას, რომ თებერვლიდან ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში პარტია მუშაობას ეწეოდა ძველი ლოზუნგით — «მთელ გლეხობასთან კავშირის» შესახებ. და რომ ილაშქრებდით, ამით გინდოდათ ბოლშევიზმის ისტორიიდან ამოგეშალათ მისი საუკეთესო ფურცლები, სადაც ლაპარაკია ბოლშევიკების ბრძოლაზე წვრილბურჟუაზიული პარტიებისაგან გლეხობის საშუალო ფენების მოწყვეტისათვის, ამ პარტიების იზოლაციისათვის, გლეხობის გარკვეული ფენების მერყეობისა და შემთანხმებლობის ნეიტრალიზაციისათვის.

ასე **იყო** საქმე.

ახლა თქვენ იძულებული ხართ აღიაროთ **როგორც** თებერვლიდან ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში გლეხობის გარკვეული ნაწილის მერყეობისა და შემთანხმებლობის ფაქტი, **ისე** ამ მერყეობისა და შემთანხმებლობის წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის ფაქტი.

მაგრამ ამას რომ აღიარებთ, თავს ისე გვაჩვენებთ, თითქოს ამას დამოკიდებულება არ ჰქონდეს საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის საკითხთან, და ახერხებთ ისიც კი მისაყვედუროთ, რომ «უპასუხოდ დავტოვე» საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის საკითხი.

ორში ერთი: თქვენ ან ძალიან გულუბრყვილო ხართ, ან შეგნებულად იფხატავთ გულუბრყვილობის ნიღაბს რომელიღაც სრულიად არა მეცნიერული მიზნისათვის.

3. მე ვამტკიცებდი, რომ ოქტომბერში პარტიამ გამარჯვებას მიაღწია ახალი სტრატეგიული ლოზუნგის — პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის წარმატებით გატარების მეოხებით, რომ ძველი ლოზუნგის — მთელ გლეხობასთან კავშირის ლოზუნგის ახალი ლოზუნგით — ღარიბ გლეხობასთან კავშირის ლოზუნგით შეცვლის გარეშე იგი ვერ მიაღწევდა ვერც გამარჯვებას ოქტომბერში, ვერც მთელი გლეხობის მხარდაჭერას ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობაში, რომ მთელი გლეხობა ბოლშევიკებს მხარს უჭერდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ ბოლომდე მიჰყავდათ ბურჟუაზიული რევოლუცია, რომ რადგან ოქტომბრის ძირითადი მიზანი იყო სოციალისტური და არა ბურჟუაზიული რევოლუცია, მთელი გლეხობის მიერ ამ მხარდაჭერას პირობითი და შეზღუდული ხასიათი ჰქონდა.

თქვენ, არსებითად, ილაშქრებდით ამის წინააღმდეგ, ვინაიდან თქვენს პირველ წერილში უარყოფდით თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ძველი ლოზუნგის ახალი ლოზუნგით შეცვლის ფაქტს.

ასე **იყო** საქმე.

ახლა თქვენ იძულებული ხართ სიტყვიერად აღიაროთ, რომ ძველი სტრატეგიული ლოზუნგი მთელი გლეხობის შესახებ ნამდვილად შეცვლილ იქნა ახალი სტრატეგიული ლოზუნგით უღარიბეს გლეხობასთან კავშირის შესახებ.

მაგრამ, ეს ჭეშმარიტება რომ აღიარეთ, თქვენ იქვე დაიწყეთ კამენევისებურად კვალის დაფარვა, მთელი გლეხობის მხარდაჭერის უზრუნველყოფის «ტაქტიკური» ამოცანა **დაუპირდაპირეთ** უღარიბეს გლეხობასთან კავშირის უზრუნველყოფის «სტრატეგიულ» ამოცანას, კამენევისებუ-

რად გააბათილეთ თქვენს მიერ ის-ის იყო აღიარებული ჭეშმარიტება მეორე სტრატეგიული ლოზუნგის შესახებ და, არსებითად, დაუბრუნდით კამენევის ძველ პოზიციას, ამასთან მოახერხეთ იქვე ცილი დაგეწამებინათ ჩემთვის, თითქოს მე არ ვცნობდი მთელი გლეხობის მიერ ბოლშევიკების გარკვეულ პირობითს მხარდაჭერას ოქტომბრის რევოლუციის დროს.

თქვენ, როგორც ჩანს, არ გესმით, რომ ტაქტიკური ამოცანები შეადგენენ სტრატეგიული ამოცანის ნაწილს, რომ არ შეიძლება პირველთა გაიგივება მეორესთან და მით უფრო არ შეიძლება პირველთა დაპირისპირება მეორესთან.

თქვენ, როგორც ჩანს, არ გესმით, რომ **მთელი** გლეხობის მიერ პროლეტარული რევოლუციის მხარდაჭერა ჩვენში შეიძლებოდა მხოლოდ მეტად პირობითი და შეზღუდული ყოფილიყო, რამდენადაც ოქტომბრის რევოლუციას ბოლომდე მიჰყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია, ესე იგი რამდენადაც იგი სპობდა მემამულეთა საკუთრებას, მემამულურ წესებს და მემამულური წესების პოლიტიკურ ზედნაშენს — მონარქიას.

თქვენ, როგორც ჩანს, არ იცით, რომ პიტერის გარნიზონმა (გლეხურმა) 1917 წლის ოქტომბერში საბჭოების მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ **უარი თქვა** წასულიყო ფრონტზე კერენსკის წინააღმდეგ, როცა ეს უკანასკნელი პიტერზე მოდიოდა, და ამავე დროს განაცხადა, რომ იგი, ეს გარნიზონი, «მშვიდობის მომხრეა და ახალი ომის წინააღმდეგი», ამასთან, ჩანს, მშვიდობა ესმოდა არა როგორც იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, არამედ როგორც ხიშტის ჩარჭობა მიწაში, ე. ი. ესმოდა იგი ისევე, როგორ გესმით თქვენ და მრავალ სხვა პოლიტიკურ ობივატელს (იხ. თქვენი პირველი წერილი).

თქვენ, როგორც ჩანს, არ იცით, რომ პიტერი მაშინ კერენსკისა და კრასნოვის შესევას გადაარჩინეს წითელგვარდიელებმა და მატროსებმა.

თქვენ, როგორც ჩანს, არ იცით, რომ ჩვენში სამოქალაქო ომი მის პირველ ფაზაში — 1917 წლის ოქტომბრის — 1918 წლის გაზაფხულის პერიოდში — წარმოებდა, უმთავრესად, მუშებისა და მატროსების ძალებით, და იმ დროს «მთელი გლეხობის» ეგრეთწოდებული მხარდაჭერა ხშირად იმით გამოიხატებოდა, რომ იგი პირდაპირ არ გვიშლიდა ხელს დაგვეცხო პროლეტარული რევოლუციის მტრებისათვის.

თქვენ, როგორც ჩანს, არ იცით, რომ წითელი არმიის, როგორც მასობრივი არმიის, ნამდვილად შექმნა ჩვენ შევძელით მხოლოდ 1918 წლის მეორე ნახევარში, როცა მიწა უკვე დაირიგეს გლეხებმა, როცა კულაკი საკმაოდ დაუძლურებული იყო, საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე შეინარჩუნა არსებობა და როცა «საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის» ლოზუნგის გატარების **შესაძლებლობა შეიქმნა...**

რა თქმა უნდა, შეიძლება სწერდეთ ყოველგვარ აბდაუბდასა და ტყუილს, — ქაღალდი ყველაფერს იტანს, — შეიძლება კამენევისებურად იკლაკნებოდეთ და ჰფარავდეთ კვალს... მაგრამ ზომა ხომ უნდა იცოდეთ.

4. თქვენ გაგიტაცათ თქვენი კალმის **«მხატვრობამ»**, არხეინად დაივიწყეთ თქვენი პირველი წერილი და ამტკიცებთ, რომ მე ვერ გამიგია ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად **გადაზრდის** საკითხი.

მართლაც რომ ამაზეა ნათქვამი: ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო!

რა არის ბურჟუაზიული რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციად? განა შეიძლება ეს გადაზრდა ჩვენს ქვეყანაში წარმოვიდგინოთ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ძველი ლოზუნგის შეუცვლელად ახალი ლოზუნგით — პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით? ცხადია, არ შეიძლება.

რისთვის ებრძოდა ლენინი კამენევს 1917 წლის აპრილში, ძველი ლოზუნგის ახალი ლოზუნგით შეცვლას რომ იცავდა და ამ შეცვლას რომ უკავშირებდა რუსეთის რევოლუციის პირველი ეტაპიდან (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია) მის მეორე ეტაპზე (პროლეტარული რევოლუცია) გადასვლას? განა იმისათვის არა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო და გაადვილებულიყო ბურჟუაზიული რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციად? ცხადია, ამისათვის.

ვინ ილაშქრებდა მაშინ ძველი ლოზუნგიდან ახალ ლოზუნგზე გადასვლის წინააღმდეგ? ცხადია, კამენევი.

ვინ უარყოფდა 1927 წლის გაზაფხულზე იმ **ფაქტს,** რომ ბოლშევიკებმა ოქტომბრის მომზადების პერიოდში ძველი სტრატეგიული ლოზუნგი ახალი სტრატეგიული ლოზუნგით შეცვალეს? ცხადია, თქვენ, პატივცემულო პოკროვსკი.

ვინ ასწორებდა პოკროვსკის **ამ** კამენევურ შეცდომას? ცხადია, **ამხ.** სტალინი.

განა აქედან ცხადი არ არის, რომ თქვენ ფრჩხილის ოდენაც, — სწორედ ფრჩხილის ოდენაც, — ვერა გაგიგიათ რა ბურჟუაზიული რევოლუციის პროლეტარულ რევოლუციად გადაზრდის საკითხში?

დასკვნა: კაცს უმეცარის თავხედობა და გონებაშეზღუდული ეკვილიბრისტის თვითკმაყოფილება უნდა ჰქონდეს, რომ საგნებს ისე უბოდიშოდ აყენებდეს თავდაყირა, როგორც ამას სჩადიხართ თქვენ, პატივცემულო პოკროვსკი.

მე ვფიქრობ, რომ დადგა დრო თქვენთან მიწერ-მოწერის შეწყვეტისა.

ი. სტალინი

1927 წ. 23 ივნისი.

იბეჭდება პირველად.

შენიშვნები თანამედროვე თემებზე

I

ომის საფრთხის შესახებ

ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ თანამედროვეობის ძირითად საკითხს წარმოადგენს საკითხი ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხისა. საქმე ეხება არა ახალი ომის რომელიღაც გაურკვეველ და უსხეულო «საშიშროებას». საქმე ეხება საერთოდ ახალი ომის, განსაკუთრებით კი სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის რეალურ და ნამდვილ **საფრთხეს.**

მსოფლიოს და გავლენის სფეროების გადანაწილება, რაც უკანასკნელი იმპერიალისტური ომის შედეგად მოხდა, უკვე «მოძველდა». დაწინაურდა ზოგიერთი ახალი ქვეყანა (ამერიკა, იაპონია). უკან რჩება ზოგიერთი ძველი ქვეყანა (ინგლისი). ცოცხლდება და იზრდება, სულ უფრო ძლიერდება კაპიტალისტური გერმანია, რომელიც ვერსალში კინაღამ დაასამარეს. მაღლა მიძვრება ბურჟუაზიული იტალია, რომელიც შურით შეჰყურებს საფრანგეთს.

წარმოებს გააფთრებული ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, კაპიტალის გასატანი ბაზრებისათვის, ამ ბაზრების საზღვაო და სახმელეთო გზებისათვის, მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის. იზრდება წინააღმდეგობანი ამერიკასა

და ინგლისს შორის, იაპონიასა და ამერიკას შორის, ინგლისსა და საფრანგეთს შორის, იტალიასა და საფრანგეთს შორის.

იზრდება წინააღმდეგობა კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, რაც დროდადრო გადმოხეთქავს ხოლმე პროლეტარიატის აშკარა რევოლუციური გამოსვლების სახით (ინგლისი, ავსტრია).

იზრდება წინააღმდეგობა იმპერიალისტურ სამყაროსა და დამოკიდებულ ქვეყნებს შორის, რაც ხშირად გადმოხეთქავს ხოლმე აშკარა კონფლიქტებისა და რევოლუციური აფეთქებების სახით (ჩინეთი, ინდონეზია, ჩრდილოეთი აფრიკა, სამხრეთი ამერიკა).

მაგრამ ყველა ამ წინააღმდეგობის ზრდა ნიშნავს, რომ იზრდება მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი, მიუხედავად სტაბილიზაციის ფაქტისა, კრიზისი, რომელიც შეუდარებლად უფრო ღრმაა, ვიდრე ის კრიზისი, უკანასკნელი იმპერიალისტური ომის წინ რომ იყო. სსრ კავშირის — პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის არსებობა და წარმატება მხოლოდ აღრმავებს და ამწვავებს ამ კრიზისს.

გასაკვირველი არ არის, რომ იმპერიალიზმი ემზადება ახალი ომისათვის, რომელშიც ამ კრიზისის გადაჭრის ერთადერთ გზას ხედავს. შეიარაღების უმაგალითო ზრდა, ბურჟუაზიულ მთავრობათა საერთო გეზი «მმართველობის» ფაშისტური მეთოდებისაკენ, ჯვაროსნული ლაშქრობა კომუნისტების წინააღმდეგ, სსრ კავშირის გააფთრებული დევნა, პირდაპირი ინტერვენცია ჩინეთში — ყოველივე ეს სხვადასხვა მხარეა ერთი და იმავე მოვლენისა — მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის ახალი ომის გასაჩაღებლად მზადებისა.

ისინი, იმპერიალისტები, უკვე დიდი ხანია წაიჩხუბებოდნენ, რომ არ იყვნენ კომუნისტური პარტიები, რომლებიც გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან იმპერიალისტური ომე-

ბის წინააღმდეგ, რომ არ იყოს სსრ კავშირი, რომლის სამშვიდობო პოლიტიკა ხელ-ფეხს უბოჭავს ახალი ომის გამჩაღებლებს, რომ არ ჰქონდეთ იმის შიში, რომ ერთმანეთს დაასუსტებენ და ამით გააადვილებენ იმპერიალისტური ფრონტის ახალ გარღვევას.

მე ვფიქრობ, უკანასკნელი გარემოება, ე. ი. იმის შიში, რომ ერთმანეთს დაასუსტებენ და ამით გააადვილებენ იმპერიალისტური ფრონტის ახალ გარღვევას, — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ჯერჯერობით აკავებს ურთიერთშორის ჩხუბისადმი მისწრაფებას.

აქედან წარმოსდგება «ბუნებრივი» მისწრაფება იმპერიალისტთა გარკვეული წრეებისა — გვერდზე გადადონ წინააღმდეგობანი თავიანთ საკუთარ ბანაკში, დროებით მიჩქმალონ ისინი, შექმნან იმპერიალისტთა ერთიანი ფრონტი და გაილაშქრონ სსრ კავშირის წინააღმდეგ, რათა თუნდაც ნაწილობრივ, თუნდაც დროებით გადაჭრან სსრ კავშირის ხარჯზე კაპიტალიზმის კრიზისი, რომელიც თანდათან ღრმავდება.

ის ფაქტი, რომ ამ საქმეში, სსრ კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტთა ერთიანი ფრონტის შექმნის საქმეში, ინიციატივა იკისრეს ინგლისის ბურჟუაზიამ და მისმა მებრძოლმა შტაბმა, კონსერვატორთა პარტიამ, — ეს ფაქტი ჩვენთვის რაიმე მოულოდნელს არ უნდა წარმოადგენდეს. ინგლისის კაპიტალიზმი მუდამ იყო, არის და იქნება სახალხო რევოლუციების ყველაზე ბოროტი ჩამხშობი. XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციით დაწყებული და ჩინეთის ახლანდელი რევოლუციით დამთავრებული, ინგლისის ბურჟუაზია მუდამ იდგა და კვლავ დგას კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის დამრბევთა პირველ რიგებში. საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ იმ ძალადობას, ძარცვასა და სამხედრო შემოსევებს, რაც ჩვენმა ქვეყანამ რამდენიმე

წლის წინათ განიცადა ინგლისელ კაპიტალისტთა წყალობით. მაშ რა გასაკვირველია, თუ ინგლისის კაპიტალი და მისი კონსერვატიული პარტია კვლავ კისრულობენ სათავეში ჩაუდგნენ ომს პროლეტარული რევოლუციის მსოფლიო კერის წინააღმდეგ, სსრ კავშირის წინააღმდეგ?

მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიას არ უყვარს ომი თავისი საკუთარი ხელით. იგი მუდამ ამჯობინებდა ომის სხვისი ხელით წარმოებას. და იგი მართლაც ზოგჯერ ახერხებდა და პოულობდა სულელებს, რომლებიც მზად იყვნენ მისთვის ეგლიჯათ ნარი.

ასე იყო საქმე საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, როცა ინგლისის ბურჟუაზიამ მოახერხა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კავშირის შექმნა.

ასე იყო საქმე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სსრ კავშირში, როცა ინგლისის ბურჟუაზია, თავს დაესხა რა სსრ კავშირს, შეეცადა შეექმნა «თოთხმეტი სახელმწიფოს კავშირი» და როცა იგი, მიუხედავად ამისა, კინწისკვრით იქნა გაგდებული სსრ კავშირის ფარგლებიდან.

ასეთია ახლა საქმის ვითარება ჩინეთში, სადაც ინგლისის ბურჟუაზია ცდილობს შექმნას ერთიანი ფრონტი ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ.

სავსებით გასაგებია, რომ კონსერვატორთა პარტია, ემზადება რა სსრ კავშირთან ომისათვის, უკვე რამდენიმე წელიწადია ეწევა მოსამზადებელ მუშაობას სსრ კავშირის წინააღმდეგ დიდი და მცირე სახელმწიფოების «საღვთო კავშირის» შესაქმნელად.

თუ წინათ, უკანასკნელ დრომდე, კონსერვატორთა ეს მოსამზადებელი მუშაობა ცოტად თუ ბევრად ფარულად წარმოებდა, ახლა, უკანასკნელ ხანს, ისინი «პირდაპირ მოქმედებაზე» გადავიდნენ, აშკარა დარტყმებს მიმართავენ სსრ

კავშირის წინააღმდეგ და ცდილობენ ყველას თვალწინ შეაკოწიწონ ყბადაღებული «საღვთო კავშირი».

პირველი აშკარა დარტყმა მოგვაყენა ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ პეკინში საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე თავდასხმის დროს. ამ თავდასხმის მიზანი, ყოველ შემთხვევაში, ორი იყო. მას უნდა აღმოეჩინა სსრ კავშირის «დამანგრეველი» მუშაობის «საშინელი» დოკუმენტები, რომლებსაც უნდა შეექმნათ საერთო აღშფოთების ატმოსფერო და ნიადაგი სსრ კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტისათვის. მას უნდა შეექმნა სამხედრო კონფლიქტი პეკინის მთავრობასთან და ჩაება სსრ კავშირი ჩინეთთან ომში.

ეს დარტყმა, როგორც ცნობილია, ჩაიფუშა.

მეორე აშკარა დარტყმა იყო ლონდონში არკოსზე თავდასხმისა და სსრ კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის დროს. ამ დარტყმის მიზანი იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა, სსრ კავშირის დიპლომატიური ბლოკადის დაწყება მთელ ევროპაში და საბჭოთა კავშირთან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაწყვეტათა სერიის პროვოცირება.

ეს დარტყმაც, როგორც ცნობილია, ჩაიფუშა.

მესამე აშკარა დარტყმა მოგვაყენეს ვარშავაში ვოიკოვის მოკვლის მოწყობის გზით. ვოიკოვის მოკვლას, რაც კონსერვატიული პარტიის აგენტებმა მოაწყეს, უნდა შეესრულებინა, მისი ავტორების განზრახვით, სარაევოში მომხდარი მკვლელობის როლი, ჩაება სსრ კავშირი პოლონეთთან სამხედრო კონფლიქტში.

ეს დარტყმაც, თითქოს, ჩაიფუშა.

რით უნდა აიხსნას, რომ ამ დარტყმებს ჯერჯერობით არ მოჰყოლია ის ეფექტი, რომელსაც მათგან კონსერვატორები მოელოდნენ?

სხვადასხვა ბურჟუაზიული სახელმწიფოების საწინააღმდეგო ინტერესებით, რომელთაგან ბევრი დაინტერესებულია იმით, რომ სსრ კავშირთან ეკონომიური კავშირი შეინარჩუნოს.

სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკით, რომელსაც მტკიცედ და ურყევად ატარებს საბჭოთა მთავრობა.

იმით, რომ ინგლისისაგან დამოკიდებულ სახელმწიფოებს, სულ ერთია, ლაპარაკია ჩინან ძო-ლინის სახელმწიფოზე, თუ პილსუდსკის სახელმწიფოზე, — არა სურთ ოყვნენ კონსერვატორთა უსიტყვო იარაღი თავიანთი საკუთარი ინტერესების საზიანოდ.

დარბაისელ ლორდებს, ჩანს, არა სურთ შეიგნონ, რომ ყოველ სახელმწიფოს, თუნდაც იგი სულ უმნიშვნელო იყოს, მიდრეკილება აქვს თავი მიაჩნდეს ერთგვარ ერთეულად, რომელიც ცდილობს ცხოვრობდეს საკუთარი ცხოვრებით და არ სურს საფრთხეში ჩააგდოს თავისი არსებობა კონსერვატორთა ლამაზი თვალებისათვის. ინგლისელ კონსერვატორებს დაავიწყდათ ყველა ამ გარემოების გათვალისწინება.

განა ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი დარტყმები აღარ იქნება? არა, არ ნიშნავს. პირიქით, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ დარტყმები ახალი ძალით განმეორდება.

ეს დარტყმები არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს. ისინი ბუნებრივად წარმოიშვნენ მთელი საერთაშორისო ვითარებიდან, ინგლისის ბურჟუაზიის მდგომარეობიდან როგორც «მეტროპოლიაში», ისე კოლონიებში, კონსერვატიული პარტიის, როგორც მმართველი პარტიის, მდგომარეობიდან.

მთელი ახლანდელი საერთაშორისო ვითარება, ყველა ფაქტი სსრ კავშირის წინააღმდეგ ინგლისის მთავრობის «ოპერაციების» სფეროდან, ისიც, რომ იგი აწყობს სსრ კავშირის ფინანსურ ბლოკადას, ისიც, რომ იგი საიდუმლო

საუბრებს აწარმოებს სახელმწიფოებთან სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შესახებ, ისიც, რომ იგი სუბსიდიებს აძლევს უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და სხვ. ემიგრანტულ «მთავრობებს» სსრ კავშირის ამ ქვეყნებში აჯანყებათა მოსაწყობად, ისიც, რომ იგი აფინანსებს ჯაშუშურ-ტერორისტულ ჯგუფებს, რომლებიც აფეთქებენ ხიდებს, ცეცხლს უკიდებენ ფაბრიკებს და ტერორქვეშ აყენებენ სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლებს, — ყოველივე ეს უეჭველად გვეუბნება, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა მტკიცედ და გადაჭრით დაადგა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მოწყობის გზას. ამასთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამორიცხულად ჩაითვალოს, რომ კონსერვატორებს გარკვეულ პირობებში შეუძლიათ შეაკოწიწონ ესა თუ ის სამხედრო ბლოკი სსრ კავშირის წინააღმდეგ.

როგორია ჩვენი ამოცანები?

ამოცანა ის არის, რომ ევროპის ყველა ქვეყანაში ავტეხოთ განგაში ახალი ომის საფრთხის შესახებ, გავაძლიეროთ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა და ჯარისკაცთა სიფხიზლე და ვამზადოთ, განუწყვეტლივ ვამზადოთ მასები იმისათვის, რომ რევოლუციური ბრძოლისათვის ყოველმხრივ მზადმყოფნი შეხვდნენ ბურჟუაზიული მთავრობების ყველა და ყოველგვარ ცდებს — მოაწყონ ახალი ომი.

ამოცანა ის არის, რომ სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ მუშათა მოძრაობის ყველა ის მოღვაწენი, რომლებსაც ახალი ომის საფრთხე «მოგონილად» «მიაჩნიათ», რომლებიც მუშებს პაციფისტური სიცრუით აბრუებენ, რომლებიც თვალს არიდებენ იმას, თუ როგორ ამზადებს ბურჟუაზია ახალ ომს, ვინაიდან ამ ადამიანებს უნდათ, რომ ომმა მუშებს მოუმზადებელს მოუსწროს.

ამოცანა ის არის, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავაც მტკიცედ და ურყევად ეწეოდეს მშვიდობის პოლიტიკას,

მშვიდობიანი ურთიერთობის პოლიტიკას, მიუხედავად ჩვენი მტრების პროვოკაციული გამოსვლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობენ შელახონ ჩვენი პრესტიჟი.

ჩვენ გვაგულისებენ და კვლავაც გაგვაგულისებენ პროვოკატორები მტრული ბანაკიდან იმის მტკიცებით, რომ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა აიხსნება ჩვენი სისუსტით, ჩვენი არმიის სისუსტით. ზოგჯერ ეს აღაშფოთებს ხოლმე ზოგიერთ ჩვენს ამხანაგთაგანს, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ აჰყვნენ პროვოკაციას და მოითხოვენ «მტკიცე» ზომების მიღებას. ეს ნერვების სისუსტეა. ეს სიმტკიცის უქონლობაა. ჩვენ არ შეგვიძლია ავყვეთ და არ უნდა ავყვეთ ჩვენი მოწინააღმდეგეების სტვირის ხმას. ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი გზით, დავიცვათ მშვიდობის საქმე, ცხადვყოთ ჩვენი მისწრაფება მშვიდობისაკენ, ვამხილოთ ჩვენი მტრების მძარცველური ზრახვები და გამოვამჟღავნოთ ისინი, როგორც ომის ამტეხნი.

რადგან მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეუძლია მოგვცეს შესაძლებლობა შევაკავშიროთ სსრ კავშირის მშრომელი მასები ერთიან საბრძოლო ბანაკად, თუ მტერი თავს მოგვახვევს ან, უფრო სწორად, როცა მტერი თავს მოგვახვევს ომს.

რაც შეეხება ჩვენს «სისუსტეს», ან ჩვენი არმიის «სისუსტეს», ჩვენს მტრებს პირველად როდი მოსდით შეცდომა ამ მხრივ. რვა წლის წინათ, როცა ინგლისის ბურჟუაზიამ ინტერვენცია წამოიწყო სსრ კავშირის წინააღმდეგ, ხოლო ჩერჩილი «თოთხმეტი სახელმწიფოს» ლაშქრობით იმუქრებოდა, ბურჟუაზიული პრესა აგრეთვე გაჰყვიროდა ჩვენი არმიის «სისუსტის» შესახებ, მაგრამ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ინგლისელი ინტერვენტებიც და მათი მოკავშირეებიც სირცხვილნაჭამი განდევნილ იქნენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან ჩვენი ძლევამოსილი არმიის მიერ.

ცუდი არ იქნებოდა, რომ ეს ახსოვდეთ ბატონ ახალი ომის გამჩაღებლებს.

ამოცანა ის არის, რომ გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, განვავითაროთ ჩვენი სახალხო მეურნეობა, გავაუმჯობესოთ ჩვენი სამხედრო და არასამხედრო მრეწველობა, გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის მუშების, გლეხებისა და წითელარმიელების სიფხიზლე, გამოვაწრთოთ მათი ნებისყოფა სოციალისტური სამშობლოს დაცვისა და აღმოვფხვრათ მოდუნებულობა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ლიკვიდირებული.

ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ზურგი და გავწმინდოთ იგი სიბილწისაგან, არ დავერიდოთ «უბრწყინვალეს» ტერორისტებთან და ჩვენი ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის ცეცხლის წამკიდებლებთან ანგარიშის გასწორებას, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის თავდაცვა შეუძლებელია, თუ მტკიცე რევოლუციური ზურგი არ გვექნება.

ამას წინათ მიღებულ იქნა ინგლისის მუშათა მოძრაობის ცნობილი მოღვაწეების, ლენსბერის, მაქსტონისა და ბროკუეის, პროტესტი იმ ოცი ტერორისტისა და ცეცხლისწამკიდებლის დახვრეტის გამო, რომლებიც რუსეთის თავადაზნაურობის რიგებს ეკუთვნოდნენ. მე არ შემიძლია ინგლისის მუშათა მოძრაობის ეს მოღვაწეები სსრ კავშირის მტრებად ჩავთვალო. მაგრამ ისინი მტრებზე უარესი არიან.

ისინი მტრებზე უარესი არიან, ვინაიდან, თავიანთ თავს სსრ კავშირის მეგობრებს რომ უწოდებენ, ისინი ამავე დროს თავიანთი პროტესტით უადვილებენ რუს მემამულეებსა და ინგლისელ მაძებრებს — კვლავაც მოაწყონ სსრ კავშირის წარმომადგენელთა მოკვლა.

ისინი მტრებზე უარესი არიან, ვინაიდან მათ თავიანთი პროტესტით საქმე იქითკენ მიჰყავთ, რომ სსრ კავშირის მუ-

შები უიარაღონი აღმოჩნდნენ თავიანთი მოსისხლე მტრების წინაშე.

ისინი მტრებზე უარესი არიან, ვინაიდან არ უნდათ შეიგნონ, რომ ოცი «უბრწყინვალესის» დახვრეტა რევოლუციის თვითდაცვის აუცილებელი ზომაა.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: «ღმერთმა გვიხსნას ასეთი მეგობრებისაგან, მტრებს კი ჩვენ თვითონ გავუმკლავდებითო».

რაც შეეხება ოცი «ბრწყინვალის» დახვრეტას, დაე იცოდნენ სსრ კავშირის მტრებმა, შინაურმა მტრებმა ისევე, როგორც გარეშე მტრებმა, რომ პროლეტარული დიქტატურა სსრ კავშირში ცოცხლობს და მისი ხელი მტკიცეა.

რა უნდა ვთქვათ ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი ბედუკუღმართი ოპოზიციის შესახებ, ახალი ომის საფრთხის წინაშე პარტიაზე მის ახალ თავდასხმებთან დაკავშირებით? რა უნდა ვთქვათ იმის შესახებ, რომ მან, ამ ოპოზიციამ, ომის საფრთხის გაჩენის გამო მართებულად ჩათვალა გაეძლიერებინა თავისი თავდასხმები პარტიაზე? რა შეიძლება კარგი იყოს იმაში, რომ მას, ნაცვლად იმისა, რომ დაირაზმოს ჩვენი პარტიის გარშემო გარეშე საფრთხის წინააღმდეგ, მართებულად მიაჩნია სსრ კავშირის მდგომარეობის სიძნელეები გამოიყენოს პარტიაზე ახალი თავდასხმებისათვის? ნუთუ ოპოზიცია იმის წინააღმდეგია, რომ სსრ კავშირმა გაიმარჯვოს იმპერიალიზმთან მომავალ ბრძოლებში, იმის წინააღმდეგია, რომ გაძლიერდეს საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა, იმის წინააღმდეგია, რომ განმტკიცდეს ჩვენი ზურგი? ან, იქნებ, ეს სიმხდალეა ახალ სიძნელეთა წინაშე, დეზერტირობაა, პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების სურვილია, რასაც მემარცხენე ფრაზების რახარუხით ფარავენ?..

II

ჩინეთის შესახებ

ახლა, როცა ჩინეთის რევოლუცია განვითარების ახალ ხანაში შევიდა, ჩვენ შეგვიძლია ერთგვარი ჯამი გავუკეთოთ განვლილ გზას და განვიხილოთ საკითხი ჩინეთში კომინტერნის ხაზის შემოწმების შესახებ.

არსებობს ლენინიზმის ზოგიერთი ტაქტიკური პრინციპი, რომელთა გაუთვალისწინებლად შესაძლებელი არ არის არც რევოლუციის სწორი ხელმძღვანელობა, არც შემოწმება კომინტერნის ხაზისა ჩინეთში. ეს პრინციპები უკვე დიდი ხანია დაივიწყეს ჩვენმა ოპოზიციონერებმა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ოპოზიციას გულმავიწყობა სჩვევია, საჭიროა კიდევ და კიდევ მოვაგონოთ ეს პრინციპები.

მე მხედველობაში მაქვს ლენინიზმის ისეთი ტაქტიკური პრინციპები, როგორიცაა:

ა) პრინციპი იმის სავალდებულო გათვალისწინებისა, რაც ნაციონალურ-თავისებური და ნაციონალურ-სპეციფიკურია ყოველ ცალკეულ ქვეყანაში ამ ქვეყნების მუშათა მოძრაობისათვის კომინტერნის სახელმძღვანელო მითითებათა გამომუშავების დროს;

ბ) პრინციპი ყოველი ქვეყნის კომპარტიის მიერ იმის ოდნავი შესაძლებლობის სავალდებულო გამოყენებისა, რომ პროლეტარიატისათვის უზრუნველყოს მასობრივი მოკავშირე, თუნდაც დროებითი, მერყევი, არამტკიცე, არასაიმედო;

გ) პრინციპი იმ ჭეშმარიტების სავალდებულო გათვალისწინებისა, რომ მილიონიანი მასების პოლიტიკური აღზრდისათვის საკმარისი არ არის მარტო პროპაგანდა და აგიტაცია, რომ ამისათვის საჭიროა თვით მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება.

მე ვფიქრობ, რომ ლენინიზმის ამ ტაქტიკური პრინციპების გათვალისწინება ის აუცილებელი პირობაა, ურომლისოდაც შეუძლებელია ჩინეთის რევოლუციაში კომინტერნის ხაზის მარქსისტული შემოწმება.

განვიხილოთ ჩინეთის რევოლუციის საკითხები ამ ტაქტიკური პრინციპების თვალსაზრისით.

მიუხედავად ჩვენი პარტიის იდეური ზრდისა, ჩვენს პარტიაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობენ ერთგვარი ჯურის «ხელმძღვანელები», რომლებსაც გულწრფელად სჯერათ, რომ ჩინეთის რევოლუციის ხელმძღვანელობა შეიძლება, ასე ვთქვათ, ტელეგრაფით, კომინტერნის ცნობილ, ყველას მიერ აღიარებულ ზოგად დებულებათა საფუძველზე, ჩინეთის ეკონომიკის, ჩინეთის პოლიტიკური წყობილების, ჩინეთის კულტურის, ჩინეთის ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების ნაციონალური თავისებურებებისათვის **ანგარიშის გაუწევლად.** ეს «ხელმძღვანელები», კაცმა რომ თქვას, სწორედ იმით განსხვავდებიან ნამდვილი ხელმძღვანელებისაგან, რომ მათ ჯიბეში მუდამ აქვთ ორი-სამი მზა ფორმულა, რომლებიც «გამოსადეგია» ყველა ქვეყნისათვის და «სავალდებულოა» ყველა პირობებში. მათთვის არ არსებობს თვითეულ ქვეყანაში ნაციონალურ-თავისებურისა და ნაციონალურ-სპეციფიკურის გათვალისწინების საკითხი. მათთვის არ არსებობს საკითხი კომინტერნის ზოგად დებულებათა დაკავშირებისა რევოლუციური მოძრაობის ნაციონალურ თავისებურებებთან თვითეულ ქვეყანაში, კომინტერნის ზოგად დებულებათა შეფარდებისა ცალკეული ქვეყნების ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ თავისებურებებთან.

მათ არ ესმით, რომ ხელმძღვანელობის მთავარი ამოცანა ახლა, როცა კომპარტიები გაიზარდნენ და მასობრივ პარტიებად გადაიქცნენ, იმაში მდგომარეობს, რომ მოძებნოს, ჩასწვდეს და უნარიანად შეუხამოს თვითეული ქვეყნის მოძრაობის ნაციონალურ-განსაკუთრებული თვისებანი კომ-

ინტერნის ზოგად დებულებებს, რათა გააადვილოს და პრაქტიკულად განსახორციელებელი გახადოს კომუნისტური მოძრაობის ძირითადი მიზნები.

აქედან წარმოსდგება ცდები — შაბლონური გახადონ ხელმძღვანელობა ყველა ქვეყნისათვის. აქედან წარმოსდგება ცდები — მექანიკურად დანერგონ ზოგიერთი ზოგადი ფორმულა, ცალკეულ ქვეყნებში მოძრაობის კონკრეტული პირობებისათვის ანგარიშის გაუწევლად. აქედან წარმოსდგება მუდმივი კონფლიქტები ფორმულებსა და ცალკეული ქვეყნების რევოლუციურ მოძრაობას შორის, როგორც ძირითადი შედეგი ამ ვაი-ხელმძღვანელთა ხელმძღვანელობისა.

ჩვენი ოპოზიციონერები სწორედ ასეთ ვაი-ხელმძღვანელთა თანრიგს ეკუთვნიან.

ოპოზიციას გაუგონია, **ჩინეთში** ბურჟუაზიული რევოლუცია ხდებაო. ამასთან მან იცის, რომ **რუსეთში** ბურჟუაზიული რევოლუცია ხდებოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. აქედან — მზა ფორმულა **ჩინეთისათვის:** ძირს ყოველგვარი ერთობლივი მოქმედება ბურჟუაზიასთან, გაუმარჯოს კომუნისტების დაუყოვნებლივ გამოსვლას გომინდანიდან (1926 წ. აპრილი).

მაგრამ ოპოზიციას დაავიწყდა, რომ ჩინეთი, 1905 წლის რუსეთისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ნახევრად-კოლონიურ ქვეყანას, რომელსაც იმპერიალიზმი ჩაგრავს, რომ რევოლუცია ჩინეთში ამის გამო უბრალოდ ბურჟუაზიული რევოლუცია როდია, არამედ ანტიიმპერიალისტური ტიპის ბურჟუაზიული რევოლუციაა, რომ იმპერიალიზმს ჩინეთში ხელთ აქვს მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის ძირითადი ძაფები, რომ იმპერიალიზმის მიერ ჩაგვრა ეხება არა მარტო ჩინეთის მშრომელ მასებს, არამედ ჩინეთის ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებსაც, რომ ჩინეთის ბურჟუა-

ზიას ამის გამო შეუძლია გარკვეულ პირობებში და გარკვეული ვადით მხარი დაუჭიროს ჩინეთის რევოლუციას.

სინამდვილეში, როგორც ცნობილია, ასეც მოხდა. თუ ავიღებთ ჩინეთის რევოლუციის კანტონის პერიოდს, ნაციონალური ჯარების იანძისთან გასვლის პერიოდს, გომინდანის გათიშვამდე განვლილ პერიოდს, არ შეიძლება არ ვალიაროთ, რომ ჩინეთის ბურჟუაზია მხარს უჭერდა რევოლუციას ჩინეთში, რომ სავსებით სწორი აღმოჩნდა კომინტერნის ხაზი, რომელსაც დასაშვებად მიაჩნდა ამ ბურჟუაზიასთან ერთობლივი მოქმედება გარკვეული ვადით და გარკვეულ პირობებში.

ამის შედეგი იყო ის, რომ ოპოზიციამ უარი თქვა თავის ძველ ფორმულაზე და გამოაცხადა «ახალი» ფორმულა: ჩინეთის ბურჟუაზიასთან ერთობლივი მოქმედება საჭიროა, კომუნისტები არ უნდა გამოვიდნენ გომინდანიდან (1927 წ. აპრილი).

ეს იყო ოპოზიციის პირველი სასჯელი, რაც მას იმიტომ ეწია, რომ არ სურს მხედველობაში მიიღოს ჩინეთის რევოლუციის ნაციონალური თავისებურებანი.

ოპოზიციას გაუგონია, რომ პეკინის მთავრობას კინკლაობა აქვს იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ჩინეთის საბაჟო ავტონომიის საკითხში. ოპოზიციამ იცის, რომ საბაჟო ავტონომია ესაჭიროება, უწინარეს ყოვლისა, ჩინელ კაპიტალისტებს. აქედან — მზა ფორმულა: ჩინეთის რევოლუცია ნაციონალურია, ანტიიმპერიალისტურია იმიტომ, რომ მისი მთავარი მიზანია ჩინეთის საბაჟო ავტონომიის მოპოვება.

მაგრამ ოპოზიციას დაავიწყდა, რომ იმპერიალიზმის ძალას ჩინეთში შეადგენს უმთავრესად არა ჩინეთის საბაჟო შეზღუდვანი, არამედ ის, რომ იგი იქ ფლობს ფაბრიკებს, ქარხნებს, შახტებს, რკინიგზებს, გემებს, ბანკებს, სავაჭრო კანტორებს, რომლებიც სისხლს სწოვენ მრავალმილიონიან ჩინეთის მუშებსა და გლეხებს.

ოპოზიციას დაავიწყდა, რომ ჩინელი ხალხის რევოლუციური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ აიხსნება, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, იმით, რომ იმპერიალიზმი ჩინეთში ის ძალაა, რომელიც მხარს უჭერს და სულს უდგამს ჩინელი ხალხის პირდაპირ ექსპლოატატორებს — ფეოდალებს, მილიტარისტებს, კაპიტალისტებს, ბიუროკრატებს და სხვ., რომ ჩინელი მუშები და გლეხები ვერ დასძლევენ ამ თავიანთ ექსპლოატატორებს, თუ ამასთან ერთად რევოლუციური ბრძოლა არ აწარმოეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ოპოზიციას ავიწყდება, რომ სწორედ ეს გარემოებაა ერთი იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორთაგანი, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ჩინეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გადაზრდას სოციალისტურ რევოლუციად.

ოპოზიციას ავიწყდება, რომ, ვინც ჩინეთის ანტიიმპერიალისტურ რევოლუციას აცხადებს რევოლუციად საბაჟო ავტონომიისათვის, ის უარყოფს ჩინეთის ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესაძლებლობას, ვინაიდან იგი ჩინეთის რევოლუციას უმორჩილებს ჩინეთის ბურჟუაზიის ხელმძღვანელობას.

და მართლაც, ფაქტებმა შემდეგ ცხადყვეს, რომ საბაჟო ავტონომია არსებითად ჩინეთის ბურჟუაზიის პლატფორმაა, ვინაიდან ისეთი პირწავარდნილი რეაქციონერებიც კი, როგორიც არიან ჩან ძო-ლინი და ჩან კაი-ში, ახლა მხარს უჭერენ არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებების გაუქმებას და ჩინეთში საბაჟო ავტონომიის დამყარებას.

აქედან წარმოსდგება ოპოზიციის ორჭოფობა, ცდები — თავი აარიდოს თავის საკუთარ ფორმულას საბაჟო ავტონომიისას, ცდები — ჩუმ-ჩუმად უარი თქვას ამ ფორმულაზე და მიეკედლოს კომინტერნის პოზიციას ჩინეთის ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესაძლებლობის შესახებ.

ეს იყო ოპოზიციის მეორე სასჯელი, რაც მას იმიტომ ეწია, რომ არ სურს სერიოზულად შეისწავლოს ჩინეთის რევოლუციის ნაციონალური თავისებურებანი.

ოპოზიციას გაუგონია, რომ ჩინეთის სოფელში გაჩნდა ვაჭრული ბურჟუაზია, რომელიც ღარიბ გლეხებს იჯარით აძლევს მიწას. ოპოზიციამ იცის, რომ ვაჭარი ფეოდალი არ არის. აქედან — მზა ფორმულა: ფეოდალიზმის ნაშთებს, მაშასადამე, ფეოდალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლასაც, სერიოზული მნიშვნელობა არა აქვთ ჩინეთის რევოლუციაში, რომ ჩინეთში ახლა მთავარია არა აგრარული რევოლუცია, არამედ იმპერიალიზმის ქვეყნებისაგან ჩინეთის სახელმწიფოებრივ-საბაჟო დამოკიდებულების საკითხი.

მაგრამ ოპოზიცია ვერ ხედავს, რომ ჩინეთის ეკონომიკის თავისებურებას შეადგენს არა სავაჭრო კაპიტალის შეჭრა სოფელში, არამედ ფეოდალური გადმონაშთების **ბატონობის** შეხამება სავაჭრო კაპიტალის არსებობასთან ჩინეთის სოფელში, და **ამავე დროს დარჩენილია** გლეხობის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ფეოდალურ-შუასაუკუნეობრივი მეთოდები.

ოპოზიციას არ ესმის, რომ ჩინეთის მთელი ახლანდელი ხამხედრო-ბიუროკრატიული მანქანა, რომელიც ულმობლად ძარცვავს და ჩაგრავს ჩინელ გლეხობას, არსებითად არის სოფლად სავაჭრო კაპიტალის არსებობასთან ფეოდალური გადმონაშთებისა და ექსპლოატაციის ფეოდალური მეთოდების **ბატონობის** ამ შეხამების პოლიტიკური ზედნაშენი.

და მართლაც, ფაქტებმა შემდეგ ცხადყვეს, რომ ჩინეთში გაჩაღდა გრანდიოზული აგრარული რევოლუცია, რომელიც, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, მიმართულია ჩინეთის დიდი და მცირე ფეოდალების წინააღმდეგ.

ფაქტებმა ცხადყვეს, რომ ამ რევოლუციამ მოიცვა ათეულმილიონობით გლეხები და მას მთელ ჩინეთში გავრცელების ტენდენცია აქვს.

ფაქტებმა ცხადყვეს, რომ ფეოდალები, ნამდვილი და ცოცხალი ფეოდალები, არა მარტო არსებობენ ჩინეთში, არამედ ხელთაც უპყრიათ ძალაუფლება მთელ რიგ პროვინციებში, თავიანთ ნებას უმორჩილებენ არმიის მეთაურთა შემადგენლობას, თავიანთ გავლენას უმორჩილებენ გომინდანის ხელმძღვანელობას და ზედიზედ ურტყამენ ჩინეთის რევოლუციას.

ამის შემდეგ უარყო არსებობა ფეოდალური გადმონაშთებისა და ექსპლოატაციის ფეოდალური სისტემისა, როგორც ჩინეთის სოფელში ჩაგვრის ძირითადი ფორმისა, ამის შემდეგ არ აღიარო ეს აგრარული რევოლუცია, როგორც ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის ძირითადი ფაქტი ახლანდელ მომენტში, — ნიშნავს წახვიდე ამ აშკარა ფაქტების წინააღმდეგ.

აქედან წარმოსდგება ოპოზიციის უკანდახევა თავისი ძველი ფორმულიდან ფეოდალური გადმონაშთებისა და აგრარული რევოლუციის საკითხში. აქედან წარმოსდგება ოპოზიციის ცდები — ხოხვით გაეცალოს თავის ძველ ფორმულას და მდუმარედ აღიაროს კომინტერნის პოზიციის სისწორე.

ეს არის ოპოზიციის მესამე სასჯელი იმისათვის, რომ მას არ სურს ანგარიში გაუწიოს ჩინეთის ეკონომიკის თავისებურებებს.

და სხვ. და ა. შ.

განხეთქილება ფორმულებსა და სინამდვილეს შორის — ასეთია ოპოზიციელ ვაი-ხელმძღვანელთა ხვედრი.

ეს განხეთქილება კი პირდაპირი შედეგია ოპოზიციის უთანხმოებისა ლენინიზმის ცნობილ ტაქტიკურ პრინციპთან თვითეული ცალკე ქვეყნის რევოლუციურ მოძრაობაში ნაციონალურ-თავისებურისა და ნაციონალურ-სპეციფიკურის საკალდებულო გათვალისწინების შესახებ.

აი როგორ აყალიბებს ლენინი ამ პრინციპს:

«ახლა მთელი საქმე ის არის, რომ თვითეული ქვეყნის კომუნისტებმა სავსებით შეგნებულად გაითვალისწინონ როგორც ოპორტუნიზმსა და «მემარცხენე» დოქტრინერობასთან ბრძოლის ძირითადი პრინციპული ამოცანები, ისე **კონკრეტული თავისებურებანი,** რომლებსაც ეს ბრძოლა იღებს და აუცილებლად უნდა მიიღოს ყოველ ცალკე ქვეყანაში, მისი ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, მისი ნაციონალური შემადგენლობის (ირლანდია და სხვ.), მისი კოლონიების, მისი სარწმუნოებრივი დაყოფის ორიგინალური ნიშნების შესაბამისად და სხვ. და ა. შ. ყველგან იგრძნობა, ფართოვდება და იზრდება II ინტერნაციონალით უკმაყოფილება როგორც მისი ოპორტუნიზმის, ისე მისი უუნარობისა თუ უნიჭობის გამო — შექმნას მართლაც ცენტრალიზებული, ნამდვილად ხელმძღვანელი ცენტრი, რომელიც შესძლებდა წარემართა რევოლუციური პროლეტარიატის საერთაშორისო ტაქტიკა მის ბრძოლაში მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკისათვის. საჭიროა ნათლად შევიგნოთ, რომ **არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი ხელმძღვანელი ცენტრი აგებულ იქნას ბრძოლის ტაქტიკური წესების გაშაბლონებაზე, მექანიკურ გათანასწორებასა და გაიგივებაზე** *. სანამ ხალხებსა და ქვეყნებს შორის ნაციონალური და სახელმწიფოებრივი განსხვავება არსებობს, — ხოლო ეს განსხვავება კიდევ დიდხანს და დიდხანს იარსებებს პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგაც, — ყველა ქვეყნის კომუნისტური მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის გაუქმებას, არა ნაციონალურ განსხვავებათა მოსპობას (ეს უაზრო ოცნებაა ახლანდელი მომენტისათვის), არამედ კომუნიზმის **ძირითადი** პრინციპების (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა) ისეთ გამოყენებას, რომელიც **სწორად შეუცვლის სახეს** ამ პრინციპების **კერძო მხარეებს,** სწორად შეახამებს და შეათავსებს მათ ნაციონალურ და ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებთან. **ერთიანი ინტერნაციონალური ამოცანის გადაწყვეტისადმი, მუშათა მოძრაობის შიგნით ოპორტუნიზმსა და მემარცხენე დოქტრინერობაზე გამარჯვებისადმი, ბურჟუაზიის დამხობისადმი, საბჭოთა რესპუბლიკისა და პროლეტარული დიქტატურის დამყარებისადმი თვითეული ქვეყნის კონკრეტულ მიდგომაში ნაციონალურ-თავისებურის, ნაციონალურ-სპეციფიკურის გამოკვლევა, შესწავლა, მოძებნა, მიხვედრა, ჩაწვდომა** * — აი რა არის მთავარი ამოცანა იმ ისტორიული მო-

* ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

მენტისა, რომელსაც ყველა მოწინავე (და არა მარტო მოწინავე) ქვეყანა განიცდის» (იხ. ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში», ტ. XXV, გვ. 227 — 228).

კომინტერნის ხაზი არის ლენინიზმის ამ ტაქტიკური პრინციპის სავალდებულო გათვალისწინების ხაზი.

ოპოზიციის ხაზი, პირიქით, არის ამ ტაქტიკურ პრინციპთან უთანხმოების ხაზი.

სწორედ ეს უთანხმოებაა მიზეზი ოპოზიციის ყველა მარცხისა ჩინეთის რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების საკითხებში.

* * *

გადავიდეთ ლენინიზმის მეორე ტაქტიკურ პრინციპზე.

ჩინეთის რევოლუციის ხასიათიდან და პერსპექტივებიდან გამომდინარეობს საკითხი პროლეტარიატის მოკავშირეებისა მის ბრძოლაში რევოლუციის გამარჯვებისათვის.

პროლეტარიატის მოკავშირეების საკითხი ჩინეთის რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ჩინეთის პროლეტარიატის წინაშე დგანან მძლავრი მოწინააღმდეგეები: მცირე და დიდი ფეოდალები, ძველი და ახალი მილიტარისტების სამხედრო-ბიუროკრატიული მანქანა, კონტრრევოლუციური ნაციონალური ბურჟუაზია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიალისტები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ჩინეთის სამეურნეო ცხოვრების ძირითადი სადავეები და ჩინელი ხალხის ექსპლოატაციის თავიანთ უფლებას განამტკიცებენ ჯარებითა და ფლოტით.

ამ მძლავრი მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად საჭიროა, გარდა ყოველივე დანარჩენისა, პროლეტარიატის მოქნილი და მოფიქრებული პოლიტიკა, მოწინააღმდეგეების ბანაკში ყოველი ბზარის გამოყენების უნარი, მოკავშირეების გამონახვის უნარი, თუნდაც ეს მოკავშირეები მერყევი, არამტკიცე მოკავშირეები იყვნენ, იმ პირობით, რომ ეს მოკავშირეები **არიან მასობრივი** მოკავშირეები, რომ

ისინი **არ ზლუდავენ** პროლეტარიატის პარტიის რევოლუციურ პროპაგანდასა და აგიტაციას, **არ ზლუდავენ** ამ პარტიის მუშაობას მუშათა კლასისა და მშრომელი მასების დასარაზმავად.

ასეთი პოლიტიკა ლენინიზმის მეორე ტაქტიკური პრინციპის ძირითადი მოთხოვნაა. ასეთი პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის გამარჯვება.

ოპოზიციას ასეთი პოლიტიკა არასწორ, არალენინურ პოლიტიკად მიაჩნია. მაგრამ ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მას დაუკარგავს ლენინიზმის უკანასკნელი ნაშთები, რომ იგი ისევეა დაშორებული ლენინიზმს, როგორც ცა დედამიწას.

ჰყავდა თუ არა ასეთი მოკავშირეები ჩინეთის პროლეტარიატს ახლო წარსულში?

დიახ, ჰყავდა.

რევოლუციის პირველი ეტაპის პერიოდში, როცა რევოლუცია საერთო-ნაციონალური **გაერთიანებული** ფრონტის რევოლუცია იყო (კანტონის პერიოდი), პროლეტარიატის მოკავშირეები იყვნენ გლეხობა, ქალაქის ღარიბი მოსახლეობა, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, ნაციონალური ბურჟუაზია.

ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ამ კლასების წარმომადგენლები ეწეოდნენ ერთობლივ მუშაობას კომუნისტებთან ერთი ბურჟუაზიულ-რევოლუციური ორგანიზაციის შემადგენლობაში, რომელსაც გომინდანი ეწოდებოდა.

ეს მოკავშირეები არ იყვნენ და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ თანაბრად საიმედონი. მათგან ზოგნი ცოტად თუ ბევრად საიმედო მოკავშირენი იყვნენ (გლეხობა, ქალაქის ღარიბი მოსახლეობა), მეორენი — ნაკლებ საიმედონი და მერყევნი (წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია), მესამენი — სულაც არასაიმედონი (ნაციონალური ბურჟუაზია).

გომინდანი მაშინ უდავოდ ცოტად თუ ბევრად მასობრივი ორგანიზაცია იყო. კომუნისტების პოლიტიკა გომინდანის შიგნით იმაში მდგომარეობდა, რომ მოეხდინათ ნაციონალური ბურჟუაზიის წარმომადგენლების (მემარჯვენეების) იზოლაცია, გამოეყენებინათ ისინი რევოლუციის სასარგებლოდ, მარცხნისაკენ გადაეხარათ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია (მემარცხენეები), პროლეტარიატის გარშემო დაერაზმათ გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა.

იყო თუ არა კანტონი მაშინ ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის ცენტრი? უთუოდ იყო. ამის უარყოფა ახლა მხოლოდ შეშლილებს თუ შეუძლიათ.

როგორი იყო კომუნისტების მიღწევები ამ პერიოდში? რევოლუციის ტერიტორიის გაფართოება, რამდენადაც კანტონის ჯარები იანძისთან გავიდნენ; პროლეტარიატის აშკარა ორგანიზაციის შესაძლებლობა (პროფკავშირები, საგაფიცვო კომიტეტები); კომუნისტური ორგანიზაციების ჩამოყალიბება პარტიად; გლეხთა ორგანიზაციების პირველი უჯრედების შექმნა (გლეხთა კავშირები); კომუნისტების შეღწევა არმიაში.

გამოდის, რომ კომინტერნის ხელმძღვანელობა ამ პერიოდში სავსებით სწორი ყოფილა.

რევოლუციის მეორე ეტაპის პერიოდში, როცა ჩან კაიში და ნაციონალური ბურჟუაზია კონტრრევოლუციის ბანაკში გადავიდნენ, ხოლო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა კანტონიდან უხანში გადაინაცვლა, პროლეტარიატის მოკავშირეები იყვნენ გლეხობა, ქალაქის ღარიბი მოსახლეობა, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია.

რით აიხსნება ნაციონალური ბურჟუაზიის გადასვლა კონტრრევოლუციის ბანაკში? ჯერ-ერთი, ნაციონალური ბურჟუაზიის შიშით მუშათა რევოლუციური მოძრაობის

გაქანების წინაშე, მეორეც, იმპერიალისტების მიძალებით ნაციონალურ ბურჟუაზიაზე შანხაიში.

ამრიგად, რევოლუციამ დაკარგა ნაციონალური ბურჟუაზია. ეს იყო ნაწილობრივი ზარალი რევოლუციისათვის. მაგრამ სამაგიეროდ რევოლუცია შევიდა თავისი განვითარების უფრო მაღალ ფაზაში, აგრარული რევოლუციის ფაზაში, უფრო დაიახლოვა რა გლეხობის ფართო მასები. რევოლუციისათვის ეს პლუსი იყო.

იყო თუ არა მაშინ, რევოლუციის მეორე ეტაპის პერიოდში, გომინდანი მასობრივი ორგანიზაცია? უთუოდ იყო. იგი უდავოდ უფრო მასობრივი ორგანიზაცია იყო, ვიდრე კანტონის პერიოდის გომინდანი.

იყო თუ არა მაშინ უხანი რევოლუციური მოძრაობის ცენტრი? უთუოდ იყო. ამის უარყოფა ახლა მხოლოდ ბრმებს თუ შეუძლიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში უხანის ტერიტორია (ხუბეი, ხუნანი) მაშინ არ იქნებოდა მაქსიმალური განვითარების ბაზა აგრარული რევოლუციისა, რომელსაც კომპარტია ხელმძღვანელობს.

კომუნისტების პოლიტიკა გომინდანის მიმართ მაშინ იმაში მდგომარეობდა, რომ მარცხნისაკენ გადაეხარათ იგი და გადაექციათ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ბირთვად.

იყო თუ არა მაშინ ასეთი გარდაქმნის შესაძლებლობა? დიახ, იყო. ყოველ შემთხვევაში საფუძველი არა გვქონდა ასეთი შესაძლებლობა გამორიცხულად მიგვეჩნია. მაშინ ჩვენ პირდაპირ ვამბობდით, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ბირთვად უხანის გომინდანის გადაქცევისათვის საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, ორი პირობა: გომინდანის რადიკალური დემოკრატიზაცია და გომინდანის მიერ აგრარული რევოლუციისათვის პირდაპირი დახმარება. კომუნისტების მხრივ სისულელე იქნებოდა უარი ეთქვათ ასეთი გადაქცევის ცდებზე.

როგორი იყო კომუნისტების მიღწევები ამ პერიოდში?

ამ პერიოდში კომპარტია მცირე პარტიიდან, რომელშიც 5 — 6 ათასი კაცი შედიოდა, გაიზარდა დიდ მასობრივ პარტიად, რომელსაც ჰყავს 50 — 60 ათასი წევრი.

ჩინეთის პროფკავშირები გაიზარდნენ უზარმაზარ სრულიად ჩინეთის გაერთიანებად, რომელიც 3 მილიონამდე წევრს ითვლის.

გლეხთა პირველადი ორგანიზაციები გაიზარდნენ უზარმაზარ გაერთიანებებად, რომლებიც რამდენიმე ათეულ მილიონ კაცს აერთიანებენ. გლეხობის აგრარული მოძრაობა გრანდიოზულად გაიზარდა და ცენტრალური ადგილი დაიკავა ჩინეთის რევოლუციურ მოძრაობაში. კომპარტიამ მოიპოვა რევოლუციის აშკარა ორგანიზაციის შესაძლებლობა. კომპარტია აგრარული რევოლუციის ხელმძღვანელი ხდება. პროლეტარიატის ჰეგემონია, რომელიც წინათ სურვილის საგანს შეადგენდა, იწყებს ფაქტად გადაქცევას.

მართალია, ჩინეთის კომპარტიამ ვერ შესძლო გამოეყენებინა ამ პერიოდის ყველა შესაძლებლობა. მართალია, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პერიოდში მთელი რიგი უდიდესი შეცდომები დაუშვა. მაგრამ სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ჩინეთის კომპარტიას შეუძლია ნამდვილი ბოლშევიკური პარტია გახდეს, ასე ვთქვათ, ერთბაშად, კომინტერნის დირექტივების საფუძველზე. საკმარისია გავიხსენოთ ისტორია ჩვენი პარტიისა, რომელმაც მთელი რიგი განხეთქილებანი, გათიშვები, ღალატი, გამცემლობა და სხვ. გამოიარა, რათა მივხვდეთ, რომ ნამდვილი ბოლშევიკური პარტიები ერთბაშად არ იბადებიან.

ამრიგად, გამოდის, რომ კომინტერნის ხელმძღვანელობა ამ პერიოდშიც სავსებით სწორი იყო.

ჰყავს თუ არა ახლა მოკავშირეები ჩინეთის პროლეტარიატს?

დიახ, ჰყავს.

ეს მოკავშირეები არიან გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა.

ამ პერიოდს ახასიათებს გომინდანის უხანის ხელმძღვანელობის გადასვლა კონტრრევოლუციის ბანაკში, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ჩამოშორება რევოლუციისაგან.

ეს ჩამოშორება აიხსნება, ჯერ-ერთი, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის შიშით გაზრდილი აგრარული რევოლუციის წინაშე და ფეოდალების ზეგავლენით უხანის ხელმძღვანელობაზე, მეორეც, ტიანძინის რაიონში იმპერიალისტების მიძალებით, რომლებიც გომინდანისაგან მოითხოვენ კომუნისტებთან კავშირის გაწყვეტას, როგორც საზღაურს ჩრდილოეთისაკენ გატარებისათვის.

ოპოზიციას ეეჭვება ფეოდალური გადმონაშთების არსებობა ჩინეთში. მაგრამ ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ფეოდალური გადმონაშთები არა მარტო არსებობენ ჩინეთში, არამედ ისინი უფრო ძლიერნიც აღმოჩნდნენ, ვიდრე რევოლუციის შეტევა ახლანდელ მომენტში. და სწორედ იმიტომ, რომ იმპერიალისტები და ფეოდალები ჩინეთში ჯერჯერობით უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, რევოლუციამ დროებითი მარცხი განიცადა.

რევოლუციამ ამჯერად დაკარგა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია.

სწორედ ეს არის რევოლუციის დროებითი დამარცხების ნიშანი.

მაგრამ სამაგიეროდ მან უფრო მჭიდროდ დაარაზმა პროლეტარიატის გარშემო გლეხობისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ფართო მასები და ამით ნიადაგი შეუქმნა პროლეტარულ ჰეგემონიას.

ეს არის პლუსი რევოლუციისათვის.

ოპოზიცია რევოლუციის დროებითს დამარცხებას კომინტერნის პოლიტიკით ხსნის. მაგრამ ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც კავშირი

გაწყვიტეს მარქსიზმთან. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს მარქსიზმთან, შეუძლიათ იმის მოთხოვნა, რომ სწორ პოლიტიკას მუდამ და აუცილებლად მოსდევდეს **უშუალო** გამარჯვება მოწინააღმდეგეზე.

სწორი იყო თუ არა ბოლშევიკების პოლიტიკა 1905 წლის რევოლუციაში? დიახ, სწორი იყო. მაშ რატომ დამარცხდა 1905 წლის რევოლუცია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდნენ საბჭოები, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების პოლიტიკა სწორი იყო? იმიტომ, რომ ფეოდალური გადმონაშთები და თვითმპყრობელობა მაშინ უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მუშათა რევოლუციური მოძრაობა.

სწორი იყო თუ არა ბოლშევიკების პოლიტიკა 1917 წლის ივლისში? დიახ, სწორი იყო. მაშ რატომ დამარცხდნენ მაშინ ბოლშევიკები, კვლავ იმის მიუხედავად, რომ არსებობდნენ საბჭოები, რომლებმაც მაშინ უღალატეს ბოლშევიკებს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების პოლიტიკა სწორი იყო? იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიალიზმი მაშინ მუშათა რევოლუციურ მოძრაობაზე ძლიერი აღმოჩნდა.

სწორ პოლიტიკას სრულებითაც არ უნდა მოსდევდეს მუდამ და აუცილებლად უშუალო გამარჯვება მოწინააღმდეგეზე. მოწინააღმდეგეზე უშუალო გამარჯვებას განსაზღვრავს არა მარტო სწორი პოლიტიკა, არამედ აგრეთვე, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, კლასობრივ ძალთა თანაფარდობა, ძალების აშკარა სიჭარბე რევოლუციის მხარეზე, რღვევა მოწინააღმდეგის ბანაკში, ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება.

პროლეტარიატის სწორ პოლიტიკას მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება მოჰყვეს უშუალო გამარჯვება.

მაგრამ არის ერთი სავალდებულო მოთხოვნა, რომელსაც მუდამ და ყველა პირობებში უნდა აკმაყოფილებდეს სწორი პოლიტიკა. ეს მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის პოლიტიკა ზრდიდეს პროლეტარიატის ბრძოლისუნარიანობას, აძლიერებდეს მის კავშირს მშრომელ მასებთან, მაღლა სწევდეს პროლეტარიატის ავტორიტეტს ამ მასებს შორის, პროლეტარიატს ხდიდეს რევოლუციის ჰეგემონად.

განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ განვლილი პერიოდი ჩინეთში რევოლუციის უშუალო გამარჯვებისათვის ხელსაყრელი პირობების მაქსიმუმს წარმოადგენდა? ცხადია, არ შეიძლება.

განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ კომუნისტური პოლიტიკა ჩინეთში არ ზრდიდა პროლეტარიატის ბრძოლისუნარიანობას, არ აძლიერებდა მის კავშირს ფართო მასებთან და მაღლა არ სწევდა პროლეტარიატის ავტორიტეტს ამ მასებში? ცხადია, არ შეიძლება.

მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ ვერ ხედავდნენ, რომ ჩინეთის პროლეტარიატმა ამ ხნის განმავლობაში შესძლო მოეწყვიტა გლეხობის ფართო მასები ნაციონალური ბურჟუაზიისაგანაც და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისაგანაც, რათა ისინი თავისი დროშის გარშემო დაერაზმა.

კომპარტიამ რევოლუციის პირველ ეტაპზე განვლო ბლოკი ნაციონალურ ბურჟუაზიასთან კანტონში, რათა გაეფართოებინა რევოლუციის ტერიტორია, ჩამოყალიბებულიყო მასობრივ პარტიად, თავისთვის შეექმნა პროლეტარიატის აშკარა დარაზმვის შესაძლებლობა და გაეკაფა გზა გლეხობისაკენ.

კომპარტიამ რევოლუციის მეორე ეტაპზე განვლო უხანის გომინდანის წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასთან ბლოკი, რათა გაემრავლებინა თავისი ძალები, გაეფართოებინა პროლეტარიატის ორგანიზაცია, გომინდანის ხელმძღვანელობისაგან მოეწყვიტა გლეხობის ფართო მა-

სები და შეექმნა პირობები პროლეტარიატის ჰეგემონიისათვის.

ნაციონალური ბურჟუაზია კონტრრევოლუციის ბანაკში გადავიდა და ხალხის ფართო მასებთან კავშირი დაკარგა.

ნაციონალურ ბურჟუაზიას კუდში გაჰყვა უხანის გომინდანის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელსაც აგრარული რევოლუციისა შეეშინდა და რომელმაც საბოლოოდ გაიტეხა სახელი გლეხობის მილიონიანი მასების თვალში.

მაგრამ სამაგიეროდ პროლეტარიატის გარშემო უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ გლეხობის მილიონიანი მასები, რომლებიც მასში თავის ერთადერთ საიმედო ბელადსა და ხელმძღვანელს ხედავენ.

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ სწორ პოლიტიკას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთი შედეგები?

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ასეთ პოლიტიკას შეეძლო გაეძლიერებინა პროლეტარიატის ბრძოლისუნარიანობა?

განა ვის შეუძლია უარყოს, გარდა ვაი-ხელმძღვანელებისა ჩვენი ოპოზიციიდან, ასეთი პოლიტიკის სისწორე და რევოლუციურობა?

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ უხანის გომინდანის ხელმძღვანელობის შებრუნება კონტრრევოლუციისაკენ მოწმობს, რომ სწორი არ იყო პოლიტიკა უხანის გომინდანთან ბლოკისა რევოლუციის მეორე ეტაპზე.

მაგრამ ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც დაივიწყეს ბოლშევიზმის ისტორია და დაკარგეს ლენინიზმის უკანასკნელი ნაშთები.

სწორი იყო თუ არა ბოლშევიკური პოლიტიკა მემარცხენე ესერებთან რევოლუციური ბლოკისა ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ, თვით 1918 წლის გაზაფხულამდე?

ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ვერავის გაუბედნია უარყოს ამ ბლოკის სისწორე. რით დამთავრდა ეს ბლოკი? მემარცხენე ესერების აჯანყებით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შეიძლება თუ არა **ამ საფუძველზე** ვამტკიცოთ, რომ ესერებთან ბლოკის პოლიტიკა სწორი არ იყო? ცხადია, არ შეიძლება.

სწორი იყო თუ არა პოლიტიკა უხანის გომინდანთან რევოლუციური ბლოკისა ჩინეთის რევოლუციის მეორე ეტაპზე? ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ვერავის გაუბედნია უარყოს სისწორე ასეთი ბლოკისა რევოლუციის მეორე ეტაპის დროს. თვითონ ოპოზიცია ამტკიცებდა მაშინ (1927 წლის აპრილი), ასეთი ბლოკი სწორიაო. როგორ შეიძლება ახლა, მას შემდეგ, რაც უხანის გომინდანის ხელმძღვანელობა რევოლუციას ჩამოშორდა, ამ ჩამოშორების საფუძველზე ვამტკიცოთ, რომ უხანის გომინდანთან რევოლუციური ბლოკი სწორი არ იყო?

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ უხასიათო ადამიანებს შეუძლიათ იმოქმედონ ასეთი «არგუმენტებით»?

განა ვინმე ამტკიცებდა, რომ უხანის გომინდანთან ბლოკი სამუდამო და უსასრულო ბლოკია? განა არის ბუნებაში სამუდამო და უსასრულო ბლოკები? განა ცხადი არ არის, რომ ოპოზიციას ვერაფერი, სრულებით ვერაფერი გაუგია ლენინიზმის მეორე ტაქტიკური პრინციპისა არაპროლეტარულ კლასებთან და ჯგუფებთან პროლეტარიატის რევოლუციური ბლოკის შესახებ.

აი როგორ აყალიბებს ლენინი ამ ტაქტიკურ პრინციპს:

«უფრო მძლავრი მოწინააღმდეგის დამარცხებას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ უაღრესად დავძაბავთ ძალებს და **აუცილებლად**, უაღრესად გულმოდგინედ, მზრუნველობით, ფრთხილად და მოხერხებულად გამოვიყენებთ მტრებს შორის არსებულ როგორც ყოველ, თუნდაც მცირეოდენ, «ბზარს», სხვადასხვა ქვეყნების ბურჟუაზიას შორის, ცალკე ქვეყნების შიგნით ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებსა თუ სახეებს შორის არსებულ ინტერესთა ყოველ წინააღმდეგობას, —

ისე ყოველგვარ, თუნდაც მცირეოდენ, შესაძლებლობას — შევიძინოთ მასობრივი მოკავშირე, თუნდაც ეს იყოს დროებითი, მერყევი, არამტკიცე, არასაიმედო და პირობითი მოკავშირე. ვინც ამას ვერ მიხვედრილა, მას ვერაფერი გაუგია მარქსიზმისა და საერთოდ მეცნიერული, თანამედროვე, სოციალიზმისა *. ვისაც პრაქტიკულად, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში და საკმაოდ მრავალგვარ პოლიტიკურ მდგომარეობაში, არ დაუმტკიცებია თავისი უნარი ამ ჭეშმარიტების გამოყენების საქმეში, მას ჯერ კიდევ ვერ უსწავლია რევოლუციური კლასისათვის დახმარების გაწევა იმ ბრძოლაში, რომელსაც ეს კლასი ექსპლოატატორებისაგან მთელი მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ეწევა. და ის, რაც ვთქვით, ერთნაირად შეეხება პერიოდს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის წინ და დაპყრობის შემდეგ» (იხ. ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში», ტ. XXV, გვ. 210 — 211).

განა ცხადი არ არის, რომ ოპოზიციის ხაზი ლენინიზმის ამ ტაქტიკურ პრინციპთან უთანხმოების ხაზია?

განა ცხადი არ არის, რომ კომინტერნის ხაზი, პირიქით, ამ ტაქტიკური პრინციპის სავალდებულო გათვალისწინების ხაზია?

* * *

გადავიდეთ ლენინიზმის მესამე ტაქტიკურ პრინციპზე.

ეს ტაქტიკური პრინციპი ეხება ლოზუნგების შეცვლის საკითხს, ამ შეცვლის წესისა და საშუალებების საკითხს. იგი ეხება იმ საკითხს, თუ როგორ გადავაქციოთ პარტიისათვის განკუთვნილი ლოზუნგები მასებისათვის განკუთვნილ ლოზუნგებად, იმ საკითხს, თუ როგორ და რანაირად მივიყვანოთ მასები რევოლუციურ პოზიციებზე, რათა თვითონ მასები საკუთარი პოლიტიკური გამოცდილებით დარწმუნდნენ პარტიული ლოზუნგების სისწორეში.

მასების დარწმუნება კი არ შეიძლება მხოლოდ პროპაგანდითა და აგიტაციით. ამისათვის საჭიროა თვით მა-

* ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

სების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება. ამისათვის საჭიროა, რომ ფართო მასებმა თვითონ, საკუთარ ზურგზე გამოსცადონ აუცილებლობა, ვთქვათ, არსებული წყობილების დამხობისა, აუცილებლობა ახალი პოლიტიკური და სოციალური წესების დამყარებისა.

კარგია, თუ მოწინავე ჯგუფი, პარტია, უკვე დარწმუნდა, ვთქვათ, მილიუკოვ-კერენსკის დროებითი მთავრობის დამხობის აუცილებლობაში 1917 წლის აპრილში. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გამოვიდეთ ამ მთავრობის დამხობის მოთხოვნით, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ წამოვაყენოთ დროებითი მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ლოზუნგი, როგორც **სადღეისო ლოზუნგი.** იმისათვის, რომ ფორმულა «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» გადაქცეული ყოფილიყო უახლოესი პერიოდის **პერსპექტივიდან სადღეისო ლოზუნგად,** უშუალო მოქმედების ლოზუნგად, ამისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი გადამწყვეტი გარემოება, სახელდობრ ის, რომ თვით მასები დარწმუნებულიყვნენ ამ ლოზუნგის სისწორეში და ასე თუ ისე დაეჭირათ მხარი პარტიისათვის ამ ლოზუნგის განხორციელებაში.

ზუსტად უნდა განვასხვავებდეთ ფორმულას, როგორც უახლოესი მომავლის **პერსპექტივას,** და ფორმულას, როგორც **სადღეისო ლოზუნგს.** სწორედ ამიტომ დამარცხდა ბოლშევიკების ჯგუფი პიტერში ბაგდატიევის მეთაურობით 1917 წლის აპრილში, როცა მან **დროზე ადრე** წამოაყენა ლოზუნგი «ძირს დროებითი მთავრობა, მთელი ძალაუფლება საბჭოებს». ლენინმა მაშინ ბაგდატიევის ჯგუფის ეს ცდა დაახასიათა, როგორც საშიში ავანტიურიზმი, და იგი საჯაროდ დაგმო [69].

რატომ?

იმიტომ, რომ მშრომელთა ფართო მასები ზურგში და ფრონტზე ჯერ კიდევ მზად არ იყვნენ ასეთი **ლოზუნგის**

მისაღებად. იმიტომ, რომ ამ ჯგუფმა ფორმულა «მთელი ძალაუფლება საბჭოებს», როგორც პერსპექტივა, აურია ლოზუნგში «მთელი ძალაუფლება საბჭოებს», როგორც სადღეისო ლოზუნგში. იმიტომ, რომ მან წინ **წაირბინა**, პარტია დააყენა ფართო მასებისაგან, საბჭოებისაგან სრული იზოლაციის საფრთხის წინაშე, რომლებსაც მაშინ ჯერ კიდევ სჯეროდათ დროებითი მთავრობის რევოლუციურობა.

განა ჩინელ კომუნისტებს, ვთქვათ, ნახევარი წლის წინათ უნდა წამოეყენებინათ ლოზუნგი «ძირს უხანის გომინდანური ხელმძღვანელობა»? არა, არ უნდა წამოეყენებინათ.

არ უნდა წამოეყენებინათ, ვინაიდან ეს იქნებოდა სამოში **წინწარბენა**, ეს გაუძნელებდა კომუნისტებს ურთიერთობას მშრომელთა ფართო მასებთან, რომლებსაც ჯერ კიდევ სჯეროდათ გომინდანის ხელმძღვანელობისა, ეს გააცალკევებდა კომპარტიას გლეხობის ფართო მასებისაგან.

არ უნდა წამოეყენებინათ, ვინაიდან უხანის გომინდანურ ხელმძღვანელობას, გომინდანის უხანის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ კიდევ არ მოეჭამა თავისი დრო, როგორც ბურჟუაზიულ-რევოლუციურ მთავრობას, ჯერ კიდევ არ შეერცხვინა თავი და არ გაეტეხა სახელი მშრომელთა ფართო მასების თვალში თავისი ბრძოლით აგრარული რევოლუციის წინააღმდეგ, თავისი ბრძოლით მუშათა კლასის წინააღმდეგ, თავისი შებრუნებით კონტრრევოლუციისაკენ.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ არ შეიძლება გეზის აღება უხანის გომინდანური ხელმძღვანელობის დისკრედიტაციისა და შეცვლისაკენ, სანამ ამ ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ მოუჭამია თავისი დრო, როგორც ბურჟუაზიულ-რევოლუციურ მთავრობას, რომ მას ჯერ უნდა მი-

ეცეს შესაძლებლობა მოჭამოს თავისი დრო, რათა შემდეგ პრაქტიკულად დაისვას მისი შეცვლის საკითხი.

უნდა წამოაყენონ თუ არა ახლა ჩინელმა კომუნისტებმა ლოზუნგი «ძირს უხანის გომინდანური ხელმძღვანელობა»? დიახ, უნდა წამოაყენონ, აუცილებლად უნდა წამოაყენონ.

ახლა, როცა გომინდანურმა ხელმძღვანელობამ უკვე შეირცხვინა თავი რევოლუციის წინააღმდეგ თავისი ბრძოლით, ჩაიყენა თავი მუშათა და გლეხთა ფართო მასებთან მტრულ დამოკიდებულებაში, ეს ლოზუნგი მძლავრ გამოხმაურებას პოვებს ხალხის მასებში.

ახლა ყოველი მუშა და ყოველი გლეხი მიხვდება, რომ კომუნისტები სწორად მოიქცნენ, როცა გამოვიდნენ უხანის მთავრობიდან და გომინდანის უხანის ცენტრალური კომიტეტიდან და წამოაყენეს ლოზუნგი «ძირს უხანის გომინდანური ხელმძღვანელობა».

იმიტომ რომ ახლა გლეხთა და მუშათა მასების წინაშე საკითხი დგას ასარჩევად: **ან** გომინდანის ახლანდელი ხელმძღვანელობა, და მაშინ — ხელის აღება ამ მასების საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, ხელის აღება აგრარულ რევოლუციაზე; **ან** აგრარული რევოლუცია და მუშათა კლასის მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესება, და მაშინ — უხანის გომინდანური ხელმძღვანელობის შეცვლა სადღეისო ლოზუნგად ხდება მასებისათვის.

ასეთია ლენინიზმის მესამე ტაქტიკური პრინციპის მოთხოვნები ლოზუნგების შეცვლის საკითხში, ახალ რევოლუციურ პოზიციებზე ფართო მასების მიყვანის საშუალებებისა და გზების საკითხში, იმ საკითხში, რომ ჩვენი პოლიტიკით, ჩვენი მოქმედებით, ერთი ლოზუნგების სხვა ლოზუნგებით **დროულად** შეცვლით დავეხმაროთ მშრომელთა ფართო მასებს თავიანთი საკუთარი გამოცდილებით შეიგნონ პარტიის ხაზის სისწორე.

აი როგორ აყალიბებს ლენინი ამ ტაქტიკურ პრინციპს:

«მარტო ავანგარდით გამარჯვება შეუძლებელია. გადამწყვეტ ბრძოლაში მარტო ავანგარდის ჭაბებმა, სანამ მთელ კლასს, სანამ ფართო მასებს არ დაუკავებიათ ავანგარდისათვის ან პირდაპირი დახმარების პოზიცია, ან, ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის პოზიცია და არ გამოუჩენიათ სრული უუნარობა მხარი დაუჭირონ მის მოწინააღმდეგეს, იქნებოდა არა მარტო სისულელე, არამედ დანაშაულიც. **ხოლო იმისათვის, რომ ნამდვილად მთელი კლასი, მშრომელთა და კაპიტალის მიერ დაჩაგრულთა ნამდვილად ფართო მასები ამ პოზიციამდე მივიდნენ, ამისათვის მარტო პროპაგანდა, მარტო აგიტაცია არ კმარა. ამისათვის საჭიროა ამ მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება***. ასეთია ყველა დიდი რევოლუციის ძირითადი კანონი, რომელიც ახლა დადასტურებულია გასაოცარი ძალითა და სიმკვეთრით არა მარტო რუსეთის მიერ, არამედ გერმანიის მიერაც. არა მარტო რუსეთის უკულტურო, ხშირად წერა-კითხვის უცოდინარ მასებს, არამედ გერმანიის დიდად კულტურულ, უკლებლივ წერა-კითხვის მცოდნე მასებსაც დასჭირდათ საკუთარ ზურგზე გამოეცადათ II ინტერნაციონალის რაინდთა მთავრობის მთელი უძლურება, მთელი უხასიათობა, მთელი უმწეობა, მთელი ლაჩრობა ბურჟუაზიის წინაშე, მთელი სისაძაგლე, უკიდურესი რეაქციონერების (კორნილოვი რუსეთში, კაპი და კომპ. გერმანიაში) დიქტატურის მთელი გარდუვალობა, როგორც ერთადერთი ალტერნატივი პროლეტარიატის დიქტატურის მიმართ, რათა ეს მასები გადაჭრით მიმხრობოდნენ კომუნიზმს. მუშათა საერთაშორისო მოძრაობის შეგნებული ავანგარდის, ე. ი. კომუნისტური პარტიების, ჯგუფების, მიმდინარეობების მორიგი ამოცანა ის არის, რომ უნარი შესწევდეთ ფართო (ჯერ კიდევ მეტწილად მძინარე, აპათიური, ჩამორჩენილი, უძრავი, გამოუფხიზლებელი) მასები **მიიყვანონ** მათთვის ამ ახალ მდგომარეობამდე, ან, უფრო სწორად, უნარი შესწევდეთ უხელმძღვანელონ **არა მარტო** თავის პარტიას, არამედ ამ მასებსაც ახალ პოზიციაზე მათი მისვლის, გადასვლის განმავლობაში» (იხ. «მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში», ტ. XXV, გვ. 228).

ოპოზიციის ძირითადი შეცდომა ის არის, რომ მას არ ესმის ლენინიზმის ამ ტაქტიკური პრინციპის აზრი და მნიშვნელობა, იგი არ ცნობს, სისტემატურად არღვევს მას.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

იგი (ტროცკისტები) არღვევდა ამ ტაქტიკურ პრინციპს 1917 წლის დამდეგს, როცა ცდილობდა «გადახტომოდა» ჯერ კიდევ დაუმთავრებელ აგრარულ მოძრაობას (იხ. ლენინი).

იგი (ტროცკი — ზინოვიევი) არღვევდა მას, როცა ცდილობდა «გადახტომოდა» პროფკავშირთა რეაქციულობას, არ ცნობდა რეაქციულ პროფკავშირებში კომუნისტების მუშაობის მიზანშეწონილობას და უარყოფდა მათთან დროებითი ბლოკების საჭიროებას.

იგი (ტროცკი — ზინოვიევი — რადეკი) არღვევდა მას, როცა ცდილობდა «გადახტომოდა» ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის ნაციონალურ თავისებურებებს (გომინდანი), ჩინეთის ხალხის მასების ჩამორჩენილობას, და 1926 წლის აპრილში მოითხოვდა კომუნისტების დაუყოვნებლივ გამოსვლას გომინდანიდან, ხოლო 1927 წლის აპრილში წამოაყენა ლოზუნგი საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნისა განვითარების ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, დრომოუჭმელი გომინდანური ფაზის პირობებში.

ოპოზიცია ფიქრობს, რომ თუ მან გაიგო, გამოიცნო გომინდანური ხელმძღვანელობის ორჭოფობა, მერყეობა, არასაიმედობა, თუ მან გამოიცნო გომინდანთან ბლოკის დროებითი და პირობითი ხასიათი (ამის გამოცნობა კი ძნელი არ არის თვითეული კვალიფიციური პოლიტმუშაკისათვის), — ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ დაწყებულ იქნას «გადამწყვეტი მოქმედება» გომინდანის წინააღმდეგ, გომინდანის ძალაუფლების წინააღმდეგ, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მასებმა, მუშათა და გლეხთა ფართო მასებმა «ერთბაშად» დაგვიჭირონ მხარი «ჩვენ» და «ჩვენს» «გადამწყვეტ მოქმედებას».

ოპოზიციას ავიწყდება, რომ «ჩვენი» გაგება აქ სრულიადაც არ არის საკმაო იმისათვის, რომ ჩინეთის კომუნისტებს შეეძლოთ გაიყოლიონ მასები. ოპოზიციას ავიწყ-

დება, რომ ამისათვის საჭიროა კიდევ ის, რომ თვით მასებმა საკუთარი გამოცდილებით შეიგნონ გომინდანის ხელმძღვანელობის არასაიმედობა, რეაქციულობა, კონტრრევოლუციურობა.

ოპოზიციას ავიწყდება, რომ რევოლუციას «აკეთებენ» არა მარტო მოწინავე ჯგუფი, არა მარტო პარტია, არა მარტო ცალკეული, თუნდაც «მაღალი», «პიროვნებანი», არამედ, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, ხალხის მილიონიანი მასები.

უცნაურია, რომ ოპოზიციას ავიწყდება ხალხის მილიონიანი მასების მდგომარეობა, მათი შეგნება, მათი მზადყოფნა გადამწყვეტი მოქმედებისათვის.

ვიცოდით თუ არა ჩვენ, პარტიამ, ლენინმა, 1917 წლის აპრილში, რომ საჭირო გახდებოდა მილიუკოვ-კერენსკის დროებითი მთავრობის დამხობა, რომ დროებითი მთავრობის არსებობა შეუთავსებელია საბჭოების მუშაობასთან, რომ ძალაუფლება საბჭოების ხელში უნდა გადავიდეს? დიახ, ვიცოდით.

მაშ რატომ იყო, რომ ლენინი მაშინ ავანტიურისტებს უწოდებდა ბოლშევიკების გარკვეულ ჯგუფს პიტერში, ბაგდატიევის მეთაურობით, 1917 წლის აპრილში, როცა ამ ჯგუფმა წამოაყენა ლოზუნგი «ძირს დროებითი მთავრობა, მთელი ძალაუფლება საბჭოებს» და როცა იგი შეეცადა დაემხო დროებითი მთავრობა?

იმიტომ, რომ მშრომელთა ფართო მასები, მუშების გარკვეული ნაწილი, მილიონობით გლეხები, არმიის ფართო მასები, ბოლოს, თვით საბჭოები ჯერ კიდევ მზად არ იყვნენ მიეღოთ ეს ლოზუნგი, როგორც სადღეისო ლოზუნგი.

იმიტომ, რომ დროებით მთავრობასა და ესერებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიულ პარტიებს ჯერ კიდევ

არ მოეჭამათ თავისი დრო, ჯერ კიდევ საკმაოდ არ გასტეხოდათ სახელი მშრომელთა მილიონიანი მასების თვალში.

იმიტომ, რომ ლენინმა იცოდა, რომ დროებითი მთავრობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად საკმარისი არ არის პროლეტარიატის მოწინავე ჯგუფის, პროლეტარიატის პარტიის მარტო გაგებულობა, შეგნება, — ამისათვის საჭიროა კიდევ, რომ თვით მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ასეთი ხაზის სისწორეში.

იმიტომ, რომ საჭირო იყო წვრილბურჟუაზიული პარტიების მთელი კოალიციური ვაჭანალიის, მოღალატეობისა და გამცემლობის გავლა 1917 წლის ივნისში, ივლისში, აგვისტოში, საჭირო იყო ფრონტზე სამარცხვინო შეტევის გავლა 1917 წლის ივლისში, კორნილოვებთან და მილიუკოვებთან წვრილბურჟუაზიული პარტიების «პატიოსანი» კოალიციის, კორნილოვის აჯანყების და სხვ. გავლა, რომ მშრომელთა მილიონიანი მასები დარწმუნებულიყვნენ დროებითი მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებლობაში.

იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლებოდა საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი, როგორც **პერსპექტივა**, გადაქცეულიყო საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგად, როგორც **სადღეისო ლოზუნგად.**

ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ იგი ხშირად უშვებს იმავე შეცდომას, რომელიც თავის დროზე დაუშვა ბაგდატიევის ჯგუფმა, რომ იგი, ტოვებს რა ლენინის გზას, ამჯობინებს «ვიდოდეს» ბაგდატიევის გზით.

ვიცოდით თუ არა ჩვენ, პარტიამ, ლენინმა, რომ დამფუძნებელი კრება შეუთავსებელია საბჭოთა ხელისუფლების სისტემასთან, როცა მონაწილეობას ვიღებდით დამფუძნებელი კრების არჩევნებში და როცა იგი მოვიწვიეთ პიტერში? დიახ, ვიცოდით.

მაშ რისთვის მოვიწვიეთ იგი? როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ბოლშევიკებმა, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის მტრებმა, საბჭოთა ხელისუფლება რომ ააშენეს, არა მარტო მონაწილეობა მიიღეს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, არამედ თვითონვე მოიწვიეს იგი? ეს «მაჩანჩალობა», მოვლენათაგან ჩამორჩენა, «მასების უკანდახევინება», «შორს დამიზნების» ტაქტიკის დარღვევა ხომ არ იყო? რასაკვირველია, არა.

ბოლშევიკებმა ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგეს, რომ ხალხის ჩამორჩენილ მასებისათვის გაეადვილებინათ თვალნათლივ დარწმუნებულიყვნენ დამფუძნებელი კრების უვარგისობაში, მის რეაქციულობაში, მის კონტრრევოლუციურობაში. მხოლოდ ასეთი გზით შეეძლოთ მათ დაეახლოებინათ გლეხობის მრავალმილიონიანი მასები და გაეადვილებინათ თავისთვის დამფუძნებელი კრების გარეკვა.

აი რას წერს ამის შესახებ ლენინი:

«ჩვენ ვმონაწილეობდით რუსეთის ბურჟუაზიული პარლამენტის, დამფუძნებელი კრების, არჩევნებში 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში. სწორი იყო თუ არა ჩვენი ტაქტიკა?.. არ გვქონდა განა ჩვენ, რუსეთის ბოლშევიკებს, 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში უფრო მეტი უფლება, ვიდრე დასავლეთის რომელიც გნებავთ კომუნისტებს, გვეფიქრნა, რომ რუსეთში პარლამენტარიზმი პოლიტიკურად დრომოჭმულია? რა თქმა უნდა, გვქონდა, ვინაიდან საქმე ის ხომ არ არის, დიდი ხანია თუ ცოტა ხანია, რაც ბურჟუაზიული პარლამენტები არსებობენ, არამედ ის, თუ რამდენად **მზად არიან** (იდეურად, პოლიტიკურად, პრაქტიკულად) მშრომელთა ფართო მასები — მიიღონ საბჭოთა წყობილება და გარეკონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტი (ან დაუშვან მისი გარეკვა). 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში რომ რუსეთში ქალაქების მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხები, მთელ რიგ სპეციალურ პირობათა გამო, საუცხოოდ იყვნენ მომზადებული საბჭოთა წყობილების მისაღებად და ყველაზე უფრო დემოკრატიული ბურჟუაზიული პარლამენტის გასარეკად, ეს სრულიად უდავო და სავსებით დადასტურებული ისტორიული ფაქტია. და მიუხედავად ამისა, ბოლშევიკებს ბოიკოტი კი **არ** გამოუცხადებიათ დამფუძ-

ნებელი კრებისათვის, არამედ მათ მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობამდეც და დაპყრობის **შემდეგაც**...

აქედან გამომდინარე დასკვნა სრულიად უდავოა: დამტკიცებულია, რომ საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებამდე რამდენიმე კვირით ადრეც კი, ასეთი გამარჯვების **შემდეგაც** კი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარლამენტში მონაწილეობა არა თუ არ ვნებს რევოლუციურ პროლეტარიატს, არამედ კიდევაც უადვილებს მას შესაძლებლობას — **დაუმტკიცოს** ჩამორჩენილ მასებს, თუ რატომ არიან ასეთი პარლამენტები გარეკვის ღირსნი, **აადვილებს** მათი გარეკვის წარმატებას, **აადვილებს** იმას, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი «პოლიტიკურად დრომოჭმული» გახდეს» (იხ. ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში», ტ. XXV, გვ. 201 — 202).

აი საქმით როგორ იყენებდნენ ბოლშევიკები ლენინიზმის მესამე ტაქტიკურ პრინციპს.

აი როგორ უნდა იქნას გამოყენებული ბოლშევიზმის ტაქტიკა ჩინეთში, სულ ერთია, ეხება საქმე აგრარულ რევოლუციას, გომინდანს თუ ლოზუნგს საბჭოების შესახებ.

ოპოზიცია, ჩანს, იმ აზრისაკენ იხრება, რომ რევოლუციამ ჩინეთში უკვე სრული მარცხი განიცადა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. რევოლუციამ ჩინეთში დროებითი დამარცხება რომ განიცადა, ეს ეჭვს არ იწვევს. მაგრამ რა დამარცხებაა ეს დამარცხება და რამდენად ღრმაა იგი — აი რა არის ახლა საკითხი.

შესაძლოა, რომ ეს არის დაახლოებით ისეთივე ხანგრძლივი მარცხი, როგორიც რუსეთში იყო 1905 წელს, როცა რევოლუცია შეწყდა მთელი თორმეტი წლით, რათა შემდეგ, 1917 წლის თებერვალში, ახალი ძალით ეფეთქნა, დაემხო თვითმპყრობელობა და გზა გაეკაფა ახალი, საბჭოთა რევოლუციისათვის.

ეს პერსპექტივა არ შეიძლება გამორიცხულად ჩაითვალოს. ეს ჯერ კიდევ არ არის რევოლუციის სრული დამარცხება, ისევე როგორც 1905 წლის დამარცხება არ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა საბოლოო დამარცხე-

ბად. ეს არ არის სრული დამარცხება, ვინაიდან ჩინეთის რევოლუციის ძირითადი ამოცანები განვითარების ახლანდელ ფაზაზე — აგრარული რევოლუცია, ჩინეთის რევოლუციური გაერთიანება, იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლება — ჯერ კიდევ მოელიან თავის გადაწყვეტას. და თუ ეს პერსპექტივა რეალობად იქცევა, ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ შეიძლება, ვინაიდან საბჭოები იქმნებიან და იფურჩქნებიან მხოლოდ რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში.

მაგრამ არა მგონია შეიძლებოდეს, რომ ეს პერსპექტივა შესაძლო პერსპექტივად ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით საფუძველი არა გვაქვს იგი შესაძლო პერსპექტივად ჩავთვალოთ. საფუძველი არა გვაქვს, რადგან კონტრრევოლუცია ჯერ კიდევ გაერთიანებული არ არის და ვერც მალე გაერთიანდება, თუ საერთოდ მას უწერია როდისმე გაერთიანება.

რადგან ძველი და ახალი მილიტარისტების ურთიერთშორის ომი ახალი ძალით ჩაღდება და იგი არ შეიძლება არ ასუსტებდეს კონტრრევოლუციის ძალას, ამასთანავე არ აღატაკებდეს და არ აბოროტებდეს გლეხობას.

რადგან ჩინეთში ჯერ კიდევ არ არის ისეთი ჯგუფი ან ისეთი მთავრობა, რომელსაც შეეძლოს მოახდინოს სტოლიპინის რეფორმის მსგავსი რამ, რასაც შეუძლია ხალხის რისხვა ააცილოს მმართველ ჯგუფებს.

რადგან ადვილი არ არის ალაგმვა და მოდრეკა მილიონობით გლეხებისა, რომლებიც უკვე მიიჭრნენ მემამულეთა მიწებთან.

რადგან პროლეტარიატის ავტორიტეტი მშრომელი მასების თვალში დღითი-დღე იზრდება, ხოლო მისი ძალები ჯერ სრულიადაც არ არიან განადგურებულნი.

შესაძლოა, რომ ჩინეთის რევოლუციის მარცხი თავისი მნიშვნელობით ანალოგიურია ბოლშევიკების იმ მარცხისა, რაც მათ განიცადეს 1917 წლის ივლისში, როცა მენშევიკურ-ესერულმა საბჭოებმა უღალატეს მათ, როცა ისინი იძულებული გახდნენ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყვნენ და როცა, რამდენიმე თვის შემდეგ, რევოლუცია კვლავ გამოვიდა ქუჩაში იმისათვის, რომ აღეგავა რუსეთის იმპერიალისტური მთავრობა.

ეს ანალოგია, რა თქმა უნდა, პირობითია. იგი დასაშვებად მიმაჩნია მხოლოდ ყველა იმ შენიშვნით, რომლებიც საჭიროა, თუ მხედველობაში მივიღებთ ახლანდელი ჩინეთისა და 1917 წლის რუსეთის სიტუაციის სხვადასხვაობას. ასეთ ანალოგიას მხოლოდ იმისათვის მივმართავ, რომ დაახლოებით დავასურათო, თუ რამდენად დამარცხდა ჩინეთის რევოლუცია.

მე ვფიქრობ, რომ ეს პერსპექტივა ყველაზე მოსალოდნელია. და თუ იგი, ეს პერსპექტივა, რეალობად იქცევა, თუ უახლოეს დროში, — უთუოდ ორი თვის შემდეგ კი არა, არამედ ნახევარი წლის, ერთი წლის შემდეგ, — **რევოლუციის ახალი აღმავლობა ფაქტი გახდება**, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნის საკითხი შეიძლება დღის წესრიგში დადგეს როგორც სადღეისო ლოზუნგი და როგორც ბურჟუაზიული მთავრობისადმი დაპირდაპირება.

რატომ?

იმიტომ, რომ რევოლუციის განვითარების ახლანდელ ფაზაზე **რევოლუციის ახალი აღმავლობის** პირობებში საბჭოების შექმნა სავსებით მომწიფებული საკითხი იქნება.

გუშინ, რამდენიმე თვის წინათ, ჩინეთის კომუნისტებს არ უნდა წამოეყენებინათ საბჭოების შექმნის ლოზუნგი, ვინაიდან ეს იქნებოდა ავანტიურიზმი, რომელიც ჩვენს ოპოზიციას სჩვევია, ვინაიდან გომინდანის ხელმძღვანელო-

ბას ჯერ კიდევ არ გასტეხოდა სახელი, როგორც რევოლუციის მოწინააღმდეგეს.

ახლა, პირიქით, საბჭოების შექმნის ლოზუნგი შეიძლება მართლა გახდეს რევოლუციური ლოზუნგი, თუ (თუ!) უახლოეს დროში დაიწყება ახალი და მძლავრი რევოლუციური აღმავლობა.

ამიტომ უკვე ახლა, ჯერ კიდევ აღმავლობის დაწყებამდე, გომინდანის ახლანდელი ხელმძღვანელობის რევოლუციური ხელმძღვანელობით შეცვლისათვის ბრძოლასთან ერთად, საჭიროა მშრომელთა ფართო მასებში საბჭოების იდეის უფართოესი პროპაგანდის წარმოება, ამასთან წინწაურბენლად და საბჭოების ახლავე შეუქმნელად, იმის დაუვიწყებლად, რომ საბჭოები შეიძლება აყვავდეს მხოლოდ მძლავრი რევოლუციური აღმავლობის პირობებში.

ოპოზიციას შეუძლია თქვას, რომ ეს მან «პირველმა» თქვა, რომ ეს სწორედ ის არის, რასაც ჩვენში «შორს დამიზნების» ტაქტიკა ეწოდება.

მართალი არ არის, ძვირფასებო. სრულებით არ არის მართალი! ეს არის არა «შორს დამიზნების» ტაქტიკა, არამედ ბორიალის ტაქტიკა, მიზნის მუდმივი გადაცილებისა და მიუწვდენლობის ტაქტიკა.

როცა ოპოზიცია მოითხოვდა კომუნისტების დაუყოვნებლივ გამოსვლას გომინდანიდან 1926 წლის აპრილში, ეს იყო **გადაცილების** ტაქტიკა, ვინაიდან თვითონ ოპოზიცია შემდეგ იძულებული იყო ეღიარებინა, რომ კომუნისტები უნდა დარჩენილიყვნენ გომინდანში.

როცა ოპოზიციამ ჩინეთის რევოლუცია გამოაცხადა რევოლუციად საბაჟო ავტონომიისათვის, ეს იყო **მიუწვდენლობის** ტაქტიკა, ვინაიდან თვითონ ოპოზიცია შემდეგ იძულებული იყო ხოხვით გასცლოდა თავისსავე ფორმულას.

როცა ოპოზიციამ 1927 წლის აპრილში გაზვიადებად გამოაცხადა ფეოდალური გადმონაშთები ჩინეთში და დაი-

ვიწყა მასობრივი აგრარული მოძრაობის არსებობა, ეს იყო **მიუწვდენლობის** ტაქტიკა, ვინაიდან თვითონ ოპოზიცია შემდეგ იძულებული იყო მდუმარედ ეღიარებინა თავისი შეცდომა.

როცა ოპოზიციამ 1927 წლის აპრილში წამოაყენა საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის ლოზუნგი, ეს იყო **გადაცილების** ტაქტიკა, ვინაიდან თვითონ ოპოზიციონერები იძულებული იყვნენ ეღიარებინათ მაშინ წინააღმდეგობა თავიანთ ბანაკში; ამათგან ერთი (ტროცკი) მოითხოვდა აღებული ყოფილიყო გეზი უხანის მთავრობის დამხობისაკენ, ხოლო მეორე (ზინოვიევი), პირიქით, მოითხოვდა იმავე უხანის მთავრობისათვის «ყოველმხრივი დახმარების» გაწევას.

მაგრამ რა დროიდან დაიწყეს ჩვენში ბორიალის ტაქტიკის, მიზნის მუდმივი გადაცილებისა და მიუწვდენლობის ტაქტიკის გამოცხადება «შორს დამიზნების» ტაქტიკად?

საბჭოების შესახებ საჭიროა ითქვას, რომ ჩინეთში საბჭოების, როგორც **პერსპექტივის** შესახებ კომინტერნმა თავის დოკუმენტებში თქვა თავისი სიტყვა ოპოზიციამდე დიდი ხნით ადრე. რაც შეეხება საბჭოებს, როგორც **სადღეისო ლოზუნგს,** რომელიც ოპოზიციამ მიმდინარე წლის გაზაფხულზე წამოაყენა, როგორც რევოლუციური გომინდანისადმი დაპირდაპირება (გომინდანი მაშინ რევოლუციური იყო, ასე რომ არ ყოფილიყო, ზინოვიევს არ დასჭირდებოდა ყვირილი გომინდანისათვის «ყოველმხრივი დახმარების» გაწევის შესახებ), ეს იყო ავანტიურა, ყვირილით წინწარბენა, ისეთივე ავანტიურა და ისეთივე წინწარბენა, როგორიც ბაგდატიევმა 1917 წლის აპრილში დაუშვა.

ჩინეთში რომ საბჭოების ლოზუნგი შეიძლება **უახლოეს მომავალში** სადღეისო ლოზუნგად გადაიქცეს, აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ოპოზიციის მიერ

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საბჭოების ლოზუნგის წამოყენება საშიში და მავნე ავანტიურა არ იყო.

ისევე, როგორც იქიდან, რომ ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» ლენინის მიერ აღიარებულ იქნა საჭირო და დროულ ლოზუნგად 1917 წლის **სექტემბერში** (ცენტრალური კომიტეტის ცნობილი გადაწყვეტილება აჯანყების შესახებ) [70], სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ბაგდატიევის მიერ ამ ლოზუნგის წამოყენება 1917 წლის **აპრილში** მავნე და საშიში ავანტიურა არ იყო.

ბაგდატიევსაც შეეძლო ეთქვა 1917 წლის სექტემბერში, რომ მან «პირველმა» თქვა საბჭოების ძალაუფლების შესახებ ჯერ კიდევ 1917 წლის აპრილში. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ბაგდატიევი მართალი იყო, ხოლო ლენინი არ იყო მართალი, როცა მის გამოსვლას 1917 წლის აპრილში ახასიათებდა როგორც ავანტიურიზმს?

ჩანს, ბაგდატიევის «დაფნის გვირგვინი» მოსვენებას არ აძლევს ჩვენს ოპოზიციას.

ოპოზიციას არ ესმის, რომ საქმე სრულებითაც ის კი არ არის, რომ «პირველმა» წამოიძახო, წინ წაირბინო და ჩაშალო რევოლუციის საქმე, არამედ ის, რომ **თავის დროზე** სთქვა, ამასთან სთქვა ისე, რომ ნათქვამს ხელი ჩასჭიდონ მასებმა და **საქმედ აქციონ** იგი.

ასეთია ფაქტები.

ოპოზიციის ჩამოშორება ლენინური ტაქტიკისაგან, მისი პოლიტიკის «ულტრამემარცხენე» ავანტიურიზმი — ასეთია შედეგი.

«პრავდა» № 169,
1927 წ. 28 ივლისი.
ხელმოწერა: ი. სტალინი.

შენიშვნები

1 კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმი მიმდინარეობდა 1926 წლის 22 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე მოსკოვში. პლენუმმა განიხილა მოხსენებები: საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ; ჩინეთისა და ინგლისის საკითხებზე; ტრესტიფიკაციასა და რაციონალიზაციაზე და პროფესიულ კავშირებში კომუნისტების ამოცანებზე; საკავშირო კ. პ. (ბ) შინაპარტიულ საკითხებზე; გერმანიისა და ჰოლანდიის საკითხებზე, აგრეთვე განიხილა მასლოვ-რუთ ფიშერის საქმე, ბრანდლერისა და ტალჰეიმერის საქმე, სუვარინის საქმე. პლენუმზე შეიქმნა კომისიები: პოლიტიკური, ჩინეთის, ინგლისის, გერმანიისა და სხვები. ი. ბ. სტალინი არჩეული იყო პლენუმის პოლიტიკური, ჩინეთისა და გერმანიის კომისიების შემადგენლობაში. მოისმინა რა ი. ბ. სტალინის მოხსენება «საკავშირო კ. პ. (ბ) შინაპარტიული საკითხები», პლენუმმა დაგმო საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) არსებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციური ბლოკი როგორც ბლოკი გამთიშველებისა, რომლებიც თავიანთი პლატფორმით მენშევიკურ პოზიციებზე დაეშვნენ. პლენუმმა კომინტერნის სექციებს დაავალა გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინათ საკავშირო კ. პ. (ბ) ოპოზიციისა და სხვა კომუნისტურ პარტიებში მის მომხრეთა ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართული იყო იქითკენ, რომ დაერღვიათ კომინტერნისა და ლენინური პარტიის — მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოს ხელმძღვანელის რიგების იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა. პლენუმმა დაამტკიცა საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციის რეზოლუცია «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)» და დაადგინა და-

ერთო იგი პლენუმის დადგენილებებისათვის, როგორც თავისი გადაწყვეტილება. ი. ბ. სტალინის მოხსენება «საკავშირო კ. პ. (ბ) შინაპარტიული საკითხები» და საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო დაიბეჭდა 1926 წლის დეკემბერში ცალკე ბროშურად სახელწოდებით «ერთხელ კიდევ სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში». — 1.

2 განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ შემოიღო გერმანიაში 1878 წელს ბისმარკის მთავრობამ. ამ კანონით აკრძალული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ორგანიზაცია, მუშათა მასობრივი ორგანიზაციები და მუშათა პრესა. ამ კანონის საფუძველზე ხდებოდა სოციალისტური ლიტერატურის კონფისკაცია, სოციალ-დემოკრატები რეპრესიებს განიცდიდნენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო. მუშათა მასობრივი მოძრაობის ზეგავლენით 1890 წელს ეს კანონი გაუქმებულ იქნა. — 8.

3 «სოციალ-დემოკრატი» («Der Sozialdemokrat») — არალეგალური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო; გამოდიოდა 1879 წლის სექტემბრიდან 1890 წლის სექტემბრამდე, ჯერ ციურიხში (შვეიცარია), ხოლო 1888 წლის ოქტომბრიდან ლონდონში. — 9.

4 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «რჩეული წერილები», 1947, გვ. 358 — 359 რუს. გამოც. — 9.

5 იგულისხმება რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბ) არსებული ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც თავს «დემოკრატიული ცენტრალიზმის» ჯგუფს უწოდებდა. ეს ჯგუფი სამხედრო კომუნიზმის პერიოდში შეიქმნა, მას სათავეში ედგნენ საპრონოვი და ოსინსკი. «დემოკრატიული ცენტრალისტები» უარყოფდნენ პარტიის ხელმძღვანელ როლს საბჭოებში; ილაშქრებდნენ მრეწველობაში ერთმმართველობისა და დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობის წინააღმდეგ, ორგანიზაციულ საკითხებში ლენინური ხაზის წინააღმდეგ; მოითხოვდნენ პარტიაში ფრაქციათა და დაჯგუფებათა თავისუფლებას. პარტიის IX და X ყრილობებმა გადაჭრით დაგმეს დე-

ცისტები. 1927 წელს «დემოკრატიულ ცენტრალისტთა» ჯგუფი ტროცკისტული ოპოზიციის აქტიურ მოღვაწეებთან ერთად პარტიიდან გარიცხა საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობამ. — **14.**

6 «მუშათა ოპოზიცია» — ანტიპარტიული ანარქისტულ-სინდიკალისტური ჯგუფი რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბ); მას სათავეში ედგნენ შლიაპნიკოვი, მედვედევი და სხვ. ჯგუფი ჩამოყალიბდა 1920 წლის მეორე ნახევარში და იბრძოდა პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ. რკპ(ბ) X ყრილობამ დაგმო «მუშათა ოპოზიცია» და კომუნისტური პარტიის წევრობასთან შეუთავსებლად სცნო ანარქისტულ-სინდიკალისტური გადახრის იდეების პროპაგანდა. დამარცხებული «მუშათა ოპოზიციის» ნაშთები შემდეგში კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს შეუერთდნენ და განადგურებულ იქნენ როგორც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრები. — **14.**

7 კომუნისტური ინტერნაციონალის V მსოფლიო კონგრესმა, რომელიც მიმდინარეობდა 1924 წლის 17 ივნისიდან 8 ივლისამდე მოსკოვში, განიხილა საკითხი «სსრ კავშირის ეკონომიური მდგომარეობისა და რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბ) დისკუსიის შესახებ» და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბოლშევიკების პარტიას მის ბრძოლაში ტროცკიზმის წინააღმდეგ. კონგრესმა დაამტკიცა რკპ(ბ) XIII კონფერენციის რეზოლუცია «დისკუსიის შედეგებისა და პარტიაში წვრილბურჟუაზიული გადახრის შესახებ», რომელიც დაადასტურა რკპ(ბ) XIII ყრილობამ, და დაადგინა გამოექვეყნებინა იგი როგორც თავისი გადაწყვეტილება. — **15.**

8 საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენცია მიმდინარეობდა 1926 წლის 26 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე. თეზისები «ოპოზიციური ბლოკის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)» საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით დაწერა ი. ბ. სტალინმა. 3 ნოემბერს თეზისები ერთხმად მიიღო კონფერენციამ როგორც კონფერენციის რეზოლუცია. იმავე დღეს რეზოლუცია დაამტკიცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 8, გვ. 233 — 253). — **17.**

9 გენერალური საბჭო — ინგლისის ტრედ-უნიონების კონგრესის აღმასრულებელი ორგანო; პირველად არჩეულ იქნა 1921 წელს. — **20.**

10 იგულისხმება რკპ(ბ) XIV კონფერენციის რეზოლუცია «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით» (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 25 — 31). — **25.**

11 **«სოციალ-დემოკრატ»** — არალეგალური გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო. გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე, გამოვიდა 58 ნომერი. პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდეგ გაზეთის გამოცემა გადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, შემდეგ ჟენევაში. «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, შედგენილი იყო ბოლშევიკების, მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელთაგან. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შიგნით ლენინის შეურიგებელმა ბრძოლამ თანმიმდევრული ბოლშევიკური ხაზისათვის გამოიწვია რედაქციის შემადგენლობიდან მენშევიკებისა და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელთა გასვლა. 1911 წლის დეკემბრიდან გაზეთ «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი. გაზეთში დაბეჭდილი იყო ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები. ვ. ი. ლენინის სტატია «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» დაბეჭდილია «სოციალ-დემოკრატში» № 44, 1915 წლის 23 აგვისტოს (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XVIII, გვ. 230 — 233). — **31.**

12 **«ნაშე სლოვო»** — მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1915 წლის იანვრიდან 1916 წლის სექტემბრამდე. — **32.**

13 იხ. ვ. ი. ლენინი. «სასურსათო გადასახადის შესახებ» (თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 317 — 352). — **34.**

14 იხ. ი. ბ. სტალინი. «სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში» (თხზულებანი, ტ. 8, გვ. 254 — 322). — **40.**

15 იგულისხმება ინგლისის მუშების საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მიმდინარეობდა 1926 წლის 3-დან 12 მაისამდე. გაფიცვაში მონაწილეობდა მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგის ხუთ მილიონზე მეტი ორგანიზებული მუშა. გაფიცვის წარმოშობისა და ჩაშლის მიზეზების შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 8, გვ. 170 — 184. — **48.**

16 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 312. — **49.**

17 ვედინგელები — ერთ-ერთი «ულტრამემარცხენე» ჯგუფი გერმანიის კომპარტიაში; არსებობდა შიდა ბერლინის ჩრდილო-დასავლეთი ოლქის — ვედინგის პარტიულ ორგანიზაციაში. «ვედინგის ოპოზიციის» ხელმძღვანელები სოლიდარული იყვნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციური ბლოკისადმი საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ). კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულმა პლენუმმა გადაჭრით დაგმო «ვედინგის ოპოზიცია», მოსთხოვა მას ფრაქციული საქმიანობის სრული შეწყვეტა, გერმანიის კომპარტიიდან გარიცხულებთან და გერმანიის კომპარტიისადმი მტრულ ელემენტებთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა და გერმანიის კომპარტიისა და კომინტერნის გადაწყვეტილებებისადმი უსიტყვოდ დამორჩილება. — **54.**

18 **«პოსლედნიე ნოვოსტი»** — ყოველდღიური გაზეთი, მილიუკოვის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1920 წლის აპრილიდან 1940 წლის ივლისამდე პარიზში. — **58.**

19 იხ. ვ. ი. ლენინი. «პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ახლანდელ რევოლუციაში» (თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 87 — 90). — **69.**

20 ციმერვალდის მემარცხენე ფრთა — მემარცხენე ინტერნაციონალისტების ჯგუფი; იგი შექმნა ვ. ი. ლენინმა ინტერნაციონალისტების პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 1915 წლის 23 — 26 აგვისტოს (5 — 8 სექტემბერს) ციმერვალდში (შვეიცარია). ბოლშევიკების პარტიას, ვ. ი. ლენინის მეთაურობით, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში ეჭირა ერთადერთი სწორი, ბო-

ლომდე თანმიმდევრული პოზიცია ომის წინააღმდეგ. ციმერვალდის მემარცხენე ფრთის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 216. — **69.**

21 სმენავეხელი — მომხრე ბურჟუაზიული პოლიტიკური მიმდინარეობისა, რომელიც 1921 წელს წარმოიშვა საზღვარგარეთ რუსეთის ბურჟუაზიულ ემიგრაციაში და თავისი სახელწოდება მიიღო ჟურნალისაგან «სმენა ვეხ». სმენავეხელობა ასახავდა შეხედულებებს საბჭოთა რუსეთის ახალი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციისას, რომლებმაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებასთან დაკავშირებით, ხელი აიღეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა შეიარაღებულ ბრძოლაზე და იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ საბჭოთა წყობილება თანდათანობით გადაგვარდებოდა ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ რესპუბლიკად. უსტრიალოვი სმენავეხელობის იდეოლოგი იყო. — **74.**

22 ნეჩაეველობა — შეთქმულებათა და ტერორიზმის ტაქტიკა; სახელწოდება მიიღო რუსი ანარქისტის — ბაკუნინელ ს. გ. ნეჩაევის სახელის მიხედვით. XIX საუკუნის 60-იანი წლების დამლევს ნეჩაევმა რუსეთში შექმნა მასებს მოწყვეტილი შეთქმულთა ვიწრო ორგანიზაცია, რომელშიც სავსებით ჩახშობილი იყო მისი წევრების ნება და აზრი. — **85.**

23 არაკჩეეველობა — შეუზღუდავი პოლიციური დესპოტიზმის, სამხედრო ხროვის თვითნებობისა და ხალხის მიმართ ძალადობის რეჟიმი, რომელიც რუსეთში არსებობდა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში; სახელწოდება მიიღო რეაქციონერი მოღვაწის გრაფ არაკჩეევის სახელის მიხედვით. — **85.**

24 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 71 რუს. გამოც. — **92.**

25 იხ. აგრეთვე კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXII, 1931, გვ. 362 რუს. გამოც. — **93.**

26 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». დანართი. სახელგამი, 1940, გვ. 71 — 93. — **96.**

27 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 103 რუს. გამოც. — **104.**

28 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. III, გვ. 1 — 477 (რუს. გამოც.) და გამოცემა მე-4, ტ. 3, გვ. 1 — 719 (ქართ. გამოც.). — **113.**

29 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXI, გვ. 365 — 455. — **121.**

30 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი II, 1941, გვ. 25 — 31. — **133.**

31 იგულისხმება «გეგმა და კონსპექტები ბროშურისა «სასურსათო გადასახადის შესახებ»» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 310 — 316). — **136.**

32 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1941, გვ. 281 — 295. — **139.**

33 იგულისხმება რეზოლუცია «დისკუსიის შედეგებისა და პარტიაში წვრილბურჟუაზიული გადახრის შესახებ», მიღებული რკპ(ბ) XIII კონფერენციის მიერ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო «პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ» (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1941, გვ. 540 — 545). — **155.**

34 ი. ბ. სტალინის წიგნი «ლენინისა და ლენინიზმის შესახებ» გამოვიდა 1924 წლის მაისში. წიგნი შეიცავს ორ ნაშრომს: «ლენინის შესახებ. სიტყვა კრემლის კურსანტების საღამოზე 1924 წ. 28 იანვარს» და «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ. სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციები» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 6, გვ. 62 — 75, 81 — 216). — **162.**

35 საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის XV საგუბერნიო კონფერენცია შესდგა 1927 წლის 8 — 15 იანვარს. კონფერენციამ განიხილა სსრ კავ-

შირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის საკითხები, მოხსენება ცენტრალური საკონტროლო კომისიის — მუშათა და გლეხთა ინსპექციის მორიგი ამოცანების შესახებ, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და სხვა საკითხები. ი. ბ. სტალინი 14 იანვარს გამოვიდა სიტყვით კონფერენციის საღამოს სხდომაზე. კონფერენციამ მოიწონა საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა. — **165.**

86 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 255 — 259. — **168.**

87 **«ბორბა»** — გაზეთი, გამოდიოდა 1917 წლის მაისიდან როგორც რსდმპ (ბ) ცარიცინის კომიტეტის ორგანო და 1917 წლის დამლევიდან — როგორც მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და კაზაკთა დეპუტატების ცარიცინის საბჭოს ორგანო. ცარიცინისათვის სტალინგრადის დარქმევის შემდეგ გაზეთი იყო სტალინგრადის საგუბერნიო და საქალაქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ორგანო. გაზეთ **«ბორბას»** უკანასკნელი 58-ე (4670) ნომერი გამოვიდა 1933 წლის 14 მარტს. — **180.**

88 იგულისხმება ი. ბ. სტალინის მოხსენება «პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში» რკპ(ბ) X ყრილობაზე 1921 წლის 10 მარტს (იხ. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 35 — 47). — **188.**

89 იგულისხმება ი. ბ. სტალინის თეზისები რკპ(ბ) X ყრილობისათვის **«პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში» (იხ. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 16 — 31).** — **188.**

40 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 36. — **189.**

41 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 16 — 17. — **189.**

42 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 173 — 233. — **192.**

48 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 405 და ტ. XXVII, გვ. 262. — **204.**

44 საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია გენუაში (იტალია) მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე. კონფერენ-

ციაში მონაწილეობას იღებდნენ, ერთი მხრივ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები, მეორე მხრივ — საბჭოთა რუსეთი. კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებმა საბჭოთა დელეგაციას წარუდგინეს მოთხოვნები, რომელთა შესრულება იქნებოდა საბჭოთა ქვეყნის გადაქცევა დასავლეთ ევროპის კაპიტალის კოლონიად (ომისდროინდელი და ომამდელი ყველა სესხის გადახდის, უცხოელ მფლობელთათვის მათი ნაციონალიზებული საკუთრების დაბრუნების მოთხოვნა და სხვ.). საბჭოთა დელეგაციამ უარყო უცხოელ კაპიტალისტთა პრეტენზიები. გენუის კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. **XXVII**, გვ. 168 — 179 და 225 — 227. — **204.**

45 საკავშირო ალკკ V სრულიად საკავშირო კონფერენცია შესდგა მოსკოვში 1927 წლის 24 — 31 მარტს. კონფერენციამ განიხილა მოხსენებანი: საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, მიმდინარე მომენტისა და პარტიის პოლიტიკის შესახებ, საწარმოო ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობისა და საკავშირო ალკკ ეკონომიური მუშაობის ამოცანების შესახებ, სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და სოფლის კოოპერირებაში კომკავშირის მონაწილეობის შესახებ და სხვ. ი. ბ. სტალინი სიტყვით გამოვიდა კონფერენციის საღამოს სხდომაზე 29 მარტს. თავის გადაწყვეტილებებში კონფერენციამ პირობა მისცა პარტიას, რომ ლენინური კომკავშირი კვლავაც დარჩება პარტიის ერთგულ თანაშემწედ სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობისათვის წარმოებულ მუშაობაში. — **206.**

46 ჩინეთის გაერთიანებისათვის ჩრდილოეთელ მილიტარისტთა წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლების მსვლელობაში ნაციონალურ-რევოლუციური არმიის ნაწილებმა 1927 წლის 23 მარტს დაიკავეს ჭალაჭი ნანკინი. რევოლუციის ჩასახშობად იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩინელი მილიტარისტებისათვის დახმარების გაწევიდან გადავიდნენ აშკარა ინტერვენციაზე ჩინეთში: 24 მარტს ინგლისისა და ამერიკის სამხედრო გემებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ნანკინს. — **206.**

47 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის 24 მარტის დადგენილება «წარმოების რაციონალიზაციის საკითხები» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» 68-ე ნომერში, 1927 წლის 25 მარტს. — **210.**

48 გომინდანი — პოლიტიკური პარტია ჩინეთში, დააარსა სუნ ჯათ-სენმა 1912 წელს რესპუბლიკისათვის და ჩინეთის ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ჩინეთის კომუნისტური პარტიის შესვლამ გომინდანში (1924 წ.) ხელი შეუწყო მის გადაქცევას მასობრივ სახალხო-რევოლუციურ პარტიად. ჩინეთის 1925 — 1927 წლების რევოლუციის განვითარების პირველ ეტაპზე, როცა იგი გაერთიანებული საერთო-ნაციონალური ფრონტის ანტიიმპერიალისტური რევოლუცია იყო, გომინდანი წარმოადგენდა პროლეტარიატის, ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიისა და მსხვილი ნაციონალური ბურჟუაზიის ნაწილის ბლოკის პარტიას. მეორე ეტაპზე, აგრარული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, მას შემდეგ, რაც ნაციონალური ბურჟუაზია კონტრრევოლუციის ბანაკში გადავიდა, გომინდანი, რომელიც პროლეტარიატის, გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ბლოკს წარმოადგენდა, ანტიიმპერიალისტურ რევოლუციურ პოლიტიკას ახორციელებდა. ერთი მხრივ, აგრარული რევოლუციის გაჩაღებამ და გომინდანზე ფეოდალების ზეგავლენამ და, მეორე მხრივ, იმპერიალისტების მიძალებამ, რომლებიც გომინდანისაგან კომუნისტებთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვდნენ, შეაშინა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია (მემარცხენეები გომინდანში), რომელმაც კონტრრევოლუციისაკენ იბრუნა პირი. როცა დაიწყო მემარცხენე გომინდანელთა ჩამოშორება რევოლუციისაგან (1927 წ. ზაფხული), კომუნისტები გამოვიდნენ გომინდანიდან, ხოლო უკანასკნელი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრად გადაიქცა. — **214.**

49 იხ. ვ. ი. ლენინი. «დემოკრატია და ხალხოსნობა ჩინეთში» (თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XVI, გვ. 26 — 31 და გამოც. მე-4, ტ. 18, გვ. 143 — 149). — **216.**

50 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 322 — 324. — **217.**

51 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად», ტ. II, 1948, გვ. 434 რუს. გამოც. — **224.**

52 იგულისხმება «მემარცხენე» ესერების კონტრრევოლუციური ამბოხება მოსკოვში 1918 წლის 6 — 7 ივლისს. ამბოხება ჩახშობილ იქნა რამდენიმე საათის განმავლობაში. — **228.**

53 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 266 — 278. — **232.**

54 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 356 — 366. — **234.**

55 კომპრადორები — შუამავლები უცხოეთის კაპიტალსა და ადგილობრივ ბაზარს შორის, რომლებიც კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში მსხვილი ადგილობრივი სავაჭრო ბურჟუაზიის ნაწილს შეადგენენ. კომპრადორულმა ბურჟუაზიამ ჩინეთში თავი გამოამჟღავნა როგორც უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტურამ და ჩინეთის 1925 — 1927 წლების რევოლუციის მოსისხლე მტერმა. — **238.**

56 იგულისხმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიმდინარეობდა 1927 წლის 13 — 16 აპრილს. პლენუმმა განიხილა სსრ კავშირისა და რსფსრ საბჭოების ყრილობებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები და გადაწყვიტა საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის მოწვევის ვადების საკითხი. 13 აპრილს ი. ბ. სტალინი გამოვიდა პლენუმის დღის წესრიგის საკითხზე და კამათში მ. ი. კალინინის მოხსენების გამო «სსრ კავშირისა და რსფსრ საბჭოების ყრილობათა საკითხები». განიხილა რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ცნობა იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებიც მან საერთაშორისო ამბებთან (ჩინეთის ამბები და სხვ.) დაკავშირებით მიიღო, პლენუმმა მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკა საერთაშორისო საკითხში და გადაჭრით უარყო ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ანტიპარტიული პლატფორმა. — **246.**

57 **«დერევენსკი კომმუნისტი»** — ორკვირეული ჟურნალი სოფლის პარტიული აქტივისათვის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო. ჟურნალი გამოდიოდა 1924 წლის დეკემბრიდან 1930 წლის აგვისტომდე. 1927 წლის თებერვლამდე ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ვ. მ. მოლოტოვი. — **248.**

58 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 285 — 290, 351 — 355. — **248.**

59 იგულისხმება კელნის დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც გერმანიაში აღმოცენდა 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის

პერიოდში. ამ საზოგადოებაში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ელემენტებთან ერთად, მუშებიც შედიოდნენ. კ. მარქსი არჩეულ იქნა რეინის ოლქისა და ვესტფალიის დემოკრატიულ საზოგადოებათა საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. — **259**.

60 **«რეინის ახალი გაზეთი» («Neue Rheinische Zeitung»)** გამოდიოდა კელნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე. გაზეთის ხელმძღვანელები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მთავარი რედაქტორი იყო კ. მარქსი. «რეინის ახალი გაზეთის» შესახებ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. I, 1937, გვ. 165 — 173 რუს. გამოც. — **259**.

61 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 162. — **263**.

62 იგულისხმება კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის რეზოლუცია ჩინეთში არსებული მდგომარეობის საკითხზე, მიღებული 1926 წლის 16 დეკემბერს. პლენუმის რეზოლუცია იხ. წიგნში «კომინტერნის აღმასკომის მეშვიდე გაფართოებული პლენუმის თეზისები და რეზოლუციები», მ. — ლ., 1927. — **264**.

63 **«წითელი შუბები»** — თავდაცვის შეიარაღებული რაზმები ჩინეთის სოფელში, რომლებიც იბრძოდნენ მემამულეთა და მილიტარისტთა უღლის წინააღმდეგ. ჩინეთის 1925 — 1927 წლების რევოლუციის პერიოდში **«წითელი შუბები»** და მათი მსგავსი გლეხური ორგანიზაციები («ყვითელი შუბები», «შავი შუბები», «დიდი დანები», «შემოჭერილი მუცლები» და სხვ.) მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ ნაციონალურ-რევოლუციურ არმიას ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. — **281**.

64 **«ნოვაია ჟიზნ»** — მენშევიკური გაზეთი, გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის აპრილიდან 1918 წლის ივლისამდე. — **292**.

65 კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის VIII პლენუმი მიმდინარეობდა მოსკოვში 1927 წლის 18 — 30 მაისს. პლენუმმა განიხილა კომინტერნის ამოცანები ომისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში, ინგლისის კომპარტიის ამოცანები, ჩინეთის რევოლუციის საკითხები და სხვ. ი. ბ. სტალინი

24 მაისს პლენუმის მეათე სხდომაზე გამოვიდა სიტყვით «რევოლუცია ჩინეთში და კომინტერნის ამოცანები». პლენუმმა შეაფასა საერთაშორისო მდგომარეობა, დასახა ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა და, ინგლისის მიერ სსრ კავშირთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტასთან დაკავშირებით, მიიღო მოწოდება «მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს. ყველა ჩაგრულ ხალხს. ჯარისკაცებსა და მატროსებს». ანტიპარტიული ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიდერებმა ისარგებლეს სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებით და პლენუმზე ცილისმწამებლურად გაილაშქრეს კომინტერნისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. საგანგებო დადგენილებით პლენუმმა მკვეთრად დაგმო ოპოზიციის ლიდერების გამთიშველი საქციელი და გააფრთხილა ისინი, რომ, ფრაქციული ბრძოლის განგრძობის შემთხვევაში, ისინი გარიცხული იქნებოდნენ კომინტერნის აღმასკომიდან. — **301**.

66 იგულისხმება კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის 14 აპრილის მოწოდება «მთელი მსოფლიოს პროლეტარებსა და გლეხებს. ყველა ჩაგრულ ხალხს». მოწოდება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» 85-ე ნომერში, 1927 წლის 15 აპრილს. — **304**.

67 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 105 — 124 რუს. გამოც. — **328**.

68 იხ. ი. ბ. სტალინი. «აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ». თხზულებანი, ტ. 7, გვ. 146 — 168. — **333**.

69 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XX, გვ. 224 — 225. — **371**.

70 ვ. ი. ლენინმა თავის სტატიებში და ცენტრალური კომიტეტისა და ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის იატაკქვეშეთიდან გაგზავნილ წერილებში 1917 წლის სექტემბერში წამოაყენა ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» როგორც შეიარაღებული აჯანყების მოწყობის უშუალო ამოცანა (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. **XXI**,

გვ. 137 — 148, 193 — 199). ვ. ი. ლენინის წერილების განხილვისას პარტიის ცენტრალური კომიტეტის 15 სექტემბრის სხდომაზე ი. ბ. სტალინმა საკადრისი პასუხი გასცა კაპიტულანტ კამენევს, რომელიც ამ დოკუმენტების მოსპობას მოითხოვდა, და წინადადება შეიტანა, რომ ვ. ი. ლენინის წერილები განსახილველად დაეგზავნათ ყველაზე დიდი პარტიული ორგანიზაციებისათვის. 1917 წლის 10 ოქტომბერს ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის, ი. მ. სვერდლოვის, ფ. ე. ძერჟინსკის, მ. ს. ურიცკის მონაწილეობით შესდგა ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXI, გვ. 330). — **384**.

ბიოგრაფიული ქრონიკა

(1926 წლის დეკემბერი — 1927 წლის ივლისი)

1926

22 ნოემბერი — 16 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის VII გაფართოებული პლენუმის მუშაობაში.

2 დეკემბერი. ი. ბ. სტალინს კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის სხდომაზე ირჩევენ პლენუმის გერმანიის კომისიის წევრად.

4 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ინდოეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელს.

7 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის სხდომაზე გამოდის მოხსენებით საკავშირო კ. პ. (ბ) შინაპარტიული საკითხების შესახებ.

13 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის სხდომაზე გამოდის საბოლოო სიტყვით მოხსენების გამო საკავშირო კ. პ. (ბ) შინაპარტიული საკითხების შესახებ.

17 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს დიმიტროვს, კოლაროვსა და სხვებს.

18 დეკემბერი. ი. ბ. სტალინს კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე ირჩევენ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად.

22 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს გერმანიაში «ულტრამემარცხენეებთან» ბრძოლის საკითხის განხილვაში კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის მუშაობის მონაწილე საკავშირო კ. პ. (ბ) და გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციების გაერთიანებულ სხდომაზე.

23 დეკემბერი. ი. ბ. სტალინს მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაიონის VII პარტიული კონფერენცია ირჩევს პირველ დელეგატად საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის XV საგუბერნიო კონფერენციაზე.

24 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმის მუშაობის მონაწილე საკავშირო კ. პ. (ბ) და ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დელეგაციათა წარმომადგენლების გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის სიტყვით ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურ პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

გამოვიდა ი. ბ. სტალინის ბროშურა «ერთხელ კიდევ სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში» — მოხსენება და საბოლოო სიტყვა მოხსენების გამო კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულ პლენუმზე.

29 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება მოსკოვის საარმატურო ქარხნის მუშათა დელეგაციას.

30 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს ქსენოფონტოვს.

1927

7 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სემირეჩიეს ოლქის სოფელ იურიევკის გლეხთა დელეგატს მიწის საკითხზე.

8 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება მოსკოვის სოკოლნიკის რაიონის მუშათა დელეგაციას.

14 იანვარი. ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით მოსკოვის XV საგუბერნიო პარტიული კონფერენციის სხდომაზე.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება პოლონეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს.

21 იანვარი. ი. ბ. სტალინი მოსკოვის დიდ თეატრში ესწრება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების მესამე წლისთავისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო სხდომას.

28 იანვარი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს ამხ. ზაიცევს.

29 იანვარი. ლენინგრადის XXIV საგუბერნიო პარტიული კონფერენცია ი. ბ. სტალინს ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის წევრად.

7 — 12 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

22 თებერვალი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს ლენის ოქროს საბადოების მუშებს ლენაზე მომხდარი დახვრეტის თხუთმეტი წლისთავთან დაკავშირებით.

ი. ბ. სტალინი სწერს მისალმებას სტალინგრადის გაზეთ «ბორბას» მის ათი წლისთავთან დაკავშირებით.

23 თებერვალი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის საფრანგეთის კომისიის სხდომაზე სიტყვას ამბობს საფრანგეთის კომპარტიის ტაქტიკის საკითხების შესახებ.

ი. ბ. სტალინი მოსკოვის დიდ თეატრში ესწრება წითელი არმიის მეცხრე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას.

25 თებერვალი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეულ საფეიქრო მრეწველობის მუშაკების თათბირზე სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდებისა და ამ მრეწველობის შემდგომი განვითარების გზების შესახებ.

28 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ოქტომბრის გზის სტალინის სახელობის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა დელეგაციას.

1 მარტი. ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით ოქტომბრის გზის სტალინის სახელობის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა კრებაზე.

ოქტომბრის გზის სტალინის სახელობის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა კრებაზე ი. ბ. სტალინს ირჩევენ მოსკოვის საბჭოს დეპუტატად.

7 მარტი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს ამხ. ცვეტკოვსა და ალიპოვს.

9 მარტი. ი. ბ. სტალინი გამოდის კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის საფრანგეთის კომისიის სხდომაზე.

15 მარტი. ი. ბ. სტალინის სტატია «მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხისათვის. პასუხი დმიტრიევს» — გამოქვეყნებულია ჟურნალ «ბოლშევიკის» მე-6 ნომერში, 1927 წ.

20 მარტი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს შინკევიჩს.

29 მარტი. ი. ბ. სტალინი გამოდის სიტყვით საკავშირო ალკკ V სრულიად საკავშირო კონფერენციაზე მოსკოვში.

2 აპრილი. საბჭოების მოსკოვის VIII საგუბერნიო ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს საბჭოების XIII სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატად.

5 აპრილი. ი. ბ. სტალინი მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გამოდის სიტყვით ჩინეთის რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ.

8 აპრილი. საბჭოების ლენინგრადის XVI საგუბერნიო ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს საბჭოების XIII სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატად.

9 აპრილი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს ჩუგუნოვს.

10 — 16 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს საბჭოების XIII სრულიად რუსეთის ყრილობის მუშაობაში.

13 — 16 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

13 აპრილი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე გამოდის პლენუმის დღის წესრიგის საკითხზე და კამათში მ. ი. კალინინის მოხსენების გამო «სსრ კავშირისა და რსფსრ საბჭოების ყრილობათა საკითხები».

15 აპრილი. ი. ბ. სტალინის სტატია «პარტიის სამი ძირითადი ლოზუნგის შესახებ გლეხობის საკითხში. პასუხი იან — სკის» გამოქვეყნებულია ჟურნალ «ბოლშევიკის» 7 — 8 ნომერში, 1927 წ.

16 აპრილი. საბჭოების XIII სრულიად რუსეთის ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

18 — 26 აპრილი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის საბჭოების IV ყრილობის მუშაობაში.

19 — 20 აპრილი. ი. ბ. სტალინი წერს თეზისებს პროპაგანდისტებისათვის «ჩინეთის რევოლუციის საკითხები». თეზისები, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა, გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» 90-ე ნომერში, 1927 წ. 21 აპრილს.

26 აპრილი. სსრ კავშირის საბჭოების IV ყრილობა ი. ბ. სტალინს ირჩევს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

1 მაისი. ი. ბ. სტალინი ესწრება მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპირველმაისო პარადს და დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე.

5 მაისი. ი. ბ. სტალინის მისალმება გაზეთ «პრავდისადმი» მისი თხუთმეტი წლისთავის დღეს გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» 99-ე ნომერში.

9 მაისი. ი. ბ. სტალინი წერს სტატიას «ჩინეთის რევოლუციის საკითხებისათვის. პასუხი ამხ. მარჩულინს». სტატია გამოქვეყნებულია ჟურნალ «დე-რევენსკი კომმუნისტის» მე-10 ნომერში, 1927 წ. 15 მაისს.

18 მაისი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სუნ იატ-სენის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩინეთის რევოლუციის საკითხებზე.

20 მაისი. ი. ბ. სტალინი წერს სტატიას «პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ ოქტომბრის მომზადების პერიოდში. პასუხი ს. პოკროვსკის». სტატია პირველად გამოქვეყნდა 1928 წელს წიგნში: ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები.

24 მაისი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის VIII პლენუმის სხდომაზე გამოდის სიტყვით «რევოლუცია ჩინეთში და კომინტერნის ამოცანები».

30 მაისი. ი. ბ. სტალინი წერს მისალმებას აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის მეოთხე გამოშვების სტუდენტებისადმი.

23 ივნისი. ი. ბ. სტალინი სწერს პასუხს ს. პოკროვსკის.

24 — 27 ივლისი. ი. ბ. სტალინი წერს სტატიას «შენიშვნები თანამედროვე თემებზე». სტატია გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» 169-ე ნომერში, 1927 წ. 28 ივლისს.

შინაარსი

გვ.

წინასიტყვაობა VII

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის VII გაფართოებული პლენუმი. 1926 წ. 22 ნოემბერი — 16 დეკემბერი . . . 1 — 161

ერთხელ კიდევ სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში. მოხსენება 7 დეკემბერს . . . . . 3 — 65

I. წინასწარი შენიშვნები 3

1. შინაპარტიული განვითარების წინააღმდეგობანი . . . . . —

2. პარტიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა წყაროები 10

II. საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) არსებული ოპოზიციის თავისებურებანი 13

III. უთანხმოებანი საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) 21

1. სოციალისტური მშენებლობის საკითხები . . 22

2. «შესვენების» ფაქტორები 27

3. რევოლუციის «ნაციონალური» და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობა და განუყოფლობა 28

4. სოციალიზმის მშენებლობის საკითხის ისტორიისათვის 31
5. სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საკითხის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამჟამად 37
6. რევოლუციის პერსპექტივების შესახებ . . 41
7. როგორ დგას საკითხი ნამდვილად . . . 43
8. გამარჯვების შანსების შესახებ 45
9. პრაქტიკულ-პოლიტიკური უთანხმოებანი . . 48
IV. ოპოზიცია მუშაობს 51
V. რისთვის აქებენ ოპოზიციას პროლეტარიატის დიქტატურის მტრები 56
VI. ოპოზიციური ბლოკის დამარცხება 60
VII. საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციის პრაქტიკული აზრი და მნიშვნელობა 64
საბოლოო სიტყვა. 13 დეკემბერი . . . . . 66 — 161
I. ცალკეული შენიშვნები 66
1. ჩვენ გვინდა ფაქტები, და არა ზღაპრები და ჭორები . . . . . —
2. რისთვის აქებენ ოპოზიციას პროლეტარიატის დიქტატურის მტრები 74
3. შეცდომებიც არის და შეცდომებიც . . . 79
4. პროლეტარიატის დიქტატურა ზინოვიევის მიხედვით 84
5. ტროცკის მისნური წარმონათქვამნი . . . 89
6. ზინოვიევი მოსწავლის როლში, რომელსაც მოჰყავს მარქსის, ენგელსის, ლენინის ციტატები 92
7. რევიზიონიზმი ზინოვიევის მიხედვით . . . 103
II. ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი 107

1. ცალკეულ ქვეყნებში პროლეტარულ რევოლუციათა წინაპირობები იმპერიალიზმის პერიოდში 108

2. როგორ ეწევა ზინოვიევი ლენინის «დამუშავებას» 119

III. სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საკითხი 124

1. ოპოზიციის «მანევრები» და ლენინის პარტიის «ნაციონალ-რეფორმიზმი» . . . . . —

2. ჩვენ ვაშენებთ და შეგვიძლია ავაშენოთ სოციალიზმის ეკონომიური ბაზა სსრ კავშირში . 135

3. ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს მსოფლიო პროლეტარიატთან კავშირში 148

4. გადაგვარების საკითხი 152

IV. ოპოზიცია და პარტიის ერთიანობის საკითხი . 154

V. დასკვნა 159

წერილი ძსენოფონტოვს 162

სიტყვა მოსკოვის XV საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე. 1927 წ. 14 იანვარი 165

წერილი ამხ. ზაიცევს 174

ლენის მუშებს 179

მისალმება სტალინგრადის გაზეთ «პორგბას» . . 180

სიტყვა ოქტომბრის გზის სტალინის სახელობის რკინიგზის სახელოსნოთა მუშების კრებაზე. 1927 წ. 1 მარტი. (მოკლე შინაარსი) 181

წერილი ამხ. ცვეტკოვსა და ალიპოვს 188

მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხისათვის. პასუხი ამხ. დმიტრიევს 191

წერილი შინკევიჩს 204

სიტყვა საკავშირო ალკკ V სრულიად საკავშირო კონფერენციაზე. 1927 წ. 29 მარტი 206

ᲤᲔᲠᲘᲚᲘ ᲩᲣᲒᲣᲜᲝᲕᲡ 216

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ. ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲘᲐᲜ — ᲡᲙᲘᲡ . . . 218

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲝᲬᲕᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ Კ. ᲘᲕ. (ᲑᲝ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ . . . . . 236 — 245

I. ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ . . . 236

II. ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ . . 238

III. ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ . . . 241

IV. ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ 243

ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲞᲠᲐᲕᲓᲐᲡ» (15 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ) . . . 247

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲛᲮ. ᲛᲐᲠᲩᲣᲚᲘᲜᲡ 248

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲣᲜ ᲘᲐᲢ-ᲡᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ. 1927 Წ. 13 ᲛᲐᲘᲡᲘ . . . 255

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲚᲐᲠᲘᲑᲔᲡᲘ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ. ᲞᲐᲡᲣᲮᲘ Ს. ᲞᲝᲙᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ 287

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ. ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ VIII ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ X ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ. 1927 Წ. 24 ᲛᲐᲘᲡᲘ . . . . . 301 — 332

I. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ 301

II. ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚ-ᲒᲚᲔᲮᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ 304

III. ᲜᲐᲜᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲗᲐ ᲒᲝᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲮᲝᲑᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲓᲐ ᲣᲮᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲔᲗᲐ ᲒᲝᲛᲘᲜᲓᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ 313

IV. ჩინეთში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შესახებ 316
V. ორი ხაზი 328

აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტებს 333

პასუხი ს. პოკროვსკის 335

შენიშვნები თანამედროვე თემებზე . . . . 342 — 384

I. ომის საფრთხის შესახებ 342
II. ჩინეთის შესახებ 352

შენიშვნები 385

ბიოგრაფიული ქრონიკა (1926 წლის დეკემბერი — 1927 წლის ივლისი) 399

ტირაჟი 35.000.
გადაეცა წარმოებას 7/IX — 1949.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XII — 1949.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა $26^{1}/_{2}$.
შეკვ. 1434.
ფასი 6 მან.

•

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფიისა და გამომცემლობის
საქმ. სამმართვ. 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის, 50.